ხალიდ
ჰოსეინი
ფრაკით
მორბენალი

4Love.Ge

ხალიდ ჰოსეინი

ფრანით მორბენალი

თავი პირველი

დღეს რაც ვარ, იმად 12 წლის ასაკში, 1975 წლის ერთ ცივ, პირქუშ დღეს ვიქეცი. სამუდამოდ ჩამებეჭდა ის წუთი მეხსიერებაში – დამშრალ ნაკადულთან ახლოს, ჩამონგრეული ალიზის კედლის უკან ვიმალები და თავზარდაცემული ვიცქირები ჩასახვევისკენ... რაც იყო, იყო, ჩაიარა-მეთქი, ვიტყოდი, მაგრამ, თურმე, წარსულს ვერ გაექცევი, არ გიშვებს, კლანჭებით გებღაუჭება და როცა მოისურვებს, მაშინ მოგაქცევს თავის მარწუხებში. ახლა, როცა ჩემს განვლილ ცხოვრებაზე ვფიქრობ, ვხვდები, რომ ოცდაექვსი წელია, თვალი არ მომიშორებია იმ ჩასახვევისთვის.

გასულ ზაფხულს ჩემმა მეგობარმა რაჰიმხანმა დამირეკა. მთხოვა, რომ მის სანახავად პაკისტანში ჩავსულიყავი. სამზარეულოს კართან ვიდექი. რაჰიმ-ხანს ვუსმენდი და ვგრძნობდი, რომ მასთან ერთად ჩემი მიუტევებელი ცოდვებით სავსე წარსულიც მელაპარაკებოდა. ყურმილი დავკიდე და გოლდენ გეით პარკის ჩრდილოეთით მდებარე სფრიქელს ტბისკენ ჩავუყევი. წყალზე შუადღის მზე ბრწყინავდა. ნელი სიო თითქოს სულს უბერავდა ათობით პატარა ნავს. პარკის დასავლეთით, ხეების კენწეროებისა და ქარის წისქვილების თავზე, წითელი ლურჯკუდიანი ფრანები პეპლებივით დაფარფატებდნენ; ზევიდან დასცქეროდნენ სან ფრანცისკოს – ქალაქს, რომელსაც ახლა ჩემსას ვუწოდებ. და უეცრად, ისე ნათლად ჩამესმა ჰასანის ხმა: „შენი გულისთვის, თუნდაც ათასჯერ...“. თვალწინ წარმომიდგა ჰასანი – ჩემი ბავშვობის მოგონება, კურდღლისტუჩა ფრანით მორბენალი.

ტირიფის ხის ქვეშ, სკამზე ჩამოვჯექი. რაჰიმ-ხანის სიტყვები მოსვენებას არ მაძლევდა: „ისევ შეგიძლია, რომ სიკეთის გზაზე დადგე, ამირ, დაბრუნდი“. ფრანებს ავხედე, ფიქრმა წარსულში გადამისროლა – ჰასანი, ბაბა, ალი, ქაბული, ბავშვობის ხანა... შემდეგ 1975 წლის ზამთარი, რომელმაც მთლიანად შემცვალა და საბოლოოდ იმად გარდამქმნა, რაც დღეს ვარ.

თავი მეორე

ბავშვობაში მე და ჰასანი მამაჩემის სახლთან ჩამწკრივებულ ალვის ხეებზე ავდიოდით ხოლმე და მეზობლებს სარკის ნატეხში არეკლილ მზის სხივებს ვუმიზნებდით. ჯიბეებს თუთის ჩირით დავიტენიდით, ზედა ტოტებზე ერთმანეთის პირისპირ ჩამოვსხდებოდით და სარკის ნატეხს რიგრიგობით ვუშვერდით მეზობლების ფანჯრებს, თან სიცილ-კისკისით თუთას ვესროდით ერთმანეთს. ახლაც თვალწინ მიდგას ხის ტოტზე შემომჯდარი ჰასანი. ფოთლებიდან მზე იჭვრიტებოდა და ბურთივით მრგვალ სახეზე დასთამაშებდა. ხისგან გამოთლილ ჩინურ თოჯინას ჰგავდა ფართო ცხვირით და დახრილი ბამბუკის ფოთოლივით ვიწრო თვალებით. თვალის ფერი სინათლეზე ეცვლებოდა, ოქროსფერი, მწვანე და ხანდახან ზურმუხტის ფერიც კი ჰქონდა, ყურები პატარა, ოდნავ ქვევით განლაგებული, ნიკაპი წვეტიანი, ზედა ტუჩი შუახაზზე გაპობილი. იფიქრებდით, რომ ჩინური თოჯინების ოსტატი დაიღალა და შემთხვევით საჭრეთელი

აუცდა. იმდენჯერ ვეტყოდი ხოლმე ჰასანს, მეზობლის ცალთვალა გერმანულ ნაგაზს შურდულით კაკლები ესროლე-მეთქი, რომ ბოლოს ვითანხმებდი. ძალიან მაგარი იყო შურდულით სროლაში, მაგრამ თვითონ არასოდეს იჩენდა ინიციატივას. ჩემთვის უარის თქმა უჭირდა საერთოდ, მით უმეტეს, თუ ძალიან ვთხოვდი. ჰასანის მამა, ალი, გიჟდებოდა ხოლმე, როცა გამოგვიჭერდა ან უფრო სწორად, იმდენად გიჟდებოდა, რამდენადაც ეს მისნაირ მშვიდ კაცს შეეძლო. თითის ქნევით გვანიშნებდა, ჩამოდითო. მერე სარკეს ჩამოგვართმევდა და გარდაცვლილი დედამისის სიტყვებით გვარიგებდა ჭკუას:

– სარკის მინათება ეშმაკის მოგონილია. უნდა, რომ მუსლიმებს ლოცვაში ხელი შეუშალოს, – გვეტყოდა. თან დააყოლებდა, – ხომ იცით, ამ დროს ეშმაკი იცინის, – და შეუბღვერდა ხოლმე ჰასანს.

– დიახ, მამა, – ჩაიბუტბუტებდა თავჩაქინდრული ჰასანი, მაგრამ მე არასოდეს ჩავუშვივარ. არასოდეს უთქვამს, რომ სარკის მინათება და მეზობლის ძაღლისთვის კაკლების დაშენა ყოველთვის ჩემი ნაკარნახევი იყო.

წითელი აგურით მოკირწყლულ გზას, რომელსაც ორივე მხარეს ალვის ხეების მწკრივი გასდევდა, ორკარიან რკინის ჭიშკრამდე მივყავდით. ჭიშკარი ფართოდ იღებოდა და მამაჩემის მამულში შევდიოდით. დიდი აგურის სახლი გზის მარცხენა მხარეს იდგა. გზის ბოლოს უკანა ეზო იწყებოდა.

ვაზირაქბარ-ხანის უბანში თვლიდნენ, რომ მამაჩემის სახლი ყველა სახლს სჯობდა. ეს მდიდრებით დასახლებული რაიონი იყო ქაბულის ჩრდილოეთ ნაწილში. ზოგი იმასაც ამბობდა, რომ ბაბას სახლი მთელს ქალაქში ყველაზე ლამაზი იყო. სახლი დიდი იყო, მარმარილოს იატაკებითა და ფართო ფანჯრებით. სახლთან მისასვლელი გზის გასწვრივ ვარდის ბუჩქები იყო დარგული. ოთხი სააბაზანო ოთახის იატაკი ბაბას მიერ ისპაჰანიდან ჩამოტანილი ფილიგრანული მოზაიკის ფილებით იყო მოპირკეთებული. კალკუტაში შეძენილი ოქროს ძაფით დაგვირისტებული გობელენები ზოლებად ჰყოფდა კედლებს. თაღოვანი ჭერიდან ბროლის ჭაღი ეშვებოდა.

ზედა სართულზე ჩემი საძინებელი, ბაბას ოთახი და მუდამ თამბაქოს კვამლით გაბოლილი კაბინეტი ანუ „მოსაწევი ოთახი“ იყო. სადილზე ალი ემსახურებოდა ბაბას და მის მეგობრებს. შემდეგ კაცები ტყავის სავარძლებში გადაწვებოდნენ ხოლმე და ჩიბუხებს ტენიდნენ. ბაბა ამბობდა, ჩიბუხს „ვაპურებო“. სასაუბროდ სამი საყვარელი თემა ჰქონდათ: პოლიტიკა, ბიზნესი, ფეხბურთი. ხანდახან ვთხოვდი ბაბას, რომ მათთან ყოფნის ნება დაერთო, მაგრამ წამოდგებოდა, კართან მივიდოდა და მეტყოდა: – ახლა უფროსების დროა, წადი, წიგნი წაიკითხე.

მერე კარს მომიხურავდა. მე იქვე, კართან ჩავჯდებოდი ხოლმე მკერდზე ფეხებმიბჯენილი. ვერ გამეგო, რატომ იყო მასთან სულ უფროსების დრო. ვიჯექი და საათობით ვუსმენდი მათ სიცილს და გაუთავებელ ლაპარაკს. საერთო ოთახიდან გასასვლელში ჩაშენებულ კედლის კარადაში ჩარჩოებში ჩასმული ოჯახის ფოტოები ეწყო: პაპაჩემისა და მეფე ნადირ შაჰის ძველი, გაცრეცილი ფოტო, 1931 წელს, მეფის მკვლელობამდე ორი წლით ადრე გადაღებული – მხრებზე იარაღგადაკიდებულები

მოკლულ ირემს წასდგომიან თავს; ჩემი მშობლების ქორწინების ღამეს გადაღებული სურათი – ბაბა შავი კოსტიუმით და დედაჩემი – თეთრ საქორწინო კაბაში გამოწყობილი მოღიმარი პრინცესა; ბაბა და რაჰიმ-ხანი, ბაბას საუკეთესო მეგობარი და ბიზნეს პარტნიორი, ჩვენი სახლის წინ; მე ჩვილი ვარ ამ ფოტოზე, ბაბას ვყავარ აყვანილი. დაღლილი და მოღუშული ჩანს. თითებით რაჰიმხანის ნეკას ვებღაუჭები.

ამ კარადისთვის უნდა ჩაგვევლო, სასადილო ოთახში რომ შევსულიყავით. ოთახის შუაში მაჰაგონის ხის მაგიდა იდგა, რომელსაც ოცდაათი სტუმარი თავისუფლად შემოუსხდებოდა. მამაჩემის ექსტრავაგანტური წვეულებებით გატაცების გამო ასე თითქმის ყოველ კვირას ხდებოდა. ოთახის მეორე ბოლოს, მარმარილოს ბუხარში ზამთრობით ყოველთვის ნარინჯისფერი ცეცხლი გიზგიზებდა.

დიდი სრიალა შუშის კარი ნახევრადწრიულ ტერასაზე გადიოდა. ტერასა ორ აკრ უკანა ეზოსა და ალუბლის ხეების მწკრივებს გადაჰყურებდა. ბაბას და ალის პატარა ბოსტანი ჰქონდათ გაშენებული ჩრდილოეთის კედლის გასწვრივ: პომიდორი, პიტნა, წიწაკა და სიმინდის კვალი, რომელზეც ვერასოდეს ვერ იღებდნენ მოსავალს. მე და ჰასანმა ამ კედელს ხუმრობით „აუღებელი სიმინდის კედელი“ შევარქვით.

ბაღის სამხრეთ ნაწილში, მუშმალას ჩრდილქვეშ, მსახურების სახლი იდგა, პატარა, ლაფით ნალესი ქოხი, სადაც ჰასანი ცხოვრობდა მამამისთან ერთად.

აქ, ამ ქოხში 1964 წლის ზამთარს, დედაჩემის გარდაცვალებიდან ზუსტად ერთი წლის შემდეგ, დაიბადა ჰასანი.

თვრამეტი წლის განმავლობაში მხოლოდ რამდენჯერმე გადავაბიჯე ჰასანისა და ალის საცხოვრებლის ზღურბლს.

მზე რომ მიეფარებოდა მთებს და თამაშსაც მოვრჩებოდით, ჩემი და ჰასანის გზები იყოფოდა. მე ბაბას დიდი სახლისკენ ვარდის ბუჩქებს მივუყვებოდი, ჰასანი კი თავისი ქოხისკენ მიდიოდა. მახსოვს, თითქმის ცარიელი სუფთა ნავთის ლამფის მკრთალი შუქით განათებული ოთახი – აქეთ-იქით დაგებული ორი ლეიბი, ოთახის შუაში ჰერატში მოქსოვილი კიდეებგამოძენძილი ფარდაგი, სამფეხა სკამი, კუთხეში პატარა ხის მაგიდა და შიშველ კედელზე გაკრული ერთადერთი გობელენი ზედ მძივებით ამოქარგული სიტყვებით: „ალლაჰ აქბარ“. ეს გობელენი ბაბამ უყიდა ალის მაშადში ყოფნის დროს.

ამ ქოხში 1964 წლის ზამთრის ერთ ცივ დღეს იმშობიარა სანაუბარმა, ჰასანის დედამ, და ქვეყანას ჰასანი მოევლინა. დედაჩემი მშობიარობის სისხლდენას გადაჰყვა, ჰასანმა კი გაჩენიდან ერთ კვირაში დაჰკარგა დედა. დედამისის გაუჩინარების ამბავს უმეტესი ავღანელი სიკვდილზე დიდ უბედურებად მიიჩნევდა. ის მოგზაური მუსიკოსებისა და მომღერლების ჯგუფთან ერთად გაიქცა.

ჰასანი არასოდეს ახსენებდა დედას, თითქოს არც არასოდეს ჰყოლია. სულ მაინტერესებდა, სიზმარში თუ ნახულობდა, თუ იცოდა, როგორი იყო, სად იყო, თუ ოცნებობდა დედასთან შეხვედრაზე, ან ისევე თუ სტკიოდა გული, როგორც მე დედაჩემის გამო. ერთხელ მამაჩემის სახლიდან ახალი ირანული ფილმის სანახავად კინოთეატრ „ზეინაბში“ წავედით. ისტიქლალ (დამოუკიდებლობა) საშუალო სკოლასთან, სამხედრო ყაზარმის ტერიტორიაზე, მოკლეზე გადავჭერით. ბაბა გვიკრძალავდა ამ გზით სიარულს,

მაგრამ იმ დროს რაჰიმ-ხანთან ერთად პაკისტანში იყო. ყაზარმას ღობე ერტყა გარს. ღობეს და პატარა ნაკადულს გადავახტით და ნაგვით სავსე გაშლილ მინდორში აღმოვჩნდით. რამდენიმე ძველ, ჩამოწერილ ტანკს მტვერი ჭამდა. ტანკების ჩრდილს შეფარებული ჯარისკაცები სიგარეტს ეწეოდნენ და კარტს თამაშობდნენ. ერთმა მათგანმა დაგვინახა, მეორეს იდაყვი გაჰკრა, თავი ჰასანისკენ გაიქნია:

– ეი, შენ! – მოგვაძახა, – გიცანი, ვინცა ხარ.

ჩვენ ის არასოდეს გვენახა. ჯმუხი კაცი იყო, თავგადაპარსული, სახეზე შავი ჯაგარივით წვერით. ბოროტი თვალები ავისმომასწავებლად უელავდა. შემეშინდა, – არ გაჩერდე, – ჩავჩურჩულე ჰასანს, – იარე.

– შენ ეი! ჰაზარა! მიყურე, როცა გელაპარაკები! – დაიყეფა ჯარისკაცმა. გვერდზე მდგომ ბიჭს სიგარეტი მიაჩეჩა, ცერა და საჩვენებელი თითებით წრე შეკრა, მეორე ხელის შუათითი წრეში ჩაყო; ჩაყოფდა, ამოიღებდა, ჩაყოფდა, ამოიღებდა, – იცი, დედაშენს რა კარგად ვიცნობდი? აი, აქ, ამ ნაკადულის პირას უკნიდან ვიხმარე!

ჯარისკაცებმა სიცილი ატეხეს, განსაკუთრებით ერთი გამხიარულდა. ჰასანს ვუთხარი, იარე, არ გაჩერდე-მეთქი.

– უჰ, რა ვიწრო და შაქარივით ტკბილი ხვრელი ჰქონდა! – იღრიჭებოდა და თან ხელს უტყაპუნებდა ჯარისკაცებს. მოგვიანებით, სიბნელეში, როცა ფილმი დაიწყო, გავიგონე, როგორ ტიროდა ჰასანი. ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა. მისკენ გადავიწიე, მხარზე ხელი მოვხვიე, და ჩემკენ მოვიზიდე, თავი მხარზე დამადო.

– სხვა ეგონე, – ჩავჩურჩულე, – ვიღაცაში შეეშალე.

სანაუბარის გაქცევა დიდად არავის გაჰკვირვებია. აი, მაშინ კი აწკიპეს წარბები გაოცებისგან, როცა ალიმ, კაცმა, რომელმაც ყურანი ზეპირად იცოდა, სანაუბარი, ცხრამეტი წლით მასზე ახალგაზრდა, მშვენიერი, მაგრამ საქვეყნოდ სახელგატეხილი, მსუბუქი ყოფაქცევის ქალი, ცოლად შეირთო. ალის მსგავსად, ისიც შიიტი მუსლიმი და ეთნიკური ჰაზარა იყო. ამას თუ მათ ბიძაშვილობასაც დავუმატებთ, ბუნებრივად შერჩეული წყვილი გამოდიოდა. მიუხედავად ამისა, მათ ცოტა რამ ჰქონდათ საერთო, განსაკუთრებით კი გარეგნობით იყვნენ შეუფერებლები. ხმები დადიოდა, რომ სანაუბარის ჟუჟუნა მწვანე თვალებსა და მაცდურ სახეს არაერთი კაცი ჰყავდა ცოდვაში ჩაგდებული. ალის სახის ქვედა კუნთების თანდაყოლილი დამბლის გამო ღიმილიც კი არ შეეძლო. ვერც ბედნიერებას შეამჩნევდით და ვერც უბედურებას. გაქვავებულ სახეზე მხოლოდ დახრილი ყავისფერი თვალები უღიმოდა, ან ცრემლით ევსებოდა. თვალები ადამიანის სულის სარკეაო, ნათქვამია. ალიზე იყო ეს სიტყვები ზედგამოჭრილი. აბა, სხვას ვის შეეძლო, თვალებით ასე კარგად გადმოეცა თავის სათქმელი.

როგორც ამბობდნენ, სანაუბარის გამომწვევ სიარულსა და თეძოების თამაშს ბევრი კაცისთვის აღუძრავს ავხორცობის ჟინი. ალის კი გადატანილმა პოლიომიელიტმა მარჯვენა ფეხი მოღრეცილი და ატროფირებული დაუტოვა. მოყვითალო, ქაღალდივით სიფრიფანა კანი ზედ ძვალზე ჰქონდა გადაკრული. ერთი დღე მახსოვს, – რვა წლის ვიყავი, ალიმ ბაზარში წამიყვანა ნაანის (ინდური ლავაში) საყიდლად. ის წინ მიდიოდა, მე ღიღინით მივყვებოდი უკან, თან ვცდილობდი, სიარულში მიმებაძა. ნაბიჯის გადადგმისას

თავის გაძვალტყავებულ ფეხს მოიქნევდა და მთელი ტანით მარჯვნივ გადაიგრიხებოდა ხოლმე. ცოტა მიკვირდა, რომ არ ყირავდებოდა. ვცადე, გამომეჯავრებინა და ლამის თხრილში ჩავვარდი. სიცილი წამსკდა. ალი შემობრუნდა. დამინახა, მაგრამ არაფერი თქვა, უბრალოდ გზა განაგრძო.

მეზობლის პატარა ბავშვებს ალის გამომეტყველებისადა მიხრა-მოხრის ეშინოდათ. უფრო დიდი ბავშვები კი ნამდვილი შარი იყო ალისთვის. როგორც კი ბორძიკით ჩაივლიდა ქუჩაში, გამოეკიდებოდნენ და დასცინოდნენ. ბაბალუს ანუ გუდიანს ეძახდნენ.

– ჰეი, ბაბალუ, დღეს ვინ შეჭამე? – დაუყვირებდნენ და მერე ყველა ერთად იცინოდა.

– ვინ შეჭამე, შე ბრტყელცხვირა ბაბალუ?

„ბრტყელცხვირას“ ალის და ჰასანს ჰაზარებისთვის დამახასიათებელი მონღოლოიდური სახის ნაკვთების გამო ეძახდნენ. დიდი ხნის განმავლობაში ჰაზარების შესახებ მხოლოდ ის ვიცოდი, რომ მონღოლთა შთამომავლები იყვნენ. სახელმძღვანელოებში მათ მოდგმას იშვიათად და გაკვრით ეხებოდნენ. ერთხელ ბაბას ოთახში მის ნივთებს ვათვალიერებდი. შემთხვევით დედაჩემის ძველი ისტორიის წიგნი ვიპოვე. წიგნი ირანელ ავტორს, ხორამის, ეკუთვნოდა. მტვერს სული შევუბერე და ჩემს საწოლ ოთახში შევედი. გაოცებას ვერ ვმალავდი, როცა ჰაზარების ისტორიის შესახებ მთელი თავი აღმოვაჩინე; მთელი თავი ჰასანის ხალხისადმი მიძღვნილი! წიგნში ეწერა, რომ პუშტუნები, ჩემი ხალხი, სასტიკად ექცეოდნენ და ჩაგრავდნენ ჰაზარებს. მათ მეცხრამეტე საუკუნეში უცდიათ, წინ აღდგომოდნენ პუშტუნებს, მაგრამ აჯანყება ენითუთქმელი სისასტიკით ჩაუხშვიათ. წიგნი ამბობს, რომ პუშტუნებმა ისინი დახოცეს, მიწებიდან აყარეს, სახლები გადაუწვეს და ქალები გაუყიდეს. ავტორი ჰაზარების ჩაგვრის ნაწილობრივ მიზეზად მათ შიიტობას ასახელებს. ბევრი რამ ნამდვილად სიახლე იყო ჩემთვის, თუმცა ის კი ძალიან კარგად ვიცოდი, რომ ხალხი ჰაზარებს თაგვიჭამიებს, ბრტყელცხვირებს, ტვირთაკიდებულ ვირებს ეძახდა. ისიც ვიცოდი, რომ ბავშვები ჰასანსაც ასე მიმართავდნენ.

შემდეგ კვირას, გაკვეთილები რომ დამთავრდა, წიგნი ჩემს მასწავლებელს მივაწოდე და იმ თავზე გადავუშალე, რომელშიც ჰაზარების შესახებ იყო დაწერილი. მან რამდენიმე გვერდს თვალი გადაავლო, ჩაიცინა და წიგნი უკან დამიბრუნა, – ერთ რამეს კი კარგად ახერხებენ შიიტები, წამებულებად ასაღებენ თავს, – სიტყვა შიიტს რომ ამბობდა, ცხვირი ისე აბზიკა, გეგონებოდათ, რომელიღაც დაავადებაზე ლაპარაკობდა.

ეთნიკური თუ სისხლისმიერი ერთობა ხელს არ უშლიდა სანაუბარს, რომ მეზობლის ბავშვებთან ერთად აბუჩად აეგდო ალი. არც იმას მალავდა, როგორ სძაგდა მისი გარეგნობა.

– ეს არის ქმარი? – ბებერ ვირზე გავთხოვილიყავი, არ ჯობდა? – დაცინვით იტყოდა ხოლმე.

მოკლედ, უმეტესობა ფიქრობდა, რომ მათი ქორწინება ერთგვარი გარიგება იყო ალისა და ბიძამისს შორის. ამბობდნენ, ალიმ სანაუბარი ცოლად იმიტომ შეირთო, რომ ბიძამისის შერცხვენილი სახელის აღდგენა უნდოდაო. სხვა რა უნდა ყოფილიყო, ხუთი წლის ასაკში დაობლებულ ალის ამქვეყნად არაფერი ებადა, არანაირი საკუთრება, არავითარი მემკვიდრეობა.

თავის მწამებლებზე შურისძიება ალის გულში არასოდეს გაუვლია. ნაწილობრივ ალბათ იმიტომ, რომ იცოდა, მათ მაინც ვერაფერს მოუხერხებდა, უმეტესად კი იმიტომ, რომ იმუნურად ამტანი იყო შეურაცხყოფის მიმართ. ჰასანის ამქვეყნად მოვლენამ ყველაფერი გააქარწყლა და უდიდესი სიხარული აგრძნობინა. ეს ძალიან უბრალოდ მოხდა: არც მეანი, არც ანესთეზიოლოგი, არც სენსიტიური აპარატურა. სანაუბარი დალაქავებულ უშალითო ლეიბზე იწვა. ალი და ბებიაქალი ეხმარებოდნენ. დიდად არც დახმარება სჭირდებოდა, რადგან ჰასანი დაბადების მომენტშიც კი თავისი ბუნების ერთგული იყო: მას არ შეეძლო სხვისთვის ტკივილის მიყენება. რამდენჯერმე გაჭინთვა და ჰასანი დაიბადა, დაიბადა ღიმილით.

ყბედმა ბებიაქალმა მეზობლის მსახურს, მეზობლის მსახურმა კი ყველას, ვისაც მოსმენა შეეძლო, უამბო, თუ როგორ მწარედ გაიცინა სანაუბარმა, როცა ჰასანის შუაზე გადაპობილი ტუჩი დაინახა, – ახლა გყავდეს შენი იდიოტი შვილი და შენ მაგივრად ის გაიცინებს, როცა დაგჭირდება, – უთხრა ალის. ჰასანი ხელშიც არ აუყვანია, ისე გაიქცა ხუთ დღეში.

ბაბამ ჰასანის გამოზრდა ჩემს ძიძას მიანდო. ისიც ჰაზარა იყო – მწყაზარი ლურჯთვალა ქალი, წარმოშობით ბამიანიდან, ბუდას ქანდაკებებით ცნობილი ქალაქიდან, – რა ტკბილად მღეროდა, – იტყოდა ხოლმე ალი. მე და ჰასანი აუცილებლად შევეკითხებოდით:

– რას მღეროდა? – თუმცა უკვე ბევრჯერ გვქონდა მოსმენილი. უბრალოდ გვინდოდა, რომ ალის ემღერა. ჩაახველებდა, ყელს ჩაისუფთავებდა და იწყებდა:

მაღალ მთაზე შემოვდექი და მოვიხმე ალი, ლომი ღვთისა,
ო, ალი, ლომო ღვთისა, მეფევ ხალხისა,
მოგვგვარე შვება, განმქარვებელო გულის დარდისა.

შემდეგ შეგვახსენებდა, რომ ძუძუმტეები ვიყავით და ამ ძმობას დრო ვერასდროს ვერაფერს დააკლებდა. მე და ჰასანს ერთი ქალი გვაწოვებდა ძუძუს, ერთ ქუჩაზე, ერთ ეზოში ავიდგით ფეხი. ერთ ჭერქვეშ წარმოვთქვით პირველი სიტყვები. ჩემი პირველი სიტყვა იყო „ბაბა“, ჰასანის იყო „ამირ“, სახელი ჩემი. 1975 წლის ამბებს და შემდეგ განვითარებულ მოვლენებს ეს სიტყვები დაედო საფუძვლად.

<u>თავი მესამე</u>

როგორც ხალხი ამბობდა, მამაჩემმა, თურმე, შავი დათვი შიშველი ხელებით დაახრჩო ბელუჯისტანში. მსგავსი რამ სხვაზე რომ ეთქვათ, არავინ დაიჯერებდა. ავღანეთში უყვართ მოვლენების მეტისმეტად გაზვიადება. ეს, შეიძლება ითქვას, ეროვნული სენია. ვინმე თუ შვილის ექიმობით ტრაბახობს, დიდი ალბათობით ბავშვს ოდესღაც მხოლოდ ერთი ტესტი აქვს ბიოლოგიაში ჩაბარებული. მაგრამ მამაჩემის თავგადასავლების სინამდვილეში ეჭვი არასოდეს არავის შეჰპარვია. და ასეც რომ ყოფილიყო, ბაბას სამი ღრმა ნაიარევი პარალელურ კლაკნილ ხაზებად დაჰყვებოდა ზურგზე დასტურად. ხშირად წარმოვიდგენდი ხოლმე ამ შერკინებას, დამსიზმრებია კიდეც ბაბა და დათვი

ერთმანეთთან დაჭიდებულები, ზოგჯერ ვეღარც ვარჩევდი ბაბას და დათვს ერთმანეთისგან.

პირველად რაჰიმ-ხანმა უწოდა ბაბას ტუფან-აღა ანუ გრიგალ-აღა, რაც საბოლოოდ ბაბას მეტსახელად იქცა. მამაჩემი ძლიერი კაცი იყო, მონუმენტური, პუშტუნთა მოდგმის ნამდვილი წარმომადგენელი. ხშირი წვერი ჰქონდა და ყავისფერი, სქელი, ხუჭუჭი, თავისი ხასიათივით ურჩი თმა. ხელებზე დახედავდით და იფიქრებდით, რომ ამ ხელებს ტირიფის ხის ძირფესვიანად მოთხრა შეეძლოთ, შავი თვალების ბრიალი კი, როგორც რაჰიმ-ხანი იტყოდა, „ეშმაკს დააჩოქებდა და მოწყალებას ათხოვნინებდა“. საკმარისი იყო, ეს თითქმის ორმეტრიანი კაცი წვეულებაზე გამოჩენილიყო, რომ ერთბაშად იტაცებდა ყველას მზერას, თავებს ისე ატრიალებდნენ მისკენ, როგორც მზესუმზირები მზისკენ.

ბაბას იგნორირება შეუძლებელი იყო. ძილშიც კი ყურადღებას იქცევდა. ერთ ბღუჯა ბამბას ვიტენიდი ყურებში, საბანს ვიფარებდი თავზე, მაგრამ მისი სატვირთო მანქანის ძრავის გრუხუნივით ხვრინვის ხმა მაინც აღწევდა ჩემს ოთახში. ჩემს საძინებელს და ბაბას ოთახს გასასვლელი ჰყოფდა. როგორ ახერხებდა დედაჩემი ბაბას ოთახში დაძინებას, დღემდე არ მესმის. ამ და სხვა უამრავ კითხვას აუცილებლად დავუსვამდი დედაჩემს, ოდესმე რომ მენახა.

60-იანი წლების ბოლოს, როცა მე ხუთი-ექვსი წლისა ვიყავი, ბაბამ ობოლთა თავშესაფრის აშენება გადაწყვიტა. ეს ამბავი რაჰიმხანმა მიამბო. ბაბას თვითონ შეუდგენია ნახაზი, თუმცა არქიტექტურაში სრულიად გამოუცდელი იყო. სკეპტიკოსები ურჩევდნენ, რომ შეშვებოდა ამ სისულელეს და პროფესიონალები დაექირავებინა. მაგრამ პროექტი წარმატებული აღმოჩნდა. სკეპტიკოსებმა იკადრეს და ბაბას ტრიუმფალური სვლის წინაშე ქედი მოიდრიკეს. მან საკუთარი ფული გადაიხადა მდინარე ქაბულის სამხრეთ სანაპიროზე ორსართულიანი შენობის აგებაში, პირადად დააფინანსა მთელი პროექტი, გაისტუმრა ინჟინრები, ელექტრიკოსები, სანტექნიკოსები, მუშები, რომ აღარაფერი ვთქვათ მუნიციპალიტეტის ჩინოვნიკებზე, რომლებისთვისაც წვერი რომ არ „დაეზეთა“, არაფერი გამოვიდოდა. თავშესაფრის აშენებას სამი წელი დასჭირდა. მე იმ დროისთვის უკვე რვა წლის ვიყავი. მახსოვს, გახსნის წინა დღეს მე და ბაბა ქაბულიდან რამდენიმე მილის მოშორებით, ქარღას ტბაზე წავედით. მთხოვა, ჰასანიც წამოიყვანეო, მაგრამ ვიცრუე და ვუთხარი, რომ ჰასანს კუჭი ჰქონდა აშლილი. მინდოდა, ბაბა მთლიანად ჩემი ყოფილიყო. ისიც მწარედ მახსოვდა, რომ ერთხელ მე და ჰასანი ტბის ზედაპირზე ქვებს ვახტუნავებდით, ჰასანის ქვა რვაჯერ ახტა, ჩემი სამჯერ. ბაბა იქ იყო და ჰასანს მოეფერა, მხარზე ხელიც კი გადაჰხვია.

ტბის ნაპირას მხოლოდ მე და ბაბა ვუსხედით მაგიდას, მოხარშულ კვერცხს და კოფტას – ნაანში გადახვეულ ხორცის ბურთულებს და პიკულს შევექცეოდით. ტბა მუქი ლურჯი იყო. მის სარკესავით პრიალა ზედაპირზე მზე ბრწყინავდა. პარასკევობით უამრავი ოჯახი ეფიცხება მზეს ტბის ნაპირას, მაგრამ შუა კვირა იყო. ჩვენ გარდა რამდენიმე გრძელთმიანი, წვერმოშვებული ჰიპი ტურისტი იჯდა იქვე დოკზე. ფეხები წყალში ჩაეყარათ და თევზაობდნენ. ბაბას ვკითხე, რატომ იზრდიან თმას-მეთქი და რაღაც კი ჩაიბურტყუნა, მაგრამ არ მიპასუხა. მეორე დღისთვის სიტყვას ამზადებდა, ხელნაწერს ათვალიერებდა და

ფანქრით შენიშვნებს იწერდა. მინდოდა, როგორმე მისი ყურაღება მიმექცია. კვერცხი ჩავკბიჩე და ისევ ვკითხე, მართალი იყო ერთი ჩემი სკოლელი თუ არა, რომელმაც მითხრა, რომ კვერცხის ნაჭუჭი თუ შეჭამე შემთხვევით, აუცილებლად შარდს უნდა გამოაყოლოო. ბაბამ არც ახლა მიპასუხა. სენდვიჩი ჩავკბიჩე. ერთ-ერთი ყვითელთმიანი ტურისტი იცინოდა. მოშორებით სატვირთო მანქანა ბღუილით ცდილობდა გორაზე ასვლას, მანქანის გვერდითა სარკე მზეს ირეკლავდა.

– მგონი სარატანი (კიბო) მაქვს, – ვთქვი მე.

ბაბა, ბოლოს და ბოლოს, მოსწყდა ფურცლებს, თავი ასწია და მითხრა: – წადი, სოდა ამოიღე მანქანის საბარგულიდან.

მეორე დღეს ობოლთა თავშესაფრის წინ გამართულ გახსნის ცერემონიაზე სკამები დააკლდათ. უამრავი ხალხი იდგა ფეხზე. ქარიანი დღე იყო. ბაბას მწვანე კოსტიუმი ეცვა და კარაკულის ქუდი ეხურა. სიტყვის წარმოთქმის დროს ქარმა ქუდი მოჰხადა. ხალხმა სიცილი დაიწყო. ხელით მანიშნა, ქუდი დამიჭირეო, ისე გამიხარდა... ახლა ყველა დაინახავდა, რომ ის მამაჩემი – ჩემი ბაბა იყო. შემდეგ ისევ მივიდა მიკროფონთან და იმედი გამოთქვა, რომ ახალი შენობა უფრო მყარად იქნებოდა საძირკველზე დამაგრებული, ვიდრე მისი ქუდი თავზე. ხალხი გამხიარულდა. როცა ბაბამ სიტყვა დაასრულა, სტუმრები ფეხზე წამოდგნენ და დიდხანს უკრავდნენ ტაშს. ბოლოს ხელის ჩამორთმევის დროც დადგა. სტუმრები თავზე ხელს მისვამდნენ და მეც მართმევდნენ ხელს. გული სიამაყით მქონდა სავსე ბაბას გამო, ჩვენ გამო.

ბაბას წარმატებების მიუხედავად, ვიღაცებს მაინც ეჭვი ღრღნიდათ. ხშირად ეუბნებოდნენ ხოლმე, რომ ბიზნესის კეთება მას სისხლით არ მოსდგამდა და ჯობდა, მამამისივით სამართალი შეესწავლა. მაგრამ ბაბამ ყველას დაუმტკიცა, რომ კარგად შეეძლო საკუთარი ბიზნესის მართვა. ცოტა ხანში ის ქაბულის ყველაზე მდიდარი მეწარმე გახდა. ბაბამ და რაჰიმ-ხანმა ხალიჩების საექსპორტო ძალიან წარმატებული ბიზნესი, ორი აფთიაქი და რესტორანი გახსნეს.

კარგი ქალი მაინც არ გაჰყვებაო, ბაბაზე ამბობდნენ ხოლმე დაცინვით, რადგან გვარიშვილობა არ უწყობდა ხელს. ბაბამ კი დედაჩემი, სოფიო აკრამი, შეირთო ცოლად – ქაბულში საყოველთაოდ აღიარებული, ძალიან განათლებული, პატივცემული, მშვენიერი, სათნო ქალბატონი. ის უნივერსიტეტში ასწავლიდა კლასიკურ ირანულ ლიტერატურას და რაც მთავარია, სამეფო ოჯახის შთამომავალი იყო. „ჩემო პრინცესა“ – ასე მიმართავდა ბაბა დედაჩემს სკეპტიკოსებისთვის ნიშნის მოსაგებად და გამუდმებით ახსენებდა მათ მის კეთილშობილ წარმოშობას. მამაჩემის სამყარო ისეთი იყო, როგორიც მას სურდა. რასაკვირველია, მე გამონაკლისი ვიყავი. მის სამყაროში ორი ფერი იყო მხოლოდ – შავი და თეთრი. ის თავად წყვეტდა, რა იყო შავი და რა – თეთრი. წარმოუდგენელია, ასეთი კაცი გიყვარდეს ისე, რომ თან არ გეშინოდეს. უფრო მეტიც, იქნებ ცოტა გძულდეს კიდეც.

მეხუთე კლასში მოლა ფატიულა ხანი გვასწავლიდა ისლამს. ის დაბალი, ჩაფსკვნილი კაცი იყო ნაყვავილარი სახით და ხრინწიანი ხმით. გვიხსნიდა ზაქათის მნიშვნელობას და ჰაჯის ვალდებულებას, ყოველდღიური, ხუთგზის ნამაზის მთელ სირთულეებს, თარგმანის გარეშე გვაზუთხინებდა ყურანს, ზოგჯერ წკეპლასაც იშველიებდა, რომ

სწორად წარმოგვეთქვა არაბული სიტყვები. გვეუბნებოდა, არაბულად ნათქვამს ღმერთი უკეთ შეისმენსო. ერთხელ გვითხრა, ისლამი ალკოჰოლის მოხმარებას უდიდეს ცოდვად მიიჩნევს და ვინც ამას ჩაიდენს, აუცილებლად პასუხს აგებს თავის ცოდვაზე კიამას დროს, ანუ განკითხვის დღესო. იმ ხანად ქაბულში ბევრი კაცი ეტანებოდა სასმელს. მართალია, ამისათვის საჯაროდ არავის ლანძღავდნენ, მაგრამ მაინც ცერად უყურებდნენ და ამიტომ სასმელს განსაკუთრებულ ადგილებში ყიდულობდნენ. ასეთ ადგილებს „აფთიაქებს“ ეძახდნენ ხუმრობით და შოტლანდიურ ვისკის კი „წამალს“. ცნობისმოყვარე თვალისგან ასარიდებლად, „წამალი“ „აფთიაქიდან“ ყავისფერ ქაღალდის პარკში გახვეული გამოჰქონდათ ხოლმე.

ზედა სართულზე, კაბინეტში ვისხედით, როცა ბაბას ვუამბე, თუ რას გვასწავლიდა მოლა ფიტიულა სკოლაში. ბაბამ კუთხეში ჩაშენებული ბარიდან ვისკის ბოთლი აიღო და დაისხა. მომისმინა, თავი დააქნია, სასმელი მოწრუპა და ტყავის სავარძელში გადაწვა. შემდეგ ჭიქა დადგა და კალთაში ჩამისვა. თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს ხის კუნძზე ვიჯექი. ღრმად ჩაისუნთქა, რომ ამოისუნთქა, ჰაერმა მის ულვაშებში გაისისინა, მეგონა, დრო შეჩერდა. ვერ ვხვდებოდი, შიშისგან გაქცევა მინდოდა თუ მასთან ჩახუტება.

– დაგაბნია იმან, რასაც სკოლაში გასწავლიან, – თქვა დაბალი ხმით.

– თუ სიმართლეა, რასაც მოლა მასწავლის, მაშინ შენ ცოდვილი ხარ, ბაბა.

– ჰმმ, – ბაბამ ყინულის ნაჭერი კბილებში მოიქცია.

– გაინტერესებს, რას ფიქრობს მამაშენი ცოდვების შესახებ?

– ჰო.

– კარგი გეტყვი, მაგრამ პირველ რიგში დაიმახსოვრე, რომ იმ წვერიანი იდიოტებისგან კარგს ვერაფერს ისწავლი.

– მოლა ფატიულა-ხანზე ამბობ?

ბაბამ ჭიქა შეათამაშა. ყინულმა გაიწკრიალა.

– ყველაზე ვამბობ. წვერზე უნდა მიაფსა მაგ თვითკმაყოფილ მაიმუნებს.

სიცილი დავიწყე. წარმოვიდგინე, როგორ აფსამდა ბაბა მაიმუნებს, თვითკმაყოფილებს თუ სხვანაირებს, რა მნიშვნელობა აქვს.

– ცერა თითით კრიალოსნის მძივებს ითვლიან და ზეპირად სწავლობენ, რომ არ ესმით, იმ ენაზე დაწერილ წიგნს, მეტი არაფერი იციან. – სასმელი მოწრუპა, – ღმერთო, დაიფარე ავღანეთი მათ ხელში ჩავარდნისგან!

– მოლა ფატიულა კარგი კაცი ჩანს, – როგორღაც ჩავურთე სიცილის შემოტევებს შორის.

– ასე ჩანდა ჩინგიზ-ხანიც, – თქვა ბაბამ.

– კარგი, მოვრჩეთ, შენ ცოდვაზე მკითხე. აბა, მისმენ?

– ჰო, – ვთქვი და ვეცადე პირი მომეკუმა, მაგრამ ცხვირიდან ფრუტუნის ხმა ამოვუშვი და ახლა ამაზე დავიწყე სიცილი.

ბაბამ მკაცრი თვალებით შემომხედა და უკვე აღარ მეცინებოდა.

– მინდა, ერთხელ მაინც გელაპარაკო როგორც კაცი კაცს, გაუძლებ?

– დიახ, ბაბაჯან, – ჩავიჩურჩულე. სულ მიკვირდა, როგორ ახერხებდა რამდენიმე სიტყვით ჩემთვის გულის ტკენას. ბაბა იშვიათად მელაპარაკებოდა და თანაც ახლა კალთაში ვეჯექი, ჩემი სისულელით კინაღამ ხელიდან გავუშვი ეს შანსი.

– კარგი, – თქვა ბაბამ, გვერდზე გაიხედა, – სულ ერთია, მოლა რას გასწავლის. იცოდე, მხოლოდ ერთი ცოდვა არსებობს, მხოლოდ ერთი – ქურდობა, ყველა სხვა ცოდვა ქურდობის ვარიაციაა. გესმის?

– არა, ბაბაჯან, – ვთქვი მე. ძალიან კი მინდოდა, რომ გამეგო და იმედი არ გამეცრუებინა მისთვის.

ბაბამ მოუთმენლად ამოიხვნეშა. ისევ გული მეტკინა, იმიტომ, რომ საერთოდ არ იყო მოუთმენელი კაცი. მახსოვს, სახლში ხშირად დაღამებამდე არ მოდიოდა, სულ მარტო ვსადილობდი. ვკითხავდი ხოლმე ალის, სად არის მამაჩემი-მეთქი, თუმცა ძალიან კარგად ვიცოდი, რომ მშენებლობაზე იყო; რაღაცას ამოწმებდა, რაღაცას ზედამხედველობდა. განა ამას მოთმინება არ სჭირდებოდა? უკვე მეზიზღებოდნენ ის ბავშვები, ვისთვისაც თავშესაფარს აშენებდა, ხანდახან ვფიქრობდი, ნეტავ ისინიც თავიანთ მშობლებს მიჰყვნენ-მეთქი.

– კაცს როცა კლავ, მის სიცოცხლეს იპარავ, – თქვა ბაბამ, – კაცის ცოლს ქმრის ყოლის უფლებას ჰპარავ, ბავშვებს მამას, როცა ცრუობ, სიმართლის გაგების უფლებას ჰპარავ ვიღაცას, როცა თაღლითობ, – სამართალს. გესმის?

გავიგე. როცა ბაბა ექვსი წლის იყო, შუაღამისას ქურდი შეიპარა პაპაჩემის სახლში. პაპაჩემმა, პატივცემულმა მოსამართლემ, წინააღმდეგობა გაუწია. ქურდმა დანა გამოუსვა ყელში და იქვე გამოასალმა სიცოცხლეს – ბაბას მამა მოჰპარა. ქალაქელებმა მკვლელი მეორე დღის შუადღემდე დაიჭირეს, მოხეტიალე აღმოჩნდა ქუნდუზის რაიონიდან. მუხის ხის ტოტზე ჩამოახრჩვეს შუადღის ლოცვამდე ორი საათით ადრე. ეს ამბავი რაჰიმ-ხანმა მიამბო. ბაბას შესახებ ყოველთვის სხვებისგან ვიგებდი ამბებს.

– ამირ, ქურდობაზე უარესი არაფერია, – თქვა ბაბამ, – კაცი რომ იმას იღებს, რაც მას არ ეკუთვნის, სიცოცხლე იქნება თუ ნაან... მიმიფურთხებია ასეთი კაცისთვის, ღმერთმა არ ქნას, ოდესმე გზაზე გადამეყაროს. გესმის?

წარმოვიდგინე, როგორ გაიგდებდა ფეხქვეშ ბაბა ქურდს, მართლა სადმე რომ გადაჰყროდა, – დიახ, ბაბა.

– ღმერთი თუ სადმეა, უფრო მნიშვნელოვანი საზრუნავი ექნება, ვიდრე იმის გარკვევაა, ვისკის ვსვამ თუ ღორის ხორცს ვჭამ. ახლა ჩახტი, ცოდვებზე ლაპარაკმა ისევ მომაწყურა.

ბაბა ჭიქას ივსებდა, ნეტავ კიდევ როდის ვისაუბრებთ ასე.

სინამდვილეში ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ბაბას მაინცდამაინც არ ვუყვარდი. ბოლოს და ბოლოს, მისი საყვარელი მეუღლე, მისი მშვენიერი პრინცესა, ჩემს გაჩენას გადაჰყვა. ცოტა მაინც დავმსგავსებოდი ბაბას, გული მოულბებოდა. მაგრამ სულ არ ვგავდი, ოდნავადაც არა.

სკოლაში „შერჯანგის“ ანუ ლექსების ომს ვთამაშობდით ხოლმე. ფარსის მასწავლებლის შემოღებული თამაში იყო და ასე მიმდინარეობდა: ლექსს იტყოდი და შენს ოპონენტს 60 წამი ჰქონდა, რომ ეპასუხა ლექსით, რომელიც იმ ასოთი იწყებოდა, რომელზეც შენი ლექსი

მთავრდებოდა. ჯგუფებად გვყოფდნენ, ყველას უნდოდა, რომ მე მის ჯგუფში ვყოფილიყავი. ამ დროისათვის 11 წლისა ვიყავი, ხაიამის, ჰაფეზის, რუმის „მასნავი“ და სხვა ავტორების უამრავი ლექსი ვიცოდი ზეპირად. ერთხელ მთელ კლასს მოვუგე. ვიფიქრე, საღამოს ბაბას გავახარებ-მეთქი, მაგრამ მხოლოდ თავი დამიქნია და ყოჩაღო, მითხრა.

მამაჩემის გულგრილობას გავურბოდი და თავშესაფარს გარდაცვლილი დედაჩემის წიგნებში ვეძებდი. ჰო, და კიდევ ჰასანთან თამაშში, რასაკვირველია. ყველაფერს ვკითხულობდი: რუმი, ჰაფეზი, საადი, ვიქტორ ჰუგო, ჟიულ ვერნი, მარკ ტვენი, იან ფლემინგი. დედაჩემის ბიბლიოთეკა ამოვწურე, წავიკითხე რომანები, პოემები, მოსაბეზრებელი ისტორიული ნაშრომების გარდა, ყველაფერი. შემდეგ ჩემი ჯიბის ფულით დავიწყე წიგნების შეძენა. კვირაში ერთ წიგნს ვყიდულობდი „სინემაპარკის“ გვერდით წიგნების მაღაზიაში და რადგან თაროებზე აღარ ეტეოდა, მუყაოს ყუთებში ვინახავდი.

ცოლად შეირთო პოეტი, ერთია და იყო მამა ბიჭისა, რომელსაც პოეზიის კითხვა ურჩევნია ნადირობას, მეორე. მგონი, ასე უყურებდა ბაბა ამ ყველაფერს. ნამდვილი კაცები პოეზიას არ კითხულობენ და, მით უმეტეს, არ წერენ – ფარავდეთ ღმერთი! ნამდვილი კაცები, პატარა ბიჭობაში, ფეხბურთს თამაშობენ ბაბას მსგავსად. ფეხბურთი თავდავიწყებით უყვარდა ბაბას. 1970 წელს, როცა ავღანეთში ჯერ კიდევ არ არსებობდა ტელევიზია, ბაბამ ერთი თვით ობოლთა თავშესაფრის მშენებლობა შეაჩერა და თეირანში გაფრინდა, რომ მსოფლიო თასის გათამაშების მატჩებისთვის ეყურებინა. ჩემში ფეხბურთის სიყვარული რომ გაეღვიძებინა, ფეხბურთის გუნდში ჩამწერა რამდენჯერმე, მაგრამ ჩემნაირი უსუსური და მოუხეშავი მოთამაშე გუნდისთვის მხოლოდ ტვირთი შეიძლება იყოს. ხან ბურთის ჩაწოდების დროს აღმოვჩნდებოდი უადგილოდ გაჩხერილი, ხან უნებლიეთ თავისუფალ გზას ვკეტავდი. ძალიან ვცდილობდი ყურადღების მიპყრობას, ხელებაწეული გიჟივით ვყვიროდი „დამინახე, დამინახე“, მაგრამ ბურთს არავინ მაწოდებდა. ბაბამ ფარ-ხმალი მხოლოდ მაშინ დაჰყარა, როცა სრულიად ნათელი გახდა, რომ მისი სპორტული მონაცემების ერთი მისხალიც კი არ მქონდა მემკვიდრეობით მიღებული.

ბოლოს იფიქრა, იქნებ გულანთებული მაყურებელი მაინც დადგესო. ამის გათამაშებას კი ადვილად ვახერხებდი. მასთან ერთად ვმხიარულობდი, როცა ქაბულის გუნდი ყანდაარის გუნდს უგებდა და მსაჯებს ვლანძღავდი, თუ ჩვენებს პენალტს დაუნიშნავდნენ. მაგრამ ბაბამ მალე იგრძნო, რომ გულის სიღრმეში ფეხბურთი არ მაინტერესებდა. ბოლოს, როგორც იქნა, შეეგუა იმას, რომ მისი შვილი არც ფეხბურთელად ვარგოდა და არც მაყურებლად.

ერთ დღეს ბაბამ „ბუზკაშის“ შეჯიბრზე წამიყვანა. ბუზკაში ახალ წლის დადგომისას, გაზაფხულის პირველ დღეს იმართება. ეს შეჯიბრი იყო და არის ავღანელთა ყველაზე ძლიერი გატაცება. ჩაპანდაზს – გამოცდილ და მამაც მხედარს, რომელსაც მდიდარი გულშემატკივრები უწევენ პატრონაჟს, ევალება დაკლული თხის ან ხბოს სხეული გამოსტაცოს მოთამაშეებს, ჭენებით მოიაროს სტადიონი და ცხოველის სხეული

დანიშნულების ადგილას დააგდოს. მას გააფთრებული ჩაპანდაზების მთელი გუნდი მისდევს. წიხლებით, მუშტებით, მათრახის ტყლაშუნით ყველა ღონეს ხმარობენ, რომ წაართვან ნადავლი. იმ დღესაც ბრბო აღტაცებისაგან ღრიალებდა, ცხენოსნები საბრძოლო ყიჟინით ცდილობდნენ დაკლული პირუტყვის სხეულის ხელში ჩაგდებას. ფლოქვების თქარათქური მიწას აზანზარებდა. ჩვენ სტადიონის ზედა ადგილებიდან ვადევნებდით თვალს პირზე დუჟმორეული ცხენების გახელებულ ჭენებას.

ერთ მომენტში ბაბამ ვიღაცისკენ მიმახედა, – ამირ, ხედავ იმ კაცს, ზევით რომ ზის სხვა კაცებთან ერთად?

კი, ვხედავდი.

– ჰენრი კისინჯერია.

– მართლა? – არ ვიცოდი, ვინ იყო ჰენრი კისინჯერი. უნდა მეკითხა, მაგრამ სწორედ იმ დროს თავზარდაცემული ვუყურებდი, როგორ გადმოვარდა ერთი ჩაპანდაზი უნაგირიდან.

ცხენებმა ფლოქვებით გადათელეს. მისი დაფლეთილი ტანი ნაჭრის თოჯინასავით გორავდა გონდაკარგული ბრბოს ფეხებქვეშ. როცა მომწყდარმა ხალხის მასამ მეწყერივით გადაიარა, ოდნავ შეტოკდა და აღარც განძრეულა; კიდურები არაბუნებრივად ჰქონდა მოხრილი, ქვიშაზე სისხლის გუბე იდგა.

ტირილი დავიწყე, სახლამდე არ გავჩერებულვარ. მახსოვს, როგორ ეჭირა საჭე მამაჩემს. სიბრაზისგან მუშტებს კრავდა და ხსნიდა. არასოდეს დამავიწყდება, როგორ ცდილობდა, სახეზე ზიზღი არ დატყობოდა.

იმ საღამოს, მოგვიანებით მამაჩემის კაბინეტს ჩავუარე და მისი და რაჰიმ-ხანის საუბარი შემომესმა. დახურულ კარს ყური მივადე.

– მადლობა ღმერთს, ჯანმრთელი ბიჭია, – ამბობდა რაჰიმ-ხანი.

– ვიცი, მაგრამ სულ წიგნებშია ჩაფლული, ან სიზმარეულივით დაბოდიალებს სახლში.

– მერე?

– მე არ ვიყავი ასეთი, – ბაბა იმედგაცრუებული ჩანდა.

რაჰიმ-ხანს გაეცინა, – ბავშვები გასაფერადებელი წიგნები ხომ არ არიან, შენი საყვარელი ფერებით რომ გააფერადო.

– გეუბნები, მე არ ვიყავი ასეთი და არც ის ბავშვები, ვისთან ერთადაც გავიზარდე.

– იცი, რას გეტყვი? დიდი ეგოისტი ხარ, – რაჰიმ-ხანი ერთადერთი იყო, ვისაც ბაბასთვის მსგავსი რამ შეეძლო ეთქვა.

– ეგ არაფერ შუაშია.

– არა?

– არა.

– აბა, რა არის შუაში?

ბაბას ტყავის სავარძელი აჭრიალდა. თვალები დავხუჭე, ყური უფრო მაგრად მივადე კარს, მინდოდა და თან მეშინოდა იმის გაგება, რასაც ბაბა იტყოდა.

– ზოგჯერ ვუყურებ ხოლმე, როგორ თამაშობს მეზობლის ბავშვებთან. ჩაგრავენ, ზოგი ხელს ჰკრავს, ზოგი სათამაშოს ართმევს, ხან წაუთაქებენ, ხან გაარტყამენ, და იცი, რა? არასოდეს უბრუნებს პასუხს, თავს ჩაქინდრავს ხოლმე და...

– ესე იგი, ძალადობა არ შეუძლია, – თქვა რაჰიმ-ხანმა.

– მაგაში არ არის საქმე, ამ ბიჭს რაღაც აკლია.

– ჰო, მდაბალი თვისებები.

– თავდაცვას არავითარი საერთო არა აქვს სიმდაბლესთან. იცი, რა ხდება ხოლმე, როცა მეზობლის ბიჭები აბრაზებენ? ჰასანი ერთვება და ის იგერიებს მათ. ჩემი საკუთარი თვალებით მინახავს. სახლში რომ ბრუნდებიან, ვეკითხები, – რატომ აქვს ჰასანს სახეზე ნაკაწრები? – დაეცაო, მპასუხობს. არა, რაღაც ნაღდად აკლია ამ ბიჭს.

– მიეცი საშუალება, თვისი გზა ნახოს, – თქვა რაჰიმ-ხანმა.

– და საით მიდის? პატარა ბიჭობაში თუ საკუთარი თავის დაცვა არ შეუძლია, კაცი რომ გახდება, ვის დაუდგება გვერდით? ან ვინ ენდობა?

– მეტისმეტია.

– მე ასე არ ვფიქრობ.

– შენ ფიქრობ, რომ ბიზნესს ვერასოდეს ჩააბარებ, ამიტომაც ბრაზობ.

– ნუ აუბრალოებ ყველაფერს, – თქვა ბაბამ, – ვიცი, რომ გიყვარს ჩემი შვილი და მასაც უყვარხარ. ძალიან მიხარია, ვეჭვიანობ, მაგრამ მიხარია. მას სჭირდება ვინმე, ვინც გაუგებს. ღმერთია მოწმე, მე მისი არ მესმის. მაგრამ რაღაც მადარდებს ამირი, არც კი ვიცი, როგორ გამოვთქვა....

სიტყვებს ეძებდა, რომ ზუსტად ის ეთქვა, რაც უნდოდა. ხმას დაუწია, მაგრამ მაინც გავიგონე:

– მე თვითონ რომ არ მენახა, როგორ იმშობიარა ჩემმა ცოლმა, ვერასოდეს დავიჯერებდი, რომ ჩემი შვილია.

მეორე დილას, როცა ჰასანი საუზმეს მიმზადებდა, მკითხა, რამე ხომ არ გაწუხებსო. მოკლედ მოვუჭერი, შენს თავს მიხედე-მეთქი.

რაჰიმ-ხანი ცდებოდა მდაბალ თვისებებთან დაკავშირებით.

<u>თავი მეოთხე</u>

1933 წელს, როცა ბაბა დაიბადა, ზაჰირ შაჰი ტახტზე ავიდა და მისი მმართველობის ორმოცწლიანი ხანა დაიწყო. იმ წელიწადს, ერთ დღეს, ორი ახალგაზრდა, ორი ძმა, ქაბულის წარმატებული, მდიდარი ოჯახის შვილები, ჰაშიშით გაბრუებულები და ფრანგული ღვინით შეგულიანებულები, მამამისის ფორდ როდსტერით სეირნობდა. მათ პაჰმანის გზაზე ჰაზარა ცოლქ-მარი გაიტანეს. მალე პოლიციამ ეს ორი ახალგაზრდა, რომლებიც გარკვეულწილად ნანობდნენ თავიანთ საქციელს, და ჰაზარა წყვილის დაობლებული ხუთი წლის ბიჭი, სასამართლოს წარუდგინა. მოსამართლე პაპაჩემი იყო, ღრმად პატივცემული, უმწიკვლო რეპუტაციის კაცი. როგორც კი მოისმინა ძმების საქმე და

მათი მამის სარჩელი შეწყალების თაობაზე, მან მიიღო გადაწყვეტილება ძმების ერთი წლით ყანდაარში ჯარში გაგზავნის შესახებ. ძმები აქამდე რაღაცნაირად ახერხებდნენ, თავი აერიდებინათ ჯარში გაწვევისთვის. მათმა მამამ გააპროტესტა, მაგრამ საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ სასჯელი სამართლიანი იყო. ხოლო რაც შეეხება ხუთი წლის ობოლ ბიჭუნას, პაპაჩემმა ის თავის სახლში მიიყვანა, მსახურებს ჩააბარა და გააფრთხილა, რომ კარგად მოქცეოდნენ. ეს ბიჭი ალი იყო. სანამ ალის პოლიომიელიტი დაუსახიჩრებდა ფეხს, ბაბა და ალი განუყრელი პარტნიორები იყვნენ თამაშში. ბაბა ხშირად ჰყვებოდა ხოლმე ერთად ჩადენილ სიცელქეზე. ალი თავს გააქნევდა და იტყოდა: – საჰიბ-აღა, ისიც უთხარით ბავშვებს, ვინ იყო ყველაფრის მოთავე და ვინ შემსრულებელი, – ბაბა გაიცინებდა და ალის მხარზე ხელს გადახვევდა ხოლმე, მაგრამ არასოდეს, არც ერთი ამბის მოყოლის დროს, ბაბას ალი მეგობრად არ მოუხსენებია. უცნაური ის იყო, რომ არც მე მივიჩნევდი ჰასანს მეგობრად. მერე რა, რომ ერთმანეთს ვასწავლიდით, როგორ გვეტარებინა ველოსიპედი ხელების გარეშე, ან როგორ შეგვექმნა ფოტო კამერა მუყაოს ყუთისგან, მერე რა, რომ მთელი ზამთარი ფრანებს დავსდევდით, მერე რა, რომ ეს წვრილძვალა, თავგადაპარსული, ჩინური თოჯინის მსგავსი, კურდღლისტუჩა ბიჭი, ქვევით ჩამოწეული ყურებითა და სახეზე აღბეჭდილი სამუდამო ღიმილით, მთელი ავღანეთი იყო ჩემთვის. მაგრამ „მერე რა“ ყველაფერ ამას, ამით არც ისტორია იცვლება და არც რელიგია. მე პუშტუნი ვიყავი, ის ჰაზარა, მე სუნიტი, ის შიიტი.

მე და ჰასანმა ცოცვაც კი ერთად ვისწავლეთ; ამასაც ვერაფერი შეცვლიდა, ვერც ისტორია, ვერც ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილება. ჩემი ცხოვრების პირველი თორმეტი წელი ჰასანთან თამაშში გავატარე. ხანდახან მგონია, რომ მთელი ეს პერიოდი ერთი გრძელი, მდორე ზაფხული იყო. ერთმანეთს დავსდევდით მამაჩემის ეზოში, ტოტებგადახლართული ხეების ქვეშ დახუჭობანას ვთამაშობდით, ხან პოლიციელები ვიყავით და ხან ყაჩაღები, ხან ინდიელები და ხან კოვბოები. მწერებსაც ვაწამებდით, ერთხელ იმდენი მოვახერხეთ, რომ ფუტკარს ნესტარი მოვაგლიჯეთ და ძაფი შევაბით, რომ ვერ გაფრენილიყო. ზოგჯერ ჩრდილოეთის მთებისკენ მიმავალი ქოჩების (მომთაბარეების) ქარავანი გამოჩნდებოდა ხოლმე ქაბულში. გავიგონებდით თუ არა მათი ცხვრების ბღავილს, თხების კიკინს და აქლემების ზანზალაკების ჟღრიალს, მაშინვე გარეთ გამოვცვივდებოდით.

ვუყურებდით, როგორ მოაბოტებდნენ სახეზე მტვერმოდებული კაცები და გრძელ ფერადთავსაფარმოხვეული, სამკაულასხმული ქალები ჩვენს ქუჩაზე. თხებს კენჭებს ვუშენდით და ჯორებს წყლით ვწუწავდით. ჰასანი „აუღებელი სიმინდის კედელზე“ შემოჯდებოდა ხოლმე და აქლემებს კენჭებს ესროდა შურდულით.

ვესტერნიც, „რიო ბრავო“, ერთად ვნახეთ „სინემა პარკში“, ჩემი საყვარელი წიგნების მაღაზიის გვერდით. ფილმში ჯონ უეინი თამაშობდა. მახსოვს, როგორ ვეხვეწებოდი ბაბას, რომ ჯონ უეინის სანახავად ირანში წავეყვანეთ მე და ჰასანი. ისეთი ხმით ხარხარებდა, გეგონებოდათ, სატვირთო მანქანის ძრავა დაქოქესო. სული რომ მოითქვა, ფილმის გახმოვანების შესახებ მოგვიყვა. ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. თურმე, ჯონ უეინმა არც ფარსი იცოდა და არც ირანელი ყოფილა. ისიც ამერიკელი იყო იმ ქალებისა და კაცების

მსგავსად, ქაბულის ქუჩებში ფერადი დაგლეჯილი ტანსაცმლით რომ დასეირნობდნენ. „რიო ბრავო“ სამჯერ ვნახეთ, ჩვენი საყვარელი ვესტერნი, „შესანიშნავი შვიდეული“, – ცამეტჯერ. ყოველ ჯერზე ვტიროდით იმ მომენტში, როცა მექსიკელი ბავშვები ჩარლზ ბრონსონს მარხავენ. როგორც გაირკვა, თურმე, არც ის იყო ირანელი. ვაზირ აქბარხანის დასავლეთით გაშენებულ შარენაუს შმორიან, ხალხით გადაჭედილ ბაზარში, მწკრივად ჩალაგებულ პატარა დახლებს, მოვაჭრეებსა და მათხოვრებს შორის გზას ვიკვლევდით და ახალ ფილმებზე ვსაუბრობდით. ბაბა ათ ავღანს გვაძლევდა ყოველ კვირას. ეს ფული საკმარისი იყო, რომ კოკა-კოლა და დაფხვნილი ფსტით შეზავებული ვარდის ნაყინი გვეყიდა.

სასწავლო წლის განმავლობაში ყოველდღიური რუტინა დილიდან იწყებოდა. მე ზოზინით ვდგებოდი ლოგინიდან და აბაზანაში შევდიოდი. ჰასანი უკვე დაბანილი იყო, დილის ნამაზიც ნათქვამი ჰქონდა და საუზმეც მომზადებული – შავი ჩაი სამი ნატეხი შაქრით და შებრაწული ნაანი ჩემი საყვარელი ალუბლის ჯემით. ყველაფერი ლამაზად ეწყო სასადილო მაგიდაზე. სანამ მე ვსაუზმობდი და საშინაო დავალებებზე ვწუწუნებდი, ჰასანი ჩემს ლოგინს ალაგებდა, ფეხსაცმელებს მიპრიალებდა, ტანსაცმელს მიუთოვებდა, წიგნებსა დაფანქრებს ჩანთაში მიწყობდა, თან ძველ ჰაზარულ სიმღერას ღიღინებდა. მერე ბაბას თავისი შავი ფორდმუსტანგით მივყავდი სკოლაში. ხალხი შურის თვალით გვაცილებდა, რადგან ეს ზუსტად ისეთი მანქანა იყო, როგორსაც სტივ მაქუენი ატარებდა ბულიტში“, ფილმში, რომელიც ექვსი თვის განმავლობაში არ მოხსნილა კინოთეატრების ეკრანებიდან. ჰასანი სახლში რჩებოდა და ალის ეხმარებოდა. ხელით გასარეცხ სარეცხს რეცხავდა და ეზოში ფენდა გასაშრობად, გვიდა, ბაზრიდან ახალი ნაანი მოჰქონდა, სადილისთვის ხორცის მარინადს ამზადებდა, გაზონებს რწყავდა.

გაკვეთილების შემდეგ მე და ჰასანი ისევ ვხვდებოდით ერთმანეთს. წიგნით ხელში პატარა გორაკზე ავირბენდით ხოლმე, რომელიც ვაზირ აქბარ-ხანის ჩრდილოეთით, ბაბას მამულების შორიახლოს მდებარეობდა. გორაკის თავზე მიტოვებული სასაფლაო იყო. მისასვლელი უსახელო საფლავის ქვებით და ჯაგნარით იყო ჩახერგილი. დროსა და ავდარს თეთრი ქვის კედელი ჩამოეშალა და რკინის კარი ჟანგით დაეფარა.

შესასვლელთან ბროწეულის ხე იდგა. ზაფხულის ერთ დღეს ალის დანით ხეზე ჩვენი სახელები ამოვკვეთე: „ამირ და ჰასანი, ქაბულის სულთნები“. ამიერიდან ხე ჩვენი იყო. სკოლის შემდეგ ავძვრებოდით ხოლმე და სისხლისფერ ბროწეულებს ვხლეჩდით, ჭამის შემდეგ ხელებს ბალახზე ვიწმენდდით და მე წიგნის კითხვას ვიწყებდი. ჰასანი ფეხმორთხმით იჯდა. სახეზე ბროწეულის ხის ფოთლების ჩრდილი დასთამაშებდა. მისმენდა და თან მექანიკურად ბალახს წიწკნიდა. ჰასანი რომ უწიგნური გაიზრდებოდა, ალის და სხვა უამრავი ჰაზარას მსგავსად, იმ წუთებში გადაწყდა, როცა ის ქვეყანას მოევლინა, ალბათ, უფრო ადრეც, მაშინ, როცა სანაუბარმა არასასურველი ბავშვის ჩასახვის შესახებ შეიტყო. წერა-კითხვა რაში სჭირდებოდა მსახურს? მაგრამ უწიგნურობის მიუხედავად, ან იქნებ სულაც უწიგნურობის გამო, ჰასანი სიტყვათა მისტერიამ ჩაითრია. საიდუმლოებით სავსე, მისთვის აკრძალული სამყარო დიდ ცდუნებად ექცა. ვუკითხავდი ლექსებს, მოთხრობებს, ზოგჯერ გამოცანებს, თუმცა გამოცანების კითხვა შევწყვიტე, როცა

მივხვდი, რომ ჩემზე ადვილად ხვდებოდა. ისეთ რამეს ვუკითხავდი, რაც შეჯიბრს არ იწვევდა. მაგალითად, მოუხერხებელი მოლა ნასრ ედდინის და მისი ვირის ფათერაკებს. საათობით ვისხედით ხოლმე ხის ქვეშ და როცა მზე დასავლეთით გადაიხრებოდა, ჰასანი მარწმუნებდა, რომ ჯერ კიდევ საკმარისი სინათლე იყო და რომ კიდევ მოვასწრებდით ერთი მოთხრობის ან თავის წაკითხვას.

ზოგჯერ ჰასანი სიტყვის მნიშვნელობას ვერ ხვდებოდა და შემეკითხებოდა ხოლმე. აი, მაშინ კი ვერთობოდი. აუცილებლად ხაზს ვუსვამდი მის უმეცრებას. ერთხელ კითხვის დროს შემაჩერა და მკითხა:

– რას ნიშნავს ეს სიტყვა?

– რომელი?

– იმბეცილი.

– ეს სიტყვა არ იცი?

– არა, ამირ-აღა.

– ეს ხომ ძალიან გავრცელებული სიტყვაა!

– ჰო, მაგრამ მე არ ვიცი.

კიდეც რომ ეგრძნო, როგორ ვგესლავდი, არ იმჩნევდა და სახიდან ღიმილს არ იცილებდა.

– ჩემთან, სკოლაში, ყველამ იცის ეს სიტყვა. „იმბეცილი“ ნიშნავს გონიერს, ჭკვიანს. მოდი, წინადადებაში გამოვიყენოთ: – ჰასანი იმბეცილია, როცა საქმე სიტყვებს ეხება.

– ჰოოო, – იტყოდა ხოლმე.

მოგვიანებით თავს დამნაშავედ ვგრძნობდი. დანაშაულის გამოსყიდვას მისთვის ძველი პერანგის ან გატეხილი სათამაშოს ჩუქებით ვცდილობდი.

ჰასანის საყვარელი წიგნი „შაჰნამე“ იყო, მეათე საუკუნის ძველსპარსული ეპიკური პოემა. ყველა თავი მოსწონდა, ყველა შაჰი, ფრიდონი, ზაალი და რუდაბე, მაგრამ მაინც ყველაზე მეტად „როსტომი და სოჰრაბი“ მოგვწონდა ორივეს, ამბავი ძლევამოსილი მეომრისა და მისი ფეხმარდი ცხენისა, რომელსაც რახში ერქვა. როსტომი სასიკვდილოდ დაჭრის თავის მამაც მეტოქეს სოჰრაბს და სწორედ ამ დროს ირკვევა, რომ სოჰრაბი მისი დიდი ხნის წინ დაკარგული შვილია.

მართლა და შენ თუ მამა იყავ ჩემი ფარული,
რა იქნა შენგან ან დანდობა, ან სიყვარული?
მე ხომ ვცდილობდი, მომეყვანე აზრსა და ცნობას!
შენ გულში რატომ არ შეუშვი კაცური გრძნობა?
როცა აქეთკენ მოვდიოდი ბუკდაფის ცემით,
ჩემთან მოვიდა გულმწუხარე მშობელი ჩემი.
ატირებულმა და კაეშნით აღსავსე დედამ
თვალმარგალიტის მძიმე მძივი შემაბა ზედა,
მითხრა: ვინ იცის, აწი შენთვის რა დღე დადგესო,
ეს მამის ნიშნად გქონდეს, ვინძლო გამოგადგესო!

– კიდევ წაიკითხე ამირაღა, გთხოვ, – მეტყოდა ხოლმე ჰასანი. ზოგჯერ თვალები უცრემლიანდებოდა ამ ნაწყვეტის კითხვის დროს. სულ მიკვირდა, ვის დასტიროდა ნეტავ,

მწუხარებისგან განადგურებულ როსტომს, რომელიც ტანსაცმელს იგლეჯდა ტანზე და თავზე ნაცარს იყრიდა თუ სოჭრაბს, რომელსაც მამის სიყვარულის მოპოვების გარდა არაფერი უნდოდა. პირადად მე ტრაგედიას ვერ ვხედავდი როსტომის ბედისწერაში, განა ყველა მამას გულის კუნჭულში მიჩქმალული არ აქვს საკუთარი ვაჟიშვილის მოკვლის სურვილი?

ერთ დღეს, 1973 წლის ივლისში, კიდევ ერთი ოინი გავითამაშე. ჰასანს ვუკითხავდი, უეცრად ტექსტის კითხვა შევწყვიტე და ჩემი გამოგონებული ამბის თხრობა დავიწყე, თან გვერდებს ვშლიდი, ვითომ ვკითხულობდი. ჰასანმა ესვერ შენიშნა. მისთვის სიტყვები საიდუმლო კარისკენ მიმავალი გაუშიფრავი კოდები იყო და ამ კარის ყველა გასაღები მე მეპყრა ხელთ. ბოლოს ვკითხე, როგორ მოგეწონა მოთხრობამეთქი. ყელში ბურთივით გამეჩხირა რაღაც, როცა ჰასანმა ტაშის დაკვრა დაიწყო.

– რას აკეთებ?– ვკითხე მე.

– ეს ყველაზე კარგი მოთხრობაა, რაც კი ოდესმე წაგიკითხავს, – თქვა მან და ტაშის დაკვრა განაგრძო.

გამეცინა, – მართლა?

– მართლა.

– აღფრთოვანებული ვარ, – ჩავიჩურჩულე. არ ველოდი... – მართლა ასე ფიქრობ?

ჰასანი ისევ ტაშს უკრავდა, – მაგარი იყო. ამირაღა, ხვალ კიდევ წამიკითხავ?

– აღფრთოვანებული ვარ, – გავიმეორე სუნთქვაშეკრულმა, თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს საკუთარ ეზოში განძი აღმოვაჩინე.

გორაკიდან ვეშვებოდით, უამრავმა ფიქრმა ფოიერვერკივით ერთბაშად იფეთქა ჩემს თავში. „საუკეთესო მოთხრობა, რაც წამიკითხავს“, მე ბევრი მოთხრობა მქონდა მისთვის წაკითხული. ჰასანი რაღაცას მეკითხებოდა.

– რა გინდა?

– „აღფრთოვანებული“ რას ნიშნავს?

გამეცინა, ჩავეხუტე და ლოყაზე ვაკოცე.

– რისთვის? – იკითხა მან. შეკრთა, ლოყები შეეფაკლა.

მეგობრულად ვკარი ხელი, – შენ პრინცი ხარ, ჰასან, პრინცი და ძალიან მიყვარხარ. იმავე ღამეს ჩემი პირველი მოთხრობა დავწერე. მხოლოდ ოცდაათი წუთი დამჭირდა. ეს მოკლე, სევდიანი ამბავია კაცზე, რომელმაც ჯადოსნური ჭიქა იპოვა. ამ ჭიქაში კაცის ცრემლები მარგალიტებად იქცეოდა. კაცი ღარიბი, მაგრამ ბედნიერი იყო და არ ეტირებოდა. ბოლოს როგორღაც ატირდა და ცრემლები ჭიქაში ერთიმეორის მიყოლებით მარგალიტებად იქცნენ. რაც მეტი მარგალიტი გროვდებოდა, მით მეტად იპყრობდა კაცს სიხარბე. მოთხრობა იმით მთავრდება, რომ კაცი მარგალიტების გორაზე ზის, ცალ ხელში დანა უჭირავს, მეორეში საყვარელი ცოლის ყელგამოჭრილი სხეული და მწარე ცრემლებს ჰყრის ჭიქაში.

საღამოს ბაბას ოთახში შევედი. ხელში ორი ფურცელი მეჭირა. ბაბა და რაჰიმ-ხანი კონიაკს სვამდნენ და ეწეოდნენ.

– რაო, ამირ? – თქვა ბაბამ და თავქვეშ ხელებამოდებული ტახტზე გადაწვა. მის გარშემო ცისფერი კვამლი ტრიალებდა. თვალებს ისე აბრიალებდა, რომ ყელი გამიშრა.

როგორც იქნა, ამოვღერღე, მოთხრობა დავწერე-მეთქი. ბაბამ თავი დამიქნია და ოდნავ გამიღიმა. ეტყობოდა, რომ სულაც არ აინტერესებდა ეს ამბავი, – კარგია, – თქვა მან და მეტი არაფერი.

ალბათ ერთი წუთი ვიდექი, მაგრამ დღევანდელ დღემდე ასეთი განცდა არ მქონია დროსთან დაკავშირებით. წამი წამს მისდევდა და თითოეული მათგანი მომდევნო წამისგან საუკუნით დაშორებული მეჩვენებოდა. ჰაერი დამძიმდა, ვეღარ ვსუნთქავდი. კვამლის ღრუბელში მხოლოდ ბაბას თვალებს ვხედავდი.

როგორც ყოველთვის, რაჰიმ-ხანმა გადამარჩინა. ხელი გამომიწოდა და გულწრფელად გამიღიმა.

– მომეცი, ამირ-ჯან, ძალიან მაინტერესებს, მინდა, რომ წავიკითხო, – ბაბა თითქმი არასოდეს იყენებდა საალერსო სიტყვას „ჯან“, როცა მომმართავდა.

ბაბა შეიშმუშნა და წამოდგა. ეტყობოდა, რომ მანაც ამოისუნთქა, თითქოს რაჰიმხანმა ისიც იხსნა.

– ჰო, კაკა რაჰიმს მიეცი. მე ზევით ავდივარ, წასასვლელად უნდა მოვემზადო.

ოთახიდან გავიდა. ბაბას ვაფეტიშებდი, მაგრამ იმ წუთს მომინდა, რომ ვენები გადამეხსნა და მისი წყეული სისხლი გამომედევნა ჩემი სხეულიდან.

ერთ საათში, საღამოხანს, მამაჩემის მანქანით ორივე წვეულებაზე წავიდა. სანამ გავიდოდნენ, რაჰიმ-ხანი შეჩერდა, ჩემი მოთხრობა და დაკეცილი ქაღალდი მომაწოდა. გამიღიმა, თვალი ჩამიკრა, – მოგვიანებით წაიკითხე, – შემდეგ ერთი სიტყვა დაამატა, – „ბრავო“. ამ სიტყვის გამო გადავწყვიტე ხელი არ ამეღო წერაზე. ეს სიტყვა აღმოჩნდა ყველაზე დიდი კომპლიმენტი, რაც კი შემდგომში რომელიმე რედაქტორისგან მიმიღია. როცა წავიდნენ, ჩემს ლოგინზე ჩამოვჯექი და ვინატრე, რაჰიმ-ხანი ყოფილიყო მამაჩემი. მერე გამახსენდა, რა კარგი იყო, დილაობით მამაჩემი ფართო მკერდში რომ ჩამიკრავდა, როგორ მიყვარდა მისი ოდეკოლონის სურნელი და ისიც, მისი წვერი სახეს რომ მიჩხვლეტდა. საშინელმა დანაშაულის გრძნობამ შემიპყრო, აბაზანაში შევედი და გული ავირიე.

მოგვიანებით საწოლში ჩავწექი და რაჰიმხანის წერილი ზედიზედ რამდენიმეჯერ წავიკითხე:

ამირ-ჯან,

ძალიან მომეწონა შენი მოთხრობა, მაშალლაჰ, ალაჰმა განსაკუთრებული ნიჭი გიბოძა. შენი მოვალეობა ამ ნიჭის განვითარებაა, რადგან კაცი რომ ღვთითბოძებულ ტალანტს ჰკარგავს, სახედარს ემსგავსება. შენი მოთხრობა საინტერესო სტილითა და გრამატიკის ღრმა ცოდნითაა დაწერილი. ყველაზე შთამბეჭდავი მაინც ირონიაა. ახლა იქნებ არც იცოდე, ეს სიტყვა რას ნიშნავს, მაგრამ დრო მოვა და გაიგებ. ზოგი მწერალი მთელი ცხოვრება ცდილობს ირონიის ოსტატურად გამოყენებას, მაგრამ ვერ ახერხებს. შენ ეს პირველივე მოთხრობაში გამოგივიდა.

ჩემი სახლის კარი ღიაა და მუდამ ღია იქნება შენთვის, ამირ-ჯან. ნებისმიერ მოთხრობას მოვუსმენ.

ბრავო!

შენი მეგობარი რაჰიმი.

რაჰიმ-ხანის წერილით წახალისებულმა, მოთხრობას ხელი ვტაცე და ქვევით ფოიეში ჩავირბინე. ალის და ჰასანს მატრასებზე ეძინათ. როცა ბაბა შინ არ იყო, ფოიეში იძინებდნენ, ჩემთვის რომ მოეხედათ. ჰასანი შევანჯღრიე და ვუთხარი, მოთხრობა უნდა წაგიკითხო-მეთქი. თვალები მოიფშვნიტა, გაიზმორა და მკითხა: – რა დროა?

– რა მნიშვნელობა აქვს. ეს განსაკუთრებული მოთხრობაა, ჩემი დაწერილი – ჩავიჩურჩულე, არ მინდოდა, რომ ალის გაეღვიძა. ჰასანს სახე გაებადრა.

– მაშინ უნდა მოვისმინო, – თქვა და საბანი უკვე აკეცილი იყო სასტუმრო ოთახში, მარმარილოს ბუხრის პირას დავსხედით და მოთხრობის კითხვა დავიწყე. ამჯერად გადახვევების გარეშე, რაც დავწერე, ის წავუკითხე. უამრავი დეტალის გამო ჰასანი შესანიშნავი მსმენელი იყო. მთლიანად ერთვებოდა ამბავში, სახის გამომეტყველება ეცვლებოდა ინტონაციის ცვლილებასთან ერთად. ბოლო წინადადება რომ წავიკითხე, ჩუმად დაუკრა ტაში.

– მაშალლაჰ, ამირ-აღა. ბრავო, – სიხარულისგან სახე უბრწყინავდა.

– მოგეწონა? – უკვე მეორეჯერ ვუსინჯავდი გემოს საქებარ სიტყვებს.

– ინშალლა, დრო მოვა და დიდი მწერალი გახდები, შენს მოთხრობებს მთელ მსოფლიოში წაიკითხავს ხალხი.

– აზვიადებ, ჰასან, – ვთქვი, თან მომწონდა ეს ყველაფერი.

– არა. შენ დიდი და გამოჩენილი მწერალი იქნები, – შემდეგ შეჩერდა, თითქოს რაღაცის დამატება უნდოდა. ბოლოს გაბედა, ჩაახველა და მკითხა: – ნებას მომცემ, რომ რაღაც გკითხო მოთხრობასთან დაკავშირებით?

– რასაკვირველია.

– ჰო, აი... – დაიწყო და შეჩერდა.

– თქვი, ჰასან, – ვუთხარი, თუმცა ჩემში ჩამოუყალიბებელ მწერალს მაინცდამაინც არ უნდოდა, რაიმეს გაგონება.

– ჰო, თუ შეიძლება, რომ გკითხო, იმ კაცმა ცოლი იმიტომ მოკლა, რომ ეტირა? ხახვისთვის რომ ეყნოსა, ვერ იტირებდა?

გავოგნდი. როგორ დავუშვი ასეთი შეცდომა? თავში აზრად არ მომსვლია ამაზე დაფიქრება. ვცდილობდი, რაღაც მეთქვა, ტუჩებს უხმოდ ვაცმაცუნებდი. აღმოჩნდა, რომ იმ ღამეს მწერლობის მთავარ საკითხებს შევეხე. ერთი ირონიის სწორად გამოყენება იყო, მეორე სიუჟეტის სიზუსტე. ეს ყველაფერი ჰასანის დამსახურება იყო, ჰასანისა, რომელსაც თავის სიცოცხლეში ერთი სიტყვაც კი არ დაუწერია. უეცრად ყურში ცივმა ხმამ ჩამჩურჩულა:

– მაგან რა იცის, მაგ უწიგნურმა ჰაზარამ, როგორ ბედავს შენს გაკრიტიკებას? თვითონ, დიდი-დიდი, მზარეული გამოვიდეს.

– კარგი, – დავიწყე, მაგრამ ვერ დავამთავრე სათქმელი, რადგან იმ წუთში ავღანეთში სამუდამოდ შეიცვალა ყველაფერი.

თავი მეხუთე

რაღაცამ დაიგრგვინა. მიწა შეზანზარდა და ავტომატის ჯერის ხმა მოგვესმა, – მამა! – დაიყვირა ჰასანმა. ფეხზე წამოვხტით და სასტუმრო ოთახიდან გავცვივდით. ალი ჩვენკენ მორბოდა კოჭლობით.

– რისი ხმაა, მამა? – ყვიროდა ჰასანი და ხელებს მამისკენ იწვდიდა. ალიმ ორივეს ხელები მოგვხვია. ცა ვერცხლისფრად განათდა, ავტომატის ჯერის ხმა ისევ განმეორდა.

– იხვებზე ნადირობენ, – თქვა ალიმ ჩახლეჩილი ხმით, – მთელი ღამეა, იხვებზე ნადირობენ. ნუ გეშინიათ.

შორიდან საჰაერო განგაშის ხმა მოისმა. სადღაც შუშა ჩაიმტვრა, ვიღაცამ ტირილი მორთო, ნამძინარევი, თმაგაწეწილი, თვალებდასიებული ხალხი პირდაპირ საწოლებიდან, პიჟამოებით გამოცვივდა ქუჩაში. ჰასანი ტიროდა. ალიმ გულში ჩაიკრა. ჩემს თავს გამოვუტყდი, რომ მისი სულაც არ მშურდა.

დილამდე ფეხზე ვიდექით. სროლა და აფეთქებები ერთ საათს გაგრძელდა. ძალიან შეგვეშინდა, რადგან მანამდე არც ერთს ქუჩაში იარაღის სროლის ხმა არ გაგვეგო. ეს უცხო იყო ჩვენთვის. ავღანელი ბავშვების ის თაობა, რომელსაც ყური ბომბებისა და ქვემეხების ხმაზე აქვს გაწაფული, ჯერ არ იყო დაბადებული. სასადილო ოთახში თავმოყრილები მზის ამოსვლას ველოდით, ვერც კი წარმოგვედგინა, რომ ჩვენი ცხოვრება იმ წუთებში სრულიად შეიცვალა. ეს დასასრულის დასაწყისი იყო. ოფიციალურად დასასრული 1978 წლის აპრილს დადგება, მაშინ როცა კომუნისტები სახელმწიფო გადატრიალებას მოახდენენ და შემდეგ 1978 წლის დეკემბერს, როცა იმ ქუჩებში, სადაც მე და ჰასანი ვთამაშობდით, რუსული ტანკები გამოჩნდებიან. ისინი თან ჩემი ავღანეთის სიკვდილს მოიტანენ და მიმდინარე სისხლისღვრის ხანას დაუდებენ დასაბამს.

ბაბას მანქანა მზის ამოსვლამდე გამოჩნდა. კარი მიაჯახუნა, კიბეზე ბრაგუნით ამოირბინა და ოთახში შემოვარდა. პირველად შევნიშნე ბაბას სახეზე ის, რაც არასოდეს შემინიშნავს, შიში: – ამირ, ჰასან! – წამოიძახა. ჩვენკენ გამოემართა და მკლავები გაშალა, – ქუჩები გადაკეტილია, ტელეფონები არ მუშაობს, კინაღამ გავგიჟდი! – ხელი მოგვხვია. სულ ერთი წუთით კმაყოფილებაც კი ვიგრძენი იმით, რაც იმ ღამეს მოხდა.

როგორც გამოირკვა, იხვებზე არავინ ნადირობდა. 1973 წლის 17 ივლისის ღამეს არავინ მოუკლავთ. დილით გამოღვიძებულმა ქაბულმა აღმოაჩინა, რომ მონარქია დასრულდა. იმ დროს მეფე ზაჰირ-შაჰი იტალიაში იყო. მისმა ბიძაშვილმა დაუდხანმა მეფის ორმოცწლიანი მმართველობა უსისხლო გადატრიალებით დაასრულა. მახსოვს, მე და ჰასანი ბაბას კაბინეტის წინ იატაკზე ვისხედით. ბაბა და რაჰიმხანი შავ ჩაის წრუპავდნენ და რადიოს უსმენდნენ. ქაბულის რადიო გადატრიალების ამბებს გადმოსცემდა.

– ამირ-აღა, – ჩამჩურჩულა ჰასანმა.

– რა?

– რესპუბლიკა რა არის?
მხრები ავიჩეჩე, – არ ვიცი, – ბაბას რადიოში ხშირად ახსენებდნენ ამ სიტყვას.
– ამირ-აღა?
– რა?
– ნიშნავს თუ არა „რესპუბლიკა“ მე და მამაჩემის აქედან წასვლას?
– არ მგონია, რომ ასე იყოს.
– ამირ-აღა?
– რა?
– არ მინდა, რომ აქედან გაგვიშვან.
გამეცინა, – გეყოფა, ვირო. არავინ გაგდებს აქედან.
– ამირ-აღა?
– რა?
– გინდა ჩვენს ხეზე ავიდეთ?
ჰასანის კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისება ის იყო, რომ ზუსტად იცოდა, როდის რა ეთქვა. ახალი ამბების მოსმენა მოგვწყინდა და მან დროზე შეცვალა სალაპარაკო თემა. თავის ქოხში გაიქცა საჭირო ნივთებისათვის. მე ზევით ავედი. წიგნი ავიღე, მერე სამზარეულოში ჯიბეები კედრის კაკლებით გავიტენე. ჰასანი გარეთ მელოდებოდა. მთავარი ჭიშკრიდან გავედით და გორაკისკენ გავეშურეთ. საცხოვრებელი უბანი მალე გავიარეთ და გორაკისკენ მიმავალ ხრიოკ ბილიკს დავადექით. სწორედ ამ დროს ჰასანს ზურგში ქვა მოხვდა. შემოვბრუნდით და შიშით გული კინაღამ გამისკდა. ასეფი და მისი ორი მეგობარი, ვალი და ქამალი გვიახლოვდებოდნენ.
ასეფის მამა, მუჰამადი, პროფესიით სამოქალაქო ავიაციის პილოტი, მამაჩემის ერთ-ერთი მეგობარი იყო. მისი ოჯახი ჩვენი სახლის სამხრეთით მოდურ გალავანშემორტყმულ საცხოვრებელ კომპლექსში ცხოვრობდა. ვაზირ აქბარხანის უბანში თუ იზრდებოდი, აუცილებლად გეცოდინებოდა ასეფის და მისი სპილენძის კასტეტის შესახებ, რომელიც ღმერთმა ნუ ქნას, საკუთარ ტყავზე გქონოდა გამოცდილი. ასეფი გერმანელი დედისა და ავღანელი მამის პირმშო იყო. ქერა და ლურჯთვალა ასეფი ყველაზე მაღალი იყო თანატოლებს შორის. ის უმოწყალოდ სასტიკი კაცის რეპუტაციით გამოირჩეოდა. მორჩილი მეგობრებით გარშემორტყმული, ქუჩებში ისე დადიოდა მაამებელ თანმხლებ პირებთან ერთად, საკუთარ მამულებში სასეირნოდ გამოსული ხანი გეგონებოდათ. მისი სიტყვა კანონი იყო, ამ კანონს თვითონ წერდა და ურჩებს სპილენძის კასტეტით ასწავლიდა მორჩილებას.
ჩემ თვალწინ პატარა ბიჭს კარტეჩარის უბნიდან, გონების დაკარგვამდე ურტყა, თან გიჟივით იცინოდა, ლურჯი თვალები არაბუნებრივად უელავდა. ზურგსუკან ასეფს „გოშხორს“ ანუ „ყურიჭამიას“ ეძახდნენ, მაგრამ ვინ გაბედავდა, პირადად მისთვის მიემართა ასე. ყველას კარგად ახსოვდა, როგორ შეერქვა ეს მეტსახელი. ერთმა საწყალმა ბიჭმა ფრანების შეჯიბრში მოუგო ერთხელ; ბოლოს ყველაფერი იმითდამთავრდა, რომ ეს ბიჭი საკუთარ მარჯვენა ყურს ტალახში ეძებდა. არავის უნდოდა მისი ხვედრის გაზიარება.

წლების შემდეგ ასეფის დამახასიათებელი სიტყვა ინგლისურ ენაში ვიპოვე „სოციოპათი“, ამ სიტყვის ზუსტი ექვივალენტი სპარსულმა არ იცის.

ასეფი ყველაზე დაუნდობელი იყო იმ ბიჭებს შორის, ალის რომ დასცინოდნენ. მისი გამოგონებული იყო დაცინვები ბაბალუს თემაზე, – ჰეი, ბაბალუ, დღეს ვინ შეჭამე? ბაბალუ, გაგვიღიმე რა ერთი! იმ დღეებში, როცა უფრო მეტ აღმაფრენას გრძნობდა, ამძაფრებდა ხოლმე: – ჰეი, შე ბრტყელცხვირა ბაბალუ, ვინ შეჭამე დღეს? აბა, გვითხარი, შე თვალებჩაჭუტულო ვირო!

ჰოდა, ახლა ასეფი მოდიოდა ჩვენკენ. ხელები თეძოებზე შემოეწყო, კედებით მტვრის ბუღს აყენებდა. ხელი დაგვიქნია: – გაუმარჯოს კუნის!

სამი ჩვენზე უფროსი ბიჭი მოგვიახლოვდა. ჰასანმა უკან დაიხია. სამივეს ჯინსები და მაისურები ეცვათ. ჩვენზე მაღლები იყვნენ. ასეფს ხელები მკერდთან ჰქონდა გადაჯვარედინებული, სახეზე უცნაური, ველური ღიმილი დასთამაშებდა. უკვე მერამდენეჯერ გავიფიქრე, ასეფი ნორმალური არ არისმეთქი. კიდევ კარგი, ბაბა მყავდა. მგონი, ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ასეფი შედარებით ნაკლებად მესხმოდა თავს, ბაბა იყო.

ჰასანისკენ მიტრიალდა, – ჰეი, ბრტყელცხვირავ, როგორ არის ბაბალუ?

ჰასანმა არ უპასუხა. ერთი ნაბიჯი კიდევ გადადგა უკან.

– გაიგე ახალი ამბავი? მეფე გადადგა, გზა დამილოცია მისთვის. დღეგრძელი იყოს პრეზიდენტი! მამაჩემი დაუდხანს იცნობს, იცი, ამირ?

– მამაჩემიც, – სინამდვილეში წარმოდგენაც კი არ მქონდა იცნობდა თუ არა ბაბა დაუდ ხანს.

– მამაჩემიც, – ასეფმა ხმა დაიწვრილა და ლაპარაკში გამომაჯავრა. ვალი და ქამალი უნისონში ხითხითებდნენ. ნეტავ ბაბა იქ ყოფილიყო.

– დაუდხანმა გასულ წელს ჩვენთან ისადილა, – განაგრძო, – ეს ამბავი როგორ მოგწონს, ამირ?

კიდევაც რომ გვეყვირა, ვერავინ გაიგონებდა ამ გადაკარგულიდან. ბაბას სახლი შორს იყო. რა მოხდებოდა, სახლში დავრჩენილიყავით!

– იცი, რას ვეტყვი დაუდხანს, როცა კიდევ მოვა ჩვენთან სადილზე? – თქვა ასეფმა. – კაცურად დაველაპარაკები, შევახსენებ, ჰიტლერს რომ დასცლოდა, დღეს მსოფლიო უკეთესად იქნებოდა მოწყობილი. ჰიტლერი ნამდვილი ლიდერი იყო, თავისი ხედვა ჰქონდა. დედაჩემს უკვე ავუხსენი ყველაფერი...

– ბაბა ამბობს, ჰიტლერი გიჟი იყოო, უამრავ უდანაშაულო ხალხს ახოცინებდაო, – წამომცდა და სასწრაფოდ პირზე ხელი ავიფარე.

ასეფმა ჩაიცინა, – დედაჩემივით ლაპარაკობ, გერმანელი მაინც არ იყოს, უკეთ უნდა ესმოდეს ყველაფერი. თან უნდათ, რომ მათ დაუჯერონ, სიმართლის გამხელა კი არ უნდათ ხალხისთვის.

არ ვიცოდი „მათ“ ვინ იყვნენ ან რა სიმართლეს მალავდნენ. არც მაინტერესებდა, რა მალაპარაკებდა! რა მოხდებოდა, რომ ჩვენკენ მომავალი ბაბა დამენახა უეცრად!

– წიგნები უნდა წაიკითხო, ის წიგნები, რომლებსაც სკოლაში გიკრძალავენ. მე წავიკითხე და თვალები ამეხილა. ახლა ჩემი ხედვა მაქვს, დაუდხანისთვის ვაპირებ ჩემი იდეების გაზიარებას. გესმის, რას ვგულისხმობ?

თავი გავაქნიე უარის ნიშნად. ასეფმა ისევ დაიწყო, ის თავის დასმულ კითხვებს თვითონვე პასუხობდა ხოლმე.

ჰასანს თვალს არ აშორებდა, – ავღანეთი პუშტუნთა მიწაა. ასე იყო და ასე იქნება. ნამდვილი ავღანელები ჩვენ ვართ და არა ეს ბრტყელცხვირები. მისი ხალხი აბინძურებს ჩვენს სამშობლოს, ჩვენს სისხლს, – ხელები პომპეზურად გაშალა, – ავღანეთი ავღანელებისათვის! აი, ესაა ჩემი დევიზი. მზერა ჩემზე გადმოიტანა. თითქოს ოცნებიდან გამოერკვაო, – ჰიტლერმა ვერ შეძლო მსოფლიოს დალაგება, – თქვა მან, – ჩვენ შევძლებთ.

ხელი ჯინსის ჯიბეში ჩაიყო, – მეფეს ძალა არ შესწევდა ამისთვის, პრეზიდენტმა უნდა გააკეთოს. გაწმინდოს ავღანეთი ბინძური ჰაზარებისგან.

– გაგვიშვი, ასეფ, – ვთქვი მე. ხმა საშინლად მიკანკალებდა, – ჩვენ შენ არ გაწუხებთ.

– როგორ არა, მაწუხებთ, – თქვა მან. შიშით აკანკალებული ვუცქერდი, როგორ იღებდა ჯიბიდან თავის სპილენძის კასტეტს.

– ძალიან მაწუხებთ. სინამდვილეში შენ უფრო მაწუხებ, ვიდრე ეს ჰაზარა. როგორ ელაპარაკები, როგორ ეთამაშები, როგორ აძლევ უფლებას, რომ შეგეხოს? – ამბობდა ზიზღით. ვალი და ქამალი თავის ქნევით ეთანხმებოდნენ. ასეფმა თვალები მოწკურა. თავი გააქნია. გონებაარეულმა მკითხა, – როგორ შეგიძლია მაგასთან მეგობრობა?

– ჩემი მეგობარი არ არის, ჩემი მსახურია, – მართლა ასე ვფიქრობდი? არა, რასაკვირველია. კარგად ვექცეოდი, მეგობრულად, უფრო მეტიც, ძმასავით. თუ ასე იყო, მაშინ რატომ არ ვეთამაშებოდი ჰასანს, როდესაც ბაბას მეგობრები მოდიოდნენ ჩვენთან თავისი შვილებით? რატომ ვეთამაშებოდი ჰასანს მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვა არავინ იყო გარშემო?

ასეფმა კასტეტი ხელზე მოირგო. გაყინული თვალებით შემომხედა, – შენ პრობლემის ნაწილი ხარ, ამირ. მამაშენის და კიდევ შენნაირი იდიოტები რომ არ იღებდნენ ამ ხალხს, უფრო მალე მოვიშორებდით თავიდან, უფრო ადვილად გავრეკავდით ჰაზარაჯათში.შენ ავღანეთის სირცხვილი ხარ.

გიჟის თვალები ჰქონდა, მივხვდი, რომ მართლა აპირებდა ჩემს წამებას. ასეფმა მუშტი მომიღერა.

უეცრად ჩემს ზურგს უკან რაღაც ამოძრავდა. თვალი გავაპარე ჰასანისკენ და დავინახე, როგორ დაიხარა და გასწორდა. ასეფს თვალები გაუფართოვდა გაოცებისგან. ვალის და ქამალს გაოგნებულები სახეები ჰქონდათ. მივტრიალდი. ჰასანს მთელი ძალით მოეზიდა შურდული და კაკლისტოლა ქვას ასეფს პირდაპირ სახეში უმიზნებდა. ელასტიური ზონარი ისეთი ძალით მოეჭიმა, რომ დაძაბულობისგან ხელი უთრთოდა, შუბლზე ოფლის წვეთები ჩამოსდიოდა.

– თავი დაგვანებე, აღა, – მშვიდად თქვა ჰასანმა. „აღა“, ასე მიმართა ჰასანმა ასეფს. საცარი იყო, ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი საზოგადოებრივი იერარქია და მიმართვისას ყოველთვის ითვალისწინებდა.

– დაუშვი, შე უჯიშო, შურდული! – კბილების ღრჭენით თქვა ასეფმა.

– თავი დაგვანებე, აღა.

ასეფმა გაიღიმა, – ვერ ხედავ ალბათ, ჩვენ სამნი ვართ, თქვენ ორნი.

ჰასანმა მხრები აიჩეჩა. უცხო თვალი ვერ იტყოდა, შეშინებულიაო, მაგრამ ჩემთვის მისი სახის ყოველი კუნთის კრთომა, ყოველი ემოცია ნაცნობი იყო. გვარიანად იყო დამფრთხალი.

– მართალი ხარ, აღა, მაგრამ არ დაგავიწყდეს, რომ შურდული მხოლოდ მე მიჭირავს და საკმარისია გაინძრე, „ყურიჭამიას“ ნაცვლად „ცალთვალა“ შეგერქმევა, იმიტომ, რომ ამ ქვას პირდაპირ მარცხენა თვალში გიმიზნებ, – ჰასანმა ეს იმდენად მშვიდად თქვა, მეც კი ძლივს შევნიშნე მის ხმაში შიშის კვალი.

ასეფს ღრანჭი მოექცა. ვალი და ქამალი აღელვებულები ადევნებდნენ თვალს მათ პაექრობას. ვიღაცამ მათი ღმერთი გამოიწვია, დაამცირა. ყველაზე უარესი კი ის იყო, რომ ეს ერთმა გაძვალტყავებულმა ჰაზარამ გაბედა. ასეფმა ჰასანს თვალი თვალში გაუყარა. ალბათ, რაღაც ისეთი ამოიკითხა, რამაც დაარწმუნა, რომ ჰასანის განზრახვა სერიოზული იყო და მუშტი დაუშვა.

– ერთი რამ უნდა იცოდე ჩემ შესახებ, მე ძალიან მომთმენი კაცი ვარ. დამიჯერე, ეს ამბავი დღეს არ დასრულდება. არც შენთვის, ამირ. ერთხელაც იქნება, ხელში ჩაგიგდებ, – ასეფმა თავის ამქარიანად უკან დაიხია.

– შენმა ჰაზარამ დღეს დიდი შეცდომა დაუშვა, ამირ, – შეტრიალდნენ და წავიდნენ. დაღმართზე დაეშვნენ და კედელს მოეფარნენ.

ჰასანი აკანკალებული ხელით ცდილობდა, შურდული საქამრეზე დაემაგრებინა. გაქცეული პირით გამამხნევებელი ღიმილის მსგავსს რაღაცას გამოხატავდა. ზონრების შეკვრა ხუთჯერ სცადა. აღელვებულები სახლისკენ გავემართეთ. ყოველ კუთხეში ასეფისა და მისი მეგობრების თავდასხმას ველოდით. მაგრამ ეტყობა, ასეფი იმ დღეს არ აპირებდა შურისძიებას. ეს ოდნავადაც არ გვამშვიდებდა.

მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში ქაბულში ყველას „ეკონომიკური განვითარება“ და „რეფორმა“ ეკერა ენაზე. კონსტიტუციური მონარქია რესპუბლიკამ შეცვალა, ქვეყანას პრეზიდენტი ჩაუდგა სათავეში. საზოგადოების გაჯანსაღების იდეამ მთელი ქვეყანა მოიცვა. ხალხი თანამედროვე ტექნოლოგიებსა და ქალთა უფლებების დაცვაზე ალაპარაკდა.

თუმცა ახლა ქაბულის სამეფო სასახლის ბინადარი მეფის ნაცვლად პრეზიდენტი იყო, ცხოვრება ისევ ჩვეული რიტმით გრძელდებოდა. ხალხი შაბათიდან ხუთშაბათის ჩათვლით მუშაობდა, პარასკევობით კი პიკნიკებს აწყობდა პარკებში, ქარღას ტბის ნაპირზე, პაჰმანის ბაღებში. ქაბულის ვიწრო ქუჩები სავსე იყო მგზავრებით დატვირთული ფერადი ავტობუსებითა და სატვირთო მანქანებით. უკანა ბამპერებზე შემომდგარი გამცილებლები მძღოლებს მძიმე ქაბულური აქცენტით მარშრუტებს ჰკარნახობდნენ.

რამადანის წმინდა თვის დასრულების შემდეგ ავღანელები სამდღიან დღესასწაულს – იიდს – ზეიმობენ. ახალ, საუკეთესო ტანსაცმელს იცვამენ, ახლობლებთან სტუმრად დადიან, ერთმანეთს ეხვევიან, კოცნიან და „იიდ მუბარაქს“, ანუ ბედნიერ იიდს უსურვებენ

ბავშვები საჩუქრებს ათვალიერებენ და მაგრად მოხარშული ფერადი კვერცხებით თამაშობენ.

1974 წლის ზამთარი იდგა. მე და ჰასანი ეზოში თოვლის ციხე-სიმაგრეს ვაშენებდით. ალიმ ჰასანს დაუძახა, – ჰასან, საჰიბ-აღას უნდა შენთან ლაპარაკი, – ალის თეთრი ტანსაცმელი ეცვა, ხელები იღლიების ქვეშ ამოეწყო, სიცივისგან პირიდან ორთქლი ამოსდიოდა. მე და ჰასანმა ერთმანეთს გავუღიმეთ. მთელი დღე ველოდით ამ წუთს. იმ დღეს ჰასანის დაბადების დღე იყო, – მამა, რა უნდა მაჩუქოს, გვითხარი რა? – ჰასანს თვალები უბრწყინავდა.

ალიმ მხრები აიჩეჩა, – ჩემთვის არაფერი უთქვამს.

– კარგი რა, ალი, გვითხარი რა? – არ ვეშვებოდი. – სახატავი ალბომია? თუ ახალი პისტოლეტი?

ჰასანის მსგავსად, ალისაც არ შეეძლო ტყუილის თქმა. ყოველ წელს თავს იკატუნებდა, ვითომ არ იცოდა, რას ყიდულობდა ბაბა ჩემთვის და ჰასანისთვის. თვალები ყიდიდა ხოლმე ალის და მე და ჰასანი მაინც ვახერხებდით, ინფორმაცია დაგვეტყუა მისთვის. თუმცა ამჯერად, მან მართლა არაფერი იცოდა.

ბაბას ჰასანის დაბადების დღე არასოდეს ავიწყდებოდა. ჰკითხავდა ხოლმე ჰასანს, რა გაჩუქოო, მაგრამ ჰასანი მეტისმეტად მორცხვი იყო და არასოდეს ამხელდა სურვილებს. ასე რომ, ყოველ ზამთარს ბაბა თვითონ ურჩევდა საჩუქარს. ხან იაპონურ სათამაშო სატვირთო მანქანას ჩუქნიდა, ხან ელექტრო რკინიგზას. გასულ წელს ბაბამ ნამდვილი სიურპრიზი მოუწყო და ზუსტად ისეთი ტყავის ქუდი უყიდა, კლინტ ისტვუდს რომ ახურავს ფილმში „კარგი, ცუდი, ბოროტი“. ამ ფილმმა, ცოტა არ იყოს, გვერდზე გადასწია ჩვენი საყვარელი ვესტერნი „შესანიშნავი შვიდეული“. მთელი ზამთარი ქუდს რიგრიგობით ვიხურავდით, თოვლიან გორაკებზე სროლის სცენებს ვდგამდით და ცნობილი მელოდიის წამღერებით ვასრულებდით ორთაბრძოლას.

ხელთათმანები გავიძრეთ, თოვლიანი ფეხსაცმელები შესასვლელ კართან დავტოვეთ. ბაბა ფოიეში თუჯის ღუმელთან იჯდა ვიღაც ინდოელ, ნახევრად მელოტ დაბალ კაცთან ერთად. კაცს ყავისფერი კოსტიუმი ეცვა და წითელი ჰალსტუხი ეკეთა.

– ჰასან, – მოკრძალებული ღიმილით თქვა ბაბამ, – აი, შენი დაბადების დღის საჩუქარი.

მე და ჰასანმა ერთმანეთს უაზრო თვალებით შევხედეთ. არც საჩუქრის ყუთი ჩანდა სადმე, არც ჩანთა, არც სათამაშო, მხოლოდ ალი, ბაბა და გამხდარი ინდოელი, რომელიც მათემატიკის მასწავლებელს მაგონებდა.

ყავისფერ კოსტიუმში გამოწყობილმა ინდოელმა გაიღიმა და ჰასანს ხელი გაუწოდა, – მე ექიმი ქუმარი ვარ, სასიამოვნოა შენი გაცნობა, – შიგადაშიგ ექიმს მძიმე ჰინდური აქცენტი ეტყობოდა.

– სალამ ალეიქუმ, – თქვა ჰასანმა გაუბედავად. ზრდილობიანად დაუკრა თავი, თვალებით მამამისს ეძებდა. ალი მიუახლოვდა და მხარზე ხელი გადახვია.

ბაბამ ჰასანის დამფრთხალი, გაოცებული მზერა შენიშნა, – ექიმი ქუმარი მე გამოვიძახე ნიუდელიდან. ის პლასტიკური ქირურგია.

– იცი, ეს რას ნიშნავს? – ჰკითხა ინდოელმა.

ჰასანმა თავი გააქნია. მე გადმომხედა, მაგრამ მხრები ავიჩეჩე. მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ქირურგთან მაშინ მიდიოდი, როცა აპენდიციტი გქონდა. ესეც იმიტომ ვიცოდი, რომ ერთი ჩემი კლასელი აპენდიციტით მოკვდა და მასწავლებელმა გვითხრა, დროზე რომ წაეყვანათ ქირურგთან, გადარჩებოდაო. ორივემ ალის შევხედეთ, მაგრამ აბა, რას მივხვდებოდით, როგორც ყოველთვის, უტყვი სახე ჰქონდა, თუმცა თვალებში მაინც ეტყობოდა გამოცოცხლება.

– ჩემი საქმე ადამიანების სხეულზე და სახეზე ნაკლის გამოსწორებაა, – თქვა ექიმმა.

– ოჰ, – წამოიძახა ჰასანმა. ბაბას და ალის რიგრიგობით უყურებდა. ხელი ზედა ტუჩისკენ წაიღო.

– ეს უჩვეულო საჩუქარია, – თქვა ბაბამ. ალბათ ასეთს არ ელოდი, მაგრამ ეს საჩუქარი სულ შენთან დარჩება.

– ჰასანმა ენით ტუჩები გაისველა, ჩაახველა და თქვა: – საჰიბ-აღა, არ... არ...

– არა, არ გეტკინება, – ჩაერია ექიმი, თან კეთილად იღიმოდა. – სულ არ გეტკინება. ისეთ წამალს დაგალევინებ, რომ მალე აღარც გემახსოვრება.

ჰასანმა შვებით ამოისუნთქა, – კი არ მეშინია, საჰიბ-აღა, უბრალოდ...

ჰასანის მოტყუებას რა უნდოდა, მე კი ასე ადვილად ვერავინ გამასულელებდა. ექიმები თუ ამბობენ, არ გეტკინებაო, ესე იგი, საქმე ვერ არის კარგად. ერთი წლის წინ, როცა წინადაცვეთა ჩამიტარეს, ექიმი ზუსტად იმავეს მეუბნებოდა, მაგრამ გამაყუჩებლის მოქმედებამ გაიარა თუ არა, ასე მეგონა, წელსქვევით ცეცხლი წამიკიდეს. რატომ გადადო ბაბამ ჩემი წინადაცვეთა, სანამ ათი წლის არ გავხდი, არ მესმის, ამას არასოდეს ვაპატიებ. იქნებ ბაბას სიმპათია მეც დამემსახურებინა, სახეზე იარა რომ მქონოდა! რა უსამართლობა იყო, ჰასანს არაფერი გაუკეთებია მისი სიყვარულის მოსაპოვებლად, უბრალოდ იმ იდიოტური კურდღლის ტუჩით დაიბადა.

ოპერაციამ კარგად ჩაიარა. ცოტა შევშფოთდით, როდესაც სახვევები მოხსნეს, მაგრამ ექიმმა ყველაფერი აგვიხსნა, თუმცა ძნელი იყო იმის ახსნა, რაც დავინახეთ. ჰასანს იქ, სადაც წესით ზედა ტუჩი უნდა ჰქონოდა, შეშუპებული წითელი ქსოვილის მასა ედო. სარკე რომ მიაწოდეს, მეგონა, ტირილით დააქცევდა იქაურობას, მაგრამ ის კარგა ხანი ჩაფიქრებული უყურებდა თავის თავს. ბოლოს რაღაც ჩაიბურტყუნა. ვერ გავიგე, ყური მის პირთან მივიტანე. კიდევ რაღაც ჩაიჩურჩულა.

– თაშაქორ. გმადლობთ.

შემდეგ ტუჩები დაებრიცა და მივხვდი, რომ იღიმოდა. ჰასანი ხომ ღიმილით დაიბადა. ახლაც ისე იღიმოდა, როგორც იმ წუთებში, როცა ქვეყანას მოევლინა.

დრომ შეშუპება დააცხრო, ჭრილობა მოაშუშა. მალე ჭრილობის ადგილას ვარდისფერი, დაკბილული ხაზი გაჩნდა, შემდეგ ზამთარს კი ოდნავ შესამჩნევი ნაიარევი ბედის ირონიით, ჰასანს, იმ ზამთრის შემდეგ აღარ გაუღიმია.

თავი მეექვსე

ზამთარი.

ყოველ პირველ თოვლს ერთნაირად ვეგებებოდი. დილაადრიან პიჟამოთი გავდიოდი გარეთ, შემცივნებული ხელებს იღლიების ქვეშ ამოვიწყობდი და ვიღიმოდი. მამაჩემის მანქანა, სამანქანო გზა, კედლები, ხეები, სახურავები და გორები თოვლით იყო დაფარული; ცა იყო უღრუბლო და ლურჯი, თოვლი – თვალისმომჭრელად თეთრი. მუჭით თოვლს ვიყრიდი სახეზე, გარინდებული სიჩუმეს ვუგდებდი ყურს, ფეხშიშველი რამდენიმე საფეხურს ჩავირბენდი და ჰასანს ვეძახდი.

ქაბულში ზამთარი ყველა ბავშვისათვის საყვარელი სეზონია. ყოველ შემთხვევაში, მათთვის, ვის მამებსაც კარგი თუჯის ღუმელის ყიდვა შეუძლიათ. მიზეზი მარტივია, ყინვის გამო ყველა სკოლა იკეტება. დროებით მაინც აღარ ვფიქრობდით ბულგარეთის დედაქალაქის სახელზე ან ქვეშმიწერით გაყოფაზე. წინ სამი თვე იყო. მე და ჰასანი ღუმელს მივუსხდებოდით და კარტს ვთამაშობდით, სამშაბათობით უფასო რუსულ ფილმებს ვუყურებდით „სინემაპარკში“, გუნდაობის შემდეგ, სამხარზე ტკბილი თალგამის „ქურმა“ – ჩაშუშული – და ბრინჯი გველოდა.

და ფრანები, რასაკვირველია.

ზოგი უიღბლო ბავშვისთვის ზამთრის არდადეგები საერთოდ არ არსებობდა. გახსნილი იყო ეგრეთ წოდებული მოხალისეთა ზამთრის კურსები. არ მეგულებოდა არც ერთი ბავშვი, ვისაც ამ კურსებზე დასწრება ეხალისებოდა, სამაგიეროდ, ხშირად მშობლები იჩენდნენ ხალისს. ჩემდა საბედნიეროდ, ბაბას მოხალისე მშობელს ვერ უწოდებდი. ერთი ბიჭი მახსოვს, სახელად აჰმედი, ჩვენი ქუჩის გადაღმა ცხოვრობდა. მამამისი ექიმი იყო. აჰმედს შავჩარჩოიანი სათვალე ეკეთა. საწყალი, ისიც ასეფის მსხვერპლი იყო. ჩემი საწოლი ოთახიდან ყოველ დილით ვხედავდი, როგორ ასუფთავებდა სამანქანო გზას მათი ჰაზარა მსახური. შემდეგ აჰმედი გამოჩნდებოდა წიგნებით გატენილი სკოლის ჩანთით. ის და მამამისი შავ ოპელში სხდებოდნენ. კუთხეს რომ მიეფარებოდნენ, ისევ საბანს წავიფარებდი და სანამ ძილი მომერეოდა, დათოვლილ მთებს ვუყურებდი.

მიყვარდა ზამთარი ქაბულში – ღამით ჩემს ფანჯრებზე ფანტელების ცვენა, რეზინის ბოტებქვეშ თოვლის ხრაშუნი, რკინის ღუმელთან თბილად ჯდომა და ქუჩაში ქარის წივილი. მთავარი მიზეზი კი ის იყო, რომ რაც მეტად ყინავდა, მით უფრო სწრაფად დნებოდა მე და ბაბას შორის აღმართული ყინულის კედელი. ჩვენ ერთ სახლში, მაგრამ სხვადასხვა სამყაროში ვცხოვრობდით. ამ ორ სამყაროს მხოლოდ სიფრიფანა ფრანი აკავშირებდა ერთმანეთთან.

ყოველ ზამთარს ფრანებით ბრძოლის რაიონული შეჯიბრი იმართებოდა ქაბულში. რად უნდა ლაპარაკი, რომ ეს დღე თითოეული ქაბულელი ბიჭისთვის ზამთრის სეზონის ყველაზე გამორჩეული დღე იყო. წინა ღამით თვალს ვერ ვხუჭავდი, საწოლში ვწრიალებდი, ვცდილობდი, თითების მოძრაობით კედლის ჩრდილები ცხოველებისათვის დამემსგავსებინა. ხანდახან საბანს შემოვიხვევდი და ჩაბნელებულ აივანზე ვჯდებოდი. მოკლედ, თავს ისე ვგრძნობდი, როგორც ჯარისკაცი მთავარი ბრძოლის წინ. ქაბულში ფრანებით ბრძოლის შეჯიბრში მონაწილეობის მიღებას ლამის ომში წასვლის ტოლფასად

აღიქვამდნენ. ჰოდა, ყველა ომს სამზადისი სჭირდება. თავიდან ფრანებს მე და ჰასანი ვაწყობდით. შემოდგომიდან მოყოლებული, ჯიბის ფულს პატარა ფაიფურის ცხენ-ყულაბაში ვაგროვებდით. ყულაბა ოდესღაც ბაბამ გვიყიდა ჰერათში. როგორც კი ზამთრის ქარი დაუბერავდა და ბარაქიანად თოვა დაიწყებოდა, ყულაბას ვხსნიდით. ბაზარში მივდიოდით, ბამბუკის ჯოხებს, წებოს, ბაწარსა და ქაღალდს ვყიდულობდით. საათობით ვრანდავდით ბამბუკის ჯოხებს, თხელ ქაღალდს ვჭრიდით და ბაწარს ანუ „თარს“ ვამზადებდით.

ფრანების შეჯიბრის დროს „თარ“ იგივეა, რაც ომის დროს ვაზნაში გაჭედილი ტყვია. ხუთას ფუტ ბაწარს თხევადი მინით და წებოთი ვფარავდით და გასაშრობად ხეებს შორის ვკიდებდით, მეორე დღეს კი ხის კოჭაზე ვახვევდით. გაზაფხულზე ქაბულში თითქმის ყველა ბიჭს თითები ჰორიზონტალურად ჰქონდა დასერილი, რაც იმის ნიშანი იყო, რომ მთელი ზამთარი ფრანებით ბრძოლაში გაატარეს. მახსოვს, სწავლის დაწყების პირველ დღეს ბიჭები ერთმანეთს ვაჩვენებდით გადავლილი ომის ნაიარევებს. ჭრილობები დიდხანს არ გვიხორცდებოდა, მაგრამ ამას არავინ აქცევდა ყურადღებას. გული იმაზე გვწყდებოდა მხოლოდ, რომ ასე სწრაფად გაირბინა ყველასათვის საყვარელმა სეზონმა. მალე კლასის მამასახლისის სასტვენის ხმაზე მწკრივში ვდგებოდით და საკლასო ოთახებში შევდიოდით. ასე მთავრდებოდა ზამთარი და იწყებოდა ახალი სასწავლო წელი.

მე და ჰასანი მალე დავრწმუნდით, რომ ფრანების აწყობაზე უკეთ ფრანებით ბრძოლა გამოგვდიოდა. პატარა შეცდომაც კი ზოგჯერ საბედისწერო ხდებოდა. ბაბამ გადაწყვიტა, რომ საიფოსთან წავეყვანეთ ფრანების საყიდლად. საიფო მოხუცი, ნახევრად ბრმა „მოჩი“ ანუ თერძი იყო, მაგრამ მთელს ქალაქში ცნობილი, როგორც ფრანების საუკეთესო ამწყობი. ის მდინარე ქაბულის ტალახიანი სანაპიროს სამხრეთით, ერთ ხალხმრავალ ქუჩაზე (ჯადე მეივანდ) პატარა ფარდულში მუშაობდა. საიფოს ციხის საკნის ტოლ ფარდულში მხოლოდ წელში მოხრილი თუ შეხვიდოდი. შემდეგ პატარა კარი უნდა აგეწია და ხის რამდენიმე საფეხურით ქვევით ჩასულიყავი. ამ ნესტიან სარდაფში ინახავდა საიფო ჩვენთვის ასე სასურველ ფრანებს. ბაბა თვითონ არჩევდა ფრანებს და ორივესთვის ერთნაირს ყიდულობდა. თუ სხვა ფრანი უფრო მომეწონებოდა, უარს არ მეტყოდა, მაგრამ ზუსტადისეთს ჰასანისთვისაც იღებდა. გული მწყდებოდა, ძალიან მინდოდა, რომ ხანდახან მაინც მეგრძნო თავი ბაბას რჩეულად.

ფრანებით ბრძოლა ძველი ავღანური ტრადიციაა. ის გამოცხადებულ დღეს, დილით ადრე იწყება და მაშინ მთავრდება, როდესაც ცაზე ერთი გამარჯვებული ფრანი რჩება. მახსოვს, ერთ ზამთარს შეჯიბრი მზის ჩასვლის შემდეგ დასრულდა. შეჯიბრის დროს ქუჩები სავსეა ხალხით, გულშემატკივრები ყველგან არიან: ტროტუარებზე, სახლების სახურავებზე. ფრანით მებრძოლები თვალებმოჭუტულები იყურებიან ცისკენ და ცდილობენ სწორი პოზიციები შეარჩიონ, რომ ადვილად ჩაჭრან მეტოქის ბაწარი. ყოველ მებრძოლს თავისი დამხმარე ჰყავს. ჩემი დამხმარე სხვა ვინ იქნებოდა, თუ არა ჰასანი და კოჭაც, ანუ მთავარი იარაღი, მის ხელში იყო.

ერთხელ, ერთმა ინდუსმა ბიჭმა, რომლის ოჯახიც სულ ცოტა ხნის წინ გადმოვიდა ჩვენს მეზობლად, გვითხრა, რომ მის სამშობლოში ფრანებით ბრძოლა, თურმე, მკაცრი წესების დაცვით მიმდინარეობდა.

– თამაშობ შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე, ირჩევ კუთხეს, საიდანაც ფრანს უშვებ. ალუმინის გამოყენება და ბაწრების თხევადი შუშით დაფარვა იკრძალება. მე და ჰასანმა გადავიხარხარეთ. პატარა ინდუსი მალე შეიგნებს იმას, რაც ბრიტანელებმა უკვე შეიგნეს და რასაც რუსები 1980 წლის ბოლოსთვის შეიგნებენ: ავღანელები დამოუკიდებელი ხალხია. ავღანელები ეთაყვანებიან ტრადიციებს და სძულთ წესები. ფრანებით ბრძოლაშიც ასე იყო. არანაირი წესი: აფრინე ფრანი, ჩაჭერი მეტოქე და ღმერთი შენკენ! ბრძოლა კულმინაციას მაშინ აღწევდა, როცა ფრანს ჩაჭრიდნენ. ამ დროს ბრძოლაში ფრანით მორბენალები ერთვებოდნენ, ანუ ისინი, ვინც ქარწაღებულ ფრანებს მანამდე მისდევდნენ, სანამ ისინი სახლების სახურავებზე, მეზობლის ეზოებში ან ხეების კენწეროებზე დაეშვებოდნენ. ქუჩები გადაჭედილი იყო ფრანით მორბენალთა ურდოებით, გზას ერთმანეთის გადათელვით იკვლევდნენ. ესპანელებზე წავიკითხე ერთხელ, თურმე, ხარებს ესპანეთშიც ასე დასდევენ. ერთ წელიწადს მეზობლის ბავშვი ავიდა ფიჭვის ხეზე ფრანის ჩამოსახსნელად. ტოტმა ვერ გაუძლო და ოცდაათი ფუტის სიმაღლიდან ჩამოვარდა. იმ დღის შემდეგ ბავშვს თავის ფეხით აღარ გაუვლია, მაგრამ ფრანით ხელში დაეცა. თუ ხელში ჩაიგდებდი ფრანს, მისი წართმევა აღარავის შეეძლო. და ეს წესი კი არა, ტრადიცია იყო. ყველაზე დიდი ჯილდო ფრანით მორბენალისთვის ზამთრის შეჯიბრის უკანასკნელი დამარცხებული ფრანი იყო, ანუ ომის ნადავლი, დიდების მანტია, რომელიც დამსწრეთა აღტაცებას იწვევდა. როცა ცაზე მხოლოდ ორი ფრანი რჩებოდა, ყველა ფრანით მორბენალი გაფაციცებული ემზადებოდა, ყოველი მათგანი ცდილობდა სწორი პოზიცია შეერჩია. კისრები წაგრძელებული ჰქონდათ, თვალები მოწკურული. ბრძოლა ჩაღდებოდა. მთელი ეს ჯოჯოხეთური ცეცხლი მხოლოდ მაშინ იწყებდა მინავლებას, როდესაც უკანასკნელი ფრანი ჩაიჭრებოდა.

წლების განმავლობაში უამრავი ფრანით მორბენალი მინახავს, მაგრამ ჰასანს ვერავინ შეედრებოდა. ის საუკეთესო იყო. სრულიად გაუგებარი იყო, როგორ ახერხებდა ზუსტად იქ აღმოჩენილიყო, სადაც ფრანი აუცილებლად დაეშვებოდა. თითქოს შიდა კომპასივით რაღაც ჰკარნახობდა გზას.

მახსოვს, ზამთრის ერთ ღრუბლიან დღეს მე და ჰასანი ფრანს გავედევნეთ. მე მას მივყვებოდი, თხრილებს ვახტებოდი, ვიწრო ქუჩებში ვიხლართებოდი. ერთი წლით მასზე უფროსი ვიყავი, მაგრამ ის უფრო სწრაფად დარბოდა.

– ჰასან, დამიცადე! – ვყვიროდი, სულს ძლივს ვითქვამდი.

მოტრიალდა და თვალით მანიშნა – აქეთ, – უცბად კუთხეში შეუხვია. ზევით ავიხედე, ფრანი სხვაგან იყო. აშკარად სხვა მიმართულებით მივრბოდით.

– ვკარგავთ, ჰასან, ვკარგავთ, სწორი გზით არ მივდივართ! – ვყვიროდი.

–დამიჯერე! გავიგონე მისი ხმა.

როგორც იქნა, კუთხეს მივაღწიე და დავინახე, რომ ჰასანი ერთ ადგილას იდგა თავჩაქინდრული, ზევით არც კი აუხედავს, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. ქვას ფეხი

წამოვკარი და დავეცი, მხილოდ ნელი კი არა, მოუხერხებელიც ვიყავი ჰასანთან შედარევით. მისი ბუნებრივი ათლეტიზმის სულ მშურდა. ბარბაცით წამოვდექი, ჰასანი უკვე მეორე ქუჩის კუთხეში იყო. კოჭლობით გავყევი, გადატყავებული მუხლები ტკივილისგან მიფეთქავდა.

ბოლოს საშუალო სკოლა ისტიქლალთან ოღროჩოღრო ტალახიან ქუჩასთან შევჩერდით. იქვე მინდორი იყო, რომლის ერთ მხარეს მწვანე სალათა, მეორე მხარეს კი ალუბლის ხეები ხარობდა. ჰასანს ფეხი ფეხზე გადაედო და და ერთ–ერთი ხის ძირას ჩამომჯდარი თუთის ჩირს შეექცეოდა.

–აქ რას აკეთებ? – ქოშინით ვკითხე. ვგრძნობდი, რომ გული მერეოდა.

გამიღიმა, – ჩემთან დაჯექი ამირ-აღა.

მის გვერდით დავეგდე. თოვლზე გავწექი, ძლივს ვსუნთქავდი, – დროს კარგავ, ფრანი სხვა მიმართულებით მიფრინავს, ვერ ხედავ?

ჰასანმა პირში თუთა ჩაიყარა, – მოდის, – თქვა მან. მე სულს ძლივს ვითქვამდი, მას დაღლა საერთოდ არ ეტყობოდა.

– საიდან იცი?

– ვიცი.

– საიდან?

ჩემკენ შემოტრიალდა. გადაპარსული თავიდან ოფლის წვეთები ჩამოუგორდა.

– ოდესმე მომიტყუებიხარ, ამირ-არა?

– აბა რა ვიცი, მოგიტყუებივარ? – უცბად მისი გაბრაზება მომინდა.

– მიწას შევჭამ და არ მოგატყუებ, – თქვა გულმოსულმა.

– მართლა შეჭამ?

– რას? – შეცბუნებული ჩანდა.

– მიწას შეჭამ, მე რომ გთხოვო?

ვიცოდი რომ სისასტიკეს ჩავდიოდი, მაშინდელივით, როცა ჰასანი სიტყვების მნიშვნელობას მეკითხებოდა, მე კი დავცინოდი. მაგრამ მომწონდა მისი გაბრაზება, რაღაც ავადმყოფურ ხიბლს ვგრძნობდი, ისეთს, მწერების წამების დროს რომ შეიძლება განიცადოს კაცმა. ჩემთვის ის ახლა ჭიანჭველა იყო და გამადიდებელი შუშით ვაკვირდებოდი.

კარგა ხანს მიყურებდა. ალუბლის ხის ქვეშ ორნი ვისხედით და ერთმანეთს მივჩერებოდით. ჰასანს სახე შეეცვალა. იქნებ არც, მაგრამ მე ასე ვიფიქრე. თითქოს ორ სახეს ვხედავდი. ერთი ის იყო, რომელიც ვიცოდი, რომელიც ბავშვობიდან მქონდა მეხსიერებაში ჩაბეჭდილი, და მეორე უცნობი, შორეული, საიდუმლოებით მოცული, ჰასანის მეორე სახე რაღაც მომენტში, წამიერად ამოტივტივდებოდა ხოლმე. ყოველთვის მეგონა, რომ ოდესღაც სხვაგან უკვე მენახა ეს სახე. მერე თვალებს დაახამხამებდა და ისევ ის ჰასანი ხდებოდა.

– შევჭამ, თუ მთხოვ, – თქვა ბოლოს და ბოლოს. პირდაპირ თვალებში მიყურებდა. ვერ გავუძელი და თვალები დავხარე.

იმ დღიდან მოყოლებული მეტისმეტად გულწრფელ ადამიანებს თვალს ვერ ვუსწორებ.

– მაგრამ, შენ თუ მთხოვ ამის გაკეთებას ოდესმე, ამირ-აღა? – ახლა ჰასანი ცდილობდა ჩემს გამოცდას. მე მისი ერთგულება დავაყენე ეჭვქვეშ, მან ჩემი პატიოსნება.

ნეტავ არ წამომეწყო ეს საუბარი. ძლივს მოვახერხე გაცინება, – ნუ სულელობ. ხომ იცი, რომ არ გთხოვ.

ჰასანმა გაიცინა, ჩემგან განსხვავებით, ძალდატანების გარეშე, – ვიცი, – თქვა მან.

ჰასანის მსგავს ადამიანებს სხვების სიწრფელეში არასოდეს შეაქვთ ეჭვი. სწორედ ეს მაფრთხობს მათთან ურთიერთობისას.

– აი, მოდის, – თქვა ჰასანმა და ცისკენ გაიშვირა ხელი. ფეხზე წამოდგა, რამდენიმე ნაბიჯი მარცხნივ გადადგა. ზევით ავიხედე, ფრანი ჩვენკენ მოექანებოდა. ნაბიჯების ხმა შემომესმა, ფრანით მორბენალთა მთელი ჯგრო გვიახლოვდებოდა. რა იცოდნენ, დროს რომ ფუჭად კარგავდნენ. ხელებგაშლილი ჰასანი ფრანს ღიმილით ელოდა. ღმერთო, – თუ არსებობ, – დამაბრმავე, თუ ვიტყუები, პირდაპირ გაშლილ მკლავებში ჩაუვარდა ფრანი.

1975 წლის ზამთარს უკანასკნელად ვნახე ფრანით მორბენალი ჰასანი.

ჩვეულებრივ, ყველა უბანი თავის შეჯიბრს აწყობდა, მაგრამ იმ ზამთარს ვაზირაქბარ-ხანს რამდენიმე უბანი შეუერთდა: ქარტეჩარი, ქარტეფარვანი, მეკრორაიანი, კოთე სანგი. როგორც ამბობდნენ, ასეთი დიდი შეჯიბრი ბოლო 25 წლის განმავლობაში არ გამართულა. ხალხს მეტი სალაპარაკო არ ჰქონდა.

შეჯიბრის დაწყებამდე ოთხი დღით ადრე მე და ბაბა კაბინეტში ტყავის სავარძლებში ვისხედით ბუხრის წინ. ვსაუბრობდით და ჩაის ნებანება ვსვამდით. ცოტა ხნით ადრე ალიმ გვასადილა – კარტოფილი, ყვავილოვანი კომბოსტო ბრინჯითა და ქარის სოუსით; შემდეგ ჰასანთან ერთად დასაძინებლად წავიდა. ბაბა ჩიბუხს „აპურებდა“. ვეხვეწებოდი, რომ ის ამბავი მოეყოლა, ერთ ზამთარს, თურმე, მგლების ხროვა რომ ჩამოვიდა მთებიდან ჰერათში. ამბობდნენ, ხალხი მთელი კვირა სახლებიდან გარეთ ვერ გადიოდაო. მაგრამ შემაწყვეტინა, ასანთს გაჰკრა და მკითხა:

– როგორ გგონია, შეძლებ ამ ზამთარს მოგებას?

რა უნდა მეფიქრა, ან რა უნდა მეთქვა. მცდიდა? სინამდვილეში კარგი მებრძოლი ვიყავი, მართლაც კარგი. რამდენჯერმე ძალიან ახლოს ვიყავი წარმატებასთან. ერთხელ სამეულშიც კი აღმოვჩნდი, მაგრამ ახლოს ყოფნა, „ლამის“ და „კინაღამ“ ბაბას არ აკმაყოფილებდა. ბაბას ცხოვრებას თან სდევდა გამარჯვება. იმარჯვებდა ყველგან და იგებდა ყველაფერს, რასაც კი მისი თვალსაწიერი სწვდებოდა. ალბათ, ჰქონდა უფლება ვაჟიშვილისგანაც იგივე მოეთხოვა, არა? ჰოდა, თუ მოვიგებ...

ბაბა ჩიბუხს ეწეოდა და ლაპარაკობდა. ვითომ ვუსმენდი. ბაბას ერთმა ჩვეულებრივმა ფრაზამ თავში გადაწყვეტილება ჩამიბეჭდა: ამ ზამთარს უნდა მოვიგო. სხვა შესაძლო ვარიანტი არ არსებობს. უნდა მოვიგო. უკანასკნელ ფრანს ჩამოვხსნი ციდან და ბაბას მივართმევ. დავუმტკიცებ, რომ მეც რაღაცად ვღირვარ. იქნებ მაშინ მაინც შეიცვალოს ჩემი ცხოვრება, იქნებ ბოლომდე ამ სახლს თავშეფარებულ აჩრდილად არ დავრჩე. ოცნებას მივეცი: სადილად ვსხდებით, აუცილებელი ფრაზებისა და ვერცხლის ჯამ-ჭურჭლის წკარუნის ნაცვლად, მხიარული ბაასი და სიცილი ისმის. პარასკევს ბაბას მანქანით პაჰმანში მივდივართ, გზად ქარღას ტბაზე ვჩერდებით, შემწვარ კალმახსა და კარტოფილს

გეახლებით; ზოოპარკში ვართ ლომების სანახავად, ბაბას არსად ეჩქარება. იქნებ ჩემი მოთხრობაც კი წაიკითხოს, ას მოთხრობას დავუწერ, ერთს მაინც თუ წაიკითხავს, იქნებ ამირ-ჯან დამიძახოს რაჰიმ-ხანივით, და იქნებ, იქნებ დედაჩემის სიკვდილიც კი მაპატიოს. ბაბა იმ დროს იხსენებდა, თოთხმეტი ფრანი რომ ჩაჭრა ერთი დღის განმავლობაში. ვიღიმოდი, თავს ვუქნევდი, ვიცინოდი შესაბამის ადგილებში; სინამდვილეში ერთი სიტყვაც არ გამიგონია. ახლა მე მისია მქონდა. ამჯერად არ ვაპირებდი ბაბასთვის იმედის გაცრუებას.

შეჯიბრის წინა დღეს ხვავრიელად თოვდა. მე და ჰასანი კურსთან მიმჯდრები ფანჯფარს ვთამაშობდით. ქარიანი დღე იყო. ხის ტოტები ფანჯრებს ეხლებოდნენ. დილით ალის ვთხოვე კურსი გაეხურებინა. კურსი ელექტროგამათბობელია, დაბალი მაგიდის ქვეშ დგამენ და მაგიდას სქელ, დალიანდაგებულ საბანს აფარებენ. კურსის გარშემო იმდენი ლეიბი და ბალიში დაეყარა ალის, ოცი კაცი დაჯდებოდა. მაგიდის ქვეშ ფეხებშეწყობილი. მე და ჰასანი ზამთრის თოვლიან დღეებს კურსთან მოკალათებულები ვატარებდით. ხან ჭადრაკს, ხან კარტს – უმეტესად ფანჯფარს ვთამაშობდით.

აგურის ათიანი მოვუკალი, ორი ვალეტი და ექვსიანი ვითამაშე.

გვერდით ოთახში ბაბა, რაჰიმ-ხანი და ვიღაც კაცები, რომელთაგანაც ერთ-ერთში ასეფის მამა ამოვიცანი, ბიზნესზე ლაპარაკობდნენ. ქაბულის რადიო შხრიალით გადმოსცემდა ახალ ამბებს. ჰასანმა ექვსიანი მომიკლა და ორი ვალეტი წაიღო. დაუდხანი უცხოური ინვესტიციების შესახებ აცხადებდა რაღაცას.

– მალე ქაბულში ტელევიზია იქნებაო.

– ვინ თქვა?

– დაუდხანმა, ვირო, პრეზიდენტმა.

ჰასანმა ჩაიხითხითა, – ამბობენ, ირანში უკვე აქვთო, – თქვა მან. ამოვიოხრე, – ეს ირანელები.... ჰაზარებს ირანი თავშესაფრად ეგულებოდათ. ალბათ იმიტომ, რომ ჰაზარების მსგავსად უმეტესი ირანელი შიიტი მუსლიმია. მაგრამ მახსოვს, მასწავლებელმა იმ ზაფხულს ასეთი რამ თქვა: – ირანელები გიღიმიან და ტკბილად გესაუბრებიან, ცალი ხელით გეხვევიან და მეორეთი ჯიბეს გიცარიელებენ. ეს რომ ბაბას ვუთხარი, ასე მიპასუხა:

– შენი მასწავლებელი ერთი შურიანი ავღანელია, შურს ირანელების, იმიტომ, რომ ირანი აზიაში ყველაზე სწრაფად მზარდი ძალაა, ავღანეთს კი მსოფლიო რუკაზე ძლივს იპოვის კაცი. მტკივნეულია ამის თქმა, მაგრამ უმჯობესია, გული სიმართლემ გატკინოს, ვიდრე ტყუილმა დაგიამოს.

– ერთ მშვენიერ დღეს გიყიდი, – ვთქვი მე.

ჰასანს სახე გაუბრწყინდა. – ტელევიზორს? მართლა?

– აბა რა, თან შავ-თეთრს კი არა. იმ დროისთვის უკვე დიდები ვიქნებით. ორ ცალს ვიყიდი, ერთს შენთვის და ერთს ჩემთვის.

– მაგიდაზე დავდგამ, სადაც ჩემს ნახატებს ვინახავ, – თქვა ჰასანმა.

სევდა შემომაწვა ჰასანის გამო. ვინ იყო, სად ცხოვრობდა, როგორ ეგუებოდა იმ ფაქტს, რომ მთელი ცხოვრება ქოხში უნდა ეცხოვრა მამამისივით. ბოლო კარტი ავწიე. ორი დამა და ათიანი ჩავედი.

ჰასანმა დამები წაიღო.
– იცი რა, მე მგონი, ხვალ მამაშენი შენით ძალიან იამაყებს.
– ასე გგონია?
– ინშალლა, – თქვა მან.
– ინშალლა, – გავიმეორე, თუმცა ჩემი „ღმერთი ინებებს“ მაინც და მაინც წრფელად არ ჟღერდა. ჰასანის უკიდეგანო გულწრფელობა აუცილებლად გაგრძნობინებდა საკუთარ სიყალბეს. მეფე მოვუკალი და ბოლო კარტი, აგურის ტუზი, ვითამაშე. მოვიგე. ახალი ხელის სათამაშოდ კარტს რომ ვჭრიდი, ეჭვი შემეპარა, რომ ჰასანმა განგებ მომაგებინა.
– ამირ-აღა?
– რა?
– იცი, მე მომწონს, სადაც ვცხოვრობ, ის ჩემი სახლია.
ჰასანი ყოველთვის ადვილად კითხულობდა ჩემს აზრებს.
– კაი, – ვთქვი მე, – მოემზადე ახალი ხელის წასაგებად.

<u>თავი მეშვიდე</u>

მეორე დღეს ჰასანმა საუზმისთვის შავი ჩაი მოადუღა. შემდეგ თავისი სიზმარი მიამბო:
– ქარღას ტბაზე ვიყავით მე, შენ, მამაჩემი, საჰიბ-აღა, რაჰიმ-ხანი და ათასობით ადამიანი. თბილოდა, მზე ანათებდა, ტბა სარკესავით კრიალა იყო, მაგრამ არავინ ბანაობდა. ამბობდნენ, ტბას ურჩხული დაეპატრონა, ფსკერზე ცურავს და მსხვერპლს უცდისო. – ჩაი დამისხა, შაქარი ჩამიყარა, რამდენჯერმე შეუბერა, – ყველას ეშინოდა წყალში შესვლის. უეცრად შენ ფეხსაცმელები და პერანგი გაიხადე, – ურჩხული არ არსებობს და მე ამას ახლავე დაგიმტკიცებთ! – თქვი შენ. სანამ ვინმე გაგაჩერებდა, ჩაყვინთე და გაცურე. მე ცურვით გამოგყევი.
– შენ რომ ცურვა არ იცი?
ჰასანმა გაიცინა, – ეს სიზმარია, ამირ-აღა, ყველაფერი შეიძლება მოხდეს, – გამოდიი გამოდიი, ყვიროდა ხალხი, მაგრამ ჩვენ შუა ტბამდე მივცურეთ, მერე მოვტრიალდით და ხალხს ხელი დავუქნიეთ. ჭიანჭველებივით პატარები ჩანდნენ, თუმცა ტაშის ხმა მაინც აღწევდა ჩვენამდე. ხალხი ბედნიერი იყო, მითი ურჩხულზე გაქარწყლდა. ტბას სახელი გადაარქვეს და „ამირისა და ჰასანის, ქაბულის სულთნების ტბა“ უწოდეს. ჩვენ ტბაში ცურვაზე გადასახადი დავაწესეთ.
– რას ნიშნავს ეგ სიზმარი? – შევეკითხე.
ნაანზე ჯემი წამისვა და თეფშზე დამიდო, – რა ვიცი, იქნებ შენ იცოდე.
– არაფერსაც არ ნიშნავს, ისეთი არაფერი ხდება მაგ სიზმარში.
– მამაჩემი ამბობს, სიზმარი ყოველთვის რაღაცას ნიშნავსო.
ჩაი მოვსვი, – მაშინ მამაშენს ჰკითხე, თუ ასეთი ჭკვიანი გყავს, – უხეშად მომივიდა.
მთელი ღამე ვერ დავიძინე. კისერი და ზურგი ზამბარასავით მქონდა დაჭიმული, თვალები დანესტრილივით წითელი. ხშირად მიუხეშია ჰასანთან და თითქმის ყოველთვის

ვცდილობდი გამომესყიდა ჩემი დანაშაული, მაგრამ ახლა არაფრის თავი არ მქონდა. ჰასანმა იცოდა, რომ ძალიან ვღელავდი. მას, როგორც ყოველთვის, ახლაც ესმოდა ჩემი.

ბაბას სააბაზანოდან წყლის ჩხრიალი ისმოდა.

ქუჩები თეთრად ქათქათებდა. ცა კრიალა და ლურჯი იყო. სახლის სახურავები, ჩვენს ქუჩაზე ჩამწკრივებული თუთის ხეები, პატარა თხრილები თუ არხები, ყველაფერი თოვლის საბურველში იყო გახვეული.

დამაბრმავებელმა სითეთრემ თვალი მომჭრა, როცა რკინის ჭიშკარში გავდიოდით მე და ჰასანი. ალიმ ჭიშკარი დახურა; ლოცვას ამბობდა ჩურჩულით. ყოველთვის ლოცულობდა, როცა ჰასანი სახლიდან გადიოდა.

ამდენი ხალხი ჩვენს ქუჩაზე არასოდეს მენახა. ბავშვებს გუნდაობა გაეჩაღებინათ, ერთმანეთს ეკინკლავებოდნენ, დიდი ხორხოცი და ჟრიამული იდგა. ფრანით მებრძოლები და მათი დამხმარეები ჯგუფებად იდგნენ. შეჯიბრის დაწყებამდე დარჩენილ დროს უქმად არ კარგავდნენ, ერთხელ კიდევ ამოწმებდნენ ყველაფერს. მოსაზღვრე ქუჩებიდან ხალხის ლაპარაკის და სიცილის ხმა ისმოდა. სახლების სახურავები გადაჭედილი იყო სკამებში გადაწოლილი მაყურებლებით. თერმოსებიდან ცხელი ჩაის ოხშივარი ამოდიოდა. აჰმედ ზაჰირის მუსიკა მთელ ხმაზე იყო ჩართული. აჰმედ ზაჰირი უსაზღვროდ დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მან ტრადიციული ავღანური მუსიკის მოდერნიზება მოახდინა. ჩვეულ, ტრადიციულ ჰანგებს ელექტრო გიტარა, დასარტყმელი ინსტრუმენტი, საყვირი დაურთო და ამით პურისტების დიდი რისხვა დაიმსახურა. მან უარი თქვა ძველი თაობის მომღერლების შესრულების მკაცრ, უღიმღამო მანერაზე. სიმღერის დროს ბუნებრივად იქცეოდა, ხანდახან ქალებსაც კი უღიმოდა. თვალებით ჩვენი სახლის სახურავი მოვძებნე. ბაბა და რაჰიმ-ხანი სკამებზე ისხდნენ და ჩაის სვამდნენ. ორივეს შალის სვიტერი ეცვა. ბაბამ ხელი დაგვიქნია. ვერ გეტყვით, ვის უქნევდა ხელს, მე თუ ჰასანს.

– უნდა დავიწყოთ, – თქვა ჰასანმა. შავი რეზინის ბოტები, ღია მწვანე ფერის ჩაპანი და გაცრეცილი ველვეტის შარვალი ეცვა. მზის სინათლეზე გარკვევით ჩანდა, რა კარგად შეხორცებოდა იარა. უეცრად მომინდა ყველაფერი ჩამელაგებინა და სახლში წავსულიყავი. რას ვფიქრობდი? რატომ გავეხვიე ამ ხათაბალაში? წინასწარ ვიცოდი, რაც მოხდებოდა. ბაბა სახურავიდან მადევნებდა თვალს. მზესავით მწველი იყო ყოველი მისი გამოხედვა, მარცხი აბსოლუტურად გამანადგურებდა.

– დარწმუნებული არ ვარ, რომ დღეს ღირს ბრძოლა, – ვთქვი მე.

– რატომ? შეხედე, რა მშვენიერი დღეა, – თქვა ჰასანმა.

ფეხი მოვინაცვლე. ვცდილობდი, ჩვენი სახურავისკენ არ გამეხედა, – არ ვიცი, იქნებ სახლში წავიდეთ.

შემდეგ ჩემკენ გადმოდგა ნაბიჯი და ხმადაბლა თქვა: – იცოდე, ამირ-აღა, ურჩხული არ არსებობს. ცოტა შემაშფოთა მისმა ნათქვამმა. სკოლაში დავდიოდი, ვწერდი, ვკითხულობდი, ჭკვიანი ბიჭი მერქვა, მაგრამ ჰასანისთვის, მან ანბანიც კი არ იცოდა, ბოლომდე წაკითხული წიგნი ვიყავი. ეს ცოტა შემაწუხებელი, მაგრამ, იმავე დროს, ძალიან

მოსახერხებელი იყო. სულ გვერდით მყავდა ის, ვინც ყოველთვის ხვდებოდა რა მჭირდებოდა.

– არავითარი ურჩხული, – ვთქვი მე. ჩემდა გასაოცრად, თავი ოდნავ უკეთ ვიგრძენი.

გაიცინა, – არავითარი ურჩხული.

– დარწმუნებული ხარ?

თვალები დახუჭა და თავი დამიქნია.

ბავშვები გუნდაობდნენ.

– მშვენიერი დღეა, არა?

– მოდი დავიწყოთ, – თქვა მან.

იქნებ ჰასანმა სიზმარი გამოიგონა? მაგრამ არა, თავი დავიმშვიდე. ჰასანი არ იყო ასეთი გონებასხარტი. გამოგონებული იყო თუ არა, იმ სულელურმა სიზმარმა ტონუსი მომმატა. რა იცით, რომ მართლა არ გავიხდი პერანგს და ტბაში არ შევცურავ?

– დავიწყოთ, – ვთქვი მე.

ჰასანს სახე გაუბრწყინდა, – კარგი, – თქვა მან. ფრანი ასწია. ჩვენი ფრანი წითელი იყო, ყვითელი კიდეებით, ზედ საიფოს უტყუარი ხელწერა ეტყობოდა. ზაფხულობით ჰასანი ფეხებით მტვრის ბუღს აყენებდა და აკვირდებოდა ქარი მტვერს საით წაიღებდა, ახლა თითი გაილოკა და ისე შეამოწმა ქარის მიმართულება. კოჭა მე მეჭირა. ვიდრე ჰასანი გარბოდა, ბაწარი ორმოცდაათი ფუტის სიგრძეზე გაიშალა. შემდეგ ფრანი ზევით აღმართა ოლიმპიური ჩემპიონივით. ბაწარი ორჯერ ჩამოვქაჩე, ეს ჩვენი ნიშანი იყო, და ჰასანმა ფრანი ზევით აისროლა. ბაბასა და მოლას შორის მოქცეულს ჩამოყალიბებული აზრი არ გამაჩნდა ღმერთის შესახებ, მაგრამ როდესაც ყურანის აია მომადგა ენაზე, ვთქვი. ღრმად ჩავისუნთქე, ამოვისუნთქე და ბაწარი მოვქაჩე. ერთ წუთიც და ჩემი ფრანი ქაღალდის ჩიტივით აიჭრა ცაში. ჰასანმა ტაში შემოჰკრა, დაუსტვინა და ჩემკენ გამოიქცა. კოჭა გადავეცი, მან სწრაფად დაიწყო გაშლილი ბაწრის დახვევა. სულ მცირე ორი დუჟინი ფრანი იყო ცაზე გამოკიდებული. მსხვერპლის მოლოდინში გარინდებულ ქაღალდის ზვიგენებს ჰგავდნენ. ერთ საათში მათი რაოდენობა გაორმაგდა. თმაში ცივმა ნიავმა გამიარა. ქარი ფუფუნებაა ფრანის გაშვების დროს, უფრო ადვილად ადის ზევით და მანევრირებასაც უკეთ ახდენ. ჰასანი ჩემ გვერდით იდგა, კოჭა ეჭირა, ხელები უკვე დასისხლიანებული ჰქონდა.

მალე მებრძოლებმა ჩაჭრა დაიწყეს. პირველი დამარცხებული ფრანები ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავებივით ცვიოდნენ. ფრანით მორბენალთა ხმამაღალი შეძახილები და სირბილის ხმა მესმოდა. ორი ქუჩის ქვევით ვიღაც ბრძოლის შედეგებს აცხადებდა. ბაბასკენ ავიხედავდი ხოლმე დროდადრო. ნეტავ რას ფიქრობდა? გახარებული იყო? თუ მისი ერთი ნაწილი ჩემი მოსალოდნელი მარცხით ტკბებოდა? ფრანების ფრენას ერთი თავისებურება აქვს, შენი ფიქრიც მათთან ერთად ნავარდობს ცაში.

დამარცხებული ფრანები ერთიმეორის მიყოლებით ცვიოდნენ, ჩემი კი კვლავ ზევით იყო, კვლავ დაფრინავდა!!! ბაბას გავხედე, შალის სვიტერში იყო ჩაფუთნული. უკვირდა, ამდენ ხანს რომ გავუძელი? ცას უყურე, ცას! დიდხანს ვეღარ გაუძლებ! მზერა ისევ ცაზე

გადავიტანე. წითელი ფრანი მიახლოვდებოდა; დროზე შევნიშნე, ცოტა ხანი ვაწვალე და როცა მოთმინებამ უღალატა, ჩავჭერი.

ფრანით მორბენალები ტრიუმფალური სვლით ბრუნდებოდნენ. მშობლებისა და მეგობრების დასანახად ნადავლი ზევით აწეული მოჰქონდათ, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ მთავარი ჯერ კიდევ წინ იყო.

თეთრკუდიანი, კაშკაშა ყვითელი ფრანი ჩავჭერი. საჩვენებელი თითი გამეჭრა და სისხლი ხელის გულში ჩამეღვარა. ბაწარი ჰასანს გადავეცი, სისხლი ამოვწოვე ჭრილობიდან და თითი ჯინსზე მივიჭირე.

მომდევნო ერთი საათის განმავლობაში გადარჩენილი ფრანების რაოდენობა ორმოცდაათიდან თორმეტამდე შემცირდა. ერთი მათგანი მე ვიყავი. ვიცოდი, რომ შეჯიბრის ეს ნაწილი მალე არ დასრულდებოდა. დარჩენილები კარგი მებრძოლები იყვნენ. ვინც ამდენ ხანს გაუძლო, ის მარტივ ფანდს არ წამოეგებოდა. ჰასანის საყვარელი ხრიკი – აიწიე და ჩაყვინთე – აქ არ გამოდგებოდა.

სამი საათისთვის მზე ღრუბლებს მიეფარა. ჩრდილები წაგრძელდნენ, სახურავებზე მაყურებლები სქელ პალტოებში და შალებში გაეხვივნენ. ახლა კიდევ უფრო ნაკლები ფრანი ჩანდა ცაზე და მე ისევ ერთ-ერთი ვიყავი. ფეხები ამტკივდა, კისერი გამიშეშდა, მაგრამ თითოეული ჩაჭრილი ფრანი გულზე თოვლის ფანტელებივით ნელ-ნელა მეფინებოდა იმედად. ლურჯ ფრანს თვალს არ ვაშორებდი. ბოლო ერთი საათის განმავლობაში სწორედ ეს ფრანი მიქმნიდა საფრთხეს.

– რამდენი ჩაჭრა? – ვკითხე ჰასანს.

– მე თერთმეტი დავთვალე, – თქვა მან.

– ვისია, ხომ არ იცი?

ჰასანმა ენა გააწკლაპუნა და ნიკაპზე თითი დაირტყა; ყოველთვის ამ ჟესტით გამოხატავდა, თუ რამე არ იცოდა. ლურჯმა ფრანმა დიდი ალისფერი ფრანი ჩასერა და ორჯერ წრიულად ამოატრიალა. ათ წუთში კიდევ ორი მიაყოლა. ფრანით მორბენლები თავქუდმოგლეჯილები გავარდნენ მათ ხელში ჩასაგდებად. კიდევ ოცდაათი წუთი გავიდა. ოთხი ფრანიდან ერთი ჩემი იყო. ქარი ჩემს წისქვილზე ასხამდა წყალს, არც ერთი უზუსტო მოძრაობა, მთლიანად ვფლობდი სიტუაციას. წარმატებით ფრთაშესხმულს სახურავისკენ აღარ გამიხედავს. ახლა სრული კონცენტრაცია და ჭკვიანური თამაში მმართებდა. თხუთმეტი წუთიც და ჯერ კიდევ დილით აუხდენელი ოცნება რეალობად იქცა. ორნი – მე და ლურჯი ფრანი დავრჩით ბრძოლის ველზე.

დაძაბულობამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია. ჰაერი დამძიმდა, შუშასავით მყიფე გახდა. ფეხების ბრაგუნი, ტაში, სტვენა და წამღერებით შემახილი – ბობორეშ! ბობორეშ! ჩაჭერი! ჩაჭერი! – ისმოდა ყოველი მხრიდან. ნეტავ ბაბას ხმაც თუ ერია მათში! მუსიკა გუგუნებდა. სახლების სახურავებიდან და ღია კარებიდან გამოსული ჩაშუშული მანთუს და შემწვარი ფაკორას სურნელი მთელ მიდამოს მოედო.

იმ მომენტში მხოლოდ საკუთარი სისხლის ფეთქვა მესმოდა. მხოლოდ ლურჯ ფრანს ვხედავდი, მხოლოდ გამარჯვების, გადარჩენის, თავისუფლების სურნელი მცემდა. თუ ბაბა ცდებოდა და ღმერთი მაინც არსებობდა, ისე როგორც ამას სკოლაში გვასწავლიდნენ,

მაშინ ღმერთი მიმიძღვოდა გამარჯვებისკენ. რისთვის იბრძოდა ჩემი მეტოქე, არ ვიცი, იქნებ უბრალოდ თავის გამოსაჩენად ან სატრაბახოდ, ჩემთვის კი ეს ბრძოლა ერთადერთი შანსი იყო, რომ გავმხდარიყავი ის, ვისაც კი არ უყურებენ, არამედ ხედავენ, ვისიც ესმით და ყურს უგდებენ. ღმერთი თუ არსებობდა, ქარს გამომიგზავნიდა და ერთი მოქნევით გამათავისუფლებდა ჩემი უღიმღამო, მტკივნეული აწმყოსგან. ძალიან შორს წავედი; და უეცრად ოცნება განცხადდა, ვიგებდი! უბრალოდ ცოტა დრო იყო საჭირო.

მალე ქარმა დაუბერა, ჩემი ფრანი ზევით ასწია და უპირატესობის მოპოვება შევძელი. ბაწარი ოდნავ მივუშვი, ლურჯს ზევიდან მოვექეცი. ლურჯმა იცოდა, რომ ცუდად ჰქონდა საქმე, სასოწარკვეთილი ცდილობდა ხაფანგიდან თავის დაღწევას, მაგრამ არ ვუშვებდი, ისევ ვინარჩუნებდი პოზიციას. ბრბო დასასრულს გრძნობდა, – „ჩაჭერი! ჩაჭერი!“ – კიდევ უფრო ხმამაღლა ისმოდა.

– ცოტაც, ამირაღა, ცოტაც! – ჰასანი სულს ძლივს ითქვამდა.

და ბოლოს ნანატრი წუთიც დადგა! თვალები დავხუჭე, ბაწარი მივუშვი. ქარმა დაუბერა და თითები დამესერა. ვერაფერს ვხედავდი, ან რაში მჭირდებოდა, ყველაფერი ნათელი იყო. ჰასანი სიხარულისგან კიოდა და კისერზე მხვევდა ხელს.

– ბრავო! ბრავო! ამირ-აღა!

თვალები გავახილე. ლურჯი ფრანი გაქანებული მანქანიდან მომძვრალი ბორბალივით ტრიალებდა. თვალებს ვახამხამებდი, რაღაცის თქმას ვცდილობდი, მაგრამ ხმა არ მემორჩილებოდა. მერე ცაში ავიჭერი და ჩემს თავს ზევიდან გადმოვხედე: შავი ტყავის ქურთუკით, წითელი შარფით, გაცრეცილი ჯინსით, გამხდარი, ფერმკრთალი, თავის თორმეტ წელთან შედარებით ოდნავ დაბალი ბიჭი; მას ვიწრო ბეჭები ჰქონდა და თაფლისფერი თვალების გარშემო მუქი წრეები ემჩნეოდა... ნიავმა წაბლისფერი თმა აუწეწა, ზევით ამოიხედა, ერთმანეთს გავუღიმეთ.

სიხარულისგან ხმის ჩახლეჩამდე ვყვიროდი. ყველაფერი ფერადი, ნამდვილი, ცოცხალი და საამო იყო. თავისუფალი ხელით ჰასანს ვეხვეოდი, ხან ვტიროდით, ხან ვიცინოდით.

– გაიმარჯვე, ამირ-აღა, გაიმარჯვე!

– გავიმარჯვეთ! გავიმარჯვეთ! – სულ ეს იყო, რაც მოვახერხე. არა, სიზმარში ვიყავი, ერთი თვალის დახამხამება და დამთავრდებოდა ეს მშვენიერი სიზმარი. ისევ ავდგები ლოგინიდან, სამზარეულოში ჩავალ, ვისაუზმებ და ჩემს ერთადერთ თანამოსაუბრეს, ჰასანს, გავუბამ ლაპარაკს, ჩავიცვამ და ბაბას დაველოდები. ფარ-ხმალი დავყარე. უკან, წარსული ცხოვრებისაკენ! მერე ჩვენი სახლის სახურავზე ბაბა დავინახე. ფეხზე იდგა, ხელებაწეული სიხარულისგან ღრიალებდა და ტაშს უკრავდა. სწორედ ეს წუთი იყო ჩემი ცხოვრების თორმეტი წლის განმავლობაში ყველაზე დიდებული, ბოლოს და ბოლოს, ბაბა ჩემით ამაყობდა.

მაგრამ ის ახლა რაღაცას გვანიშნებდა. მივხვდი, – ჰასან, ჩვენ...

– ვიცი, ვიცი, ინშალლა, მერე აღვნიშნოთ. ახლა გავიქცევი და ლურჯ ფრანს მოგირბენინებ, – თქვა მან. კოჭა მოისროლა და გაიქცა. მწვანე ჩაპანის ბოლოს თოვლზე მიათრევდა.

– ჰასან, – მივაძახე. – ფრანით დაბრუნდი!

უკვე ქუჩის კუთხეში უხვევდა, ბოტებით თოვლს ყრიდა სირბილის დროს. შეჩერდა, პირზე ხელი მოიფარა: – შენი გულისთვის, თუნდაც ათასჯერ! – გამომძახა და მისთვის ჩვეული, „ჰასანური“ ღიმილით გამიღიმა. მალე კუთხეს მოეფარა და გაუჩინარდა. ასე ალალად მოღიმარი ჰასანი მხოლოდ ოცდაექვსი წლის შემდეგ, გაცრეცილ პოლაროიდის ფოტოზე ვნახე.

ფრანის ჩამოქაჩვა დავიწყე. ხალხი მოსალოცად მომაწყდა. ყველას ხელს ვართმევდი და მადლობას ვუხდიდი. პატარები მოწიწებით მიყურებდნენ, მე გმირი ვიყავი. ვიღაცების ხელები ზურგზე მიალერსებდნენ. ბაწარს ვქაჩავდი და ხალხს ღიმილს ვუბრუნებდი, მაგრამ ლურჯ ფრანზე ფიქრი მოსვენებას არ მაძლევდა. ჩემი ფრანი ჩამოვხსენი, მოშვებული ბაწარი კოჭაზე დავახვიე, რამდენიმე კაცს კიდევ ჩამოვართვი ხელი და სახლისაკენ ჩორთით გავუყევი. ალი რკინის ჭიშკართან იცდიდა. ხელი რიკულებში გამოყო, – გილოცავ, – თქვა მან. ფრანი და კოჭა გადავეცი, ხელი ჩამოვართვი.

– თაშაქორ, ალიჯან.

– სულ ვლოცულობდი.

– ჰოდა, გააგრძელე, ჯერ ბოლომდე არ მიგვიყვანია.

სასწრაფოდ ქუჩაში დავბრუნდი. ბაბა არ მომიკითხავს. ჯერ არ მინდოდა მისი ნახვა. უკვე ყველაფერი დაგეგმილი მქონდა: ტრიუმფალური სვლით, სისხლიანი ხელებით ნადავლს მივართმევ, ყველა ჩემკენ შემობრუნდება, ყველას მზერა ჩემზე გაიყინება. როსტომი და სოჭრაბი ერთმანეთის პირისპირ – გარინდებული ხალხი, სიჩუმის დრამატული წუთი და მოხუცი მებრძოლი ნაბიჯს დგამს ახალგაზრდისკენ, ეხვევა და აღიარებს მის ღირსებას. თავისუფლება, ხსნა და მერე? ჰო... შემდეგ ასი წელი ბედნიერად ცხოვრობდნენ, რასაკვირველია. აბა, რა!

ვაზირაქბარ-ხანის ქუჩები, ცხაურის მსგავსად, ერთმანეთს სწორი კუთხეებით ჰკვეთდნენ. უბნის განაშენიანება ახალი დაწყებული იყო. გალავანშემორტყმულ საცხოვრებელ კომპლექსებს შორის ნახევრად აშენებული სახლები და დაუსახლებელი მიწები რჩებოდა. ჰასანის ძებნაში ყველა ქუჩა მოვირბინე. ქეიფის შემდეგ ხალხი სკამებს კეცავდა, საჭმელსა და ნივთებს ალაგებდა, ზოგი ისევ სახურავზე იჯდა და იქიდან მილოცავდა.

ჩვენი ქუჩის სამხრეთით, მეოთხე ქუჩაზე, ომარი დავინახე. ომარი ბაბას მეგობარი ინჟინრის შვილი იყო. თავის ძმასთან ერთად ფეხბურთის ბურთს კენწლავდა. ომარი კარგი ბიჭი იყო. მეოთხე კლასში ერთად ვსწავლობდით. ერთხელ საწერი კალამი მაჩუქა, ისეთი, მელანი რომ უნდა ჩაასხა.

– გავიგე, რომ გაიმარჯვე ამირ, – თქვა მან, – მომილოცავს.

– მადლობა, ჰასანი ხომ არ გინახავს?

– შენი ჰაზარა?

თავი დავუქნიე.

ომარმა თავის ძმას თავური ჩააწოდა, – ამბობენ, მაგარი ფრანით მორბენალიაო. – ძმამ ბურთი დაუბრუნა. ომარმა დაიჭირა, აკენწლა, – სულ მიკვირს, როგორ ახერხებს, იმ პატარა, ვიწრო თვალებით როგორ ხედავს? – ძმამ გაიცინა და ბურთი სთხოვა, ომარმა ყურადღება არ მიაქცია.

– ხომ არ გინახავს?

ომარმა ცერა თითი სამხრეთ-დასავლეთისკენ გაიშვირა, – ბაზრის მიმართულებით მირბოდა ცოტა ხნის წინ.

– მადლობა, – ადგილიდან მოვწყდი.

სანამ ბაზარს მივაღწევდი, მზე მთებს მოეფარა. მწუხრმა ცა ალისფრად შეღება. რამდენიმე კვარტალის მოშორებით ჰაჯი იაკობის მეჩეთიდან მოლა აზანს იძახდა, მორწმუნეებს უხმობდა, – ხალიჩები გაეშალათ და ლოცვის დროს დასავლეთისკენ დაეხარათ თავები. ჰასანი ყოველდღიური ხუთი ლოცვიდან არასოდეს არც ერთს არ ტოვებდა. მაშინაც კი, როდესაც გარეთ ვთამაშობდით, ბოდიშს მოიხდიდა, ჭიდან წყალს ამოიღებდა, დაიბანდა და თავის ქოხში შევიდოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ გაღიმებული ბრუნდებოდა. მე კედელთან მიმჯდარი ან ხის ტოტზე შემოსკუპებული ვხვდებოდი ხოლმე. ამაღამ ჰასანს ჩემ გამო მოუწევდა ლოცვის გამოტოვება. ბაზარი სწრაფად ცარიელდებოდა, ვაჭრები დღის გარიგებებს ამთავრებდნენ. დახლები მწკრივებად იყო ჩალაგებული. ერთ დახლზე ახლად დაკლული ხოხბის ყიდვა შეგეძლოთ, მეორეზე კალკულატორის. ხალხის ბრბო შეთხელდა. მათხოვრებს ფენა-ფენა ძონძები ეცვათ, გარემოვაჭრეებს ხალიჩები შემოეგდოთ ბეჭებზე, ფართლეულით მოვაჭრეები და ყასბები მაღაზიებს კეტავდნენ. ჰასანის კვალი არსად ჩანდა.

ჩირის გამყიდველის დახლთან შევჩერდი. მოხუცი ვაჭარი თავის ჯორს ფიჭვის თესლისა და ქიშმიშის ყუთებით ტვირთავდა. ჰასანი აღვუწერე. მოხუცს მოდენთისფრო ლურჯი ჩალმა ეხურა. კარგა ხანს მიყურებდა, ვიდრე მიპასუხებდა, – მგონი, ვნახე.

– საით წავიდა?

ამათვალიერ-ჩამათვალიერა, – შენნაირი ბიჭი ვიღაც ჰაზარას რატომ უნდა ეძებდეს აქ, ამ დროს? აღტაცებული უყურებდა ჩემს ტყავის ქურთუკს და კოვბოის ჯინსს. ავღანეთში ყველაფერი ამერიკული, განსაკუთრებით, თუ მეორადი ტანსაცმლის მაღაზიაში არ იყო ნაყიდი, სიმდიდრის ნიშნად აღიქმებოდა.

– აუცილებლად უნდა მოვძებნო, აღა.

– შენ რად გერგება? – მკითხა. აზრს ვერ ვხედავდი მის შეკითხვაში, მაგრამ ვხვდებოდი, რომ მოუთმენლობით პასუხს ვერ მივიღებდი.

– ჩვენი მსახურის შვილია, – ვთქვი მე.

მოხუცმა ჭაღარა წარბები ასწია, – მართლა? რა იღბლიანი ყოფილა, ასეთი მზრუნველი პატრონი ჰყავს. მამამისი, მუხლებზე დამხობილი, წამწამებით უნდა წმენდდეს შენი ფეხის მტვერს.

– მეტყვით თუ არა?

მკლავი ჯორის ზურგზე ჩამოდო, სამხრეთისკენ მიმანიშნა: – მგონი იქით მირბოდა, ხელში ლურჯი ფრანი ეჭირა.

– მართლა? – წამოვიძახე, – „შენი გულისთვის, თუნდაც ათასჯერ“, – დამპირდა და სიტყვას არ გადავიდა, ერთგული, სანდო ჰასანი.

– ალბათ უკვე დაიჭირეს, – წაილუღლუღა მოხუცმა, ჯორს კიდევ ერთი ყუთი აჰკიდა.

– ვის უნდა დაეჭირა?

– ბიჭები მისდევდნენ, – თქვა მან. შენნაირად ჩაცმულები იყვნენ. ცას შეხედა და ამოიოხრა: – აბა, ახლა გაიქეცი, ლოცვაზე მაგვიანებ.

მე უკვე ჩავრბოდი ვიწრო ქუჩისკენ.

მთელი ბაზარი გადავქექე კიდევ ერთხელ. ვერაფერს მივაგენი. იქნებ მოხუცს თვალებმა უმტყუნეს, მაგრამ ლურჯი ფრანიც რომ ახსენა? ერთი ფრანი ჩამაგდებინა ხელში! ყველა მოსახვევში, ყველა მაღაზიაში შევიხედე. ჰასანის კვალი არსად ჩანდა. მეშინოდა, რომ სიბნელე მომისწრებდა, ვიდრე ვიპოვიდი. უეცრად ხმა შემომესმა. მთავარი გზის ბოლოს პერპენდიკულარულად მდებარე ტალახიან, უკაცრიელ ქუჩას მივადექი. ეს ქუჩა ბაზარს შუაზე ჰყოფდა. ოღრო-ჩოღრო ბილიკზე შევუხვიე და ხმებს გავყევი. ქოშინით, ბოტების ტყლაპუნით მივიწევდი წინ. ბილიკი თოვლით ამოვსებულ ღრმა ხევსა და ბრტყელსახურავიან ქოხმახებს შორის იყო გაჭრილი. ქოხებს ერთმანეთისგან ვიწრო ჩასახვევები ჰყოფდა.

კვლავ შემომესმა ხმები. ამჯერად უფრო ხმამაღლა. ერთ-ერთი ჩასახვევიდან მოდიოდა. ჩუმად მივფორთხდი ჩასახვევთან, სუნთქვა შევიკარი, კუთხეს ამოვეფარე და გავიჭყიტე. ჰასანი ყრუ კედლის წინ იდგა. მის დგომაში მუქარა იგრძნობოდა: ხელები დამუშტული, ფეხები ოდნავ განზე. ჰასანის უკან ჯართისა და ნამსხვრევების გროვაზე ლურჯი ფრანი ესვენა. ლურჯი ფრანი – ბაბას გულის კარის გასაღები.

ჰასანს გამოსასვლელ გზას ის სამი ბიჭი უბლოკავდა, დაუდხანის პუტჩის მეორე დღეს, პატარა გორაკთან რომ დაგვესხა თავს. მაშინ ჰასანის შურდულმა გადაგვარჩინა. ერთ მხარეს ვალი იდგა, მეორეზე ქამალი, შუაში ასეფი. მთელი სხეული დამეჭიმა, ხერხემალში სიცივემ დამიარა. ასეფი მშვიდად იყო, თავის თავში დარწმუნებული ჩანდა. ხელში თავის განუყრელ სპილენძის კასტეტს ათამაშებდა. ვალი და ქამალი ნერვულად ინაცვლებდნენ ფეხს. ისე უყურებდნენ ასეფს და ჰასანს, გეგონებოდათ, მხეცი ჰყავდათ კუთხეში მიმწყვდეული და მისი მომთვინიერებელი ამ ქვეყნად მხოლოდ ასეფი იყო.

– შენი შურდული სად არის, ჰაზარა? – თქვა ასეფმა, თან კასტეტი მოიმარჯვა, – აბა, ერთი გამახსენე, რა თქვი? ცალთვალა ასეფი შეგერქმევაო? როგორ არა, ცალთვალა ასეფი, რა ჭკვიანი ხარ, განსაკუთრებით, თუ ხელში დატენილი იარაღი გიჭირავს. ისევ სუნთქვაშეკრული ვიდექი. ნელნელა ამოვისუნთქე, უხმაუროდ. გაშეშებული მივშტერებოდი ჰასანს, ჩემს ძუძუმტეს, ჩემი ბავშვობის განუყოფელ ნაწილს, რომელიც ახლა ალყაში ჰყავდა სამ ბიჭს მოქცეული.

– დღეს ძალიან გაგიმართლა, – თქვა ასეფმა. ჩემგან ზურგით იდგა, მაგრამ ნაძლევს დავდებ, დამცინავად იღიმებოდა, – პატიების ხასიათზე ვარ, თქვენ რას იტყვით, ბიჭებო?

– სულგრძელობაა შენი მხრიდან, განსაკუთრებით იმ უზრდელობის შემდეგ, რაც მან ჩაიდინა, – წამოაყრანტალა ქამალმა. ცდილობდა, ლაპარაკის მანერით ასეფისთვის მიებაძა, თუმცა, ასეფისგან განსხვავებით, მას ხმა უკანკალებდა. შეშინებული ჩანდა. ვინ იცის, ასეფს თავში რა მოუვიდოდა.

ასეფმა ხელი აიქნია. – ბახშიდა! მიპატიებია, მორჩა! – ოდნავ ხმას დაუწია, – მაგრამ უფასო არაფერია ამქვეყნად, ჩემი მოწყალებაც ღირს რაღაც.

– მართალია, – თქვა ქამალმა.

– უფასო არაფერია, – გაიმეორა ვალიმ.

– იღბლიანი ყოფილხარ, ჰაზარა, – თქვა ასეფმა, ჰასანისკენ ერთი ნაბიჯი გადადგა, – ბევრი არაფერი, მხოლოდ ეს ლურჯი ფრანი დაგიჯდება. სამართლიანი გარიგებაა, არა, ბიჭებო?

– უფრო მეტიც, – თქვა ქამალმა.

იქიდანაც კი, სადაც მე ვიდექი, გარკვევით ჩანდა, როგორ კრთოდა ჰასანის თვალებში შიში, მაგრამ თავი გააქნია: – ამირ-აღამ გაიმარჯვა, ფრანი მას ეკუთვნის.

– ერთგული ჰაზარა, ძაღლივით ერთგული, – თქვა ასეფმა. ქამალმა ნერვული, წიკვინა ხმით ჩაიცინა.

– სანამ ამირს შეეწირები, დაფიქრდი იმაზე, რასაც გეტყვი: ისიც იმავეს გააკეთებდა შენი გულისთვის? ვერ ხვდები, რატომ არასოდეს არ გეთამაშება, როცა სტუმრები ჰყავს? რატომ ახსენდები მხოლოდ მაშინ, როცა მეტი არავინ არის მის გარშემო? მე გეტყვი, თუ ვერ ხვდები. იმიტომ, რომ მისთვის შენ მხოლოდ ერთი მახინჯი შინაური ცხოველი ხარ. გეთამაშება, როცა მოწყენილია, თუ არა და ფეხს გკრავს და გაგდებს. თავს ნუ იტყუებ და ნუ გგონია, რომ მისთვის უფრო მეტი ხარ, ვიდრე გითხარი.

– მე და ამირ-აღა მეგობრები ვართ, – თქვა ჰასანმა. სახეზე ალმური მოედო.

– მეგობრები? – გაიცინა ასეფმა. – რა იდიოტი ხარ! როდესმე გამოერკვევი მაგ სიზმრიდან. აბა, ბასტა! მორჩა, მომეცი ფრანი!

ჰასანი დაიხარა და ქვა აიღო.

ასეფი შეკრთა. უკან გადადგა ნაბიჯი, შემდეგ შეჩერდა, – ბოლო შანსი გაქვს, ჰაზარა. ჰასანმა ხელი შემართა.

– როგორც გინდა, – ასეფმა პალტოს ღილები შეიხსნა. გაიხადა. ფრთხილად დაკეცა და კედელთან დადო.

პირი გავაღე და კინაღამ დავიყვირე, კინაღამ... მთელი ჩემი ცხოვრება სხვაგვარად წარიმართებოდა, მაშინ მართლა რომ მეყვირა, მაგრამ მხოლოდ ვუცქერდი, დამბლადაცემულივით უმოქმედო ვიყავი.

ასეფმა ხელით ანიშნა და ბიჭებმა ნახევარწრე შეკრეს, ჰასანი შუაში მოიმწყვდიეს.

– გადავიფიქრე, – თქვა ასეფმა, – გქონდეს ეგ ფრანი, რომ ყოველდღე გაგახსენოს ის, რასაც ახლა გავაკეთებ.

ჰასანმა ქვა გაუქანა და შიგ შუბლში თხლიშა. ასეფმა შეჰყვირა, ჰასანს ეცა, მიწაზე დააგდო. ვალი და ქამალი ჰასანს დააცხრნენ.

მუშტზე ვიკბინე, თვალები დავხუჭე.

გაიხსენე!

შენ და ჰასანი ძუძუმტეები ხართ, თქვენს ძიძას საქინა ერქვა სახელად, მწყაზარი ლურჯთვალა ბამიანელი; ძველ საქორწინო სიმღერებს გიმღეროდათ. ძმობას რა ვუყოთ, ამირ, ძუძუმტეების ძმობას?

გაიხსენე!

– ერთი რუპია და სიმართლეს ფარდას ავხდი, – მოხუცი ნათელმხილველი თიხის მაგიდასთან ზის, უსინათლოა, აპკგადაკრული თვალები ჩამქრალ კრატერებს მიუგავს.

ერთი ხელით ჯოხს ეყრდნობა, მეორეს დაშაშრულ სახეზე ისვამს: – ერთი რუპია სიმართლეში, განა ბევრია?

ჰასანი და მე ხურდას ვუყრით დაკოჟრილ ხელის გულში, – ალაჰი იყოს თქვენი შემწე, – ჩურჩულებს მოხუცი. გარქოვანებული ფრჩხილით ჰასანის ხელის გულზე წრეს ხაზავს, შემდეგ სახეზე გადადის, ყვრიმალებისა და ყურების გარშემო ავლებს თითს, ბოლოს თვალებზე უსვამს. ხელი ჩერდება. მოხუცს სახე ეშლება. მე და ჰასანი ერთმანეთს ვუყურებთ. მოხუცი ჰასანს რუპიას უბრუნებს. ჩემკენ ბრუნდება. – აბა, ახლა შენ, – მეუბნება მე. კედლის იქით მამალი ყივის. მოხუცი ჩემკენ იწევს. ხელი უკან მიმაქვს.

სიზმარი

ქარბუქია. დავიკარგე. ქარი წივის, თოვლის ნამქერს თვალებში მაყრის. გზას ძლივს ვიკვლევ. შველას ვითხოვ, მაგრამ ქარი ახშობს ჩემს ხმას. ვეცემი, სულს ვერ ვითქვამ, თოვლმა გადამფარა, ჩემს ნაკვალევს შლის, აღარ ვარ, აჩრდილი ვარ. აჩრდილი კვალს არ ტოვებს. ვყვირი. ამჯერად პასუხი მესმის. როგორღაც ვახელ თვალებს და წამოჯდომას ვახერხებ. თოვლის ფარდის მიღმა ვიღაც მოძრაობს, თანდათან კარგად ნაცნობი ფიგურა იკვეთება. ხელს მიწვდის, ხელის გულზე ორი ღრმა ჭრილობა აქვს, სისხლი სდის, სისხლი თოვლს წითლად ღებავს. მის ხელს ვეჭიდები და უეცრად თოვლი ქრება. მწვანე მინდორში ვართ, ცაზე თეთრი ღრუბლები სრიალებენ. ზევით ვიხედები, ცა სავსეა მზის შუქზე მოციმციმე მწვანე, ყვითელი, წითელი, ნარინჯისფერი ფრანებით.

ჩასახვევი ნაგავსაყრელად იყო ქცეული. ველოსიპედის დაგლეჯილი საბურავები, იარლიყახეული ბოთლები, დაფლეთილი ჟურნალები, გაყვითლებული გაზეთები მიმოფანტული იყო აგურებსა და ცემენტის ფილებს შორის. კედელთან ჟანგიანი, გვერდგამოგლეჯილი თუჯის ღუმელი ეგდო. ორ რამეს ვამჩნევდი მხოლოდ: ღუმელზე ლურჯ ფრანს და აგურების ნამსხვრევებზე ჰასანის ველვეტის შარვალს.

– არ ვიცი, – თქვა ვალიმ, – მამაჩემი ამბობს, ცოდვააო, – მერყეობდა, ეშინოდა, ღელავდა, ყველაფერი ერთად. ჰასანი მკერდით მიწაზე იყო გაკრული. ქამალმა და ვალიმ მკლავები ზურგზე გადაუგრიხეს, ასეფი ფეხით კისერს უჭერდა.

– მამაშენი ვერ გაიგებს, – თქვა ასეფმა, – თანაც ცოდვა არ უნდა იყოს ამ თავხედი ვირისთვის ჭკუის სწავლება.

– რა ვიცი, – წაილუღლუღა ვალიმ.

– როგორც გინდა, – თქვა ასეფმა. ქამალს მიუბრუნდა. – შენ?

– რა მე?

– ერთი ჰაზარაა და მეტი არაფერი, – მაგრამ ქამალი გვერდზე იყურებოდა.

– ძალიან კარგი, – ხმაში გაღიზიანება ეტყობოდა, – სუსტები ხართ, სუსტები! პირქვე გეჭიროთ, ამას მაინც მოახერხებთ?

ვალიმ და ქამალმა თავი დაუქნიეს. ეტყობოდათ, რომ შვებით ამოისუნთქეს.

ასეფი ჰასანის უკან მუხლებზე დადგა, ხელები თეძოებზე წაავლო და შიშველი დუნდულები ზევით აუწია, ცალი ხელით ქამრის ბალთა შეიხსნა, ელვა ჩაიხსნა, საცვალი გაიხადა, თავისკენ მიიზიდა. ჰასანი აღარ იბრძოდა, თავს აქნევდა მხოლოდ. დანებდა, შესაწირი ცხვარივით მორჩილი თვალებით იყურებოდა.

ხვალ მუსლიმანური კალენდრის ბოლო თვის – ზულჰიჯა – მეათე და იიდ ადადჰას, ანუ ყურბან ბაირამის სამდღიანი დღესასწაულის პირველი დღეა. ამ დღეს მოციქულმა იბრაჰიმმა თავისი ვაჟი ალაჰისთვის შესაწირად გაიმეტა. დასაკლავი ცხვარი ბაბამ შეარჩია, მონაცრისფრო თეთრი იყო, შავი ყურებით.

ჰასანი, ალი, ბაბა და მე უკანა ეზოში ვართ. მოლა ლოცვას ამბობს. ბაბა ჩურჩულებს: – მორჩი რა, დაამთავრე! ხორცი ალაჰისგან ნებადართული ანუ ჰალალ უნდა გახდეს, ამიტომაც მოლა ხანგრძლივ რიტუალს ატარებს. ბაბას აღიზიანებს გაუთავებელი ლოცვები და საერთოდ ყველაფერი, რაც რელიგიას უკავშირდება, მაგრამ პატივს სცემს ყურბან ბაირამის ტრადიციას. ჩვეულების მიხედვით, ხორცი სამად იყოფა: ერთი ნაწილი ოჯახს, მეორე მეგობრებს, მესამე ღარიბებს. ყოველ წელიწადს ბაბა ხორცს მხოლოდ ღარიბებს ურიგებს. მდიდრები უკვე კარგად არიან ჩასუქებულებიო, ამბობს.

მოლა ლოცვას ამთავრებს. ამინ! დიდ სამზარეულოს დანას იღებს. ადათის მიხედვით ცხვარმა დანა არ უნდა დაინახოს. ალი ცხვარს შაქარს აჭმევს. დე, სიკვდილი ტკბილი იყოს მისთვის. კიდევ ერთი ადათი. მოლა ცხვარს კისერზე ადებს დანას. სანამ გაწაფული ხელის ერთი მოსმით გამოჭრის ყელს, ცხვრის თვალებს ვხედავ. ეს თვალები ხანგრძლივ ღამის კოშმარად მექცა. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ყოველ წელიწადს ვესწრები ამ რიტუალს. ალბათ იმიტომ, რომ მოსვენებას არ მაძლევს ცხვრის თვალებში ამოკითხული მორჩილება.

ვეღარ გავუძელი, გავტრიალდი. მაჯაზე უჩვეულო სითბო ვიგრძენი, თვალები დავახამხამე. მივხვდი, რომ ვტიროდი. ასეფის ხშირი, რიტმული ხვნეშა მესმოდა. კიდევ მაქვს შანსი ჩემი ბედის ბორბალი სხვა მხარეს დავატრიალო. ერთი ნაბიჯი და ჩასახვევში ვიქნები, ჰასანს გამოვექომაგები და რაც იქნება, იქნება... ან უნდა გავიქცე.

გაქცევა ვამჯობინე.

მშიშარა ვიყავი. მზაფრავდა იმაზე ფიქრი, რაც ასეფს შეეძლო გაეკეთებინა, ტკივილს ვერ გავუძლებდი. გავიქეცი, ჰასანს ზურგი შევაქციე, ჰასანს, რომელიც ჩემი გულისთვის დაუფიქრებლად დათმობდა სიცოცხლეს. ჩემი თავი დავარწმუნე, რომ გაქცევის ნამდვილი მიზეზი შიში კი არა, სხვა რამ იყო. გულის სიღრმეში ვეთანხმებოდი ასეფს; უფასო არაფერია, ამქვეყნად ყველაფერს თავისი ფასი აქვს. ბაბას სიყვარულის მოსაპოვებლად ჰასანი ბატკანივით უნდა შემეწირა. ეს იყო სამართალი? პასუხი თავისთავად ამოტივტივდა: აბა რა, ერთი ჰაზარაა, მეტი ხომ არაფერი?

ბაზრისკენ გავიქეცი. ერთ ჯიხურთან გავჩერდი და ჩაკეტილ კარს მივეყრდენი. სულს ძლივს ვითქვამდი, ოფლი წურწურით ჩამომდიოდა. რა მოხდებოდა, ყველაფერი სხვაგვარად ყოფილიყო...

თხუთმეტ წუთში ჩქარი ნაბიჯების ხმა შემომესმა. ჯიხურის უკან ჩავიცუცქე. ასეფი და მისი ორი მეგობარი სიცილით მირბოდნენ უკაცრიელი შუკისკენ. ათი წუთი მოვიცადე. შემდეგ გადათხრილ ბილიკს გავყევი. საღამოს ბინდში ჰასანი გამოჩნდა, ჩემკენ მოდიოდა. ხევის პირას, ფოთოლგაცვენილ არყის ხესთან შევხვდი.

მაშინვე შევნიშნე, რომ ხელში ლურჯი ფრანი ეჭირა. ვერ ვიცრუებ და ვიტყვი, რომ კარგად დავაკვირდი, მთელი იყო თუ არა ჩემი ფრანი. ჰასანის ჩაპანი ტალახით იყო

მოთხვრილი, პერანგი საყელოსთან ჰქონდა გაგლეჯილი. გაჩერდა. ფეხზე ძლივს იდგა. მეგონა დაეცემოდა, მაგრამ თავი შეიკავა. ფრანი გადმომცა.

– სად იყავი? გეძებდი, – ძლივს ამოვილუღლუღე.

სახეზე სახელო გაისვა, ცინგლი და ცრემლი მოიწმინდა. არ მიპასუხა. კიდევ კარგი, ბინდი ჩამოწვა და გარკვევით ვერ ვხედავდით ერთმანეთის სახეებს. არ მინდოდა მისთვის თვალებში შეხედვა? იცოდა, რომ ვიცოდი? თუ იცოდა, რას დავინახავდი, პირდაპირ თვალებში რომ შემეხედა? საყვედურს? გულისწყრომას? თუ რისიც ყველაზე ძალიან მეშინოდა – სულელობამდე მისულ ერთგულებას? ყველაზე მეტად ეს არ მინდოდა. რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ხმა გაებზარა. გაჩუმდა, კიდევ დააპირა და ისევ გაჩუმდა. ნაბიჯი უკან გადადგა და სახე მოიწმინდა. ლაპარაკი რომ წამოეწყო, ალბათ ტირილს ვერ შეიკავებდა. ჩემდა სასიკეთოდ, ასე არ მოხდა. თავის მოკატუნება ვარჩიე. ვითომ ვერ შევნიშნე, როგორ უკანკალებდა ხმა, ვერც ის, ფეხებშორის სისხლი რომ სდიოდა და ვერც ის, სისხლი თეთრ თოვლს წითლად რომ ღებავდა.

– საჰიბ-აღა ალბათ ღელავს, – მხოლოდ ეს თქვა და გზა განვაგრძეთ.

ყველაფერი ისე მოხდა, როგორც წარმოდგენილი მქონდა. კარი შევაღე და ბაბას სიგარეტის კვამლით გაბოლილ ოთახში შევაბიჯე. ბაბა და რაჰიმ-ხანი ჩაის სვამდნენ და ახალ ამბებს უსმენდნენ. ჩემკენ მოიხედეს. ბაბას სახე გაებადრა, მკლავები გაშალა. ფრანი დავდე და ჩავეხუტე, თავი მის მკერდში ჩავრგე, ტირილი დავიწყე. ბაბა მეხვეოდა და მარწევდა. მის მკლავებში მოქცეულს დამავიწყდა, რაც ჩავიდინე. ოდნავ მომეშვა.

<u>თავი მერვე</u>

ერთი კვირა ისე გავიდა, ჰასანისთვის თვალი არ მომიკრავს. დილით სამზარეულოს მაგიდაზე დაბრაწული პური, ჩაი და მოხარშული კვერცხი მხვდებოდა. ტანსაცმელი დაუთოებული და დაკეცილი ეწყო მოწნულ სკამზე. აქ მიცდიდა ხოლმე ჰასანი, სანამ სასაუზმოდ მივუჯდებოდი მაგიდას. ცოტას ვისაუბრებდით, მერე მე საუზმეს ვიწყებდი, ის უთოობას. უთოს სისინს ძველ ჰაზარულ სიმღერას ააყოლებდა ხოლმე. ახლა დილაობით ჰასანის ნაცვლად დაკეცილი ტანსაცმელი და გაწყობილი მაგიდა მესალმებოდა. საჭმელს ვტოვებდი, ლუკმა ყელში მეჩხირებოდა.

ერთ უჟმურ დღეს თეფშზე მოხარშულ კვერცხს ვაგორებდი. ამ დროს ალი შემოვიდა და დაჩეხილი შეშის გროვა შემოიტანა. ჰასანი სად არის-მეთქი, ვკითხე.

– ისევ დაიძინა, – თქვა ალიმ. ღუმელის წინ მუხლებზე დადგა. პატარა ოთხკუთხა კარი გამოაღო.

– შეძლებს დღეს თამაშს?

ალის შეშის ნაჭერი ხელში შერჩა.

– ბოლო ხანს სულ ძილი უნდა. მიალაგ-მოალაგებს და ისევ საბნის ქვეშ ძვრება. შეიძლება, რაღაც გკითხო?

– მკითხე.

– ფრანების შეჯიბრის შემდეგ სახლში სისხლიანი და ტანსაცმელშემოხეული დაბრუნდა. ასე მითხრა, ფრანის გამო ბიჭებთან ვიჩხუბეო.

ხმა არ გავეცი. ისევ კვერცხს ვაგორებდი.

– რამე ხომ არ შეემთხვა, ამირ-აღა? ისეთი, რისი თქმაც არ უნდა?

მხრები ავიჩეჩე.

– საიდან უნდა ვიცოდე?

– ხომ მეტყოდი, ამირ-აღა, რამე რომ შემთხვეოდა? ინშალლა, მეტყოდი, არა?

– უკვე გითხარი, არ ვიცი-მეთქი. საიდან უნდა ვიცოდე? იქნებ ავად არის? ადამიანები ზოგჯერ ავად ხდებიან. ახლა რა გინდა, გავიყინო თუ შეუკეთებ ღუმელს?

იმ ღამეს ბაბას ვთხოვე, რომ პარასკევს ჯალალაბადში წავეყვანე. თავის მაგიდასთან, ტყავის სარწეველა სავარძელში იჯდა და გაზეთს კითხულობდა. გაზეთი გადადო, სათვალე მოიხსნა. რაში სჭირდებოდა ეს იდიოტური სათვალე? ვერ ვიტანდი, სათვალე რომ ეკეთა. ბაბა სულაც არ იყო მოხუცი, ჯერ ძალიან მხნედ იყო.

– რატომაც არა! – თქვა ბაბამ. ბოლო ხანს ყველა თხოვნას მისრულებდა. უფრო მეტიც, ორი დღის წინ თვითონ მკითხა, კინოთეატრ „არიანაში“ ხომ არ წავიდეთ „ელ სიდის“ სანახავადო. ფილმში ჩარლტონ ჰესტონი თამაშობდა.

– გინდა, ჰასანიც წავიყვანოთ ჯალალაბადში?

ყველაფერი გააფუჭა.

– ჰასან მაზრიის, ცუდად არის, – ვთქვი მე.

– მართლა? – სავარძელი გააჩერა, – რა მოუვიდა?

მხრები ავიჩეჩე. ბუხართან, სოფაზე მივწექი, – გაცივდა, ალი ამბობს, ძილში გამოდისო.

– რამდენიმე დღეა არ მინახავს, – თქვა ბაბამ. – მაშ, გაცივდა და მეტი არაფერი?

ბაბა შეწუხდა, წარბები შეკრა. კარგი, რა! ამდენი ზრუნვის გამოხატვა ჰასანის მიმართ მაგიჟებდა.

– გაცივდა და მეტი არაფერი. მივდივართ თუ არა?

– კი, კი, – თქვა ბაბამ, – ცუდია, ჰასანი რომ არ მოდის, უფრო კარგად გაერთობოდი.

– ჩვენ ორნიც კარგად გავერთობით, – ვთქვი მე. ბაბამ გამიღიმა. თვალი ჩამიკრა.

– თბილად ჩაიცვი, – თქვა მან.

ორნი უნდა ვყოფილიყავით. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეგონა, მაგრამ ოთხშაბათს საღამოს გაირკვა, რომ ბაბამ ორი დუჟინი ხალხის დაპატიჟება მოახერხა. თავის გარეშე ბიძაშვილს, სახელად ჰომაიონს, დაურეკა და უთხრა, რომ პარასკევს ჯალალაბადში მივდიოდით. ჰომაიონმა საფრანგეთში მიიღო საინჟინრო განათლება. მას ჯალალაბადში დიდი სახლი ჰქონდა. მზად იყო, სიხარულით მიეღო სტუმრები. ჩამოთვალა, ვისაც წამოიყვანდა: თავის ბავშვებს, თავის ორ ცოლს, თავის ბიძაშვილს შაფიკას ოჯახით; შაფიკა ახლა თავის ბიძაშვილთან, ნადერთან იყო სტუმრად, ამიტომ იმასაც პატიჟებდა, თუმცა ჰომაიონს და ნადერს პატარა უთანხმოება ჰქონდათ ერთმანეთთან, მაგრამ არა უშავს; თუ ნადერს პატიჟებდნენ, მისი ძმა ფარუქიც აუცილებლად უნდა წამოეყვანათ ოჯახთან ერთად, თორემ შეიძლება სწყენოდა და შემდეგ თვეს მისი ქალიშვილის ქორწილში ვერ მიეღოთ მიწვევა...

სამი მიკროავტობუსი შევავსეთ. მე, ბაბა, რაჰიმ-ხანი და კაკა ჰომაიონი ერთად ვმგზავრობდით. კაკა ბიძიას ნიშნავს, ხალა ბიცოლას. ასე მიმართავენ ავღანეთში ასაკით უფროს ადამიანებს. კაკა ჰომაიონის ორი ცოლიც ჩვენთან ერთად მგზავრობდა. უფროს ცოლს ვიწრო სახე და მეჭეჭიანი ხელები ჰქონდა, უმცროსს სუნამოს სურნელი ასდიოდა და დახუჭული თვალებით ცეკვის რიტმებს ჰყვებოდა. ზუსტად თავის მსგავსი ტყუპი გოგოები ჰყავდა. მე უკანა რიგში ვიჯექი კაკა ჰომაიონის ტყუპებს შორის. გული მერეოდა და თავბრუ მესხმოდა. ჯალალაბადამდე ორი საათის გზაა. გზა მთაშია გაჭრილი. ყოველ მოსახვევში მუცელი მგვრემდა. მიკროავტობუსში ყველა ერთად ლაპარაკობდა, უფრო სწორად, ყვიროდა. ავღანეთში ეს ჩვეულებრივი რამ არის. ერთ-ერთ ტყუპის ცალს, ფაზილას თუ ქარიმას (ვერ ვარჩევდი ერთმანეთისგან) ვთხოვე, ადგილი გაეცვალა ჩემთვის და ფანჯარასთან გადავესვი. ვერ ვიყავი კარგად, სუფთა ჰაერის ჩასუნთქვა მინდოდა. ენა გამომიყო და არაო, მითხრა. ძალიან კარგი, მაგრამ მაგ ახალ კაბაზე რომ დაგარწყიო, ნუ გაგიკვირდება-მეთქი, ვუთხარი. ერთწუთში უკვე ფანჯარაში მქონდა თავი გაყოფილი. ოღროჩოღრო გზა კუდს იქნევდა მოსახვევებში. სატვირთო მანქანების დათვლა დავიწყე. თვალები დავხუჭე, სახე ნიავს მივუშვირე და ჰაერი ჩავისუნთქე. ისევ ცუდად ვგრძნობდი თავს. ფაზილა/ქარიმამ გვერდში თითი წამკრა.

– რა იყო?

– შეჯიბრის შესახებ ვყვებოდი, ამირ, ასი ფრანი მაინც იქნებოდა იმ დღეს ცაზე, არა? – ამბობდა ბაბა.

– ალბათ, – წავილუღლუღე.

კაკა ჰომაიონი და მისი ცოლები შუა რიგიდან მიღიმოდნენ.

– ასი ფრანი, ჰომაიონჯან, არ ვტრაბახობ. დღის ბოლოს მხოლოდ ამირის ფრანი იყო დარჩენილი. დამარცხებულ ლურჯ ფრანს ბოლომდე სდიეს ჰასანმა და ამირმა და ზუსტად გათვალეს, სად დაეშვებოდა. ახლა სახლში გვაქვს ის ფრანი.

– გილოცავთ! – თქვა კაკა ჰომაიონმა. მისი პირველი ცოლი მეჭეჭიანი ხელებით უკრავდა ტაშს.

– ძალიან ვამაყობთ შენით, ამირ-ჯან, – თქვა მან. მერე ყველამ ერთად დასცხო ტაში, საქებარ სიტყვებს არ იშურებდნენ. ჩვენი სიამაყე ხარო, მეუბნებოდნენ. მხოლოდ რაჰიმ-ხანი იყო ჩუმად, რაღაც უცნაურად მიყურებდა.

– გააჩერე რა, ბაბა, – ვთქვი მე.

– რა იყო?

– ცუდად ვარ, – წავიჩურჩულე. ღებინება მეწყებოდა, ფაზილა/ქარიმას კაბა დასვრას ვერ ასცდებოდა.

ფაზილა/ქარიმას სახე დაებრიცა, – გააჩერე, კაკა! ნახე, რა ფერი აქვს, არ მინდაა, კაბას დამისვრიის! – დაიწყო ჭყიპინი.

ბაბამ მანქანა გააჩერა, მაგრამ უკვე გვიან იყო. ქვაზე ჩამოვჯექი, სანამ მანქანას ანიავებდნენ. ბაბა და კაკა ჰომაიონი სიგარეტს ეწეოდნენ. ფაზილა/ქარიმა ტიროდა. ჯალალაბადში რომ ჩავალთ, ახალ კაბას გიყიდიო, ეუბნებოდა მამამისი. თვალები დავხუჭე, სახე მზეს მივუფიცხე. ქუთუთოების უკან ჩრდილებმა დაიწყეს წრიალი,

იგრიხებოდნენ, ერთმანეთში იხლართებოდნენ და ბოლოს კედელთან, აგურების გროვაზე მიგდებულ, ჰასანის ველვეტის შარვლის სახეს იღებდნენ. კაკა ჰომაიონის თეთრ ორსართულიან სახლს დიდი აივანი ჰქონდა. აივანი გალავანშემორტყმულ ვაშლისა და ხურმის ბაღს გადაჰყურებდა. საცურაო აუზი ფირუზისფერი ფილებით იყო მოპირკეთებული.

აუზის კიდეზე ჩამოვჯექი. ფსკერზე ჭუჭყიანი თოვლი იდო. კაკა ჰომაიონის ბავშვები დახუჭობანას თამაშობდნენ. ქალები საჭმელს ამზადებდნენ. სამზარეულოდან ჩაშუშული ნივრის სუნი გამოდიოდა. მუსიკის, სიცილის, ტაფების შიშხინის ხმა ისმოდა. ბაბა, რაჰიმ-ხანი, კაკა ჰომაიონი და კაკა ნადერი აივანზე ისხდნენ, რაღაცას ჰყვებოდნენ. კაკა ჰომაიონი ამბობდა, პროექტორი მაქვს წამოღებული და საფრანგეთის სლაიდებს გაჩვენებთო. ათი წლის წინ დაბრუნდა საფრანგეთიდან და ხალხს კიდევ იმ სულელურ სლაიდებს უჩვენებდა.

თითქოს ყველაფერი კარგად იყო. მე და ბაბა დავმეგობრდით. რამდენიმე დღის წინ ზოოპარკშიც წავედით ლომი მარიჯანის სანახავად. დათვების გალიასთან რომ მივედით, ერთ დათვს კენჭი ვესროლე ისე, რომ ვერავის დავენახე. მერე „სინემაპარკის“ წინ დადხოდას საქაბაბეში შევედით. ცხვრის ქაბაბი და თონეში გამომცხვარი ცხელ-ცხელი ნაანი ვჭამეთ. ბაბა ინდოეთში და რუსეთში მოგზაურობის ამბებს მიყვებოდა. ბომბეიში, თურმე, უხელ-ფეხო ცოლ-ქმარი უნახავს, ორმოცდაშვიდი წელი ერთად გაუტარებიათ და თერთმეტი შვილი გაუზრდიათ. ბაბასთან ერთად დღის გატარება, მისი მოსმენა და მასთან საუბარი – ეს არ იყო, რაზეც ვოცნებობდი? როგორც იქნა, ყველაფერი ისე იყო, როგორც მინდოდა, მაგრამ შინაგანად ისეთი ცარიელი ვიყავი, როგორც ეს აუზი, სადაც ახლა ფეხები მქონდა ჩაკიდებული.

მზის ჩასვლამდე ცოლებმა და ქალიშვილებმა სუფრა გააწყეს: ბრინჯი, კოფტა, ქათმის ქურმა. ტრადიციული წესით, ბალიშებზე დამსხდრებმა ვისადილეთ. სუფრა იატაკზე იყო გაშლილი, ხელით ვჭამდით, ყოველ ოთხ კაცზე ერთი საერთო თეფშიდან. არ მშიოდა, მაგრამ მაინც დავჯექი. მე, ბაბა, კაკა ფარუქი, კაკა ჰომაიონი და მისი ორი ვაჟი ერთად ვისხედით. ბაბას უკვე გადაკრული ჰქონდა და ისევ შეჯიბრზე ლაპარაკობდა. ჰყვებოდა, როგორ დავამარცხე ყველა და როგორ დავბრუნდი ფრანით ხელში სახლში. ოთახში მხოლოდ ბაბას ხმა ისმოდა. კიდევ ერთხელ მომილოცეს. კაკა ფარუქი სუფთა ხელს ბეჭზე მისვამდა. ისე ვგრძნობდი თავს, გეგონებოდათ, თვალში დანას მიყრიდნენ.

შუაღამეს კარგად იყო გადაცილებული, როცა კაცებმა პოკერის თამაში დაამთავრეს და პარალელურად დაგებულ ლეიბებზე დაწვნენ დასაძინებლად. ქალები ზედა სართულზე ავიდნენ. ერთი საათი გავიდა, მაგრამ თვალს ვერ ვხუჭავდი. მესმოდა, როგორ ხვრინავდნენ, ხვნეშოდნენ და ბურტყუნებდნენ ძილში ჩემი ნათესავები. გვერდიდან გვერდზე ვტრიალებდი, ბოლოს წამოვჯექი. ფანჯრიდან მთვარის შუქი შემოდიოდა.

– მე ვუყურე, როგორ აუპატიურებდნენ ჰასანს, – ვთქვი ხმამაღლა. ბაბა ძილში გადაბრუნდა. კაკა ჰომაიონმა რაღაც ჩაიბურტყუნა. ნეტავ ვინმეს გაეგონა. ამ საშინელი საიდუმლოებით როგორ უნდა მეცხოვრა? მაგრამ არავის გაუღვიძია. სიჩუმე იყო. მივხვდი, რომ ეს წყევლა იყო და ბოლომდე უნდა მეტარებინა.

ჰასანის სიზმარი გამახსენდა. ტბაში არავითარი ურჩხული არ არისო, ამბობდა. შეცდა. მე ვიყავი ის ურჩხული, მე ვტაცე ფეხებში ხელი და ტალახიან ფსკერზე ჩავითრიე. იმ ღამის შემდეგ უძილობა დამჩემდა.

მომდევნო კვირამდე ჰასანთან არ მილაპარაკია. მაგიდასთან ვიჯექი და ვსაუზმობდი. ჰასანი ჭურჭელს რეცხავდა. ნახევარზე მეტი საუზმე ხელუხლებელი დავტოვე და ზევით ასვლა დავაპირე. ამ დროს ჰასანმა მკითხა, ჩვენს გორაკზე ხომ არ ავიდეთო. დაღლილი ვარ-მეთქი, ვუთხარი. ჰასანიც დაღლილი ჩანდა. წონაში დაიკლო, შეშუპებული თვალების ქვეშ რუხი რკალები ეტყობოდა. კიდევ ერთხელ მთხოვა და უარი ვეღარ ვუთხარი.

ტალახიან თოვლში ბოტებს მივატყლაპუნებდით. არც ერთს ხმა არ ამოგვიღია. ჩვენი ბროწეულის ხის ქვეშ დავსხედით და მივხვდი, რომ შეცდომა დავუშვი – ჩემი ხელით ხეზე ამოკვეთილი სიტყვები: „ამირ და ჰასან, ქაბულის სულთნები“... არა, ამას ვეღარ გავუძლებდი.

„შაჰნამე“ გადავშალე, მაგრამ ვერ წავიკითხე. სახლში დავბრუნდეთ-მეთქი, ვუთხარი. ჰასანმა მხრები აიჩეჩა. ისევ ისე, უხმოდ დავეშვით. პირველად მომინდა, რომ გაზაფხული მალე დამდგარიყო. 1975 წლის ზამთრის სხვა მოგონებები გაფერმკრთალდა. მახსოვს, მიხაროდა, ბაბა რომ შინ იყო, ერთად ვსადილობდით, კინოში, კაკა ჰომაიონთან, კაკა ფარუქთან სტუმრად ერთად დავდიოდით. ზოგჯერ რაჰიმ-ხანი გვეწვეოდა ხოლმე და ბაბა ნებას მრთავდა, მათთან ერთად ჩაი დამელია. ჩემი მოთხრობებიც კი წავუკითხე.

ყველაფერი კარგად იყო და დავიჯერე, რომ მუდამ ასე იქნებოდა. რაც მთავარია, ბაბასაც ასე სჯეროდა. ფრანების შეჯიბრის შემდეგ მე და ბაბა ილუზიაში ვცხოვრობდით, თითქოს ერთმანეთი აღმოვაჩინეთ. სინამდვილეში ორივე თავს ვიტყუებდით. განა ქაღალდით, წებოთი და ბამბუკით აწყობილი სათამაშო ამოავსებდა იმ უფსკრულს რაც ჩვენ შორის იყო?

როცა ბაბა შინ არ იყო, ჩემს ოთახში ვიკეტებოდი. ორ დღეში ერთხელ ახალ წიგნს ვკითხულობდი, მოთხრობებს ვწერდი, ცხენებს ვხატავდი და სამზარეულოდან ჩაიდნის სტვენასა და ვერცხლის ჯამ-ჭურჭლის წკარუნს ვუგდებდი ყურს. სასაუზმოდ მხოლოდ მაშინ ჩავდიოდი, როცა კარის მიხურვის ხმას გავიგონებდი და დავრწმუნდებოდი, რომ ჰასანი იქ აღარ იყო. კალენდარზე სწავლის განახლების პირველი დღე მოვნიშნე და ათვლა დავიწყე.

ჩემდა სამწუხაროდ, ჰასანი კვლავ ცდილობდა ჩვენ შორის ურთიერთობის მოგვარებას. ერთხელ ჩემს ოთახში აივენჰოს სპარსულ თარგმანს ვკითხულობდი, ჰასანმა კარზე დააკაკუნა.

– რა იყო? – ჩაკეტილი კარიდან გავძახე.

– საცხობში მივდივარ ნაანის საყიდლად, ხომ არ წამოხვალ?

– უნდა წავიკითხო, – ვთქვი მე, თან საფეთქლებს ვიზელდი. მას მერე ჰასანს თვალს მოვკრავდი თუ არა, თავი მტკივდებოდა.

– მზიანი დღეა, – თქვა მან.

– ვხედავ.

– კარგი იქნებოდა გასეირნება.

– ჰოდა, გაისეირნე.

– მინდა, რომ შენც წამოხვიდე, – კარს რაღაც მიეჯახა, ალბათ მისი შუბლი, – რა დავაშავე, ამირ-აღა, მითხარი. გამაგებინე, რატომ აღარ მეთამაშები.

– არაფერი დაგიშავებია, ჰასან. უბრალოდ, წადი.

– რა აღარ გავაკეთო, ამირ-აღა, მითხარი.

თავი საკუთარ კალთაში ჩავრგე და მუხლები მარწუხებივით შემოვიჭირე.

– გეტყვი, არაფერი აღარ გააკეთო, შემეშვი, წადი, – მოკლედ მოვუჭერი, – შემეპასუხე ჰასან, ან კარი შემოამტვრიე, მეჩხუბე, ჰასან, მეჩხუბე, – გავიფიქრე, მაგრამ ერთ წუთში კარი გამოვაღე და ჰასანი იქ აღარ იყო. საწოლზე დავეგდე, თავი ბალიშში ჩავმალე და ტირილი დავიწყე.

ამ ამბის შემდეგ ჰასანი ჩემი თვალსაწიერიდან გაქრა. ვცდილობდი, ისე დამეგეგმა ჩემი დღე, რომ ჩვენი გზები არ გადაკვეთილიყო. იქ, სადაც ჰასანი იყო, ჰაერი იშვიათდებოდა, უჟანგბადობა მხუთავდა, სუნთქვა მეკვროდა. პირისპირ აღარ ვხვდებოდით ერთმანეთს, მაგრამ მისი არსებობა ყველაფერში იგრძნობოდა. ისევ ისე მხვდებოდა ბუხარში დანთებული ცეცხლი, მოწნულ სკამზე დაწყობილი დაკეცილი ტანსაცმელი და თბილი ჩუსტები. ყველაფერს მისი წყეული, უსაზღვრო ერთგულების კვალი ეტყობოდა.

იმ გაზაფხულზე, სწავლის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, მე და ბაბა ტიტებს ვრგავდით ბაღში. თოვლი დნებოდა და მთებზე მწვანე ბალახი პატარა, მუქი ლაქებივით მოჩანდა. გრილი, მოღრუბლული დღე იყო. ბაბა მიწას ჩიჩქნიდა, მე გვერდით ვედექი, ტიტების ძირებს ვაწოდებდი. ხალხს რომ ჰკითხო, ტიტების დარგვა შემოდგომაზე ჯობს, მაგრამ მე ასე არ მგონიაო, ამბობდა ბაბა. სწორედ ამ დროს დავაბრეხვე:

– ბაბა, მსახურების შეცვლა არასოდეს გიფიქრია?

ტიტის ძირი ხელიდან გაუვარდა, ნიჩაბმა ბრაგვანი მოადინა ტალახში. ხელთათმანები მოიხსნა. ელდანაკრავივით იყო.

– რაო? რა თქვი?

– უბრალოდ გეკითხები.

– უნდა მინდოდეს მათი შეცვლა? – სწრაფად მოჭრა.

– არ უნდა გინდოდეს, უბრალოდ გკითხე, – თანდათან ხმა მივარდებოდა. უკვე ვნანობდი, რომ შევეკითხე.

– შენ და ჰასანს შორის ხდება რაღაც, არა? რაც უნდა იყოს, შენ მოგიწევს მოგვარება. იცოდე, მე განზე ვდგები.

– ბოდიშს გიხდი, ბაბა.

ისევ გაიკეთა ხელთათმანები.

– მე და ალი ერთად გავიზარდეთ, – კბილებში გამოსცრა, – მამაჩემს შვილივით უყვარდა. ორმოცი წელი ჩვენს ოჯახში გაატარა, ორმოცი წელი და შენ ფიქრობ, რომ უნდა გავაგდო?

– ჩემკენ შემობრუნდა, სახე ტიტებივით წითელი ჰქონდა, – შენთვის ხელი არასოდეს დამირტყამს, ამირ, მაგრამ იცოდე, ამას თუ კიდევ გაიმეორებ... თავი გააქნია, – მრცხვენია შენ გამო. ჰასანი... იცოდე, ჰასანი არასოდეს წავა აქედან, გესმის თუ არა?

დავიხარე და პეშვით მიწა ავიღე, მერე ხელი გავშალე და ვუყურებდი, როგორ იბნეოდა მიწა გაშლილი თითებიდან.

– გაიგე? შენ გეკითხები! – უკვე ღრიალებდა.

– გავიგე, ბაბა.

– ჰასანი არსად არ მიდის, – ამბობდა ბაბა და გაცხარებული თხრიდა მიწას, – ჩვენთან იქნება, ეს მისი სახლია, ჩვენ მისი ოჯახი ვართ. აღარასოდეს გაბედო ამ კითხვის დასმა!

– ბოდიში, ბაბა, მესმის.

დარჩენილი ტიტები სიჩუმეში დავრგეთ.

როგორც იქნა, არდადეგები დასრულდა. შვებით ამოვისუნთქე. სკოლის ეზოში მოსწავლეები ჯგუფებად იდგნენ, ხელში ყველას ახალი რვეული და წათლილი ფანქარი ეჭირა. სეირნობდნენ, საუბრობდნენ და მამასახლისების სასტვენის ხმას ელოდებოდნენ. ბაბას ფორდმუსტანგი ბოლომდე აუყვა ტალახიან ქუჩას და ზუსტად სკოლის შესასვლელთან გაჩერდა. სკოლა ძველ, ფანჯრებჩამტვრეულ, ორსართულიან შენობაში იყო განთავსებული. ჩაბნელებული შესასვლელის კედლებიდან ბათქაში ცვიოდა და აქა-იქ გაცრეცილი ყვითელი საღებავის ფენა ჩანდა. მოსწავლეების უმეტესობა სკოლაში ფეხით დადიოდა. ამიტომ ბაბას შავ მუსტანგს არაერთი აყოლებდა შურიან მზერას. ალბათ ამაყად უნდა გადმოვსულიყავი მანქანიდან, მაგრამ დაბნეულობისა და, რაც მთავარია, საშინელი სიცარიელის გარდა, ვერაფერს ვგრძნობდი. ბაბა არც კი დამემშვიდობა, ისე განაგრძო გზა.

მოვახერხე და თავი ავარიდე ფრანების შეჯიბრის დროს დასერილი ხელების ბიჭებისთვის ჩვენებას. მალე საკლასო ოთახებში გავნაწილდით. უკანა რიგში დავჯექი. ფარსის მასწავლებელმა სახელმძღვანელოები დაგვირიგა. ვლოცულობდი, რომ ბევრი დავალება მოეცა.

ახლა მიზეზიც მქონდა და უფრო მეტ დროს ვატარებდი ჩემს ოთახში. მიზიდულობის ძალა, ინერცია, ატომი და უჯრედები, ანგლო-ავღანური ომები – ამ საკითხებით დაკავებულს ცოტა ხნით მავიწყდებოდა ის საშინელი ამბავი, რომელსაც წინ არ, თუ ვერ აღვუდექი. მალე ფიქრით ისევ ჩასახვევში ვბრუნდებოდი და კედელთან მიგდებული ჰასანის ველვეტის შარვალი და თოვლზე ლაქებად ქცეული სისხლის წვეთები მედგა თვალწინ.

იმ გაზაფხულის ერთ ცხელ, ნისლიან დღეს ჰასანს ვთხოვე ჩემთან ერთად გორაკზე ამოსულიყო. ჩემს ახალ მოთხრობას წაგიკითხავ-მეთქი, დავპირდი. ეზოში სარეცხს ფენდა. ეტყობოდა, რომ აღელდა და ცდილობდა, სწრაფად დაემთავრებინა საქმე.

გზაში ერთი-ორი სიტყვა გადავუგდეთ ერთმანეთს. სკოლის ამბები გამომკითხა. მათემატიკის ახალ მასწავლებელზე მოვუყევი, რომელიც გაკვეთილზე ლაპარაკისთვის ბავშვებს რკინის სახაზავით სცემდა. ჰასანს გააჟრჟოლა და მისურვა, რომ ეს არ გამომეცადა. ჯერჯერობით ბედი მწყალობს-მეთქი, ვუთხარი. ძალიან კარგად მესმოდა, რომ ბედი არაფერ შუაში იყო. მეც ვლაპარაკობდი გაკვეთილებზე, მაგრამ არ მსჯიდნენ, რადგან მამაჩემი მდიდარი და გავლენიანი კაცი იყო.

ბროწეულის ხის ქვეშ, საფლავის ქვაზე დავსხედით. ადრეული ზაფხული იდგა. მალე გამხმარი სარეველა დაფარავს აქაურობას. ჯერჯერობით კი ხშირი წვიმების გამო, მთის

ფერდობები ხასხასა მწვანე ბალახში გაბნეული მინდვრის ყვავილებით იყო მოფენილი. გორაკიდან ხედი ვაზირ აქბარ-ხანის უბანზე იშლებოდა. მზით გაბრწყინებული ბრტყელსახურავიანი თეთრი სახლების ეზოებში გაფენილ სარეცხს ნიავი აცეკვებდა. რამდენიმე ბროწეული მოვწყვიტეთ. წიგნი გადავშალე, მაგრამ მალე გვერდზე გადავდე და წამოვდექი. მიწიდან გახლეჩილი ბროწეული ავიღე.

– რას იზამ, ეს ბროწეული რომ გესროლო? – ვკითხე ჰასანს, თან ბროწეულს ხელში ვათამაშებდი.

დაღარულ სახეზე ღიმილი შეაშრა. ვითომ დაკაცდა? არა, კიდევ უარესი, დაბერდა. ეს ნაოჭები თვალების და პირის გარშემო რაღა იყო? დანით ამოკვეთილი გეგონებოდათ. შეუძლებელია! თუმცა რატომ, განა მე თავად არ ვეცადე, რომ ჩემი ბასრი დანის ნაკვალევი დამჩნეოდა?

– რას იზამ? – გავიმეორე.

ფერი დაკარგა. იქვე ჩემი ახალი მოთხრობა ეგდო, ნიავი ფურცლებს აფრიალებდა, კიდევ კარგი, გვერდები აკინძული მქონდა. ბროწეული გავუქანე, მის მკერდზე წითელმა შხეფებმა იფეთქეს. გაოცებულს სიმწრის ყვირილი აღმოხდა.

– მესროლე! – დავუყვირე, – ადექი და მესროლე! – ჰასანი წამოდგა, გაოგნებული მიყურებდა, გეგონებოდათ, ტალღამ დაარტყა და სანაპიროდან პირდაპირ ოკეანეში შეაგდოო. ახლა მხარში მოვარტყი ბროწეული, წვენი სახეზე შეესხა. – მესროლე! – ვღრიალებდი, – მესროლე, ვერ გაიგე? მესროლე! – ნეტავ ესროლა, ნეტავ დავესაჯე ისე, როგორც ვიმსახურებდი. იქნებ მაშინ მაინც დამეძინა ღამე, იქნებ შევრიგებულიყავით კიდეც და ძველებურად მეგობრულად გვეცხოვრა. მაგრამ ხელებჩამოშვებული, უმოქმედოდ იდგა. ისევ დავუშინე ბროწეული. – მშიშარა ხარ! გესმის? მშიშარა.

იმდენჯერ ვესროლე, რომ სათვალავი ამერია. ჰასანი სისხლივით წითელი წვენით იყო მოთხვრილი. ბოლოს დაღლილობისგან ქოშინი ამიტყდა და გავჩერდი. მუხლებზე დავეცი ღონეგამოცლილი, დაბნეული, იმედწართმეული.

როგორც იქნა, ბროწეული აიღო. ჩემკენ გადმოდგა ნაბიჯი, ბროწეული გახლიჩა და შუბლზე მიიჭყლიტა.

– აჰა, – დაიჭყივლა, – კარგია? კმაყოფილიხარ? ახლა უკეთ ხარ? – ზურგი შემაქცია და გორაკიდან დაეშვა.

ტირილი წამსკდა, წინ და უკან ვირწეოდი, ცრემლები ღაპაღუპით ჩამომდიოდა.

– რა გიყო, ჰასან, კიდევ რა გავაკეთო? – ჩემს თავს კითხვა დავუსვი და სანამ ცრემლი შემაშრებოდა, პასუხი უკვე გაცემული მქონდა.

ავღანეთში მშვიდობის დასასრულის წინა წელს, 1976 წლის ზაფხულს, ცამეტი წლის შევსრულდი. ამ დროისათვის ჩემი და ბაბას ურთიერთობა ისევ ნელთბილი გახდა.

ყველაფერი მაშინ დაიწყო, როცა ის სულელური შეკითხვა დავუსვი მსახურების შეცვლის შესახებ. ვნანობდი, მაგრამ კარგად მესმოდა, რომ ჩემი ხანმოკლე ბედნიერება ისედაც მალე დასრულდებოდა. ზაფხულის მიწურულს სასადილო მაგიდასთან საუბარი ისევ დანა-ჩანგლის ჩხაკუნმა შეცვალა. ვახშმის შემდეგ ბაბა თავის ოთახში იკეტებოდა. მე ჰაფეზის და ხაიამის კითხვას დავუბრუნდი, ფრჩხილები ნუნებამდე მქონდა დაკვნეტილი.

მოთხრობებს ვწერდი. ერთ მოთხრობას ვამთავრებდი და მეორეს ვიწყებდი, ვწერდი და საწოლის ქვეშ ვინახავდი, იმ იმედით, რომ ბაბა ოდესმე მოისურვებდა მათ წაკითხვას.

დაპატიჟე მთელი ქვეყანა ან ნუ გამართავ წვეულებას, ასე თვლიდა ბაბა. ჩემი დაბადების დღის აღსანიშნავ წვეულებამდე ერთი კვირით ადრე დაპატიჟებული სტუმრების სიას ჩავხედე. ოთხასი კაციდან სამი მეოთხედი, აზრზე არ ვიყავი, ვინ იყო. ამას დამატებული ბიძები და ბიცოლები, რომლებიც აუცილებლად საჩუქრებით დახუნძლულები მოვიდოდნენ, რომ ჩემთვის ცამეტი წლის შესრულება მოელოცათ. თუმცა სინამდვილეში ჩემი დარდი ვის ჰქონდა, დაბადების დღე კი ჩემი იყო, მაგრამ ზუსტად ვიცოდი, ამ წვეულების მთავარი გმირი მე რომ არ ვიქნებოდი.

რამდენიმე დღის განმავლობაში სახლში ბაბას მიერ დაქირავებული დამხმარეები ტრიალებდნენ. ყასაბმა ბაწრით ერთმანეთზე გადაბმული ხბო და ორი ცხვარი შემოიყვანა ეზოში. მომსახურების ანაზღაურებაზე სასტიკი უარი თქვა. სისხლი კარგია მცენარეებისთვისო, ამბობდა და პირუტყვს ალვის ხის ქვეშ ჭრიდა ყელს. ვიღაცები მუხის ხეებზე მავთულს ჭიმავდნენ და პატარა ნათურებს ამაგრებდნენ, სხვები მაგიდებს სუფრებს აფარებდნენ. ერთი დღით ადრე ბაბას მეგობარი, შარანაუს ქაბაბის სახლის მეპატრონე, დელმუჰამადი სანელებლებით სავსე ჩანთით მოვიდა და ხორცეული ჩააბასტურმა. იმანაც უარი თქვა ფულის აღებაზე; ჩემი ოჯახისთვის საკმარისზე მეტი გაქვს გაკეთებულიო, უთხრა ბაბას. რაჰიმ-ხანი იქვე იდგა და ჩამჩურჩულა: – მამაშენმა ასესხა ფული რესტორნის გასახსნელად. თურმე, ბაბა ფულს აღარ ართმევდა და დელო, ასე ეძახდა მას ბაბა, ერთ მშვენიერ დღეს თავისი ბენცით გამოეცხადა ბაბას და დაემუქრა, იცოდე, ფულს თუ არ გამომართმევ, აქედან ფეხსაც არ მოვიცვლიო.

ჩემი დაბადების დღის გრანდიოზული წვეულება შედგა. ყოველ შემთხვევაში, სტუმრების შეფასებით ასე იყო. ამდენი ხალხი ჩვენს სახლში არასოდეს მინახავს. შემოსასვლელი, კორიდორები, კიბეები სტუმრებით იყო სავსე. სადაც ადგილი ნახეს, ყველგან ჩამოსხდნენ, სამზარეულოს დახლზეც კი. სვამდნენ, საუბრობდნენ, ჭორაობდნენ. ეზოში უამრავი ხალხი ირეოდა. წითელი, მწვანე, ლურჯი მოციმციმე ნათურები და კედლებზე დამაგრებული ათობით ჩირაღდანი ანათებდა იქაურობას. აივანზე სცენა მოაწყობინა ბაბამ, ბაღში ხმის გამაძლიერებლები დაამაგრებინა. აცეკვებული სტუმრების გულის გასახარებლად თავად აჰმად ზაჰირი მღეროდა აკორდეონის თანხლებით.

ყოველ სტუმარს პერსონალურად ვესალმებოდი, ბაბას ასე სურდა. აბა, მეორე დღეს ვინმეს ხომ არ ათქმევინებდა, რომ მისი ვაჟი კარგი მანერებით არ გამოირჩეოდა. ასეულობით ლოყას ვკოცნიდი, აბსოლუტურად უცნობ ხალხს ვეხვეოდი, ვიღიმოდი და მადლობას ვიხდიდი საჩუქრებისთვის. ამდენი ყალბი ღიმილით უკვე სახის კუნთები მტკიოდა.

ბაბასთან ერთად ეზოში ვიდექი, – დაბადების დღეს გილოცავ, ამირ, – თქვა ვიღაცამ.

ასეფი შემოვიდა თავის მშობლებთან, მაჰმუდთან და ტანიასთან ერთად. ტანია ნერვულად იღიმოდა და ერთთავად თვალებს აფახულებდა. ასეფმა ორივეს ხელი გადახვია და ჩვენკენ გამოემართნენ. ოჯახის უფროსს ასეფი უფრო ჰგავდა, ვიდრე მამამისი. გამაცია, თავბრუ დამეხვა. ბაბამ მადლობა გადაუხადა მობრძანებისთვის.

– საჩუქარი მე შეგირჩიე, – თქვა ასეფმა. ტანიას სახე დაებრიცა და უხერხულად გაიღიმა.
ნეტავ ბაბამ თუ შენიშნა.
– ფეხბურთს კიდევ თამაშობ, ასეფ-ჯან? – ჰკითხა ბაბამ. ყოველთვის უნდოდა, რომ მე და ასეფი მეგობრები ვყოფილიყავით.
ასეფმა გაიღიმა. შემზარა მისმა დაშაქრულმა ღიმილმა, – რასაკვირველია, კაკა საჰიბ.
– მარჯვენა ფლანგი, არა? თუ სწორად მახსოვს.
– წელს ცენტრფორვარდი ვარ, ასე მირჩევნია. მომავალ კვირას „მეკრორაიანთან“ გვაქვს თამაში. საინტრესო მატჩი იქნება, მათ რამდენიმე კარგი მოთამაშე ჰყავთ.
ბაბამ თავი დააქნია, – მეც ცენტრფორვარდი ვიყავი ახალგაზრდობაში.
– ნაძლევს დავდებ, ახლაც გადასარევად ითამაშებთ, თუ მოისურვებთ, – თქვა ასეფმა და კეთილგანწყობის ნიშნად ბაბას თვალი ჩაუკრა.
პასუხად ბაბამაც ჩაუკრა თვალი, – როგორც ჩანს, მამაშენს თავისი საქვეყნოდ ცნობილი კომპლიმენტები უსწავლებია შენთვის, – იდაყვი გაჰკრა ასეფის მამას ბაბამ.
მაჰმუდმაც ისე ხელოვნურად და საცოდავად გაიცინა, რომ გავიფიქრე და იქნებ არც ვცდებოდი,რომ მათ ასეფის ეშინოდათ. ვეცადე, რომ გამეღიმა, მაგრამ ტუჩის კუთხეები ოდნავ ზევით ავწიე, სულ ეს იყო, რაც მოვახერხე. მუცელმა გვრემა დამიწყო, ბაბა ძალიან დაუტკბა ასეფს.
ასეფმა მზერა ჩემკენ გადმოიტანა, – ვალი და ქამალიც აქ არიან. შენს დაბადების დღეს როგორ გამოტოვებდნენ. რად უნდა თქმა, რომ დამცინოდა. უსიტყვოდ დავუქნიე თავი.
– ხვალ ფრენბურთის თამაშს ვაპირებთ ჩემთან, იქნებ შემოგვიერთდე, ჰასანიც წამოიყვანე, თუ გინდა, – თქვა ასეფმა.
ბაბა ბედნიერებას ასხივებდა.
– სიმართლე გითხრათ, არ მიყვარს ფრენბურთი, – როგორღაც წავიბურტყუნე.
უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.
– ვწუხვარ, ასეფ-ჯან, – მხრების აჩეჩვით თქვა ბაბამ. გული მეტკინა, ჩემ გამო ბოდიშს იხდიდა.
– არა უშავს, – თქვა ასეფმა. – მთელი გულით გპატიჟებ, ამირ-ჯან. ვიცი, რომ კითხვა გიყვარს და აი, წიგნი მოგიტანე საჩუქრად. გახვეული საჩუქარი გადმომცა, – გილოცავ!
კოტონის პერანგსა და ლურჯ „შლაკსებში“ გამოწყობილ ასეფს ყელზე წითელი აბრეშუმის ყელსახვევი ეკეთა, პრიალა მოკასინები ეცვა, ქერა თმა უკან ჰქონდა გადავარცხნილი. ყველა მშობლის ხორცშესხმული ოცნება – ასე შეაფასებდით ასეფს მისი გარეგნული მონაცემების მიხედვით. ძლიერი, მაღალი, კარგად ჩაცმული, დახვეწილი, ნიჭიერი, მომხიბვლელი. ერთი განსაკუთრებული უნარიც ჰქონდა, უფროსებს ადვილად უთამამდებოდა. მაგრამ მე თუ მკითხავთ, ასეფს საკუთარი თვალები ყიდიდა. დიდი დაკვირვება არ იყო საჭირო, რომ გეგრძნოთ, როგორ კრთოდა მოჩვენებითი სიკეთის უკან მიჩქმალული სიშლეგე მის თვალებში.
– ამირ, საჩუქარს არ გამოართმევ? – მკითხა ბაბამ.
გამოვართვი. ასეფს თვალი ავარიდე. როდის დამთავრდება ეს ყველაფერი? ჩემს ოთახში მარტო ყოფნას არაფერი მერჩივნა.

– ასეფ-ჯან... – იღიმოდა ბაბა, – ამირ, მადლობას არ გადაუხდი? – თქვა ბაბამ დაბალი, მოგუდული ხმით. როცა ჩემ გამო უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდა, ასეთ ხმას ირგებდა ხოლმე.

„ასეფ-ჯან“, – კარგი რა! სულ რამდენჯერმე მოგიმართავს ჩემთვის ასე.

– გმადლობთ, – ვთქვი მე. ასეფის დედამ შემომხედა, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. მთელი ამ ხნის განმავლობაში, ასეფის მშობლები მუნჯებივით იდგნენ. კიდევ რომ არ ჩამეგდო ბაბა ცუდ დღეში, იქაურობას გავეცალე.

სტუმრებს შორის გზა ძლივს გავიკვლიე და რკინის ჭიშკრიდან გავედი. შორიახლოს უპატრონოდ მიგდებული მიწის ნაკვეთი იყო. ცოტა ხნის წინ ეს ნაკვეთი ერთ მოსამართლეს შეუძენია, მაგრამ ჯერჯერობით ქვა-ღორღით და სარეველა ბალახით იყო სავსე. ასეფის საჩუქარს ქაღალდი შემოვახიე და მთვარის შუქზე სათაური წავიკითხე. ჰიტლერის ბიოგრაფია იყო. არც მიფიქრია, ისე მოვისროლე ნაგავზე.

მეზობლის კედელს მივეყრდენი და მიწაზე ჩავსრიალდი. ცოტა ხანს ვიჯექი,

ვარსკვლავებს ვუყურებდი და გათენებას ვუცდიდი.

– წესით, სტუმრებთან ერთად უნდა იყო, არა? – ნაცნობი ხმა შემომესმა. რაჰიმ-ხანი მიახლოვდებოდა.

– უჩემოდაც ერთობიან. ბაბა იქ არ არის? – ვთქვი მე. ჩემ გვერდით როცა ჯდებოდა, მის ჭიქაში ყინულმა გაიწკარუნა, – არ ვიცოდი, თუ სვამდი.

– ხდება ხოლმე, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიებების აღსანიშნავად. ჩემკენ გადმოიწია, – გაგიმარჯოს! – გავუღიმე, – მადლობა.

სასმელი მოსვა, სიგარეტს მოუკიდა. ბაბა და რაჰიმ-ხანი პაკისტანურ, უფილტრო სიგარეტს ეწეოდნენ.

– ოდესმე მითქვამს შენთვის, რომ ერთხელ კინაღამ დავქორწინდი?

– მართლა? – დაოჯახებული რაჰიმ-ხანის წარმოდგენა ცოტა მიჭირდა. ჩემთვის ის ბაბას ალტერ ეგო იყო, ჩემი, როგორც მწერლის, ნათლია, მოსიყვარულე, ყურადღებიანი მეგობარი. მაგრამ რაჰიმ-ხანი და ქმარი? რაჰიმ-ხანი და მამა? რაღაც ვერ წარმომედგინა.

– ჰო, ასე იყო. თვრამეტი წლის ვიყავი. მას ჰომაიარა ერქვა. ჩვენი მეზობლის ჰაზარა მსახურების შვილი იყო, ფერიასავით მშვენიერი, ღია წაბლისფერი თმითა და თაფლისფერი თვალებით. ის სიცილი... ახლაც ჩამესმის ხოლმე ხანდახან, – ჭიქა შეათამაშა, – მამაჩემის ვაშლის ბაღში, შუაღამისას, ჩუმად ვხვდებოდით ხოლმე ერთმანეთს. ხელიხელჩაკიდებულები ვსეირნობდით, – ხომ არ დაგაბნიე, ამირ-ჯან?

– ცოტა, – ვთქვი მე.

– არა უშავს, – თქვა მან. ნაფაზი დაარტყა, – ქორწილზე ვოცნებობდით, უამრავი ხალხის მოწვევას ვგეგმავდით. წარმოვიდგენდით ხოლმე, რომ დიდი, თეთრი სახლი გვქონდა, მოკირწყლული ეზოთი და ხეხილის ბაღით. პარასკევობით, ნამაზის შემდეგ, სტუმრები სამხარზე ჩვენთან იკრიბებოდნენ. სუფრას ბაღში, ალუბლის ხის ქვეშ ვშლიდით, სადილს ჩაის და ნამცხვარს ვაყოლებდით. ბავშვები იქვე, ბაღში, ბიძაშვილებთან ერთად თამაშობდნენ...

ვისკი გადაკრა. დაახველა, – მამაჩემის სახე უნდა გენახა, როცა ეს ამბავი გაიგო. დედაჩემს გული წაუვიდა. ჩემი დები ისე მიყურებდნენ, თითქოს ყელი გამომეჭრას საკუთარი დედისთვის. ჩემი ძმა, ჯალალი, სანადირო თოფის მოსატანად გაიქცა, მამამ ძლივს გააჩერა, – რაჰიმ-ხანმა მწარედ გაიცინა, – მე და ჰომაიარა მარტო აღმოვჩნდით მთელი სამყაროს წინააღმდეგ. ჰოდა, ასეთ დროს სამყარო იმარჯვებს, ჩემო ამირ. ასეა და რას იზამ.

– ბოლოს რით დამთავრდა?

– მამაჩემი იმავე დღეს მოელაპარაკა მეზობლებს. ჰომაიარა და მისი ოჯახი სატვირთო მანქანაზე დასვა და ჰაზარაჯათში გაისტუმრა. მას შემდეგ აღარ მინახავს.

– ვწუხვარ, – ვთქვი მე.

– ალბათ ასე ჯობდა, – მხრები აიჩეჩა რაჰიმ-ხანმა, – დაიტანჯებოდა, ჩემი ოჯახი მას არასოდეს მიიღებდა. არ შეიძლება ერთ დღეს ფეხსაცმლის გაპრიალება უბრძანო ვინმეს და მეორე დღეს შვილად მიიღო. ასეა, ვერაფერს იზამ, – შემომხედა, – ამირ-ჯან, ხომ იცი, რომ ნებისმიერ დროს შეგიძლია გული გადამიშალო.

– ვიცი, – კარგა ხანი მიყურებდა. მისი შავი, უძირო თვალები გულწრფელად სალაპარაკოდ მიწვევდნენ. რომელიღაც მომენტში კინაღამ ყველაფერი დავფქვი, მაგრამ აქაც უკან დავიხიე, რას იფიქრებდა? აუცილებლად შევძულდებოდი, სიმართლე რომ გაეგო.

– ეს შენ, – რაღაც გადმომცა, – კინაღამ დამავიწყდა, გილოცავ, – ყავისფერი, ტყავის ყდაში ჩასმული ბლოკნოტი იყო. ოქროსფერ ვარაყს თითი გავაყოლე, – შენი მოთხრობებისთვის.

მადლობის თქმა დავაპირე, მაგრამ სწორედ ამ დროს სროლის ხმა გაისმა და ცა განათდა.

– ფოიერვერკი.

სახლისაკენ სწრაფი ნაბიჯით გავეშურეთ. ეზოში დიდი ჟრიამული იდგა, ბავშვები სიხარულისგან კიოდნენ და უსტვენდნენ, გახალისებული ხალხი ტაშს უკრავდა, ცეცხლი რამდენიმე წამში ერთხელ კაშკაშა, ფერად თაიგულებად იშლებოდა ცაზე. კიდევ ერთი გაელვება და ისეთი რამ დავინახე, რაც არასოდეს დამავიწყდება: ჰასანი ასეფს და ვალის ემსახურება, მათ წინ თავდახრილი დგას და ვერცხლის ლანგრით სასმელს აწვდის.

ჩამობნელდა... ცეცხლის შადრევანი და კიდევ ერთი კადრი... ასეფი დამცინავი სიცილით ჰასანს მკერდზე მსუბუქად ურტყამს კასტეტს.

დაბოლოს, ღვთის მადლით, წყვდიადი.

<u>თავი მეცხრე</u>

მეორე დილას ჩემს ოთახში საჩუქრების გროვას მივუჯექი და ერთიმეორის მიყოლებით ყველა ყუთი გავხსენი. თავის შეწუხებად არც ღირდა, ჩემთვის ყველაფერი სულერთი იყო. იქვე კუთხეში მივაგდე პოლაროიდი, ტრანზისტორი, ელექტრო მატარებელი, ფულით გატენილი რამდენიმე კონვერტი. ზუსტად ვიცოდი, რომ არც იმ ფულს დავხარჯავდი ოდესმე, არც რადიოს მოვუსმენდი და არც მატარებელს ვარბენინებდი ოთახში. ყველაფერს

სისხლის და ფულის სუნი ასდიოდა, ბაბა არასოდეს გადამიხდიდა ასეთ წვეულებას, შეჯიბრი რომ არ მომეგო.

ბაბასგან ორი საჩუქარი მივიღე. ერთი ახალთახალი „შვინ სტინგრეი“, ველოსიპედების მეფე, ბავშვები როცა ნახავენ, ალბათ გული გაუსკდებათ შურისგან. სულ ერთიორ ბავშვს ჰქონდა მთელს ქაბულში ასეთი ველოსიპედი: ბანანის ფორმის საჯდომი და მაღალი საჭე, ოქროსფერი თვლის მანა და ვაშლივით წითელი ჩარჩო, ან სისხლივით. სხვა, ალბათ, იმ წამსვე შემოახტებოდა ველოსიპედს და მთელ უბანს მოივლიდა, მეც ასე მოვიქცეოდი სულ რამდენიმე თვის წინ.

– მოგწონს? – ბაბა კართან იდგა. უხერხულად გავუღიმე, – მადლობელი ვარ, – მეტი ვერაფერი ვთქვი.

– ხომ არ გაგვესეირნა? – ცალყბად დამპატიჟა ბაბამ.

– დაღლილი ვარ, იქნებ ცოტა ხანში, – ვთქვი მე.

– კარგი, – თქვა ბაბამ.

– მადლობა ფოიერვერკისთვის, – მოვალეობა მოვიხადე.

– დაისვენე, – თქვა ბაბამ და თავისი ოთახისკენ წავიდა.

ყუთების გახსნა გავაგრძელე. კიდევ ერთი საჩუქარი ბაბასგან – მაჯის საათი ლურჯი ციფერბლატით და ოქროს ისრებით. არც კი მომისინჯავს, ისე მოვისროლე სათამაშოების გროვაზე. ერთადერთი რამ, რაც ვერ გავიმეტე, რაჰიმხანის ნაჩუქარი ბლოკნოტი იყო. საწოლის კიდეზე ჩამომჯდარი ბლოკნოტს ხელში ვატრიალებდი. როგორ თქვა რაჰიმ-ხანმა? ძალიან კი დაიტანჯებოდა ჰომაიარა, მაგრამ მაინც მისი გაშვება ჯობდა მის დარჩენასო. კაკა ჰომაიონის პროექტორივით ერთ კადრზე გავიჭედე: თავდახრილი ჰასანი ასეფს და ვალის ემსახურება. არა, ეს უნდა დამთავრდეს. ერთი რამ ნათელია – რომელიმე ჩვენგანი უნდა წავიდეს.

მოგვიანებით, პირველად და უკანასკნელად გავედი ახალი ველოსიპედით სასეირნოდ. რამდენიმეჯერ შემოვუარე მთელ კვარტალს და დავბრუნდი. უკანა ეზოში ჰასანი და ალი წინა ღამის წვეულების ნარჩენებს ალაგებდნენ. ყველგან ქაღალდის ჭიქები, დაჭმუჭნული ხელსახოცები და წყლის ცარიელი ბოთლები ეყარა. ალი სკამებს კეცავდა და კედელთან აწყობდა. დამინახა და ხელი დამიქნია.

– სალამი, ალი, – პასუხად მეც ხელი დავუქნიე.

თითი ასწია და მანიშნა, დამიცადეო. შემდეგ თავისი სადგომისკენ წავიდა. ცოტა ხანში ისევ გამოჩნდა, ხელში რაღაც ეჭირა.

– მე და ჰასანს საშუალება არ მოგვეცა წუხელ ეს გადმოგვეცა შენთვის, – თქვა მან და ყუთი გადმომცა, – ვიცი, რომ მეტს იმსახურებ, ამირ-აღა, მაგრამ იმედი მაქვს, მაინც მოგეწონება. გილოცავ დაბადების დღეს!

ყელში რაღაც გამეჩხირა, – მადლობა, ალი, – ნეტავ სულ არაფერი ეჩუქებინათ. ყუთი გავხსენი, ახალთახალი „შაჰნამე“ იყო, მაგარი ყდით და პრიალა ილუსტრაციებით. ფერანგისი თავის ახალშობილ შვილს, ქაიხოსროს, დასცქერის, ცხენზე ამხედრებული აფრასიაბი ხმალშემართული მიუძღვის ჯარს და ბოლოს როსტომი, რომელიც საკუთარ შვილს, სოჰრაბს, სასიკვდილოდ ჭრის.

– მშვენიერია, – ვთქვი მე.

– ჰასანმა მითხრა, რომ შენი უკვე გაცვეთილა და თურმე გვერდებიც აკლია. აქ ყველა სურათი ხელით, კალმით და მელნით არის დახატული, – სიამაყით აღნიშნა ალიმ, თან თვალს არ აშორებდა წიგნს, რომელსაც ის და მისი შვილი ვერასოდეს წაიკითხავდნენ.

– ძალიან მაგარია, – ვთქვი გულწრფელად. ვიცოდი, რომ იაფიც არ იქნებოდა. კინაღამ ისიც ვუთხარი, რომ წიგნი უკეთეს პატრონს იმსახურებდა. ველოსიპედს შემოვახტი, – ჩემგან მადლობა ჰასანს, – მივაძახე.

სახლში შესული არ ვიყავი, რომ წიგნი საჩუქრების გროვაზე დავაგდე, მაგრამ თვალი გამირბოდა, ავიღე და სათამაშოების ქვეშ ამოვდე. იმ ღამეს, სანამ დავიძინებდი, ბაბას ვკითხე, ჩემი ახალი საათი ხომ არ გინახავს-მეთქი.

დილით ალი სამზარეულოს მაგიდას ალაგებდა. მე ჩემს საწოლ ოთახში ვიცდიდი. შემდეგ ფანჯრიდან გადავიხედე და დავინახე, რომ ალიმ ცარიელი ურიკა წინ გაიგდო და ჰასანთან ერთად ბაზარში წავიდა.

საჩუქრების გროვიდან რამდენიმე ფულით გატენილი კონვერტი და ბაბას ნაჩუქარი მაჯის საათი ავიღე. ფეხის წვერებზე გავედი ოთახიდან. ბაბას კართან შევჩერდი. ყური მივუგდე. სადღაც რეკავდა, ვიღაცას მომავალ კვირას ხალიჩების გადმოზიდვაზე უთანხმდებოდა. ქვევით ჩავედი. ეზო გადავჭერი. ჰასანის ქოხში შევედი და მისი ლეიბის ქვეშ ფული და საათი ამოვდე. ნახევარი საათის შემდეგ ბაბას კარზე დავაკაკუნე. პირი მოვაღე და ჩამოვარაკრაკე წინასწარ მოფიქრებული ტყუილები, თან გულის სიღრმეში ვიმედოვნებდი, რომ ამით ეს სამარცხვინო სიცრუის კასკადი დასრულდებოდა.

ფანჯრიდან ვიცქირებოდი. ალიმ და ჰასანმა ეზოში პროდუქტით დატვირთული ურიკა შემოაგორეს. მერე ბაბა სახლიდან გავიდა. ვხედავდი,როგორ ელაპარაკებოდა ალის. ფანჯრიდან მათი ტუჩების მოძრაობას ვაკვირდებოდი. ხმა არ ისმოდა. ბაბამ სახლისკენ მიანიშნა, ალიმ თავი დაუქნია. ჰასანი და ალი ქოხში შევიდნენ.

რამდენიმე წუთში ბაბამ კარზე დამიკაკუნა, – ჩემს კაბინეტში შემოდი, – თქვა მან, – ეს საქმე უნდა დავამთავროთ.

უკან გავყევი. ტყავის სავარძელში ჩავჯექი. ნახევარ საათში ალი და ჰასანი შემოგვიერთდნენ. ეტყობოდათ, რომ ბევრი იტირეს, თვალები წითელი და შეშუპებული ჰქონდათ. ჩვენ წინ ხელჩაკიდებულები იდგნენ. ვუყურებდი და თავადვე მიკვირდა, როგორ შემეძლო ადამიანისთვის ასეთი ტკივილის მიყენება.

ბაბა წამოდგა, – ჰასან, შენ მოიპარე ამირის ფული და საათი?

– დიახ, – ერთადერთი სიტყვა, ჩახლეჩილი ხმით წარმოთქმული, იყო ჰასანის პასუხი.

ასე მეგონა, სილა გამაწნეს. გული ისე მეტკინა, რომ ტკივილისგან გამწარებულს კინაღამ სიმართლე წამომცდა. შემდეგ ყველაფერს მივხვდი: ეს ჰასანის უკანასკნელი თავგანწირვა იყო. ის თუ უარს იტყოდა, ბაბა აუცილებლად დაიჯერებდა, რადგან ჰასანი არასოდეს ცრუობდა. თუ ბაბა დაიჯერებდა, დამნაშავის ძებნა შორს არ მოუწევდა და ბოლოს გამომჟღავნდებოდა, სინამდვილეში რა კაციც ვიყავი. ბაბა არასოდეს, არასოდეს მაპატიებდა. უკვე ეჭვი აღარ მეპარებოდა, ჰასანმა იცოდა, რომ ყველაფერი, რაც ჩასახვევში მოხდა, ჩემი თვალით დავინახე. იქ ვიყავი და არ გამოვესარჩლე. იცოდა, რომ ვუღალატე

და მაინც კიდევ ერთხელ და უკანასკნელად გადამარჩინა. იმ მომენტში ჰასანი ისე მიყვარდა, როგორც არასდროს. ძლივს შევიკავე თავი, რომ არ მეთქვა: ბალახში მოსრიალე სისინა გველი ვარ, მონსტრი ტბის ფსკერზე, რა ღირსი ვარ ასეთი თავგანწირვის! მატყუარა, აფერისტი, ქურდი... აი, ჩემი ნამდვილი სახე. მეორე მხრივ, კარგად მესმოდა, რომ მალე ყველაფერი დამთავრდებოდა. ბაბა მათ აუცილებლად დაითხოვდა. გული ეტკინებათ, მაგრამ ცხოვრება გაგრძელდება. და ეს მინდოდა სწორედ, ცხოვრების ახალი ფურცლიდან დაწყება, ისევ თავისუფლად, მწარე მოგონებების გარეშე სუნთქვა.

– მიპატიებია, – თქვა ბაბამ. თითქოს ცივი წყალი გადამესხა, გაოგნებული ვუსმენდი.

პატიება? მაგრამ ქურდობა ხომ მიუტევებელი ცოდვაა, ყველა ცოდვაზე უფრო მძიმე, უფრო სასტიკი! „კაცს როცა ჰკლავ, მის სიცოცხლეს იპარავ, კაცის ცოლს ქმარს ჰპარავ, ბავშვებს მამას, როცა ცრუობ, სიმართლის გაგების უფლებას ჰპარავ ვიღაცას, როცა თაღლითობ – სამართალს. ქურდობაზე უარესი ცოდვა არ არსებობს“. ბაბა არ იყო, ამ სიტყვებს რომ ამბობდა? როგორ შეუძლია ახლა ჰასანს ქურდობა აპატიოს? და მაშინ მეც მაპატიოს, თუ ისეთი შვილი არ ვარ, როგორიც მას უნდა!

– ჩვენ მივდივართ, საჰიბ-აღა, – თქვა ალიმ.

– რა? – ბაბამ ფერი დაკარგა.

– ჩვენ აქ ველარ ვიცხოვრებთ, – თქვა ალიმ.

– ვაპატიე, ალი, ვაპატიე, ვერ გაიგე?

– შეუძლებელია ჩვენი აქ დარჩენა, საჰიბ-აღა, – ალიმ ჰასანს ხელი გადახვია და თავისკენ მიიზიდა. გასაგები იყო, ვისგანაც უნდოდა მისი დაცვა. ალის ცივ, შეუწყნარებელ მზერაში ამოვიკითხე, რომ მან ყველაფერი იცოდა ასეფზე, ფრანზე, ჩემზე. უცნაურია, მაგრამ ერთგვარ კმაყოფილებასაც კი განვიცდიდი იმით, რომ ერთი კაცი მაინც ხვდებოდა, სინამდვილეში რასაც წარმოვადგენდი.

– არ მესმის, ალი, ამას რატომ აკეთებ, რას ნიშნავს „შეუძლებელია“?

– ბოდიშს გიხდით, ჩანთები უკვე ჩალაგებული გვაქვს, ჩვენ წასვლა გადავწყვიტეთ.

ბაბა წამოდგა, სახეზე მწუხარება ეწერა, – ალი, განა ცუდად გექცეოდით შენ და ჰასანს, ჩვენ ხომ ძმები ვართ, გთხოვ, ალი, ნუ წახვალთ!

– გთხოვთ, საჰიბ-აღა, უფრო ნუ მიმძიმებთ ყველაფერს, – თქვა ალიმ. ტუჩი აუკანკალდა და მომეჩვენა, რომ მის სახეზე ემოცია გამოისახა. სწორედ ამ დროს ჩავწვდი ჩემ მიერ მიყენებული ტკივილის სიმწვავეს; ამ დროს გავიაზრე ჩემ გამო თავს დამტყდარი მწუხარების საშინელება, რომლის ბოლომდე შენიღბვა ალის პარალიზებულმა სახის კუნთებმაც კი ვერ შეძლეს. ჩემი თავი ვაიძულე ჰასანისთვის შემეხედა, მაგრამ თავჩაქინდრული და მხრებჩამოყრილი იდგა, თითით პერანგის ბოლოს გამოძენძილ ძაფს აწვალებდა.

ბაბა ვედრებაზე გადავიდა, – მიზეზი მაინც გამაგებინეთ! – ამბობდა ბაბა.

მაგრამ ალიმ არაფერი თქვა, არც მაშინ, როდესაც ჰასანმა ქურდობა აღიარა და არც ახლა, როცა ბაბამ მიზეზის დასახელება მოსთხოვა. რატომ, ამას ვერასოდეს მივხვდები, მაგრამ ალბათ თავის პატარა, ბნელ ქოხში ჰასანმა ბევრი იტირა და ალის სიტყვა ჩამოართვა, რომ

არ გამცემდა. ჰო, ასე იქნებოდა, მაგრამ ის, თუ რა ძალისხმევა დასჭირდა ალის, რომ სიტყვა არ გაეტეხა, ჩემი წარმოდგენის მიღმა დარჩა.

– სადგურზე გაგვიყვან, აღა საჰიბ?

– გიკრძალავთ ამის გაკეთებას! – ბაბა ღრიალებდა, – არ გესმით? გიკრძალავთ!

– პატივისცემით შეგახსენებთ, აღა საჰიბ, ვეღარ აგვიკრძალავთ ვერაფერს, ჩვენ თქვენზე აღარ ვმუშაობთ, – თქვა ალიმ.

– სად მიდიხართ? – ჰკითხა ბაბამ გაბზარული ხმით.

– ჰაზარაჯათში.

–შენს ბიძაშვილთან?

– დიახ, წაგვიყვანთ სადგურზე, აღა საჰიბ?

ბაბას ტირილი არასოდეს მენახა, ამხელა კაცი ტიროდა, განა მამები ტირიან? – გთხოვ – ამბობდა ბაბა, მაგრამ ალი კარისკენ შეტრიალდა, ჰასანი მამას მიჰყვა. ვერასოდეს

დავივიწყებ ბაბას ტკივილით და შიშით სავსე მუდარას.

ზაფხულობით ქაბულში იშვიათად წვიმდა. უღრუბლო, ლურჯ ცას თვალს ვერ შეაწვდენდი, მზე გავარვარებული შანთივით გწვავდა ზურგს. წყაროები დაშრა, ქუჩებში მტვრის ბუღი იდგა. ნაშუადღევის ლოცვის შემდეგ მეჩეთებიდან გამოსული, სიცხისგან გათანგული ხალხი ჩრდილს აფარებდა თავს და საღამოს მოლოდინში თვლემდა.

სკოლაში პატარა, უჰაერო ოთახებში შეყრილ ბავშვებს ოფლი წურწურით ჩამოსდიოდათ, ყურანიდან ენის მოსატეხ ენაზე დაწერილ აიებს იზუთხავდნენ და ხანდახან, სანამ მოლა ლოცვებს მონოტონურად ერეკებოდა, ბუზების ჭერით ირთობდნენ თავს. ცხელ ნიავს ნეხვის სუნი მოჰქონდა და სკოლის ეზოს გადაღმა კალათბურთის მოედანს მტვრის კორიანტელში ხვევდა.

იმ დღეს კი, როცა ბაბას ალი და ჰასანი მიჰყავდა სადგურზე, გაწვიმდა. მძიმე ღრუბელი ჩამოწვა, ელვა ვერცხლისფრად დაიკლაკნა და რამდენიმე წუთში თავსხმა დაიწყო. ბაბამ ალის ბამიანამდე გაცილება შესთავაზა, მაგრამ ალიმ იუარა. ჩემი საძინებლის ფანჯრიდან, წვიმის ფარდის მიღმა ჩანდა, როგორ მიათრევდა ალი თავის ერთადერთ ჩემოდანს ბაბას მანქანისკენ. ჰასანს თოკით შეკრული მატრასი ჰქონდა ზურგზე მოგდებული, მეტი არაფერი. არც ერთი სათამაშო არ მიჰქონდა თან. მეორე დღეს მათ ქოხში შევედი. სათამაშოები, ჩემი დაბადების დღის საჩუქრების მსგავსად, ერთ კუთხეში იყო მიყრილი.

წვიმის მძივების უწყვეტი ნაკადი სრიალით ეშვებოდა ჩემს ფანჯარაზე. ბაბამ საბარგული დახურა. მერე მძღოლის კარისკენ წავიდა თავიდან ფეხებამდე გალუმპული, უკანა საჯდომისკენ გადაიხარა, ალის რაღაც უთხრა. ალბათ ბოლოჯერ სცადა მისი დარწმუნება. ცოტა ხანი ლაპარაკობდნენ, ბაბა წელში მოხრილი იდგა, ცალი ხელით მანქანის სახურავს ეყრდნობოდა, მაგრამ მალე გაიმართა და როგორც კი მისი ჩამოყრილი მხრები დავინახე, მივხვდი, რომ ჩემთვის ჩვეული ცხოვრება საბოლოოდ დასრულდა. ბაბა მანქანაში ჩაჯდა. ფარები აინთო. ეს სცენა ინდური ფილმიდან რომ ყოფილიყო, ამ დროს ფეხშიშველი უნდა გავვარდნილიყავი წვიმაში, მანქანას გავკიდებოდი და მეყვირა: მაპატიე, ჰასან, მაპატიე. ჩემი ცრემლები ალბათ წვიმის დინებას შეუერთდებოდა და მე და ჰასანი ერთმანეთს გადავეხვეოდით. მაგრამ ეს არ იყო ინდური ფილმი. შეწუხებული ვიყავი, თუმცა არ

მიტირია და არც მანქანას გამოვკიდებივარ. დავინახე, როგორ დაიძრა ბაბას მანქანა და თან ჰასანი წაიყვანა, ჰასანი, რომლის პირველი სიტყვა იყო „ამირ“, სახელი ჩემი. მანქანა მოტრიალდა და იმ შესახვევში, სადაც ვინ იცის, ჰასანს რამდენჯერ უთამაშია მარმარილოს ბურთულებით, კიდევ ერთხელ მოვკარი თვალი.

უკან დავიხიე, ჩემს ფანჯარაზე ვერცხლად ჩამომდნარ წვიმას თვალი გავუშტერე.

თავი მეათე

მარტი, 1981 წელი

ჩვენ წინ ახალგაზრდა ქალი იჯდა. მას ზეთისხილისფერი კაბა ეცვა, შავი თავშალი სახეს უფარავდა.

სატვირთოს ყოველ შეჯაყჯაყებაზე ლოცვას იწყებდა და ყოველ ბიძგს „ბისმილლაჰს“ აყოლებდა. გვერდით ქმარი ეჯდა. ჩაფსკვნილი კაცი იყო, ფართო შარვლითა და თავზე ცისფერი ჩალმით. ცალი ხელით ახალშობილ ბავშვს არწევდა და მეორე ხელის ცერა თითით კრიალოსნის მძივებს ლოცვებს ათვლიდა. ბრეზენტგადაფარებული, ძველი რუსული სატვირთო მანქანის ძარაზე თორმეტნი ვიქნებოდით. მე და ბაბას ჩემოდნები მუხლებს შორის გვქონდა ჩადგმული.

ქაბული გამთენიისას დავტოვეთ. მას მერე ნაწლავები მიბუყბუყებდა. ბაბა ხმამაღლა არ ამბობდა, თუმცა ესეც ჩემს ერთ-ერთ სისუსტედ მიაჩნდა. მუცელმა ისე მომიარა, რომ თავი ვერ შევიკავე და კვნესა დავიწყე. ბაბა დაბნეული მიყურებდა. იმ კაცმა, კრიალოსნის მძივებს რომ ითვლიდა, მკითხა, გული ხომ არ გერევაო. ბაბამ იქით გაიხედა. კაცმა მძღოლს დაუკაკუნა და სთხოვა გაეჩერებინა. მაგრამ ქარიმმა, ასე ერქვა მძღოლს, თავი გააქნია. ქარიმი გამხდარი კაცი იყო, თხელი ულვაშით, ცოტათი ქორს წააგავდა.

– ჯერ ძალიან ახლოს ვართ ქაბულთან. უთხარი, რომ მოითმინოს, – გადმოსძახა ქარიმმა.

ბაბამ რაღაც ჩაიბურტყუნა. მინდოდა, დამემშვიდებინა, მაგრამ ნერწყვის გამოყოფა მომემატა და ნაღვლის წვენმა ყელი ჩამწვა. ბრეზენტის გადაწევა ძლივს მოვასწარი, თავი გადავყავი და ვაღებინე. მესმოდა, როგორ უხდიდა ბაბა მგზავრებს ბოდიშს, თითქოს დანაშაული ჩავიდინე, თითქოს არ შეიძლება თვრამეტი წლის იყო და გული გერეოდეს. კიდევ ორჯერ ვაღებინე და ბოლოს იკადრა ქარიმმა მანქანის გაჩერება, ალბათ ეშინოდა, რომ მის მანქანას დავსვრიდი. ამ მანქანით ედგა სული.

ქაბული შურავის (საბჭოთა კავშირი) ჰქონდა უკვე ოკუპირებული. ქარიმს ხალხი შედარებით უსაფრთხო პაკისტანში გადაჰყავდა. ეს იმხანად სარფიან საქმედ ითვლებოდა. ჩვენ მას ქაბულიდან ჯალალაბადში უნდა ჩავეყვანეთ. ჯალალაბადი ქაბულიდან სამხრეთ აღმოსავლეთით, 170 კმ დაშორებით მდებარეობს. იქ ქარიმის ძმა, თოორი დაგვხვდებოდა. თოორს უფრო დიდი სატვირთო მანქანა ჰყავდა და ლტოლვილების მეორე ნაკადთან ერთად გველოდებოდა. იქიდან ხაიბერის გადასასვლელით ფეშავარში ჩავიდოდით.

მეჰიფარის ჩანჩქერიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით ქარიმმა მანქანა გზიდან გვერდზე გადაიყვანა. მაჰიფარის უმაღლესი მწვერვალი 1967 წელს გერმანელების მიერ

აშენებულ ჰიდროელექტროსადგურს გადმოჰყურებს. ვინ მოთვლის, რამდენჯერ გავჩერებულვართ აქ მე და ბაბა, როდესაც ჯალალაბადში, კვიპაროსებითა და შაქრის ლერწმის მინდვრებით ცნობილ ქალაქში, მივდიოდით ხოლმე! ავღანელებს უყვარდათ ჯალალაბადში ზამთრის გატარება.

სატვირთოდან ჩამოვხტი და გზის პირას მტვრიან ჯებირთან მივლასლასდი. პირი ნერწყვით მქონდა სავსე, სადაც იყო ვაღებინებდი. წინ გადავიხარე, ხელებით მუხლის თავებს დავებჯინე და ნაღვლის წვენის მოწოლას დაველოდე. ქვევით, ხეობას ღამე გადაეფარა. სადღაც ტოტი მოტყდა, ბუმ დაიკივლა, ცივმა ქარმა ფერდობზე მიმობნეულ ბუჩქებს დაუარა და ქოჩორი აუწეწა. შორს წყალი ჩხრიალებდა. გზის პირას ვიდექი. ფიქრმა სახლში დამაბრუნა, იქ, სადაც ჩემი ცხოვრების თვრამეტი წელი გავატარე. ისე დავტოვეთ იქაურობა, თითქოს ცოტა ხნით გავდიოდით და სულ მალე ისევ დავბრუნდებოდით. სამზარეულოს ნიჟარა დასარეცხი ჭურჭლით იყო სავსე, ჭუჭყიანი სარეცხის კალათა თეთრეულით, ლოგინები აულაგებელი, ბაბას გამოსასვლელი ტანსაცმელი საკუჭნაოში ეკიდა, კედლებზე გობელენები ისევ ისე იყო გაკრული, დედაჩემის წიგნები ბაბას კაბინეტში თაროებზე ეწყო. ჩვენი გაქცევის ნიშნები არ ჩანდა. მხოლოდ რამდენიმე ფოტო, აუცილებელი ტანსაცმელი და რაჰიმ-ხანის ნაჩუქარი, ტყავის ყდაში ჩასმული ბლოკნოტი აკლდა იქაურობას.

ბოლო შვიდი წლის განმავლობაში ჩვენი რიგით მეშვიდე მსახური, სახელად ჯალალადინი, დილით უეჭველად იფიქრებდა, რომ სასეირნოდ ვიყავით გასულები. მისთვის არაფერი გვითქვამს. ვეღარავის ენდობოდი ქაბულში. ზოგი ფულით იყო მოსყიდული და ზოგი მუქარას ვერ უძლებდა. დაშინებული ხალხი ერთმანეთის დასმენაზე იყო გადასული. შვილი მშობელს, ძმა ძმას, მსახური პატრონს, მეგობარი მეგობარს აღარ ინდობდა. გახსოვთ აჰმედ ზაჰირი, ჩემს დაბადების დღეზე აკორდეონზე რომ უკრავდა? მანქანით სადღაც წავიდა მეგობრებთან ერთად და მოგვიანებით მისი თავგახეთქილი გვამი გზაზე დაგდებული იპოვეს. „ამხანაგი დამსმენები“ ისე მოედვნენ ქაბულს, ძნელი გასარკვევი იყო, ვინ ვის რას ეუბნებოდა და ვის რა ამბავი სად მიჰქონდა. საქმე იქამდეც მივიდა, რომ შეიძლებოდა მკერავისთვის პიჯაკის მოზომვის დროს შენიშვნა მიგეცა და ფოლეჩარხის მიწისქვეშა დილეგში აღმოჩენილიყავი; ან ყასაბთან კომენდანტის საათის გამო წაგეწუწუნა, გონზე მოსვლას ვერ მოასწრებდი და კალაშნიკოვი გქონდა მოშვერილი. საკუთარ სახლშიც კი თითო სიტყვა უნდა აგეწონ-დაგეწონა. „ამხანაგი დამსმენები“ სკოლებშიც მუშაობდნენ, ბავშვებს მშობლების ჩაშვებას ასწავლიდნენ.

აქ რა მინდა? რას ვაკეთებ შუაღამისას ამ გზაზე? ახლა ჩემს საწოლში უნდა ვიწვე და თავთან წიგნი მედოს. იქნებ სიზმარში ვარ? ხვალ დილას გავიღვიძებ და ფანჯრიდან გადავიხედავ: არც რუსი პატრული, არც რუსული ტანკები, ჩემი ქალაქის ქუჩებში აღმა-დაღმა რომ დარახრახებენ, აღარც ნანგრევები და აღარც კომენდანტის საათი.

ჩემ უკან ბაბა და ქარიმი იდგნენ. ეწეოდნენ და ჯალალაბადში უსაფრთხოდ ჩასვლაზე ლაპარაკობდნენ. ქარიმი ბაბას არწმუნებდა, რომ მის ძმას მაღალი კლასის სატვირთო ჰყავდა და რომ უღელტეხილზე გადასვლა მისთვის ჩვეულებრივი რამ იყო, –

თვალდახუჭული გადაგიყვანთ, – ამბობდა ქარიმი, – რუს ჯარისკაცებს ვიცნობ, ავღანელებთან ერთად მუშაობენ გამშვებ პუნქტებზე და კარგ ხეირსაც ნახულობენ. არა, ეს სიზმარი არ იყო. დასტურად მიგმა გადაგვიფრინა თავზე. ქარიმმა სიგარეტი მოისროლა, პისტოლეტი ამოიღო და ცისკენ გაიშვირა, თან კარგადაც შეუკურთხა.

სად იყო, ნეტავ, ჰასანი.

მერე ვაღებინე, ჩემი კვნესა მიგის გრუხუნმა გადაფარა. ოც წუთში მაჰიფარის გამშვებ პუნქტთან ვიყავით. მძღოლს ძრავა არ გამოურთავს, მოახლოებული ჯარისკაცების შესახვედრად ისე ჩამოხტა მანქანიდან. რამდენიმე სიტყვა გადაუგდეს ერთმანეთს. სანთებელამ გაიჩხაკუნა. „სპასიბა“. სანთებელამ კიდევ გაიჩხაკუნა. ვიღაცამ ისეთი შემზარავი ხმით გაიცინა, რომ შევხტი. ბაბამ ხელი მომიჭირა. ახლა სიმღერა წამოიწყო იმავე კაცმა, მძიმე რუსული აქცენტით საშინლად ამახინჯებდა ძველავღანურ საქორწინო სიმღერას.

აჰესტა ბორო, მაჰემან, აჰესტა ბორო.

ნუ ჩქარობ ჩასვლას, ჩემო მთვარეო, ნუ ჩქარობ ჩასვლას.

ჩექმების ბრაგუნი უკვე ძალიან ახლოდან ისმოდა. ვიღაცამ სატვირთოს ძარას ბრეზენტი გადააძრო. სამმა კაცმა ერთად შემოიხედა. ერთი მათგანი ქარიმი იყო, ერთი ავღანელი ჯარისკაცი და ერთიც კბილებგადმოყრილი რუსი, სახე ბულდოგს მიუგავდა, პირში სიგარეტი ჰქონდა გაჩრილი. მათ უკან, ცაზე მთვარე ქათქათებდა. ქარიმმა და ავღანელმა პუშტუს ენაზე რამდენიმე სიტყვა უთხრეს ერთმანეთს. ცოტა რაღაცას ყური მოვკარი, თოორს არ გაუმართლაო, ამბობდნენ. რუსი საქორწინო სიმღერას ღიღინებდა, თან თითებით უკანა კარზე აკაკუნებდა. მთვარის მკრთალ შუქზეც კი აშკარად ჩანდა, როგორ გადაჰქონდა მზერა ერთი მგზავრიდან მეორეზე. თვალები არაბუნებრივად უელავდა და თუმცა სიცივე იყო, სახეზე წურწურით ჩამოსდიოდა ოფლი. მზერა შავთავსაბურიან ახალგაზრდა ქალზე შეაჩერა. ქარიმს რუსულად უთხრა რაღაც, ისე, რომ ქალისთვის თვალი არ მოუშორებია. ქარიმმა უხეშად მოუჭრა. რუსმა კიდევ უფრო უხეშად დაუბრუნა პასუხი. ავღანელმა ჯარისკაცმაც ხმადაბლა თქვა რაღაც. მაგრამ რუსმა დაიყვირა და ორივემ ხმა ჩაიგდო. ვგრძნობდი, როგორ იძაბებოდა ბაბა. ქარიმმა ჩაახველა, თავი გაიქნია და ძლივს ამოღერღა – რუს ჯარისკაცს ქალთან ნახევარი საათის გატარება უნდოდა.

ქალმა სახეზე თავშალი ჩამოიფარა და ტირილი დაიწყო, ბავშვიც ატირდა. ქალის ქმარს მიტკლის ფერი დაედო. ქარიმს სთხოვა, რუსისთვის გადაეცა, რომ მოწყალება გამოეჩინა, იქნებ მასაც ჰყავდა და, დედა ან ცოლი. რუსმა პასუხად რამდენიმე სიტყვა დაიყეფა.

– თქვენს მშვიდობით გადაყვანაში ასეთ საფასურს ითხოვს, – ქარიმი ქალის ქმარს თვალს ვერ უსწორებდა.

– მაგრამ ხომ გადავიხადეთ! – წამოიძახა ქმარმა.

ქარიმი კიდევ დაელაპარაკა რუს ჯარისკაცს.

– ყველაფრის ფასს საგადასახადო ემატება, – თქვა რუსმა.

აქ კი წამოდგა ბაბა. ახლა მე ჩავებღაუჭე ფეხზე, მაგრამ ჩემი ხელი მოიშორა. წამოდგა და მთვარის შუქი გადაფარა.

– ერთი ჰკითხე, სირცხვილი თუ იცის ამ კაცმა, რა არის, – უთხრა ქარიმს, მაგრამ პირდაპირ თვალებში უყურებდა რუსს.

ქარიმმა უთარგმნა.

– ეს ომია, ომმა არ იცის სირცხვილი, – იყო რუსის პასუხი.

– უთხარი, რომ ცდება. ომი არ უარყოფს წესიერებას, პირიქით, მოითხოვს და იქნებ უფრო მეტადაც, ვიდრე მშვიდობა.

სულ გმირი უნდა იყო? ვფიქრობდი გულის ფანცქალით. ერთხელ გაატარე, რა! მაგრამ ვიცოდი, რომ არ შეეძლო, ასეთი ბუნების იყო, და ახლა მისი ბუნების გამო ყველას სიკვდილი გველოდა.

რუსმა გაიღიმა და რაღაც უთხრა ქარიმს. ღიმილმა სახე უარესად მოუჯღანა.

– აღა-საჰიბ, რუსები ჩვენნაირები არ არიან. აზრზე არ არიან, რა არის პატივი და ღირსება.

– რას ამბობს? – ჰკითხა ბაბამ.

– ამბობს, რომ ისევე ესიამოვნება მისთვის ტყვიით შუბლის გახვრეტა, როგორც ამ ქალის... – ქარიმმა თავი ქალისკენ გაიქნია.

ჯარისკაცმა სიგარეტი მოისროლა და ბუდიდან პისტოლეტი ამოიღო. აი, აქ კვდება ბაბა, გავიფიქრე. სკოლაში ნასწავლი ლოცვა წამოვიწყე.

– ათასი ტყვია რომ მესროლოს, მაინც არ დავუშვებ ქალის შერცხვენას! ასე გადაეცი, გესმის? – თქვა ბაბამ.

ზამთრის ერთი დღე, ექვსი წლის წინ: მე კუთხიდან ვიჭყიტები და ვხედავ, ქამალს და ვალის ჰასანი მიწაზე ჰყავთ გაკრული, ასეფის დუნდულების კუნთები რიტმულად იძაბება, თეძოები წინ და უკან მოძრაობს. მეც კაცი მერქვა?! ზოგჯერ ვფიქრობდი, რომ მართლა არ ვიყავი ბაბას შვილი.

ბულდოგის სახიანმა რუსმა პისტოლეტი შემართა.

– ბაბა, დაჯექი, გეხვეწები, მართლა გესვრის, – სახელოზე ვექაჩებოდი.

ხელი ამიკრა, – ვერაფერი გასწავლე, არა? – უცბად მომაკეტინა. მერე ჯარისკაცს მიუბრუნდა: – უთხარი, რომ პირველივე ტყვიით მომკლას, თორემ თუ აქვე არ გავთავდი, ნაფლეთებად ვაქცევ მაგ ძაღლისშვილს!

რუსის სახეზე დამცინავი ღიმილი არ წაშლილა, როცა თარგმანს მოუსმინა. პისტოლეტის ლულა პირდაპირ ბაბას მკერდს უმიზნებდა. სუნთქვა შემეკრა, თავი ხელებში ჩავმალე.

ტყვიამ დაიჭექა.

მორჩა, 18 წლის ვარ და არავინ მყავს. ბაბა მკვდარია, მე უნდა დავმარხო. მერე რა ვქნა? სად წავიდე? მაგრამ შავი ფიქრები მაშინვე გაიფანტნენ, როგორც კი თვალი გავახილე. ბაბა ფეხზე იდგა. მეორე რუსი ჯარისკაცი დავინახე, მის პისტოლეტის ლულას ბოლი ასდიოდა. იმ ჯარისკაცმა, ბაბას მოკვლა რომ უნდოდა, პისტოლეტი ბუდეში ჩადო და უხერხულობისგან ერთი ფეხიდან მეორეზე მოინაცვლა. თავი ვეღარ შევიკავე, გიჟივით ხან ვტიროდი და ხან ვიცინოდი.

მეორე რუს ჯარისკაცს ჭაღარა თმა ჰქონდა და უფრო ჩაფსკვნილი იყო. დამტვრეული ფარსით ლაპარაკობდა. ბოდიში მოგვიხადა მისი ამხანაგის საქციელის გამო, – რუსეთი მათ საომრად აგზავნის, მაგრამ ხომ იცით, ახალგაზრდები არიან და ჩამოდიან თუ არა,

ნარკოტიკებს ეტანებიან, – შეწუხებული მამის მზერა ესროლა პირველ ჯარისკაცს, – შეხედეთ, რას ჰგავს, ვცდილობ, რომ დავეხმარო... ხელი დაგვიქნია და გაგვეცალა.

სულ ცოტა ხანში გზა განვაგრძეთ. სიცილის ხმა დაგვეწია. პირველი ჯარისკაცი ისევ ისე ღიღინებდა ძველავღანურ, საქორწინო სიმღერას.

თხუთმეტი წუთი სიჩუმეში ვიმგზავრეთ. შემდეგ ქალის ქმარი წამოდგა, ბაბას მიუახლოვდა, დაიხარა და ხელზე ემთხვია. არ გამკვირვებია, სხვა დროსაც ბევრჯერ უკოცნიათ ბაბასთვის ხელზე.

თოორს არ გაუმართლაო, ასე თქვა მაჰიფარში ქარიმმა.

ჯალალაბადში მზის ამოსვლამდე ჩავედით. ქარიმმა სატვირთოდან ერთსართულიან სახლამდე მიგვაცილა. სახლი ორი ტალახიანი ქუჩის გასაყარზე იდგა. გარშემო ბევრი აკაცია, დაკეტილი მაღაზია და ბრტყელსახურავიანი ქოხი იყო.

შემცივდა, პალტოს საყელო ავიწიე. ვჩქარობდით, რომ სახლში ჩვენ-ჩვენი ბარგი შეგვეზიდა. არ ვიცი რატომ, მაგრამ ბოლოკის სუნი მცემდა.

ნახევრად ბნელ, ცარიელ ოთახში შევედით. ქარიმმა კარი ჩაკეტა და ფანჯრებზე დაფლეთილი ფარდები ჩამოაფარა. მერე ძალა მოიკრიბა, ღრმად ჩაისუნთქა და თქვა: თოორს ვერ მივყავდით ფეშავარში. თურმე მისი სატვირთო მანქანის ძრავა ერთი კვირის წინ დაიწვა და სათადარიგო ნაწილების შოვნას კარგი პირი არ უჩანდა. საიდანღაც უნდა ჩამოეტანათ, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ ელოდებოდნენ.

– გასულ კვირას? – წამოიძახა ვიღაცამ, – ეს თუ იცოდი, რატომ წამოგვიყვანე?

უცბად ვიღაცამ ელვის სისწრაფით გადაჭრა ოთახი და ქარიმი ორი ფუტის სიმაღლეზე კედელზე აკრული აღმოჩნდა. მის კისერზე ბაბას ხელები დავინახე.

– გეტყვით, რატომაც, – კბილებში გამოსცრა ბაბამ, – იმიტომ, რომ ფეხის ქირა აქვს აღებული და მეტი არაფერი ანაღვლებს!

ქარიმმა ხრიალი დაიწყო, პირის კუთხიდან დუჟი გადმოსდიოდა.

– გაუშვი, აღა-საჰიბ, მოკვდება, – სიბრალულით თქვა ერთერთმა მგზავრმა.

– მოკვდეს! – ბაბა არ ხუმრობდა, თუმცა იქ მყოფებს არ შეიძლებოდა, სცოდნოდათ, რამდენად სერიოზული იყო ბაბას განზრახვა. კიბოსავით წითელი ქარიმი ფეხებს აფართხალებდა. რომ არა იმ ახალგაზრდა ქალის ვედრება, ბაბამ რუსი ჯარიკაცისგან რომ იხსნა, ბაბას ქარიმი შემოაკვდებოდა.

ქარიმი იატაკზე დაეცა, აქეთ-იქით ტრიალებდა და ჰაერის ჩასუნთქვას ცდილობდა. ოთახში სიჩუმემ დაისადგურა. ორი საათის წინ ბაბამ ტყვიას შეუშვირა თავი უცნობი ქალის ნამუსის გადასარჩენად და ახლა კაცი კინაღამ დაახრჩო, და აუცილებლად, ხელის კანკალის გარეშე მოგუდავდა, ისევ იმ ქალს რომ არ ეთხოვა.

გვერდითა ოთახიდან ბრაგვანის ხმა გაისმა. არა, გვერდიდან არა, ქვევიდან.

– რა არის? – იკითხა ვიღაცამ.

– სხვები, – ძლივს ამოთქვა ქარიმმა, – სარდაფში არიან.

– რამდენი ხანია, რაც იცდიან? – ბაბა თავზე ადგა ქარიმს.

– ორი კვირაა.

– ერთი კვირის წინ გაფუჭდა მანქანაო, შენ არ თქვი?

ქარიმმა ყელზე მოისვა ხელი, – ალბათ ერთი კვირით კიდევ უფრო ადრე.

– რა დრო სჭირდება სათადარიგო ნაწილების ჩამოსვლას? – ბაბა ღრიალებდა. კიდევ კარგი, ბნელოდა, არ მინდოდა ბაბას სახეზე მკვლელის გამომეტყველება შემემჩნია.

ქარიმმა სარდაფში ჩასასვლელი კარი გააღო. შმორის სუნი პირდაპირ ნესტოებში მეტაკა. ძველ, ჭრიალა კიბეს ერთიმეორეს მიყოლებით ჩავუყევით. ბაბას ფეხქვეშ საფეხურები ისე ჩაიზნიქა, რომ შეგვეშინდა, არ ჩატეხილიყო. სარდაფს ნავთის ლამფის მკრთალი შუქი ანათებდა. ციოდა. ხალხი ჯგუფებად იდგა, კედლებზე სილუეტები ერთმანეთში ირეოდნენ. სადღაც წყალი წვეთავდა, ჩურჩულისა და კიდევ რაღაც გაურკვეველი ფხაკუნის ხმა ისმოდა.

ბაბამ ამოიოხრა და ჩემოდნები დაყარა.

ქარიმმა დაგვამშვიდა. რამდენიმე დღეში სატვირთო მანქანა მწყობრში იქნება და ფეშავარისაკენ გზას გავუდგებით. იქ თავისუფლად და უსაფრთხოდ ვიქნებით, – ალბათ.

სარდაფი ახლა ჩვენი სახლი იყო. მესამე ღამეს მივხვდი, რა ფხაკუნობდა. იქაურობა ვირთხებით იყო სავსე.

სიბნელეს შევეჩვიე და ოცდაათ კაცამდე დავითვალე. კედლის გასწვრივ, გვერდიგვერდ ვისხედით. კრეკერების, პურის, ფინიკის და ვაშლის ჭამით გაგვქონდა თავი. პირველ ღამეს ყველა კაცი, ბაბას გარდა, ერთად ლოცულობდა. ერთ-ერთმა ლტოლვილმა ბაბას უთხრა, ერთად ვილოცოთ, აღა, ახლა ღმერთი თუ გადაგვარჩენსო.

ბაბამ ბურნუთი შეისუნთქა, ფეხები წინ გასწია და უპასუხა: – ახლა რვა ცილინდრიანი ძრავისა და კარგი კარბურატორის გარდა, ვერაფერი გვიშველის.

იმ ღამეს, მოგვიანებით, აღმოვაჩინე, რომ ჩვენთან ერთად ქამალი და მამამისი იმალებოდნენ. დავიძაბე, ჩემ წინ, რამდენიმე ნაბიჯში ქამალი იჯდა. მერე მამისი და ქამალი ჩვენ მხარეს გადმოვიდნენ. ახლა კი კარგად დავინახე ქამალი... რა მოუვიდა? – გახმა – მეტი სიტყვა ვერ მოვძებნე. ცარიელი თვალებით შემომხედა, აზრის ნიშანწყალი არ ეტყობოდა, მხრები ჩამოყრილი, ლოყები ჩაცვენილი, გაძვალტყავებული. მამამისი, ერთ დროს ქაბულის კინოთეატრის მეპატრონე, ბაბას თავის ამბავს უყვებოდა. სამი თვის წინ ბრმა ტყვია საფეთქელში მოხვედრია მის ცოლს და ადგილზე მოუკლავს. მერე ქამალზე დაიწყო ლაპარაკი: – მარტო არ უნდა გამეშვა... ლამაზი ბიჭი იყო... ოთხნი იყვნენ... შეეწინააღმდეგა, მაგრამ... ღმერთო! აჯობეს... რომ ვნახე, სისხლი სდიოდა ქვევით, შარვალი დახეული ჰქონდა... მას მერე აღარ ლაპარაკობს, უაზრო თვალებით იყურება..

სატვირთო არ იქნებაო, გვითხრა ქარიმმა ერთი კვირის განმავლობაში ვირთხებთან თანაცხოვრების შემდეგ, თურმე შეკეთებას არ ექვემდებარებოდა.

– მაგრამ არის გამოსავალი, – ამოიკნავლა ქარიმმა. მის ბიძაშვილს ბენზინმზიდი ჰქონდა, ის ახლა ჯალალაბადში იყო. რამდენჯერმე ხალხიც გადაუყვანია. ყველა ჩაეტევითო, გვითხრა.

მოხუცი წყვილის გარდა, ყველამ წასვლა გადავწყვიტეთ. იმავე ღამეს გავუდექით გზას: მე და ბაბა, ქამალი და მამამისი და სხვები. ქარიმი და მისი ბიძაშვილი აზიზი, მელოტი კაცი ოთკუთხა სახით, კონტეინერში ჩასვლაში გვეხმარებოდნენ. თითოთითო ავდიოდით უკანა კიბეზე და შემდეგ შიგ სრიალით ვეშვებოდით. მახსოვს, ბაბა თითქმის ასული იყო, რომ

უეცრად მოტრიალდა და ჩამოხტა. ბურნუთის ყუთი დაცალა, დაიხარა, მუჭით მიწა აიღო, აკოცა, ბურნუთის ყუთში ჩაყარა და გულისჯიბეში ჩაიდო.

თავზარი

პირი გააღე, რაც შეიძლება ფართოდ გააღე, ისე, რომ ყბების ძვლები გეტკინოს, უბრძანე საკუთარ ფილტვებს, რომ ისუნთქონ, მაგრამ სასუნთქი გზები დახშულია, გადაკეტილია, შევიწროვებულია. პირი, პირი არ დახურო, მაგრამ ტუჩები ერთმანეთს ეწებება, ხელები გეკრუნჩხება და გიკანკალებს. ცივ ოფლში იწურები, გინდა, რომ იყვირო, მაგრამ ამისთვის ჰაერი გჭირდება...

თავზარი

სარდაფი ბნელი იყო, აქ უკუნეთია. მარჯვნივ, მარცხნივ, ზევით, ქვევით ვიყურები, ხელებს ვიქნევ, მაგრამ კუნაპეტი ღამე, მეტი არაფერი. ჰაერი მძიმეა და მყიფე. მინდა, რომ ხელით მივწვდე, დავფშვნა და ტრაქეაში ჩავიტენო. გაზის სუნი მახრჩობს, თვალები მეწვის, თითქოს ქუთუთოები გადამიწიეს და ზედ ლიმონი დამაწურეს, ცეცხლს ვისუნთქავ ყოველ შესუნთქვაზე, ცხვირი მეწვის, კივილი მინდა...

და პატარა სასწაული. ბაბამ სახელოზე მომქაჩა, რაღაცამ მწვანედ გაანათა. სინათლე! ბაბას მაჯის საათი. თვალებით დავაკვდი ფოსფორისფერ ისრებს, დახამხამებას ვერ ვბედავდი, მეშინოდა, რომ გაქრებოდნენ.

ნელ-ნელა შევეჩვიე გარემოს. ხალხის კვნესა და ჩუმი ლოცვა მესმოდა, კიდევ ბავშვის ტირილი და დედის ხმადაბალი დაყვავება; ვიღაცას გული ერეოდა, ვიღაც შურავის წყევლიდა, მანქანა ჯანჯღარებდა, ხალხი რკინის კედლებს თავებით ეხეთქებოდა.

– რამე კარგი გაიხსენე, ბედნიერი, – მითხრა ბაბამ.

რამე კარგი, ბედნიერი. გონებას დავაძალე, რომ ასეთი რამ ეპოვა. და აი:

პარასკევია, პაჰმანში ვართ. მინდორი სავსეა აყვავებული თუთის ხეებით. მე და ჰასანი მუხლებამდე ბალახში ვდგავართ. მე ბაწარს ვექაჩები, კოჭა ჰასანს უჭირავს: ზევით, ცაში ფრანს ვუყურებთ. ხმას არ ვიღებთ, მაგრამ იმიტომ არა, რომ სათქმელი არ გვაქვს, უბრალოდ იმიტომ, რომ ისედაც გვესმის ერთმანეთის, საჭირო არ არის ლაპარაკი. ძუძუმტეები ვართ, ერთმანეთისთვის ბავშვობის პირველი მოგონება, აქ სიტყვები ზედმეტია. ნიავი უბერავს და ჰასანი კოჭას თავის ნებაზე უშვებს. ფრანი იხლართება, ხან ქვევით ეშვება, ხან ზევით ადის... ბალახი ლივლივებს, ჩვენი ჩრდილები მზეზე ცეკვავენ, ჩიტების ჟღურტული და წყაროს რაკრაკი ისმის. და კიდევ რაბაბზე დამღერებული ძველი, ნაცნობი მელოდია. გვეძახიან, ჩაის და ნამცხვრის დროა.

არც თვე მახსოვდა, არც წელიწადი. ეს მოგონება ჩემში ცხოვრობდა, როგორც ბედნიერი წარსულის პატარა ნაწილი, როგორც ჩემი უღიმღამო, ცარიელი ყოფის ფერადი შტრიხი.

ჩვენი მოგზაურობის დანარჩენი მოგონებები მიმომეფანტა. რაღაც ფრაგმენტები წამომიტივტივდება ხოლმე, ძირითადად ხმები და სუნი: მიგის გრუხუნი, ავტომატის ჯერი, შორიახლოს ვირის ყროყინი, ზანზალაკების ჟღარუნი და ცხვრების ბღავილი, საბურავებს ქვეშ ხრეშის ხმა, ბავშვის ღნავილი, ბენზინის, ნარწყევის, ქაქის სიმყრალე. დამაბრმავებელი სინათლე კი, როდესაც დილით კონტეინერიდან ამოვძვერით, კარგად მახსოვს.

თვალებმოჭუტულმა ცას შევხედე. ჰაერს ისე დავეშურე, თითქოს ქვეყანაზე მისი მარაგი იწურებოდა.

მიწაზე დავწექი, მადლობელი ვარ, ღმერთო, ჰაერისთვის, სინათლისთვის, სიცოცხლისთვის.

– პაკისტანში ვართ, ამირ, – თქვა ბაბამ, –ქარიმი ამბობს, ავტობუსი მოვა და ფეშავარში წაგვიყვანსო.

ისევ მიწაზე ვიწექი. ბაბას ფეხებთან ჩვენი ჩემოდნები ეწყო. მის ფეხებშორის ბენზინმზიდი ჩანდა. ლტოლვილები უკანა კიბით აღწევდნენ თავს წყვდიადს. ღრუბელი ჩამოწვა. ტყვიისფერი დაედო იქაურობას. წინ გზა იშლებოდა და შორს, გორებს უკან იკარგებოდა. გზის გასწვრივ, ფერდობზე, პატარა სოფელი იყო შეფენილი.

მზერა ჩვენს ჩემოდნებზე გადავიტანე. საწყალი ბაბა! მთელი ცხოვრება აშენებდა, იბრძოდა, გეგმავდა, ოცნებობდა და ბოლოს რა შერჩა – ორი ჩემოდანი და ხელით სათრევი ვაჟიშვილი.

ტირილის ხმა მომესმა. მგზავრებმა წრე შეკრეს, აღელვებულები ლაპარაკობდნენ. ვიღაცამ „გამონაბოლქვი“ ახსენა. ცოტა ხანში ტირილი მოთქმა-გოდებამ შეცვალა. მე და ბაბამ მგზავრებს შორის გზა გავიკვლიეთ. წრის შუაგულში ქამალის მამა იჯდა. თავისი შვილის უსულო სხეული კალთაში ეწვინა და გახევებულ სახეს უკოცნიდა. საცოდავი წინ და უკან ირწეოდა, გულამოსკვნილი ქვითინებდა. ქამალის გაშეშებული მარჯვენა ხელი რიტმულად ყვებოდა ქვითინს.

– არ სუნთქავს! ჩემი ბიჭი არ სუნთქავს! ღმერთო, მიშველე, ღმერთო, გადმომხედე!

ბაბა დაიხარა და მხარზე ხელი მოჰხვია. მაგრამ ქამალის მამამ უხეშად მოიშორა. შემდეგ ყველაფერი ელვის სისწრაფით მოხდა. ქამალის მამა წამოხტა და გაცოფებული იქვე მდგომ ქარიმს მივარდა. თვალის ერთი დახამხამება და ქარიმის პისტოლეტი ქამალის მამას ეჭირა ხელში.

– არ მესროლო! – გამწარებული ყვიროდა ქარიმი

გონს სანამ მოვეგებოდით, პისტოლეტი საკუთარ პირში ჩაიცალა. არასოდეს დამავიწყდება იმ ხმის ექო და სისხლის შადრევანი.

ორად მოკეცილი მიწაზე დავეშვი, ისევ გული მერეოდა.

თავი მეთერთმეტე

ფრიმონტი, კალიფორნია. 1980-იანი წლები

ბაბამ იმ ამერიკას გაუღო თავისი გულის კარი, თავის წარმოსახვაში რომ დახატა. მაგრამ ყოველდღიურ ცხოვრებას იმედგაცრუება მოჰყვა თან. ამერიკაში ცხოვრება იყო სწორედ, ბაბას წყლული რომ გაუჩინა.

ხანდახან ჩვენს სახლთან შორიახლოს, ელიზაბეტის ტბასთან, პარკში ვსეირნობდით ხოლმე. პატარა ბიჭები ბეისბოლს თამაშობდნენ, გოგონები საქანელებიდან ხითხითებდნენ. გზადაგზა ბაბა გაუთავებლად ცდილობდა ჩემს პოლიტიკურ განათლებას,

– მთელს მსოფლიოში მხოლოდ სამი ნამდვილი მოთამაშეა, – იტყოდა ხოლმე და თითებზე ჩამოთვლიდა: – ამერიკა, ბრიტანეთი და ისრაელი. დანარჩენები... – ხელს ჩაიქნევდა, – ტფუუუ... ჭორიკანა ქალებს ჰგვანან.

ისრაელიო! ცოფდებოდნენ იქაური ავღანელები და ბაბას პროებრაელობას, აქედან გამომდინარე, დეფაქტო ანტი-ისლამისტობას სწამებდნენ. ჩაის სმის დროს ხალხი ჭკუიდან გადაჰყავდა პოლიტიკაზე ლაპარაკით. ბოლოს ჩემთან იოხებდა გულს: – არ ესმით, რომ რელიგია არაფერ შუაშია. ისრაელში კაცებმა იციან, რას აკეთებენ. არაბები კი ნავთობიდან ფულის ქაჩვაზე არიან გადასულები და უკვე საკუთარი თავებისთვისაც ვეღარ მიუხედავთ. ისრაელმა ასეო და ისრაელმა ისეო, – დაყენებული არაბული აქცენტით გამოაჯავრებდა ხოლმე პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს, – მერე მიდი რა, რამე გააკეთე! იმოქმედე! არაბი არ ხარ? დაეხმარე რა პალესტინელებს!

ჯიმი კარტერს ვერ იტანდა, კბილებგადმოყრილ კრეტინს ეძახდა. 1980 წელს, როცა ჯერ კიდევ ქაბულში ვიყავით, ამერიკამ მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებს ბოიკოტი გამოუცხადა, – ვაი, ვაი! – ზიზღით იტყოდა ხოლმე ბაბა, – ბრეჟნევმა ნახევარი არაბეთი გაწყვიტა და ეს დორბლიანი ეუბნება, არ ჩამოვალ და შენს აუზში არ ვიბანავებო! – ბაბა თვლიდა, რომ კარტერმა გაუცნობიერებლად უფრო მეტი გააკეთა კომუნიზმისთვის, ვიდრე ბრეჟნევმა. – ვერ მართავს ქვეყანას, კაცი რომ ველოსიპედს ვერ ატარებს, შეიძლება კადილაკის საჭესთან დასვა? ამერიკას და მსოფლიოს მაგარი კაცი სჭირდება, – ამბობდა ბაბა, – ის, ვინც იმოქმედებს და მხოლოდ ხელის ჩამოსართმევად არ ივლის მთელს მსოფლიოში.

ასეთ კაცად რონალდ რეიგანი მოევლინა მსოფლიოს. როდესაც რეიგანმა თავის ტელემიმართვაში „შურავის“ „ბოროტების იმპერია“ უწოდა, ბაბამ მისი დიდი ფოტო იყიდა. სურათი ჩარჩოში ჩასვა და ზაჰირშაჰის შავთეთრი ფოტოს გვერდით დაკიდა. ფრიმონტში ჩვენ მეზობლად ძირითადად ავტობუსის მძღოლები, პოლიციელები, გაზგასამართი სადგურების პერსონალი, სახელმწიფო დახმარების შემყურე მარტოხელა დედები ცხოვრობდნენ. ეს ის ხალხი იყო, „რეიგანომიკამ“ კედელთან რომ მიაყენა და საკუთარ ბალიშებქვეშ ახრჩობდა. ჩვენს კორპუსში ბაბა ერთადერთი რესპუბლიკელი იყო.

ყველაფერი თითქოს თავის ჯერით მიდიოდა, მაგრამ ქალაქზე ჩამოწოლილი ნისლი თვალებს სწვავდა ბაბას, ხმაური კი თავს ატკივებდა. ვერც აყვავებული მცენარეების მტვერს ეგუებოდა, გამუდმებით ახველებდა. არც ხილი იყო მისთვის საკმარისად ტკბილი და არც წყალი – სუფთა; ან ბაღები სად ჰქონდა ამ ხალხს ან მინდორველი? ორი წელი ვეხვეწებოდი, რომ ინგლისურის კურსებზე ევლო, მაგრამ სიცილად არ ჰყოფნიდა, – დავუშვათ, სიტყვა „კატა“ სწორად დავწერე და მასწავლებელმა ვარსკვლავით დამაჯილდოვა, სახლში გამოვიქცე და გახარო? – ჩაიბუზღუნებდა ხოლმე.

1983 წლის ერთ კვირადღეს, მე და ბაბა ფრიმონტის ბულვარში ვსეირნობდით. ხუთ წუთში მოვალ-მეთქი, ვუთხარი ბაბას და ინდური კინოთეატრის გვერდით პატარა ბუკინისტურ მაღაზიაში შევედი. ბაბა გაზგასამართ სადგურზე მუშაობდა. იმ დღეს ისვენებდა. დავინახე, რომ ქუჩა უადგილოდ გადაჭრა და ბულვარის გადაღმა გასტრონომში შევიდა.

გასტრონომი ხანდაზმულ ვიეტნამელ წყვილს ეკუთვნოდა. მისტერ და მისის ნგუენები კეთილგანწყობილი, სანდომიანი ხალხი იყო. მისის ნგუენი პარკინსონის დაავადებით იტანჯებოდა, მისტერ ნგუენს კი ცალი მენჯი ხელოვნურით ჰქონდა ჩანაცვლებული.

– ამირ, გახსოვს ფილმი „ექვსმილიონდოლარიანი კაცი?“ ხომ ჰგავს იმ კაცს მისტერ ნგუენი? – სიცილით იტყოდა ხოლმე მისის ნგუენი. მისტერ ნგუენი დაიძაბებოდა და ცდილობდა ნელი, „რობოტული“ მოძრაობებით ლი მეიჯორსისთვის მიებაძა.

მაიკ ჰამერის საიდუმლოებების გაცვეთილ ეგზემპლარს ვათვალიერებდი. უცბად კივილის და შუშის მსხვრევის ხმა შემომესმა. წიგნი დავაგდე და ქუჩა სწრაფად გადავჭერი. მისტერ და მისის ნგუენები დახლის უკან, კედელზე იყვნენ აკრულები. არც ერთს ფერი არ ედო სახეზე. მისტერ ნგუენი ცოლს აფარებოდა. ჟურნალების თარო ამოყირავებული ეგდო იატაკზე, ბაბას ფეხებთან ფორთოხლები, შუშის ნამსხვრევები და კონსერვის ქილები ეყარა.

თურმე, ნუ იტყვით, ბაბას ნაღდი ფული არ ჰქონია და ჩეკი გამოუწერია მისტერ ნგუენისთვის. პირადობის მოწმობა მოუთხოვიათ და სულ გადარეულა ბაბა. რაო? პირადობის მოწმობაო?

– ორი წელია ხილს აქ ვყიდულობ, ფულს ვტენი ჯიბეში ამ ძაღლისშვილებს და პირადობის მოწმობას მთხოვენ!

– ბაბა, ასეთი წესია, ევალებათ, რომ პირადობის მოწმობა მოგთხოვონ, – თან ცოლ-ქმარს ვუღიმოდი.

– აღარ დამენახოთ! – ყვიროდა მისტერ ნგუენი და ხელჯოხს ბაბასკენ იშვერდა. მერე მე მომიტრიალდა.

– თქვენ სასიამოვნო ახალგაზრდა კაცი ჩანხართ, მაგრამ მამათქვენი ნამდვილი გიჟია, მეორეჯერ აქ აღარ შემოხვიდეთ!

– იქნებ ფიქრობს, რომ ქურდი ვარ? – თანდათან ხმას უწევდა ბაბა. ქუჩაში ხალხმა დაიწყო მოგროვება, – ეს რა ქვეყანაა? ერთმანეთს არავინ ენდობა!

– პოლიციას გამოვიძახებ! – წამოიძახა ქმრის ზურგს ამოფარებულმა მისის ნგუენმა, – გადით აქედან, თორემ გამოვიძახებ!

– ახლავე გავალთ, მისის ნგუენ, ნუ გამოიძახებთ! – ვთხოვე მე.

– ჰო, ჰო, ახლავე გადით, სახლში წაიყვანე! – თქვა მისტერ ნგუენმა და თან ბაბას თვალს არ აშორებდა.

რომ გამოვდიოდით, ბაბამ ერთხელ კიდევ გაჰკრა ფეხი იატაკზე მიმოფანტულ ჟურნალებს. დავაფიცე, უკან არ გამომყვე-მეთქი და ცოტა ხანში მაღაზიაში დავბრუნდი; ბოდიში მოვიხადე. ავუხსენი, რომ ბაბა ადვილად ვერ ეგუებოდა ახალ ცხოვრებას და რომ ყველაფერი რთულად გადაჰქონდა. ჩემი ტელეფონის ნომერი დავუტოვე; ზარალი დაითვალეთ-მეთქი, ვთხოვე, – ყველაფერს გადავიხდი, კიდევ ერთხელ გიხდით ბოდიშს, – შევამჩნიე, რომ მისის ნგუენს, ბაბას წყალობით, ჩვეულებრივზე მეტად უკანკალებდა ხელები. შეიძლებოდა ამის გაკეთება?! გავბრაზდი ბაბაზე.

მინდოდა მეთქვა, რომ ქაბულში საკრედიტო ბარათებად ხის გათლილ ტოტებს ვიყენებდით. მე და ჰასანი ასეთი ტოტით მივდიოდით პურის საყიდლად. მეპურე დანით ამოკაწრავდა ტოტს და თონიდან ამოყრილ ცხელცხელ ნაანს გვატანდა. ერთი ნაკაწრი

ერთი პური იყო. თვის ბოლოს ბაბა ნაკაწრების რაოდენობის მიხედვით იხდიდა. სულ ეს იყო, არავითარი კითხვები და პირადობის მოწმობები. აღარ მოვუყევი, მადლობა გადავუხადე, რომ პოლიცია არ გამოიძახეს და წამოვედი. სახლში ბრინჯის და ქათმის ჩაშუშულის მომზადება დავიწყე. ბაბა აივანზე ეწეოდა. ჯერ წელიწადნახევარი იყო გასული, რაც ფეხი დავდგით ამ მიწაზე. რთული აღმოჩნდა ბაბასთვის ახალი ცხოვრების დაწყება.

სიჩუმეში ვივახშმეთ. ერთი-ორი ლუკმა და ბაბამ თეფში გასწია. თვალს არ ვაშორებდი, როგორ შეიცვალა! დაკოჟრილ ხელებზე მანქანის ზეთით გაშავებული ფრჩხილები დამტვრეული ჰქონდა, სახსრები უჭრიალებდა, ტანსაცმელს ბენზინის, ზეთის, მტვრის სუნი ასდიოდა. ქვრივი რომ მეორე ცოლს ითხოვს და გარდაცვლილი ცოლი უდგას სულ თვალწინ, თავს ისე გრძნობდა. ჯალალაბადის შაქრის ლერწმის ჭალები და პაჰმანის ბაღები ენატრებოდა, ახლობლები, მის სახლში უწყვეტ ნაკადად რომ მიდიმოდიოდნენ, ბაზარში გასეირნება და ხალხთან მისალმება, ხალხთან, რომელმაც მისი პაპის პაპაც კი იცოდა, ვინ იყო, ხალხთან, რომელთანაც წინაპრები და წარსული აერთიანებდა. ამერიკაში ბაბა ავღანეთის მიწას მისტიროდა, მე კი ამერიკის მიწას ვაყრიდი ჩემს ავღანურ წარსულს.

– იქნებ ფეშავარში დავბრუნდეთ, – ვთქვი მე. წყლის ჭიქაში ყინულის ნატეხი ტივტივებდა.

ფეშავარში ექვსი თვე ვიცდიდით, სანამ იმიგრაციისა და ნატურალიზაციის სამსახური ვიზებს გასცემდა. ჩვენს უღიმღამო ერთოთახიან ბინაში ჭუჭყიანი წინდების და კატის ექსკრემენტის სუნი იდგა, მაგრამ გარს ხალხი გვეხვია, ჩვენიანები, „ჩვენიანები“ თუ არა, სულ მცირე, „ბაბასიანები“ მაინც. უმრავლესობა ჩვენსავით ვიზას ელოდებოდა. ბაბა ყველას ერთად პატიჟებდა სადილად. ვიღაცას აუცილებლად ექნებოდა ტაბლა და ვიღაცას ჰარმონიუმი, ჩაი იხარშებოდა და იწყებოდა სიმღერა... მზის ამოსვლამდე ტაშს ვუკრავდით; მეორე დილას ყველას ხელები გვტკიოდა.

– შენ იქ უფრო ბედნიერი იყავი, იქ უფრო შინაურად გრძნობდი თავს, – ვთქვი მე.

– ფეშავარი ჩემთვის იყო უკეთესი, შენთვის – არა.

– ძალიან ბევრს მუშაობ.

– ახლა არა უშავს, – თქვა ბაბამ. სამსახურში დღის მენეჯერად გადაიყვანეს, ცოტა შეუმსუბუქდა საქმე, მაგრამ ვხედავდი, როგორ ისრესდა ხოლმე მტკივან მაჯებს ნესტიან დღეებში, – აქ ჩემი გულისთვის არ ჩამოვსულვართ, ხომ ასეა.

ხელი ხელზე დავადე – ჩემი სუფთა, ფაფუკი სტუდენტური ხელი მის უხეშ, დაკოჟრილ, მუშურ ხელს. ყველა სათამაშო გამახსენდა, რაც ბაბას ოდესმე უჩუქებია: სატვირთო მანქანები, მატარებლები, ველოსიპედები. და აი, მისი უკანასკნელი ძღვენი ამირს – ამერიკა!

ერთი თვეც არ იყო გასული ჩვენი შტატებში ჩასვლიდან, ბაბამ რომ ვაშინგტონის ბულვარზე გაზგასამართ სადგურში დაიწყო მუშაობა. მეპატრონე ავღანელი იყო, ბაბას ნაცნობი. კვირაში ექვსი დღე, დღეში თორმეტი საათი მუშაობდა: ბენზინს ასხამდა, რეგისტრაციას აწარმოებდა, ზეთს ცვლიდა, ფარებს რეცხავდა. ზოგჯერ შუადღისას საჭმელი მიმქონდა. ხშირად შევსწრებივარ, ფერმკრთალი და ღონემიხდილი როგორ

ეძებდა მომხმარებლისთვის თაროზე სიგარეტს. კარს შევაღებდი, ელექტრო ზარის ხმაზე შემობრუნდებოდა, ხელს დამიქნევდა და გამიღიმებდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ დაღლილობისგან ფეხზე ძლივს იდგა.

იმავე დღეს, როცა ბაბამ მუშაობა დაიწყო, სან ხოსეში წავედით სოცუზრუნველყოფის ოფიცერთან შესახვედრად. დობინსი მსუქანი შავკანიანი ქალი იყო. თვალები სულ უციმციმებდა და სიცილის დროს ლოყებზე პაწაწა ნაჩვრეტები უჩნდებოდა. ერთხელ მითხრა, ადრე ეკლესიაში ვმღეროდიო და ძალიან ადვილად დავიჯერე. ისეთი ხმა ჰქონდა, თბილი რძე და თაფლი გაგახსენდებოდათ. ბაბამ საკვები პროდუქტების ტალონების მთელი დასტა დაუდო მისის დობინსს მაგიდაზე.

– დიდი მადლობა, მაგრამ არ მინდა, – დამტვრეული ინგლისურით თქვა ბაბამ, – მე ვმუშაობ, აქაც, ავღანეთშიც, სულ ვმუშაობ. გმადლობთ, მაგრამ არ მომწონს უფასო საჭმელი, იმდენს ვხარჯავ, რამდენიც შემიძლია.

მისის დობინსი თვალებს ახამხამებდა. ტალონები აკრიფა, ხან მე მიყურებდა, ხან ბაბას; იქნებ ვატყუებდით, ან იქნებ, როგორც ჰასანი იტყოდა, ოინს „ვუსრიალებდით“.

– თხუთმეტი წელია აქ ვმუშაობ და ასეთი რამ არ მომხდარა, – თქვა მან.

ასე დაასრულა ბაბამ საკვები პროდუქტების ტალონების დამამცირებელი ამბავი. ბაბა და სამოწყალოდ ნაყიდი საჭმელი? არაა! ღმერთმა არ ქნას და ვინმე ავღანელს რომ დაენახა! სოცუზრუნველყოფის ოფისიდან ისე მოაბიჯებდა თითქოს სიმსივნე მოეკვეთა.

1983 წლის ზაფხულს სკოლა დავამთავრე. უკვე ოცი წლის ვიყავი, ესე იგი, ყველაზე უფროსი იმ ახალგაზრდებს შორის, იმ დღეს სკოლის ფეხბურთის მოედანზე სიხარულისგან ოთხკუთხა ქუდებს ზევით რომ ისროდნენ. ეზო სავსე იყო მშობლებით, ნათესავებით, ცისფერკაბიანი გოგონებით; ფოტოკამერები არ ჩერდებოდა. ხალხი ერთმანეთს ეხვეოდა. ზოგი ტიროდა, ზოგი იცინოდა. მამები სიამაყით ულოცავდნენ ვაჟიშვილებს. ცისფერკაბიანი გოგონები აცრემლებული თვალებით ეხუტებოდნენ მშობლებს. მოკლედ, ერთი ამბავი იყო. როგორც იქნა, დავინახე ბაბა. ოცდამეერთე ხაზთან იდგა. ხელები ჯიბეში ჰქონდა ჩაწყობილი და კისერზე აპარატი ეკიდა. პირველად შევამჩნიე, რომ წვერში ჭაღარა გარეოდა, საფეთქლებთან თმაც შეთხელებოდა. ქაბულში უფრო მაღალი არ იყო? თავისი ერთადერთი ყავისფერი კოსტიუმი ეცვა. ამ კოსტიუმს იცვამდა ხოლმე ავღანეთში, ქორწილებში და დასაფლავებებზე როცა მიდიოდა. ბაბამ ხელი დამიქნია, გამიღიმა, მანიშნა, ოთკუთხა ქუდი დაიხურეო და სურათი გადამიღო. ეს დღე მისი დღესასწაული უფრო იყო, ვიდრე ჩემი. მომიახლოვდა, მხარზე ხელი გადამხვია და წარბთან მაკოცა, – მოფთაჰირ! ვამაყობ შენით! თვალები უბრწყინავდა და ძალიან მიხაროდა, რომ როგორც იქნა, მისი სიამაყის მიზეზი გავხდი.

იმ საღამოს ავღანურ საქაბაბეში დიდი სუფრა გააწყობინა. საქაბაბის მეპატრონეს უთხრა, შემოდგომაზე ჩემი ვაჟი კოლეჯში იწყებს სწავლასო. სკოლის დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე ამ საკითხთან დაკავშირებით კამათიც კი მოგვივიდა. ჯერ სამსახურს ვიშოვი, ცოტა ფულს დავაგროვებ და ერთი წლის შემდეგ ჩავაბარებ-მეთქი, ვთხოვდი, მაგრამ ბოლოს ისეთი თვალებით შემომხედა, რომ სიტყვა ენაზე შემახმა. სადილის შემდეგ ქუჩის გადაღმა ბარში შევედით. უღიმღამო, ბნელი ბარის კედლები ლუდის აუტანლად მძაფრი სუნით

იყო გაჟღენთილი. კაცები ბილიარდს თამაშობდნენ. რამდენიმე მათგანს ბეისბოლის კეპი ეხურა. მწვანე მაუდგადაკრული მაგიდების თავზე, ნეონის ნათების ქვეშ, სიგარეტის კვამლის ღრუბელი ტრიალებდა. გაპიწკინებულ შარვალ-კოსტიუმში გამოწყობილებმა მაშინვე ყურადღება მივიქციეთ. ბარის დახლთან დავსხედით, მოხუცი კაცის გვერდით. მოხუცს რეკლამის ცისფერი შუქი ეცემოდა და ავადმყოფურ იერს აძლევდა. ბაბამ სიგარეტს მოუკიდა და ლუდი შეუკვეთა.

– დღეს მე ბედნიერი ვარ! – მიმართა ყველას და კონკრეტულად არავის, – ჩემს ვაჟიშვილთან ერთად ვსვამ და კიდევ, მეგობართან ერთად... – მოხუცისკენ გადაიხარა და მსუბუქად დაარტყა ბეჭზე ხელი. მოხუცმა მადლობის ნიშნად ქუდი მოიხადა და გაიცინა. არც ერთი ზედა კბილი არ ჰქონდა.

ბაბამ სამი ყლუპით ძირამდე დაიყვანა ლუდი და კიდევ შეუკვეთა. სამი კათხა ჩაამთავრა, მე ჯერ მეოთხედიც არ მქონდა დალეული. ბაბამ მოხუცისთვის ახლა ვისკი შეუკვეთა, ბილიარდის მოთამაშეებს კი დიდი დოქით „ბუდვაიზერი“ გაუგზავნა. კაცებმა ხელი ჩამოართვეს, მისი სადღეგრძელო შესვეს. ბაბამ სიგარეტი ამოიღო, ვიღაცამ მაშინვე სანთებელა მიაგება. ჰალსტუხი შეიხსნა და მოხუცს ოცცენტიანების მთელი ბღუჯა ჩაუყარა მუჭში, თან მუსიკალური ავტომატისკენ მიუთითა.

– უთხარი, თავისი საყვარელი სიმღერა შეუკვეთოს, – მთხოვა მე.

მოხუცმა თავი დაუქნია, ხელი საფეთქელთან მიიტანა და სამხედრო სალამი მისცა. ქანთრის რიტმებმა თავისი ქნეს, ბაბამ ქეიფი დაიწყო...

ერთ მომენტში ფეხზე წამოდგა, კათხა ასწია, და მთელი ხმით დაიყვირა: – რუსეთის დედაც ვატირე! – აიტაცეს და ერთხმად იმეორებდნენ: რუსეთის დედაც ვატირე! ექო კარგა ხანს ისმოდა. ყველას კიდევ თითო კათხა ლუდი ბაბასგან...

რომ მოვდიოდით, გული დასწყდათ. ბაბა ისევ ის ბაბა იყო, ღიმილით ვფიქრობდი, ქაბულში იქნება, ფეშავარში თუ ჰეივორდში, რა მნიშვნელობა აქვს.

ბაბას ჟანგისფერი ბიუკ ცენტურის საჭეს მე მივუჯექი. მთელი გზა თვლემდა, გეგონებოდათ, დრელი გრუხუნებდა, ისე ხვრინავდა. თამბაქოს და ალკოჰოლის მძაფრი სუნი იდგა. როგორც კი მანქანა შევაჩერე, ჩახლეჩილი ხმით მითხრა:

– არ გააჩერო, კვარტალის ბოლომდე იარე!

– რატომ?

– მიდი, მიდი.

ბოლოს სადგომზე გამაჩერებინა. ლაბადის ჯიბიდან გასაღები ამოიღო.

– აი, – ხელი მანქანისკენ გაიშვირა. ფორდის ძველი მოდელი იყო, ფართო და გრძელი. მთვარის შუქზე ფერი კარგად ვერ გავარჩიე.

– შეღებვა კი სჭირდება, მაგრამ კარგად დარბის, სამსახურში ბიჭები მყავს, სულ გააახლებენ.

გაოგნებულმა გამოვართვი გასაღები.

– კოლეჯში ამით ივლი.

ხელზე ხელი მოვუჭირე. ღამის სიბნელე თვალებზე მომდგარ ცრემლს მალავდა.

– მადლობა, ბაბა.

ფორდში ჩავსხედით. გრანდ ტორინო იყო, ზღვისფერი, როგორც ბაბამ თქვა. კვარტალში გავატარ-გამოვატარე; მუხრუჭები, რადიო, სიგნალი, ყველაფერი გავუსინჯეთ. ჩვენს ბინასთან, სადგომზე გავაჩერე და ძრავა გამოვრთე.

– თაშაკორ, ბაბაჯან, – ვთქვი მე. მინდოდა მეთქვა, რომ შეძრული ვიყავი მისი სიკეთით, რომ ყველაფერს, რაც ჩემთვის გააკეთა და რასაც აკეთებდა, ძალიან ვაფასებდი, მაგრამ ვიცოდი, რომ არ უყვარდა ზედმეტი ლაპარაკი და კიდევ ერთხელ ვთქვი: – თაშაკორ.

გაიღიმა, საზურგეს მიაწვა. თავით ლამის ჭერს სწვდებოდა. ჩუმად ვისხედით, მინავლებულ ძრავას და მანქანების საყვირის ხმას ვუსმენდით. მერე ბაბამ თავი ჩემკენ შემოაბრუნა:

– ნეტავ ჰასანი ყოფილიყო დღეს ჩვენთან, – თქვა მან.

ჰასანის ხსენებაზე თითქოს რკინის ხელმა წამიჭირა ყელში, სუნთქვა გადამეკეტა, ფანჯარა ჩამოვწიე და დაველოდე, სანამ ცოტა შემეშვებოდა.

– კოლეჯში ინგლისურ ლიტერატურას ავირჩევ მთავარ საგნად, – ვუთხარი ბაბას სკოლის დამთავრების ცერემონიალის მეორე დღეს. სანამ პასუხს გამცემდა, ჩემი დამემართა.

– ინგლისურ ლიტერატურას?

– ჰო, შემოქმედებით წერას.

დაფიქრდა. ჩაი მოსვა.

– მოთხრობებს დავწერ, – თავი დავხარე.

– მოთხრობებში ფულს იხდიან?

– თუ კარგად წერ, იხდიან, ჯერ სახელი უნდა მოიხვეჭო, უნდა შეგამჩნიონ.

– ეგ რამდენად შესაძლებელია?

– ხდება ხოლმე.

თავი დააქნია.

– სანამ შეგამჩნევენ და სახელს მოიხვეჭ, რას აპირებ? როგორ უნდა ირჩინო თავი? ცოლს როგორ შეინახავ?

თვალებში ვერ ვუყურებდი.

– სამუშაოს ვიშოვი.

– ვახ! ესე იგი, რამდენიმე წელი უნივერსიტეტში ისწავლი და დიპლომს აიღებ, მერე რაღაც სამსახურს იშოვი, მე რომ მაქვს, ალბათ ისეთს და დიპლომი რაღად გინდა? ბოლოს რა გამოვა? როდისღა შეგამჩნევენ?

ამოიოხრა, ჩაი მოსვა. სამედიცინო და იურიდიულ განათლებაზე, „ნამდვილ პროფესიებზე“ ლაპარაკობდა თავისთვის, ხმადაბლა. დანაშაულის გრძნობა მწვავდა, სახე მეწვოდა. ბაბას გაშავებული ფრჩხილების, მტკივანი მაჯებისა და წყლულის ხარჯზე ვიწყობდი ცხოვრებას, მაგრამ დანებებას არ ვაპირებდი. არა, ჩემსას მაინც გავიტან! აღარასოდეს ვეცდები ბაბას გულის მოგებას! ისიც კმარა, რაც წარსულში ჩავიდინე, მას მერე თავბედს ვიწყევლი!

ბაბამ ამოიოხრა და მთელი მუჭა ილის თესლი ჩაიყარა პირში.

ფორდის საჭეს მივუჯდებოდი ხოლმე ხანდახან, ფანჯრებს ჩავწევდი და აღმოსავლეთის ყურედან დასავლეთის ყურემდე საათობით დავქროდი. ფრიმონტის ახლომახლო პატარა

დასახლებებისკენ გზის პირას დარგულ ალვის ხეებს მივყვებოდი. აქ, ნახევრად დანგრეულ პატარა ერთსართულიან სახლებში, უბრალო ხალხი ცხოვრობდა, ისეთები, „მეფეებთან“ რომ არ დადიან შეხვედრებზე. ძველი მანქანებიდან ზეთი პირდაპირ ასფალტზე იღვრებოდა, ნაცრისფერი ღობეების უკან ეზოებში სათამაშოები, გაცვეთილი საბურავები, ლუდის ბოთლები და აგლეჯილი ეტიკეტები ეყარა. თავში არავის მოსდიოდა მათი ალაგება და იქაურობის დასუფთავება. მერე ტყე-პარკს ჩავუვლიდი და ხარბად ვისუნთქავდი მცენარეების არომატს. იქვე იმხელა სავაჭრო პავილიონები იყო, ერთდროულად ხუთი ბუზკაშის შეჯიბრი გაიმართებოდა. გავცდებოდი პავილიონებს და ლოსალტოსისკენ ავუხვევდი. ნელი სვლით ჩავუვლიდი მამულებს, სადაც სახლებს ვიტრაჟული ფანჯრები ჰქონდათ და რკინის ჭიშკრებს ლომები ედგათ დარაჯად, შადრევნებს ქერუბიმები ამშვენებდნენ, სავალი გზები მოკირწყლულმოპრიალებული იყო. კვალიც არ ჩანდა ფორდ ტორინოების. ისეთი სახლები იყო, რომ ბაბას სახლი ვაზირ აქბარ-ხანის უბანში მსახურის ქოხად მოგეჩვენებოდათ.

შაბათობით ადრე მიყვარდა ადგომა. ჩავჯდებოდი მანქანაში და სანტა კრუსის მთებისკენ დავიძრებოდი. ფორდს ძველ შუქურასთან გავაჩერებდი და მზის ამოსვლას ვუცდიდი. მანქანის ფანჯრიდან ოკეანეს ვუცქერდი. ავღანეთში სად ვნახავდი ოკეანეს? მხოლოდ კინოში ჰასანთან ერთად. სულ მაინტერესებდა, მართლა მარილის სუნი თუ ჰქონდა ჰაერს ოკეანის სანაპიროზე. ჰასანს ვეუბნებოდი, დრო მოვა და მე და შენ წყალმცენარეებით სავსე სანაპიროზე ვისეირნებთ, ფეხებს ქვიშაში ჩავფლავთ და ტალღებს დაველოდებით-მეთქი. პირველად რომ დავინახე ოკეანე, გაოცებისგან ყვირილი აღმომხდა. ზუსტად ისეთი უსაზღვრო და ლურჯი იყო, როგორც კინოეკრანზე. იყო დღეები, როცა საღამოობით ფეხით სავალ ხიდზე ავდიოდი, სახეს რკინის მოაჯირის ბადეს მივაბჯენდი და ვუყურებდი, როგორ უერთდებოდა წითლად მოციმციმე ფარების რიგი უსასრულობას. BMW, SAAB, PORSCHE ეს მანქანები პირველად ამერიკაში ვნახე. ქაბულში ძირითადად რუსული ვოლგები, ძველი ოპელები და ირანული პეიკანები ჰყავდათ.

თითქმის ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც შტატებში ჩამოვედით. ამ უზარმაზარი ქვეყნის მასშტაბი ჯერ კიდევ მაოცებდა. ერთი ავტოსტრადის მიღმა მეორე ჩნდებოდა, ერთ ქალაქს სხვა მოსდევდა, სხვას შემდეგი, შემდეგს მთები, მთებს მიღმა გორაკები და გორაკებს მიღმა მთები, მათ მიღმა ქალაქები და ქალაქებს მიღმა ისევ ქალაქები...

ჯერ კიდევ მაშინ, ვიდრე რუსი მარშით შევიდოდა ავღანეთში, ვიდრე სოფლები გადაიწვებოდა და დანაღმული მინდორველი სასაკლაოდ იქცეოდა, ვიდრე დახოცილ ავღანელ ბავშვებს ქვა-ღორღს მიაყრიდნენ, ქაბული ჩემთვის აჩრდილების ქალაქად იქცა – კურდღლისტუჩა აჩრდილების ქალაქად.

სულ სხვა იყო ამერიკა; მდინარესავით დგაფუნით მიედინებოდა და არად დაგიდევდათ წარსულს. მე ამ მდინარეს გადავლახავ! ცოდვებს შიგ ჩავახრჩობ და განწმენდილი წყალს მივენდობი, წყალი წამიყვანს სადმე შორს, იქ, სადაც ცოდვები, მოგონებები და აჩრდილები თავს დამანებებენ.

სხვა რომ არაფერი, მხოლოდ ამისთვის გეგებება ხელებგაშლილი ამერიკა!

1984 წლის ზაფხულს 21 წლის გავხდი. იმ ზაფხულს ბაბამ თავისი ბიუიკი გაყიდა და 550 დოლარად ერთი ავღანელი სკოლის ყოფილი მასწავლებლისგან ნახმარი, ჟანგმოდებული 71 წელს გამოშვებული ფოლცვაგენის მიკრო ავტობუსი იყიდა. სახლთან სულ თუხთუხით და ფრუტუნით მივედით. მეზობლები გაკვირვებულები გვიყურებდნენ. მერე ბაბამ ძრავა გამორთო, ავტობუსი ჩვენი სადგომისკენ დააგორა. სიცილით ვიგუდებოდით, მაგრამ მანქანიდან მაშინ გადმოვედით, როცა დავრწმუნდით, რომ მეზობლებს უკვე აღარ ვაინტერესებდით. ჩვენი ავტობუსი ჟანგიანი რკინის კარკასი იყო და მეტი არაფერი: ფანჯრებზე შუშის მაგივრად ნაგვის პარკები, საბურავები გაცვეთილი, ზამბარები ამოყრილი, საჯდომებზე გადაკრული ნაჭერი დაფხრეწილი. რომ ვყიდულობდით, ავღანელმა სკოლის მასწავლებელმა გვითხრა, ძრავა საღიაო, და მართლაც ასე იყო, ტყუილი არ უთქვამს.

შაბათობით ბაბა განთიადისას მაღვიძებდა. სანამ იცვამდა, ადგილობრივ გაზეთში ძველმანებით ვაჭრობის შესახებ განცხადებებს ვინიშნავდი და მარშრუტს ვადგენდი. პირველ რიგში ფრიმონტი, უნიონ სითი, ნივარკი და ჰეივორდი, შემდეგ სან ხოსე, მილფიტასი, სანივეილი, ქემფბელი. ავტობუსს ბაბა მართავდა, თან თერმოსიდან ჩაის წრუპავდა, მე მიმართულებას ვკარნახობდი. ვაჭრობა გარაჟებში იმართებოდა. გამყიდველებს ფასს ვაკლებინებდით და ათასი ხარახურით ვავსებდით ავტობუსს. რას არ ნახავდით: ძველ საკერავ მანქანას, ცალთვალა ბარბის, ტენისის ხის რაკეტას, სიმებდაწყვეტილ გიტარას, ძველისძველ მტვერსასრუტს. ნაშუადღევს ვაჭრობა დამთავრებული გვქონდა. კვირას სან ხოსეში ძველმანების ბაზრობაზე მივდიოდით, სავაჭრო ადგილს ვქირაობდით და ამ ნაგავს პატარა მოგების სანაცვლოდ ვყიდდით. წინა დღეს 25 ცენტად ნაყიდი „ჩიკაგოს“ ფირფიტა 1 დოლარად მიდიოდა, 5 ცალი 4 დოლარად, 10 დოლარად ნაყიდი ძველი „ზინგერი“ 25 დოლარად.

იმ ზაფხულს ავღანელებმა სან ხოსეს ბაზრობის დიდი სეგმენტი დაიკავეს. ძველმანი საქონლის სექციის შესასვლელში ავღანური მუსიკა ისმოდა. ავღანელებს თავიანთი ქცევის წესები ჰქონდათ ბაზრობაზე: ერთმანეთს ესალმებოდნენ, აუცილებლად იწვევდნენ კარტოფილის ღვეზელისა და ფლავის გასასინჯად, უსამძიმრებდნენ მშობლის გარდაცვალებას, ულოცავდნენ ბავშვის დაბადებას, საუბრობდნენ და როცა ავღანეთსა და რუსეთზე გადავიდოდნენ, მწუხარებით აქნევდნენ თავებს. შაბათის თემას არასოდეს ეხებოდნენ. ვინ იცის, იქნებ სულაც ერთმანეთს გადაუჭრეს გზა გარაჟებისკენ მიმავალ ტრასაზე, როგორმე უფრო სარფიანი ვაჭრობა რომ მოესწროთ!

ბევრი ჩაი ისმებოდა, კიდევ უფრო ბევრი ჭორი ვრცელდებოდა. სანამ მწვანე ჩაის და ნუშის პურს მიირთმევდი, უამრავ ჭორს თუ მართალს გაიგონებდი. თურმე, ნუ იტყვი, მავანისა და მავანის ქალიშვილს ნიშნობა ჩაუშლია და ამერიკელ შეყვარებულთან ერთად გაქცეულა. ვიღაც კომუნისტი იყო ქაბულში და იქნებ არც იყო, ვიღაცას იმდენი ფული უშოვია, რომ სახლი უყიდია, თუმცა სოციალურ დახმარებას მაინც იღებდა. ჩაი, პოლიტიკა, სკანდალი ავღანელების კვირა დღის ინგრედიენტები იყო.

როდესაც ბაბა სექციებში შესასვლელებს შორის სეირნობდა, დახლთან მე ვიდექი. ნაცნობ ქაბულელებს ესალმებოდა. ზოგი მექანიკოსი იყო და ზოგი მკერავი; გაცვეთილი

პალტოებით, მოტოციკლის დაკაწრული ჩაფხუტებით ვაჭრობდნენ, მაგრამ მათ შორის ყოფილი ელჩი, ქირურგი და უნივერსიტეტის პროფესორიც ბევრი ერია.

1984 წლის ივლისის ერთ კვირა დილას, ბაზრობაზე ახალი მისულები ვიყავით, ყავის საყიდლად წავედი. უკან რომ ვბრუნდებოდი, დავინახე, რომ ბაბა ხნიერ წარმოსადეგ კაცს ესაუბრებოდა. ყავის ჭიქები ჩვენი ავტობუსის უკანა ბამპერზე დავაწყე.

– ამირ, – თქვა ბაბამ, – მინდა, ბატონი გენერალი წარმოგიდგინო, ბატონი იქბალ თაჰერი. ქაბულში, თავდაცვის სამინისტროში, მაღალი რანგის თანამდებობა ეკავა.

თაჰერი, რა ნაცნობი გვარი იყო?! გენერალმა ისე გაიცინა, როგორც ოფიციალურ წვეულებებზე იცინიან თანამდებობის პირები, როდესაც მნიშვნელოვანი პერსონების უმნიშვნელო ხუმრობაზე რეაგირება უხდებათ. თხელი ჭაღარა თმა რუჯმოდებული მაღალი შუბლიდან უკან ჰქონდა გადავარცხნილი, წარბებში ჭაღარა გარეოდა, ხშირი უთოობისგან გაპრიალებული სამნაჭრიანი ფოლადისფერი კოსტიუმი ეცვა, ჟილეტის ჯიბიდან ოქროს საათის ძეწკვი უჩანდა.

– ასეთი მაღალფარდოვანი წარდგენა... – კარგად დამუშავებული ხმით თქვა მან, – სალამ, ბაჩემ. გამარჯობა, შვილო.

– გამარჯობა, გენერალო, – ვთქვი მე. ხელი ჩამომართვა და ისე მაგრად მომიჭირა, თითქოს ფოლადისგან ჰქონდა ჩამოსხმული.

– ამირი დიდი მწერლობისთვის ემზადება, – თქვა ბაბამ. ხომ არ მომესმა-მეთქი, გავიფიქრე, – ყველა გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარა კოლეჯში.

– მაშალლა! – თქვა გენერალმა, – ჩვენს ქვეყანაზე დაწერ? მისი ისტორიის შესახებ? თუ ეკონომიკა გაინტერესებს?

– მხატვრული წერა, – ვთქვი და რაჰიმ-ხანის ნაჩუქარ ტყავის ყდიან ბლოკნოტში ჩაწერილი ჩემი მოთხრობები გამახსენდა. უცნაურიიყო, გენერლის წინაშე ცოტა დაბნეულად ვგრძნობდი თავს.

– ოჰ, მოთხრობები, – თქვა გენერალმა, – ჩვენ დროს ადამიანებს სჭირდებათ გამოგონებული ისტორიები, თავისი ყოფა რომ დაივიწყონ, – ბაბას ხელი დაადო ბეჭზე და ჩემკენ შემობრუნდა, – ისტორიებზე გამახსენდა, მე და მამაშენი ერთხელ ხოხობზე სანადიროდ ერთად წავედით ჯალალაბადში, რა კარგი დრო იყო! – მინდა, რომ იცოდე, მამაშენს თვალი ისევე უჭრიდა ნადირობისას, როგორც გონება ბიზნესის კეთებისას.

ბაბამ ფეხის წვერი გაჰკრა ტენისის რაკეტას, – ბიზნესის...

გენერლის ღიმილში თავაზიანობა და სევდა ერთდროულად იგრძნობოდა. ამოიოხრა, ბაბას ხელი გადაუსვა ბეჭზე, – ზენგადი მიგზარა, – თქვა მან, – ცხოვრება გრძელდება.

ჩემკენ მოიხედა, – ავღანელები გარკვეულწილად მიდრეკილები ვართ გაზვიადებისკენ, შვილო, და ხშირად უღირსებს ღირსეულის იარლიყებს ვაწეპებთ, მაგრამ მამაშენი უმცირესობის იმ ნაწილს წარმოადგენს, რომელიც ნამდვილად იმსახურებს ამ იარლიყს, – თავისი კოსტიუმივით სიტყვა თქვა, გაცვეთილი და „ძალით პეწიანი“.

– გულს მიკეთებთ, – თქვა ბაბამ.

– არავითარ შემთხვევაში, – თქვა გენერალმა. პატივისცემის ნიშნად მოიხარა და ხელი მკერდზე დაიდო, – ახალგაზრდებმა მამების დამსახურებები უნდა იცოდნენ, – ჩემკენ შემობრუნდა, – შვილო, შენ თუ აფასებ მამაშენს? დამსახურებულად თუ მიაგებ პატივს?

– დიახ, ბატონო გენერალო, – ვთქვი მე. არ მომწონდა რაღაც ეს „შვილო“.

– მაშინ გილოცავ, კაცობისკენ დიდი ნაბიჯი გქონია გადადგმული, – თქვა მან და მის სიტყვებში იოტისოდენადაც არ იგრძნობოდა ირონია. ეს ამპარტავანი კაცის კომპლიმენტი იყო.

– ფადარჯან, ჩაი დაგავიწყდა, – ახალგაზრდა ქალის ხმა გაისმა. ის ჩვენ უკან იდგა, ტანწერწეტა, კუპრივით შავი ხავერდოვანი თმით. ხელში თერმოსი და ჭიქა ეჭირა. თვალები დავახამხამე, გული ამიჩქარდა. ერთმანეთზე გადაბმული გაშლილი ფრთებივით მორკალული სქელი შავი წარბები ჰქონდა. ოდნავ კეხიანი ცხვირით სპარსელ პრინცესას მოგაგონებდათ – თაჰმინე, როსტომის ცოლი და სოჰრაბის დედა „შაჰნამედან“. მისი წამწამებით დაჩრდილული კაკლისფერი თვალები ჩემსას შეეფეთა. ერთი წამით შეჩერდა და გაბრუნდა.

– დიდი მადლობა, ჩემო კარგო, – თქვა გენერალმა, ჭიქა გამოართვა. ქალი სანამ წავიდოდა, შევამჩნიე, რომ მარცხენა ყურის ბიბილოსთან ნამგლის ფორმის ხალი ჰქონდა. თვალი გავაყოლე, რუხი ფურგონი გამოაღო და თერმოსს ძველ წიგნებსა და ფირფიტებს შორის მიუჩინა ადგილი; რომ დაიხარა, თმა ჩამოეშალა.

– ჩემი ქალიშვილი, სორაია, – თქვა გენერალმა. ღრმად ჩაისუნთქა და თავის ოქროს საათს დახედა. ეტყობოდა, რომ საუბრის თემის შეცვლა უნდოდა.

– რა დრო გასულა, დროა, საქმეს მივხედო, – თქვა და ბაბა გადაკოცნა, მე ხელი ჩამომართვა.

– წარმატებებს გისურვებ დიდი მწერლობის გზაზე, – თვალებში მიყურებდა. მის ცისფერ თვალებში ვერაფერს ამოიკითხავდით.

მთელი დღე თავს ვებრძოდი, რომ რუხი ფურგონისკენ არ გამეხედა. თაჰერი... ვიცოდი, რომ ეს გვარი სადღაც უკვე გაგონილი მქონდა.

– თაჰერის ქალიშვილზე რაღაც ჭორი დადიოდა, არა, ბაბა? – სხვათა შორის ვკითხე ბაბას.

– ხომ იცი, საუბარი ჭორაობაში რომ გადადის, იქაურობას ვეცლები ხოლმე, – თქვა ბაბამ, – რატომ მეკითხები? – ეშმაკურად ჩაიცინა.

– ისე, უბრალოდ დამაინტერესა, – მხრები ავიჩეჩე.

– მართლა? და მეტი არაფერი? – თვალები აუციმციმდა, – რაო, მოგეწონა?

– კარგი რა, ბაბა, – თვალი ავარიდე.

გაიღიმა და 680 ტრასისკენ გაუხვია. ერთხანს ჩუმად მართავდა მანქანას, – კაცს გაჰყოლია ოდესღაც, ალბათ ვერ აეწყოთ, სულ ეს არის, რაც ვიცი, – თქვა და ისე ამოიოხრა, გეგონებოდათ, რომ სორაიას მომაკვდინებელი სენის შესახებ გამანდო საიდუმლო.

– ვიცი, რომ წესიერი გოგოა, მშრომელი და კეთილი, მაგრამ გენერალს მთხოვნელები სათოფეზე არ ეკარებიან. უსამართლობაა, მაგრამ ზოგჯერ რამდენიმე დღეს, ანდა თუნდაც ერთ დღეს, მთლიანად შეუძლია ცხოვრების შეცვლა. ასეა, ამირ, ასე, – თქვა და კიდევ ამოიხვნეშა.

იმ ღამეს ძილი არ მომეკარა. სორაია თაჰერის ნამგალა ხალი და ოდნავ კეხიანი ცხვირი მედგა თვალწინ. და კიდევ თვალები, ერთი წამით ჩემს თვალებს რომ შეეფეთა. გული გამალებით მიცემდა. ჩემი სორაია თაჰერი, ძველმანების ბაზრობის პრინცესა.

თავი მეთორმეტე

ავღანურად „ილდა“ „ჯადის“, ანუ ზამთრის პირველი თვის პირველი და ყველაზე გრძელი ღამეა. ტრადიციულად ამ ღამეს მე და ჰასანი გვიანობამდე არ ვიძინებდით. კურსის ქვეშ ფეხებს ვითბობდით, ალი ვაშლს თლიდა, ნაფცქვენს ღუმელში ყრიდა და დრო რომ მოეკლა, სულთნებზე ან ქურდებზე ძველ ზღაპრებს გვიყვებოდა. პირველად ალისგან შევიტყვე ილდას მისტერიის შესახებ. ამ ღამეს სინათლის ძებნაში გზაარეული ფარვანები სანთლის ალზე იწვიან, მგლები მთის მწვერვალებზე ადიან, რადგან იქ ეგულებათ მზე და ჰო, კიდევ, ამ ღამეს საზამთროს თუ შეჭამ, მთელი ზაფხული, თურმე, აღარ მოგწყურდება.

როცა მოვიზარდე, პოეზიის წიგნებში ამოვიკითხე, რომ ილდა ბნელი, უსასრულო, უძილო ღამეა, რომელიც სიყვარულით დატანჯულ წყვილებს შეერთების საშუალებას არ აძლევს. უნდა გაუძლო როგორმე, მზეს დაელოდო, მზეს სიყვარული მოაქვს თან. მას შემდეგ, რაც სორაია თაჰერი პირველად ვნახე, ყოველი ღამე ილდად მექცა. ყოველ კვირას კაკლისფერთვალება სორაია თაჰერის ნახვის იმედით ვიღვიძებდი. ბაბას ავტობუსში წუთებს ვითვლიდი, ბოლოს დავინახავდი ხოლმე: სორაია მუყაოს ყუთებში გაყვითლებულ ენციკლოპედიებს აწყობდა, მის წვრილ მაჯებზე ვერცხლის სამაჯურები წკრიალებდნენ, თავს რომ გაიქნევდა, თმა ხავერდის ფარდასავით ეშლებოდა და მიწას ჩრდილად ეცემოდა. ჩემი ძველმანების პრინცესა, ჩემი ილდას მზე!

მიზეზს ვეძებდი, რომ თაჰერების სექციის შესასვლელთან ჩამევლო. ბაბას ჩუმჩუმად ეღიმებოდა ხოლმე. გენერალი თავისი შეუცვლელი გაპიწკინებული კოსტიუმით საუფროსო სკამზე იჯდა. ერთმანეთს ვესალმებოდით, ზოგჯერ ფეხზე წამოდგომასაც ინებებდა, და ხანმოკლე საუბარი გვქონდა მწერლობაზე, ომზე, იმ დღის ვაჭრობაზე. თავს ვაიძულებდი, რომ იქით არ გამეხედა, სადაც სორაია იჯდა და წიგნს კითხულობდა. შემდეგ დავემშვიდებოდი გენერალს და გამოვტრიალდებოდი. ძალიან ვცდილობდი, რომ წელში გამართულს მევლო.

როცა გენერალი ავღანელების მოსაკითხად გადიოდა, სორაია მარტო რჩებოდა. ზოგჯერ მასთან ერთად შუა ხნის მსუქან ქალს ვხედავდი. ქალს ფერმკრთალი სახე და წითლად შეღებილი თმა ჰქონდა. ისე ჩავუვლიდი სორაიას, თითქოს არც ვიცოდი, ვინ იყო. ჩემს თავს პირობა მივეცი, რომ ზაფხულის ბოლომდე გამოველაპარაკებოდი. მაგრამ ზაფხული გავიდა, არდადეგები დამთავრდა, წითელყვითელმა ფოთლებმა ცვენა დაიწყო, ზამთარი შემოგვეპარა და ბაბას თავი შეახსენა სახსრებმა. მერე ისევ გამოჩნდნენ ხეებზე კვირტები და მე ისევ არ მყოფნიდა გაბედულება, რომ თუნდაც უბრალოდ, თვალებში ჩამეხედა მისთვის.

1985 წლის მაისის ბოლოს ყველა გამოცდა წარმატებით ჩავაბარე. ცოტა კი მიკვირდა, ლექციებზე სორაიაზე ფიქრის მეტი არაფერი გამიკეთებია.

ზაფხულის ერთ ცხელ დღეს მე და ბაბა ჩვენს ჯიხურთან ვისხედით და გაგრილებას გაზეთის დანიავებით ვცდილობდით. მზე საშინლად მწველი იყო იმ დღეს, მაგრამ ბაზრობაზე გაცხოველებული ვაჭრობა მიდიოდა. 12:30-ზე უკვე 160 დოლარი გვქონდა მოგება. წამოვდექი და ბაბას ვკითხე, კოკა-კოლას ხომ არ დალევ-მეთქი.

– ფრთხილად იყავი, ამირ, – მითხრა ბაბამ.

– რატომ?

– შენ მე სულელი ხომ არ გგონივარ? მორჩი მაგ თამაშს.

– არ ვიცი, რაზე მელაპარაკები.

– დაიმახსოვრე, რასაც გეტყვი, კაცი სისხლხორციანად პუშტუნია, ნანგ და ნამუს გააჩნია. ღირსება და ნამუსი ყველა პუშტუნისთვის ამოსავალი წერტილია. განსაკუთრებით, თუ საქმე ცოლ-შვილის პატიოსნებას ეხება.

– კოკა-კოლას მოვიტან.

– არ შემარცხვინო, მეტს არაფერს გთხოვ.

– რას ამბობ, ბაბა!

ბაბამ სიგარეტს მოუკიდა და გაზეთით განიავება განაგრძო.

სასმელების ჯიხურს ჩავუარე და მარცხნივ გავუხვიე. მაისურების დახლთან შევჩერდი. თუ მოისურვებდით, აქ 5 დოლარად იესოს, ელვისის, ჯიმ მორისონის სახეებს ცალ-ცალკე ან ყველას ერთად დაგიხატავდნენ მაისურზე. ქუჩის მუსიკა ისმოდა, ბაზრობაზე ბოსტნეულის მწნილისა და შემწვარი ხორცის სუნი იდგა.

ორი რიგის იქით თაჰერების რუხი ფურგონი შევნიშნე. სორაია მარტო იყო, კითხულობდა. საზაფხულო თეთრი კაბა და მოღებული ფეხსაცმელი ეცვა. თმა აწეული ჰქონდა. უბრალოდ ჩავივლი-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ ვერც მივხვდი, ისე აღმოვჩნდი სორაიას პირისპირ.

– სალამი, – ვთქვი მე, – ბოდიშს გიხდით შეწუხებისთვის.

– სალამი.

– ბატონი გენერალი აქ არის? – შევეკითხე. ყურებზე ცეცხლი მეკიდა, თვალებში ვერ ვუყურებდი.

– იქით წავიდა, – მიპასუხა და ხელი მარჯვნივ გაიშვირა. სამაჯური იდაყვამდე ჩამოუცურდა. ზეთისხილისფერ კანზე ვერცხლმა გაიბრწყინა.

– გადაეცით, თუ შეიძლება, რომ შემოვიარე და პატივისცემით მოვიკითხე...

– გადავცემ.

– გმადლობთ, ჰო, მე ამირი მქვია, გადაეცით, რომ ამირი პატივისცემით მოიკითხავს...

– კარგი, გადავცემ, – თქვა მან.

ფეხი მოვინაცვლე, ჩავახველე, – ბოდიშს გიხდით შეწუხებისთვის, ახლა წავალ.

– არ მაწუხებთ, – თქვა მან.

– ძალიან კარგი, – თავი დავხარე და ძლივს გავიღიმე, – ახლა წავალ, უკვე გითხარით, არა? ხოდა ჰაფეზ. გფარავდეთ ღმერთი.

– ხოდა ჰაფეზ.

ნაბიჯი გადავდგი. უცბად შევჩერდი, – შეიძლება, რომ გკითხოთ? რას კითხულობთ?

თვალები დაახამხამა.

სუნთქვა შემეკრა. წარმოვიდგინე, რომ მთელი ბაზრობა ჩვენ გვიყურებდა. ხელებს ატრიალებდნენ გაოცებულები, სიტყვა შუა გზაში გაუწყდათ, თვალები მეტისმეტი ინტერესისგან დაუვიწროვდათ.

რა მოხდა ასეთი?

ამ მომენტამდე არც არაფერი. ერთი კაცი მეორე კაცის ამბავს კითხულობს, რა არის ამაში გასაოცარი? მაგრამ მე ზედმეტი კითხვა დავუსვი და თუ სორაია მიპასუხებდა, მაშინ ეს საუბარი იყო. საუბარი მოჯარადსა (უცოლო კაცი) და მარტოხელა ქალს შორის. კარგი საჭორაო მასალა მზადდებოდა. მწარე ენები ასისინდებოდნენ და ხალხის ყბაში ვაგდებდი სორაიას. მას მოუწევდა პასუხის გაცემა და არა მე. კარგად ვიცოდი ავღანური ორმაგი სტანდარტის შესახებ, რომელიც ჩემს სქესს უპირატესობას ანიჭებდა, – ნახეთ, როგორ ებაასება? და ვუიიი! ხომ ხედავთ, რომ ქალი არ უშვებს! რა სირცხვილია!

ავღანური ტრადიციის გათვალისწინებით, ჩემს შეკითხვას შეიძლება თამამი ვუწოდოთ. ამ შეკითხვით ჩემი ემოცია გავაშიშვლე, ინტერესი გამოვხატე, მაგრამ მე კაცი ვარ და არაფერს ვრისკავდი. შეიძლებოდა, რომ ამ ყველაფერს გული ეტკინა ჩემთვის, მაგრამ ტკივილის გაყუჩება შეიძლება, რეპუტაციის აღდგენა – არა. მიიღებს ჩემს გამოწვევას?

წიგნი დახურა და ჩემკენ შემოაბრუნა. „ქარიშხლიანი უღელტეხილი“, წაგიკითხავთ? – მკითხა მან.

თავი დავუქნიე. გული საშინლად მიცემდა, თვალები ლამის წამომვარდნოდა, – სევდიანი ისტორიაა.

– სევდიანი ისტორიებიდან ბოლოს კარგი ლიტერატურა იქმნება.

– ჰო, მართალი ბრძანდებით.

– ვიცი, რომ წერთ.

საიდან იცოდა? იქნებ მამამისმა უთხრა, ან იქნებ თვითონ ჰკითხა მამას. ეს სცენარი სასწრაფოდ უარვყავი. მამებს და ვაჟიშვილებს თავისუფლად შეუძლიათ ქალებზე საუბარი, მაგრამ არც ერთი წესიერი ავღანელი გოგო არ დაუსვამს კითხვას მამამისს ახალგაზრდა კაცის შესახებ. და არც ერთი ავღანელი მამა, განსაკუთრებით კი პუშტუნი, თავისი ნანგ და ნამუსით, არ ილაპარაკებს ქალიშვილთან მოჯარადზე. არავითარ შემთხვევაში! ეს მხოლოდ მაშინ შეიძლება მოხდეს, თუ ახალგაზრდა კაცი ხელს სთხოვს ქალს. ტრადიციის მიხედვით, მოსალაპარაკებლად კაცის მამა მიდის.

– ხომ არ წაიკითხავდით ჩემს მოთხრობებს? – საკუთარი ხმა შორიდან მესმოდა.

– სიამოვნებით, – თქვა მან.

უხერხულობა შევამჩნიე, აქეთ-იქით იყურებოდა. იქნებ გენერალს ეძებდა? რას იტყოდა ნეტავ გენერალი, ამ „ხანგრძლივი“ საუბრის შესახებ რომ შეეტყო?

– აუცილებლად მოგაწვდით, – ვთქვი მე. რაღაც კიდევ მინდოდა მეთქვა, მაგრამ ამ დროს ის ქალი დავინახე, ზოგჯერ სორაიასთან ერთად რომ იჯდა ხოლმე. ქალს პარკით ხილი მოჰქონდა. მოგვიახლოვდა, ხან მე მიყურებდა, ხან სორაიას. გაიღიმა.

– მიხარია თქვენი ნახვა, ამირ-ჯან, – თქვა და ხილის ამოლაგება დაიწყო. შუბლი ოფლით ჰქონდა დანამული, წითლად შეღებილი თმა ჩაფხუტივით ედგა თავზე, თმა გათხელებოდა და ალაგ-ალაგ თავის ქალის კანი უჩანდა, კომბოსტოსავით მრგვალ, მსუქან სახეში ჩამალული პატარა თვალები მძივებივით უბრწყინავდა, მოკლე, სოსისებივით თითები ჰქონდა და ჩასუქებულ კისერზე ორჯერ შემოგრაგნილი ოქროს ძეწკვი ეკიდა.

– სალამი, ხალა-ჯან, – ვთქვი ცოტა დაბნეულმა. მან იცოდა, ვინ ვიყავი, მე წარმოდგენაც არ მქონდა.

– მამათქვენი როგორ ბრძანდება? – მკითხა.

– გმადლობთ, კარგად.

– იცით, პაპათქვენი, ღაზი-საჰიბი, და პაპაჩემი ბიძაშვილები იყვნენ. ნათესავები ვართ.

და გაიცინა. შევამჩნიე, რომ პირის კუთხე ცოტა ჩამოვარდნილი ჰქონდა. რიგრიგობით გვიყურებდა მე და სორაიას.

ერთხელ ბაბას ვკითხე, რატომ არ გათხოვდა სორაია აქამდე-მეთქი. მთხოვნელები არ ჰყავს, საკადრისი მთხოვნელები, – შეასწორა ბაბამ. მან იცოდა, რომ გაუაზრებელ ყბედობას შეიძლებოდა სავალალო შედეგი გამოეღო და ხელი შეეშალა ქალის კარგად გათხოვებისთვის. ავღანელი კაცები, განსაკუთრებით კი წარჩინებული ოჯახის შვილები, ძალიან მერყევი ხასიათით გამოირჩეოდნენ. ერთი ჭორი იყო საკმარისი და ისე დაფრთხებოდნენ, რომ გადაწყვეტილების მიღებაზე ზედმეტი იყო ლაპარაკი.

ჰოდა, ამიტომ არავინ გამოჩნდა, „აჰესტა ბორო“ რომ ემღერა სორაიასთვის, არავინ შეუღება ინით ხელის გული, არავის წაუკითხავს მის თავზე ყურანი. სხვისი ქორწილები იმართებოდა და გენერალი თაჰერი ერთადერთი კაცი იყო, ვინც ამ ქორწილებზე სორაიას ეცეკვებოდა.

ახლა დედამისი დგას ჩემ პირისპირ. შეგეცოდებოდათ, მისი გვერდზე გაქცეული ღიმილი რომ გენახათ. აშკარა იყო, რომ ჩემმა გამოჩენამ იმედი ჩაუსახა. ცოტა არ იყოს, დათრგუნული ვიყავი იმ უპირატესი პოზიციით, რაც ჩემდაუნებურად, დაბადებისთანავე განსაზღვრა ჩემმა სქესმა.

შეუძლებელი იყო გენერლის თვალებში მისი ფიქრი ამოგეკითხათ, რასაც მის ცოლზე ვერ ვიტყვი. დარწმუნებული ვიყავი, სიტუაცია როგორც არ უნდა შემობრუნებულიყო, ჩემ წინააღმდეგ არ წავიდოდა.

– დაბრძანდით, ამირ-ჯან, – თქვა მან. სორაია, სკამი მოუტანე, შვილო. ატამი გარეცხე, ახალი, ტკბილი ატამია.

– არა, გმადლობთ, უნდა წავიდე, მამაჩემი მელოდება.

– ოჰ, – თქვა ხანუმ-თაჰერიმ. აშკარად ეტყობოდა, მოეწონა, ზრდილობიანად რომ მოვიქეცი და არ დავთანხმდი შემოთავაზებას. –მაშინ აი, ეს, – რამდენიმე ცალი კივი და ატამი ქაღალდის პარკში ჩააწყო, – ჩემი მოკითხვა მამათქვენს! კიდევ გამოგვიარეთ.

– აუცილებლად, ხალა-ჯან, – ვთქვი მე. სორაია გვერდზე იყურებოდა.

– მე მეგონა, კოკა-კოლას მოსატანად წახვედი, – თქვა ბაბამ და ქაღალდის პარკი ჩამომართვა. ვეცადე, პასუხი გამეცა, მაგრამ ბაბამ ატამი აიღო, ჩაკბიჩა და მითხრა: – არა უშავს, უბრალოდ გახსოვდეს, რაც გითხარი.

თვალი ვერ მოვხუჭე იმ ღამეს. როგორ თქვა? „ვიცი, რომ წერთ“ თუ „ვიცი, რომ მწერალი ხართ?“ ათასჯერ ვატრიალებდი თავში ერთსა და იმავეს. როგორ უბრწყინავდა მზეზე თვალები! რა ნატიფი ყელი ჰქონდა! ერთი გვერდიდან მეორეზე ვბრუნავდი; კიდევ ექვსი უსასრულო მტანჯველი ილდა მელოდა, ვიდრე კვლავ ვნახავდი. მომდევნო რამდენიმე კვირის განმავლობაში გენერალი სასეირნოდ წავიდოდა თუ არა, მათ დახლთან ვჩნდებოდი. ხანუმ-თაჰერი ჩაით მიმასპინძლდებოდა და ვიხსენებდით ძველ ქაბულს, ნაცნობებს, ბოლოს მის ართრიტზე გადავდიოდით. რასაკვირველია, ხვდებოდა, რომ ჩემი მისვლა და მისი მეუღლის წასვლა ემთხვეოდა ერთმანეთს, მაგრამ ყურადღებას არ ამახვილებდა.

– ოჰ, ერთმანეთს აცდით, ახლახან გავიდა, – მეტყოდა ხოლმე. სიმართლე რომ ვთქვა, მიხაროდა კიდეც, როდესაც ხანუმ-თაჰერი იქ იყო. სორაია უფრო მშვიდად გრძნობდა თავს, მეტსაც ლაპარაკობდა. ხანუმთაჰერი დასაშვების ფარგლებში აქცევდა ჩვენს ურთიერთობას. თქმა რად უნდა, გენერლის დასწრება სრულ „ლეგიტიმურობას“ შესძენდა ყველაფერს, მაგრამ ჯერჯერობით ესეც საკმარისი იყო. რადგან ხანუმ-თაჰერის თანხლებით ხდებოდა ჩვენი შეხვედრები, საჭორაო მიზეზიც აღარ არსებობდა.

სორაია ფრიმონტში, ოლოუნის კოლეჯში სწავლობდა. ერთ დღეს მარტო ვიდექით მათ დახლთან, კოლეჯის შესახებ მიყვებოდა.

– რა პროფესიას ირჩევთ?

– მასწავლებლობას, – მიპასუხა მან.

– მართლა? რატომ გადაწყვიტეთ?

– ყოველთვის მინდოდა, რომ მასწავლებელი ვყოფილიყავი. ვირჯინიაში როდესაც ვცხოვრობდი, ინგლისური ენის სერტიფიკატი ავიღე. ახლა საჯარო ბიბლიოთეკაში ვმუშაობ, კვირაში ერთხელ გაკვეთილებს ვატარებ. დედაჩემიც მასწავლებელი იყო, ფარსის და ისტორიას ასწავლიდა ქაბულის ქალთა სკოლის უფროსკლასელებს.

ვიღაც ღიპიანმა კაცმა სამი დოლარი შესთავაზა ხუთ დოლარიან სასანთლეში. სორაია დათანხმდა და ფული იქვე, კანფეტის პატარა ყუთში ჩაყარა. მერე შემომხედა.

– ერთი ამბავი მინდა, რომ მოგიყვეთ, ცოტა კი მერიდება.

– მომიყევით.

– სულელური ამბავია.

– მომიყევით, ძალიან მაინტერესებს.

– კარგი. მეოთხე კლასში რომ ვიყავი, მამაჩემმა შინამოსამსახურე აიყვანა, ზიბა ერქვა. ზიბას და ჰყავდა ირანში. ზოგჯერ ზიბა მთხოვდა ხოლმე, რომ მისი დისთვის წერილი მიმეწერა. თვითონ წერა-კითხვის უცოდინარი იყო. ერთხელ ვკითხე, არ გინდა, რომ ისწავლო-მეთქი, ძალიან, ძალიან გაუხარდა. სამზარეულოს მაგიდასთან ვსხდებოდით და ანბანს ვასწავლიდი. ზიბა დიდ გულმოდგინებას იჩენდა. გაზქურაზე ხორცის ქვაბს შემოდგამდა, თან მაგიდაზე რვეული ჰქონდა გადაშლილი, ხორცს მოურევდა, დაჯდებოდა და დავალებას ასრულებდა. მოკლედ, ერთ წელიწადში ზიბა საბავშვო წიგნებს ნელა, მაგრამ სწორად კითხულობდა. სორაია მასწავლებელო, ასე მომმართავდა ხოლმე, – სორაიას გაეცინა, – ვიცი, რომ გულუბრყვილოდ ჟღერს, მაგრამ ზიბამ რომ

პირველად თავისი ხელით მისწერა წერილი თავის დას, უსაზღვრო სიამაყე ვიგრძენი და მას მერე მასწავლებლობაა ჩემი ერთადერთი არჩევანი. ისეთი გრძნობა მქონდა, რომ რაღაც ძალიან ღირებული გავაკეთე. ხომ გესმით?

– მესმის, – ვიცრუე. გამახსენდა, როგორ ვიგდები აბუჩად ჰასანს, როგორ დავცინოდი მხოლოდ იმიტომ, რომ რომელიღაც სიტყვა არ იცოდა.

– მამაჩემს უნდა, რომ იურიდიულზე ჩავაბარო, დედაჩემი სამედიცინოს მირჩევს, მაგრამ მე მასწავლებლობა მინდა. ვიცი, რომ აქ კარგად არ უხდიან მასწავლებლებს, მაგრამ ეს ის არის, რაც მე მინდა.

– დედაჩემიც მასწავლებელი იყო, – ვთქვი მე.

– ვიცი, დედამ მითხრა, – უნებლიეთ წამოსცდა და საშინლად გაწითლდა. აჰაა... თურმე „საუბრები ამირზე“ დედა-შვილს შორის ხშირად იმართებოდა. სიცილი ძლივს შევიკავე.

– რაღაც მოგიტანეთ. უკანა ჯიბიდან ჩემი მოთხრობის ხელნაწერი ამოვიღე და მივაწოდე.

– დიდი მადლობა, გაგახსენდა? – სახე გაუნათდა. ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც სორაიამ შენობით მომმართა. უეცრად სახეზე ღიმილი შეაშრა, ფერი დაკარგა და რაღაცას თუ ვიღაცას მიაშტერდა. შევტრიალდი. გენერალთან პირისპირ აღმოვჩნდი.

– ამირ-ჯან, ჩვენო მეზღაპრევ, რა ბედნიერებაა, – სახეზე ღიმილის მსგავსი რამ გამოესახა.

– სალამი, გენერალო, – ძლივს ამოვღერღე.

მე ჩამიარა და დახლისკენ გაემართა, – რა მშვენიერი დღეა, არა? – სორაიას ხელი გაუწოდა. სორაიამ მოთხრობის ხელნაწერი გადასცა.

– გაწვიმდებაო, ამბობენ, თუმცა ძნელად დასაჯერებელია, – თქვა და ხელნაწერი სანაგვეში ჩააგდო. შემოტრიალდა, ბეჭზე ხელი დამადო. რამდენიმე ნაბიჯი ერთად გადავდგით.

– იცი რა, შვილო, ძალიან მომწონხარ, წესიერი კაცი ჩანხარ, მაგრამ ზოგჯერ წესიერ ბიჭებსაც სჭირდებათ შეხსენება, რომ აქ ხალხით სავსე ბაზრობაა. შეჩერდა, თვალი თვალში გამიყარა, – მათ შორის შენსავით მეზღაპრეც ბევრია, – გაიღიმა და თეთრი ჩაწიკწიკებული კბილები გამოუჩნდა, – მამა მომიკითხე, ამირ-ჯან.

– რა მოხდა? – მკითხა ბაბამ. საქანელა ცხენი გაყიდა და მოხუცი ქალისგან ფულს იღებდა.

– არაფერი, – ვთქვი მე. ძველი ტელევიზორის ყუთზე ჩამოვჯექი. შემდეგ ყველაფერი მოვუყევი.

– ოჰ, ამირ! – ამოიოხრა ბაბამ.

ისე მოხდა, რომ ამ ამბავზე დიდხანს არ მიდარდია. იმ საღამოს ბაბა ავად გახდა; სურდოთი და ხველებით დაეწყო. სურდოს მალე მოერია, მაგრამ ხველება ძალიან გაუგრძელდა. ცდილობდა, რომ არ დამენახა, ამოახველებდა და ცხვირსახოცს ჯიბეში მალავდა, ახლოს რომ მივიდოდი, ხელს ამიქნევდა ხოლმე. ექიმები და საავადმყოფოები სძულდა. ერთადერთხელ მივიდა ექიმთან, ისიც მაშინ, როცა ინდოეთში მალარია შეეყარა. ორი კვირის შემდეგ შემთხვევით წავასწარი, როცა ნახველს სისხლის კოლტი ამოაყოლა.

– რამდენი ხანია, რაც ასე ხდება?

– სადილად რა გვაქვს? – მკითხა.

– მორჩა, იცოდე, ექიმთან მივდივართ.

ბაბა გაზგასამართი სადგურის დღის მენეჯერი იყო. თუმცა სამედიცინო დაზღვევა არ ჰქონდა. მეპატრონეს არ შეუთავაზებია და, რასაკვირველია, თავი არ დაიმცირა და არ მოსთხოვა. ამიტომ რაიონულ კლინიკაში წავიყვანე. ექიმი სტაჟიორი იყო, ფერმკრთალი თვალებშეშუპებული ახალგაზრდა კაცი, – შენზე უმცროსს და ჩემზე ავადმყოფს ჰგავს, – თქვა ბაბამ. ექიმმა რენტგენის სურათის გადასაღებად გაგვაგზავნა. როდესაც ექთანმა პასუხის გასაგებად გამოგვიძახა, სტაჟიორი ექიმი ფორმას ავსებდა.

– ეს რეგისტრატურაში ჩაიტანეთ, – თქვა ისე, რომ წერა არ შეუწყვეტია.

– რა არის? – შევეკითხე.

– მიმართვა, – ისევ წერდა.

– რისთვის?

– პულმონოლოგიურ კლინიკაში, ფილტვების გამოსაკვლევად.

– და რატომ?

სათვალე გაისწორა, ამომხედა და წერა განაგრძო.

– მარჯვენა ფილტვზე დაჩრდილვა შეინიშნება. უნდა გამოიკვლიოთ.

– დაჩრდილვა? – ოთახი უცებ დაპატარავდა, სუნთქვა მიჭირდა.

– კიბოა? – ინდიფერენტულად იკითხა ბაბამ.

– ყოველ შემთხვევაში, საეჭვოა, – წაიბურტყუნა ექიმმა.

– მეტს ვერაფერს გვეტყვით? – ვკითხე.

– ვერაფერს, პირველ რიგში, კომპიუტერული ტომოგრაფიის გაკეთებაა საჭირო, შემდეგ სპეციალისტმა უნდა ნახოს, – მამათქვენი ეწევა, არა?

– დიახ.

მე და ბაბას რიგრიგობით გვიყურებდა, – ორ კვირაში დაგირეკავენ.

საეჭვოაო. თუ ხვდებოდა ნეტავ, სახლში როგორ მისტუმრებდა? მთელი ორი კვირა როგორ ვიცხოვრო, როგორ ვისწავლო ან ვიმუშავო?

მიმართვა წავიღე და რეგისტრატურაში ჩავაბარე. იმ ღამეს, ბაბამ რომ დაიძინა, საბანი დავკეცე, იატაკზე დავაგე და მუხლებზე დავეცი. ყურანის ნახევრად მივიწყებული სტროფები თავისთავად მომადგა ენაზე, მოლამ ისე ჩაგვიბეჭდა თავში, რომ დავიწყება შეუძლებელი აღმოჩნდა, – ღმერთო, შეეწიე ბაბას! – ვევედრებოდი და მის არსებობაში მაინც ეჭვი მეპარებოდა, როგორ მშურდა იმ წუთებში მოლას რწმენის!

როგორც იქნა, ორი კვირა გავიდა, მაგრამ არავის დაურეკავს. ბოლოს მე დავრეკე.

დავკარგეთ თქვენი მიმართვაო, იყო პასუხი. სამ კვირაში დაგირეკავთო. გაცოფებული ვყვიროდი. ბოლოს ისევ ორ კვირამდე შევამცირებინე ვადა. ერთი კვირა კომპიუტერული ტომოგრაფიისთვის და ერთი სპეციალისტთან ვიზიტისათვის.

ბაბას ვიზიტი ექიმ-პულმონოლოგთან ნორმის ფარგლებში მიმდინარეობდა იმ მომენტამდე, ვიდრე ბაბა შეეკითხებოდა, საიდან ხართო. ექიმმა შნაიდერმა უპასუხა, რუსეთიდანო და აქ ბაბამ თავი დაკარგა.

– უკაცრავად, ბოდიშს ვიხდი, ექიმო, – ვთქვი და ბაბა გვერდზე გავიყვანე. ექიმმა შნაიდერმა გაიღიმა, უკან დაიწია.

– ბაბა, ექიმის ბიოგრაფია წავიკითხე მოსაცდელ ოთახში. მიჩიგანში დაიბადა, მიჩიგანში გაიზარდა და უფრო ამერიკელია, ვიდრე მე და შენ ვიქნებით ოდესმე.

– რაში მაინტერესებს, სად დაიბადა! რუსია, რუსი! – ზიზღისგან სახე დაემანჭა, – მშობლები რუსი ჰყავდა, ბებია და პაპა რუსი. დედაშენის ხსოვნას ვფიცავ, რომ მომეკაროს, მკლავს მოვამტვრევ!

– ექიმ შნაიდერის მშობლები შურავის გამოექცნენ. ვერ ხვდები, რომ დევნილები არიან?

მაგრამ ვერაფერი გავაგებინე. ზოგჯერ ვფიქრობ, რომ ერთადერთი, რაც მართლა უყვარდა ბაბას, გარდაცვლილი ცოლის გარდა, მისი სამშობლო, მისი ავღანეთი იყო.

სიმწრისგან ტირილი მინდოდა, მაგრამ ექიმისკენ შევბრუნდი და ბოდიში მოვუხადე, – ვწუხვარ, ექიმო, ვერ დავარწმუნე.

შემდეგი პულმონოლოგი, ექიმი ამანი, ირანელი იყო. ბაბას პროტესტი არ გამოუხატავს. ექიმი ამანი ტკბილად მოსაუბრე კაცი აღმოჩნდა, გადაგრეხილი ულვაშითა და ჭაღარა ფაფარივით თმით. მან გვითხრა, რომ ტომოგრაფიის პასუხს გაეცნო, მაგრამ ახლა ბრონქოსკოპია იყო საჭირო, რათა ფილტვის ქსოვილის გამოკვლევით პათოლოგიის მიზეზი დაედგინათ. ერთ კვირაში დაგვიბარა. მადლობა გადავუხადე და ბაბა წამოვიყვანე. ახლა ერთი კვირა უნდა მეცხოვრა „პათოლოგიის“ შიშით, რომელიც დარწმუნებული ვიყავი, რომ უფრო დიდი საფრთხის მომცველი იყო ვიდრე „საეჭვო“, რომლითაც სტაჟიორმა ექიმმა გამოგვისტუმრა. თურმე, კიბოს ეშმაკივით ბევრი სახელი აქვს. ბაბასას შვრიის უჯრედის კარცინომა Oat Cell Carcinoma ერქვა. შორსწასული, ოპერაციას არ ექვემდებარებოდა. ბაბამ პროგნოზი მოსთხოვა ექიმ ამანის. ექიმმა ტუჩზე იკბინა: ლეტალური. შეგვიძლია, ქიმიოთერაპია ვცადოთ, მაგრამ მხოლოდ პალიატიური ეფექტი ექნება.

– ეგ რას ნიშნავს? – ჰკითხა ბაბამ.

ექიმმა ამოიხვნეშა: – პროცესს შეამსუბუქებს.

– მადლობელი ვარ, ყველაფერი გასაგებია, – თქვა ბაბამ, – არავითარი ქიმიოთერაპია! სახეზე მყარი გადაწყვეტილება ეწერა. ზუსტად ასეთი გამომეტყველება ჰქონდა, როდესაც მისის დობინსს წინ ტალონები დაუწყო.

– ბაბა...

– ნუ მარცხვენ ხალხში, ამირ! თავი ვინ გგონია?

გენერალ თაჰერის მიერ ნაწინასწარმეტყველებმა წვიმამ რამდენიმე კვირა დააგვიანა და სწორედ იმ დროს გაწვიმდა, ჩვენ რომ საავადმყოფოდან გამოვედით. ბაბამ სიგარეტს მოუკიდა და სახლამდე აღარც ჩაუქრია. კარს რომ აღებდა, ერთხელ კიდევ გავიბრძოლე:

– ბაბა, იქნებ გვეცადა ქიმიოთერაპია.

გასაღები ჯიბეში ჩაიდო. სიგარეტიანი ხელი რამდენჯერმე მომარტყა მკერდზე: – ბასტა! გადაწყვეტილია!

– მე რა ვქნა, ბაბა? რა მეშველება? – თვალებზე ცრემლი მომადგა.

სველ სახეზე ზიზღმა გადაურბინა. ასეთი გამომეტყველება ჰქონდა, როცა ბავშვობაში წავიქცეოდი და ტირილს ვიწყებდი. ჩემს ცრემლებს ბაბა მწყობრიდან გამოჰყავდა მაშინაც და ახლაც: – 22 წლის ხარ, ამირ! ზრდასრული კაცი! შენ... – რაღაცის თქმას აპირებდა,

მაგრამ გადაიფიქრა. შესასვლელის სახურავზე წვიმა ბრახუნებდა, – რა გეშველება? მთელი ამ წლების განმავლობაში იმას გასწავლიდი, რომ ეგ კითხვა არასოდეს დაგესვა. კარი გააღო. შემობრუნდა და მითხრა: – კიდევ ერთი რამ, სიტყვა არ დაძრა არავისთან, გესმის? არავის თანაგრძნობა არ მჭირდება. მთელი საღამო ტელევიზორთან იჯდა, სიგარეტი ხელიდან არ გაუგდია. ვისზე იყო ბაბა დაბოღმილი? ჩემზე, ექიმ ამანიზე თუ ღმერთზე, რომლისაც არასოდეს სწამდა?

ჯერჯერობით ფარხმალს არ ყრიდა. შაბათობით ისევ გავდიოდით სავაჭროდ. საჭესთან ყოველთვის ბაბა იჯდა, მე გვერდზე ვეჯექი. კვირაობით ისევ გაგვქონდა ნავაჭრი ძველმანების ბაზრობაზე. დახლზე დავაწყობდით თუნუქის ლამფებს, ბეისბოლის ხელთათმანებს, სათხილამურო ქურთუკებს და მუშტრებს ერთორ დოლარზე ვევაჭრებოდი. ბაბა ისევ ჩამოუვლიდა ხოლმე ნაცნობებს, მოიკითხავდა, მიესალმებოდა, მაგრამ ჩემთვის ყველაფერმა აზრი დაკარგა, რადგან ზუსტად ვიცოდი, რომ ყოველი დღე ჩემი დაობლების წუთს მაახლოვებდა.

ხანდახან გენერალი თაჰერი და მისი მეუღლე შემოგვისეირნებდნენ. გენერალი, მისთვის ჩვეული დიპლომატიური ღიმილით, ხელს ჩამომართმევდა, ხანუმ-თაჰერი კი უცნაურად დუმდა. თუმცა, როგორც კი გენერლის ყურადღებას სხვა რამ მიიპყრობდა, ორაზროვნად გამიღიმებდა და თვალებით თითქოს ბოდიშს მიხდიდა. იმხანად ჩემს ცხოვრებაში ბევრი რამ მოხდა პირველად. პირველად გავიგონე ბაბას კვნესა, პირველად დავინახე სისხლის ლაქა მის ბალიშზე, პირველად მოუწია ავადმყოფობის გამო სამსახურის გაცდენა.

იმ წელიწადს ჰელოუინის დღესასწაულის დადგომამდე ბაბას მდგომარეობა გაუარესდა. შუადღისას უკვე დაქანცული იყო და მარტო მიხდებოდა ვაჭრობის გაგრძელება. მიტევების დღისთვის დილიდან დაღლილობას გრძნობდა, ხოლო როდესაც სახლების წინ ციგები გამოდგეს და გორაკები ხელოვნური თოვლით დაფარეს, ბაბა სახლიდან ვეღარ გამოდიოდა.

როდესაც ბაბამ წონაში დაკლება დაიწყო, ნაცნობები კომპლიმენტებს არ იშურებდნენ, ხუმრობით დიეტის საიდუმლო ინგრედიენტების შესახებ ეკითხებოდნენ, მაგრამ მალე კითხვების ნაკადი შეწყდა. ბაბა დღითიდღე იცვლებოდა, სახე ჩამოუხმა, ყვრიმალები ამოეყარა, თვალებში სხივი ჩაუქრა და ჩაუცვივდა.

ახალი წელი დადგა. ერთ ცივ კვირა დღეს, ბაბა ცდილობდა, ვიღაც ფილიპინელისთვის აბაჟური მიეყიდა. მე ჩვენს ფოლკსვაგენში საბანს ვეძებდი. ვიცოდი, რომ სციოდა და მინდოდა, ფეხებზე მიმეფარებინა.

– ხალხო, ჩქარა! ჩქარა! ამ კაცს დახმარება სჭირდება! – უეცრად აყვირდა ფილიპინელი. შევტრიალდი და ... ღმერთო! ბაბა მიწაზე ეგდო, ხელები და ფეხები დაკრუნჩხვოდა.

– გვიშველეთ! – ბაბასკენ გავქანდი; თვალებატრიალებული ეგდო და პირიდან ქაფი გადმოსდიოდა. შემზარავი სურათი იყო. გავიგონე, რომ ვიღაცამ თქვა ეპილეპტური კრუნჩხვააო, – ჩქარა, დარეკეთ 911-ში! – ყვიროდა ვიღაც. ხალხი მოგვაწყდა, ჩამობნელდა. ბაბას ნერწყვი წითლად შეეღება. ენა კბილებს შორის მოექცა. მის გვერდით დავიჩოქე, მკლავებზე ხელები მოვხვიე, – აქ ვარ, ბაბა, შენთან ვარ! კარგად გახდები, აქ ვარ, შენთან! – ნეტავ, მისი კონვულსიის დაცხრომა შემძლებოდა! ნეტავ ხალხი გაგვცლოდა და ბაბასთან

მარტო დავეტოვებინე! მუხლებთან სისველე ვიგრძენი. შარდის ბუშტი ვეღარ იკავებდა, – ბაბაჯან, აქ ვარ, შენთან. შენი შვილი შენ გვერდითაა!

თეთრწვერიანმა მელოტმა ექიმმა ოთახიდან გამომიყვანა, – მინდა, რომ მამათქვენის კომპიუტერულ ტომოგრაფიას ერთად გადავხედოთ, – თქვა მან და ფირები ეკრანზე დაამაგრა. ფანქრის წვერი ისე გააყოლა კიბოს მეტასტაზებს, გეგონებოდათ, პოლიციელი იყო და მსხვერპლის ოჯახს დაპატიმრებული მკვლელის სურათებს აჩვენებდა. ბაბას ტვინი დიდ ნაჭუჭშემოცლილ კაკალს ჰგავდა – აქა იქ ნაცრისფერი ტენისის ბურთის მსგავსი, ჩემთვის გაუგებარი ჩანართებით.

– როგორც ხედავთ, მეტასტაზები წასულია. სტეროიდები უნდა მიიღოს, ტვინის შეშუპება რომ შემცირდეს, ასევე სჭირდება პრეპარატები, რომ აპოპლექსიური დამბლა არ განვითარდეს. მე პალიატიურ თერაპიასაც გირჩევდით... იცით ეს რას ნიშნავს?

თავი დავუქნიე. სამწუხაროდ, ონკოლოგია ჩემთვის უკვე ნაცნობი თემა იყო.

– კარგი, – თქვა მან. პეიჯერს დახედა. – უნდა წავიდე, კითხვები თუ გაგიჩნდებათ, პეიჯერზე მომწერეთ.

– მადლობელი ვარ.

ის ღამე ბაბას საწოლის გვერდით, სკამზე მჯდომმა გავათენე.

დილით საავადმყოფოს მოსაცდელი ოთახი ავღანელებით იყო გადაჭედილი. რიგრიგობით შემოდიოდნენ ბაბას პალატაში – ყასაბი ნევარკიდან, ინჟინერი ქაბულიდან, ბაბასთან ერთად ობოლთა თავშესაფრის პროექტზე რომ მუშაობდა, და სხვა უამრავი ნაცნობი. დაბალი ხმით ბაბას გამოჯანსაღებას უსურვებდნენ. ბაბა ღონემიხდილი და გაწამებული იყო, მაგრამ საღად აზროვნებდა.

შუადღისას გენერალი თაჰერი მოვიდა ცოლ-შვილთან ერთად. მე და სორაიამ ერთი წამით ერთმანეთს შევხედეთ და იმავე წამს გადავიტანეთ მზერა სხვებზე.

– როგორ ხართ, მეგობარო? – გენერალი დაიხარა და ბაბას ხელს შეეხო.

ბაბამ წვეთოვანი სისტემისკენ მიუთითა და ოდნავ გაიღიმა.

– რატომ შეწუხდით, – ჩახლეჩილი ხმით თქვა ბაბამ.

– რა შეწუხებაა, – თქვა ხანუმ-თაჰერიმ.

– სულაც არ შევწუხებულვართ, უფრო მეტიც, თუ რამე გჭირდებათ, ისე მთხოვეთ, როგორც თქვენს ძმას სთხოვდით, – თქვა გენერალმა.

ერთხელ ბაბამ პუშტუნების შესახებ ასეთი რამ თქვა: – ვიცი, მეტისმეტად ჯიუტები და ამაყები ვართ, მაგრამ დამიჯერე, გაჭირვებაში პუშტუნზე უკეთესი არავინაა.

ბაბამ თავი გააქნია: თქვენმა მოსვლამ თვალებში სინათლე შემმატა, – გენერალმა გაიღიმა და ხელზე ხელი მოუჭირა.

– ამირ-ჯან, შენ როგორ ხარ? რამე ხომ არ გჭირდება?

ისეთი თანაგრძნობით მიყურებდა... – არა, გმადლობთ, ცრემლი მომაწვა, ვეღარ გავუძელი და ოთახიდან გავედი.

მოსაცდელ ოთახში, სწორედ იმ ეკრანთან, სადაც ექიმმა გუშინ ბაბას მკვლელი მაჩვენა, მწარედ ავტირდი.

ოთახის კარი გაიღო და სორაია გამოვიდა. მომიახლოვდა, ჯინსი და სვიტერი ეცვა. თმა გაშლილი ჰქონდა. როგორ მინდოდა, მის მკლავებში მეპოვა შვება!

– ვწუხვარ, ამირ, – თქვა მან, – ვხვდებოდით, რომ ვერ იყო კარგად, მაგრამ წარმოდგენა არ გვქონდა, თუ ასე ცუდად იყო საქმე.

თვალები სახელოთი შევიმშრალე, – არ უნდოდა, რომ ვინმეს სცოდნოდა.

– იქნებ გჭირდება რამე?

– არა, – ვეცადე გამეღიმა. ხელი მომკიდა ხელზე. ეს ჩვენი პირველი შეხება იყო.

ვეღარ შევიკავე თავი, მთელი სხეულით განვიცდიდი მის სიახლოვეს, თვალებზე მისი ხელი ავიფარე: – უნდა შეხვიდე ოთახში, თორემ მამაშენი ისევ ჩამავლებს, – როგორც იქნა, მოვახერხე და ვუთხარი.

– ჰო, შევალ, – თავი დამიქნია და შებრუნდა.

– სორაია!

– ჰო.

– ძალიან მიხარია, რომ მოხვედი, ვერც წარმოიდგენ, ეს ჩემთვის რას ნიშნავს. ბაბა ორ დღეში გამოწერეს. სანამ გამოგვიშვებდნენ, რადიო-ონკოლოგი მოიწვიეს, ცდილობდნენ, რომ სხივური თერაპიის ჩატარებაზე დაეყოლიებინათ, მაგრამ ბაბას გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა. მადლობა გადავუხადე, ყველა ფორმას და საბუთს ხელი მოვაწერე და ბაბა სახლში წავიყვანე.

იმ საღამოს ტახტზე დაწვა. მატყლის საბანი დავაფარე. ცოტა ხანში მოხალული ნუში და ცხელი ჩაი მივუტანე. ხელები მოვხვიე, რომ წამომეჯინა; მხრები პატარა ჩიტის ფრთებივით ჰქონდა, ნეკნებს თითებით დაითვლიდით.

– რამე ხომ არ გინდა, ბაბა?

– არა, შვილო.

გვერდით მივუჯექი, – მაშინ მე მინდა, რომ რაღაც გთხოვო, თუ ძალიან არ ხარ გადაღლილი.

– რაო, რა გინდა?

– მინდა, რომ გენერალ თაჰერის სორაიას ხელი სთხოვო.

სიმშრალისგან ტუჩებს ძლივს ამოძრავებდა. მაინც გაიღიმა, – დარწმუნებული ხარ?

– ისე, როგორც არასდროს.

– ხომ კარგად აწონ-დაწონე?

– ჰო, ჰო, ბაბა.

– მაშინ ტელეფონი და ჩემი უბის წიგნაკი მომაწოდე.

თვალები დავახამხამე, – ახლავე?

– აბა, როდის?

– კარგი, – ტელეფონი და პატარა ბლოკნოტი მივაწოდე. ამ ბლოკნოტში იწერდა ხოლმე თავისი ავღანელი მეგობრების ტელეფონის ნომრებს.

თაჰერების ნომერი მოძებნა, აკრიფა და ყურმილი მოიმარჯვა. გული ლამის ამომმვარდნოდა.

– სალამ ალეიქუმ, ჯამილა-ჯან, – თქვა მან, – ბევრად უკეთ, მადლობელი ვარ, რომ მომინახულეთ. ერთ ხანს უსმენდა, თან თავს აქნევდა, – კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას, გენერალი სახლშია? – პაუზა – გმადლობთ.

ჩემკენ ცერად იყურებოდა. არ ვიცი, რატომ, მაგრამ სიცილს ძლივს ვიკავებდი. მუშტი პირში ჩავიჩარე და ვიკბინე. ჩუმჩუმად ბაბაც იცინოდა.

– სალამ ალეიქუმ, გენერალო საჰიბ... ბევრად უკეთ... დიახ... დიახ... გენერალო, მინდა, თქვენ და ხანუმ-თაჰერის გთხოვოთ, რომ დამდოთ პატივი და ხვალ დილას მიმიღოთ, ერთი მეტად მნიშვნელოვანი მიზეზის გამო... დიახ... თერთმეტი საათისთვის... გადასარევია... შეხვედრამდე, ხოდა ჰაფეზ.

ყურმილი დაკიდა. ერთმანეთს შევხედეთ და სიცილი აგვიტყდა. ბაბაც გულიანად იცინოდა.

ბაბამ თმა დაისველა და უკან გადაივარცხნა. თეთრი პერანგის ჩაცმაში დავეხმარე, ჰალსტუხიც მე შევუკვანძე. კისერსა და საყელოს შორის მუშტი ჩაეტეოდა, ისე იყო გამხდარი. იმ სიცარიელეს რა შეავსებს, ბაბას შემდეგ რომ დარჩება? ჩემი თავი ვაიძულე, ფიქრი მომეშორებინა. ჯერ ჩემთან იყო, წინ სასიხარულო ამბავი გველოდა. ყავისფერი კოსტიუმის პიჯაკი ტანზე ეკიდა, ის პიჯაკი, ჩემი სკოლის დამთავრების ცერემონიალზე რომ ეცვა. თითქოს დადნა ბაბა, ვეღარასოდეს მოირგებდა ამ პიჯაკს. მეტი გზა არ მქონდა, სახელოები გადავუკეცე, ფეხსაცმლის ზონრები შევუკარი.

თაჰერები ფრიმონტში, ავღანელებით დასახლებულ რაიონში, პატარა ორფერდა სახურავით გადახურულ ერთსართულიან სახლში ცხოვრობდნენ. ფანჯრები უბეს გადაჰყურებდა, შესასვლელი ქოთნის ყვავილებით იყო მორთული. გენერლის რუხი ფურგონი იქვე იდგა.

ბაბას მანქანიდან გადმოსვლაში დავეხმარე და ისევ მანქანაში ჩავჯექი. დაიხარა და მითხრა: – სახლში იყავი, ერთ საათში დაგირეკავ.

– კარგი ბაბა, ღმერთი შენკენ...

გაიღიმა და თაჰერების სახლისკენ მიმავალ გზას გაუყვა. ძლივს მიდიოდა, ყოველი ნაბიჯის გადადგმა უჭირდა. ბაბა თავის მამობრივ მისიას უკანასკნელად ასრულებდა. სახლში დავბრუნდი, ოთახში წინ და უკან დავდიოდი. თხუთმეტი ნაბიჯი სიგრძეში, მერე ათი ნაბიჯი სიგანეში, ოთახიდან სამზარეულოში, სამზარეულოდან ოთახში, რომელი საათია? გიჟივით ვუყურებდი ელექტრო ღუმელის საათს. გენერალმა რომ უარი თქვას? იქნებ ვერ მიტანს? მერე რა ვქნა?

როგორც იქნა, დარეკა ტელეფონმა. ბაბა იყო.

– ბაბა...

– გენერალი თანახმაა.

ამოვისუნთქე, ჩამოვჯექი. ხელები მიკანკალებდა.

– მართლა?

– ჰო, მაგრამ სორაიას ჯერ შენთან დალაპარაკება უნდა. ზევით არის, თავის ოთახში.

– კარგი.

ბაბამ ვიღაცას რაღაც უთხრა და ყურმილი გადასცა.

– ამირ? – სორაიას ხმა იყო.
– სალამი.
– მამაჩემი თანახმაა.
– ვიცი, ისეთი ბედნიერი ვარ, რომ სიტყვებს ვერ ვპოულობ.
– მეც, ამირ, სიზმარში მგონია ჩემი თავი.
– ჰო, ვიცი.
– მისმინე ამირ, – თქვა მან, – მინდა, რომ რაღაც გითხრა, რაც აუცილებლად უნდა იცოდე, სანამ....
– რაც უნდა მითხრა, არ მანაღვლებს.
– შენ უნდა იცოდე. არ მინდა, რომ საიდუმლოებით დავიწყოთ და მინდა, რომ ჩემგან გაიგო...
– უკეთ თუ იგრძნობ თავს, მაშინ მითხარი, მაგრამ არაფერი შეიცვლება.
ყურმილის მეორე ბოლოს პაუზა იყო, – ვირჯინიაში რომ ვცხოვრობდით, ერთ ავღანელ ბიჭთან ერთად გავიქეცი. 18 წლის ვიყავი, სულელი, არავის ვუჯერებდი... ნარკომანი აღმოჩნდა, ერთი თვე ვიცხოვრეთ ერთად. ვირჯინიაში ყველა ავღანელი ამ ამბავზე ლაპარაკობდა... ბოლოს გვიპოვა მამაჩემმა და მაიძულა, რომ სახლში წავყოლოდი, ისტერიული წივილ-კივილი ავტეხე, რა არ ვუწოდე, მეზიზღები-მეთქი, ვყვიროდი... ბოლოს, სახლში მივედი... უკაცრავად... – ტირილის ხმა მომესმა, ყურმილი დადო, ცხვირი მოიხოცა, – უკაცრავად, – თქვა ჩახლეჩილი ხმით, – დედაჩემს ინსულტი გადაუტანია, სახის მარჯვენა მხარე მთლიანად დაზიანებული ჰქონდა... დამნაშავედ ვიგრძენი თავი, დედა ამას არ იმსახურებდა. ძალიან მალე მამაჩემმა კალიფორნიაში გადმოგვიყვანა, – გაჩუმდა.
– ახლა როგორ ხართ შენ და მამაშენი ერთმანეთთან? – ვკითხე.
– ყველაფერს ერთნაირად ვერ ვუყურებთ, განსხვავებული აზრები გაგვაჩნია, მაგრამ ახლა მადლობელი ვარ მისი, გადამარჩინა. იმ დღეს რომ არ წამოვეყვანე... – პაუზა, – ახლა რას იტყვი, ამირ, განაღვლებს ის, რაც მოგიყევი?
– ცოტა, – ვთქვი მე. ვერ ვიცრუებდი, ვერ ვეტყოდი, რომ ყველაფერი სულერთი იყო. ჩემი კაცური თავმოყვარეობა შეილახა. მას კაცის სიახლოვე განცდილი ჰქონდა, ჩემი საწოლი კი ჯერ არც ერთ ქალს არ გაეთბო.
თუმცა სორაიას ნაამბობში ახალი არაფერი იყო. მე ეს ვიცოდი და ბევრი ვიფიქრე, სანამ ბაბას მისი ხელის სათხოვნელად მივაგზავნიდი თაჰერებთან. ან რა უფლება მქონდა, ხალხი მათი წარსულისთვის განმესაჯა!
– ამირ, რას ფიქრობ, იცვლი გადაწყვეტილებას?
– თავში არც კი გაივლო ეგ აზრი, არასოდეს, – ვთქვი მე. – მინდა, რომ რაც შეიძლება მალე ვიქორწინოთ.
ცრემლები წასკდა. როგორ მშურდა მისი! საიდუმლო გამიმხილა, აღარაფერი ჰქონდა დასამალი. კინაღამ მოვაღე პირი და მოვუყევი, როგორ გავწირე ჰასანი, როგორ მოვატყუე, როგორ გავაგდე და როგორ დავანგრიე ბაბას და ალის ორმოცწლიანი ურთიერთობა,

მაგრამ ვერ გავბედე. სორაია თაჰერის პიროვნული თვისებები ბევრად აღემატებოდა ჩემსას, სიმამაცე მხოლოდ ერთი ამ თვისებათაგანი იყო.

თავი მეცამეტე

მეორე საღამოს ნიშნობა იყო. თაჰერების სახლს რომ მივუახლოვდით, მანქანის გაჩერება ქუჩის გადაღმა მოგვიხდა. მათი სახლის წინ უკვე უამრავი მანქანა იდგა. ამ საღამოს მე და სორაია ერთმანეთს „სიტყვას მივცემთ“, ასე გვავალებს ტრადიცია. წინა დღეს ნაყიდი მუქი ლურჯი შარვალ-კოსტიუმი მეცვა. სარკესთან ვტრიალებდი და ჰალსტუხს ვისწორებდი. ბაბა მომიახლოვდა.

– ხოშთიფ,– თქვა ბაბამ, – კარგად გამოიყურები.

– მადლობა, ბაბა, როგორ ხარ? გაუძლებ?

– რას ჰქვია გავუძლებ, ეს ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი დღეა, – თქვა და გაიღიმა.

თაჰერების კარის წინ ვიდექი. ოთახიდან მხიარული ლაპარაკის ხმა გამოდიოდა. ტკბილი ავღანური სიმღერა დაბალ ხმაზე ისმოდა. მგონი კლასიკური ღაზალი უსტაფ სარაჰანგის შესრულებით. ზარი დავრეკე. ვიღაცამ ფანჯრიდან გადმოიხედა, – აქ არიან, მოვიდნენ, მოვიდნენ, – გაისმა ქალის ხმა. ლაპარაკი შეწყდა, მუსიკა გამორთეს, კარი ხანუმ-თაჰერიმ გააღო.

– სალამ ალეიქუმ, – გაბრწყინებული სახით თქვა მან. შავი ელეგანტური კაბა ეცვა. თმა საგულდაგულოდ ჰქონდა დაწყობილი. ფეხი შევდგი თუ არა, თვალები ცრემლით დაენამა,

– ხომ ხედავ, სიხარულით მეტირება, ამირ-ჯან. დავიხარე და ხელზე ვემთხვიე, – ბაბამ წინა ღამეს ინსტრუქტაჟი ჩამიტარა. ხანუმ-თაჰერი გაჩახჩახებული ოთახისკენ გაგვიძღვა. ხის პანელებით გაწყობილ კედლებზე ჩარჩოში ჩასმული ჩემი მომავალი ოჯახის წევრების ფოტოები ეკიდა: ახალგაზრდა ხანუმ-თაჰერი და გენერალი ნიაგარას ჩანჩქერის ფონზე, ხანუმ-თაჰერის თხელი საზაფხულო კაბა აცვია, გენერალი ვიწრო საყელოიან პიჯაკშია გამოწყობილი, ხშირი შავი თმა უკან აქვს გადავარცხნილი; აი, სორაიაც, საქანელებთან დგას, ხელს იქნევს და იცინის, კბილებზე დამაგრებული სტომატოლოგიური ჩანართი მზეზე ვერცხლისფრად ელავს; გენერალი თაჰერი სრული სამხედრო აღჭურვილობითა და ანტურაჟით ხელს ართმევს იორდანიის მეფეს; ზაჰირ შაჰის ფოტოც იქვე კიდია. კედლების გასწვრივ ჩამწკრივებულ სკამებზე დაახლოებით ორმოცი კაცი იჯდა. ბაბა რომ დაინახეს, ფეხზე წამოდგნენ. ბაბა ნელი ნაბიჯით მიმიძღვოდა წინ და სტუმრებს ესალმებოდა. მერე გენერალი და ის ერთმანეთს გადაეხვივნენ. გენერალმა ყოვლისმცოდნე გაბრწყინებული თვალებით გადმომხედა. პირველად მივხვდი, რისი თქმაც უნდოდა: – ახლა ისეა, როგორც ჩვენი, ავღანური წესი და რიგი ითხოვს, ბაჩემ, – სამჯერ მაკოცა ლოყაზე.

მე და ბაბა გენერალი თაჰერისა და მისი ცოლის პირისპირ დავსხედით. ცოტა ხანში ბაბას სუნთქვა გაუხშირდა, შუბლიდან წამდაუწუმ იწმენდდა ოფლს. დამინახა, რომ ვუყურებდი, თავს ძალა დაატანა, მანიშნა, კარგად ვარო. გაღიმებაც კი მოახერხა. სორაია ცერემონიას არ ეწრებოდა, ასე ითხოვს ტრადიცია.

რამდენიმე წუთმა უმიზნო ლაპარაკში გაიარა. ბოლოს გენერალმა ბაბასკენ დაიქნია თავი. ბაბამ ჩაახველა. სიტყვა რომ წამოიწყო, ეტყობოდა, როგორ უჭირდა სუნთქვა, ყოველ ფრაზაზე ჩერდებოდა, ჩაისუნთქავდა და აგრძელებდა, – ბატონო გენერალო, ხანუმა ჯამილა-ჯან... დღეს მე და ჩემი ვაჟი მოწიწებით გიხრით თავს და ვბედავთ თქვენი სტუმრები ვიყოთ... თქვენ პატივსაცემი, გამორჩეული, ამაყი ოჯახის წარმომადგენლები ხართ... მოვედი, რომ პატივი ვცე თქვენს სახელს, ოჯახსა და წინაპრების ხსოვნას, – შეჩერდა, სული მოითქვა, შუბლი მოიწმინდა, – ამირი ჩემი ერთადერთი ვაჟია... ყოველთვის კარგი შვილი იყო... იმედი მაქვს თქვენს სიკეთეს დააფასებს... გთხოვთ, პატივი დამდოთ და ჩემი შვილი თქვენი ოჯახის წევრად მიიღოთ.

გენერალმა თავაზიანად დაგვიკრა თავი.

– სიხარულით ვაცხადებ, რომ ჩემთვის დიდი პატივია თქვენნაირი კაცის შვილის ოჯახში მიღება. ყოველთვის მოხიბლული ვიყავი და დღემდე ვრჩები თქვენი პიროვნებით და შეურყვნელი რეპუტაციით. ბედნიერი ვარ ჩვენი ოჯახების ერთმანეთთან დაკავშირებით. ამირ-ჯან, კეთილი იყოს შენი შემოსვლა ჩემს ოჯახში, გიგულებ შვილად და ჩემი ქალიშვილის, ჩემი თვალის ჩინის მეუღლედ. ამიერიდან შენი ტკივილი ჩვენი ტკივილია, შენი სიხარული ჩვენი სიხარული, მე და ხალა ჯამილა ვილოცებთ შენი და ჩვენი სორაიას ბედნიერებისათვის. დამილოცნიხართ!

ტაში... და ყველა შემოსასვლელისკენ შებრუნდა. ამ წუთს იმდენ ხანს ველოდი!

სორაიას შინდისფერი ოქროთი ნაქარგი გრძელსახელოებიანი, ტრადიციული კაბა ეცვა. ბაბამ ხელი ხელზე მომიჭირა. ხანუმ-თაჰერიმ ცრემლი ვერ შეიკავა. სორაიას ახალგაზრდა ნათესავების ამალა მოჰყვებოდა. ნელი ნაბიჯით გამოემართა და ჩემ გვერდით დაჯდა. თვალები დახრილი ჰქონდა.

ტაშმა იქუხა.

ტრადიციის მიხედვით სორაიას ოჯახს ნიშნობის წვეულება „შირინი ხორი“ ანუ ტკბილეულით მასპინძლობა უნდა გაემართა. ამას ქორწილის ხანგრძლივი სამზადისი მოჰყვებოდა. ბოლოს ბაბას ქორწილი უნდა ეკისრა. შევთანხმდით, რომ „შირინი ხორი“ გამოგვეტოვებინა. მიზეზი ყველამ იცოდა, ბაბას დღეები დათვლილი იყო.

ქორწილის სამზადისი მიმდინარეობდა. რადგან ჯერ ცოლ-ქმარი არ ვიყავით, მე და სორაიას მარტო დარჩენის უფლება არ გვქონდა. ასე რომ, მეტი გზა არ მქონდა და თაჰერებთან სადილზე მე და ბაბა დავდიოდით. სადილის დროს სორაია ჩემ წინ იჯდა ხოლმე. როგორ მინდოდა, მისი თავი მეგრძნო მკერდზე, მეკოცნა და მისი თმის სურნელით დავმტკბარიყავი!

ჩემი ქორწილი ბაბას 35 000 დოლარი დაუჯდა, თითქმის მთელი თავისი დანაზოგი. ფრიმონტში ავღანელი ნაცნობისგან დიდი ფასდაკლებით იქირავა საბანკეტო დარბაზი. იყიდა საქორწინო ოქროს რგოლები, ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი, ჩემთვის სმოკინგი და მწვანე ტრადიცული სამოსი „ნიკას“ (ფიცის დადება) ცერემონიისთვის. ქორწინების საღამოს სამზადისი თითქმის მთლიანად ხანუმ-თაჰერიმ და მისმა მეგობრება ითავეს.

მთელი ამ ორომტრიალიდან მხოლოდ რამდენიმე რამ მახსოვს.

მახსოვს ჩვენი „ნიკა“. მაგიდის გარშემო ვისხედით. მე და სორაიას მწვანე სამოსი გვეცვა. მე შარვალკოსტიუმი, სორაიას (ის ერთადერთი ქალი იყო სუფრასთან) გრძელსახელოიანი კაბა, სახეზე ვუალით. მწვანე ისლამის ფერადაა მიჩნეული, მაგრამ ამასთანავე გაზაფხულის, სიახლის ფერია. ჩვენთან ერთად იყვნენ ბაბა, გენერალი (ამჟამად სმოკინგში გამოწყობილი) და სორაიას ბიძები. მოლამ კითხვები დაუსვა მოწმეებს და ყურანი წაიკითხა. ფიცი წარმოვთქვით, საქორწინო მოწმობას ხელი მოვაწერეთ.

სორაიას ერთ-ერთი ბიძა ვირჯინიიდან, შარიფ-ჯან, ხანუმ-თაჰერის ძმა, წამოდგა. სორაიასგან ვიცოდი, რომ ბიძამისი 20 წლის წინ ჩამოვიდა ამერიკაში. ის იმიგრაციისა და ნატურალიზაციის სამსახურში მუშაობდა, ამასთან ერთად, ლექსებსაც წერდა. დაბალი კაცი იყო. მეჩხერი თმითა და წვეტიანი ნაკვთებით ახლადშეღინღლულ ჩიტს ჰგავდა. სორაიასადმი მიძღვნილი გრძელი ლექსი წაიკითხა. რატომ, ვერ გეტყვით, მაგრამ ლექსი სასტუმროს ტიტულოვან ქაღალდზე იყო დაწერილი. ვახ, ვახ, შარიფ-ჯან! – გაისმა შეძახილები.

მახსოვს, როგორ წავედით სცენისკენ: ერთმანეთზე ხელებგადანასკვულები, მე სმოკინგში, სორაია სახეზე თეთრი ვუალით. ჩემ გვერდით ბაბა მოაბიჯებდა, სორაიას გვერდით გენერალი თავისი მეუღლით. უკან ბიძების, ბიცოლების, დეიდების, ბიძაშვილების მთელი ამალა მოგვყვებოდა. გზას ძლივს ვიკვლევდით სტუმრებით გაჭედილ დარბაზში; შეძახილები, აპლოდისმენტები, კამერები, ფოტოაპარატები... შარიფის ვაჟიშვილს ყურანი ეჭირა და ისე მიგვაცილებდა, ხმის გამაძლიერებლებიდან „აჰესტა ბორო“ ისმოდა – ძველი საქორწინო სიმღერა. გახსოვთ, ალბათ, ეს ის სიმღერაა, მაჰიფარის საგუშაგოზე რუსი ჯარისკაცი რომ მღეროდა იმ ღამეს, როცა მე და ბაბამ ქაბული დავტოვეთ:

ნეტავი ჭაში ჩავარდებოდე დილავ, ან იქნებ მზეო, დაგავიწყდეს ამობრწყინება,
ჩემო მთვარეო, ნუ ჩქარობ ჩასვლას, ჩემო მთვარეო, ნუ ჩქარობ ჩასვლას.

ნეფე-დედოფლის ტახტრევანი სცენაზე იდგა. მე და სორაია ვცდილობდით, სამასი წყვილი თვალის მზერას გავმკლავებოდით. აენა მასშაფ, ასე ჰქვია რიტუალს, რომელიც ქორწინებას ახლავს თან. თავზე ნაჭერი გადაგვაფარეს და სარკე მოგვაწოდეს. ერთი წუთით განმარტოების საშუალება მოგვცეს. სარკეში ერთმანეთის ანარეკლს ვუცქერდით. გადასაფარებლის ქვეშ თავისუფლება ვიგრძენი და პირველად ვუთხარი: – მიყვარხარ. სორაიას სახე აელეწა. კიდევ მახსოვს სადღესასწაულო კერძები: შამფურზე შემწვარი ცხვრის ხორცის ქაბაბი და ფორთოხლისფერი ველური ბრინჯი, მოღიმარი ბაბა, წრეში მოცეკვავე კაცები, ტაბლას რიტმებს აყოლილი ხტუნვა-ტრიალი. მახსოვს, როგორ მინდოდა, რომ რაჰიმ-ხანი იქ ყოფილიყო, და კიდევ... ჰასანი თუ დაქორწინდა? და თუ დაქორწინდა, ვისი სახის ანარეკლს უცქერდა გადასაფარებლის ქვეშ?

დილის 2 საათისთვის საბანკეტო დარბაზიდან ჩვენს ბინაში გადავინაცვლეთ. ზღვა ჩაი დაილია. მუსიკა იმდენ ხანს არ გამოვრთეთ, რომ მეზობლებმა პოლიცია გამოიძახეს. მზის ამოსვლამდე ალბათ ერთი საათი რჩებოდა, როცა სტუმრები დაიშალნენ. მე და სორაია პირველად დავწექით ერთად. მთელი ცხოვრება კაცები ტრიალებდნენ ჩემ გარშემო. იმ ღამეს პირველად ვიგრძენი ქალის სინაზე.

სორაიამ ჩვენთან გადაწყვიტა გადმოსვლა.

– მეგონა, ცალკე ცხოვრება გინდოდა, – ვთქვი მე.

– ჰო, მაგრამ ბაბა ასე ავად არის, – მიპასუხა. მოვეხვიე და ვაკოცე, – მადლობა.

სორაია ერთგულად უვლიდა ბაბას. დილით პურს უბრაწავდა და ჩაის უმზადებდა, საწოლიდან გადმოსვლაში ეხმარებოდა, ტკივილგამაყუჩებელს აძლევდა, ტანსაცმელს ურეცხავდა, გაზეთებიდან საერთაშორისო ამბებს უკითხავდა, მის საყვარელ კერძებს ამზადებდა. თუმცა ბაბას სულ რამდენიმე კოვზი აკმაყოფილებდა. თავის ულუფას ძირითადად ხელუხლებელს ტოვებდა. საღამო ხანს გარეთ, სუფთა ჰაერზე გაჰყავდა ცოტა ხნით. როცა ბაბა ლოგინად ჩავარდა, ყოველ საათში გვერდზე აბრუნებდა, რომ ნაწოლები მაინც აერიდებინა.

ერთ დღეს აფთიაქიდან ბაბასთვის მორფინი მოვიტანე და ის იყო, კარი შევაღე, რომ დავინახე, როგორ შეასრიალა სორაიამ ბაბას საბნის ქვეშ რაღაც.

– დაგინახეთ, რას აკეთებთ? – შევეკითხე.

– არაფერს, – თქვა სორაიამ ღიმილით.

– მატყუებ, – ბაბას საბანი ავწიე, – რა არის? – როგორც კი თვალი მოვკარი ტყავის ყდიან ბლოკნოტს, მაშინვე მივხვდი. თითი გავაყოლე ოქროთი მოვარაყებულ კიდეებს. ჩემი მეცამეტე დაბადების დღე გამახსენდა, ფერად თაიგულებად ცაზე გაშლილი ფოიერვერკი.

– არ მჯერა, რომ ასე წერა შეგიძლია, – თქვა სორაიამ.

ბაბამ თავი წამოსწია ბალიშიდან, – მე მივეცი, ხომ არა უშავს?

ბლოკნოტი სორაიას გადავეცი და გარეთ გავვარდი. ბაბა ვერ იტანდა ჩემს ცრემლს.

ჩვენი ქორწილიდან ერთი თვის თავზე თაჰერები გვესტუმრნენ სადილად. შარიფი მეუღლესთან, სუზისთან, ერთად და სორაიას რამდენიმე დეიდა. სორაიამ თეთრი ბრინჯი, ისპანახი და ცხვრის ხორცი მოამზადა. სადილის შემდეგ მწვანე ჩაი დავლიეთ და კარტის თამაში წამოვიწყეთ. მე და სორაია შარიფს და სუზის ვეთამაშებოდით. იქვე, ტახტზე, ბაბა იწვა. ხედავდა, როგორ ვეხუმრებოდი შარიფს, როგორ ვეხებოდით მე და სორაია თითებით ერთმანეთს, როგორ ვუწევდი ჩამოგდებულ კულულს ყურს უკან და იღიმოდა. იღიმოდა ფართო უსასრულო ღიმილით, ისეთით, როგორიც ქაბულის ცაა ღამით, როცა ალვის ხეები თრთიან და ჭრიჭინები მღერიან ბაღებში.

ჯერ შუაღამე არ იყო, როდესაც ბაბამ გვთხოვა საწოლში გადამაწვინეთო. მე და სორაია მხრებში შევუდექით, ზურგზე ხელები მოვხვიეთ. როცა დავაწვინეთ, დაიხარეთო, გვთხოვა და ორივე გადაგვკოცნა. სორაიამ ღამის ნათურა გამორთო.

– ახლავე მოგიტანთ წამალს და წყალს, – თქვა მან.

– არა, არ მინდა. ამაღამ არაფერი მტკივა.

– კარგი, – თქვა სორაიამ. საბანი გაუსწორა. კარი გამოვხურეთ. ბაბას აღარ გაუღვიძია.

ჰეივორდის მეჩეთთან მისასვლელი მანქანებით იყო გადაჭედილი. ხალხს სამი კვარტლის იქით უხდებოდა მანქანის გაჩერება.

მეჩეთის მამაკაცებისათვის განკუთვნილი ნაწილის იატაკი ავღანური ხალიჩებით და პარალელურ ზოლებად განლაგებული თხელი მატრასებით იყო დაფარული. კაცებმა ფეხსაცმელები შემოსასვლელში დატოვეს და ფეხებგადაჯვარედინებულები დასხდნენ

მატრასებზე. მოლამ ყურანის სურების კითხვა წამოიწყო. მე კართან ვიჯექი, როგორც ამას ადათი ითხოვს, გენერალი თაჰერი გვერდით მეჯდა.

ღია კარიდან ვხედავდი, რომ მანქანების ნაკადი არ წყდებოდა. უამრავი ხალხი მოვიდა სამძიმარზე. კაცებს მუქი ფერის კოსტიუმები ეცვათ, ქალებს – შავი კაბები, თავზე ყველას ტრადიციული თეთრი ჰიჯაბი ეფარა.

ყურანის სიტყვებს ვუსმენდი და ძველი ამბავი გამახსენდა. დიდი ხნის წინ ბელუჯისტანში ბაბა დათვს შეეჭიდა. იმარჯვა ბაბამ და დათვი ხელით დაახრჩო. მას მერე მრავალჯერ მოუხდა დათვებთან ჭიდილი. ახალგაზრდა ცოლი გარდაეცვალა, ვაჟიშვილი მარტომ აღზარდა, თავისი საყვარელი სამშობლოს, ვატანის, დატოვება მოუხდა, სიღარიბე და დამცირება გადაიტანა. ყველაფერს სძლია ბაბამ. მხოლოდ ბოლოს, ერთადერთხელ დაჯაბნა დათვმა და წააგო. ლოცვებს შორის, სამძიმარზე მოსული ხალხი, ხელს მართმევდა. თავაზიანად ვუღიმოდი, მადლობას ვუხდიდი და გულისტკივილით ვუსმენდი:

– სახლის აშენებაში დამეხმარა, ღმერთმა გაანათლოს...

– სამსახური მიშოვა... არც კი მიცნობდა კარგად...

– ყველამ უარი მითხრა და მან კი მასესხა...

– ძმასავით მიყვარდა...

ვუსმენდი ამ ხალხს და ვფიქრობდი: ვინ ვარ ან რა ვარ? ბაბას ნაღვაწმა, მისმა პიროვნებამ მის ნაწილად მაქცია, მე მხოლოდ „ბაბას შვილი“ ვიყავი. ახლა ბაბა აღარ იყო და გზა მე თვითონ უნდა გამეკვალა. ცოტა არ იყოს, მეშინოდა...

ვიდექი და ვუყურებდი, როგორ კრძალავდნენ ბაბას. მოლა და ვიღაც კაცი წაკამათდნენ, ვერ გადაწყვიტეს, რომელი აია წაეკითხათ. ბოლოს, კიდევ კარგი, გენერალი თაჰერი ჩაერია, თორემ ცუდად დამთავრდებოდა. მოლამ აია წაიკითხა. მიწის მიყრა რომ დაიწყეს, იქაურობას გავეცალე. მოშორებით, ნეკერჩხლის ქვეშ დავჯექი. ხალხი ნელ-ნელა დაიშალა. მოლამ მიკროფონი გამორთო, ყურანი მწვანე ნაჭერში გადაახვია და თავის ადგილას დადო. მე და გენერალი გარეთ გამოვედით. რამდენიმე კაცი იქვე, კიბესთან იდგა. რომ ჩავიარეთ, მათი საუბრის ნაწყვეტებს მოვკარი ყური: – შემდეგ კვირას ფეხბურთის მატჩი იმართება... სანტა კლარაში ახალი ავღანური რესტორანი გახსნეს... ცხოვრებამ ბაბა უკან მოიტოვა და თავისი გზით მიდიოდა.

– როგორ ხარ? – მკითხა გენერალმა. როგორღაც ცრემლი შევიკავე და გავუღიმე.

– სორაიას მოვძებნი.

– კარგი.

ქალების სეგმენტისკენ წავედი. სორაია კიბესთან იდგა დედამისთან და რამდენიმე ქალთან ერთად, რომლებიც ქორწილიდან ბუნდოვნად მახსოვდა. ხელი დავუქნიე, დედამისს რაღაც უთხრა და ჩემკენ წამოვიდა.

– ფეხით გავიაროთ ცოტა ხანს.

– კარგი, – მითხრა და ხელი მომკიდა.

დაბალ ღობეებს შორის გაჭრილ სასაფლაოს ბილიკს უხმოდ ჩავუყევით. სკამზე ჩამოვჯექით. მოშორებით ხანშიშესული წყვილი დავინახეთ. დაჩოქილებმა საფლავის ქვასთან ღიღილოების თაიგულები დააწყეს.

– როგორ გავძლო მის გარეშე?

ხელზე ხელისგულით შემეხო. ბაბას ნაყიდი საქორწინო ბეჭედი მზეზე აელვარდა. ვხედავდი, როგორ სხდებოდა ხალხი მანქანებში. მოგვისამძიმრეს და მიდიან. მალე ჩვენც წავალთ და ბაბა მარტო დარჩება, სულ მარტო... სორაია ჩამეხუტა და ცრემლს გზა მივეცი. მე და სორაიას ნიშნობის პერიოდი არ გაგვივლია, პირდაპირ დავქორწინდით. ამიტომ თაჰერების ოჯახის შესახებ ბევრი არაფერი ვიცოდი. მაგალითად, ქორწინების შემდეგ აღმოვაჩინე, რომ გენერალი, თურმე, შაკიკით იტანჯებოდა. შეტევა თვეში ერთხელ მაინც აუცილებლად ემართებოდა და მთელი კვირა უგრძელდებოდა. ტკივილების დროს გენერალი თავის ოთახში იკეტებოდა, ვერც შედიოდა ვინმე და ვერც კარზე აკაკუნებდა. მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ, როცა ტკივილი გაუყუჩდებოდა, ისევ თავის ფოლადისფერ კოსტიუმში გამოწყობილი გამოდიოდა ოთახიდან. თვალები ჩასისხლიანებული და ძილისგან შეშუპებული ჰქონდა. სორაიამ გამიმხილა, რომ თურმე ცოლ-ქმარი თაჰერები წლების განმავლობაშისხვადასხვა ოთახში იძინებდნენ. ისიც გავიგე, რომ გენერალი ზოგჯერ ძალიან უკმეხი იყო. სადილს ხშირად ხელით გვერდზე გასწევდა და მხოლოდ პურს და ხახვს ჭამდა, – სხვა რამ ხომ არ მოგიმზადო? – ჰკითხავდა ხანუმ-თაჰერი და ის პასუხის ღირსადაც არ თვლიდა. სორაიას ძალიან აბრაზებდა მამამისის საქციელი. ხანუმ-თაჰერი კი... მის ატირებას რა უნდოდა, ცრემლებად იღვრებოდა. გენერალი წონასწორობის შენარჩუნებას ანტიდეპრესანტებით ცდილობდა. იმასაც ამბობდნენ, ოჯახს სოციალური დახმარებით ინახავსო. ამერიკაში არასოდეს უმუშავია, რადგან მისი სტატუსის შესაფერისი სამსახურის მოძებნა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. მთავრობის დახმარებით თავის გატანა ამჯობინა მუშაობას. ბაზრობას ავღანელებთან ურთიერთობის საშუალებად და გართობად მიიჩნევდა. გენერალს გულწრფელად სჯეროდა, რომ ადრე იქნებოდა თუ გვიან, ავღანეთი გათავისუფლდებოდა შურავისგან, მონარქია აღდგებოდა და მას ისევ მიიწვევდნენ სამსახურში. სჯეროდა და ყოველდღე თავის საპარადო კოსტიუმს იცვამდა, საათს ქოქავდა და იცდიდა...

ხალა ჯამილა, ასე მივმართავდი ახლა ხანუმ-თაჰერის, ოდესღაც ქაბულში თავისი მომხიბლავი ხმით ყოფილა ცნობილი. სცენაზე არასოდეს უმღერია, მაგრამ აშკარად გამორჩეული ნიჭის პატრონი იყო. მღეროდა ხალხურ სიმღერებს, ღაზალებს და რაგასაც კი, რომელსაც, როგორც წესი, კაცები ასრულებენ. გენერალი მუსიკის მოყვარული გახლდათ და ავღანელი შემსრულებლების ჩანაწერების დიდი კოლექცია ჰქონდა, მაგრამ მიაჩნდა, რომ სიმღერა დაბალი რეპუტაციის მქონე ხალხის საქმეა და ხალა ჯამილას ქორწინებამდე ჩამოართვა სიტყვა, რომ საზოგადოებაში არასოდეს იმღერებდა. როგორც სორაიამ მითხრა, ხალა ჯამილას ძალიან უნდოდა ჩვენს ქორწილზე თავის საყვარელი სიმღერის შესრულება, მაგრამ გენერალმა ერთი გადაუბრიალა თვალები და მისი მცდელობა იქ დამთავრდა.

ხალა ჯამილა კვირაში ერთხელ ლატარეას თამაშობდა, ყოველ ღამე ჯონი კარსონის შოუს უყურებდა და დანარჩენ დროს ბაღში ატარებდა, თავის ვარდებს, ორქიდეებს, ნემსიწვერებსა და ხვიარა მცენარეებს უვლიდა.

მას მერე, რაც სორაია ცოლად შევირთე, ყვავილებმა და ჯონი კარსონმა უკანა პლანზე გადაინაცვლეს. მე ხალა ჯამილას ახალი სიხარული ვიყავი. გენერალი დიპლომატიურ მიდგომას ინარჩუნებდა, „ბატონო გენერალო“ – ისევ ასე მივმართავდი, სამაგიეროდ ხალა ჯამილა არ მალავდა, რომ მაღმერთებდა. ყოველთვის ყურადღებით ვუსმენდი, როცა თავის ჯანმრთელობაზე ჩივილს იწყებდა. სხვას ვის გადაუშლიდა გულს, დიდი ხანია გენერალი ცოლის წუწუნს ცალი ყურით უსმენდა და მეორეთი უშვებდა. სორაიასგან ვიცოდი, რომ ხალა ჯამილას, მას მერე, რაც ინსულტი გადაიტანა, გულის ყოველი გაფანცქალება ინფარქტი ეგონა, სახსრის გატკაცუნება – რევმატიული ართრიტი და ქუთუთოს უნებლიე კრთომა – დამბლა. მახსოვს, ერთხელ მითხრა, კისერში რაღაც გამონაზარდი მაქვსო. ხვალ არ წავალ კოლეჯში და ექიმთან წაგიყვანთ-მეთქი, ვუთხარი.

გენერალს გაეღიმა: – მაშინ ადგილი გაათავისუფლე შენს თაროზე, ჯამილას ავადმყოფობის ისტორია რუმის ნაშრომივით მრავალტომიანი იქნება.

მართალია, ხალა ჯამილამ თავისი მონოლოგებისთვის ჩემი სახით აუდიტორია იშოვა, მაგრამ მისი უპირობო სიყვარულის მიზეზი მაინც სხვა რამ იყო. დარწმუნებული ვარ, იარაღით რომ გამოვკიდებოდი ვინმეს მოსაკლავად, ჩემზე მაინც არ შეიცვლიდა აზრს. სიმართლე კი ის არის, რომ მე მისი გულის ყველაზე დიდ ტკივილს ვუწამლე, ყველაზე დიდი შიშისგან გავათავისუფლე. მე რომ არა, იქნებ არც გამოჩენილიყო მისი ქალიშვილის ხელის ღირსეული მთხოვნელი და მაშინ რა იქნებოდა? მარტო დარჩებოდა სორაია, უქმროდ, უშვილოდ დაბერდებოდა. ყველა ქალს უნდა ჰყავდეს ქმარი, თუნდაც ისეთი, მასში სიმღერის სურვილს რომ ჩაკლავს. ასე ფიქრობდა ჩემი სიდედრი და რადგან მის ქალიშვილს მარტო დარჩენის საფრთხე აღარ ელოდა, მთელი გულით შემიყვარა. ერთხელ მე და სორაია ძია შარიფმა (ეს ის შარიფია, იმიგრაციისა და ნატურალიზაციის სამსახურში რომ მუშაობდა) შვილის ქორწილზე დაგვპატიჟა ვირჯინიაში. სორაიას ბიძაშვილს ავღანელი გოგო მოჰყავდა ცოლად. ქორწილი იმავე დარბაზში გაიმართა, სადაც ექვსი თვის წინ მე და სორაია ვიყავით ნეფე-დედოფლის როლში. სტუმრებს შორის ვიდექით. ამ დროს ორი შუა ხნის ქალის ლაპარაკი შემოგვესმა.

– შეხედეთ ერთი, რა ლამაზი პატარძალია, მთვარესავითაა, – თქვა ერთმა.

– მართალი ხარ, – უპასუხა მეორემ, – რაც მთავარია, უბიწოა, არავინ ჰყოლია ქორწინებამდე.

– ხო, ვიცი, ძალიან კარგი ქნა ბიჭმა, თავის ბიძაშვილზე რომ არ იქორწინა.

სახლში რომ ვბრუნდებოდით, სორაიამ თავი ვეღარ შეიკავა. მანქანა ფრიმონტის ტრასიდან გვერდზე გადავაყენე.

– ნუ აქცევ ყურადღებას ქალების ჭორაობას, ვის ანაღვლებს, ეგენი რას იტყვიან? – თმა უკან გადავუყარე.

– უუუ, რა უსამართლობაა, – გამწარებულმა წამოიძახა სორაიამ.

– დაივიწყე.

– მათი ვაჟები ღამის კლუბებში დაძვრებიან გოგოების შესაბმელად, აორსულებენ და უკანონო ბავშვებს აჩენინებენ, ჰო, კაცები არიან და ერთობიან, მერე რა! ვინ განიკითხავს! მე ერთი შეცდომა დავუშვი და ყველას ნანგ და ნამუს აკერია ენაზე, მთელი ცხოვრება ამას უნდავუსმინო!

ნამგალა ხალთან ცრემლი უბრწყინავდა. მისკენ გადავიხარე და მოვწმინდე.

– შენთვის არც მითქვამს... – განაგრძო სორაიამ, – მამაჩემი იმ ღამეს იარაღით დაგვადგა. ორი ტყვია მაქვს, ერთით იმას მოვკლავ და მეორეთი თავს მოვიკლავ, თუ სახლში არ წამოხვალო. ვწიოდი და ვკიოდი, რა არ ვუწოდე მამაჩემს, მთელი ცხოვრება ჩაკეტილი ხომ არ გეყოლები, მაინც გავიქცევი, ისე მეზიზღები, ნეტავ ამ წუთას მოკვდე-მეთქი. მართლა ასე ვუთხარი... სახლში რომ დავბრუნდი, დედაჩემი გადამეხვია ტირილით, ლუღლუღით რაღაცას ამბობდა, მაგრამ ვერც ერთი სიტყვა ვერ გავიგე. მამაჩემმა ზევით, ჩემს საძინებელში ამიყვანა, სარკესთან დამსვა, მაკრატელი მომაწოდა და მშვიდად მითხრა: – შეიჭერი, – სანამ თმას ვიჭრიდი, თვალი არ მოუცილებია. რამდენიმე კვირა სახლიდან ფეხი არ გამიდგამს და როცა გავბედე და გარეთ გავედი, ყველგან, სადაც წავიდოდი, ჩურჩული მესმოდა. ეს ოთხი წლის წინ, აქედან კილომეტრების დაშორებით მოხდა და ახლაც ის ჩურჩული მესმის.

– მაგათი დედაც ვატირე! – ვთქვი მე.

სიცილნარევი ტირილით განაგრძო: – ტელეფონზე ლაპარაკის შემდეგ, იმ ღამეს, დასანიშნად რომ მოხვედით, დარწმუნებული ვიყავი, რომ გადაიფიქრებდი ჩემს ცოლად შერთვას.

– არ არსებობს, ეგ როგორ იფიქრე?

გაიღიმა, ხელზე შემეხო, – რა ბედნიერი ვარ, რომ გიპოვე. ისეთი განსხვავებული ხარ, სულ არ ჰგავხარ ავღანელ ბიჭებს.

– მოდი, შევეშვათ მაგაზე ლაპარაკს, კარგი?

– კარგი.

ვაკოცე და გზა განვაგრძეთ. რატომ ვიყავი განსხვავებული? იქნებ იმიტომ, რომ კაცების გარემოცვაში გავიზარდე? ჩემ ირგვლივ ქალი არ ტრიალებდა და საერთოდ ვერ ვგრძნობდი ავღანური საზოგადოების დამოკიდებულებას ქალების მიმართ. ან იქნებ იმიტომ, რომ ბაბა ასე გამოირჩეოდა სხვა ავღანელი მამებისგან? ის ლიბერალი, თავისუფლად მოაზროვნე კაცი იყო, საკუთარი ცხოვრების წესით ცხოვრობდა, საერთო ტრადიციებიდან უმრავლესს არაფრად მიიჩნევდა, ზოგს კი იღებდა და პატივს სცემდა. მე მაინც მგონია, რომ სორაიას წარსულს, ასე ვთქვათ, მსუბუქად იმიტომ ვუყურებდი, რომ ჩემი წარსული მქონდა და სინანულის განცდაც ახალი არ იყო ჩემთვის. ბაბას გარდაცვალებიდან დიდი ხანი არ იყო გასული, რომ მე და სორაია ოროთახიან ბინაში გადავედით სორაიას მშობლების სახლთან ახლოს. ახალმოსახლეობის წვეულებაზე გენერალმა და ხალა ჯამილამ ყავისფერი ტყავის ტახტი და ჭურჭლის რამდენიმე წყება გვიყიდეს. გენერალმა დამატებით ახალთახალი IBM საბეჭდი მანქანა მაჩუქა. ყუთი რომ გავხსენი, შიგ ფარსით დაწერილი ბარათი დამხვდა:

ამირ-ჯან,

გისურვებ, რომ ამ კლავიშების დახმარებით შენი ფიქრიქმნილებად აქციო.

გენერალი იქბალ თაჰერი.

ბაბას ფოლკსვაგენი გავყიდე და აღარასოდეს გავსულვარ ბაზრობაზე. ყოველ პარასკევს ბაბას საფლავზე მივდიოდი. ზოგჯერ თაიგული მხვდებოდა საფლავის ქვასთან და ვხვდებოდი, რომ იმ დღეს მისვლა სორაიამ დამასწრო.

მე და სორაია ცოლ-ქმრული ცხოვრებით ვტკბებოდით. უმნიშვნელო რაღაცებით ვხალისობდით და ერთმანეთს ყოველთვის ვუთმობდით. სორაია საწოლის მარცხენა მხარეს იწვა, მე მარჯვნივ, მას ფუმფულა ბალიშები უყვარდა, მე ხმელი, ის ბურბუშელას მშრალად ჭამდა, მე რძეს ვასხამდი...

იმ ზაფხულს სან-ხოსეს უნივერსიტეტმა მიმიღო, სპეციალობა – ინგლისური ენა. სანევეილში, ავეჯის საწყობის დაცვის სამსახურში მოვეწყვე. ძალიან მოსაწყენი კი იყო, მაგრამ, სამაგიეროდ, ბევრი დრო მქონდა. საღამოს 6 საათზე, როცა ყველა მიდიოდა და მარტო ვრჩებოდი, ვჯდებოდი და ვმეცადინეობდი. აქ, ამ ფიჭვის სურნელით გაჟღენთილ ოფისში დავიწყე ჩემი პირველი რომანი.

სორაია შემდეგ წელს ჩაირიცხა უნივერსიტეტში. მამამისისთვის გულდასაწყვეტად, მთავარ საგნად პედაგოგიკა აირჩია.

– არ ვიცი, შენს ნიჭს ასე რატომ ჰკარგავ, – თქვა ერთხელ გენერალმა, – იცი, ამირ-ჯან, რომ დამამთავრებელ კლასში ყოველთვის უმაღლეს შეფასებას იღებდა? – მისკენ მიბრუნდა, – შენისთანა განათლებული გოგო იურისტი ან პოლიტიკოსი უნდა იყოს. ინებებს ღმერთი და ავღანეთი გათავისუფლდება, მაშინ ახალი კონსტიტუცია იქნება დასაწერი და ქვეყანას შენნაირი ნიჭიერი ხალხი დასჭირდება. იქნებ მინისტრის პოსტიც კი შემოგთავაზონ, შენი გვარიშვილობის გათვალისწინებით.

სორაია სკამის ზურგს მიაწვა, სახე შეეცვალა: – მამა, მე პატარა გოგო აღარ ვარ, გათხოვილი ქალი ვარ და, გარდა ამისა, ავღანეთი თუ გათავისუფლდა, მასწავლებლებიც დასჭირდებათ.

– მასწავლებლობა ყველას შეუძლია.

– დედა, ბრინჯი კიდევ არის? – იკითხა სორაიამ.

გენერალი წამოდგა, აუცილებლად უნდა წავიდე, შეხვედრა მაქვს მეგობრებთანო, თქვა და გავიდა.

ხალა ჯამილა სორაიას დამშვიდებას ცდილობდა, – ხომ იცი, რომ მხოლოდ კარგი უნდა შენთვის, უნდა რომ წარმატებული იყო.

– ჰო, რომ იტრაბახოს პროკურორი ქალიშვილით და კიდევ ერთი მედალი დაიკიდოს.

– რა სისულელეს ამბობ!

– „წარმატებული“, – სისინებდა სორაია, – კიდევ კარგი მაგას არ ვგავარ, არ ვზივარ და იმ მომენტს არ ვუცდი, იქ მყოფი ავღანელებიბოლომდე როდის შეაკვდებიან შურავის. იქნებ ჰგონია, რომ თავისუფალ ავღანეთში სამთავრობო პოსტს ჩააბარებენ? მასწავლებლობით ბევრს ვერ ვიშოვი, მაგრამ ეს ის არის, რაც მინდა, რაც მიყვარს და ბევრად უკეთესია, ვიდრე სოციალური დახმარების მოლოდინში მუქთაზე ცხოვრება.

ხალა ჯამილამ ენაზე იკბინა, – ხომ იცი, რომ გაგიგოს, არასოდეს ხმას აღარ გაგცემს.

– ნუ გეშინია, – მოკლედ მოუჭრა სორაიამ, – არ შევლახავ მის თავმოყვარეობას.

1988 წლის ზაფხულს, დაახლოებით ექვსი თვით ადრე, ვიდრე საბჭოთა კავშირი ავღანეთიდან გამოვიდოდა, ჩემი პირველი რომანი დავასრულე. რომანი მამა-შვილის ურთიერთობაზეა, მოქმედება ავღანეთში ვითარდება. რა თქმა უნდა, დიდად გამომადგა გენერლის ნაჩუქარი საბეჭდი მანქანა. განაცხადი უამრავ სააგენტოში გავაგზავნე. ერთ მშვენიერ დღეს, საფოსტო ყუთი რომ გავხსენი, გაოგნებული დავრჩი, ნიუ იორკის სააგენტო ხელნაწერის სრულ ვერსიას მთხოვდა. ხელნაწერი მეორე დღესვე გავამზადე. სორაიამ რუდუნებით შეფუთა და აკოცა, ხალა ჯამილამ – მოდი, ყურანი შემოვატაროთ გარშემო, შენს წიგნს თუ მიიღებენ, ცხვარს შევწირავ ღმერთს და ხორცს ღარიბებს დავურიგებო, დამპირდა.– უსისხლოდ, ხალა-ჯან, უსისხლოდ, – ვთქვი და ლოყაზე ვაკოცე, – ზაქათი საკმარისია, ფული დავურიგოთ ღარიბებს, რად გვინდა ცხვრის სიკვდილი.

ექვსი კვირის შემდეგ, ნიუ იორკიდან კაცმა, სახელად მარტინ გრინვოლტმა, დამირეკა და მითხრა, რომ მზად იყო ჩემი ინტერესები დაეცვა, ანუ ჩემი წარმომადგენელი გამხდარიყო. მხოლოდ სორაიას გავუმხილე, – ხომ იცი, აგენტი კი მყავს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ აუცილებლად გამოსცემენ ჩემს წიგნს. ჯერ თავის საქმე გააკეთოს მარტინმა და მერე აღვნიშნოთ-მეთქი. ერთ თვეში მარტინმა მაცნობა, რომ წიგნი სულ მალე დიდი ტირაჟით დაიბეჭებოდა. სორაიამ სიხარულისგან კივილი დაიწყო. იმ საღამოს ეს ამბავი სორაიას მშობლებთან ერთად აღვნიშნეთ. ხალა ჯამილამ კოფტა და ბრინჯი მოამზადა. გენერალსაც კი ცრემლით დაენამა თვალები და ვამაყობ შენითო, მითხრა. სიდედრ-სიმამრი რომ გავისტუმრე, ძვირადღირებული მერლო – ფრანგული ტანინიანი ღვინო – გავხსენი. სორაია მამის თანდასწრებით არ სვამდა, გენერალს ეს უღირს საქციელად მიაჩნდა.

– ისე ვამაყობ შენით, – თქვა სორაიამ და ჭიქა ასწია, – რა ბედნიერი იქნებოდა ბაბა.

– ვიცი, – როგორ მინდოდა, რომ ბაბა იქ ყოფილიყო...

სორაიას მალე მოერია ძილი. აივანზე გავედი და ზაფხულის გრილი ჰაერი ჩავისუნთქე. რაჰიმ-ხანის წერილი გამახსენდა, ის წერილი, ჩემი პირველი მოთხრობის წაკითხვის შემდეგ რომ მომწერა. და კიდევ ჰასანი... – ინშალლა, ერთ დღეს დიდი მწერალი გახდები და შენს მოთხრობებს მთელ მსოფლიოში წაიკითხავენ, – მითხრა ერთხელ. იმდენი რამ იყო ჩემს ცხოვრებაში კარგი, იმდენი ბედნიერი დღე მახსოვს, ვიმსახურებ კი ამდენს?

ჩემი წიგნი 1989 წლის ზაფხულს გამოვიდა. გამომცემელმა ხუთ ქალაქში გამაგზავნა სარეკლამო კამპანიის გასაწევად. ავღანელებს შორის, ცოტა არ იყოს, წონა მომემატა. ეს ის წელი იყო, როცა შურავი მთლიანად გამოვიდა ავღანეთიდან. თუმცა სამწუხაროდ, ამას ავღანეთისთვის მშვიდობა არ მოუტანია. უფრო მეტიც, ახლა ომი ავღანელებს შორის გაჩაღდა – მოჯაჰედები ნაჯიბულას პრორუსული მარიონეტული მთავრობის წინააღმდეგ. პაკისტანი ავღანელი ლტოლვილებით გაივსო. ეს ის წელი იყო, როდესაც ცივი ომი დამთავრდა, ბერლინის კედელი დაანგრიეს და ტიანანმენის მოედნის ტრაგედია მოხდა. ამ ორომტრიალში ავღანეთი ყველას მიავიწყდა. მას მერე, რაც შურავი ავღანეთიდან გავიდა, გენერალი თაჰერი სრულ მზადყოფნაში იყო, მაგრამ არ გამართლდა მისი მოლოდინი და ისევ თავისი ჯიბის საათის ქოქვას დაუბრუნდა.

იმ წელიწადს მე და სორაიამ ძალიან მოვინდომეთ, რომ მშობლები გავმხდარიყავით. მამობაზე ფიქრმა ემოციები ამიშალა. შიშს, სიხარულს და აღმაფრენას ერთდროულად განვიცდიდი. როგორი მამა ვიქნები? ბაბა კარგი მაგალითი იყო, თუმცა არ მინდოდა, რომ მას დავმსგავსებოდი.

წელიწადი გავიდა, მაგრამ არაფერი შეცვლილა. ყოველ თვეს ახალი იმედგაცრუება მოჰქონდა სორაიასთვის. მოუთმენელი და ფიცხი გახდა. საქმეში ხალა ჯამილა ჩაერთო – „ხო დეგა“ – ჰოდა, როდის აპირებ ალაჰს შესთხოვო, რომ შვილიშვილი მაჩუქოს?

გენერალი, როგორც ეს ნამდვილ პუშტუნს შეჰფერის, ამ თემასთან დაკავშირებით კითხვებს არ სვამდა, რადგან უნებურად ეს მის ქალიშვილსა და კაცს შორის სექსუალურ კავშირს გულისხმობდა. მერე რა, რომ ეს კაცი უკვე ოთხი წელი სრულდებოდა, რაც მისი სიძე იყო. თუმცა, როგორც კი ხალა ჯამილა ბავშვზე ჩამოაგდებდა სიტყვას, თვალებში გამოცოცხლება ეტყობოდა.

– ზოგჯერ ცოტა დროა საჭირო, – ვუთხარი ერთხელ სორაიას.

– ერთი წელი ცოტა დრო არ არის, ამირ, – მისთვის უჩვეულო შიშნარევი ხმით მიპასუხა. – ვიცი, რომ რაღაც ისე არ არის, როგორც საჭიროა.

– ექიმთან წავიდეთ.

ექიმი როსენი კარგად ჩასუქებული, დაბალი, ღიპიანი კაცი იყო. ფუმფულა ლოყებიდა პატარა სწორი კბილები ჰქონდა. ოდნავ შესამჩნევი აღმოსავლეთ ევროპული, უფრო სლავური, აქცენტით ლაპარაკობდა. მატარებლებით იყო გატაცებული. ოფისი სავსე იყო რკინიგზის ისტორიის სახელმძღვანელოებით, ლოკომოტივის მოდელებით, ნახატებით, ფოტოებით. მისი მაგიდის თავზე ასეთი წარწერა იყო: ცხოვრება მატარებელია, ამოდი, შენი ადგილი დაიკავე.

ექიმმა მოქმედების გეგმა დაგვისახა, – ჯერ მე თვითონ გაგსინჯავთ, – თითებით წითელი ხის მაგიდაზე აკაკუნებდა, – კაცები მარტივად არიან მოწყობილი, კაცის მილები კაცის ტვინივითაა, მარტივი, სიურპრიზების გარეშე. აი, ქალები კი... ეტყობა ღმერთმა ძალიან ბევრი იფიქრა თქვენი შექმნის დროს, – ჩემთვის ვიფიქრე, ალბათ სხვა პაციენტებსაც ზუსტად ასევე ელაპარაკება კაცების მილებზე-მეთქი.

– ჩვენ გაგვიმართლა, – თქვა სორაიამ. ექიმმა არაბუნებრივად გაიღიმა. მე მიმართვა და პლასტმასის ქილა მომცა, სორაიას სისხლის რამდენიმე ანალიზი დაუნიშნა.

წამოვდექით და ხელი ჩამოვართვით, – ამოდი, შენი ადგილი დაიკავე, – თქვა მან.

ჩემი ანალიზების პასუხები დამაკმაყოფილებელი იყო

შემდეგი რამდენიმე თვე სორაია ანალიზების კეთებას ვერ აუდიოდა: სხეულის ბაზალური ტემპერატურა, ყველა სახის ჰორმონის ანალიზი, შარდის და ნაცხის, ულტრაბგერითი, კიდევ შარდის, კიდევ სისხლის, ბოლოს ჰისტეროსკოპია... ექიმმა სორაიას საშვილოსნოში ტელესკოპი ჩაუდგა და დაათვალიერა. ვერაფერი ნახა, – მილები გამავალია, – განაცხადა მან და ხელთათმანები გაიძრო.

რას აიჩემა ეს მილები... სანტექნიკოსი იყო და აბაზანას აკეთებდა თუ რა?!

ყოველგვარი გამოკვლევა რომ დამთავრდა, აგვიხსნა, რომ ვერ ხსნიდა ჩვენს უშვილობას, და რომ ამ შემთხვევას „აუხსნელი უნაყოფობა“ ეწოდებოდა.

შემდეგ მკურნალობის ეტაპი დაიწყო. კლომიფინს ორივე ვიღებდით, სორაიამ ფოლიკულოსტიმულაციის კურსი ჩაიტარა, როცა ამანაც არ გაჭრა, ექიმმა როსენმა ინ ვიტრო განაყოფიერება გვირჩია.

ჯანმრთელობის დაცვის ხელშემწყობი ორგანიზაციიდან, როგორც იქნა, წერილი მივიღეთ. საუკეთესო სურვილებით და წრფელი გულით ბოდიშს გვიხდიდნენ და გვაცნობებდნენ, რომ ვერ შეძლებდნენ ჩვენს ფინანსურ დახმარებას.

ინვიტრო განაყოფიერებისთვის ჩემი რომანის ავანსი გამოვიყენეთ. ეს იყო ხანგრძლივი, სკრუპულოზური, დამთრგუნველი და, საბოლოოდ, უშედეგო პროცესი. თვეების განმავლობაში საავადმყოფოების მოსაცდელ ოთახებში დროს ჟურნალების კითხვით ვკლავდი. გაუთავებელი იყო ერთჯერადი სამედიცინო ხალათების ჩაცმა-გახდა და ნეონის ნათურებით განათებულ საპროცედუროში სრულიად უცნობ ხალხთან დამამცირებელი საუბრები ჩვენი სექსუალური ცხოვრების ყველა დეტალზე. არ იქნა და არ დამთავრდა ინექციები და ანალიზების ქილებით სირბილი. ბოლოს, ამ ყველაფრის შემდეგ, ისევ ექიმ როსენისთან დავბრუნდით.

ჩვენ წინ იჯდა და თითებით მაგიდაზე აკაკუნებდა. იმ დღეს პირველად იხმარა ფრაზა „შვილად აყვანა“. სორაია მთელი გზა ტიროდა.

ერთი კვირის შემდეგ სორაიამ ეს ამბავი მშობლებს გაუმხილა. თაჰერების უკანა ეზოში ვისხედით, ცეცხლზე კალმახს ვწვავდით და იოგურტს ვწრუპავდით. 1991 წლის მარტის საღამო იყო. ხალა ჯამილამ ვარდები და ახალდარგული ნერგები მორწყა. რამდენიმე წუთში ერთხელ სორაიას თმაზე ხელს უსვამდა და ამბობდა: – ყველაფერი ღვთის ნებაა, შვილო.

სორაია თავდახრილი იჯდა და თავის ხელებს დასცქეროდა, – ექიმმა ბავშვის აყვანა გვირჩია, – წაიჩურჩულა.

– ექიმმა? – ვერ შეიკავა თავი გენერალმა.

მე და სორაიას ამ თემაზე უკვე გვქონდა საუბარი, – ვიცი, რომ სისულელეა, – მითხრა მან, როდესაც მისი მშობლების სახლისკენ მივდიოდით, – მაგრამ ვერ ვჯობნი თავს. როცა შენია ბავშვი, იცი, რომ ცხრა თვე ატარე და შენი სისხლი უდუღს ძარღვებში. ერთ დღესაც თვალებში ჩახედავ და საკუთარ თავს დაინახავ. ეს მინდოდა რომ განმეცადა, მინდოდა შენი ღიმილი დამენახა, როცა წამოიზრდებოდა... ვიცი, რომ არ ვარ მართალი, მაგრამ სხვაგვარად არ შემიძლია...

– ეგოისტი ვარ, ხომ?

– არა.

– თუ შენ ნამდვილად გინდა...

– არა, თუ როდესმე გადავწყვეტთ, ეჭვი არაფერში უნდა გვეპარებოდეს და ორივე ერთნაირად უნდა ვფიქრობდეთ. სხვა შემთხვევაში ბავშვის წინაშე ჩადენილი უსამართლობა იქნება.

თავი ფანჯარას მიადო და მთელი გზა სიტყვა აღარ დაუძრავს.

ახლა გენერლის ჯერი იყო, – ბაჩემ, ბავშვის აყვანა ავღანელებისთვის არ არის, – სორაიამ დაღლილი სახით შემომხედა და ამოიხვნეშა, – ასეა, რას იზამ, ბავშვები იზრდებიან და

აინტერესებთ, ვინ არიან მათი ბიოლოგიური მშობლები. ზოგჯერ სახლიდან მიდიან, რომ მშობლები იპოვონ; სისხლი ეძახით, სისხლი მძლავრი იარაღია, ეს არ უნდა დაგავიწყდეს, შვილო.

– აღარ მინდა ამაზე ლაპარაკი, – თქვა სორაიამ.

– კიდევ ერთ რამეს ვიტყვი, – განაგრძო გენერალმა. თანდათან ლაპარაკის ეშხში შედიოდა, – ავიღოთ, მაგალითად, ამირი. მამამისს ყველა ვიცნობდით. მე ისიც ვიცი, მისი პაპა და პაპის პაპა ვინ იყვნენ, ამიტომაც როცა ჩვენთან – ღმერთო, ნათელში ამყოფე – სორაიას ხელის სათხოვნელად მოვიდა, არც დავფიქრებულვარ. დამიჯერეთ, არც მამამისი მოვიდოდა, რომ არ სცოდნოდა, ვისი შთამომავალიც ხარ. როცა ბავშვს იყვან, არ იცი, ვის სისხლს უშვებ სახლში. ამერიკელი რომ იყო, ამას მნიშვნელობა არ ექნებოდა. ხალხი აქ სიყვარულით ქორწინდება, ოჯახის სახელი და წინაპრები არავის აინტერესებს. აიყვანენ ბავშვს და თუ ბავშვი ჯანმრთელია, პრობლემა არ არსებობს, ყველა ბედნიერია. მაგრამ ჩვენ ავღანელები ვართ, შვილო.

– თევზი უკვე მზადაა? – იკითხა სორაიამ, – გენერალმა მზერა სორაიაზე შეაჩერა, ხელი მუხლზე დაადო და უთხრა: – იმით იყავი ბედნიერი, რომ ჯანმრთელად ხარ და კარგი ქმარი გყავს.

– შენ რას იტყვი, ამირ-ჯან? – მკითხა ხალა ჯამილამ.

ჭიქა რაფაზე შემოვდგი.

– მე გენერალს ვეთანხმები.

თავის სიმართლეში დარწმუნებული გენერალი მაყალს მიუბრუნდა და თევზის შეწვა განაგრძო.

მოკლედ, ყველას ჩვენ-ჩვენი მიზეზი გვქონდა. ჩემი მიზეზი კი ეს იყო: ღმერთმა, განგებამ, ბედისწერამ ან ყველაფერმა ერთად წარსული ცოდვებისთვის დამსახურებული სასჯელი მომაგო. უნდა შევგუებოდი, წინააღმდეგობას აზრი არ ჰქონდა. მალე ბერნალ ჰაიტზე, სან ფრანცისკოში, დიდი სახლი ვიყიდეთ. ჩემი მეორე რომანის ავანსით პირველი შესატანი დავფარე. ეს ვიქტორიანული ეპოქის ლამაზი სახლი იყო ორი სამინებლით, ხის იატაკითა და წვეტიანი სახურავით. პატარა უკანა ეზო შეზლონგებისთვის ხის ტერასით და სრული კომფორტისთვის, ცეცხლის დასანთები ადგილით მთავრდებოდა. გენერლის დახმარებით ტერასა შევაკეთე და სახლის კედლები შევღებე. ხალა ჯამილა გამუდმებით წუწუნებდა – თქვენამდე ახლა ერთი საათის სავალი გზა მაინც არის, სორაიას კი ასე სჭირდება ზრუნვა და ალერსიო. ვერც წარმოედგინა, რომ სწორედ მისი გადაჭარბებული თანაგრძნობა აიძულებდა სორაიას მშობლებისგან თავი შორს დაეჭირა.

ღამღამობით, როცა სორაიას ჩემ გვერდით მშვიდად ეძინა, ყურს ვუგდებდი ღიად დარჩენილი კარის ჭრიალს, მესმოდა, როგორ ჭრიჭინებდნენ ბაღში ჭრიჭინები და საშინელ სიცარიელეს ვგრძნობდი. სიცარიელეს, რომელმაც თითქოს ხორცი შეისხა, სუნთქვა დაიწყო, ჩვენს სახლში ჩვენ გვერდით ცხოვრობდა და ჩვენი ყოველდღიურობის თანაზიარი გახდა. მაშინაც კი, როდესაც სორაიას ვეალერსებოდი ლოგინში, ახალშობილი ბავშვივით, ჩვენ შორის იწვა.

თავი მეთოთხმეტე

ივნისი, 2001 წელი.

ყურმილი დავკიდე. ერთ ხანს გაშტერებული ვიდექი. აფლატუნმა დაიყეფა, შევკრთი და აზრზე მოვედი. სორაიამ ტელევიზორს ჩაუწია. ოთახში სამარისებური სიჩუმე იდგა.

– ფერი დაკარგე, ამირ,– თქვა მან. სორაია ტახტზე იყო წამოწოლილი. იმ ტახტზე, მისმა მშობლებმა რომ გვაჩუქეს პირველი ახალმოსახლეობის აღსანიშნავად. აფლატონი იქვე იყო მოკალათებული. სორაია ცალი თვალით ახალი ამბების გამოშვებას უყურებდა და მეორეთი სასკოლო ესსეებს ასწორებდა, უკვე ექვსი წელი იყო გასული მას შემდეგ, რაც მან სკოლაში დაიწყო მუშაობა. სორაია წამოჯდა, აფლატონი ტახტიდან ჩამოხტა. კოკერ-სპანიელი გენერალმა გვაჩუქა და სახელიც მან შეარქვა. ფარსის ენაზე პლატონი, როგორც აფლატონი ისე ჟღერს. გენერალი ამბობდა ხოლმე, ძაღლს თუ დაკვირვებით ჩახედავ თვალებში, მის ბრძნულ ფიქრებს აუცილებლად ამოიკითხავო.

დრომ თავისი ქნა. სორაიას ოდნავ შესამჩნევი ღაბაბი დაედო, თეძოები შეევსო, კუნაპეტივით შავ თმაში აქა-იქ ჭაღარა გაერია, მაგრამ მის მოქნეული ფრთებივით წარბებს და ელეგანტურ, ოდნავ კეხიან ცხვირს ვერაფერი დააკლო. ისევ ისე მაგონებდა ძველი სპარსული ზღაპრების პრინცესას.

– ფერმკრთალი ხარ, – გაიმეორა სორაიამ, ფურცლები მაგიდაზე დააწყო.

– პაკისტანში უნდა წავიდე.

ფეხზე წამოდგა, – პაკისტანში?

– რაჰიმ-ხანი ძალიან ცუდადაა, – გული შემეკუმშა, ამ სიტყვებს რომ ვამბობდი.

– ბაბას ბიზნეს პარტნიორი და მეგობარი? – სორაია მას არასოდეს შეხვედრია, მის შესახებ ჩემგან იცოდა. – ოჰ, რას ამბობ, ვწუხვარ, ამირ.

– ძალიან ახლოს ვიყავით ერთმანეთთან, – ვთქვი მე. – ის ერთადერთი უფროსი იყო, ვისთანაც ბავშვობაში ვმეგობრობდი. გონებაში ფოტოსავით მაქვს ჩაბეჭდილი ბაბა და რაჰიმ-ხანი ბაბას კაბინეტში ჩაის სმის დროს. ჩაის შემდეგ ფანჯარასთან სიგარას ეწეოდნენ, ნიავს აზიური ვარდის სურნელი შემოჰქონდა და სიგარის კვამლს ერეოდა...

– ჰო, მახსოვს, ხშირად გითქვამს, – თქვა სორაიამ, – რამდენი ხნით მიდიხარ?

– არ ვიცი.

– ეს უსა...

– ჰო, უსაფრთხოა, ნუ გეშინია, სორაია. ამ კითხვის დასმა თავიდანვე უნდოდა, თხუთმეტი წლის თანაცხოვრებამ ერთმანეთის აზრის წაკითხვა გვასწავლა, – წავალ, გავივლი.

– წამოვიდე შენთან ერთად?

– არა, მარტო მირჩევნია.

გოლდენ გეით პარკამდე მანქანით მივედი და შემდეგ სფრიქელს ტბისკენ ფეხით ჩავუყევი. კვირა დღე იყო, თბილოდა. წყალზე შუადღის მზე ბრწყინავდა. სკამზე ჩამოვჯექი. იქვე კაცი თავის ვაჟიშვილს ბურთის ჩაწოდებაში ავარჯიშებდა. გვერდულად ნუ ისვრი, მკლავი ბეჭის სიმაღლეზე დაიჭირე და პირდაპირ ისროლეო, ეუბნებოდა. ზევით ავიხედე და პარკის დასავლეთით, ხეებისა და ქარის წისქვილების თავზე წყვილი

წითელი, ერთმანეთის გვერდიგვერდ მოფარფატე ლურჯკუდებიანი ფრანი შევნიშნე. რაჰიმ-ხანის ბოლო სიტყვა მოსვენებას არ მაძლევდა. თვალები დავხუჭე, შორს ოღროჩოღრო გზის ბოლოს მისი სახე დავინახე თვალნათლივ. იდგა და როგორც სჩვეოდა, თავი ცალ მხარეს ჰქონდა გადაგდებული, თითქოს რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ გადაიფიქრა. მის უძირო შავ თვალებში დიდი ხნის გამოუთქმელი საიდუმლო იკითხებოდა. მთელი ცხოვრება ეჭვი მეპარებოდა და მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ მან ყოველთვის ყველაფერი იცოდა ასეფის, ფრანის, ფულისა და საათის შესახებ.

– ისევ შეგიძლია, რომ სიკეთის გზაზე დადგე, ამირ, დაბრუნდი, – მითხრა, ვიდრე ყურმილს დავკიდებდი.

სიკეთის გზაზე...

სახლში რომ დავბრუნდი, სორაია ტელეფონზე ელაპარაკებოდა დედამისს, – არა, დიდი ხნით არა, დედა-ჯან, ალბათ ერთი-ორი კვირით. შენ და მამა ჩემთან გადმოხვალთ.

ორი წლის წინ გენერალმა მარჯვენა მენჯი მოიტეხა. შაკიკის მორიგი შეტევის შემდეგ, თავისი ოთახიდან გონებადაბინდული რომ გამოვიდა, ხალიჩის კიდეს წამოჰკრა ფეხი. ყვირილზე ხალა ჯამილა სამზარეულოდან გამოვარდა, – გეგონებოდათ, ხის ჯოხი გადატეხეს შუაზე, ისეთი ხმა ჰქონდა, – აჟიტირებული ჰყვებოდა ხოლმე ხალა ჯამილა ამ ამბავს. გენერლის ავადმყოფობამ და შემდგომმა გართულებებმა (პნევმონია, სისხლის მოწამვლა, საავადმყოფო) შედეგად ხალა ჯამილას ხანგრძლივი მონოლოგები მოიტანა საკუთარი და, რასაკვირველია, ახლა უკვე გენერლის ჯანმრთელობის შესახებ. თუ ვინმეს გამოიჭერდა, აუცილებლად ეტყოდა, რომ ექიმებს მისი თირკმელები არ მოსწონდათ, – მაგრამ რა იციან ავღანური თირკმელების შესახებ? არც კი უნახავთ... – ამაყად დააყოლებდა ხოლმე. საავადმყოფოში თავზე ედგა მეუღლეს. იცდიდა, ვიდრე გენერალი დაიძინებდა და მერე საწოლის კიდეზე ჩამომჯდარი ძველ ქაბულურ სიმღერებს უმღეროდა.

ასაკმა და შერყეულმა ჯანმრთელობამ გენერალსა და სორაიას შორის ურთიერთობა შეარბილა. ხშირად სეირნობდნენ, შაბათობით ერთად სადილობდნენ და ნუ გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ ზოგჯერ გენერალი გაკვეთილზეც კი ესწრებოდა სორაიას. ხელჯოხზე დაყრდნობილი თავის ძველ გაპიწკინებულ კოსტიუმში გამოწყობილი საკლასო ოთახში შევიდოდა, უკანა რიგში ჯდებოდა და იღიმოდა, ხანდახან ჩანაწერსაც კი აკეთებდა.

სორაია ჩემგან ზურგით იწვა. სახე მის თმაში მქონდა ჩამალული. დრო იყო, ვნებას დავიცხრობდით და შემდეგ ერთმანეთს გიჟებივით ვკოცნიდით დილამდე. ჩურჩულით ვლაპარაკობდით პაწაწა პუტკუნა თითებზე, პირველ ღიმილზე, პირველ ნაბიჯებზე, პირველ სიტყვებზე. ასეთი ღამეები ხანდახან ახლაც გვქონდა, თუმცა სალაპარაკო თემა სხვა იყო. გულიანად ვიცინოდით ხოლმე ვიღაცის უცნაურ ჩაცმულობაზე, ან ჩემი ახალი რომანის და სკოლის შესახებ ვუზიარებდით ერთმანეთს მოსაზრებებს. ჩვენი ცოლ-ქმრული ცხოვრება ჯერჯერობით ძალიან კარგად იყო აწყობილი. ერთმანეთის მიმართ ისევ ძლიერ ლტოლვას განვიცდიდით, თუმცა ზოგჯერ მთელი სიცხადით ვგრძნობდი ჩვენი ყოფის სიცარიელეს და ერთად წოლა მხოლოდ მოვალეობად

მეჩვენებოდა. ამის შესახებ ხმამაღლა არასოდეს გვილაპარაკია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, სორაიაც იმავეს განიცდიდა. ასეთ ღამეებს ერთმანეთისგან ზურგშექცევით ვატარებდით. სორაიასთვის ამ დროს ძილი იყო შვება, ჩემთვის, რა თქმა უნდა, წიგნი.

იმ ღამეს თვალი არ მომიხუჭავს. შტორებიდან ვერცხლისფერ ხაზებად შემოჭრილ მთვარის შუქს განთიადამდე ვუცქერდი. განთიადისას ჩამეძინა, ჰასანი მესიზმრა. გარბოდა, თოვლზე მწვანე ჩაპანის ბოლოს მიათრევდა, მისი შავი რეზინის ბოტებქვეშ თოვლი ხრაშუნობდა, შეჩერდა, შემობრუნდა და გამომძახა: – შენი გულისთვის, თუნდაც ათასჯერ!.. ერთი კვირაში პაკისტანის საერთაშორისო ავიახაზების თვითმფრინავში ფანჯარასთან ვიჯექი. ფორმიანი ტექნიკოსები თვითმფრინავს ასაფრენად ამზადებდნენ. მალე თვითმფრინავი ცაში აიჭრა და ღრუბლები გადასერა. თავი ფანჯარას მივადე და დაძინება ვცადე.

თავი მეთხუთმეტე

სამ საათში ფეშავარის აეროპორტში დავეშვით. ტაქსი გავაჩერე. უკანა საჯდომის გადასაკრავი ნაფლეთებად იყო ქცეული. მძღოლი დაბალი, ოფლიანი კაცი იყო, სახელად ღოლამი. მანქანას დაუდევრად მართავდა, თან გაუთავებლად ლაპარაკობდა. რამდენჯერმე კინაღამ რაღაცას შევასკდით.

– საშინელებაა ის, რაც თქვენს ქვეყანაში ხდება. პაკისტანელები და ავღანელები ძმები ვართ, მუსლიმები მუსლიმებს უნდა დავეხმაროთ...

თავაზიანად ვუქნევდი თავს. ფეშავარი კარგად მახსოვდა. მე და ბაბამ იქ რამდენიმე თვე გავატარეთ 1981 წელს. ჯარმუდის გზით მივდიოდით. მალე სამხედრო დასახლებას ჩავუარეთ და გზა დასავლეთისკენ განვაგრძეთ. ქალაქის ორომტრიალმა ქაბულის ფრინველის ბაზრობა გამახსენა, სადაც მე და ჰასანი სოუსში ჩაწყობილ კარტოფილსა და ალუბლის წვენს ვყიდულობდით ხოლმე. ველოსიპედები, ფეხით მოსიარულეები, რიქშები ერთმანეთში ირეოდნენ, ვიწრო ქუჩები მჭიდროდ ჩამწკრივებული დახლებით იყო ჩახერგილი. რას არ ნახავდით: ტყავის აბაჟურებს, ხალიჩებს, ხელით ნაქარგ თავსაფრებს, ბრინჯაოს ნივთებს. ქალაქი გუგუნებდა. გარემოვაჭრეების შეძახილები ჰინდურ მუსიკას და ეტლში შებმული ცხენების ზანზალაკების ხმას ერწყმოდა. იქაურობა მტვრის ბუღში იყო გახვეული. მანქანის ფანჯრიდან მძაფრი სუნი შემოდიოდა – ხან ბაბას საყვარელი ფაკორას და სანელებლის არომატი, ხან კი ფეკალური მასისა და დამპალი ნაგვის სიმყრალე.

ფეშავარის უნივერსიტეტის წითელი აგურით ნაგებ კორპუსებს რომ გავცდით, დიდი დასახლება გამოჩნდა. ჩემმა ყბედმა მძღოლმა მითხრა, რომ ამ დასახლებას ახლა „ავღანური ქალაქი“ ერქვა. ტკბილეულისა და ქაბაბის დახლები, ხალიჩებით მოვაჭრეები, პატარა რესტორნები ფანჯრებზე აკრული ავღანეთის რუკებით, მტვერში ამოგანგლული ბავშვები, რომლებიც ტურტლიანი ხელებით სიგარეტს ყიდდნენ და ქუჩის ბოლოს დახმარების სააგენტოები, ამ ყველაფერს „ავღანური ქალაქი“ ერქვა.

– თქვენებურები აქ ცხოვრობენ, – თქვა მძღოლმა, – ზოგს თავისი ბიზნესი აქვს, მაგრამ უმრავლესობა ღატაკია, – ცოტა ხნით გაჩუმდა და ამოიოხრა, – თანდათან დავუახლოვდით ერთმანეთს.

რაჰიმ-ხანი ბოლოს 1981 წელს ვნახე. იმ ღამეს, ქაბულიდან რომ გავიქეცით, გამოსამშვიდობებლად მოვიდა ჩვენთან. ბაბა და რაჰიმ-ხანი ერთმანეთს ტირილით დაემშვიდობნენ. ჩვენი შტატებში ჩასვლის შემდეგ ერთმანეთთან კავშირი არ გაუწყვეტიათ. წელიწადში ხუთჯერ მაინც ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს ტელეფონით. ბაბა ხანდახან მეც გადმომცემდა ხოლმე ყურმილს. ბოლოს ბაბას სიკვდილის შემდეგ ველაპარაკე. რამდენიმე სიტყვის თქმა მოვასწარით და კავშირი გაწყდა.

მძღოლმა გზაჯვარედინიდან კუთხისკენ გადაუხვია და მანქანა დაბალ შენობასთან გააჩერა. ფული გადავუხადე, ჩემი ერთადერთი ჩემოდანი ავიღე და ჩუქურთმებიან შესასვლელ კართან გავჩერდი. ხის ღია აივნებზე სარეცხი შრებოდა. ჭრაჭუნა კიბით მეორე სართულზე ავედი, ბნელ კორიდორს გავუყევი და მარჯვნივ ბოლო ოთახის კარზე დავაკაკუნე.

ცოტა ხანში კარი მოარულმა ჩონჩხმა გამიღო, გავშეშდი.

სან ხოსეს კოლეჯში შემოქმედებითი წერის პედაგოგი ხშირად გვეუბნებოდა: – შავი ჭირივით ერიდეთ კლიშეს გამოყენებას, – მერე თავად იცინოდა ხოლმე თავის ხუმრობაზე, მაგრამ მე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ზოგჯერ კლიშეზე უკეთ ვერაფერი გამოხატავს რეალურ ემოციას. მაგალითად, „სისხლი გამეყინა“ ყველაზე ახლოსაა იმასთან, რაც რაჰიმ-ხანის დანახვისას განვიცადე.

კედლის გასწვრივ დაგებულ თხელ მატრასზე დავსხედით. ფანჯარა ხმაურიან ქუჩას გადაჰყურებდა. მზე გვერდულად ეცემოდა ავღანურ ხალიჩას. კედელთან ორი დასაკეცი სკამი და პატარა სპილენძის სამოვარი იდგა. ჩაი ორივესთვის ჩამოვასხი.

– როგორ მიპოვე? – ვკითხე მე.

– ამერიკაში კაცის მოძებნა ძნელი არ არის. შტატების რუკა ვიყიდე და ჩრდილო კალიფორნიის საინფორმაციო ბიუროში დავრეკე, სულ ეს იყო, – თქვა მან, – უკვე ზრდასრული კაცი ხარ, – ღიმილით მითხრა.

მეც გავიღიმე და სამი ნატეხი შაქარი ჩავიგდე ჩაიში. რაჰიმ-ხანს მუქი და უშაქრო ჩაი უყვარდა.

– ბაბას შენთვის არ უთქვამს, რომ დავქორწინდი. ბოლო თვეებში მეტასტაზებმა გონებაზე იმოქმედა და გულმავიწყი გახდა.

– დაქორწინდი? ვინ ითხოვე?

– სორაია თაჰერი, – სორაია გამახსენდა, ვიცოდი, რომ ჩემზე დარდობდა. კიდევ კარგი, მარტო არ იყო.

– თაჰერი... ვისი შვილია? – თვალები გაუბრწყინდა, – გამახსენდა, გენერალი თაჰერი, შარიფის დის ქმარი, არა? მოიცა, მის დას რა ერქვა?

– ჯამილა-ჯან.

– ბალეი! დიახ, – თქვა მან. – შარიფს კარგად ვიცნობდი, დიდი ხნის წინ, სანამ ამერიკაში წავიდოდა, ვმეგობრობდით.

– იმიგრაციისა და ნატურალიზაციის სამსახურში მუშაობს, ბევრ ავღანელს ეხმარება.
– შვილები თუ გყავთ შენ და სორაიას?
– არა.
ჩაი მოწრუპა და მეტი შეკითხვა აღარ დაუსვამს. ის გამორჩეულად ტაქტიანი ადამიანი იყო.
ბევრი რამ მოვუყევი. ვუთხარი, როგორ თავდაუზოგავად მუშაობდა ბაბა, როგორ ვვაჭრობდით ძველმანების ბაზრობაზე და როგორ მშვიდად გარდაიცვალა. ვუამბე კოლეჯის, უნივერსიტეტის, ჩემი ოთხი გამოქვეყნებული რომანის შესახებ, – ეჭვი არასოდეს შემპარვია, რომ მწერალი გახდებოდი, – თქვა მან. მერე ისიც ვუთხარი, მოკლე მოთხრობებს შენს ნაჩუქარ ტყავის ყდიან ბლოკნოტში ვწერდი-მეთქი, მაგრამ ბლოკნოტის შესახებ არაფერი ახსოვდა.
ბოლოს ჩვენი საუბარი, ბუნებრივია, თალიბანის თემას შეეხო.
– მართლა ისეთი საშინელებაა, როგორც ჰყვებიან? – ვკითხე მე.
– არა, ბევრად უარესი. ადამიანად არ გთვლიან. მარჯვენა წარბთან ნაიარევი მაჩვენა.
– 1998 წელს ფეხბურთის მატჩზე ვიყავი ღაზის სტადიონზე. ქაბული მაზარიშარიფს ეთამაშებოდა, როგორც მახსოვს. სხვათა შორის, იმ დროს მოთამაშეებს მოკლე სპორტული ტრუსების ჩაცმა აუკრძალეს. „უხამსობა გადამდებიაო“, – თქვა და მწარედ გაიღიმა. ასე იყო თუ ისე, ქაბულის გუნდმა გოლი გაიტანა და, რა თქმა უნდა, სიხარულისგან ყვირილი დავიწყეთ. ახალგაზრდა, დაახლოებით 18 წლის წვერმოშვებული ფორმიანი ბიჭი მომიახლოვდა და კალაშნიკოვის კონდახი პირდაპირ სახეში მთხლიშა, – ხმა ჩაიგდე, თორემ ენას მოგაჭრიო. ალბათ ასაკის მიხედვით პაპად ვერგებოდი, თავპირდასისხლიანებული დავეგდე და ბოდიში მოვუხადე იმ ძაღლისშვილს.
ჩაი დავუსხი. კიდევ ბევრი ილაპარაკა. ზოგი რამ უკვე ვიცოდი, მაგრამ ბევრი ახალი ამბავი მოვისმინე. მითხრა, რომ ბაბამ ოფიციალურად „მიჰყიდა“ სახლი რაჰიმ-ხანს. იმ ხანად ბაბა ფიქრობდა, რომ ის, რაც ავღანეთში დატრიალდა, დროებითი იყო. ეგონა, რომ ცოტა ხნით ამოვვარდით ჩვეული ცხოვრების რიტმიდან და მალე ისევ დაბრუნდებოდა ჩვეული პიკნიკები პაჰმანის ბაღებში, ისევ გაიმართებოდა წვეულებები ვაზირ აქბარ-ხანის უბანში. რაჰიმ-ხანი კი მანამდე ბაბას სახლში იცხოვრებდა, იქაურობას უპატრონოდ არ დააგდებდა.
რაჰიმ-ხანმა თხრობა განაგრძო. როცა 1992-1996 წლებში ჩრდილოეთის ალიანსი ანუ ავღანეთის ხსნის გაერთიანებული ისლამური ფრონტი შემოვიდა ქალაქში, ქაბული რეგიონებად დაჰყვეს და თითო რეგიონი თითო დაჯგუფების კონტროლქვეშ მოექცა. თუ შარანაუდან კერთეჰფარვანში წახვიდოდი ხალიჩის საყიდლად, სიცოცხლეს რისკავდი, ან სნაიპერის ტყვია დაგეწეოდა, ან ბომბი აფეთქდებოდა და ნაფლეთებად გაქცევდა. მანამდე კი ათობით საგუშაგო უნდა გაგევლო, ერთი ქუჩიდან მეორეზე გადასასვლელად ლამის ვიზა მოეთხოვათ. ხალხი გარეთ არ გამოდიოდა. ლოცულობდნენ, რომ მათ სახლზე არ აფეთქებულიყო რაკეტა. სახლების უკანა კედლები გამოთხარეს; ასე უფრო უსაფრთხო იყო ქუჩიდან ქუჩაზე გადასვლა. ბევრმა გვირაბიც კი გაიყვანა.
– რატომ არ წახვედი აქედან? – ვკითხე.

– ქაბული ჩემი სახლია, – გაეცინა, – გახსოვს ის პატარა ქუჩა, შენი სახლიდან სკოლა ისტიქლალამდე?

– ჰო, ყველაზე მოკლე გზა იყო. გამახსენდა, მე და ჰასანი კინოში მივდიოდით და მოკლეზე გადავჭერით. ჯარისკაცებმა, დედამისის გამო, აბუჩად აიგდეს ჰასანი. მერე მწარედ იტირა. მე მხარზე ხელი გადავხვიე და დავამშვიდე.

– როცა თალიბებმა ჩრდილოეთის ალიანსი გააძევეს ქალაქიდან, ქუჩაში ვცეკვავდი. ნამდვილი ზეიმი იყო, ხალხი მათ ტანკებზე ადიოდა და სურათებს იღებდა. ისე მობეზრდათ ქაბულელებს გამუდმებული ომი, ბომბები, რაკეტები, აფეთქებები... გულბედინი და მისი კოჰორტა ყველაფერს ესროდა, რაც მოძრაობდა. ალიანსმა ქაბულს ბევრად უფრო მეტი ზიანი მიყენა, ვიდრე შურავიმ. მამაშენის აშენებული ობოლთა თავშესაფარიც მათ დაანგრიეს, იცოდი?

– ობოლთა თავშესაფარს რას ერჩოდნენ? – მახსოვს, ბაბას უკან ვიჯექი თავშესაფრის გახსნის ცერემონიალზე. ქარმა კარაკულის ქუდი მოხადა და სტუმრებმა გაიცინეს. მერე ბაბამ სიტყვა წარმოთქვა და ფეხზე წამომდგარი სტუმრები კარგა ხანს არ წყვეტდენ აპლოდისმენტებს. ახლა თავშესაფარი უბრალოდ ნაგვის მორიგი გროვაა. არაფერი დაიშურა ბაბამ: გული, სული, ფული, ღამეებს ათენებდა ნახაზებზე, თვითონ ამოწმებდა, რომ ყოველი აგური, ბლოკი, დირე სწორად ყოფილიყო დაწყობილი.

– განურჩევლად ანადგურებდნენ ყველაფერს, ვერც წარმოიდგენ, რა საშინელება ტრიალებდა, თავშესაფრის ნანგრევებიდან დახოცილი ბავშვების სხეულები ნაწილ-ნაწილ გამოჰქონდათ.

– ესე იგი, თალიბები როცა მოვიდნენ...

– გმირები იყვნენ, ბოლოს და ბოლოს, მშვიდობამ დაისადგურა. იმედი უცნაური რამ არის, ხალხს იმედი ჰქონდა...

ძლიერი ხველა აუტყდა, მთელი სხეულით კანკალებდა, ამოახველა და ხელსახოცი წითლად შეიღება.

ისევ „სისხლი გამეყინა“.

– როგორ ხარ? – ვკითხე.

– ვკვდები, – ძლივს ამოთქვა. კიდევ შეტევა, უფრო მეტი სისხლი ხელსახოცზე.

სახელოთი შუბლიდან ოფლი მოიწმინდა, თავი დამიქნია და მივხვდი, რომ ჩემი მორიგი შეკითხვა წინასწარ იცოდა, – ცოტა ხანში, – ამოისუნთქა.

– უფრო ზუსტად?

მხრები აიჩეჩა, კიდევ დაახველა, – ალბათ ზაფხულის ბოლომდე, – თქვა მან.

– ჩემთან წაგიყვან, კარგ ექიმს ვნახავ. ახალი წამლები და მკურნალობის მეთოდებია, ყველაფერს გავაკეთებ... – ვიცოდი, რომ მივედ-მოვედებოდი, მაგრამ ტირილს ეს სჯობდა.

შემზარავი ხმით გაიცინა, წინა კბილები არ ჰქონდა. ეს სიცილი ახლაც ყურში მიდგას.

– ოპტიმიზმმა ამერიკა უძლიერეს ქვეყნად აქცია. ვხედავ, შენც ოპტიმისტი ხარ. ძალიან კარგია. ჩვენ, ავღანელები მელანქოლიური ხალხი ვართ, არა? ხშირად ვწუწუნებთ და ზოგჯერ ჩვენი თავი გვეცოდება. ვნებდებით მარცხს, ვიტანჯებით და ყველაფერ ამას ცხოვრების აუცილებელ წესად ვაქცევთ. ხშირად ვამბობთ: რას იზამ, ზინდაგი მიგზარა,

ცხოვრება გრძელდება. მაგრამ მე პრაგმატულიკაცი ვარ. რამდენიმე კარგ ექიმთან ვიყავი და ყველამ ერთი და იგივე მითხრა. მე მათ ვენდობი. არც ის დაგავიწყდეს, რომ ყველაფერი ღვთის ნებაა.

– კაცი თვითონ აკეთებს, ან არ აკეთებს რაღაცას, სულ ეს არის, – ვთქვი მე.

გაეცინა, – ახლა ზუსტად მამაშენივით ლაპარაკობ. როგორ მენატრება... მაგრამ დამიჯერე, ღვთის ნებაა, ამირ-ჯან. ამას წყალი არ გაუვა, – შეჩერდა და მალევე განაგრძო, – რასაკვირველია, მინდოდა, რომ სიკვდილის წინ მენახე, მაგრამ არის კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც ჩამოსვლა გთხოვე.

– რა მიზეზი?

– იცი, რომ მას შემდეგ, რაც თქვენ წახვედით, თქვენს სახლში ვცხოვრობდი?

– ვიცი.

– მე მარტო არ ვიყავი. ჰასანი ცხოვრობდა ჩემთან ერთად.

– ჰასანი, – ბოლოს როდის წარმოვთქვი ეს სახელი? დანაშაულის განცდა ეკალივით გამეჩხირა ყელში. თითქოს ნავსი გატყდა და ჩემი ტანჯვა ახლიდან დაიწყო. რაჰიმ-ხანის ოთახში ჰაერი დამძიმდა, შესქელდა, სუნთქვა მიჭირდა.

– ვფიქრობდი, რომ მომეწერა შენთვის, მაგრამ მქონდა ეჭვი, რომ არ გინდოდა, რამე გცოდნოდა მის შესახებ. ვცდები?

სიმართლე იყო „არა“, სიცრუე „დიახ“. რაღაც შუალედური ვთქვი: – არ ვიცი.

კიდევ ამოახველა, სისხლი ამოაყოლა. დაიხარა და პირზე ხელსახოცი აიფარა. თავის ქალა წყლულებით ჰქონდა დაფარული, – იმიტომ ჩამოგიყვანე, რომ მინდა, რაღაც გააკეთო ჩემთვის. მაგრამ ჯერ უნდა მომისმინო. გაიგე?

– გავიგე, – წავილუღლუღე.

– ყველაფერს მოგიყვები და შენ მომისმენ.

თავი დავუქნიე.

შემდეგ რაჰიმ-ხანმა ჩაი მოსვა, თავი კედელს მიაყრდნო და დაიწყო.

<u>თავი მეთექვსმეტე</u>

ჰაზარაჯათში ჰასანის მოსაძებნად რამდენიმე მიზეზის გამო წავედი. ყველაზე დიდი მიზეზი ის იყო, რომ, ალლაჰ, მაპატიე, მარტო ვიყავი.

იმ დროს ჩემი მეგობრები უკვე დახოცილები იყვნენ. ვინც გადარჩა, პაკისტანში ან ირანში გაიქცა. ქაბულში, სადაც მთელი ჩემი ცხოვრება გავატარე, ნაცნობი აღარ მეგულებოდა. ის ადგილი თუ გახსოვს, გარემოვაჭრეები საზამთროს რომ ყიდდნენ? ვეღარავის ვცნობდი, კაცი არ დარჩა, რომ მივსალმებოდი, მომეკითხა ან დავმჯდარიყავი და ჩაი დამელია. ქუჩებში მხოლოდ რუსი ჯარისკაცები თუ შეგხვდებოდნენ. ბოლოს ქალაქში აღარც გავდიოდი. მთელ დროს მამაშენის სახლში ვატარებდი. ზევით, კაბინეტში დედაშენის ძველ წიგნებს ვკითხულობდი, რადიოს ვუსმენდი და ტელევიზორში კომუნისტების პროპაგანდას მივჩერებოდი. მერე ვლოცულობდი, საჭმელს ვამზადებდი, ვჭამდი, ცოტას

კიდევ ვკითხულობდი და ვიძინებდი. დილით ავდგებოდი, დილის ლოცვას ვიტყოდი და ისევ იმავეს ვაკეთებდი. ამასობაში ართრიტი გამიმწვავდა, ზურგი და მუხლები გამუდმებით მტკიოდა. დილით ერთი საათი მაინც მჭირდებოდა, რომ მუხლი გამემართა. არ მინდოდა, რომ მამაშენის სახლი უპატრონოს დამსგავსებოდა. იმდენი ბედნიერი დღე მაქვს იმ სახლში გატარებული, იმდენი მოგონება მაკავშირებს, ამირ-ჯან. გარდა ამისა, დავპირდი, რომ სახლს მივხედავდი და სხვანაირად მოქცევის უფლებას ჩემს თავს არ მივცემდი. სახლში მარტო ვიყავი, რაც შემეძლო, ყველაფერს ვაკეთებდი: რამდენიმე დღეში ერთხელ ხეებს ვრწყავდი, გაზონს ვკრეჭდი, ყვავილებს ვუვლიდი, თუ შესაკეთებელი იყო რამე, ვაკეთებდი, მაგრამ ასაკმა თავისი გაიტანა.

ცოტა ხანს კიდევ გავუძლებდი, მაგრამ მალე მამაშენის სიკვდილის ამბავი შევიტყვე და ჩემს ცხოვრებაში პირველად საშინელი, გაუსაძლისი სიმარტოვე ვიგრძენი.

ერთ დღეს ბიუიკი დავქოქე და ჰაზარაჯათში წავედი. მამაშენმა მითხრა ერთხელ, ალი და ჰასანი ბამიანთან ახლოს პატარა სოფელში დასახლდნენო. ალის იქ ბიძაშვილი ჰყოლია. მეტი არაფერი ვიცოდი მათ შესახებ. იმედი მქონდა, რომ ჰასანს თუ არა, ვინმეს მაინც ვნახავდი, ვისაც მათი ასავალდასავალი ეცოდინებოდა. ჰასანი იმ დროს უკვე 22-23 წლისა უნდა ყოფილიყო, თუკი ცოცხალი გადარჩა, რასაკვირველია. შურავიმ, ჯოჯოხეთის ცეცხლში დაიწვას იმისთვის, რაც ჩვენს სამშობლოში ჩაიდინა, იმდენი ახალგაზრდა ჩააწვინა მიწაში რომ...

მაგრამ ღვთის მადლით ჰასანი მალე ვიპოვე. ბამიანში ერთი-ორი შეკითხვა დავუსვი კაცს და მისი სოფლის გზა მიმასწავლა. სახელი აღარც კი მახსოვს, გეგონება, არც ჰქონია ამ სოფელს სახელი. ზაფხულის ხვატი იდგა. მტვრიან ოღრო-ჩოღრო გზაზე მანქანა ძლივს მიღოღავდა. გარშემო გადამხმარი ბალახის და ეკლიანი ბუჩქების მეტს ვერაფერს დაინახავდი. გზის ნაპირას მკვდარი სახედარი ლპებოდა. კიდევ ერთი შესახვევი და მოშიშვლებულ, ხრიოკ მიწაზე რამდენიმე ალიზის ქოხი დავინახე, მათ მიღმა სრული სიცარიელე, მხოლოდ ცა და ერთმანეთში გადახლართული მთები.

როგორც მითხრეს, ჰასანი თურმე ერთადერთი კაცი იყო იმ მიდამოში, ვისაც ღობეშემოვლებული კარმიდამო ჰქონდა. ამიტომაც არ გამჭირვებია მისი პოვნა. დაბალი ალიზის ღობის იქით ჰასანის სახლი იდგა, სახლი-მეთქი, ვამბობ, მაგრამ ძალიან გაზვიადებულია. სინამდვილეში პატარა მზეზე გამომწვარი აგურით ნაგები ქოხი იყო. ფეხშიშველი ბავშვები დაგლეჯილი ჩოგბურთის ბურთით თამაშობდნენ ქუჩაში. მანქანა გავაჩერე, ძრავა გამოვრთე. ბავშვებმა დამინახეს და თამაში შეწყვიტეს. ხის კარზე დავაკაკუნე, შევაღე და ეზოში შევედი. არც ბაღი ჩანდა სადმე და არც ბოსტანი, მხოლოდ მარწყვის გამხმარი კვალი და უნაყოფო ლიმონის ხე. კუთხეში, აკაციის ხის ჩრდილქვეშ, თონე დავინახე. თონესთან კაცი იყო ჩაცუცქული. ხის ნიჩბით ცომის გუნდას იღებდა ჯამიდან და გახურებული თონის კედელზე აკრავდა. დამინახა, ცომი დააგდო, ჩემკენ გამოქანდა და ხელები დამიკოცნა.

– კარგი, გეყოფა, გეყოფა, აბა, დამენახე ერთი... – ვუთხარი მე. მაღალი იყო, თითის წვერებზე აწეული ნიკაპამდეც კი ვერ მივწვდი. ბამიანის მზისგან კანი ჰქონდა დამწვარი, წინა კბილები აკლდა, ნიკაპზე მეჩხერი წვერი მოეშვა, მაგრამ ისევ ის ვიწრო მწვანე

თვალები, ტუჩზე ნაიარევი, მრგვალი სახე და ფართო, კეთილი ღიმილი... აუცილებლად იცნობდი, რომ გენახა, ამირ-ჯან.

სახლში შევედით. ახალგაზრდა ჰაზარა ქალი შალს კემსავდა. თეთრი პირისახე და ლამაზი თაფლისფერი თვალები ჰქონდა.

– ეს ჩემი ცოლია, ფარზანა-ჯან, – სიამაყით თქვა ჰასანმა. ფარზანა მორცხვი ქალი იყო. ძლივს გასაგები, დაბალი ხმით ლაპარაკობდა. თავდახრილი იდგა. ჰასანს შეყვარებული თვალებით უყურებდა.

– ბავშვს როდის ელოდებით? – ვკითხე ჰასანს, როცა თიხით შელესილ კედელთან გაცვეთილ ხალიჩაზე დავსხედით. ოთახში წყვილი ლეიბის, რამდენიმე თეფშისა და ლამფის გარდა არაფერი იყო.

– ინშალლა, ამ ზამთარს, – თქვა ჰასანმა, – ღმერთს ვევედრები, რომ ბიჭი იყოს. მინდა, მამაჩემის სახელი დავარქვა.

– ალის რა დაემართა? სად არის?

ჰასანმა თვალები დახარა. თურმე 2 წლის წინ, თავის ბიძაშვილთან ერთად, ნაღმის აფეთქებისას მომკვდარა. უმეტესი ავღანელი ახლა ასე კვდება, ამირ-ჯან. სისულელეა, მაგრამ აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ბოლოს თავისმა მარჯვენა პოლიომიელიტისაგან დასახიჩრებულმა ფეხმა უმტყუნა და ნაღმზე დააბიჯა. ალის სიკვდილის ამბავმა ძალიან დამამწუხრა. მამაშენი და მე ერთად გავიზარდეთ და რაც თავი მახსოვს, ალი სულ ჩვენთან იყო. როცა ალის პოლიომიელიტი დაემართა, მამაშენი მთელი დღე ტიროდა.

ფარზანამ შორვა – წვნიანი კარტოფილით, თალგამითა და ლობიოთი – გაგვიმზადა.

ხელები დავიბანეთ და თონიდან ახალამოყრილი ნაანი წვენში ჩავაწეთ. ასე გემრიელად არც კი მახსოვს, ბოლოს როდის ვისადილე. ამ დროს ვუთხარი ჰასანს, ცოლთან ერთად ქაბულში გადმოდი, მეც შემიმსუბუქდება საქმე და შენც შენს ხანუმასთან ერთად კომფორტში იცხოვრებ, თან კარგად გადაგიხდით-მეთქი. ერთმანეთს შეხედეს და პასუხი არ გამცეს. მოგვიანებით ფარზანა ყურძნით გაგვიმასპინძლდა.

– ეს სოფელი ჩვენი სახლია ახლა, ყველაფერი ჩემი ხელითაა გაკეთებული. ბამიანიც ახლოა. იქ ჩვენი ნაცნობები ცხოვრობენ, მომიტევეთ, რაჰიმ-ხან, ღვთის გულისთვის, გამიგეთ და მომიტევეთ...

– რასაკვირველია, მესმის. ბოდიშის მოსახდელი არაფერია.

მოგვიანებით, როცა ჩაის ვსვამდით, ჰასანმა შენზე მკითხა. ამერიკაშია და ბევრი არაფერი ვიცი-მეთქი, ვუპასუხე. იმდენი რამ აინტერესებდა: დაქორწინდა? შვილები ჰყავს? მაღალია? ფრანებით კიდევ ერთობა? კინოში დადის? ბედნიერია? წერილი მივწერო? ბამიანში ფარსის მასწავლებელს დავუმეგობრდი და წერა-კითხვა მასწავლაო. გადასცემთ წერილს? წაიკითხავს? მიპასუხებს? მოვუყევი, რაც სატელეფონო საუბრებიდან ვიცოდი შენ შესახებ, მაგრამ უმეტეს კითხვას პასუხი ვერ გავეცი. მერე მამაშენზე მკითხა, რომ ვუთხარი, გარდაიცვალა-მეთქი, სახეზე ხელები აიფარა და ატირდა. მთელი საღამო ბავშვივით გულამოსკვნილი ტიროდა. არაფრით არ გამომიშვეს იმ ღამეს. ფარზანამ

ლოგინი დამიგო და თავთან ჭიქით ჭის წყალი დამიდგა. სიბნელეში მესმოდა, როგორ აწყნარებდა ჰასანს. დილას მითხრა, ქაბულში წამოსვლა გადავწყვიტეთო.

– ალბათ არ უნდა ჩამოვსულიყავი, – ვთქვი მე. აქ შენი ცხოვრებაა, დიდი წინდაუხედაობა იყო ჩემი მხრიდან ის, რაც გთხოვე, ბოდიში მე მაქვს მოსახდელი.

– ბევრი არაფერი გვაქვს ჩასალაგებელი, – თქვა მან. თვალები ჯერ კიდევ შეშუპებული ჰქონდა.

– წამოვალთ და სახლს მივხედავთ

დარწმუნებული ხარ?

– საჰიბ-აღა მამასავით იყო ჩემთვის... ღმერთო, ნათელში ამყოფე.

შემდეგ თავიანთი ნივთები გაცვეთილ ფარდაგზე მოაგროვეს და ბოლოები ერთმანეთზე გადაკვანძეს. ფუთა ბიუიკში ჩავდეთ. ჰასანი კარის ზღურბლზე იდგა, ხელში ყურანი ეჭირა. ყველა ვეამბორეთ წმინდა წიგნს და მის ქვეშ გავიარეთ. მალე მანქანაში ჩავსხედით და ქაბულისკენ დავიძარით. ჰასანი მიბრუნდა, კარგა ხანს უცქერდა თავის სახლს.

ჰასანი ისევ იმ ქოხში დასახლდა, სადაც დაიბადა და სადაც მამამისთან ერთად ცხოვრობდა.

– არავინაა, ოთახები თავისუფალია, – ვუთხარი მე. მაგრამ გაგონებაც არ უნდოდა.

– არა, ეს ჩემგან უღირსი საქციელი იქნება, რას იტყვის ამირ-აღა, ომის შემდეგ შინ რომ დაბრუნდება?

ორმოცი დღე შავები არ გაუხდია მამაშენზე გლოვის ნიშნად.

სახლის საქმე მთლიანად მათ დააწვათ. ჰასანის ხელი მალე დაეტყო იქაურობას. ბაღში ყვავილები გამოაცოცხლა, გაყვითლებული ფოთლები შემოაცალა, ახალი ვარდის ბუჩქები დარგო, კედლები შეღება. ყოველ დღე გვიდა საძინებლებს, სადაც წლების განმავლობაში ფეხი არავის შეუდგამს, სააბაზანო ოთახებს ხეხავდა და აპრიალებდა. გეგონებოდა, ვიღაცის ჩამოსვლას ელოდებოდა. ის კედელი გახსოვს, სიმინდის კვლების უკან რომ იყო? შენ და ჰასანი ხუმრობით „აუღებელი სიმინდის კედელს“ ეძახდით, ერთ ღამეს რაკეტამ მისი დიდი ნაწილი ნანგრევებად აქცია. ჰასანმა თავის ხელით ააშენა ახლიდან, აგურს აგურზე ადებდა და მთლიანად აღადგინა. არ ვიცი, რას ვიზამდი, იქ რომ არ ყოფილიყო ჰასანი. გვიან შემოდგომაზე ფარზანამ იმშობიარა. გოგონა მკვდარი დაიბადა. ჰასანმა უსიცოცხლო სახე დაუკოცნა. უკანა ეზოში ასკილის ბუჩქის ქვეშ დავმარხეთ. საფლავი ალვის ხის ფოთლებით დავფარეთ, მე ლოცვა წავიკითხე. ფარზანა მთელი დღის განმავლობაში ქოხიდან არ გამოსულა, გულისგამგმირავი ხმით ტიროდა. ღმერთმა არასოდეს მოგასმენინოს დედის ტირილი, ამირ-ჯან.

სახლის კედლებს მიღმა ომი მძვინვარებდა, მაგრამ ჩვენ სამმა ჩვენი საკუთარი სამოთხე მოვიწყეთ მამაშენის სახლში. 1980 წლიდან მხედველობა გამიუარესდა. ჰასანს დედაშენის წიგნებს ვაკითხებდი ხმამაღლა. შემოსასვლელ ოთახში ვსხდებოდით და ჰასანი „მასნავიდან“ ან ხაიამიდან მიკითხავდა ნაწყვეტებს, ამასობაში ფარზანა სამზარეულოში ტრიალებდა. ყოველ დილას ჰასანი ყვავილებს აწყობდა ასკილის ბუჩქის ქვეშ.

1990 წელს ფარზანა ისევ დაფეხმძიმდა. სწორედ იმ წელიწადს, შუა ზაფხულის ერთ დილას, ჩვენს კარს ბურკაში თავიდან ფეხებამდე გამოხვეული ქალი მოადგა.

დაღლილობისგან ძლივს იდგა ფეხზე. რა გნებავთ-მეთქი, ვკითხე, მაგრამ არაფერი მიპასუხა.

– ვინ ბრძანდებით? – არაფერი მიპასუხა, უცებ იქვე შემოსასვლელში დაეცა. ჰასანს დავუძახე და სახლში, სასტუმრო ოთახში შევიყვანეთ. ტახტზე დავაწვინეთ, ბურკა გავხადეთ. უკბილო, ჭაღარა ქალი შეგვრჩა ხელში. მკლავები დაწყლულებული ჰქონდა, ეტყობოდა, რომ დიდი ხნის ნაშიმშილარი იყო. ამას კიდევ არა უშავს, სახე ისე ჰქონდა დასახიჩრებული... როგორც ჩანს, ვიღაცამ დანით დაუსერა, ზევიდან ქვევით, მარჯვნიდან მარცხნივ. მარცხენა თვალიც გადასერილი ჰქონდა.

– ჰასანი სად არის? – წაიჩურჩულა.

– აქ ვარ, – თქვა ჰასანმა და ხელზე ხელი მოჰკიდა. შორი გზა გამოვიარე, რომ ჩემი თვალით მენახა, მართლა ისეთი კარგი ხარ თუ არა, როგორიც ჩემს სიზმრებში. უკეთესი ყოფილხარ. ჰასანის ხელი დასახიჩრებულ სახეზე აიფარა, – გამიღიმე, ძალიან გთხოვ. ჰასანმა გაიღიმა და მოხუცმა ტირილი დაიწყო. – ჩემსავით იცინი, უთქვამს ვინმეს შენთვის? ხელშიც კი არ ამიყვანიხარ არც ერთხელ, ალლაჰ, შემინდე, არც ერთხელ.

სანაუბარი აღარავის უნახავს მას მერე, რაც მსახიობების ჯგუფთან ერთად გაიქცა. შენ საიდან გეცოდინება და, ძალიან ლამაზი იყო. ლოყებზე პატარა ნაჩვრეტები უჩნდებოდა სიცილის დროს, სიარული დროს ტანს ისე არხევდა, რომ კაცები ჭკუიდან გადადიოდნენ. ოდესღაც ქალი იყო თუ კაცი, მისი ყურებით ვერ ძღებოდა და ახლა... ჰასანმა ხელი გაუშვა და სახლიდან გავარდა, გამოვეკიდე, მაგრამ ვერ დავეწიე. დავინახე, პატარა გორაკისკენ გარბოდა, სადაც წლების წინ თამაშობდით ხოლმე. მთელი დღე სანაუბარს ვუჯექი გვერდით. საღამომ მეწამულად შეღება ცა. ჰასანი არ ჩანდა. გვიან, როცა მთვარის შუქმა ღრუბლები შეაფერადა, სანაუბარმა ტირილი დაიწყო, დაბრუნება კიდევ უფრო დიდი შეცდომა აღმოჩნდა, ვიდრე წასვლა იყოო. მაგრამ დავაწყნარე და არ გავუშვი. ვიცოდი, რომ ჰასანი ამჯერადაც თავისი ხასიათის ერთგული დარჩებოდა.

მეორე დილას დაბრუნდა. გადაქანცული იყო, ალბათ მთელი ღამე არ ეძინა.

სანაუბარის ხელი თავის ხელებში მოიქცია: – თუ გინდა, იტირე, მაგრამ არ არის საჭირო, ახლა სახლში ხარ, შენს ოჯახთან ერთად, – უთხრა ჰასანმა. მერე დასახიჩრებულ სახეზე ნაზად შეეხო და თმაზე ხელი გადაუსვა.

ჰასანმა და ფარზანამ მალე მოაბრუნეს სააქაოს. მე მეორე სართულზე, სტუმრების საძინებელი დავუთმე. ფანჯრიდან ვხედავდი ხოლმე, როგორ მუშაობდნენ ბაღში ჰასანი და დედამისი. ხან პომიდორს კრეფდნენ, ხან ვარდის ბუჩქებს სხლავდნენ და სულ ლაპარაკობდნენ, თითქოს უერთმანეთოდ გატარებული წლების ანაზღაურებას ცდილობდნენ. როგორც მე ვიცი, ჰასანს არასოდეს უკითხავს მისი გაქცევის მიზეზი და არც სანაუბარს უცდია თავის გამართლება. მე რომ მკითხო, ხდება ხოლმე ცხოვრებაში ისეთი რამ, რაზეც საჭირო არ არის ლაპარაკი.

1990 წლის ზამთარში ჰასანს ვაჟიშვილი შეეძინა. ბებიაქალი სანაუბარი იყო. ჯერ არ თოვდა, მაგრამ ზამთრის ქარი ეზოებში დაცვენილ ფოთლებს თავის ჭკუაზე ატრიალებდა. მახსოვს, სახეგაბრწყინებული სანაუბარი ქოხიდან გამოვიდა, ხელში მატყლის საბანში გახვეული შვილიშვილი ეჭირა. ქოხის წინ იდგა რუხი, მოღუშული ცის ქვეშ და

დასახიჩრებულ სახეზე ბედნიერების ცრემლი ჩამოსდიოდა. ბავშვი ისე ეჭირა, თითქოს არასოდეს აპირებდა მის ხელიდან გაშვებას. ბოლოს ჰასანს გადასცა, ჰასანმა აიყვანა და მე გადმომცა და მე ლოცვა, აიათალქურსი ვუმღერე პატარას.

სოჰრაბი დაარქვეს. ჰასანის საყვარელი გმირის სახელი „შაჰნამედან“. ძალიან ლამაზი ბავშვი იყო, ტკბილი და ალერსიანი, ხასიათით მამამისის ჰგავდა. უნდა გენახა, ამირ-ჯან, სანაუბარს როგორ შეუყვარდა, გიჟდებოდა მისი გულისთვის. სამყარო მისთვის სოჰრაბით იწყებოდა და მისით მთავრდებოდა. ტანსაცმელს უკერავდა, ხის ტოტებით, ჩვრებით და გამხმარი ბალახით სათამაშოებს უწყობდა. ერთხელ, როცა ბავშვს სიცხემ აუწია, სამი დღე იმარხულა, წყალი არ დაულევია და თვალი არ მოუხუჭავს. ისფანდს, ველურ მცენარეს, წვავდა ავი თვალის ასარიდებლად. ამ დროს სოჰრაბი უკვე 2 წლისა იყო და სანაუბარს სასას ეძახდა.

სასამ კიდევ რამდენიმე წელი იცოცხლა, ამასობაში სოჰრაბი 4 წლის შესრულდა. ერთხელაც, დილით სანაუბარმა აღარ გაიღვიძა. მიცვალებულს მშვიდი და ბედნიერი სახე ჰქონდა. ძველ სასაფლაოზე, ბროწეულის ხის ქვეშ დავმარხეთ. ლოცვა მასაც მე წავუკითხე. ჰასანი ძალიან დარდობდა. ხომ იცი, უფრო მტკივნეულია გყავდეს და დაკარგო, ვიდრე სულ არ გყავდეს. პატარა სოჰრაბისთვის კიდევ უფრო მძიმე აღმოჩნდა სანაუბარის სიკვდილი. საწყალი ყველგან სასას ეძებდა, მაგრამ ჩემგან არ გესწავლება, რომ ბავშვებს მალე ავიწყდებათ ყველაფერი.

1995 წლისთვის შურავი უკვე გასული იყო ქაბულიდან. ახლა ქალაქი მასუდის, რაბანის და მუჯაჰიდებს ეკუთვნოდა. დაჯგუფებებს შორის სასტიკი ბრძოლა იყო გაჩაღებული. არავინ იცოდა, დღის ბოლომდე რა ბედი ეწეოდა. ყური ბომბის აფეთქების და ავტომატის ჯერის ხმას მიეჩვია, თვალი – ნანგრევებიდან ცხედრების ნაწილნაწილ ამოკრეფას. ქაბული იმ დროს ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო, მეტს ვერაფერს უწოდებდი, ამირჯან. ალაჰის წყალობით ვაზირაქბარხანზე შედარებით ნაკლები იერიში მოჰქონდათ, ვიდრე სხვა უბნებზე.

ხანდახან, როცა ბრძოლის ცეცხლი მინელდებოდა, ჰასანს სოჰრაბი სასეირნოდ გაჰყავდა. ზოოპარკში ლომ მარიჯანს მოინახულებდნენ და შემდეგ კინოში შედიოდნენ. ჰასანმა სოჰრაბს შურდულის სროლაც ასწავლა. რვა წლის რომ გახდა სოჰრაბი, მიზანს ასიდან ასში არტყამდა. ტერასაზე დადგებოდა, გირჩას დაუმიზნებდა და ეზოს მეორე ბოლოს კალათში აგდებდა. წერაკითხვას რომ ასწავლიდა, ჰასანი ამბობდა, არ მინდა, ჩემი შვილი ჩემსავით უცოდინარი გაიზარდოსო. მე ძალიან მივეჯაჭვე ამ პატარა ბიჭს. ჩემ თვალწინ დაიბადა, ფეხი აიდგა, ლაპარაკი დაიწყო. საბავშვო წიგნებს ვყიდულობდი ხოლმე სინემა პარკთან, წიგნის მაღაზიაში, ახლა ის მაღაზიაც განადგურებულია. მოტანილი არ მქონდა, რომ უკვე დამთავრებული ჰქონდა კითხვა. შენს თავს მახსენებდა, შენს პატარაობას, ამირ-ჯან. ზოგჯერ, ღამ-ღამობით ვუკითხავდი ხოლმე, ხან გამოცანებში ვავარჯიშებდი, ხან კარტის თამაშს ვასწავლიდი. ვკვდები, ისე მენატრება.

ზამთარში ჰასანმა სოჰრაბი ფრანებით ბრძოლაში ჩააბა. იმხანად უკვე აღარ იმართებოდა ხალხმრავალი შეჯიბრებები, ეს წარსულს ჩაბარდა, თუმცა ხალხი არ აპირებდა თავის საყვარელ ტრადიციაზე უარის თქმას. ჰასანი სოჰრაბს ბეჭებზე შემოისვამდა ხოლმე და

ფრანს ისე მისდევდნენ, კლდეებზე, ხეებზე ადიოდნენ ხოლმე ფრანის ჩამოსახსნელად. გახსოვს, ალბათ, რა კარგი ფრანით მორბენალი იყო ჰასანი. იმ დროს ისევ ისეთი იყო, შენ რომ გახსოვს. ზამთრის ბოლოს ჰასანი და სოჰრაბი ფრანებს შემოსასვლელის კედელზე ჰკიდებდნენ.

უკვე გითხარი, როგორ ვზეიმობდით ქაბულში თალიბანის შემოსვლას. მათ ყოველდღიურ ბრძოლებს მოუღეს ბოლო. იმ დღეს სახლში რომ დავბრუნდი, ჰასანი შეწუხებული სახით უსმენდა რადიოს. რა ამბავიამეთქი, ვკითხე.

– ღმერთი თუ იხსნის ახლა ჰაზარებს, რაჰიმხან, – თქვა მან.

– ომი დამთავრდა, ჰასან, – ვუთხარი მე, – ინშალლა, მშვიდობა და ბედნიერება დაისადგურებს, მორჩა კაცისკვლა და პანაშვიდები.

არაფერი მიპასუხა. რადიო გამორთო. მკითხა, რამე ხომ არ გჭირდებაო და დასაძინებლად წავიდა.

რამდენიმე კვირაში თალიბებმა ფრანების შეჯიბრი აკრძალეს. ორი წლის შემდეგ, 1998 წელს, მაზარიშარიფში ჰაზარები ამოჟლიტეს.

თავი მეჩვიდმეტე

რაჰიმ-ხანი კედელს მიეყრდნო და ფეხები წინ გამოსწია. ეტყობოდა, რომ უმნიშვნელო მოძრაობაც კი საშინელ ტკივილს ჰგვრიდა. გარეთ ვიღაც ილანძღებოდა ურდუს ენაზე, სადღაც ვირი ყროყინებდა. ბინდდებოდა და ნახევრად დანგრეული სახლების ნაპრალებს შორის მზე წითლად ბრწყინავდა.

კიდევ ერთხელ, მთელი ძალით ვიგრძენი ჩემი საქციელის უსაშველობა. თავში ზარივით რეკდა: ჰასანი, სოჰრაბი, ფარზანა, სანაუბარი, ალი. ისეთი განცდა მქონდა, თითქოს ძველ მუსიკალურ ყუთს ავხადე თავი: „დღეს ვინ შეჭამე, ბაბალუ? შე ელამო ბაბალუ, ვინ შეჭამე დღეს?“ ალის მშვიდი თვალების გახსენება ვცადე, მაგრამ ვერ შევძელი. დრომ რაღაც მთავარი ჩამოაშორა ჩემს მეხსიერებას.

– ჰასანი ისევ იმ სახლში ცხოვრობს? – ვკითხე რაჰიმ-ხანს.

რაჰიმხანმა ჩაი მოსვა. მერე გულის ჯიბიდან კონვერტი ამოიღო და გამომიწოდა. კონვერტი გავხსენი, შიგ პოლაროიდით გადაღებული ფოტო და დაკეცილი წერილი იდო. ფოტოს რამდენიმე წუთი თვალი ვერ მოვაშორე.

რკინის ჭიშკრის წინ მაღალი კაცი დგას პატარა ბიჭთან ერთად. კაცს თეთრი ჩალმა ახურავს და მწვანე ზოლიანი ჩაპანი აცვია. სახეზე მზის ჩრდილი ეცემა. თვალები მოჭუტული აქვს, კამერისკენ იყურება და იცინის. რამდენიმე წინა კბილი აკლია. ამ გაცრეცილი ფოტოდანაც კი ჩანს, რომ ის თავისთავში დარწმუნებული კაცია. ბუნებრივად დგას კამერის წინ, ფეხები ოდნავ განზე, ხელები მკერდზე გადაჯვარედინებული, თავი მზისკენ აწეული, ასე იცინოდა ხოლმე საერთოდ. ამ ფოტოს შემხედვარეს, ბედნიერი კაცი გეგონებოდათ. მართალი იყო რაჰიმხანი, აუცილებლად ვიცნობდი, სადმე რომ

შევხვედროდი. თავგადაპარსული და ფეხშიშველი პატარა ბიჭი ცალი ხელით წელზე ეხვევა მამამისს, თავი მის თეძოზე აქვს მიყრდნობილი და იღიმის.

წერილი გავხსენი. ფარსით იყო დაწერილი, უშეცდომოდ. არც წერტილი აკლდა სადმე და არც მძიმე. კითხვა დავიწყე:

მოწყალე ალაჰის სახელით, ამირ-აღას ჩემი უღრმესი პატივისცემით,

ფარზანა-ჯან, სოჰრაბი და მე ვლოცულობთ, რომ ამ წერილმა, ალაჰის წყალობით, ჯანმრთელსა და უვნებელს მოგისწროს. გთხოვ, რაჰიმ-ხანს დიდი მადლობა გადაუხადე ამ წერილის შენთვის გადმოცემისთვის. იმედი მაქვს, რომ ერთ მშვენიერ დღეს შენგან პასუხს მივიღებ და შევიტყობ, როგორ ცხოვრობ ამერიკაში. თუ ინებებ და ფოტოსაც გამოგვიგზავნი, დიდ სიხარულს მოგვანიჭებ. ფარზანას და სოჰრაბს ბევრი რამ მოვუყევი. ვუამბე ერთად გატარებული ბავშვობის წლების, ჩვენი თამაშების, ქუჩაში სირბილისა და ოინების შესახებ. გულიანად იცინოდნენ ჩვენს სიცელქეზე.

ამირ აღა,

ვაგლახ, ჩვენი ახალგაზრდობის დროინდელი ავღანეთი დიდი ხნის მკვდარია. სიკეთე გაქრა ამ მიწიდან, ყოველ კუთხეში სიკვდილია ჩასაფრებული. ასეთია ჩვენი ცხოვრება ახლა. ველურები, ახლა ჩვენს სამშობლოს რომ მართავენ, არაფრად მიიჩნევენ ადამიანის ღირსებას. იმ დღეს, ფარზანას ვახლდი ბაზარში, კარტოფილის ყიდვა გვინდოდა. რა ღირს კარტოფილიო, ჰკითხა გამყიდველს ფარზანამ. კაცმა ვერ გაიგო, მგონი ცალი ყურით ყრუ იყო, და ფარზანამ ხმამაღლა გაუმეორა შეკითხვა. უცებ ახალგაზრდა თალიბი გამოვარდა საიდანღაც. ისე მაგრად ჩაარტყა ფარზანას ხის ჯოხი, რომ დაეცა საწყალი. ცემა არ აკმარა, უკანასკნელი სიტყვებით აგინა და ბოლოს განაცხადა, რომ თურმე ნაკლის აღმომფხვრელი და მორალური სტანდარტის დამდგენი სამინისტროს ბრძანებით ქალებს ხმამაღალი ლაპარაკი ეკრძალებოდათ. რა უნდა მექნა? ვიდექი და ვუყურებდი, როგორ სცემდა ჩემს ცოლს. ხმა რომ ამომეღო პირდაპირ ტყვიას დამახლიდა. მერე ჩემს სოჰრაბს რა ეშველებოდა? ქაბული სავსეა ობოლი ბავშვებით! შენ იცი, რომ მე სიკვდილის არ მეშინია. ალლაჰის მადლით ცოცხალი ვარ, ჩემს ცოლს ქმარი ჰყავს და შვილს – მამა.

ნეტავ შეიძლებოდეს, რომ სოჰრაბი გაგაცნო. კარგი ბიჭია. მე და რაჰიმ-ხანმა წერა-კითხვა ვასწავლეთ, ასე რომ, მამამისივით შტერი არ გაიზრდება. უნდა ნახო, შურდულით როგორ ისვრის! ხანდახან ქაბულის ქუჩებში გავატარებ ხოლმე. ხომ გახსოვს, შარენაუში ერთ კაცს მაიმუნი რომ ჰყავდა? ისევ დადის ის კაცი თავის მაიმუნთან ერთად და თუ გადავაწყდით, აუცილებლად ვაძლევ ფულს, რომ თავისი მაიმუნი აცეკვოს. სოჰრაბი ჩაბჟირებამდე იცინის ხოლმე. მე და სოჰრაბი ხშირად ავდივართ ძველ სასაფლაოზე. ჩვენი საყვარელი ბროწეულის ხის ქვეშ ვსხდებით და „შაჰნამეს“ ვუკითხავ. გვალვამ გამოაშრო იქაურობა და დიდი ხანია ბროწეული აღარ აყვავებულა. არ გაგიკვირდება, თუ გეტყვი, რომ სოჰრაბის საყვარელი გმირი „შაჰნამედან“ სოჰრაბია. მალე თვითონ შეძლებს კითხვას. მე ძალიან ამაყი და ბედნიერი მამა ვარ.

ამირ აღა,

რაჰიმ-ხანი ძალიან ავად არის. ბევრს ახველებს და ნახველს სისხლს აყოლებს. ძალიან გახდა. ფარზანა შორვას და ბრინჯს უმზადებს ხშირად, მაგრამ პირს არ აკარებს. მხოლოდ

ერთ ლუკმას თუ შეჭამს და ისიც ფარზანას გულის მოსაგებად. ძალიან ვწუხვარ და ყოველდღე ვლოცულობ მისთვის. ექიმთან მიდის პაკისტანში ამ დღეებში, ინშალლა, კარგი ამბით დაბრუნდება, მაგრამ მეშინია. სოჰრაბი ძალიან განიცდის.მე და ფარზანა ვამშვიდებთ. აბა, როგორ მოვიქცეთ? ჯერ მხოლოდ 8 წლისაა და აღმერთებს რაჰიმ-ხანს. ისე ახლოს არიან ერთმანეთთან... რაჰიმ-ხანს ხშირად დაჰყავდა სოჰრაბი ბაზარში, ბუშტებსა და ნამცხვარს ყიდულობდა ხოლმე, მაგრამ ახლა ძალიან სუსტად არის. ამ ბოლო დროს სიზმრები შემომეჩვია. ზოგი მათგანი სრული კოშმარია: – სახრჩობელებზე გვამები ლპებიან სისხლით შეღებილ ფეხბურთის მოედანზე, რომ ვიღვიძებ, ძლივს ვსუნთქავ. თუმცა უმეტესად, ალაჰის მადლით, ჩემს სიზმრებში რაჰიმ-ხანი ჯანმრთელად არის, სოჰრაბი თავისუფალი, განათლებული და ღირსეული კაცია. კიდევ იცი, რა მესიზმრება? ქაბულის ქუჩებში ისევ ჰყვავის ლოლა, ჩაის სახლებიდან ისევ ისმის რუბაბის ხმა, ცაზე ისევ ფარფატებენ ფრანები და ვოცნებობ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ჩამოხვალ და მოინახულებ შენს სამშობლოს, თუ ასე მოხდა, იცოდე, რომ შენი ერთგული მეგობარი აქ არის და გელოდება.

გფარავდეს ალაჰი,

ჰასანი

წერილი ორჯერ წავიკითხე, შემდეგ ისევ დავხედე სურათს და ჯიბეში ჩავიდე.

– როგორ არის? – ვკითხე რაჰიმ-ხანს.

– ეს წერილი ექვსი თვის წინ არის დაწერილი, რამდენიმე დღით ადრე, ვიდრე ფეშავარში წამოვიდოდი. სურათიც ჩემი გადაღებულია. ერთ თვეში ქაბულიდან მეზობელმა დამირეკა და ასეთი ამბავი მომიყვა: ჩემი წამოსვლის შემდეგ ჭორი გავრცელებულა, რომ ვაზირ აქბარ-ხანის უბანში, დიდ სახლში, მარტო, პატრონის გარეშე ჰაზარები ცხოვრობდნენ. რამდენიმე ოფიციალური პირი მისულა ჰასანის დასაკითხად. ჰასანს უთქვამს, სინამდვილეში როგორც იყო და რამდენიმე მეზობელს დაუდასტურებია კიდეც. ყველა ჰაზარას მსგავსად, შენც მატყუარა და ქურდი ხარო, უთქვამთ და სასწრაფოდ უბრძანებიათ სახლის დაცლა. სახლს ისე უყურებდნენ თალიბები, როგორც მშიერი მგლები ცხვრის ფარას. იმ საღამოსვე უნდა დაეცალა სახლი. შეწინააღმდეგებია, ქუჩაში გაუყვანიათ და...

– არა, – წამოვიყვირე.

– დაიჩოქეო, უბრძანებიათ.

– არა, ღმერთო, არა!

– და თავში უსვრიათ. ფარზანა გამოვარდნილა ქუჩაში და ისიც იქვე მოუკლავთ.

– მერე თავის საქციელს თავდაცვის კვალიფიკაცია მისცეს.

– არა, არა, არა, – ვიმეორებდი გიჟივით. 1974 წელს საავადმყოფოში ჰასანის საწოლთან ვიდექით ალი, მე, ბაბა და რაჰიმხანი. იმ დღეს ჰასანს ნახვევები მოხსნეს, ხელში სარკე ეჭირა, ოპერაციის შედეგი უნდა გვენახა. ყველა, ვინც იმ ოთახში იყო მკვდარია ან კვდება, ერთი მე ვარ გადარჩენილი. მერე წარმოვიდგინე, როგორ მიადო ჰასანს კალაშნიკოვის ლულა სამხედრო ფორმაში ჩაცმულმა თალიბმა. ერთი გასროლა და მამაჩემის სახლის წინ

დაეცა, იქ დაამთავრა ცხოვრება, სადაც მისი ერთგულება ვერ დააფასეს, მისი სული ფრანივით აიჭრა ცაში.

– სახლში თალიბები შესახლდნენ, – თქვა რაჰიმ-ხანმა. სხვის სამფლობელოში შეჭრილი პირები გამოასახლეს, წინააღმდეგობის გაწევის დროს კი იძულებულები იყვნენ, ესროლათ, ყველაფერი კანონის ფარგლებში მოაქციეს. ხმის ამომღები ვინ იყო, თალიბების ეშინოდათ და თან რისკზე ვინ წავიდოდა ორი ჰაზარა მსახურის გამო?

– სოჰრაბს რა უქნეს? – ძლივს, ბორძიკით ვიკითხე. რაჰიმ-ხანს ხველის შეტევა დაეწყო; სახე ჭარხლისფერი გაუხდა, თვალებში სისხლი მოაწვა, – ამბობენ, რომ ობოლთა თავშესაფარშია, სადღაც კარტეშეში, – ამირ-ჯან, – კიდევ ხველის შეტევა. რომ ამოისუნთქა, უფრო მოხუცი ჩანდა, ვიდრე რამდენიმე წუთის წინ. გეგონებოდათ, ყოველ ამოხველებაზე ასაკი ემატებოდა, – ამირ-ჯან, აქ იმიტომ ჩამოგიყვანე, რომ სიკვდილის წინ შენი ნახვა მინდოდა, მაგრამ ამით არ მთავრდება ყველაფერი.

არ მიპასუხია. მგონი უკვე ვიცოდი, რაც უნდა ეთქვა.

– მინდა, რომ ქაბულში ჩახვიდე და სოჰრაბი ჩამოიყვანო, – თქვა მან.

სიტყვებს დავუწყე ძებნა. ჯერ ჰასანის სიკვდილსაც ვერ შევგუებოდი.

– მისმინე, აქ, ფეშავარში, ამერიკელ ცოლ-ქმარს, ბეტი და ტომას ქოლდოუელებს, პატარა საქველმოქმედო ორგანიზაცია აქვთ. ქრისტიანები არიან, კარგი ხალხია, ვიყავი და გავიცანი. იქაურობა ძალიან სუფთა და უსაფრთხოა. კერძო შემოწირულობაზე არიან დამოკიდებულები. ძირითადად ობოლ ავღანელებს იფარებენ. მითხრეს, რომ სოჰრაბს მიიღებენ.

– სერიოზულად ამბობ?

– ბავშვები ისეთი ფაქიზები არიან, ქაბული სავსეა ცხოვრებადანგრეული ბავშვებით, არ მინდა, რომ სოჰრაბი მათ შორის იყოს.

– რაჰიმ-ხან, არ მინდა ქაბულში ჩასვლა, არ შემიძლია, – ვთქვი მე.

– სოჰრაბი ნიჭიერი ბავშვია, ახალ ცხოვრებას დაიწყებს, იმედი ჩაესახება, ამერიკელები ბეტი-ხანუმ და ტომას-აღა სიყვარულით მიიღებენ. უნდა ნახო, რა კარგად ეპყრობიან ბავშვებს.

– კი მაგრამ, რატომ მე, სხვა ვინმე გააგზავნე, თუ ფულშია საქმე, მე გადავუხდი.

– რას ჰქვია ფულშია საქმე, – მომაკვდავ კაცს შეურაცხყოფას მაყენებ? როდის იყო, რომ ფულის გულისთვის უკან დამიხევია? ვითომ არ იცი, არა? – ყვიროდა რაჰიმ-ხანი. – და შენ რატომ? მგონი, ორივემ ვიცით, რატომაც.

ძალიან კარგად მესმოდა ყველაფერი.

– ამერიკაში ცოლი მყავს, სახლი, კარიერა, ოჯახი და შენ გინდა, რომ ქაბულში წავიდე? რისი გულისთვის... – სიტყვები ვეღარ მოვძებნე, რომ აზრი დამესრულებინა.

– იცი რა, ერთხელ მამაშენი შენზე მელაპარაკებოდა. ხომ იცი, როგორ წუხდა შენ გამო და რა თქვა, იცი? პატარა ბიჭს თუ თავისთავის დაცვა არ შეუძლია, კაცი რომ გახდება, საერთოდ ვერაფერს შეძლებს, ვერც ვერავის დაიცავს და არც არავინ დაუდგება გვერდითო. კითხვა მაქვს ერთი, რა კაცი დადგა შენგან?

თვალები დავხარე.

– ეს მომაკვდავი კაცის უკანასკნელი თხოვნაა, – მძიმედ, დაფიქრებით თქვა რაჰიმ-ხანმა. ჩემთვის გავიფიქრე, ბოლო კოზირი გაათამაშა-მეთქი. მე და რაჰიმ-ხანს შორის მისი სიტყვები დამოკლეს მახვილივით იყო ჰაერში გამოკიდებული. სიჩუმემ დაისადგურა. რაჰიმ-ხანმა იცოდა, როგორ ეთქვა თავის სათქმელი. ჯერი ჩემზე იყო, მწერალი მაინც არ ვყოფილიყავი, საჭირო სიტყვებს თავს ვერ ვუყრიდი. ბოლოს, როგორც იქნა, ვთქვი:

– ალბათ, ბაბა მართალი იყო.

– ვწუხვარ, თუ ასე ფიქრობ.

თვალებში ვერ ვუყურებდი, – არ მეთანხმები?

– რომ გეთანხმებოდე, აქ არ ჩამოგიყვანდი.

ქორწინების ბეჭედს ვათამაშებდი, – შენ ყოველთვის მაღალი წარმოდგენა გქონდა ჩემზე.

– შენ კი მეტისმეტად დაბალ შეფასებას აძლევ შენს თავს, – ცოტა ხანს შეჩერდა, – მაგრამ კიდევ არის რაღაც, რაც უნდა იცოდე.

– კიდევ?

– სანაუბარი ალის პირველი ცოლი არ ყოფილა.

თვალებში შევხედე.

– სანაუბარს სანამ ითხოვდა, ალის ჰაზარა ქალი ჰყავდა ცოლად. მათმა ქორწინებამ სამი წელი გასტანა.

– რა შუაშია ეს ყველაფერი?

– ბავშვი არ გაუჩნდათ. ის ქალი მეორეჯერ გათხოვდა და სამი ბავშვი გააჩინა.

თითქოს მივხვდი, საითაც მიჰყავდა ლაპარაკი, მაგრამ არაფრის გაგონება არ მინდოდა. კალიფორნიაში აწყობილი ცხოვრება მელოდა. ვიქტორიანული ეპოქის სახლი წვეტიანი სახურავით, ცოლი, წარმატებული კარიერა, ნათესავები. ლამის გავქცეულიყავი.

– ალი სტერილური იყო, – თქვა რაჰიმ-ხანმა.

– არა, მას და სანაუბარს ჰასანი ჰყავდათ, ჰასანიი...

– არა, ალის შვილი არ ჰყავდა.

– აბა ვინ...

– მგონი ხვდები.

თითქოს ციცაბო კლდიდან დავგორდი. ასე მეგონა, მაყვლის ფესვებს ან ხმელ ბალახს ვეჭიდებოდი და ხელიდან მისხლტებოდა, ოთახი დატრიალდა, ყველაფერი თავდაყირა დადგა, – ჰასანმა იცოდა? – გახევებული ტუჩები ძლივს დავიმორჩილე. რაჰიმ-ხანმა თვალები დახუჭა და თავი გააქნია.

– თქვე ნაბიჭვრებო, – წავიჩურჩულე. წამოვდექი. – საზიზღარო ნაბიჭვრებო! – ვყვიროდი, – თქვე აფერისტებო!

– დაჯექი.

– ეგ როგორ დაგვიმალეთ? – ვღრიალებდი.

– ამირ-ჯან, სირცხვილი იყო ამ ამბის გამხელა, ხალხი ჭორაობას დაიწყებდა, კაცის სახელი, ღირსება ფეხქვეშ გაითელებოდა...

ხელი გამოსწია ჩემკენ, მაგრამ ზურგი შევაქციე და კარისკენ წავედი.

– ნუ წახვალ, ამირ-ჯან.

კარი გავაღე და მისკენ მივბრუნდი: – არ წავიდე? რატომ? კიდევ რა უნდა მითხრა? 38 წლის ვარ და ახლა გავიგე, რომ მთელი ეს წლები ტყუილში მიცხოვრია. და რას მეტყვი, რომ დამაწყნარო? ვერაფერს!

ამ სიტყვებით ოთახიდან გავვარდი.

თავი მეთვრამეტე

ჩამავალმა მზემ ცა მეწამულად შეღება. რაჰიმ-ხანის სახლი უკან ჩამოვიტოვე და ვიწრო გადატვირთულ ქუჩაზე გავედი. ფეხით მოსიარულეები, რიქშები და ველოსიპედები ერთმანეთში იხლართებოდნენ. ქუჩის კუთხეში კოკა-კოლას რეკლამა მოჩანდა, ჰოლივუდის ფილმების პლაკატებიდან გარუჯული მოცეკვავეები ვნებას ასხივებდნენ.

პატარა საჩაიე სიგარეტის კვამლში იყო გახვეული. 1 ჭიქა ჩაი შევუკვეთე. დასაკეცი სკამის ზურგს მივეყრდენი. ისეთი განცდა მქონდა, თითქოს საკუთარ სახლში გავიღვიძე და აღმოვაჩინე, რომ ყველაფერი გადაადგილებული, შეცვლილი და უცხო იყო. მეტი რა გზაა! უნდა გავერკვე და შევეგუო.

რამ დამაბრმავა? იმდენი მინიშნება არსებობდა, რომ სიმართლეს მივმხვდარიყავი: ბაბამ პლასტიკური ქირურგი მოიწვია ჰასანისთვის ოპერაციის გასაკეთებლად, მისი დაბადების დღე არასოდეს ავიწყდებოდა. ის დღე გამახსენდა, მე და ბაბა ტიტებს რომ ვრგავდით, კითხვა დავუსვი, მსახურების შეცვლაზე ხომ არ გიფიქრია-მეთქი და კინაღამ გაგიჟდა, როგორ ყვიროდა – ჰასანი არსად წავა, ეს მისი სახლია, ჩვენ მის ოჯახი ვართ.

და იტირა, იტირაააა! როცა ალი და ჰასანი სახლს ტოვებდნენ.

მიმტანმა ჩაის ჭიქა მაგიდაზე დადგა. მაგიდის ფეხები ოთხივე მხარეს მეტალის ბურთულებით იყო დამაგრებული. ერთი ბურთულა მოსძვრა. ავდექი და ჩავხრახნე. ეჰ, ასე ადვილად რომ შეიძლებოდეს საკუთარი ცხოვრების ჩასწორებაც! ჩაი მოვსვი და ვეცადე ჩემი ცხოვრების ნათელ მხარეზე მეფიქრა: სორაია, გენერალი და ხალა ჯამილა, ჩემი დაუსრულებელი რომანი...

ხან მანქანებით გადაჭედილ ქუჩას ვუყურებდი, ხან ხალხს ვათვალიერებდი, ქავალის მოსმენაც ვცადე, მეზობელ მაგიდაზე ტრანზისტორი იყო ჩართული, მაგრამ ვერაფრით ვერ მოვახერხე ყურადღების გადატანა. ბაბა მედგა თვალწინ: სკოლის დამთავრების ცერემონიალის შემდეგ, მის ნაჩუქარ ფორდში, ლუდით შეზარხოშებულმა გადმომხედა და თქვა: – ნეტავ ჰასანი დღეს ჩვენთან ერთად იყოს.

როგორ გვატყუებდა მთელი ეს წლები მე და ჰასანს? პატარაობისას კალთაში ჩამისვამდა, პირდაპირ თვალებში შემხედავდა და მეტყოდა: – ერთადერთი ცოდვა არსებობს – ქურდობა – როცა ცრუობ, ვიღაცას სიმართლის გაგების უფლებას ჰპარავ. ეს ბაბას სიტყვები არ არის? და ახლა, როცა უკვე თხუთმეტი წელია გასული მისი გარდაცვალებიდან, აღმოვაჩინე, რომ ბაბა თვითონ იყო ქურდი. ქურდიც არის და ქურდიც... ყველაზე უარესი იყო მათ შორის, იმიტომ, რომ მან ის მოიპარა, რაც ყველასათვის წმიდათაწმიდაა: მე ძმა, ჰასანს მამა და ალის ღირსება, მისი ნანგ და ნამუს.

კითხვები მოსვენებას არ მაძლევდა. როგორ უყურებდა ალის თვალებში? როგორ ცხოვრობდა ალი იმ სახლში, პატრონისგან ასე უმოწყალოდ თავლაფდასხმული? ახლა რა ვქნა? როგორ შევუთავსო ბაბას ახალი სახე ჩემს გონებაში დიდი ხნის წინ ჩაბეჭდილ ბაბას, რომელიც ძველი ყავისფერი კოსტიუმით, სიკვდილის პირას მყოფი და ტკივილისგან გამწარებული სორაიას ხელის სათხოვნელად წავიდა?

კვიცი გვარზე ხტისო, ამბობენ. აი, კიდევ ერთი კლიშე, ჩემი შემოქმედებითი წერის მასწავლებელი მაგალითად რომ მოიყვანდა. როგორც აღმოჩნდა, მე და ბაბა ძალიან ვგავდით ერთმანეთს. ჩვენ ორივემ ვუღალატეთ ადამიანებს, რომლებიც ჩვენი გულისთვის დაუფიქრებლად დადებდნენ თავს. ახლა ნათელი იყო, რაჰიმ*ხანმა მხოლოდ ჩემი კი არა, ბაბას ცოდვების გამოსასყიდადაც დამიბარა.

– შენს თავს ძალიან დაბალ შეფასებას აძლევ, – მითხრა რაჰიმ-ხანმა. ჰო, ასე იყო. მართალია, მე არ ვყოფილვარ იმის მიზეზი, რომ ალიმ ნაღმს დააბიჯა ფეხი, არც თალიბები მიმიყვანია სახლში ჰასანის მოსაკლავად, მაგრამ მე გავყარე ისინი სახლიდან. მე რომ არა, იქნებ ბაბას ისინიც წაეყვანა ამერიკაში? ყველაფერი სხვაგვარად შეიძლებოდა ყოფილიყო. ჰასანს თავისი სახლი, სამსახური, ოჯახი ექნებოდა, იქ იცხოვრებდა, სადაც არავის ანაღვლების ჰაზარა ხარ თუ არა, სადაც წარმოდგენაც არ აქვთ, ჰაზარა რას ნიშნავს. ვინ იცის...

– ვერ წავალ ქაბულში, ვუთხარი რაჰიმ-ხანს. ამერიკაში ცოლი მყავს, სახლი, კარიერა და ოჯახი მელოდება. მაგრამ ახლა, როცა უკვე ვიცი, რა წავართვი ჰასანს, ჩემოდანი ჩავალაგო და სახლში დავბრუნდე? ნეტავ სულაც არ დაერეკა რაჰიმ-ხანს, ისე ვიცხოვრებდი, ვერასოდეს გავიგებდი სიმართლეს. მაგრამ დარეკა და ყველაფერი თავდაყირა დადგა. სიცრუე, ღალატი და ბნელით მოცული ამბები, აი, რა ყოფილა ჩემი ცხოვრება.

„ისევ შეგიძლია, რომ სიკეთის გზაზე დადგე, ამირ, დაბრუნდი“.

იქ სადღაც ქაბულში ჰასანის შვილია, პატარა ობოლი ბიჭი...

რაჰიმ-ხანის სახლში რიქშით დავბრუნდი. მახსოვს, ბაბა მეუბნებოდა, შენი პრობლემა ის არის, რომ ყველაფერი მზა-მზარეული გაქვს და შენს საომარს შენ მაგივრად სხვები ომობენო. უკვე 38 წლის ვიყავი, თმა შემითხელდა, აქა-იქ ჭაღარა შემერია და თვალებთან „ბატის ნაფეხურებიც“ დამემჩნა, მაგრამ იქნებ ჯერ ადრე იყო „ჩემი ომის“ დაწყება? ბაბა ბევრ რამეს ამბობდა და ბოლოს ყველაფერი ტყუილი აღმოჩნდა.

პოლაროიდის სურათზე აღბეჭდილ ჩემი ძმის მრგვალ სახეს დავხედე. ისე ვუყვარდი, როგორც არასოდეს არავის შევუყვარდები.ის აღარ იყო, მაგრამ მისი ნაწილი აგრძელებდა სიცოცხლეს, ის ქაბულში იყო, იცდიდა.

რაჰიმ-ხანი ოთახის კუთხეში მეწამული მზისკენ შეტრიალებული ლოცულობდა.

ქაბულში მივდივარ-მეთქი, ვუთხარი.

– ვილოცებ შენთვის, ამირ-ჯან, – თქვა მან.

თავი მეცხრამეტე

როგორ ვერ ვიტან მანქანით მგზავრობას! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ხაიბერის უღელტეხილზე! ვიდრე ტყვიით დაცხრილულ წარწერას მივაღწევდით, პირი უკვე ნერწყვით მქონდა სავსე, მუცელმაც გვრემა დამიწყო. ფარიდის, ჩემი მძღოლის, თვალებში თანაგრძნობას ნამდვილად ვერ ამოიკითხავდით.

– შეიძლება ფანჯარა ჩამოვწიო? – ვკითხე მე. სიგარეტს მოუკიდა და მარცხენა ხელის ორ თითს შორის მოიქცია, მეტი თითი არ ჰქონდა. მარჯვენით საჭე ეჭირა. შავი თვალები გზისთვის არ მოუშორებია, წინ გადაიხარა, საიდანღაც სახრახნისი გამოაძრო და მომაწოდა. პატარა ხვრელში, იქ, სადაც წესით სახელური უნდა ყოფილიყო, სახრახნისი შევარჭე და როგორღაც ფანჯარა ჩამოვწიე.

ფარიდმა კიდევ ერთი მტრული, ზიზღნარევი მზერა მესროლა და სიგარეტის მოწევა განაგრძო. ალბათ ათი სიტყვა არ ჰქონდა ნათქვამი მას მერე, რაც ჯარმუდიდან გამოვედით.

– თაშაქორ, – ჩავიჩურჩულე. თავი ფანჯარაში გავყავი და სახე ნაშუადღევის ნიავს მივუშვირე. გზა ქვა-ღორღიან კლდეებს შორის იყო გაჭრილი. მახსოვს, მე და ბაბამ 1974 წელს გადავიარეთ ეს უღელტეხილი. შიშველი მთები, ღრმა ხეობები, მთაგრეხილები, გალავანშემორტყმული ძველი, ნანგრევებად ქცეული ციხესიმაგრეები, ჩრდილოეთით ჰინდუყუშის თოვლიანი მწვერვალები... თვალს ვერ ვწყვეტდი იქაურობას, მაგრამ ყოველ შესახვევში ისევ გულისრევა მეწყებოდა.

– ლიმონი სცადე.

– რა?

– ლიმონი. კარგია გულისრევის დროს. ყოველთვის თან მაქვს, აქ რომ მოვდივარ.

– არა, გმადლობთ, – ლიმონის მჟავე წვენის გახსენებაზე ცუდად გავხდი.

– ამერიკული ქიმიური პრეპარატივით კი არ არის, ძველი ხალხური საშუალებაა, დედაჩემმა მასწავლა.

ნამდვილად ჯობდა, რომ მისი გული მომეგო და ვუთხარი:

– თუ ასეა, იქნებ მართლა ვცადო.

ქაღალდის პარკიდან ნახევარი ლიმონი ამოიღო. მოვკბიჩე, ცოტა ხანი მოვიცადე და მერე ვთქვი: – მართალი ყოფილხარ, ახლა უკეთ ვარ, – ვიცრუე და ყალბად გავუღიმე.

– ძველი მშობლიური მეთოდია, არავითარი წამლები, – თქვა მან ოდნავ უხეში, მაგრამ კმაყოფილი ტონით. ფარიდი მაღალი შავგრემანი კაცი იყო, მზემოკიდებული სახე და ვიწრო ბეჭები ჰქონდა. წეროსავით მაღალ კისერს რომ შემოაბრუნებდა, მკერდზე დაფენილი წვერიდან წინგამოჩრილი ადამის ვაშლი მოუჩანდა; ეროვნებით ტაჯიკი იყო. ტრადიციული ტანსაცმელი ეცვა. ნაცრისფერ ფირჰანთურბანზე უხეშად ნაქსოვი შალი ჰქონდა მოხურული. თავზე ყავისფერი ცალ გვერდზე მოგდებული ფაქოლი ეხურა, „ფანჯშერის ლომად“ წოდებული ტაჯიკი გმირის, შაჰ მასაუდის, მსგავსად. ფარიდი რაჰიმ-ხანმა გამაცნო ფეშავარში. მისი თქმით, ფარიდი 29 წლის იყო, თუმცა 20 წლით უფროსს მაინც ჰგავდა. მაზარიშარიფში დაბადებულა და იქ ცხოვრობდა, ვიდრე მამამისი ოჯახს ჯალალაბადში გადაიყვანდა. 14 წლისა ჯიჰადს შეუერთდა, მამამისთან ერთად შურავის

წინააღმდეგ იბრძოდა. ბრძოლები ორი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ფანჯშერის ველზე, ბოლოს ვერტმფრენიდან გახსნილმა ცეცხლმა მამამისი, მის თვალწინ, ნაფლეთებად აქცია. ფარიდს ორი ცოლი და ხუთი შვილი ჰყავდა.

შვიდი ჰყოლია, მაგრამ ორი გოგონა ჯალალაბადში ნაღმზე აფეთქებულა, მითხრა რაჰიმ-ხანმა. იმავე აფეთქებას მისთვის მარცხენა ხელზე სამი და ფეხებზე ყველა თითი წაუცლია. მერე თავისი ორი ცოლით და ხუთი შვილით ფეშავარში დასახლებულა.

– საგუშაგო, – ჩაიჩურჩულა ფარიდმა. ავწრიალდი, ცოტა ხნით ჩემი გულისრევაც კი დამავიწყდა, მაგრამ ორმა პაკისტანელმა მილიციონერმა ჩვენს ჟანგიან „ლენდ კრუიზერში“ შემოიხედა და გაიარეთო, ხელით გვანიშნა.

გამომგზავრებამდე მე და რაჰიმ-ხანმა აუცილებელი საქმეების სია შევადგინეთ. ამ სიაში ფარიდის გაცნობა პირველი ნომერი იყო. შემდეგ მოდიოდა ამერიკული დოლარების ავღანურ ჩეკებზე და ინდურ რუპიაზე გადაცვლა, ჩემი ტანსაცმელი და ფაქოლი (ბედის ირონიით, ტრადიციული სამოსი არასოდეს მიტარებია), ჰასანისა და სოჰრაბის სურათი და ბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანი რამ: ხელოვნური წვერი. შარიათის წესის თანახმად, კაცებს გრძელი წვერის გარეშე სიარული ეკრძალებოდათ.

რაჰიმ-ხანს ერთი ნაცნობი ჰყავდა ფეშავარში. ის კაცი იმდენად დაოსტატებულა ხელოვნური წვერის დამზადებაში, რომ ომის გასაშუქებლად დასავლეთიდან ჩამოსული ჟურნალისტებისგანაც კი ხშირად იღებდა შეკვეთებს.

– რამდენიმე დღე კიდევ დარჩი, ყველაფერი კარგად გავთვალოთ, – მითხრა რაჰიმ-ხანმა. მაგრამ არა, აუცილებლად სწრაფად უნდა გავცლოდი იქაურობას, თორემ ცოტაც და შეიძლებოდა გადაწყვეტილება შემეცვალა. თუ ღრმად ჩავუფიქრდებოდი, ავწონ-დავწონიდი და რაციონალურად მივუდგებოდი ყველაფერს, აუცილებლად დავარწმუნებდი ჩემს თავს, რომ უარი მეთქვა და კომფორტულ ამერიკულ ცხოვრებას დავბრუნებოდი. და მერე ისევ გავიდოდა დრო, ისევ წაიღებდა წყალი წარსულს, ჰასანს, სოჰრაბს და დანაშაულის გამოსყიდვის ჩემს უკანასკნელ შანსს. ამიტომ დიდი ფიქრის გარეშე გავუდექი გზას.

კიდევ კარგი, სორაიამ არ იცოდა, ავღანეთში რომ მივდიოდი, თორემ აუცილებლად, პირველივე რეისით ჩამოვიდოდა პაკისტანში.

მალე საზღვარი გადავკვეთეთ. ყველგან, სადაც თვალი მისწვდებოდა, შემზარავი სიღატაკე სუფევდა. გზის ორივე მხარეს, კლდის ფერდობებზე შეფენილი პატარა სოფლები უწესრიგოდ მიყრილმოყრილ სათამაშოებს ჰგავდნენ. დაგლეჯილი ბრეზენტით გადახურული, დანგრეული ქოხების წინ ძონძებში გამოხვეული ბავშვები ფეხბურთს თამაშობდნენ. მწყობრიდან გამოსული საბჭოთა ტანკის კარკასზე ფეხმორთხმით ჩამომსხდარი კაცები შორიდან ყვავები გეგონებოდათ.

– უცნაურია, – ვთქვი მე.

– რა არის უცნაური?

– ჩემს საკუთარ ქვეყანაში თავი ტურისტი მგონია.

გზის გასწვრივ მწყემსი და ექვსი გაძვალტყავებული თხა დავინახე. ფარიდმა გესლიანად ჩაიცინა, სიგარეტი გადააგდო და თქვა:

– ეს ქვეყანა შენი სამშობლო გგონია?

– ჰო, ეს ჩემი სამშობლოა, – უფრო დამაჯერებლად გამომივიდა, ვიდრე წარმოვიდგენდი.

– ოცი წლის განმავლობაში ამერიკაში ცხოვრების შემდეგ? – თქვა და საჭე მკვეთრად მოატრიალა, მანქანა ორმოს ააცილა, – მე ავღანეთში გავიზარდე, – ფარიდმა ისევ ჩაისისინა.

– რა გაცინებს? – ვკითხე მე.

– ნუ მაქცევ ყურადღებას.

– ჰო, მაგრამ მაინტერესებს, რატომ იცინი.

სარკეში დავინახე, თვალები როგორ აენთო, – გაინტერესებს, არა? – შემომიღრინა, – მაშინ მისმინე. ალბათ ორ ან სამსართულიან სახლში ცხოვრობდი დიდი ეზოთი და ბაღით. ეზოში ალბათ ხეხილი ხარობდა და ბაღი ყვავილებით იყო მორთული. მამაშენს ნამდვილად ახალი ამერიკული მანქანა ჰყავდა, თქვენი მსახურები სავარაუდოდ ჰაზარები იყვნენ. მშობლები ალბათ ხალხს ქირაობდნენ, წვეულებები რომ მოეწყოთ, სტუმრებიც ბევრი გეყოლებოდათ. წარმომიდგენია, მთვრალები როგორ ტრაბახობდნენ ამერიკაში თუ ევროპაში მოგზაურობით, და ჩემი სიყრმის შვილის თავს დავიფიცებ, ეგ ფაქოლიც პირველად გახურავს... ზუსტად ასე იქნებოდა, ახლოს ვარ სინამდვილესთან თუ არა? – გაიცინა და ჩამპალი კბილები გამოუჩნდა.

– რისი თქმა გინდა ამ ყველაფრით? – ვკითხე.

– არაფრის, მკითხე და გიპასუხე, – ფანჯარაში გადააფურთხა და ხელი გაიშვირა: – ეგ არის ნამდვილი ავღანეთი, შეხედე, – ძონძებში გახვეულ მოხუცს გამხმარი ბალახის დიდი კონა შემოეგდო ზურგზე და ტალახიან ბილიკს მიუყვებოდა, – შენ აქ ყოველთვის ტურისტი იყავი!

რაჰიმ-ხანმა გამაფრთხილა, კეთილგანწყობას ნუ ელი ავღანელებისგან, ვის ზურგზეც ომებმა გადაიარესო.

– ვწუხვარ, რომ ყველაფერი ისეა, როგორც არის; ვწუხვარ მამაშენის დაღუპვის გამო, შენი ქალიშვილების გამო, შენი ხელის თითების გამო... – ვთქვი მე.

– ეგ სულაც არ მაწყნარებს, ჩემთვის ყველაფერი სულერთია ახლა. რატომ ჩამოხვედი? მამაშენის მიწები უნდა გაყიდო, რაც შეიძლება სწრაფად, ფული ჩაიჯიბო და ისევ ამერიკაში, დედასთან ჩასახუტებლად გაიქცე?

– დედაჩემი ჩემზე მშობიარობას გადაჰყვა, – ვთქვი მე.

ამოიხვნეშა და სიგარეტს მოუკიდა. არაფერი უთქვამს.

– გადააყენე.

– რა?

– გადააყენე-მეთქი მანქანა, ცუდად ვარ, ვერ გაიგე? – მანქანიდან ბარბაცით გადმოვედი. ბინდდებოდა. პეიზაჟი შეიცვალა. მზისგან გადამწვარი, ხრიოკი მიწების ცქერით დაღლილმა თვალებმა დაისვენა, როცა მწვანე მდელოები გამოჩნდა. გზა ლანდიხანისკენ დაეშვა. ავღანეთში თორხამიდან შევედით. გზის ორივე მხარეს ფიჭვის ხეები იდგა. ჯალალაბადამდე მცირე მანძილი რჩებოდა. იქ ფარიდის ძმასთან გავათევდით ღამეს. ჯერ მზე არ იყო ჩასული, როცა ჯალალაბადში, ნანგარხარის პროვინციის დედაქალაქში

შევედით. ჯალალაბადი ერთ დროს საუკეთესო ხილითა და თბილი კლიმატით იყო სახელგანთქმული. ქალაქის ცენტრალურ ნაწილს ჯერ კიდევ ამშვენებდა ქვის სახლები, მაგრამ სადღა ნახავდით იმდენ პალმას, მე რომ მახსოვდა... მთელი კვარტლები ნანგრევებად იყო ქცეული.

ფარიდმა ვიწრო, მოუკირწყლავ ქუჩაზე გადაუხვია და მანქანა ამომშრალ არხთან გააჩერა. გადმოვედი, ფეხი გავმართე, ღრმად ჩავისუნთქე. იყო დრო, როცა ჯალალაბადის გარშემო გაშენებული შაქრის ლერწმის ჭალებიდან ნიავს ტკბილი სურნელი მოჰქონდა. თვალები დავხუჭე და იმ სიტკბოს წარმოსახვა ვცადე.

– წავედით, წავედით, – მოუთმენლად თქვა ფარიდმა. ტალახიან ქუჩას ავუყევით, რამდენიმე ტოტებშემხმარ ალვის ხეს ჩავუარეთ და ერთსართულიან ნახევრადდანგრეულ სახლს მივადექით. ფიცრის კარზე დავაკაკუნეთ.

კარი ახალგაზრდა ქალმა გაგვიღო. თეთრი თავსაბურავიდან ოკეანესავით მწვანე თვალებმა შემოგვანათა. შეკრთა, შემდეგ ფარიდი დაინახა და თვალები გაუბრწყინდა, – სალამ ალეიქუმ, ძია ფარიდ! – სალამი, მარიამ-ჯან, – ისე თბილად თქვა ფარიდმა, რომ გაოცებული დავრჩი. მერე დაიხარა და შუბლზე აკოცა. ახალგაზრდა ქალი ოდნავ დაბნეული ჩანდა. გვერდზე გაიწია და გზა დაგვითმო. ფარიდს სახლში შევყევი. დაბალი ჭერი, შიშველი კედლები, კუთხეში ლამფა, იატაკზე ჭილობი, კედელთან მატრასი, სულ ეს იყო მათი ავლადიდება. ფეხსაცმელი გავიხადეთ და ოთახში შევედით. სამი ბიჭი ფეხმორთხმით იჯდა მატრასზე. მაღალი, წვერმოშვებული, მხარბეჭიანი კაცი წამოდგა და შეგვეგება. ეს ვაჰიდი იყო, ფარიდის უფროსი ძმა. ამერიკიდან ჩამოვიდაო, უთხრა ფარიდმა და თან ცერა თითი ჩემკენ გამოიშვირა. მერე ბიჭებისკენ წავიდა. ბიჭები თითქოს ჩასაფრებულები ელოდებოდნენ, უცბად წამოხტნენ და კისერზე ჩამოეკიდნენ. ვაჰიდმა ერთ-ერთ ბიჭს იატაკზე დასაგები მოატანინა, რომ უფრო კომფორტულად მეგრძნო თავი, – მარიამ, ჩაი, – გასძახა მარიამს. მერე კედელთან დავსხედით. ვაჰიდმა მგზავრობის ამბები გამოგვკითხა.

– როგორ გადმოიარეთ უღელტეხილი? იმედი მაქვს, ყაჩაღები არ დაგსხმიან თავს, – ხაიბერის უღელტეხილზე ხშირი იყო მგზავრებზე თავდასხმა. ვიდრე ვუპასუხებდი, თვალი ჩამიკრა და ხმამაღლა თქვა: – თუმცა ჩემი ძმის მანქანაზე რომელი ყაჩაღი დახარჯავდა დროს.

ფარიდმა უმცროსი ბიჭი იატაკზე დააგორა და საღი ხელით უღუტუნებდა, ბავშვი ხელ-ფეხს იქნევდა და გულიანად ხითხითებდა, – ასეთია თუ ისეთი, მანქანაა. ჰო, მართლა, შენი სახედარი როგორ არის?

– ჩემი სახედრით სიარული მირჩევია შენი მანქანით ჯაყჯაყს.

– სახედარი ადვილად ცნობს მეორე სახედარს. „ხარ ხარა მიშანაშ“, – ჩემი ჩათვლით ყველამ გაიცინა. მეზობელი ოთახიდან ქალების ჩურჩული მომესმა. ოთახის კარი შეღებული იყო და დავინახე, როგორ ამზადებდნენ ჩაის. ასაკით უფროსს ყავისფერი ჰიჯაბი ეხურა. ალბათ მარიამის დედა იყო.

– ამერიკაში რას საქმიანობ, ამირ-აღა? – მკითხა ვაჰიბმა.

– მწერალი ვარ, – ვთქვი მე. მომეჩვენა, რომ ფარიდმა დამცინავად ჩაიცინა.

– მწერალი? – ეტყობა არ მოელოდა. – ავღანეთზე წერ?

– ვწერ ხოლმე, მაგრამ არა ამჟამად, – ვთქვი მე. ჩემი ბოლო რომანი უნივერსიტეტის პროფესორზეა, რომელსაც ცოლი თავის სტუდენტთან ღალატობს. პროფესორი ბოლოს ბოშათა ბანაკს უერთდება. ცუდი არ გამოვიდა. ზოგი კრიტიკოსის აზრით, წიგნი კარგია, ზოგის აზრით კი ძალიან კარგი.

უეცრად ისე უადგილოდ მეჩვენა ეს ყველაფერი... იმედი მქონდა, რომ არ მკითხავდა, რაზეა შენი ახალი რომანიო.

– იქნებ დაწერო ავღანეთზე, გააგებინე მსოფლიოს, რასაც თალიბები სჩადიან ჩვენს სამშობლოში.

– მე სხვა ტიპის მწერალი ვარ...

– ჰო, გასაგებია, – თქვა ვაჰიბმა, თავი დააქნია და ოდნავ წამოწითლდა, – ჩემგან არ გესწავლება...

ამ დროს მარიამი და ის ქალი შემოვიდნენ. ფეხზე წამოვდექი, პატივისცემის ნიშნად ხელი მკერდთან მივიტანე და თავი დავუკარი.

მეორე ქალსაც ჰიჯაბით ჰქონდა სახე დაფარული.

– სალამი, – ძლივს გასაგონი ხმით თქვა ქალმა, თვალები დახარა და ჩაი დაასხა. ჩაის ჭიქა წინ დამიდგა და უხმოდ, ფეხაკრეფით გაუჩინარდა. დავჯექი, მუქი არომატული ჩაი მოვსვი. ბოლოს ვაჰიბმა სიჩუმე დაარღვია.

– ავღანეთში რამ ჩამოგიყვანა?

– რას ჩამოჰყავს ისინი ავღანეთში, ძმაო, არ იცი? – ფარიდი ვაჰიბს ელაპარაკებოდა და თან აგდებულ მზერას არ მაცილებდა.

– ბას! – წამოიძახა ვაჰიდმა.

– ერთი და იგივეა ყოველთვის. ან მიწა აქვთ გასაყიდი, ან სახლი. გაყიდიან და თაგვებივით იცურცლებიან აქედან. მერე იმ ფულით მეხიკოში მიდიან არდადეგებზე.

– ფარიდ! – დაიღრიალა ვაჰიბმა. ბავშვებს შეეშინდათ. ფარიდიც კი შეკრთა, – დაგავიწყდა, სად ხარ? ეს ჩემი სახლია! ამირ-აღა ამაღამ ჩემი სტუმარია და შერცხვენას არ გაპატიებ, იცოდე!

ფარიდმა პირი გააღო. რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ გადაიფიქრა. კედელთან დაჯდა და თავისი დასახიჩრებული ფეხი მეორეზე გადაიდო. ჩუმად კი იყო, მაგრამ გამკიცხველ მზერას ერთი წუთითაც არ მაშორებდა.

– ბოდიშს ვიხდი, ამირ-აღა, ბავშვობიდან მოყოლებული, ენა სულ წინ უსწრებს ჩემს ძმას.

– ჩემი ბრალია, – ვთქვი მე, – მაგრამ არა უშავს. თავიდანვე უნდა ამეხსნა

ფარიდისთვის ყველაფერი. ავღანეთში ქონების გასაყიდად არ ჩამოვსულვარ. ქაბულში პატარა ბიჭის მოსაძებნად მივდივარ.

– ბიჭის, – გაიმეორა ვაჰიბმა.

– დიახ, – ვთქვი და პერანგის ჯიბიდან ფოტო ამოვიღე. ჰასანის დანახვამ ტკივილი განმიახლა. თვალი ავარიდე, ფოტო ვაჰიბს გადავეცი. დიდხანს აკვირდებოდა, ხან მე შემხედავდა და ხან ისევ ფოტოს.

– ამ ბიჭს ეძებ? – თავი დავუქნიე.

– ამ ჰაზარა ბიჭს?
– დიახ.
– რად გერგება ეგ ბავშვი?
– მამამისი ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა. მოკლეს.
– მეგობარი იყო?
ინსტინქტი მკარნახობდა, რომ მეთქვა „ჰო“, ასე ბაბას საიდუმლოს არ გავცემდი, მაგრამ საკმარისი ტყუილი ითქვა უკვე, – ჩემი ნახევარძმა იყო. ჩემი უკანონო ნახევარძმა, საერთო მამა გვყავდა.
– ბოდიშს გიხდი ცნობისმოყვარეობისთვის.
– არაფერია, – ვთქვი მე.
– შემდეგ რას აპირებ?
– ფეშავარში წავიყვან ისევ. იქ არიან ადამიანები, რომლებიც მასზე იზრუნებენ.
ვაჰიდმა ფოტო დამიბრუნა. მხარზე ხელი დამადო და მითხრა: – ღირსეული კაცი ხარ, ამირ-აღა, ნამდვილი ავღანელი.
შიგნეული ამეწვა.
– მეამაყება, რომ ამაღამ ჩემი სტუმარი ხარ, – თქვა ვაჰიბმა. მადლობა გადავუხადე და თვალი ფარიდისკენ გავაპარე. თავდახრილი იჯდა. ხელით ჭილობის კუთხეს აწვალებდა. ცოტა ხანში მარიამმა და დედამისმა ორი ჯამი ბოსტნეულის შორვა და ორი ცალი ლავაში შემოიტანეს.
– ხორცით ვერ გიმასპინძლდებით, მაპატიე. ხორციანი კერძი დღეს მხოლოდ თალიბებისთვისაა.
– დიდი მადლობა, ჩვენთან ერთად არ მიირთმევთ?
– თქვენს მოსვლამდე ყველამ ერთად ვისადილეთ, – მიპასუხა ვაჰიდმა.
მე და ფარიდმა სახელოები დავიკაპიწეთ და ლავაში შორვაში ჩავაწეთ. ვაჰიდის ბიჭებს თმა მოკლედ ჰქონდათ შეკრეჭილი. კარგა ხნის პირდაუბანელები ჩანდნენ. უმცროსმა ძმას რაღაც ჩასჩურჩულა, ძმამ თავი დაუქნია. უფროსი, ასე 12 წლისა იქნებოდა, კედელთან ფეხმოთხმით იჯდა. სამივე ძმა თვალმოუშორებლად უყურებდა ჩემს მაჯის საათს. სადილის შემდეგ მარიამმა თიხის ტოლჩიდან წყალი დაგვისხა და ხელები დავიბანეთ. ვაჰიდს ვთხოვე, ნება მომეცი, ბავშვებს რაღაც ვაჩუქომეთქი. თავიდან კი იუარა, მაგრამ არ შევეშვი და ბოლოს დამთანხმდა. საათი უმცროს ბიჭს მივეცი, – თაშაქორ, – თქვა მორცხვად, – მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის დროს აჩვენებს, – ვუთხარი ბიჭებს. თავი დამიკრეს და გამიღიმეს. ცოტა ხანს იხალისეს. მალე მობეზრდათ და საათი იქვე, ჭილობზე მიაგდეს.
– უნდა გეთქვა, – მითხრა ფარიდმა მოგვიანებით. მარიამმა, ერთმანეთის გვერდით, ჭილობზე დაგვიგო ლოგინი.
– რა უნდა მეთქვა?
– ავღანეთში ჩამოსვლის მიზეზი, – ხმაში აშკარად თბილი ნოტები შეეპარა.
– არ გიკითხავს.

– უნდა გეთქვა. – ჩემკენ გადმობრუნდა, ხელი თავქვეშ ამოიდო და მითხრა: – დაგეხმარები მაგ ბიჭის მოძებნაში.

– მადლობა.

– შემეშალა, ძნელია უცხო ადამიანის გამოცნობა.

– არა უშავს, – ვუთხარი და თან გავიფიქრე, დიდი შეცდომა არ დაგიშვია-მეთქი.

ხელები ზურგს უკან აქვს გადაგრეხილი, თოკი ისე აქვს წაჭერილი, რომ მაჯის ძვლები უჩანს. შავი ნაჭრით თვალებახვეული, დამყაყებულ არხთან იჩოქება, თავჩაქინდრული ლოცულობს, გადატყავებული მუხლებიდან სისხლი სდის და ხრეშზე იღვრება. წინ და უკან ირწევა, ჩურჩულებს, ვუახლოვდები: „შენი გულისთვის, თუნდაც ათასჯერ“, თავს ზევით სწევს, ზედა ტუჩზე ნაიარევს ვხედავ.

მარტონი არ ვართ.

ჩამავალი მზის სხივი ავტომატის ლულაზე ბრწყინავს, თვალს მჭრის, მაგრამ მაინც ვხედავ კაცის სილუეტს. მას სამხედრო ფორმა აცვია, თავზე შავი ჩალმა ახურავს. ცივი ცარიელი თვალებით ზევიდან დასცქერის დაჩოქილ კაცს. ერთი ნაბიჯით უკან იხევს და ავტომატის ლულას კეფაში უმიზნებს.

გამაყრუებელი ხმა, კვამლის ღრუბელი და ღმერთო! ის კაცი მე ვარ!

ყვირილი ყელში გამეჩხირა. გამეღვიძა.

გარეთ ფეხშიშველი გავედი. ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი. ნამგალა მთვარე ვერცხლისფრად ანათებდა... ცას შევხედე. მერე ჭრიჭინებს მივუგდე ყური; ქარმა დაუბერა და პირველად, მას მერე, რაც საზღვარი გადმოვკვეთეთ, ჩემი სამშობლოს მიწა ვიგრძენი ფეხქვეშ, ეს ჩემი სახლი იყო, მე სახლში დავბრუნდი. წინაპრების მიწაზე ვიდექი. აქ, ამ მიწაზე, 1915 წელს ქოლერის ეპიდემიის დროს მოკვდა ჩემი დიდი პაპა. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე კი მას და მის მესამე ცოლს, როგორც იქნა, ვაჟიშვილი შეეძინათ. ამ მიწაზე ნადირობდნენ მეფე ნადირ შაჰი და პაპაჩემი ირმებზე, ამ მიწამ მიიბარა დედაჩემი, და ბოლოს, ამ მიწაზე ვიბრძოდი მამაჩემის სიყვარულის მოსაპოვებლად. თიხით შელესილ კედელთან ჩავიმუხლე. უჩვეულო სიახლოვეს ვგრძნობდი... დიდი ხნის წინ წავედი აქედან, ამ კედლის უკან მშვიდად მძინარე ხალხს ამერიკა ალბათ სხვა გალაქტიკა ჰგონია, მაგრამ თურმე არ დამვიწყებია. ფეხებქვეშ ავღანეთის გულის ცემას ვგრძნობდი, იქნებ ერთ დღეს, ჩემმა სამშობლომაც გამიხსენოს!

იქ, დასავლეთით, მთებს მიღმა, ნამდვილი, ცოცხალი, მთვლემარე ქაბული გათენებას ელოდა. ეს რეალობა იყო და არა ჩემი ბავშვობის მოგონება, ან სან ფრანცისკოს ქრონიკაში მეთხუთმეტზე გვერდზე ამოკითხული მთავარი ამბავი. ჩემი ქაბული, ქალაქი, სადაც ოდესღაც მე და ჩემი ძმა ფრანებით დავრბოდით, სადაც მას თვალებახვეულს და დაჩოქილს ეწერა სიკვდილი. მრავალი წლის წინ მე არჩევანი გავაკეთე, ახლა, მეოთხედი საუკუნის შემდეგ, ისევ იმ არჩევანმა დამაბრუნა ავღანეთის მიწაზე.

ის იყო, სახლში უნდა შევსულიყავი, რომ ხმა მომესმა:

– აღარაფერი დარჩა ბავშვებისთვის.

– ჰო, მშივრები ვართ, მაგრამ სტუმარია, შენი აზრით, რა უნდა მექნა? – მკაცრი ხმით თქვა ვაჰიდმა.

– ხვალ რა ვაჭამო ბავშვებს, – ხმაში ცრემლი გაერია.

ფეხაკრეფით გავეცალე იქაურობას. ახლა მივხვდი, რატომ არ აშორებდნენ თვალს ჭამის დროს ჩემს მაჯას ბიჭები, საათს კი არა, საჭმელს უყურებდნენ, თურმე.

მეორე დილას ერთმანეთს დავემშვიდობეთ. სანამ მანქანაში ჩავჯდებოდი, ვაჰიდს მადლობა გადავუხადე. პატარა სახლისკენ ხელი გაიშვირა და მითხრა: – ამ სახლის კარი მუდამ ღიაა შენთვის. კარის წინ ვაჰიდის სამი ვაჟიშვილი იდგა. უმცროსს მაჯის საათი ეკეთა ხელზე. ლენდ კრუიზერი დავქოქეთ და გზას გავუდექით. სარკეში ვხედავდი მტვერში გახვეულ ვაჰიდს და ბიჭებს. ჩემთვის გავიფიქრე, იქ, სხვა სამყაროში, ეს ბავშვები მშივრები არ იქნებოდნენ-მეთქი.

იმ დილით, როცა დავრწმუნდი, რომ არავინ მიყურებდა, ისევე, როგორც 26 წლის წინ, მატრასის ქვეშ ფული ამოვდე.

ფარიდმა გამაფრთხილა, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ტყუილად შეიწუხა თავი. ჯალალაბადიდან ქაბულში მთებში გაჭრილი მიხვეულ-მოხვეული გზით წავედით. ბოლოს ამ გზით ქაბულიდან ჯალალაბადამდე ბრეზენტით გადახურული სატვირთო მანქანით ვიმგზავრეთ მე და ბაბამ. მაშინ ბაბამ კინაღამ თავი მოაკვლევინა დაბოლილ რუს ოფიცერს. იმ მომენტში ერთად განვიცადე ყველაფერი: განგაში, შიში და ბოლოს სიამაყე. ეს გველივით დაკლაკნილი, ოღრო-ჩოღრო გზა უკვე ორი ომის მომსწრე იყო. ერთი ომის ზოგიერთი დეტალი ჩემი თვალით მქონდა ნანახი. ფერდობები ახლაც სავსე იყო იმ ომის ნარჩენებით: დამწვარი საბჭოთა ტანკები, გზიდან გადაყირავებული სამხედრო მანქანები, ხრამში გადაჩეხილი რუსული ჯიპები. მეორე ომი მხოლოდ ტელევიზორიდან ვიცოდი. ახლა ვცდილობდი ეს ომი ფარიდის თვალებით დამენახა.

ფარიდი, როგორც ამბობენ, თავის ამპლუაში იყო. საჭეს ენერგიულად ატრიალებდა, რომ ორმოში არ ჩავვარდნილიყავით, თან უამრავ ამბავს მიყვებოდა. ლაპარაკის დროს იღიმოდა კიდეც ხანდახან. ვაჰიდთან გატარებული ღამის შემდეგ ჩემზე წარმოდგენა შეეცვალა. დასახიჩრებული ხელით საჭე დაატრიალა და მეორე ხელი ფერდობზე შეფენილი ქოხმახებისკენ გაიშვირა. ბევრს იცნობდა, თურმე, ამ სოფელში. უმეტესი მათგანი მოუკლავთ. ცოცხლად დარჩენილებს პაკისტანის ლტოლვილთა ბანაკისთვის შეუფარებიათ თავი, – ზოგჯერ მკვდრები უფრო ბედნიერები არიან, – თქვა მან. სოფელი ახლა გადამწვარი, სახურავახდილი კედლების ნანგრევების და ქვა-ღორღის გროვა იყო მხოლოდ. ერთ კედელთან ძაღლი შევნიშნე.

– ამ სოფელში მეგობარი მყავდა, – თქვა ფარიდმა, – ძალიან კარგი მექანიკოსი იყო. ტაბლაზეც კარგად უკრავდა. თალიბებმა ჯერ ის მოკლეს, მერე ოჯახი ამოუწყვიტეს და ბოლოს სოფელი გადაწვეს.

გადამწვარ სოფელს ჩავუარეთ, მაგრამ ძაღლი არ განძრეულა.

ადრე ქაბულიდან ჯალალაბადში ორ საათში ჩავდიოდით. ახლა ფარიდი და მე ოთხი საათი ვმგზავრობდით. ქაბულს რომ მივუახლოვდით, მაჰიფარის კაშხალთან, ფარიდმა გამაფრთხილა:

– ეს ის ქაბული არაა, შენ რომ გახსოვს.

– ჰო, ამბობენ.

ისეთი თვალებით შემომხედა, თითქოს მეუბნებოდა, სად ნანახი და სად გაგონილიო. მართალი აღმოჩნდა. ბოლოს, როცა ქაბული გადაიშალა ჩვენ თვალწინ, მეგონა, რომ ფარიდს გზა აერია. გამოთაყვანებული ვიყურებოდი. ეს ქაბული იყო? ჩემი სახის გამომეტყველება ფარიდს არ გაჰკვირვებია, ალბათ მიჩვეული იყო; პირველად ხომ არ ჩაჰყავდა დიდი ხნის შემდეგ დაბრუნებული მგზავრი ქაბულში.

მხარზე ხელი დამარტყა და ბოღმიანად ჩაილაპარაკა: – კეთილი იყოს შენი დაბრუნება.

ნანგრევები და მათხოვრები მხოლოდ, ყველგან, საითაც გაიხედავდით. მახსოვს, ადრეც იყვნენ ქაბულში მათხოვრები. ბაბა ისე არ გავიდოდა სახლიდან, რომ მათთვის დასარიგებლად ერთი მუჭა ხურდა არ ჩაეყარა ჯიბეში. თუმცა ახლა ყოველი ქუჩის კუთხეში ისხდნენ. ძონძებში გამოხვეულებს, ყველას ერთად ჰქონდა ჭუჭყიანი ხელი გამოწვდილი. უმეტესი მათგანი ხუთი-ექვსი წლისა იქნებოდა. გამხდარი, გაყვითლებული, სევდიანი სახეებით თავიდან ფეხებამდე ბურკაში ჩამალულ დედებს ესხდნენ კალთაში რომელიმე მოძრავი ქუჩის კუთხეში და მონოტონური ხმით, წამღერებით იძახდნენ: – ბახშეშ, ბახშეშ!

კიდევ ერთი რამ შევნიშნე, კაცს ვერ ნახავდით ვერც ერთ ბავშვთან. ომმა მამები იშვიათობად აქცია.

კარტეშეს რაიონისკენ მივემართებოდით. ერთ დროს აქაურობა დუღდა – ჯადე მეივანდი, ჩვენგან ჩრდილოეთით ამომშრალი მდინარე ქაბული, გორაზე ძველი ქალაქის გალავანი, აღმოსავლეთით შირდარვაზას მთაგრეხილი და ბალა ჰისარის ციხე-სიმაგრე, უძველესი ციტადელი. მისი ოკუპაცია 1992 წელს დოსტუმის მთავარსარდლობით მოხდა. ამ მთებიდან უშენდნენ მოჯაჰედები რაკეტებს და ცეცხლის წვიმაში ხვევდნენ ქაბულს 4 წლის განმავლობაში. ახლა საკუთარი თვალით ვხედავდი მათ ნამოქმედარს. მახსოვს, შირდარვაზას მთიდან ქვემეხის გასროლით შუა დღის დადგომას, ანუ თოფეჰ ჩაშტს, აუწყებდნენ ხალხს. შემდეგ საღამოს დადგომისას ისროდნენ, მომარხულეებს ახსენებდნენ, რომ მარხვის დრო იწურებოდა. სროლის ხმა მთელ ქალაქში ისმოდა.

– ჯადე მაივანდზე ხშირად მოვდიოდი ხოლმე, – ჩავილუღლუღე. – უამრავი მაღაზია, სასტუმრო და ნეონით განათებული რესტორანი იყო, ფრანებს აქ ვყიდულობდით, პატარა მაღაზიაში, პოლიციის შენობასთან ახლოს, მაღაზიის მეპატრონეს საიფო ერქვა.

– პოლიციის შენობა ისევ აქ არის, – თქვა ფარიდმა. – პოლიციელების ნაკლებობას არ უჩივის ქაბული, მაგრამ ფრანების რა გითხრა, ეგ დრო წავიდა. ახლა ფრანებს ვერც აქ იყიდი და ვერც სხვაგან, აკრძალულია.

ჯადე მაივანდი გიგანტურ ქვიშის ციხე-სიმაგრეს ჰგავდა. აქა-იქ ჯერ კიდევ იდგა აფეთქებით სახურავწაცლილი რამდენიმე სახლი. შენობების უდიდესი ნაწილი ნანგრევებად იყო ქცეული. რკინა-ბეტონის ხროვაში ნახევრად ჩამარხულ, ტყვიით დაცხრილულ კოკა-კოლას სარეკლამო სტენდზე წაიკითხავდით: „დალიეთ კოკა კო...“. სახლების ნანგრევებს, რკინა-ბეტონისა და აგურის ნამსხვრევებს შორის ბავშვები თამაშობდნენ. ერთმანეთში არეული ფეხით მოსიარულეები, ველოსიპედები, ოთხთვალებში შებმული მოლები, მაწანწალა ძაღლები და მტვრის კორიანტელი, მტვერში

ამოგანგლული ქალაქი, ქალაქის თავზე მტვრის ღრუბელი და სადღაც, მდინარის გადაღმა, ვიღაცის სახლის საკვამურიდან ამოსული ბოლი...

– ხეებს რა უქნეს? – შევეკითხე ფარიდს.

–ხალხმა გაჩეხა, შეშად მოიხმარეს ზამთარში, არც შურავის დაუკლია ხელი.

– რატომ?

– სნაიპერები იმალებოდნენ.

სევდა შემომაწვა. მეგონა, თითქოს ავადმყოფ, უძლურ, უსახლკარო მათხოვარს შევხვდი და კარგა ხნის შემდეგ მივხვდი, რომ ჩემი დიდი ხნის უნახავი, მივიწყებული მეგობარი იყო.

– მამაჩემმა ობოლთა თავშესაფარი ააშენა აქ, – ვთქვი მე.

– ვიცი. რამდენიმე წლის წინ დაანგრიეს.

– გააჩერე, ცოტას ფეხით გავივლი.

ფარიდმა მიტოვებულ, ნახევრად დანგრეულ შენობასთან გააჩერა. – ოდესღაც აქ აფთიაქი იყო, – ვთქვი მე. ფარიდი მანქანიდან გადმოვიდა. ჯადე მაივანიდან მარჯვნივ გადავუხვიეთ და დასავლეთისკენ წავედით, – რისი სუნია? თვალები ამეწვა.

– დიზელის. შუქი ხშირად ქრება და ხალხი დიზელს იყენებს გენერატორებისთვის.

– დიზელის, – გავიმეორე. – გახსოვს, ამ ქუჩაზე რისი სუნი ტრიალებდა?

– ქაბაბის, – გაეღიმა ფარიდს.

– ბატკნის ხორცის ქაბაბის.

– ბატკნის ხორცი, – თქვა ფარიდმა. ენა გააწკლაპუნა და სიტყვას გემო გაუსინჯა, – ახლა ბატკნის ხორცს მხოლოდ თალიბები ჭამენ. სახელოზე ჩამომქაჩა: – ძაღლი ახსენეო.... წვერიანი პატრული... მანქანა გვიახლოვდებოდა.

იმ დღეს პირველად ვნახე ცოცხალი თალიბები. იმ წუთამდე ისინი მხოლოდ ტელევიზორში, ინტერნეტში, ჟურნალის ყდაზე ან გაზეთში მენახა. ახლა კი მათგან ორმოცდაათი ნაბიჯი მაშორებდა. თავს ვარწმუნებდი, რომ რასაც განვიცდიდი, იმას, უკიდეგანო, ყოვლისმომცველი შიში არ ერქვა. მთელი სხეული შემეკუმშა, ხელები დამეკრუნჩხა, გული აღარ მიცემდა. წითელმა „ტოიოტა პიკაპმა“ სვლა შეანელა. და აი, ისინიც, მთელი თავისი ბრწყინვალებით. რამდენიმე ულმობელი გამომეტყველების, მხარზე კალაშნიკოვმოგდებული ახალგაზრდა ფეხმორთხმით იჯდა მანქანის ძარაზე. ყველას წვერი ჰქონდა მოშვებული, თავზე შავი ჩალმები ეხურათ. ერთ-ერთ მათგანს, ოცი წლისაც არ იქნებოდა, ხელში მათრახი ეჭირა, მანქანის გვერდზე რიტმულად ატყლაშუნებდა და მეძებარი ძაღლივით ათვალიერებდა იქაურობას. ეტყობა, ჩემი მზერა იგრძნო. შიშმა საერთოდ გამაშეშა. თალიბმა გამომხედა, თამბაქოსგან გაყავისფრებული ნახველი ამოაგდო და შებრუნდა. ძლივს ამოვისუნთქე. მანქანა ჯადე მაივანდისკენ დაეშვა და უკან მტვრის შლეიფი დატოვა.

– რა მოგივიდა? – მკითხა ფარიდმა.

– რა?

– არასოდეს შეხედო მათ. გესმის? არასოდეს!

– უნებურად მომივიდა, – ვთქვი მე.

– თქვენი მეგობარი მართალია, აღა. ცოფიანი ძაღლი რომ წააქეზო, იგივეა, – თქვა დანგრეული სახლის კიბეზე ჩამომჯდარმა ფეხშიშველა მოხუცმა მათხოვარმა. დაფხრეწილი ჩაპანი ეცვა და ტურტლიანი ჩალმა ეხურა. ცალთვალა იყო. ართრიტისგან დაკრუნჩხული ხელი მანქანისკენ გაიშვირა:

– აღმა-დაღმა დადიან იმ იმედით, რომ ვინმეს წამოაგებენ ანკესზე. ბოლოს მაინც პოულობენ ვიღაცას. მერე ნადიმებს მართავენ და ხშირხშირად იმეორებენ „ალლაჰ აქბარ!“ და თუ ვერავინ გამოიჭირეს, მაშინ რაღაც მიზეზით, მიზეზის პოვნას რა უნდა, აუცილებლად სჯიან შემთხვევით შემხვედრებს.

– თვალები დახარე, როცა მათ დაინახავ, – თქვა ფარიდმა.

– დაუჯერეთ მეგობარს, კარგ რჩევას გაძლევთ, – მოხუც მათხოვარს ხველა აუტყდა. ცხვირსახოცში ამოახველა და თქვა: – მაპატიეთ, მაგრამ რამდენიმე ავღანს ვერ მიწყალობებთ?

– წავედით, – სახელოზე მომქაჩა ფარიდმა.

მოხუცს ათასობით ავღანი მივაწოდე, ალბათ სამი დოლარი იქნებოდა. ფულის გამოსართმევად რომ გამოიწია, ამჟავებული რძის და თვეობით დაუბანელი ფეხის ისეთი მყრალი სუნი დადგა, რომ კინაღამ გული ამერია. ფული სასწრაფოდ ჩაიყარა ჯიბეში, თან ცალი თვალით აქეთ-იქით იყურებოდა.

– ათასი მადლობა მოწყალებისთვის, აღა.

– კარტეშეს ობოლთა თავშესაფარი სად არის, ხომ არ იცით?

– დარულამან ბულვარის დასავლეთით, ადვილი მისაგნებია. ძველი ობოლთა თავშესაფარი რომ დაბომბეს, ბავშვები იქიდან აქეთ გადმოიყვანეს. თუმცა, ლომის გალიიდან რომ გამოიყვანო ვინმე და მერე ვეფხვს ჩაუგდო, ზუსტად იგივეა.

– მადლობა, აღა, – ვთქვი და წასვლა დავაპირე.

– პირველად ნახეთ?

– ბატონო?

– პირველად ნახეთ თალიბი?

არაფერი ვუპასუხე. მოხუცმა მათხოვარმა თავი დააქნია და გაიცინა. შემორჩენილი დაბრეცილი ჩაყვითლებული კბილები გამოუჩნდა, – მახსოვს, როგორ შემოვიდნენ პირველად ქაბულში, რა ბედნიერი დღე იყო! ყველას გვეგონა, რომ ბოლო მოეღო მკვლელობებს. ვაი, ვაი! მაგრამ როგორც პოეტი ამბობს, „რა სრულყოფილი ჩანს სიყვარული, ვიდრე უბედურება გეწვევა“.

სახე გამებადრა, – ვიცი, ეგ ღაზალი ჰაფეზისაა.

– დიახ, ჰაფეზია. უნივერსიტეტში ვასწავლიდი.

– მართლა?

მოხუცმა ჩაახველა. 1958-1996 წლებში. ვასწავლიდი ჰაფეზს, ხაიამს, რუმის, ბედილის, ჯამის, საადის. 1971 წელს თეირანში მიმიწვიეს ბედილის მისტიკაზე ლექციების წასაკითხად. რომ დავამთავრე, ფეხზე წამოდგნენ და ტაშს ისე უკრავდნენ, აბა! – თავი გაიქნია. მაგრამ ხომ ნახე ის ახალგაზრდები პატრულის მანქანაში, რაზე ეტყობათ, რომ სუფიზმის რამე გაეგებათ?

– დედაჩემი ასწავლიდა უნივერსიტეტში, – ვთქვი მე.
– რა ერქვა?
– სოფიო აკრამი
თვალი აუციმციმდა. – უდაბნოს ეკალი არის და არის, უძლებს ყველაფერს, გაზაფხულის ყვავილი კი მალევე ჭკნება. რა ფაქიზი და ღირსეული... დიდი ტრაგედია იყო.
– დედაჩემს იცნობდით? – მოხუცის წინ ჩავიმუხლე.
– დიახ, ლექციების შემდეგ ხშირად ვსხდებოდით და ვსაუბრობდით. მახსოვს, საბოლოო გამოცდის წვიმიანი დღე იყო. ჩაი დავლიეთ თაფლით და ნუშის ნამცხვარიც გეახელით. არასოდეს დამავიწყდება, რაც იმ დღეს მითხრა.
– რა გითხრათ? გთხოვთ, მომიყევით, – ბაბა დედაჩემს ყოველთვის ზოგადი ფრაზებით ახასიათებდა. „დიდებული ქალი იყო“ – მეტყოდა ხოლმე. მე კი დეტალები მაინტერესებდა, თუნდაც უმნიშვნელო. თმა უბრწყინავდა მზეზე? რომელი ნაყინი უყვარდა? რომელ სიმღერას ღიღინებდა ხოლმე თავისთვის? ფრჩხილებს იკვნეტდა? დედაჩემზე მოგონებები ბაბამ საფლავში ჩაიტანა. იქნებ მასზე ლაპარაკს იმიტომ არიდებდა თავს, რომ დანაშაულის განცდა ჰქონდა? ან იქნებ იმიტომ, რომ ძალიან მტკივნეული იყო მისი გახსენება? ალბათ ორივე.
– მეშინიაო, მითხრა. რატომ-მეთქი ვკითხე და ასე მიპასუხა: – ისეთი ბედნიერი ვარ, მეტისმეტად ბედნიერი, რომ მეშინია. ვინ შეგარჩენს ასეთ ბედნიერებას, ასე მაშინ ხდება, როცა ძალიან მნიშვნელოვანი რამ უნდა წაგართვანო. ჩუმად იყავი, სისულელებს მორჩი-მეთქი, ვუთხარი.
ფარიდმა მკლავზე მომკიდა ხელი, – უნდა წავიდეთ, ამირ-აღა, – თქვა მან. მკლავი გამოვწიე, – მერე, მერე? კიდევ რა თქვა?
– ნეტავ მახსოვდეს. დედათქვენი დიდი ხნის წინ გარდაიცვალა, ჩემი მეხსიერება კი ამ შენობებივითაა დაცხრილული. ვწუხვარ, მაგრამ აღარ მახსოვს.
– სულ ცოტა რამ მაინც გაიხსენეთ.
– გპირდები, ძალიან ვეცდები. უკანა გზაზე მოდი და მნახე.
– გმადლობთ, ძალიან დიდი მადლობა, – ვუთხარი მე. ახლა ვიცოდი, რომ დედაჩემს ნუშის ნამცხვარი და თაფლიანი ჩაი უყვარდა. კიდევ ვიცოდი, რომ „მეტისმეტი ბედნიერების“ ეშინოდა. მოხუცისგან ათ წუთში უფრო მეტი რამ შევიტყვე დადაჩემის შესახებ, ვიდრე ბაბასგან მთელი ცხოვრების განმავლობაში.
უცნაური დამთხვევა იყო. დედაჩემს ქუჩის მათხოვარი იცნობდა, მაგრამ მე და ფარიდს არაფერი გვითქვამს ერთმანეთისთვის ამასთან დაკავშირებით. ორივეს კარგად გვესმოდა, რომ ასეთი რამ ავღანეთში, განსაკუთრებით კი ქაბულში, ადვილად იყო შესაძლებელი. ბაბა იტყოდა ხოლმე, ორი უცნობი ავღანელი ერთ ოთახში შეუშვით ათი წუთით და იქიდან ნათესავები გამოვლენო.
მოხუცი დანგრეული სახლის კიბის საფეხურზე დავტოვეთ. გაიხსენა თუ არა რამე მოხუცმა, არ ვიცი. მე ის აღარ მინახავს.
ობოლთა ახალი თავშესაფარი კარტეშეს ჩრდილოეთით, დამშრალი მდინარე ქაბულის ნაპირას მდებარეობდა. დაბალი, ბარაკის ტიპის კედლებდახეთქილი შენობის ყველა

ფანჯარა ფიცრით იყო აჭედილი. კარტეშე ომით ყველაზე მეტად დაზიანებული უბანი იყო, მაგრამ ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა: ტანკებით გადათხრილი ქუჩები, უპატრონოდ მიტოვებული ნანგრევებად ქცეული სახლები, გადაყირავებული მანქანების ჟანგიანი კარკასები, ნაგავში ნახევრად ჩაფლული ეკრანჩამტვრეული ტელევიზორები და კედელზე შავი პულვერიზატორით გაკეთებული წარწერა: ზენდა ბად თალიბან! დღეგრძელი იყოს თალიბანი!

კარი დაბალმა, გამხდარმა კაცმა გაგვიღო. მელოტი იყო და ხშირი ჭაღარა წვერი ჰქონდა. გაცვეთილი ტვიდის ჟაკეტი ეცვა, თავზე არახჩინი ეხურა, სათვალე ცხვირის წვერზე ეკეთა. შავ, მუხუდოს მსგავს პატარა თვალებს აცეცებდა.

– სალამ ალეიქუმ, – თქვა მან.

– სალამ ალეიქუმ, – ვუპასუხე და პოლაროიდის ფოტო ვაჩვენე, – ამ ბიჭს ვეძებთ.

არც კი დაუხედავს, ისე მიპასუხა: – ვწუხვარ, არასოდეს მინახავს.

– ჯერ კარგად შეხედე, მეგობარო, – უთხრა ფარიდმა. – რატომ არ უყურებ?

– გთხოვთ, – ვთქვი მე.

სურათი გამომართვა და დახედა: – არა, არ ვიცი, აქ ყველა ბავშვს ვიცნობ, ეს არ შემხვედრია. თუ ნებას მომცემთ, საქმე მაქვს... კარი მოგვიხურა და ჩაკეტა.

– აღა, აღა, გააღეთ, არაფერს დავუშავებთ, – კარზე ვაკაკუნებდი და ვეხვეწებოდი.

– ხომ გითხარით, აქ არ არის-მეთქი, წადით აქედან.

– მეგობარო, თალიბები არ გეგონოთ, – ფარიდს შუბლი ჰქონდა კარზე მიბჯენილი და ისე ელაპარაკებოდა, – ამ კაცს უსაფრთხო ადგილას უნდა ბავშვის წაყვანა.

– ფეშავარიდან ვარ, ჩემი მეგობარი ამერიკელ წყვილს იცნობს, ქველმოქმედებას ეწევიან, ბავშვს შეიფარებენ, – ვგრძნობდი, რომ კარის მეორე მხარეს იდგა და გვისმენდა.

აშკარა იყო, რომ ჭოჭმანობდა.

– მისმინეთ, სოჰრაბის მამას ვიცნობდი, ჰასანი ერქვა, დედამისს ფარზანა. ბებიას სასას ეძახდა. წერაკითხვა იცის, შურდულს ხმარობს კარგად. იქნებ გადავარჩინოთ, აღა, გაგვიღეთ კარი!

სიჩუმე.

– მისი ბიძა ვარ, – ვთქვი მე.

ერთი წუთი გავიდა. შემდეგ გასაღები გადაატრიალდა და კარი გაგვიღო. რიგრიგობით გვიყურებდა.

– ერთ რამეში ცდებით.

– რაში?

– შურდულს კარგად კი არა, საუკეთესოდ ხმარობს. სულ თან აქვს, ერთი წუთითაც ვერ ნახავთ მის გარეშე.

კაცმა თავი წარმოგვიდგინა. თავშესაფრის დირექტორი იყო, სახელად ზამანი.

– მობრძანდით ჩემს კაბინეტში.

ბნელ, ჭუჭყიან კორიდორში გზა ფეხშიშველ გოგობიჭებს შორის გავიკვლიეთ და კაბინეტისკენ წავედით. არც ერთ ოთახს კარი არ ჰქონდა. ხალიჩები პირდაპირ მიწაზე

დაეგოთ, ფანჯრები პლასტიკატით აეკრათ. ოთახები უმატრასო მეტალის საწოლებით იყო გადაჭედილი.

– რამდენი ობოლი ცხოვრობს? – იკითხა ფარიდმა.

– უფრო მეტი, ვიდრე ადგილი გვაქვს. ორას ორმოცდაათი, – თქვა ზამანმა, – მაგრამ ყველა ობოლი არ არის. უმეტესობამ მამა დაკარგა ომში. დედებს რჩენა არ შეუძლიათ. თალიბები მუშაობის უფლებას არ აძლევენ. ბავშვები დედებს მოჰყავთ ჩვენთან. ხელი ჩაიქნია და შეწუხებულმა დაამატა: – ქუჩაში ყოფნას კი ჯობია, მაგრამ... ეს შენობა ხალიჩების საწყობი იყო, ამიტომ არც გათბობაა და არც წყალი. ჭაც დაშრა. ვინ დათვლის, რამდენჯერ ვთხოვე თალიბებს ფული ახალი ჭის ამოსათხრელად, მაგრამ ფული არ გვაქვსო, მეუბნებიან. გესმით? – მწარედ ჩაიცინა.

ხელი კედლებთან ჩამწკრივებული საწოლებისკენ გაიშვირა, – საწოლები, მატრასები, საბნები, საკმარისი არაფერი გვაქვს. პატარა გოგო დაგვანახვა, სახტუნაოზე ხტუნაობდა.

– ამ გოგოს ხედავთ? გასულ ზამთარს ყინვისგან მოუკვდა ძმა. მხოლოდ ერთი თვის ბრინჯის მარაგი გვაქვს და ისიც რომ დამთავრდება, საუზმე და სადილიც ჩაი და პური იქნება, – სამხარი საერთოდ არ უხსენებია.

შეჩერდა და შემომხედა. არც ადგილი გვაქვს, არც საჭმელი, არც ტანსაცმელი, არც სუფთა წყალი, სამაგიეროდ, ბევრი ბავშვობადაკარგული ბავშვი გვყავს. უბედურება ისაა, რომ ესენი სხვებთან შედარებით იღბლიანებად ითვლებიან. დღე ერთია და ათობით დედას ვისტუმრებთ უარით.

ჩემკენ ნაბიჯი გადმოდგა და მითხრა: – თქვენ მითხარით, რომ სოჰრაბის გადარჩენა გინდათ, ღმერთს ვევედრები, რომ არ იტყუებოდეთ, აღა... თუ უკვე გვიან არ არის.

– რას გულისხმობთ?

– გამომყევით, – გვითხრა ზამანმა.

როგორც იქნა მივაღწიეთ დირექტორის ეგრეთ წოდებულ კაბინეტამდე, რომელიც სინამდვილეში ოთხი დახეთქილი კედელი, მატრასი, მაგიდა და 2 დასაკეცი სკამი იყო მხოლოდ. ჩამოვჯექით. ვირთხამ ფეხებში გაგვირბინა და ღია კარში გავარდა.

– რას ნიშნავს, თუ უკვე გვიან არ არის? – ვკითხე.

– ჩაის ხომ არ მიირთმევთ?

– არა, მირჩევნია, დრო არ დავკარგოთ.

სკამის ზურგს მიაწვა და ხელები ერთმანეთზე გადაიწყო.

– მძიმეა, რის თქმასაც ვაპირებ. სიმძიმესაც რომ თავი დავანებოთ, საშიშია.

– ვისთვის?

– თქვენთვის, ჩემთვის და, რასაკვირველია, სოჰრაბისთვის. კიდევ ერთხელ ვამბობ, თუ უკვე ძალიან გვიან არ არის.

– აუცილებლად უნდა ვიცოდე, გისმენთ, – ვთქვი მე.

– გასაგებია, მაგრამ ერთ კითხვაზე მიპასუხეთ, მართლა გინდათ თქვენი ძმისშვილის პოვნა?

გამახსენდა, როგორ იგერიებდა ჰასანი ბიჭებს ქუჩის ჩხუბების დროს ჩემ მაგივრად. ვერც ერთხელ ვერ გავბედე ჩაბმა, რაღაც სულ უკან მწევდა.

შემოსასვლელისკენ გავიხედე. პატარა გოგო-ბიჭები წრეში ცეკვავდნენ. ერთ გოგონას ფეხი მუხლის ქვემოთ ჰქონდა ამპუტირებული, მატრასზე იჯდა, ტაშს უკრავდა და იღიმოდა. დავინახე, როგორ უყურებდა ფარიდი ბავშვებს, ემოციებისგან დასახიჩრებული ხელი უკანკალებდა. ვაჰიდის ბავშვები დამიდგა თვალწინ და მივხვდი – სოჰრაბის გარეშე ავღანეთიდან არ წავიდოდი.

– მითხარით, სად არის, – ვთქვი მე.

ზამანი თვალს არ მაცილებდა. შემდეგ ფანქარი აიღო, ხელში შეათამაშა და თქვა:

– ჩემი სახელი არსად ახსენოთ.

– სიტყვას გაძლევთ.

ფანქრით მაგიდაზე დააკაკუნა...

– ვიცი, რომ ვინანებ, მაგრამ რაც იქნება, იქნება, ისედაც მახრჩობს ცოდვა და თუ სოჰრაბს მაინც ეშველა... გეტყვით, რადგან მჯერა თქვენი და თან ყველაფერზე წამსვლელს ჰგავხართ იმ ბავშვის გულისთვის.

ერთ ხანს ჩუმად იყო.

– თვეში ერთხელ თალიბების ოფიციალური წარმომადგენელი მოდის და ფული მოაქვს, ბევრი არაა, მაგრამ სულ არაობას სჯობს. სანაცვლოდ რომელიმე გოგონა მიჰყავს, მაგრამ ისეც ხდება, რომ ბიჭს ითხოვს.

– და შენ ამის უფლებას აძლევ? – ფარიდი ზამანს უახლოვდებოდა.

– რა არჩევანი მაქვს? – უკან, კედლისკენ დაიხია.

– შენ აქ დირექტორი ხარ თუ არა? შენი საქმე ამ ბავშვების დაცვაა!

– არაფერი შემიძლია, მე მათ ვერ შევაჩერებ.

– ბავშვებს ჰყიდი, ხომ ასეა!

– დაჯექი, ფარიდ, ბოლომდე თქვას, – ვთქვი მე, მაგრამ გვიან იყო. უცბად ზამანის სკამი სადღაც გაფრინდა. ფარიდი თავს დააცხრა, ყელში სწვდა და იატაკზე მიალურსმა; გასაქანს არ აძლევდა, რომ ამოესუნთქა, ზამანმა ხროტინი დაიწყო, ფართხალებდა, ფეხი უჯრას წაჰკრა, უჯრა გადმოყირავდა და ოთახის იატაკი ფურცლებით დაიფარა.

ფარიდს მივვარდი, ბეჭებზე ხელები შემოვხვიე, მაგრამ მომიშორა. სახეზე ალმური ასდიოდა, გაცოფებული ღრიალებდა: – მოვკლავ, შენ ვერ გამაჩერებ!

– ნუ ახრჩობ, თავი დაანებე! – ვყვიროდი მე, მაგრამ ვიცოდი, რომ რამე უნდა მეღონა, თორემ მალე ჩემს ცხოვრებაში პირველიმკვლელობის მოწმე გავხდებოდი.

– ფარიდ, ბავშვები გიყურებენ! – ერთი წამიც და ვიგრძენი, რომ დაძაბული კუნთები ოდნავ მოუდუნდა, თავი კარისკენ შეაბრუნა და ბავშვები დაინახა. საწყლები კართან იდგნენ ხელიხელჩაკიდებულები, ტიროდნენ. ფარიდმა ხელები დაუშვა, წამოდგა, ზამანს ზევიდან დახედა და სახეზე დააფურთხა. მერე კარისკენ წავიდა და მიხურა.

ზამანი ძლივძლივობით წამოდგა ფეხზე. სახელოთი დასისხლიანებული სახე და ფურთხი მოიწმინდა. ოხვრა-კვნესით არახჩინი დაიხურა, სათვალე გაიკეთა, თუმცა ორივე მინა ჩამსხვრეული იყო და ისევ მოიხსნა. კარგა ხანს ჩუმად ვიყავით. მერე თქვა: – სოჰრაბი ერთი თვის წინ წაიყვანა, – ხელები სახეზე ჰქონდა აფარებული.

– შენ თავს დირექტორს უწოდებ, არა? – თქვა ფარიდმა.

– ექვსი თვეა, ხელფასი არ ამიღია. სრული ბანკროტი ვარ, მთელი ჩემი დანაზოგი ამ სახლს მოვახმარე. თუ რამე მებადა, თუ რამე მერგო მემკვიდრეობით, არაფერი დავიშურე. თქვენ როგორ გგონიათ, მე არ მყავს ოჯახი? თუ მე ვერ გავიქცეოდი პაკისტანში ან ირანში? მაგრამ არა, დავრჩი, ამ ბავშვების გულისთვის დავრჩი. ერთ ბავშვზე თუ ვეტყვი უარს, ათს წაიყვანს. ერთი მიჰყავს, ალაჰისთვის მიმინდვია მისი განსჯა, და დანარჩენს მიტოვებს. თავმოყვარეობას ვივიწყებ, იმ წყეულ ბინძურ ფულს ვართმევ. მერე ბაზარში მივდივარ და ბავშვებისთვის საჭმელს ვყიდულობ.

ფარიდმა თვალები დახარა.

– წაყვანილ ბავშვებს რა ემართებათ? – ვკითხე.

საჩვენებელი თითით თვალები მოისრისა, – ზოგჯერ უკან ბრუნდებიან.

– ვინ არის? როგორ ვიპოვოთ?

– ღაზის სტადიონზე წადით ხვალ, პირველი ტაიმის მერე გამოჩნდება, მიხვდებით, შავი სათვალე მხოლოდ იმას უკეთია, დამტვრეული სათვალე აიღო, – ახლა მინდა, რომ წახვიდეთ. ბავშვებს ეშინიათ. წამოდგა და გაგვაცილა.

სატვირთო რომ დავძარით, უკან მივიხედე. კართან იდგა, ბავშვები გარს ეხვივნენ და დახეული პერანგის ბოლოზე ეჭიდებოდნენ.

<u>თავი ოცდამეერთე</u>

მდინარე გადავკვეთეთ და პუშტუნისტანის მოედნისკენ გავემართეთ. ბაბას ხშირად მოვყავდი ხოლმე აქ, რესტორანში, ქაბაბის საჭმელად. ფანჯრებაჭედილი შენობა ჯერ კიდევ იდგა, თუმცა კარზე კლიტე ედო. წარწერაც ნახევრად წაშლილი იყო. რესტორნის კარის რიდეზე ჩამომხრჩვალი კაცი ეკიდა. სახე გასიებული, გალურჯებული, ტანსაცმელი დაფლეთილი და სისხლიანი ჰქონდა... კაციშვილი არ აქცევდა ყურადღებას. უხმოდ ჩავუარეთ იქაურობას და ვაზირ აქბარ-ხანისკენ წავედით. მტვერი მთელ უბანს ნისლივით ედგა თავს. მოედანს ჩრდილოეთისკენ რომ გავცდით, ორი კაცი დამანახვა ფარიდმა. ქუჩის კუთხეში იდგნენ და ერთმანეთს საქმიანად ელაპარაკებოდნენ. ერთ-ერთს ცალი ფეხი მუხლის ქვემოთ ჰქონდა მოკვეთილი. ხელში ფეხის პროთეზი ეჭირა, – რას აკეთებენ, იცი? პროთეზის ფასზე ვაჭრობენ.

– თავის პროთეზს ყიდის?

– ჰო, – ფარიდმა თავი დამიქნია, – კარგი ფული ღირს, რამდენიმე კვირა ბავშვები დაპურებული ეყოლება.

ჩემდა გასაოცრად, ვაზირ აქბარ-ხანში დანგრეულ სახლებს ნაკლებად შეხვდებოდით. ღობეებს მიღმა ხეების კენწეროები მოჩანდა. იქაურობა აშკარად სახეშენარჩუნებული იყო. ქუჩებიც ბევრად უფრო სუფთად გამოიყურებოდა, ვიდრე კარტეშეში. საგზაო ნიშნებსაც კი ისევ ეტყობოდათ ისრები.

– არა უშავს აქაურობას, არა?

– რა არის გასაკვირი, ახლა აქ თვითონ ცხოვრობენ.

– თალიბები?
– თალიბებიც.
– კიდევ ვინ?
ფართო სუფთა ქუჩისკენ გაუხვია. ქუჩის ორივე მხარეს გალავანშემორტყმული სახლები იყო ჩამწკრივებული, – ისინი, ვინც თალიბების უკან დგანან, ამ მთავრობის ძალა და ტვინი: არაბები, ჩეჩნები, პაკისტანელები, – თქვა ფარიდმა, – აი, იქით, მეთხუთმეტე ქუჩას ახლა სარაკემემანა ჰქვია, ანუ სტუმრების ქუჩა. თავის თავს სტუმრებს უწოდებენ. ერთი ეგენი მანახა საკუთარ ფსელში ამომხრჩვალები!
– მგონი აქ არის! აი, იქ, – წამოვიძახე და ხელი ვარდისფერი სახლისკენ გავიშვირე.
ბაბა მეუბნებოდა პატარაობისას: თუ როდესმე გზა აგერია და სახლს ვერ მოაგენი, გახსოვდეს, რომ ჩვენი ქუჩის ბოლოს ვარდისფერი სახლი დგას. ეს ერთადერთი ვარდისფერი სახლი იყო მაშინაც და ახლაც.
ფარიდმა ქუჩაზე შეუხვია. ბაბას სახლი...
ეზოში, ასკილის ბარდთან პატარა კუ ვიპოვეთ. ნეტავ იქ რა უნდოდა? მოდი, წითლად შევღებოთ, – თქვა ჰასანმა. კარგი აზრია! წითელი ჯავშანით სადღა დაგვემალება! მამაცი მკვლევარები ვართ. ჯუნგლებში პრეისტორიული მონსტრი აღმოვაჩინეთ და ახლა მსოფლიოს უნდა წარვუდგინოთ. პატარა ურიკა, ალიმ წინა ზამთარს თავისი ხელით გაუკეთა ჰასანს დაბადების დღისთვის, გიგანტური ფოლადის გალიაა. შიგ ცეცხლისმფრქვეველი მონსტრია დამწყვდეული. ბალახზე მივაბიჯებთ, ჩვენ უკან ურიკა მოგორავს, ვაშლის და ალუბლის ხეები ცათამბჯენებია, ათასობით ფანჯრიდან ხალხი იყურება. ბაბას აგებული პატარა ნახევარმთვარის ფორმის ხიდი, ლეღვის ხეებთან, დიდი ქალაქების შემაერთებელი დაკიდული ხიდია, პატარა გუბურა კი – მღელვარე ზღვა. ხიდის გიგანტური ბოძებიდან ფოიერვერკს ისვრიან, ჯარისკაცები სამხედრო სალამს გვაძლევენ. პატარა კუ ურიკაში ჯაყჯაყებს, წრიულ გზას მივყვებით და რკინის ჭიშკარში გავდივართ. მსოფლიოს ლიდერები ფეხზე დგებიან და ტაშს გვიკრავენ, ჩვენ სალამს ვუბრუნებთ. ჰასანს და ამირს, სახელმოხვეჭილ თავგადასავლის მაძიებლებს და დიდ მკვლევრებს ჩადენილი სიმამაცისთვის საპატიო ორდენებით აჯილდოებენ...
გზას ფრთხილად გავუყევი. გალავნის კედლებს სარეველა მოსდებოდა. მამაჩემის სახლის ჭიშკართან უცნობივით ვიდექი. ჟანგიან გისოსებს ხელები ჩავჭიდე და წუთით ფიქრმა წამიღო. რამდენჯერ შემირბენია ამ ჭიშკარში, რამდენჯერ მგონებია, რომ ძალიან მნიშვნელოვან საქმეს ვაკეთებდი, ვინ მოთვლის. და როგორ დაკარგა ყველაფერმა აზრი... სახლთან მისასვლელი გზა, სადაც მე და ჰასანი ზაფხულობით ველოსიპედს ვატარებდით აღარ მომეჩვენა ისეთი გრძელი, როგორიც მახსოვდა.
ასფალტი ელვასავით კლაკნილ ხაზებად იყო დახეთქილი, სარეველა მოსდებოდა იქაურობას. ალვის ხეები გაეჩეხათ, ის ხეები, რომლიდანაც მე და ჰასანი მეზობლებს სარკეებს ვანათებდით. „აუღებელი სიმინდის კედელი“ ისევ იდგა, თუმცა სიმინდი არც აუღებელი ჩანდა სადმე და არც აღებული, ბალახი მტვრისფერი და გადამხმარი იყო, კედლიდან ბათქაში ცვიოდა.

სახლის წინ ჯიპი იდგა. რა უადგილოდ მეჩვენა! წლების განმავლობაში ბაბას რვაცილინდრიანი მუსტანგის ძრავის ქოთქოთით იწყებოდა დილა! ჯიპის ქვეშ ზეთის გუბე იდგა. იქვე გადაყირავებული ურიკა ეგდო. სადღა იყო ბაბას და ალის დარგული ვარდის ბუჩქები. გარშემო მტვერი, სიბინძურე, სარეველა...

– უნდა წავიდეთ, აღა, ყურადღებას მივიქცევთ, – თქვა ფარიდმა.

– კიდევ ორი წუთი, ფარიდ.

დიდი ქათქათა თეთრი სახლი ჩემი ბავშვობის მოგონებებში დარჩა. სახლი, რომელსაც ახლა ვუცქერდი, უფრო პატარა იყო. სახურავი დეფორმირებული ჰქონდა, სასტუმრო ოთახის, შესასვლელის, აბაზანის ჩამტვრეული ფანჯრები ნაუცბათევად ხის ფიცრებით აჭედილი, თეთრის ნაცვლად ჩამქრალი ნაცრისფერი, ბათქაშჩამოყრილ კედლებზე აქა-იქ შემორჩენილი ნესტისგან ამობურცული საღებავის ფენა, კიბის საფეხურები ჩატეხილი – ასეთი იყო მამაჩემის სახლი ახლა, მსგავსად ბევრი სხვა რამისა, ქაბულის გარდასულ დღეთა ბრწყინვალების ნაშთად ქცეული.

თვალებით ჩემი საძინებლის ფანჯრები მოვძებნე, მეორე სართული, მესამე ფანჯარა... ფეხის წვერებზე ავიწიე, ვერაფერი დავინახე. 25 წლის წინ ამ ფანჯარასთან ვიდექი თავსხმა წვიმაში და დაორთქლილი ფანჯრიდან ვხედავდი, როგორ აწყობდნენ ჰასანი და ალი მამაჩემის მანქანაში ბარგს.

– ამირ-აღა, – დამიძახა ფარიდმა.

– მოვდივარ.

როგორ მინდოდა სახლში შესვლა! წინკარში ალი თოვლიან ბოტებს გვატოვებინებდა მე და ჰასანს. მინდოდა, ისევ მეგრძნო ფორთოხლის კანის სურნელი, ალი რომ წვავდა ნახერხთან ერთად ღუმელში, ისევ განმეცადა სამზარეულოს მაგიდასთან ჩაის და დაბრაწული ნაანის გემო, ისევ გამეგონა ჰასანის ღიღინი. ფარიდმა დამიძახა. ლენდ კრუიზერისკენ წავედი, ფარიდი საჭესთან იჯდა და ეწეოდა.

– ერთი რამ კიდევ უნდა ვნახო.

– იჩქარე.

– ათი წუთი მომეცი.

– კარგი, წადი.

ის იყო უნდა წავსულიყავი და, – დაივიწყე ყველაფერი, უფრო იოლი იქნება.

– რა იქნება იოლი?

– ცხოვრების გაგრძელება. შენი მოგონებებიდან აღარაფერია გადარჩენილი.

დავიწყება კარგი გამოსავალია.

– აღარაფრის დავიწყება აღარ მინდა, უბრალოდ, ათი წუთი დამიცადე.

მე და ჰასანი ისე ადვილად ავირბენდით ხოლმე გორაკზე! გზაზე ერთმანეთს დავსდევდით, ხანდახან დავსხდებოდით ხოლმე და აეროპორტს გადავცქეროდით. ცოტა ხანს ვუყურებდით, როგორ ეშვებოდნენ თვითმფრინავები და ისევ გზას ვაგრძელებდით. ახლა სული ძლივს მოვითქვი, ოფლი წურწურით ჩამომდიოდა. ცოტა ხანს შევისვენე და ძველი სასაფლაოს ძებნა დავიწყე. დიდი ხანი არ დამჭირვებია. აი, ბროწეულის ხეც... ნაცრისფერ საფლავის ქვასთან დავიხარე. აქ დამარხა ჰასანმა დედამისი. წარწერები

თითქმის არც ერთ ქვაზე არ იკითხებოდა, მიწას და სარეველას დაეფარა იქაურობა. სასაფლაოს დაბალ კედელზე ყვავები ისხდნენ.

– ბროწეულს დიდი ხანია არ უყვავილია, – მწერდა ჰასანი წერილში. ალბათ ვეღარასდროს იყვავილებდა, ხე გამხმარი იყო. ვიდექი და მახსენდებოდა, როგორ შემოვჯდებოდით ხოლმე ბროწეულის ტოტებზე, ფეხებს უდარდელად ვიქნევდით, ფოთლებიდან მზე დაგვთამაშებდა. მუხლებზე დავეშვი, ხელები გავშალე და ხეს შემოვეხვიე, ვიპოვე, რასაც ვეძებდი, მივაგენი: „ამირი და ჰასანი, ქაბულის სულთნები“. თითი გავაყოლე თითო ნაჭდევს, მერე ხის ქერქის პატარა ნაწილები ავკრიფე.

ფეხმორთხმით დავჯექი და ჩემი ბავშვობის ქალაქს გადავხედე. ძველ დროს ყოველი სახლის ეზოში ხეები ხარობდა, ცა იყო უსაზღვრო და ლურჯი, თოკებზე გასაშრობად გაფენილი თეთრეული – ქათქათა. კარგად თუ მიუგდებდით ყურს, აუცილებლად გაიგონებდით ხილით მოვაჭრის ხმას: „ალუბალი, ატამი, ყურძენიიი“, საღამო ხანს შერანაუს მეჩეთიდან გადმომდგარი მოლა აზანს იძახდა, მორწმუნეებს ლოცვის დაწყების დროს ახსენებდა... სიგნალის ხმა გავიგე და დავინახე, რომ ფარიდი ხელს მიქნევდა. წასვლის დრო იყო.

ისევ სამხრეთისკენ წავედით, პუშტუნისტანის მოედანი გავიარეთ. გზად შეიარაღებული, წვერიანი ახალგაზრდა კაცებით სავსე წითელი პიკაპი შეგვხვდა. ყოველი მათგანის გამოჩენაზე ფარიდი ხმადაბლა იკურთხებოდა.

პუშტუნისტანის მოედანთან ახლოს ოთახი ვიქირავე. მეპატრონემ 75 დოლარი გამომართვა. იქვე სამი პატარა გოგონა იდგა, ერთნაირი შავი კაბები ეცვათ და თეთრი თავსაფრები ეფარათ. თვალს არ აშორებდნენ დახლის უკან მდგარ კაცს. წარმოუდგენლად მაღალი ფასი იყო ნახევრად დანგრეული სასტუმროს ოთახისთვის, მაგრამ ხმა არ ამომიღია. ერთია, როცა ჰავაიში მაღალი კლასის სასტუმროში გფცქვნიან და მეორე, როცა მშიერი ბავშვები გიცდიან.

ცხელი წყალი არ მოდიოდა, ტუალეტი არ ირეცხებოდა. მხოლოდ ნიკელის საწოლი და გაცვეთილი მატრასები, დაგლეჯილი საბანი და კუთხეში ხის სკამი. ჩემოდანი რომ დავდე, კედელზე სისხლის ლაქა შევნიშნე, ფანჯარა ჩატეხილი იყო.

ფარიდს ფული მივეცი და საჭმლის მოსატანად გავუშვი. ოთხი შამფური შიშხინა ქაბაბი, ცხელ-ცხელი ნაანი და ერთი ჯამი ბრინჯი მოიტანა. საჭმელს მგლებივით დავაცხრით. ერთი რამ მაინც დამხვდა უცვლელი ქაბულში – ქაბაბი ისევ ისეთი რბილი და არომატული იყო.

იმ ღამეს საწოლზე მე დავწექი, ფარიდი იატაკზე მოეწყო და საბანში გაეხვია. ამ საბანში მეპატრონემ ცალკე გამომართვა ფული. უკუნეთი სიბნელე იდგა. მხოლოდ გატეხილი ფანჯრიდან შემოსული მთვარის მკრთალი შუქი ანათებდა იქაურობას. მეპატრონეს უთქვამს ფარიდისთვის, რომ ორი დღის განმავლობაში მთელ ქაბულში ელექტრობა ყოფილა გათიშული. ძილის წინ ცოტა ვილაპარაკეთ. მომიყვა, როგორ შეუერთდნენ ის და მამამისი ჯიჰადს და როგორ აღმოჩნდნენ შურავის წინააღმდეგ მარტო.

თავი რომ გადაერჩინათ, თურმე კალიებს ჭამდნენ. მერე მომიყვა, როგორ დაცხრილეს მამამისი ვერტმფრენიდან, როგორ აფეთქდნენ მისი გოგონები ნაღმზე. ბოლოს ამერიკაზე

შემეკითხა. მარკეტში ოცი სახეობის მარტო ბურღულეული იყიდება, ცხვრის ხორცი სულ ახალია, რძე სულ ცივი, ხილი უამრავი და წყალი სუფთამეთქი, ვუთხარი.

– ყველა ოჯახს ტელევიზორი აქვს, ყველა ტელევიზორს – დისტანციური მართვის აპარატი. თუ გინდა, სატელიტურ თეფშს შეიძენ და ხუთას არხს უყურებ.

– ხუთასს?

– ჰო, ხუთასს.

გაჩუმდა. ვიფიქრე ჩაეძინა-მეთქი, მაგრამ ამ დროს ჩაახველა, – აღა, ისამბავი თუ გახსოვს, მოლა ნასრედინის ქალიშვილმა რომ უთხრა მამამისს, ქმარმა მცემაო? – სიბნელეში ვერ ვხედავდი ფარიდს, მაგრამ ვგრძნობდი, რომ იღიმოდა. არ არსებობს ავღანელი, მოლა ნასრედინის რამდენიმე ანეკდოტი მაინც რომ არ იცოდეს.

– მერე?

– მერე მოლამაც სცემა და ისე გაუშვა ქმართან. გადაეცი მაგ ნაბიჭვარს, ეგ ჩემს ქალიშვილს სცემს, მე კი მის ცოლსო.

გამეცინა. ნაწილობრივ, ანეკდოტზე და უფრო მეტად კი იმაზე, რომ ავღანური იუმორი ოდნავადაც არ შეცვლილა. ინტერნეტი გამოიგონეს, რობოტები მარსის ზედაპირს იკვლევდნენ და ავღანეთში ისევ მოლა ნასრედინის ანეკდოტებზე ვიცინოდით.

– ის იცი, მოლამ რომ მძიმე ჩანთა მოიგდო მხრებზე და ისე შეჯდა ვირზე?

– არა.

– ვიღაცამ ჰკითხა, ვირს რატომ არ აჰკიდე ჩანთაო და ცოდოა, მეც ვეყოფი, ისედაც მძიმე ვარო, უპასუხა.

კიდევ რამდენიმე ანეკდოტი მოვუყევით ერთმანეთს და ბოლოს გავჩერდით.

– ამირ-აღა, რატომ ჩამოხვედი?

– ხომ გითხარი.

– ბიჭის გამო?

– ბიჭის გამო.

– ცოტა ძნელი დასაჯერებელია.

– ზოგჯერ მეც არ მჯერა, აქ რომ ვარ.

– მთელი მსოფლიო იმ ბიჭის გამო გამოიარე? იმ შიიტი ბიჭის გამო?

ბოლო კითხვამ გუნება გამიფუჭა. ძილი აღარ მომკარებია.

– დაღლილი ვარ, მოდი დავიძინოთ, – ვუთხარი ფარიდს.

მალე ფარიდმა ხვრინვა ამოუშვა. ხელები მკერდზე მქონდა გადაჯვარედინებული და გატეხილი ფანჯრიდან შემოჭრილ მთვარის შუქს ვუყურებდი. იქნებ მართალიც იყო ის ხალხი, ვინც ამბობდა, ავღანეთს არაფერი აღარ ეშველებაო. ღაზის სტადიონზე უამრავ ხალხს მოეყარა თავი. ბეტონის ტერასებზე ტევა არ იყო. რიგების გასასვლელებში ბავშვები დარბოდნენ. სოუსში ჩაწყობილი მუხუდოს სუნი ნეხვისას და ოფლისას ერეოდა. სიგარეტს, თხილს და ტკბილეულს დამტარებლები ყიდიდნენ. ერთი გამხდარი ბიჭი მკლავზე წამეტანა. ტვიდის ჟაკეტი ეცვა, არ გინდა „მაგარი ეროტიული სურათები“, მკითხა. თვალები აქეთი-ქით გაურბოდა. ერთი გოგო გამახსენდა, ამერიკაში რამდენიმე წლის წინ ნარკოტიკი რომ შემომთავაზა. ბიჭმა ჟაკეტი გადაიხსნა და „სექსის“ სურათები

მაჩვენა. თავიდან ფეხებამდე ჩაცმული ვნებიანი ინდოელი მსახიობი ქალები თავის შეყვარებულებს ეხვეოდნენ.

– არა, გმადლობთ, – ვუპასუხე და გზა განვაგრძე.

– დაიჭერენ მაგ საწყალს, ისეთ დღეს დააყრიან, არასოდეს დაავიწყდება, – ჩაილაპარაკა ფარიდმა.

ადგილები დანომრილი არ იყო. ვინც სად ნახავდა ადგილს, იქ ჯდებოდა. ფარიდმა იდაყვის კვრით გაიკვლია გზა, ბოლოს ცენტრიდან მარცხნივ თავისუფალი ადგილები ვიპოვეთ და დავსხედით.

70-იან წლებში სათამაშო მოედანი ხასხასა მწვანე ბალახით იყო დაფარული. ბაბას ხშირად მოვყავდი ხოლმე ფეხბურთის მატჩზე. ახლა, ბალახი არა, მაგრამ ორმოები, ჭუჭყი და მტვერი კი იცოცხლე, ბლომად იყო. განსაკუთრებით, სამხრეთის კარის უკან ამოთხრილი ორი ორმო მოგხვდებოდათ თვალში. როგორც იქნა, გუნდები მოედანზე განლაგდნენ და თამაში დაიწყო. დარტყმა და... ბურთი მტვრის ღრუბელში ისე გაეხვია, რომ თვალის მიდევნება შეუძლებელი გახდა. ახალგაზრდა თალიბები მათრახით ხელში დადიოდნენ რიგებს შორის. აბა, ვინმეს გაებედა და ზედმეტად ხმამაღლა გამოეხატა ემოცია!

სასტვენის ხმა... პირველი ტაიმი დამთავრდა. მოედანზე ორი წითელი პიკაპი შემოგრიალდა. ხალხი ფეხზე წამოდგა. ერთ მანქანაში, ძარაზე, მწვანე ბურქაში ჩაცმული ქალი იჯდა, მეორეში თვალებახვეული კაცი. ყურადღების მისაქცევად მანქანებმა რიგებს ნელი სვლით ჩაუარეს. დაძაბულმა, ფეხის წვერებზე წამოწეულმა ხალხმა სული განაბა. ფარიდი ჩუმად ამბობდა ლოცვას. მანქანები მტვრის კორიანტელში ერთმანეთის პარალელურად მოძრაობდნენ. მოედნის ბოლოს მესამე მანქანა იდგა, რაღაცას ეზიდებოდნენ. უეცრად მივხვდი, რისთვის იყო სამხრეთის კართან ორი ორმო ამოთხრილი.

– დარჩენა გინდა? – მკითხა ფარიდმა.

– არა, – იქ ყოფნას მერჩივნა, რომ მიწა გამხეთქოდა და ჩავეტანე, – მაგრამ მოგვიწევს.

მხარზე კალაშნიკოვგადაკიდებულმა თალიბმა მანქანიდან თვალებაკრული კაცი გადმოიყვანა. მეორე მანქანიდან ბურქაში გამოხვეული ქალი გადმოსვეს. ქალს მუხლებმა უმტყუნა და დაეცა, წამოაყენეს და ისევ დაეცა. ისე კიოდა, რომ სანამ პირში სული მიდგას, ის არაადამიანური, ხაფანგში მოქცეული მხეცის ხმა არ დამავიწყდება. სამმა თალიბმა ძლივს გააკავა და ბოლოს ერთ-ერთ ორმოში ჩააგდეს. თვალებახვეულ კაცს წინააღმდეგობა არ გაუწევია. მიწის ზევით სასჯელმისჯილების თავები და მხრები ჩანდა მხოლოდ.

თეთრწვერა პირმრგვალმა მოლამ მიკროფონი მოიმარჯვა, ჩაახველა და გრძელი ლოცვის კითხვა დაიწყო. მის უკან ორმოში ჩაგდებული ქალი ისევ ისე კიოდა. ბრბო გაიტრუნა. მოლას ხმა ტალღებივით ირწეოდა სიჩუმეში. მახსოვს, ბაბამ მითხრა ერთხელ:

– წვერზე უნდა მიაფსა მაგ თვითკმაყოფილ მაიმუნებს. ცერა თითით კრიალოსნის მძივებს ითვლიან და ზეპირად სწავლობენ, რომ არ ესმით, იმ ენაზე დაწერილ წიგნს, მეტი არაფერი იციან. ღმერთო, დაიფარე ავღანეთი მათ ხელში ჩავარდნისგან!

მოლამ ლოცვა ჩაამთავრა, ერთი წამით გაჩუმდა და შემდეგ: – ძმანო დადანო! – ფარსის ენაზე მიმართა ხალხს. სტადიონს გუგუნით გადაურა მისმა სიტყვებმა, – ჩვენ აქ

შევიკრიბეთ, რათა შარიათის კანონი აღვასრულოთ, რათა სამართლიანობა აღვადგინოთ. ალაჰის და მისი მოციქულის მუჰამადის ნება, დიდება მათ სახელს, უკუნისით უკუნისამდე, ცოცხალია ჩვენს საყვარელ სამშობლოში. ღმერთის სიტყვას ვუსმენთ და ვემორჩილებით, რადგან მისი დიდების წინაშე უმწეო, უძლური არსებები ვართ. და რას ამბობს ღმერთი?

გეკითხებით, რას ამბობს ღმერთი? ღმერთი ამბობს, რომ ყოველ ცოდვილს საკადრისი სასჯელი უნდა მიეზღოს. ეს ღმერთის სიტყვებია! – ხელები ცისკენ აღაპყრო, – ძალიან ცხელოდა. თავი მისკდებოდა.

– ყოველ ცოდვილს საკადრისი სასჯელი! – ხაზგასმით, დრამატულად გაიმეორა, – ჩემო დანო და ძმანო! რა სასჯელი მივაგოთ გარყვნილებას? როგორ დავსაჯოთ ისინი, ვინც ქორწინების წმინდა კავშირი დაარღვია? ვინც ღმერთი შეურაცხყო და მისი სახლის სარკმელს ქვა ესროლა? პასუხი ერთია: უნდა ჩავქოლოთ! – მიკროფონი გამორთო.

– და თავის თავს ესეც მუსლიმს უწოდებს, – თავის ქნევით ჩაიჩურჩულა ფარიდმა.

პიკაპიდან მაღალი, მხარბეჭიანი კაცი გადმოვიდა. მისმა გამოჩენამ ბრბოს ერთი ნაწილის დიდი აღტაცება გამოიწვია. ამჯერად არავინ ცდილობდა მათი ხმების მათრახით ჩახშობას. ქათქათა თეთრი სამოსი ეცვა, მისი პერანგის ბოლოს ნიავი აფრიალებდა. ჯვარზე გაკრული ქრისტესავით მკლავებგაშლილი სტადიონის ყველა მხარეს მიბრუნდა და ხალხს მიესალმა. ჩვენს სექციას რომ გაუსწორდა, დავინახე, რომ მრგვალი შავი სათვალე ეკეთა, ისეთი, ჯონ ლენონი რომ ატარებდა.

– ეს უნდა იყოს, – ჩაილაპარაკა ფარიდმა.

მაღალი, შავსათვალიანი თალიბი ქვების გროვასთან მივიდა. სანამ მოლა სიტყვას იტყოდა, მესამე მანქანიდან ქვები გადმოტვირთეს. დიდი ქვა აიღო და ხალხის დასანახად ხელი გაშალა. აჟიოტაჟი მინელდა, ხმაური ჩაწყნარდა. მხოლოდ უცნაური ზუზუნი ისმოდა. გარშემო მიმოვიხედე, „ნწ“, „ნწ“ – ყველა ენას აწკლაპუნებდა, ვითომ თანაგრძნობა ეხატათ დაბრეცილ ტუჩებზე. თალიბმა, რა უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, ამ დროს ბეისბოლის ბურთის ჩამწოდებელს რომ ჰგავდა, ხელი შემართა და თვალებახვეულ კაცს ქვა შიგ თავში გაუქანა. მეორე ორმოში ქალი აკივლდა. ბრბოს „ვაი“ აღმოხდა. თვალები დავხუჭე, სახეზე ხელები ავიფარე. ერთ ხანს ყოველ ქვის სროლას „ვაი“ მოსდევდა, ბოლოს გაირითმა „ვაი, ვაი, ვაი“. ცოტა ხანში ფარიდს ვკითხე: მორჩა? – არა, ჯერ არა. აღარც მახსოვს, რამდენ ხანს ვიჯექი თვალებდახუჭული და სახეზე ხელებაფარებული, თვალი რომ გავახილე, ჩემ გარშემო ხალხი კითხულობდა: – მორდ? მორდ? აღესრულა? მკვდარია?

კაცს თავი წინ გადავარდნოდა, ნიკაპი მკერდზე ჰქონდა მიბჯენილი. დაგლეჯილი ტანსაცმელი და სისხლი ერთმანეთში აზელილ მასად იყო ქცეული. თალიბი, ჯონ ლენონის სათვალით, ქვას ხელში ათამაშებდა და ორმოსთან ჩაცუცქულ კაცს ზევიდან დაჰყურებდა. კაცს სტეტოსკოპის ერთი ბოლო ყურში ჰქონდა გარჭობილი, მეორეთი ორმოში ჩაკლულს სინჯავდა. ბოლოს სტეტოსკოპი მოიძრო და თალიბს თავი დაუქნია. ბრბომ ამოიგმინა. სისხლიანი გვამები პიკაპის ძარაზე შეყარეს. რამდენიმე კაცმა სასწრაფოდ დაიწყო ორმოების ამოვსება. ერთ-ერთი სისხლის ლაქებს ფეხით აყრიდა მიწას. რამდენიმე წუთში მოედანი მოთამაშეებმა დაიკავეს, მეორე ტაიმი იწყებოდა.

ჩვენი შეხვედრა იმავე დღეს, ნაშუადღევის 3 საათზე დაიგეგმა. უნდა ვთქვა, რომ ყველაფერი ძალიან სწრაფად და იოლად მოგვარდა. მოველოდი, რომ საბუთებს შეგვიმოწმებდნენ, უამრავ კითხვას დაგვისვამდნენ, მაგრამ ფარიდმა შემახსენა, რომ ავღანეთში ოფიციალური საქმეებიც კი არაოფიციალურად გვარდებოდა. მან ერთ მათრახიან თალიბს უთხრა, რომ პირადი საქმე გვქონდა თეთრებში ჩაცმულ თალიბთან. რამდენიმე სიტყვა და მათრახიანმა პუშტუს ენაზე რაღაც გასძახა მინდორზე მდგომ ახალგაზრდას, ახლგაზრდამ სათვალიან თალიბთან მიირბინა, რომელიც იმ დროს პირმრგვალ მოლას ელაპარაკებოდა. ცოტა ხანს ბჭობდნენ. ბოლოს სათვალიანმა ზევით ამოიხედა და თავი დააქნია. სულ ეს იყო, შევთანხმდით, 3 საათზე.

<u>თავი ოცდამეორე</u>

ვაზირ აქბარ-ხანი, სარაკემემანას, სტუმრების ქუჩის 15. ფარიდმა მანქანა ტირიფის ჩრდილქვეშ გააჩერა და ძრავა გამორთო. ცოტა ხანს ჩუმად ვისხედით. ეტყობოდა, რომ რაღაცის თქმას აპირებდა.

– მანქანაში დაგიცდი, – თქვა ბოლოს. თვალებში ვერ მიყურებდა, თითქოს ბოდიშს მიხდიდა, – დანარჩენი შენი გასაკეთებელია. მე...

– ისედაც ვალში ვარ შენთან, ახლა ჩემი რიგია, – ვთქვი და გულში ვფიქრობდი, რა იქნება, ბაბა იყოს ჩემ გვერდით-მეთქი. პირდაპირ შეაჭრიდა, მოითხოვდა, უფროსთან წამიყვანეთო და ვაი იმას, ვინც წინ გადაეღობებოდა! მაგრამ ბაბა დიდი ხანია ჰეივორდში, ავღანელთა სასაფლაოზე განისვენებდა. ბოლოს ერთი თვის წინ მივიტანეთ მე და სორაიამ შროშანებისა და ღიღილოების თაიგული მის საფლავზე.

მანქანიდან გადმოვედი და ხის ჭიშკრისკენ გავემართე. ზარი დავრეკე, დენი ისევ გათიშული იყო, დავაკაკუნე. ცოტა ხანში ორმა ავტომატით შეიარაღებულმა კაცმა გამიღო კარი.

ფარიდისკენ მივტრიალდი, ძალიან კი მეპარებოდა ეჭვი, მაგრამ მაინც ვთქვი, – მალე დავბრუნდები.

თავიდან ტერფებამდე გამჩხრიკეს. ფეხებზე, ფეხებშორის ყველგან ხელი მიტყაპუნეს, თან ერთმანეთს სიცილით რაღაცას ეუბნებოდნენ პუშტუს ენაზე. ბოლოს კარგად მოვლილ ეზოში შევედით. სახლის კედლების გასწვრივ ნემსიწვერა ხარობდა, ბუჩქები და ბალახი გაკრეჭილი იყო, ეზოში ჭა შევნიშნე. კაკა ჰომაიონს ჰქონდა ზუსტად ასეთი ჭა ჯალალაბადში, მე და ტყუპები, ფაზილა და ქარიმა, კენჭებს ვყრიდით ხოლმე შიგ.

რამდენიმე საფეხური ავიარეთ და დიდ, ნახევრად ცარიელ ფოიეში შევედით. კედელზე ავღანეთის უზარმაზრი დროშა იყო გაკრული. დაცვამ მეორე სართულზე ამიყვანა. კუთხეში ბალახისფერი სავარძლები და ფართოეკრანიანი ტელევიზორი იდგა. ერთ-ერთ კედელზე გაკრულ ხალიჩაზე მექა იყო გამოსახული. ავტომატით სავარძლისკენ მიმითითეს და ოთახიდან გავიდნენ.

დავჯექი, ფეხი ფეხზე გადავიდე, მერე ისევ ჩამოვდგი, ოფლიანი ხელები მუხლებზე დავიწყე. ასე ალბათ ძალიან მეტყობა, რომ ვღელავ. მუშტები შევკარი, არა, ასე უარესია, ბოლოს მკერდზე გადავიჯვარედინე. საფეთქლები ლამის დამისკდეს, ფიქრი არ მინდა, იმიტომ, რომ ვიცი, სიგიჟეში მაქვს თავი გაყოფილი. ათასობით კილომეტრი მაშორებს ცოლს, სავარძელში ვზივარ და ველოდები კაცს, რომელმაც ცოტა ხნის წინ, ჩემ თვალწინ ორი ადამიანი ქვით ჩაქოლა. სიგიჟე იყო, აბა რა! სორაიას რას ვერჩოდი? 36 წლის ასაკში უნდა დამექვრივებინა? ეს შენ არა ხარ, ამირ, – ამბობდა ჩემი ერთი ნაწილი. შენ და გმირობა? მხდალი ხარ, ასეთი დაიბადე. რა მოხდა მერე, რა არის დასაძრახი იმაში, რომ მშიშარა და წინდახედული იყო? არაფერი, სანამ ეს გახსოვს, ცოდო მაშინ ხარ, თუ დაგავიწყდა... გფარავდეს ღმერთი!

ტახტის წინ პატარა მაგიდა იდგა. მაგიდის ფეხები კაკლისტოლა მეტალის ბურთულებით იყო დამაგრებული. სადღაც მინახავს ასეთი მაგიდა, სად? ჰო, ფეშავარში, საჩაიეში. მაგიდაზე ყურძნით სავსე ჯამი იდგა. ერთი მარცვალი მოვწყვიტე და პირში ჩავიდე. რაღაცით უნდა დავკავებულიყავი, რომ ფიქრი განმედევნა. ყურძენი ტკბილი იყო. რა ვიცოდი, რომ იმ მომენტში კარგა ხნით დავემშვიდობე ჭამას.

კარი გაიღო და აი, ისიც! თეთრებში ჩაცმულ თალიბს აქეთ-იქით შეიარაღებული კაცები ედგნენ. ჯონ ლენონის სათვალე ისევ ეკეთა, ახალი თაობის მხარბეჭიან გურუს ჰგავდა. ჩემ წინ დაჯდა. ჩუმად იყო, იჯდა და მიყურებდა. ცალი ხელით სავარძლის სახელურზე აკაკუნებდა, მეორეთი ფირუზისფერი კრიალოსნის მძივებს ათვლიდა ერთმანეთს. თეთრ პერანგზე შავი ჟილეტი მოეცვა, მაჯაზე ოქროს საათი ეკეთა. მარცხენა სახელოზე სისხლის ლაქა შევნიშნე. რა მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ რატომ არ გამოიცვალა?

დროგამოშვებით თავისუფალ ხელს ზევით სწევდა და ისე ამოძრავებდა, გეგონებოდათ, რომ პატარა უხილავ არსებას ეფერებოდა. სახელოდან მაჯა გამოუჩნდა, რაღაც უცნაური ლაქები შევნიშნე. ასეთი ლაქები სან ფრანცისკოში მაწანწალებზე მინახავს. ბევრად უფრო ფერმკრთალი იყო, ვიდრე სხვები. შავი ჩალმის ქვეშ, შუბლზე, ოფლის მსხვილი წვეთები ასხდა. მკერდამდე დაფენილი წვერიც უფრო ღია ფერის ჰქონდა.

– სალამ ალეიქუმ, – თქვა მან.

– სალაამ.

– შეგიძლიათ მოიძროთ, აღარ გჭირდებათ, – თქვა მან.

– უკაცრავად, ვერ გავიგე, – ვთქვი მე.

დაცვას რაღაც ანიშნა. უეცრად ფხრიიწ, და სანამ აზრზე მოვიდოდი, წვერი ამახიეს. კარგა ხანს სიცილით აბურთავეს ხელში. ბოლოს თალიბმა თქვა: – სხვათა შორის, საუკეთესო პარიკია, მაგრამ მგონი ასე ჯობს, არა? – ხელით მუშტს კრავდა და ისევ ხსნიდა,

– ინშალლა, ალბათ დღეს შოუ მოგეწონათ.

– შოუ იყო? – ვკითხე, თან ლოყებს ვისრესდი, იმედი მქონდა, რომ ხმა არ ამიკანკალდებოდა.

– საჯაროდ დასჯა საუკეთესო შოუა, ჩემო ძმაო, დრამატული, დაძაბული, რაც მთავარია, საგანმანათლებლო დანიშნულება აქვს. ყველასთვის კარგი გაკვეთილია, – თითები გაატკაცუნა და ახალგაზრდა მცველმა სანთებელა მიაგება. თალიბმა გაიცინა. ხელები ისე

უკანკალებდა, კინაღამ სიგარეტი გაუვარდა,– ნამდვილი შოუ? ჩემთან ერთად უნდა ყოფილიყავით მაზარში 1998 წელს. ის იყო, თუ იყო ნამდვილი შოუ.

– ვერ გავიგე?

– მათი გვამები ძაღლებს მივუგდეთ საჯიჯგნად.

მივხვდი, საითაც უმიზნებდა.

წამოდგა, გაიარ-გამოიარა, ისევ დაჯდა და დაიწყო: – სახლებში ვუვარდებოდით, კაცები და პატარა ბიჭები გარეთ გამოგვყავდა და იქვე, ოჯახების თვალწინ ვხოცავდით, – სწრაფად ლაპარაკობდა, – სახლიდან სახლში გადავდიოდით, ზოგჯერ კარებს შევამტვრევდი და პირდაპირ ოთახში, ყველა მიმართულებით ვუშვებდი ავტომატის ჯერს, ვცხრილავდი ყველას და ყველაფერს, მანამდე ვისროდი, სანამ კვამლი თვალებს დამწვავდა, – უკვე ქოშინებდა, – თავისი ადგილი უნდა იცოდნენ, აღარ დაავიწყდებათ, ვინ არიან და რას იმსახურებენ, – ჩემკენ გადმოიხარა, გეგონებოდათ, დიდ საიდუმლოს მიმხელდა, – ამ დროს გრძნობ, რა არის ნამდვილი თავისუფლება, ისვრი და იცი, ყოველი ტყვია მიზანში ხვდება, იცი, რომ უცოდველი ხარ, არც სინდისი გქენჯნის, არც დანაშაულის განცდა, იცი, რომ ღმერთის რჩეული ხარ და მის საქმეს აკეთებ... შეუდარებელი განცდაა...

– ხომ გახსოვს, ჯავიდ?

– რა დამავიწყებს, აღა-საჰიბ.

მაზარიშარიფში ჰაზარებისთვის სასაკლაოს მოწყობის შესახებ გაზეთიდან შევიტყვე ქალაქი კარგა ხანს უმკლავდებოდა თალიბებს, ბოლოს ვეღარ გაუძლო შეტევას და დაეცა. მახსოვს, გაზეთი სორაიამ მომაწოდა საუზმის დროს, სახე მიტკალივით თეთრი ჰქონდა.

– სახლიდან სახლში, ვჩერდებოდით მხოლოდ ლოცვისთვის, – ისეთი სიამაყით და სიყვარულით თქვა, გეგონებოდათ, დიდ საგმირო საქმეს იხსენებდა, – გვამებს ქუჩებში ვტოვებდით, ვინც მათ სახლში შეთრევას გადაწყვეტდა, ვაი მას, ტყვია ზედ ჰქონდა! რამდენიმე დღე ეყარნენ ქუჩებში, ძაღლები ჯიჯგნიდნენ, ძაღლის ხორცი ძაღლს... – სიგარეტი ჩააქრო, აკანკალებული ხელით თვალები მოისრისა, – ამერიკიდან ჩამოხვედით?

– დიახ.

– რას შვრება ის ბებერი ბოზი?

შარდის ბუშტი ლამის გამსკდომოდა. ვლოცულობდი, რომ ცოტა ხანს ეცლია. – პატარა ბიჭს ვეძებ, – ვთქვი მე.

– ჩვენც ეგრე არ ვართ? – ვითომ იხუმრა, ყველამ ერთად გაიცინა.

– როგორც ვიცი, თქვენთანაა, სოჭრაბი ჰქვია.

– რაღაც მინდა გკითხოთ, იმ ბებერ ბოზთან რას აკეთებთ? აქ რატომ არ ხართ, თქვენს მუსლიმან ძმებთან, თქვენს სამშობლოს რატომ არ ემსახურებით?

– დიდი ხანია წასული ვარ, – მეტი ვერაფერი მოვიფიქრე, თავი მიფეთქავდა, ფეხებს ერთმანეთთან ვატყუპებდი, რომ შარდი შემეკავებინა.

თალიბი თავისიანებს მიუბრუნდა, – ეს პასუხია?

– არა, აღა-საჰიბ, – სიცილით უპასუხეს.

ჩემკენ შემობრუნდა და თვალებში შემომხედა. გამაცია. – ეს პასუხი არ არისო, ხედავ?

ჩემს წრეში ფიქრობენ, რომ სამშობლოს მიტოვება მაშინ, როდესაც მას სჭირდები, ღალატის ტოლფასია. შეგვიძლია დაგაპატიმროთ ღალატისთვის, უფრო მეტიც, დაგხვრიტოთ... არ გაშინებთ ეს ამბავი?

– მე მხოლოდ ბავშვის გულისთვის ვარ აქ.

– გაშინებთ თუ არა, რაც გითხარით?

– დიახ.

– აბა რა, უნდა გეშინოდეთ. – სავარძელში გადაწვა. სიგარეტი ჩააქრო.

სორაიაზე ფიქრი დავიწყე, რომ ოდნავ დავმშვიდებულიყავი. მისი ნამგალა ხალი გავიხსენე, ელეგანტური კისერი, ჟუჟუნა თვალები, ჩვენი ქორწინების დღე, მწვანე პირბადის უკან სარკეში არეკლილი ჩვენი სახეები. მერე გამახსენდა, როგორ შეეფაკლა ლოყები, როდესაც პირველად გამოვუტყდი სიყვარულში, როგორ ვცეკვავდით ავღანურ ცეკვას, ტაში, ყვავილების ზღვა, ფერადი კაბები, სმოკინგები და მოღიმარი სახეები... თალიბი რაღაცას ამბობდა.

– უკაცრავად?

– გინდათ, რომ ნახოთ? გაჩვენოთ ჩემი ბიჭი? – ბოლო ორი სიტყვა განსაკუთრებით ირონიულად წარმოთქვა

– დიახ.

დაცვა ოთახიდან გავიდა. კარის ჭრიალი, რამდენიმე უხეშად ნათქვამი სიტყვა და შემდეგ ნაბიჯების ხმა, ყოველ ნაბიჯთან ერთად ზანზალაკების ჟღარუნი. მე და ჰასანი შარ-ენაუში ჩვენი ჯიბის ფულიდან ერთ რუპიას ვუხდიდით ხოლმე კაცს, მაიმუნი რომ ეცეკვებინა. ზუსტად იმავე ხმას გამოსცემდა მაიმუნის ყელზე შებმული ზანზალაკები. კარი გაიღო და მცველი შემოვიდა. ბეჭზე სტერეო ჰქონდა შემოდგმული. უკან ფირუზისფერ ფირჰან-თუმბანში ჩაცმული პატარა ბიჭი მოჰყვებოდა.

წარმოუდგენელი, აბსოლუტურად გამაოგნებელი მსგავსება იყო. რაჰიმ-ხანის პოლაროიდი ოდნავადაც ვერ ასახავდა სინამდვილეს. გამოცხადებული მამამისი, მრგვალი, სავსე მთვარის მსგავსი სახე, წვეტიანი ნიკაპი, პატარა ზღვის ნიჟარებივით ყურები. ჩემი ბავშვობის დროინდელი ჩინური თოჯინა, ისევ ის სახე, ოდესღაც მაგიდაზე გაშლილ კარტს რომ დასცქეროდა, ან მამაჩემის სახლის სახურავზე, კოღოებისგან დამცველი ბადის მიღმა რომ ეძინა. თმა გადაპარსული ჰქონდა, თვალები შეღებილი, ლოყებზე წითელი საცხი ესვა. შუა ოთახში გაჩერდა, ზანზალაკებმა ჟღარუნი შეწყვიტეს. თვალი შემავლო და თავი დახარა.

ერთ-ერთმა მცველმა ღილაკს დააჭირა. ტრადიციული მუსიკა გაისმა. ტაბლა, ჰარმონიუმი... როგორც მივხვდი, მუსიკა ცოდვა არ იყო, თუ მას თალიბის ყური უსმენდა. სამივემ ტაში დასცხო.

– ვაჰ, ვაჰ! მაშალლა, – გამხიარულდნენ.

სოჰრაბმა ფეხისწვერებზე აიწია, მკლავები გაშალა და დატრიალდა, ხან ჩაიკეცებოდა, ხან გაიმართებოდა, მერე ისევ დატრიალდებოდა, პატარა ხელებს გრაციოზულად ათამაშებდა, თავს აქეთ-იქით აქნევდა, მთელი ტანით ირწეოდა, ზანზალაკების ხმა ტაბლას ჰარმონიულად ერწყმოდა, თვალები დახუჭული ჰქონდა.

– მაშალლა! შაჰბას! ბრავო! – ძალიან გახალისდნენ. ორივე მცველი უსტვენდა და იცინოდა. თალიბი თავის ქნევით ჰყვებოდა მუსიკას. სახეზე დამცინავი ღიმილი არ მოშორებია.

მუსიკა შეწყდა. ზანზალაკებმა ერთხელ კიდევ გაიწკარუნეს და სოჰრაბი ბოლო ილეთის შესრულების დროს გაშეშდა.

– ბია, ბია, მოდი, ჩემო ბიჭუნა, – თქვა თალიბმა და სოჰრაბს დაუძახა. სოჰრაბი თავდახრილი მიუახლოვდა და მის გაშლილ ფეხებს შორის ჩადგა. თალიბმა ხელები შემოჰხვია, – ნახეთ, რა ნიჭიერია, ჩემი პატარა ჰაზარა! – ბავშვს ზურგზე ეფერებოდა, მერე ხელი იღლიებში შეუცურა. ერთმა მცველმა მეორეს იდაყვი გაჰკრა და ჩაიცინა. თალიბმა ორივეს ოთახიდან გასვლა უბრძანა.

ბავშვი ჩემკენ შემოაბრუნა. მუცელზე ხელები მოჰხვია და მის მხარზე ნიკაპი ჩამოდო. სოჰრაბი თავდახრილი იდგა, დროგამოშვებით ამომხედავდა ხოლმე. თალიბის ხელი მის მუცელზე ნელა მოძრაობდა.

– სულ მაინტერესებდა, ბოლოს რა მოუვიდა ბებერ ბაბალუს? თითქოს თავში ჩაქუჩ ჩამკრეს, გავქვავდი, ფეხებს ვეღარ ვგრძნობდი.

– რა გეგონა? პარიკს გაიკეთებდი და ვერ გიცნობდი? არ იცი ალბათ, რომ სახეები არასოდეს მავიწყდება, ეგეთი რამ ჯერ არ მომხდარა. გავიგე, მამაშენი მომკვდარა, რა დასანანია! აი, ვისთან იქნებოდა შეჭიდება საინტერესო, მაგრამ არა უშავს, ამჯერად შენც გამოდგები, – მერე სათვალე მოიხსნა და ჩასისხლიანებული ცისფერი თვალებით მომაშტერდა.

ვერც ამოვისუნთქე, ვერც თვალი დავახამხამე, ვერც ხმა ამოვიღე. წარმოუდგენელ აბსურდში აღმოვჩნდი. წარსული კვლავ დამეწია. საიდანღაც მისი სახელი ამოტივტივდა, მაგრამ წარმოთქმის მეშინოდა, ვაი, თუ სიმართლეა... ამდენი წლის შემდეგ ჩემ წინ იჯდა ხორცშესხმული ეშმაკივით. ტუჩებიდან უნებლიეთ მომწყდა:

– ასეფ!

– ამირ-ჯან!

– აქ რას აკეთებ? – ვიცოდი, რომ იდიოტურ კითხვას ვსვამდი, მაგრამ მეტი ვერაფერი მოვიფიქრე.

– მე? – წარბი ასწია ასეფმა, – მე ჩემს ამპლუაში ვარ. შენ რამ მოგიყვანა აქ?

– ხომ გითხარი, – ვთქვი მე. ხმა მიკანკალებდა. შიშისგან მთელი სხეული შემეკუმშა.

– ბიჭი, არა?

– ჰო.

– რატომ?

– ფულს გადმოგირიცხავ. კარგად გადაგიხდი.

– ფული? – ჩაიხითხითა, – როკინგემის შესახებ თუ გაგიგონია რამე? სამხრეთ ავსტრალია, ნამდვილი სამოთხე. მწვანე წყალი, ლურჯი ცა და თვალუწვდენელი სანაპირო. ჩემი მშობლები იქ ცხოვრობენ, ზედ სანაპიროზე, დიდ ვილაში. ვილის უკან გოლფის მოედანია, მამაჩემი ყოველდღე გოლფს თამაშობს, დედას ჩოგბურთი ურჩევნია. ავღანური რესტორნისა და ორი ოქროულობის მაღაზიის მეპატრონეები არიან, ორივე ბიზნესი

მაგრად მუშაობს. – ყურძნის მარცვალი მოწყვიტა და სოჰრაბს პირში ჩაუდო. – ფული რომ მინდოდეს, დღესვე გადმოვარიცხვინებდი... – სოჰრაბს კისერში აკოცა. ბიჭი შეკრთა, მერე ისევ თავი დახარა, – შენ გგონია, შურავის ფულის გულისთვის ვებრძოდი? ან ხომ არ გგონია, რომ ფულმა მიმიყვანა თალიბებთან? იცი, რატომ შევუერთდი მათ?

პირი გამიშრა, როგორც ჩანს, შენიშნა:

– გწყურია? – ღიმილით მკითხა, – მგონი, მართლა გწყურია.

– არა, არ მწყურია, – სიმართლე ის იყო, რომ სული მეხუთებოდა, ფორებიდან ოფლი მასხამდა. მართლა ხდებოდა ეს ყველაფერი? მართლა ასეფის წინ ვიჯექი?

– როგორც გინდა. ჰო, სად ვიყავი? გამახსენდა, თალიბებს როგორ შევუერთდი... გახსოვს ალბათ, დიდად მორწმუნე არ ვიყავი. მაგრამ ერთხელ ღმერთი გამომეცხადა. გინდა მოგიყვე?

არაფერი ვუპასუხე

– კარგი, მოგიყვები, ბაბრაქ ქარმალის დროს, 1980 წელს ფოლეჩარხის ციხეში მიკრეს თავი. ერთ ღამეს ჩემს სახლში შემოვიდნენ, მე და მამაჩემს იარაღი დაგვადეს და ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე წაგვიყვანეს. დედაჩემი პასუხის ღირსადაც კი არ ჩათვალეს. კომუნისტებისგან არცაა გასაკვირი, ყველამ იცის, რა მდაბიოებიც არიან, სანამ შურავი შემოვიდოდა, ეგ ძაღლები ფეხსაცმელს ენით მილოკავდნენ, შურავი შემოვიდა და იარაღის ქვეშ ამიყვანეს, წარმოგიდგენია?

ამოვძირკვოთ ბურჟუაზია, ყველა მდიდარი ციხეში! ეს იყო იმ უჯიშოების მიზანი. ამხანაგი კომუნისტებისათვის მაგალითი უნდოდათ გამხდარიყვნენ.

6 კაცი დაახლოებით ერთ მაცივრის ტოლ კამერაში ჩაგვყარეს. ყოველღამე კომენდანტი, ნახევრად ჰაზარა და ნახევრად უზბეკი, დამპალი ვირივით მყრალი არსება, შემოდიოდა და ერთ-ერთი ჩვენგანი გაჰყავდა. იმდენ ხანს სცემდა, სანამ მსუქანი სიფათი გაუოფლიანდებოდა, მერე სიგარეტს მოუკიდებდა, სახსრებს გაატკაცუნებდა და მიდიოდა. ერთ დღეს ჩემი ჯერიც დადგა. უფრო ცუდად არ შეიძლება კაცი იყოს, მე რომ იმ დროს ვიყავი. სამი დღის განმავლობაში სისხლს ვაყოლებდი შარდს, თირკმელში კენჭის გავლა მქონდა. თუ არ იცი, ეს რა რის, დამიჯერე, რომ უარესი ტკივილი ძნელად წარმოსადგენია. დედაჩემსაც გადატანილი ჰქონდა იგივე და ერთხელ მითხრა, მშობიარობა უფრო ადვილია, ვიდრე კენჭის გავლაო. რა უნდა მექნა? გამიყვანა და წიხლებით შემდგა.

სპეციალურად მეტალის წვეტიან ჩექმებს იცვამდა ხოლმე. ყოველ დარტყმაზე ტკივილისგან ვღრიალებდი. გაცოფებული მირტყამდა, უცბად ფეხი მარცხენა თირკმელში მომხვდა, და კენჭმა გაიარა. რა შვება ვიგრძენი, ძნელი გადმოსაცემია! – სიცილით თქვა ასეფმა. – ალლაჰ აქბარ! ვყვიროდი და ვიცინოდი, კომენდატი სულ გაგიჟდა და უფრო მაგრად დამიწყო ცემა, ის მირტყამდა და მე ვიცინოდი. ვიცინოდი, რადგან მივხვდი, რომ ღმერთმა მიშველა, ღმერთი ჩემს მხარეს იყო! ღმერთს უნდოდა, რომ მეცოცხლა და ჩემი მისია შემესრულებინა. მერე იმ კომენდანტს ბრძოლის ველზე შევხვდი, კიდევ ერთი ნიშანი ღმერთისგან! სანგარში ეგდო და სისხლისგან იცლებოდა, ისევ ის ჩექმები ეცვა. მიცანი? – ვკითხე და არაო, – მიპასუხა, – სამაგიეროდ მე გიცანი, – ვუთხარი და შიგ ყვერებში დავახალე. მას მერე ჩემს მისიას ვასრულებ.

– რა მისია გაქვს? – ჩემი ხმა შემომესმა, – ქვით ჩაქოლვა, ბავშვების გაუპატიურება, მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის ტარებისთვის ქალების გამათრახება, ჰაზარების გაწყვეტა, და ეს ყველაფერი ისლამის სახელით? – სიტყვები თავისით აღმომხდა, ვერ გავაკონტროლე, ნეტავ უკან წაღება შემძლებოდა. რისი იმედი მქონდა? აქედან ცოცხალი ნამდვილად ვერ გავაღწევდი.

სახეზე გაოცებამ გადაურბინა: – ბოლოს და ბოლოს, საინტერესო ხდება ჩვენი ურთიერთობა, – ჩაისისინა.

– არის ზოგიერთი მნიშვნელოვანი რამ, რაც შენისთანა მოღალატეებმა უნდა იცოდნენ.

– მაინც რა?

ასეფმა წარბი შეათამაშა, – რა და სიამაყე, შენი წესის, შენი ადათის პატივისცემა, შენი ენა. ავღანეთი ნაგვით სავსე ლამაზი სახლივითაა, ვიღაცამ ხომ უნდა გაიტანოს ეს ნაგავი!

– მაგას აკეთებდი კარდაკარ რომ დადიოდი მაზარში? ნაგავი გაგქონდა?

– ზუსტად ასეა.

– დასავლეთში მაგას ეთნიკური წმენდა ეწოდება.

– მართლა? – სახე გაუნათდა, – მომწონს, კარგად ჟღერს.

– მე ბავშვისთვის ვარ აქ, მეტი არაფერი მინდა.

– ეთნიკური წმენდა, – გაიმეორა ასეფმა.

– ბავშვი-მეთქი, გითხარი, – სოჰრაბმა თვალები შემომანათა. მასაც შესაწირი ცხვრის გამოხედვა ჰქონდა მამამისივით. გამახსენდა, იიდ ყურბანის დღეს მოლა, ვიდრე ყელს გამოჭრიდა, ცხვარს თვალებზე საღებავს უსვამდა და შაქრის ნატეხს აჭმევდა. ასე მეგონა, სოჰრაბის თვალებში ვედრება ამოვიკითხე.

– მითხარი, რისთვის გინდა ეს ბიჭი, – ასეფმა სოჰრაბის ყურის ბიბილო კბილებს შორის მოიქცია. სახეზე ოფლი ჩამოსდიოდა.

– ეგ ჩემი საქმეა.

– რა გინდა, რომ უქნა? – ეშმაკურად ჩაიცინა.

– რა გულისამრევია! – ვთქვი მე.

– რა იცი? გამოგიცდია?

– მინდა, რომ უფრო უსაფრთხო ადგილას წავიყვანო.

– ჰო, მაგრამ მითხარი, რატომ.

– ეგ ჩემი საქმეა, – ვთქვი მე. ვერ გეტყვით, რამ შემაგულიანა, ალბათ იმან, რომ ვიცოდი, ცოცხალი მაინც ვერ გადავურჩებოდი.

– საინტერესოა, ამირ, რატომ ჩამოხვედი ამ ჰაზარა ბიჭისთვის, სინამდვილეში რისთვის ხარ აქ?

– ჩემი მიზეზები მაქვს.

– ძალიან კარგი, – ჩაიქირქილა. სოჰრაბს ზურგში ხელი ჰკრა. ბიჭი მაგიდას მიენარცხა, მაგიდა გადაყირავდა, ყურძენი დაიფანტა, სოჰრაბი ზედ დაეცა და პერანგი დაულაქავდა.

– წაიყვანე, აჰა, წაიყვანე! – თქვა ასეფმა. სოჰრაბი ფეხზე წამოვაყენე, ხელით ყურძნის ნარჩენები ჩამოვფერთხე.

– წაიყვანე-მეთქი! – თქვა ასეფმა და ხელით კარისკენ მიმითითა. სოჭრაბს ხელი ჩავკიდე, თვითონაც მთელი ძალით მომეჭიდა. სურათი გამახსენდა: მამამისისთვის ხელი აქვს ჩაკიდებული, თავით მის თეძოს ეყრდნობა, ორივე იცინის. ოთახი ჟღარუნით გადავჭერით და კარისკენ გავემართეთ.

– ჰო, წაიყვანე, მაგრამ მე არ მითქვამს, რომ უფასოდ შეგიძლია მისი წაყვანა, – მოგვაძახა ასეფმა.

მოვტრიალდი, – რა გინდა?

– უნდა გადაიხადო.

– რა გინდა-მეთქი, – ვთქვი მე.

– მე და შენ ერთი საქმე გვაქვს დასამთავრებელი. გახსოვს ალბათ, არა?

მახსოვდა რომელია, მერე რა კარგად! მეფის ტახტიდან ჩამოგდების დღე. მთელი ცხოვრების განმავლობაში, ყოველთვის, როცა დაუდხანს ახსენებდნენ, ჰასანის სახე წარმომიდგებოდა ხოლმე თვალწინ. შურდულს პირდაპირ სახეში უმიზნებდა ასეფს: – თავი დაგვანებე, აღა, თორემ ყურიჭამიას ნაცვლად ცალთვალა შეგერქმევა, იცოდე, – ასეფმა მაშინ უკან დაიხია, მაგრამ დაგვპირდა, დრო მოვა და ორივეს ხელში ჩაგიგდებთო.

ჰასანთან დაკავშირებით სიტყვა შეასრულა, ახლა ჩემი ჯერი იყო.

– კარგი, – ვთქვი მე, სხვა რა დამრჩენოდა. ხვეწნა-მუდარას არ ვაპირებდი. ვიცოდი, რომ ეს კიდევ უფრო მეტ სიამოვნებას მოჰგვრიდა.

ასეფმა დაცვას დაუძახა, – მომისმინეთ, – უთხრა მათ, – ახლა კარს დავკეტავ, ძველი ანგარიშები მაქვს ამ კაცთან გასაწორებელი. რაც არ უნდა გაიგონოთ, გესმით? რაც არ უნდა გაიგონოთ, შემოსვლა არ გაბედოთ, გაიგეთ?

დაცვამ თავი დაუკრა: – დიახ, აღა-საჰიბ.

– როცა კარი გაიღება, ერთ-ერთი ჩვენგანი გამოვა აქედან ცოცხალი, თუ ეს მე არ ვიქნები, იცოდეთ, რომ ამ კაცმა თავისუფლება დაიმსახურა და გაუშვებთ.

– მაგრამ აღა-საჰიბ... – ბოლოს თავი დაუკრეს და კარისკენ წავიდნენ, ერთმა სოჭრაბისკენ გაიწია.

– დატოვე, უყუროს ყველაფერს, კარგი გაკვეთილი იქნება.

დაცვა გავიდა. ასეფმა კრიალოსანი დადო. ხელი გულის ჯიბისკენ წაიღო. არ გამკვირვებია, როდესაც ჯიბიდან უჟანგავი მეტალის კასტეტი ამოიღო.

თმაში ბრიოლინი აქვს შეზელილი, სქელი ტუჩების ზემოთ ძაფივით წვრილი ულვაში, ქირურგიულ კალპაკზე აფრიკის ფორმის ლაქა ემჩნევა. კიდევ მახსოვს, კისერზე მსხვილი ძეწკვი და ოქროზე ამოტვიფრული „ალლაჰ აქბარ“. ზევიდან დამცქერის, მგონი ურდუს ენაზე ლაპარაკობს. მისი ადამის ვაშლი ზევით ქვევით მოძრაობს. მინდა, რომ ასაკი ვკითხო, ძალიან ახალგაზრდულად გამოიყურება, მსახიობს ჰგავს რომელიღაც სერიალიდან, მაგრამ ერთსა და იმავეს ვიმეორებ: მეც კარგად მოვადე! მაგრად მოხვდა! როგორ გავუწევდი ასეფს საკადრის წინააღმდეგობას? ჩემს ცხოვრებაში პირველად ვიჩხუბე.

ჩხუბის ზოგიერთი სცენა ძალიან მკაფიოდ მახსოვს: სანამ კასტეტს წამოიცმევდა ხელზე, მუსიკა ჩართო. კედელთან მიმაგდო. ხალიჩა ჩამოვარდა და თავზე დამეცა. მტვრისგან

ცემინება ამიტყდა. ყურძნის მარცვლებს მაჭყლეტდა სახეზე, ქაფმორეული პირიდან კბილები უელავდა, სისხლიან თვალებს გიჟივით ატრიალებდა, ერთ მომენტში მისი თუმბანი იატაკზე გაგორდა, ოქროსფერი თმა მხრებზე ჩამოეშალა. და დასასრული... ახლაც თვალწინ მიდგას, არც არასოდეს დამავიწყდება. კასტეტი მზის შუქზე ელავს, ცივია, მაგრამ ძალიან მალე თბება ჩემი სისხლით, კედელზე ვარ მინარცხებული, ზურგში ლურსმანი მესობა, სოჭრაბი ყვირის, ტაბლას, ჰარმონიუმის, დილრობას ხმები ერთმანეთში ირევა, კასტეტს ყბებში მირტყამს, კასტეტის ეკლები სახეს მიგლეჯს, საკუთარ კბილებს ვყლაპავ, ვიხრჩობი, იატაკზე ვგდივარ და გახლეჩილი ზედა ტუჩიდან სისხლი თქრიალით იღვრება ლილისფერ ხალიჩაზე, ტკივილი მუცელს მისერავს და აღარ მგონია, რომ ამოვისუნთქავ, საკუთარი ნეკნების მტვრევის ხმა მესმის. უნებურად მახსენდება, როგორ ვამტვრევდით ხმლების გამოსათლელად ხის ტოტებს მე და ჰასანი. სოჭრაბი ყვირის, ტელევიზორის სადგამის კუთხეს სახით ვეტაკები, მარცხენა თვალი ლამის ბუდიდან ამომვვარდეს, მუსიკა ისევ ისმის, სოჭრაბი ისევ ყვირის. თმაში მაფრინდება და თავს უკან მიწევს, კასტეტი ელავს, ახლა ცხვირი, ტკივილისგან მინდა, რომ კბილები ერთმანეთს დავაჭირო, მაგრამ არ გამომდის, წიხლებით მდგება, სოჭრაბი ისევ ყვირის.

არ ვიცი, რომელ მომენტში, მაგრამ სიცილი დავიწყე. ყბები, ნეკნები, ყელი მეგლიჯებოდა ტკივილით, მაგრამ ვიცინოდი. ჩემი სიცილით გახელებული ასეფი კიდევ უფრო გამწარებით მირტყამდა ხელებით, ფეხებით, კასტეტით.

– რა გაცინებს? – დუჟმორეული ღრიალებდა ხელის ყოველ მოქნევაზე, სოჭრაბი ყვიროდა.

– რა გაცინებს? – კიდევ ერთი ნეკნი, ამჯერად ქვედა, მარცხენა.

რა მაცინებდა და პირველად, 1975 წლის შემდეგ, ვიგრძენი, რომ დავმშვიდდი. გულის კუნჭულში ალბათ მინდოდა კიდეც, რომ ასე მომხდარიყო. ის დღე გამახსენდა, ჰასანს ბროწეულს რომ ვესროდი და ვცდილობდი, როგორმე გამომეწვია. იდგა და მიყურებდა, ბოლოს ბროწეული აიღო, შუბლზე მიიჭყლიტა და მკითხა: კმაყოფილი ხარ? უკეთ გრძნობ თავს? არა, მაშინ არ მიგრძნია კმაყოფილება, მაგრამ ახლა დალეწილი და დასახიჩრებული ვგრძნობდი, რომ განვიკურნე, ბოლოს და ბოლოს, განვიკურნე! სიხარულისგან ვიცინოდი.

შემდეგ რაც მოხდა, სამარის კარამდე გამყვება...

იატაკზე ვგდივარ, ვიცინი, ასეფს ფეხებს შორის ვყავარ მოქცეული, სახე სრულიად შეშლილი აქვს, თმა გაწეწილი, თავისუფალ ხელს ყელში მიჭერს, კასტეტიანი შემართული აქვს...

და უეცრად:

– ბას! – ისმის წვრილი ხმა.

ორივემ მივიხედეთ.

– ძალიან გთხოვ, გაჩერდი.

როგორ თქვა ობოლთა თავშესაფრის დირექტორმა? ზამანი ერქვა მგონი, – სულ თან აქვს, ერთი წუთითაც ვერ ნახავთ მის გარეშე, საქამრეში აქვს გაჩრილი სადაც არ უნდა იყოს.

– გაჩერდი, გეყოფა.

საღებავში შერეული ცრემლი წვიმის წვეთებივით სცვიოდა თვალებიდან. წითელი საცხი გათხაპნოდა, ქვედა ტუჩი უკანკალებდა, ცხვირიდან წვინტლი სდიოდა, – ბას, –

დაიჭყივლა, ხელი მხრის სიმაღლეზე ეჭირა, შურდულის ელასტიური ზონარი მთელი ძალით ჰქონდა მოქაჩული, რაღაცამ ოქროსფრად გაიელვა. მაგიდის ფეხის მეტალის ბურთულას პირდაპირ სახეში უმიზნებდა ასეფს, – გეყოფა, აღა, – ხმა ჩახლეჩილი ჰქონდა, – გეყოფა, ნუ აწამებ!

გაოგნებისგან ასეფმა სიტყვებს თავი ვერ მოუყარა, – რას ბედავ? – ბოლოს ამოღერღა.

– გთხოვ, გაჩერდი, – თქვა სოჰრაბმა, ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა.

– დაუშვი შურდული, ჰაზარა! დაუშვი, თორემ ისეთ დღეს დაგაყრი, რასაც ახლა ხედავ, უბრალო ყურის აწევად მოგეჩვენება!

– გთხოვ, აღა, – ტირილით ამბობდა სოჰრაბი, თავი გააქნია, – ძალიან გთხოვ, აღა, გაჩერდი.

– დაუშვი შურდული!

– ნუღარ აწამებ.

– დაუშვი-მეთქი!

– გთხოვ.

– დაუშვი! – გააფთრებული სოჰრაბს უნდა მივარდნოდა და ამ დროს...

მეტალის ბურთულა შხუილით გაფრინდა. არაადამიანური ყვირილი და ასეფს ხელი იქით მიაქვს, სადაც ერთი წამის წინ მარცხენა თვალი ჰქონდა. თითებს შორის სისხლი იღვრება, სისხლთან ერთად რაღაც თეთრი, ჟელეს მსგავსი, სადღაც წაკითხული ამომიტივტივდა, მგონი მინისებრი სხეული ჰქვია. ხალიჩაზე გორავს, სიმწრისგან იკრუნჩხება, ხელი ისევ თვალის ბუდეზე აქვს აფარებული.

– წავიდეთ, – თქვა სოჰრაბმა. ხელი ჩამჭიდა, ფეხზე წამომაყენა. მთელი სხეული მიკვნესოდა ტკივილისგან. ჩვენ უკან, ხალიჩაზე, ასეფი გმინავდა.

– გაეთრიეთ, ჩქარა გაეთრიეთ! – ყვიროდა.

როგორღაც კართან მივბარბაცდი და გავაღე. ჩვენს დანახვაზე დაცვას თვალები გაუფართოვდა. ერთ-ერთმა რაღაც თქვა პუშტუს ენაზე და ოთახში შევარდნენ.

– წავედით, – თქვა სოჰრაბმა.

ბორძიკით, სოჰრაბის პატარა ხელს ჩაჭიდებულმა გავიარე კორიდორი. უკანასკნელად მივიხედე უკან. დაცვა თავზე ედგა, რას აკეთებდნენ, ვერ გეტყვით, მაგრამ სახეზე ხელს ჰკიდებდნენ. ბოლოს მივხვდი, თვალის ბუდეში მეტალის ბურთულა ჰქონდა ჩარჩენილი.

ყველაფერი ტრიალებს და ირწევა, სოჰრაბს ვეყრდნობი და როგორღაც ფორთხვით ჩავდივარ კიბეზე. დაჭრილი ნადირის ყმუილი ისევ ისმის. დღის სინათლე, ფარიდი ჩვენკენ მორბის.

– ბისმალლა! ბისმალლა! – თვალები ლამის გადმოსცვივდეს.

ჩემი მკლავი ბეჭზე გადაიდო და სირბილით წამიყვანა მანქანისკენ. სუნთქვა მიჭირს, ლენდ კრუიზერის სახურავს ვხედავ, უკანა სკამზე დაგლეჯილი გადასაკრავი, მანქანების საყვირის ხმა, სოჰრაბი და ფარიდი რაღაცას ეუბნებიან ერთმანეთს, კარი იხურება, ძრავა იქოქება, წინ მივდივართ და შუბლზე პატარა ხელს ვგრძნობ, ქუჩიდან ხმები მესმის, ხეები გარბიან, სოჰრაბი ქვითინებს, ფარიდი ისევ იმეორებს: – ბისმალლა! ბისმალლა!

და ვითიშები.

თავი ოცდამესამე

ნისლში გახვეული უცნობი სახეები ჩნდებიან და უჩინარდებიან. – რა გქვით, რა გაწუხებთ, სად გტკივათ?

ვიცი ვინ ვარ და რა მქვია. ყველაფერი მტკივა. მინდა რომ ვუთხრა, მაგრამ ვერ ვახერხებ. ყბებს ვერ ვამოძრავებ. მახსოვს ბავშვს ველაპარაკებოდი ცოტა ხნის წინ, იქნებ დიდი ხნის წინაც, არ ვიცი. ბავშვს წითელი საცხით და თვალების საღებავით ჰქონდა სახე მოთხუპნული. ჰო, ბავშვი ახლა აქ არის, ვხედავ მანქანაში ვსხედვართ. საჭესთან ვინ ზის? სორაია? არა, სორაია ასე სწრაფად არ ატარებს. ბავშვს რაღაც მნიშვნელოვანი მინდა ვუთხრა, მაგრამ რა, აღარ მახსოვს. ნუ ტირი, ყველაფერი კარგად იქნება. იქნებ ეს? არა, არ ვიცი. მადლობა მინდა გადავუხადო, მაგრამ რისთვის?

თავები. ყველას მწვანე ქუდი ახურავს. ლაპარაკობენ, მაგრამ არ მესმის. რა ენაა? ხალხის ხმა ხან მესმის, კიდევ ზარის წკრიალი. თავების რაოდენობა მატულობს. ყველა თავი ჩემსკენაა დახრილი. ერთს ვიცნობ, ის არის, კლარკ გეიბლის წვრილი ულვაშით, სერიალების ვარსკვლავი. სასაცილოა, მინდა რომ გავიცინო, მაგრამ საშინელ ტკივილს ვგრძნობ.

ვითიშები.

აიშა მქვიაო, ამბობს, მოციქულის ცოლის სახელი. შუაზე გაყოფილი ჭაღარა თმა უკან აქვს შეკრული. ცხვირის ნესტოზე მზის ფორმის საყურე უკეთია. იფოკალური სათვალის მიღმა თვალები უზომოდ დიდი უჩანს. მასაც მწვანე ქუდი ახურავს. ძალიან ფაფუკი ხელები აქვს. მიღიმის და რაღაცას მეუბნება ინგლისურად. ეს რა მაქვს გულთან დამაგრებული...

ვითიშები.

ჩემს საწოლთან კაცი დგას. ვიცნობ. მაღალია, გამხდარი, გრძელი წვერი აქვს. თავზე ის ახურავს, რა ჰქვია? ჰო, ფაქოლი. გვერდულად ახურავს, იმ ცნობილი კაცის მსგავსად, ვეღარ ვიხსენებ მის სახელს. ამ კაცმა ოდესღაც სადღაც წამიყვანა მანქანით. ჩემს პირს რა დაემართა? ვერ ვამოძრავებ. ბუყბუყის ხმა მესმის...

ვითიშები.

მარჯვენა მკლავი მეწვის. თავი, ბიფოკალური სათვალით და ცხვირში საყურით, ჩემს მკლავს დასცქერის, – პოტასიუმია, ფუტკრის ნესტარივით მწარედ იკბინება, არა? – ამბობს ღიმილით.

მართლაც ასეა. რა ჰქვია? რაღაც მოციქულთან არის კავშირში. დიდი ხანია ამ ქალს ვიცნობ, ადრე თმა უკან ჰქონდა შეკრული, ახლა შუბლზე აქვს გადავარცხნილი და ზევით აწეული, სორაია ატარებდა ასე თმას, პირველად რომ ვნახე. როდის იყო? გასულ კვირას? აიშა! დიახ, ასეა.

რა სჭირს ჩემს პირს? ან ეს რა მკიდია გულზე?

ვითიშები.

ბელუჯისტანში, სულეიმანის მთებში ვართ. ბაბა შავ დათვს ეჭიდება, ეს ჩემი ბავშვობის დროინდელი ბაბაა, ტუფან ანუ გრიგალაღა, პუშტუნთა მოდგმის უძლიერესი წარმომადგენელი, და არა ის, გამხდარი, თვალებჩაცვენილი კაცი, ტახტზე საბანგადაფარებული რომ იწვა. მწვანე ბალახზე კაცი და მხეცი ეჭიდებიან ერთმანეთს,

ბაბას ხუჭუჭა თმა ეწეწება, მხეცი ღრიალებს, თუ ბაბას ხმაა? სისხლი და დუჟი ერთმანეთში ირევა, ტორი ვერ ერევა ხელს, ბაბა ზედ მკერდზე აზის მხეცს, ცოტაც და კისერს მოუგრეხს, ბაბა ჩემკენ იყურება და... ეს მე ვარ! მე ვახრჩობ დათვს!

მეღვიძება. გამხდარი კაცი დგას ჩემს საწოლთან, ფარიდი ჰქვია. მასთან ერთად ბავშვია, ზანზალაკების ჟღარუნი მესმის. მწყურია.

ვითიშები.

ექიმი ფარუქი, ასე ერქვა კაცს კლარკ გეიბლის ულვაშით. სერიალის გმირი კი არა, თავ-სახის ქირურგი აღმოჩნდა. მე არმანდი შევარქვი, ერთი სენტიმენტალური სერიალის პერსონაჟის სახელი.

სად ვარ? მინდოდა მეკითხა, მაგრამ პირი ვერ გავაღე, რაღაც ყმუილის მსგავსი ხმა აღმომხდა. არმანდს გაეღიმა, ძალიან თეთრი კბილები ჰქონდა.

– ჯერ ადრეა, ამირ, მაგრამ მალე მავთულის კარკასს მოგხსნით და დაილაპარაკებ.

ინგლისურს მძიმე ურდული აქცენტით ლაპარაკობდა.

მავთულის კარკასი? ექიმმა ხელები გადაიჯვარედინა. ბანჯგვლიან თითზე საქორწინო ბეჭედი ეკეთა.

– ალბათ არ იცით სად ხართ, ან რა შეგემთხვათ. ეს ნორმის ფარგლებშია. პოსტოპერაციული მდგომარეობა ყოველთვის მერყევია. ახლავე გეტყვით, რაც ვიცი.

მავთულებზე მინდოდა მეკითხა, პოსტოპერაციული? აიშა სად არის? მინდა, რომ გამიღიმოს და ხელზე თავისი ფაფუკი ხელი შემახოს.

არმანდმა ცალი წარბი ასწია და მრავალმნიშვნელოვნად თქვა: – ფეშავარში ხართ, საავადმყოფოში. უნდა გითხრათ, რომ ძლიერი დაზიანებებით შემოხვედით. იღბლიანი ყოფილხართ, ჩემო მეგობარო, – საჩვენებელ თითს ქანქარასავით აქნევს ლაპარაკის დროს – ელენთა გამსკდარი იყო, მუცლის ღრუში სისხლი იღვრებოდა. ჩემმა კოლეგებმა, ზოგადი ქირურგიის განყოფილებიდან, სასწრაფოდ ამოგკვეთეს ელენთა. სულ ცოტაც რომ დაგვეგვიანა, სისხლისგან დაიცლებოდით. შვიდი ნეკნი გაქვთ ჩამტვრეული. ერთ-ერთმა პნევმოთორაქსი გამოიწვია, ანუ ცალი ფილტვი გაიხვრიტა. – მკერდთან რომ მქონდა რაღაც ჩამოკიდებული, იმას შეეხო, პლევრის დრენაჟი ჩაგიდგით. მკერდში ტკივილი ვიგრძენი. მერე დრენაჟს თვალი გავაყოლე და სითხით ნახევრადგავსებული კონტეინერი დავინახე. ბუყბუყის ხმა იქიდან მოდიოდა თურმე.

– ასევე მრავლობითი ლაცერაცია, ანუ ჭრილობები, – მინდოდა მეთქვა, რომ მწერალი ვარ და სიტყვების განმარტებებიარ იყო საჭირო, მაგრამ მავთულებმა ისევ არ გამიშვეს.

– ყველაზე მძიმე ლაცერაცია ზედა ტუჩზე გქონდათ, – თქვა არმანდმა, ტუჩი შუაზეა გადაპობილი და ხორცი ამოგლეჯილი, მაგრამ ჩვენმა პლასტიკურმა ქირურგებმა გაგიკერეს და იმედი მაქვს, კარგი შედეგი გვექნება, თუმცა ნაიარევი კი დაგრჩებათ, ეს გარდაუვალია. ასევე, მარცხენა თვალის ბუდესთან ყვრიმალის ძვალი იყო დაზიანებული, ისიც აღვადგინეთ. მავთულებს ყბებიდან ექვს კვირაში მოგხსნით, მანამდე სითხეებს მიიღებთ, წონაში დაიკლებთ და ცოტა ხანს „ნათლიმამაში“ რომ ალ პაჩინო ლაპარაკობს, ისე ილაპარაკებთ, – გაიცინა, მაგრამ დღეს საქმე გაქვთ გასაკეთებელი და იცით, რა საქმე?

– თავი გავაქნიე.

– დღეს გაზი უნდა გამოუშვათ. ამ საქმეს გააკეთებთ და სითხეებით კვებაზე გადაგიყვანთ, არა და არანაირი კვება, – კიდევ გაიცინა.

მოგვიანებით, როცა აიშამ წვეთოვანის კონტეინერი შეცვალა და საწოლზე შედარებით მოხერხებულად მომათავსა, ყველაფრის გააზრება ვცადე. ელენთა გამსკდარი, კბილები ჩამტვრეული, ყვრიმალის ძვალი გატეხილი... ფანჯრის რაფაზე მტრედი პურის ნაფხვენს კენკავდა, კიდევ ერთი რამ თქვა არმანდმა, ზედა ტუჩი ორად გაპობილი გაქვს, ხორცი კი ამოგლეჯილიო. ახლა მეც კურდღლისტუჩა ვარ.

მეორე დღეს ფარიდმა და სოჰრაბმა მომინახულეს: – დღეს თუ იცი, ვინ ვართ? გახსოვართ? – ნახევრად ხუმრობით მკითხა ფარიდმა. თავი დავუქნიე.

– დიდება ალაჰს! – გახარებულმა თქვა მან.

– მადლობა, ფარიდ, – მავთულებს შორის გამოვთქვი როგორღაც. არმანდი მართალი იყო, ალ პაჩინოსავით გამომივიდა. უცნაური განცდა მქონდა, ენა კბილების ნაცვლად ცარიელ ღრმულებს ედებოდა, – ყველაფრისთვის მადლობა.

ხელი გააქნია, ოდნავ წამოწითლდა, – რისი მადლობა, არ ღირს მადლობად, – თქვა მან.

სოჰრაბისკენ შევბრუნდი. ახალი ტანსაცმელი ეცვა. ღია ყავისფერი ფირჰანთუმბანი და შავი არახჩინი. ტანსაცმელი დიდი ჰქონდა. თავდახრილი იდგა და ხელით წვეთოვანის მილს აწვალებდა, – წესიერად არც კი გაგვიცნია ერთმანეთი, – ვთქვი მე. ხელი გავუწოდე.

– მე ამირი ვარ.

ხელზე დამხედა. – ის ამირ-აღა ხარ, მამაჩემი რომ მიყვებოდა?

– ჰო, ის ვარ, – ჰასანმა წერილში მომწერა, რომ ფარზანას და სოჰრაბს ჩემ შესახებ, ერთად გატარებული ბავშვობის შესახებ ხშირად უყვებოდა, – გულიანად იცინიან ჩვენს ოინებზე, – მწერდა. – მადლობა სოჰრაბ-ჯან, გადარჩენას შენ უნდა გიმადლოდე. – არაფერი უთქვამს, ხელი მაინც არ ჩამომართვა, – მომწონს შენი ახალი ტანსაცმელი, – ჩავიბურტყუნე.

– ჩემი ბიჭისაა, – თქვა ფარიდმა, – დაუპატარავდა. სოჰრაბს კარგად აქვს. ჩემთან იქნება, სანამ რამეს მოვიფიქრებთ, დავეტევით. აბა, ქუჩაში ხომ არ დავტოვებ. თან ჩემს ბიჭებს მოსწონთ სოჰრაბი, არა, სოჰრაბ? – მაგრამ ბიჭი ისევ უხმოდ იდგა და იატაკს დასჩერებოდა.

– რა მოხდა, ამირ-აღა, შენ და იმ თალიბს შორის? – ჭოჭმანით მკითხა ფარიდმა.

– ორივემ ის მივიღეთ, რაც დავიმსახურეთ, მეტი არაფერი, – ვთქვი მე.

ფარიდმა თავი დააქნია. მეტი არაფერი უკითხავს. ამ ხნის განმავლობაში მე და ფარიდი დავმეგობრდით. რაღაც მინდოდა მეკითხა, მაგრამ პასუხის გაგების მეშინოდა. ბოლოს გავბედე.

– რაჰიმ-ხანი, – ვთქვი მე.

– აღარ არის ჩვენთან, – გული ამიძგერდა, – არა, არა, უბრალოდ წავიდა... პატარა გასაღები და დაკეცილი ფურცელი მომაწოდა, – სახლის პატრონმა გადმომცა, როცა მის მოსაკითხად მივედი.

– სად წავიდა?

ფარიდმა მხრები აიჩეჩა, – არ იცოდა სახლის პატრონმა, წერილი და გასაღები დაგიტოვა და წავიდა, – საათზე დაიხედა, – წავედით, სოჰრაბ.

– დატოვე ცოტა ხნით, შეგიძლია, მერე რომ მოაკითხო? – სოჰრაბს მივუბრუნდი, – დარჩები, სოჰრაბ?

არ მიპასუხა.

– საღამოს ნამაზამდე მოვალ და წავიყვან, – თქვა ფარიდმა.

პალატაში კიდევ სამი პაციენტი იყო. ორი ხანშიშესული კაცი: ერთი ფეხის მოტეხილობით შემოიყვანეს, მეორე ასთმური შეტევით, მესამე, თექვსმეტი წლის იქნებოდა, მწვავე აპენდიციტით. ფეხმოტეხილი თვალმოუშორებლად გვიყურებდა მე და სოჰრაბს. ჩემი მეზობლების მოსანახულებლად უამრავი ხალხი მოდიოდა. ჯგუფებად, ხმაურით შემოდიოდნენ პალატაში თავზე არახჩინჩამოცმული კაცები, შალვარ-კამიზში გამოწყობილი ხნიერი ქალები და ბავშვები. თან მოსაკითხი მოჰქონდათ: ფაკორა, ნაანი, სა, ნოსა, ბირიანი. ზოგჯერ გარეშე პირებიც შემოდიოდნენ. ერთი საბანშემოხვეული, გრძელწვერიანი კაცი შემოვიდა, შუა ოთახში დადგა, იქაურობას თვალი გადაავლო. მომეჩვენა, რომ მზერა ჩემზე უფრო დიდხანს შეაჩერა ვიდრე სხვებზე. აიშამ რაღაც უთხრა ურდუს ენაზე, ერთხელ კიდევ გამომხედა და გავიდა.

– როგორ ხარ? – ვკითხე სოჰრაბს. მხრები აიჩეჩა, თავი არ აუწევია.

– გშია? იმ ქალმა ერთი თეფში ბირიანი მომაწოდა, მაგრამ მე ვერ ვჭამ, ხომ იცი, – რა მეთქვა, არ ვიცოდი.

თავი გააქნია.

– ვილაპარაკოთ?

კიდევ თავი გააქნია. პატარა სამფეხა სკამზე კარგა ხანს იჯდა უხმოდ. ბეჭების ქვეშ ბალიშები მეწყო, თავი წამოწეული მქონდა, სიჩუმეში ძილი მომერია. თვალები რომ გავახილე, უკვე ბნელდებოდა. სოჰრაბი ისევ ისე იჯდა სკამზე. ფარიდმა სოჰრაბი რომ წაიყვანა, რაჰიმ-ხანის წერილი გავხსენი:

ამირ ჯან,

ინშალლა, ამ წერილმა მოაღწია შენამდე. თუ ახლა ამ წერილს კითხულობ, ესე იგი დაბრუნდი. რაც წახვედი, ვლოცულობ, რომ ღმერთმა საფრთხეს აგარიდოს და რომ ავღანეთი მეტისმეტად ავი მასპინძელი არ აღმოჩნდეს შენთვის.

სულ ეჭვი გეპარებოდა, რომ მე ვიცოდი. არ შეგშლია, ჰასანმა მალევე გამიმხილა ყველაფერი. ცუდად მოიქეცი, მაგრამ არ დაგავიწყდეს, მაშინ პატარა ბიჭი იყავი, პატარა, შეშინებული, გამოუცდელი ბიჭი. ყოველთვის ზედმეტად მკაცრად განსჯიდი შენს თავს, მაშინაც, ახლაც. ერთი რამ იცოდე, ამირ, უნამუსოები არ იტანჯებიან საკუთარი საქციელის გამო. იმედი მაქვს, შენი ჩამოსვლა ავღანეთში წერტილს დაუსვამს შენს ტანჯვას.

ახლაც მრცხვენია იმ ტყუილის გამო, მთელი ცხოვრება თავს რომ გახვევდით. შენ და ჰასანს უნდა გცოდნოდათ სიმართლე. არ ვიცი, მიზეზად რამდენად გამოდგება, მაგრამ იმ დროს ქაბულში ცრუ მოსაზრებები უფრო ფასობდა, ვიდრე სიმართლე.

ვიცი, ამირ, მამაშენი მკაცრად გექცეოდა ბავშვობაში. ისიც ვიცი, როგორ განიცდიდი, როგორ ცდილობდი მისი სიყვარულის მოპოვებას. გული მიკვდებოდა, მაგრამ ვერ გშველოდი. უნდა იცოდე, რომ მამაშენი ორად იხლიჩებოდა შენსა და ჰასანს შორის. ორივე უყვარდით. ძალიან განიცდიდა, რომ ჰასანის მიმართ სიყვარულს ღიად ვერ გამოხატავდა.

ამის გამო თითქოს ჯავრს შენზე იყრიდა. შენ მისი ლეგიტიმური ნაწილი ხარ, ამირ, მის მიერ მოპოვებული სიმდიდრის, პრივილეგიებისა და ასევე, მისი ცოდვების მემკვიდრე. შენ რომ გიყურებდა, თავისთავს, თავის დანაშაულს ხედავდა. ახლა ბრაზობ, მაგრამ დრო გავა და მიხვდები, მამაშენი მკაცრი შენ მიმართ კი არა, თავის თავის მიმართ იყო. და კიდევ ერთი რამ, ისიც შენსავით ტანჯული სული იყო, მთელი ცხოვრება საკუთარი სინდისი სტანჯავდა.

იმ მწუხარების გადმოცემა, რაც მისი სიკვდილის გამო განვიცადე, სიტყვით შეუძლებელია. მიყვარდა იმიტომ, რომ ჩემი მეგობარი და რაც მთავარია, დიდებული ადამიანი იყო. მინდა, რომ ღრმად ჩაწვდე იმას, რასაც ვამბობ. ასე მგონია, მისი ყოველი ნაბიჯი, ყოველი დიდი საქმე: ღარიბების დაპურება, მოწყალების გაცემა, გაჭირვებაში მყოფი მეგობრების დახმარება, ობოლთა თავშესაფრის აგება და სხვა ყველა სიკეთე, რაც ცხოვრებაში გაუკეთებია, ჩადენილი ცოდვის მონანიების, ან სხვა სიტყვებით, დანაშაულის გამოსყიდვის სურვილით იყო ნაკარნახევი. ამირ ჯან, ნამდვილი მონანიება ის არის სწორედ, დანაშაული სიკეთის გზაზე რომ დაგაყენებს.

ღმერთი მოწყალეა და ვიცი, მოგვიტევებს. თუ შეგიძლია შენც აპატიე მამაშენს, თუ სურვილი გაქვს, მაპატიე მეც, და რაც მთავარია, ამირ, შენს საკუთარ თავს აპატიე.

რაც მებადა, გიტოვებ, ამირ. ეს ფული ხარჯების დასაფარად გეყოფა. ფეშავარში ერთ-ერთ ბანკშია, სეიფში, ფარიდმა იცის, სადაც არის. ეს გასაღები სეიფისაა.

ახლა მივდივარ. მინდა, დარჩენილი დრო მარტომ გავატარო. ნუ მომძებნი, ეს ჩემი უკანასკნელი თხოვნაა.

გფარავდეს ღმერთი!

მარად შენი მეგობარი,

რაჰიმი

საავადმყოფოს ხალათის სახელოთი ცრემლი მოვიწმინდე. წერილი დავკეცე და ლეიბის ქვეშ ამოვდე.

ბაბას ლეგიტიმური ნაწილი... რა გერგო მემკვიდრეობად, ამირ? ბაბას ქონება? თუ ცოდვები გამოსყიდვის უფლებით? მე და ბაბა ძალიან კარგად ვიყავით ერთმანეთთან ამერიკაში. ძველმანების ბაზრობა, დაბალანაზღაურებადი სამუშაო, პატარა სახლი, რომელიც ქოხის ამერიკული ვერსია იყო... მე რომ მიყურებდა, ვინ იცის, იქნებ ჩემთან ერთად ჰასანსაც ხედავდა. ეს იყო ალბათ ჩვენი სიამტკბილობის მიზეზი. შენსავით ტანჯული სული იყოო. ალბათ. ორივე ცოდვილები ვართ, ორივეს კისერზე ღალატია. მაგრამ ბაბა მთელი ცხოვრება ნანობდა და უსაზღვროდ დიდი, კეთილი საქმეებით ცდილობდა ცოდვის შემსუბუქებას. მე რა გავაკეთე? ვისაც ვუღალატე, სწორედ იმას დავაბრალე ყველაფერი და მერე დავიწყება ვცადე. მეტი არაფერი. ჰო, კიდევ უძილობა დამჩემდა.

ექთანი შემოვიდა, სახელი აღარ მახსოვს, ჟღალი თმა ჰქონდა. ხელში შპრიცი ეჭირა. მორფი გამიკეთეთ-მეთქი, ვუთხარი.

მეორე დღეს მკერდიდან დრენაჟი ამომიღეს. არმანდმა ვაშლის წვენის დალევის უფლება მომცა. აიშამ წვენით სავსე ჭიქა საწოლის გვერდით პატარა მაგიდაზე დადგა, – იქნებ სარკე

მომიტანოთ? – ვთხოვე. ბიფოკალური სათვალე შუბლზე აიწია, ფარდები გადასწია და მითხრა: – რამდენიმე დღეში უკეთ გექნებათ. ჩემი სიძე მოყვა ავარიაში ერთი წლის წინ. საშინლად ჰქონდა სახე დამახინჯებული, მაგრამ ახლა ისევ ის ლამაზი ბიჭია, ჰოლივუდის ვარსკვლავი გეგონებათ.

მისი გაფრთხილების მიუხედავად, სარკეში რომ ჩავიხედე, სუნთქვა შემეკრა. გეგონებოდათ, კანის ქვეშ ტუმბოს მილი დამიყენეს და ჰაერი ჩაბერესო. თვალები ჩალურჯებული მქონდა, ყველაზე საშინელი მაინც პირი იყო: სასაცილო უფორმო მასა – ნაკერებით, ნაკაწრებით, ლურჯწითელი ლაქებით. გამეღიმა და საშინელიტკივილი ვიგრძენი. მარცხენა ლოყაზე, მთელ სიგრძეზე ნაკერი, ნიკაპის ქვეშ ნაკერი, შუბლზე ნაკერი... მოხუცმა კაცმა, ფეხი რომ თაბაშირში ჰქონდა, რაღაც მითხრა ურდუს ენაზე. ვერ გავიგე-მეთქი, თავი გავაქნიე. მერე თითით საკუთარი სახისკენ მიმანიშნა, – ძალიან კარგი, – თქვა ინგლისურად, – ინშალლა.

– მადლობა, – ჩავიჩურჩულე.

ამ დროს ფარიდი და სოჰრაბი შემოვიდნენ. სოჰრაბი სამფეხა სკამზე დაჯდა და თავი საწოლის ზურგს მიადო.

– რაც შეიძლება, მალე უნდა წავიდეთ აქედან, – თქვა ფარიდმა.

– ექიმი ფარუქი ამბობს...

– მხოლოდ საავადმყოფოდან არა, ფეშავარიდან უნდა წავიდეთ.

– რატომ?

– თალიბებს მეგობრები ჰყავთ აქ, ძებნას დაგიწყებენ.

– იქნებ უკვე დამიწყეს კიდეც, – წავილუღლუღე, ის წვერიანი კაცი გამახსენდა, ოთახში რომ შემობოდიალდა და მომაშტერდა.

– როგორც კი სიარულს შეძლებ, ისლამაბადში წაგიყვან. არც ის არის მაინცდამაინც სანდო, მაგრამ... დროს მაინც მოვიგებთ.

– ფარიდ-ჯან, შენთვისაც საშიშია ჩემთან ერთად გამოჩენა. ოჯახი გყავს მისახედი.

ფარიდმა ხელი ჩაიქნია, – ჩემი ბიჭები პატარები, მაგრამ ძალიან მაგრები არიან. თავიანთი დედებისა და დების მიხედვა თვითონ შეუძლიათ, – გაიღიმა, – თანაც არ მითქვამს, რომ მუქთად ვაპირებ შენს დახმარებას.

– ძალიან რომ გინდოდეს, მაგის საშუალებას მე არ მოგცემ, – დამავიწყდა გაღიმება რომ არ შემეძლო და გავიღიმე. ნაკერიდან ცოტა სისხლი წამომივიდა, – შეგიძლია ერთხელ კიდევ დამეხმარო?

– შენი გულისთვის თუნდაც ათასჯერ, – თქვა ფარიდმა.

ცრემლები წვიმასავით წამომცვივდა. გულამოსკვნილი ვტიროდი. სახე მეწვოდა.

– რა მოგივიდა? – შეშფოთდა ფარიდი.

სახეზე ხელები ავიფარე. ვიცოდი, რომ ყველა მე მიყურებდა. საშინელი დაღლილობა ვიგრძენი, – უკაცრავად, – ვთქვი მე. სოჰრაბი შეშინებული მიყურებდა.

სული რომ მოვითქვი, ფარიდს ვუთხარი: – რაჰიმ-ხანმა თქვა, რომ აქ ცხოვრობენ ფეშავარში, მისტერ და მისის ქოლდოუელები, – ქაღალდის ნაგლეჯზე დავუწერე და მივაწოდე „ჯონ და ბეტი ქოლდოუელები“.

ფარიდმა ქაღალდი ჯიბეში ჩაიდო, – როგორც კი შევძლებ, მოვძებნი, – შემდეგ სოჰრაბს მიუბრუნდა, – საღამოს შემოგივლი, ნუ გადაღლი ამირს.

სოჰრაბი ფანჯრის რაფასთან მივიდა. მტრედები პურის ნარჩენებს კენკავდნენ. ჩემი საწოლის გვერდით, მაგიდის უჯრაში, ძველი ჟურნალი, თავმოჭმული ფანქარი და კბილებჩამტვრეული სავარცხელი აღმოვაჩინე. უჯრის უკანა კუთხეში კარტის წყება შევნიშნე. ძლივს მივწვდი. დავითვალე და ჩემდა გასაოცრად, არ აკლდა.

– ხომ არ გვეთამაშა? – ვკითხე სოჰრაბს. არ ველოდი, რომ მიპასუხებდა. რაც ქაბულიდან გამოვიქეცით, ჩუმად იყო.

– მხოლოდ ფანჯ-ფარის თამაში ვიცი, – როგორც იქნა, ხმა ამოიღო.

– წინასწარ თანაგიგრძნობ, ფანჯ-ფარის დიდი და გამოჩენილი ოსტატი ვარ.

სამფეხაზე ჩამოჯდა. კარტი დავარიგე: – შენი ასაკის რომ ვიყავით მე და მამაშენი, მაშინ ვთამაშობდით ამ თამაშს. განსაკუთრებით, ზამთარში, როცა გარეთ თოვდა. მთელ დღეს თამაშში ვატარებდით.

ჩამოვიდა და კარტი წყებიდან აიმატა. სანამ შემდეგ სვლაზე ფიქრობდა, თვალმოუშორებლად ვაკვირდებოდი. ბევრ რამეში გამოცხადებული მამამისი იყო. მასავით ორი ხელით ეჭირა კარტი, მასავით წკურავდა თვალებს, მასავით არიდებდა თვალს პარტნიორს თამაშის დროს.

პირველი ხელი მე მოვიგე, მეორე მივეცი. დანარჩენი ხუთი ხელი დამსახურებულად მომიგო, – მამაშენივით კარგად თამაშობ, შეიძლება უკეთესადაც, – ვუთხარი ბოლო ხელის წაგების შემდეგ, – ზოგჯერ ვუგებდი ხოლმე, მაგრამ მგონი, ვეცოდებოდი და მაგებინებდა. იცი, მე და მამაშენს ერთი ძიძა გვყავდა.

– ვიცი

– რას გიყვებოდა მამაშენი ჩვენ შესახებ?

– მეუბნებოდა, რომ შენ მისი საუკეთესო მეგობარი იყავი.

ხელში აგურის ვალეტს ვატრიალებდი: – ვერ გამოვდექი მამაშენისთვის კარგი მეგობარი, მაგრამ იქნებ მე და შენ დავმეგობრდეთ და შევძლო, რომ ნამდვილი მეგობრობა გაგიწიო.

ფრთხილად შევეხე მკლავზე, მაგრამ შეკრთა, წამოხტა, კარტი საწოლზე დაყარა და ისევ ფანჯრისკენ წავიდა.

ჩამავალმა მზემ ძოწისფრად შეღება ფეშავარის ცა. ფანჯრიდან საყვირის, ვირის ყროყინისა და სტვენის ხმა შემოდიოდა. სოჰრაბს ფანჯრის შუშაზე ჰქონდა შუბლი მიბჯენილი, დამუშტული ხელები იღლიების ქვეშ ამოეწყო.

იმ ღამეს აიშამ და მისმა დამხმარემ ფეხზე წამომაყენეს. ოთახს მხოლოდ ერთხელ შემოვუარე. ცალი ხელით აიშას დამხმარის მკლავს ვებღაუჭებოდი, მეორეთი გორგოლაჭებიან წვეთოვანის სისტემას. ათი წუთი დამჭირდა, სანამ საწოლთან დავბრუნდებოდი, ოფლად დავიღვარე, ნაოპერაციები მუცელი ამტკივდა, გული ამიჩქარდა, ყურები დამეხშო. როგორღაც მივედი საწოლთან და დავწექი, თვალები დავხუჭე. ღმერთო, როგორ მენატრებოდა ჩემი ცოლი...

მომდევნო დღეებში ისევ სიჩუმეში გავაგრძელეთ კარტის თამაში. შეიძლება ითქვას, ერთმანეთისთვის ხმა არ გაგვიცია. თამაში მხოლოდ ცოტა ხნით შევწყვიტეთ,

რამდენჯერმე ტუალეტში გავედი და ერთიორჯერ ოთახში გავიარ-გამოვიარე. ერთხელაც, დაღლილს ჩამეძინა და: ასეფი დგას ოთახის შუაში. თვალის ბუდეში მეტალის ბურთულა აქვს გაჩხერილი, – შენ ჩემი ტყუპის ცალი ხარ, ამირ! ჩემნაირი ხარ!

დილას არმანდს ვუთხარი, წასვლა გადავწყვიტე-მეთქი.

– ჯერ ძალიან ადრეა, – გააპროტესტა არმანდმა. იმ დღეს, რატომღაც, ხალათის ნაცვლად ლურჯი კოსტიუმი ეცვა და ყვითელი ჰალსტუხი ეკეთა. თმა ბრიოლინით ჰქონდა გადაგლესილი, – ჯერ ინტრავენური ანტიბიოტიკები არ მოგვიხსნია და...

– უნდა წავიდე, – დიდ მადლობას გიხდით ყველაფრისთვის, მაგრამ უნდა წავიდე.

– სად მიდიხართ?

– მაგას ვერ გეტყვით.

– ჯერ სიარული გიჭირთ.

– როგორმე მივალ კორიდორის ბოლომდე, არაფერი მომივა.

ასეთი გეგმა მქონდა: სასწრაფოდ ვტოვებდით იქაურობას, სეიფიდან ფული გამოგვქონდა, საავადმყოფოს ხარჯებს ვფარავდი, სოჰრაბს ბეტი და ჯონ ქოლდოუელებთან ვტოვებდი, შემდეგ ისლამაბადში ვჩერდებოდი რამდენიმე დღე და მერე აეროპორტში, სახლისაკენ... ფარიდი და სოჰრაბი მოვიდნენ.

– შენი მეგობრები, ბეტი და ჯონ ქოლდოუელები, ფეშავარში არ არიან, – თქვა ფარიდმა.

ათი წუთი მაინც დამჭირდა, რომ ფირჰანთუმბანი გადამეცვა. მკლავი ავწიე და მკერდი მეტკინა, ჩამოვწიე და ისევ მეტკინა. ყოველ დახრაზე მუცელი მეგლიჯებოდა, ყოველ ამოსუნთქვაზე ქოშინი მიტყდებოდა, მაგრამ მაინც მოვახერხე და ჩემი ნივთები ავკრიფე. ქაღალდის პარკში ჩავყარე და საწოლზე ჩამოვჯექი. სწორედ ამ დროს მოვიდნენ ფარიდი და სოჰრაბი. სოჰრაბი საწოლზე ჩემ გვერდით ჩამოჯდა.

– სად წავიდნენ?

– არა, ვერ გაიგე... – თქვა ფარიდმა.

– რაჰიმ-ხანმა თქვა...

– შტატების საკონსულოში წავედი, – თქვა ფარიდმა და ჩემი ჩანთა აიღო, – ჯონ და ბეტი ქოლდოუელები ფეშავარში არასოდეს ყოფილან. საკონსულოში შევამოწმებინე, ამ სახელის და გვარის ხალხი აქ, ფეშავარში, არ არსებობს...

ჩემ გვერდით სოჰრაბი ძველ ჟურნალს ფურცლავდა.

ბანკიდან ფული გამოვიტანეთ. ბანკის ღიპიანი მენეჯერი, იღლიების ქვეშ ოფლის ლაქებით, გვარწმუნებდა, რომ ფული სრულად და ხელუხლებლად იყო ბანკში დაცული. ცოტა არ იყოს, საშიში იყო ფეშავარში ფულის ქაღალდის პარკით ტარება. ნებისმიერი წვერიანი კაცი, ასეფის გამოგზავნილი თალიბი ქილერი მეგონა. ორი რამ ამყარებდა ჩემს შიშს: ყველას გრძელი წვერი ჰქონდა და ყველა ყურადღებით გვათვალიერებდა.

– ბავშვს რა ვუყოთ? – მკითხა ფარიდმა, როცა საავადმყოფოს ბუღალტერიის განყოფილებიდან გამოვედით. სოჰრაბი მანქანაში უკანა სკამზე იჯდა, ხელები ნიკაპის ქვეშ ამოეწყო და ქუჩაში იყურებოდა.

– ფეშავარში ვერ დავტოვებ, – ქოშინით ვუპასუხე.

– არა, ფეშავარში არ იქნება მაგის დატოვება, – თქვა ფარიდმა, ვწუხვარ, მე ვერ...

– ვიცი, ვიცი, შენი ოჯახი გყავს გამოსაკვები, – გაღიმებაც კი მოვახერხე. მანქანასთან ძაღლი უკანა თათებზე იდგა და კუდს აქიცინებდა, სოჰრაბი ძაღლს ეფერებოდა, – ჩემთან ერთად მოდის ისლამაბადში.

ისლამაბადამდე ოთხი საათის სავალი იყო. თითქმის მთელი გზა თვალი არ გამიხელია. რა არ დამესიზმრა: ბაბა ხორცს აბასტურმებს ჩემი მეცამეტე დაბადების დღისთვის, ჩემი და სორაიას პირველი ღამე, ქორწილი, სორაიას ინით შეღებილი ხელი; ბაბა, მე და ჰასანი ჯალალაბადში მარწყვის ბაღში – ბაბამ გვითხრა, იმდენი ჭამეთ, რამდენიც გინდათო, ბოლოს მეპატრონესთან ოთხი კილოს ფასი გადაიხადა. მეორე დღეს მუცლები გვტკიოდა. სახეები ფერადი კადრებივით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. რა მუქი, თითქმის შავი ფერის იყო ჰასანის სისხლი თეთრ თოვლზე! სისხლი ძლიერი რამ არის, ბაჩემ; ხალა-ჯამილა სორაიას მუხლზე უსვამს ხელს, ღმერთმა უკეთ იცის, ალბათ ასეა საჭირო; მე და ჰასანს ბაბას სახლის სახურავზე გვძინავს, ბაბა ამბობს: ყველაზე დიდი ცოდვა ქურდობაა, როცა ტყუილს ამბობ, კაცს სიმართლის გაგების უფლებას ჰპარავ; რაჰიმ-ხანის ბოლო ზარი: ისევ შეგიძლია სიკეთის გზაზე დადგე, ამირ, დაბრუნდი.

<u>თავი ოცდამეოთხე</u>

ფეშავარი ძველ ქაბულს მაგონებდა. ისლამაბადი კი ის ქალაქი იყო, რომლის მსგავსი ქაბულიც შეიძლებოდა გამხდარიყო, რომ არა მის თავზე დატრიალებული ამდენი უბედურება. ქუჩები უფრო ფართო და სუფთა, მწვანეში ჩაფლული, უამრავი ჩინური ვარდი ქუჩების გასწვრივ, ბაზრები ბევრად უკეთ ორგანიზებული, ნაკლები ხალხი, ნაკლები რიქშები, თანამედროვე ელეგანტური არქიტექტურა, ვარდებისა და ჟასმინის ბუჩქებით სავსე პარკები.

ფარიდმა მარგალას გორის ძირას, ერთ მყუდრო ქუჩაზე, პატარა სასტუმროში მიგვიყვანა. გზად შაჰ ფეისალის მეჩეთს ჩავუარეთ. ეს მეჩეთი მსოფლიოში ყველაზე დიდ მეჩეთადაა მიჩნეული. მეჩეთის დანახვაზე სოჰრაბი წამოიწია, ფანჯარაში თავი გადაჰყო და სანამ ფარიდი მეორე ქუჩაზე შეუხვევდა, თვალი არ მოუშორებია.

ქაბულის სასტუმრო და ეს პატარა სასტუმრო ისე განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, როგორც ცა და დედამიწა. თეთრეული სუფთა იყო, ხალიჩა მტვერსასრუტით გაწმენდილი, სააბაზანო გაკრიალებული. შამპუნი, საპონი, საპარსი მოწყობილობა, ლიმონის არომატით გაჟღენთილი პირსახოცები, კედლები სუფთა, არავითარი სისხლის ლაქები და ბოლოს, საწოლის პირდაპირ, ტელევიზორი.

– შეხედე, – ვუთხარი სოჰრაბს, ტელევიზორი ჩავრთე და საბავშვო გადაცემა მოვძებნე. თოჯინების შოუ იყო, ხუჭუჭა ბეკეკები ურდუს ენაზე მღეროდნენ. სოჰრაბი საწოლის კიდეზე ჩამოჯდა და მუხლები მკერდზე მიიბჯინა. ის დღე გამახსენდა, როცა ჰასანს შევპირდი, დიდები რომ გავიზრდებით, ფერად ტელევიზორს გიყიდი-მეთქი.

– აბა, წავედი, – თქვა ფარიდმა.

– ამაღამ დარჩი, ფარიდ. გრძელი გზაა, ხვალ დილას წადი.

– თაშაქორ, – თქვა მან, – მინდა, რომ ამაღამ ჩავიდე, ბავშვები მენატრებიან.

კარისკენ გაემართა, – სოჭრაბჯან, ნახვამდის, – თქვა მან. სოჭრაბმა ყურადღება არ მიაქცია, ისევ ისე, პირგამეხებული იჯდა. სახეზე ტელევიზორის ანარეკლი დასთამაშებდა. მე და ფარიდი გარეთ გავედით. კონვერტი გადავეცი.

– არც კი ვიცი, მადლობა როგორ გადაგიხადო, იმდენი გააკეთე ჩემთვის...

ფარიდმა კონვერტი გახსნა. გაოცებისგან პირი ღია დარჩა, – რამდენია? – მკითხა დაბნეულმა.

– ორი ათას დოლარზე ცოტა მეტია.

– ორი ათას დო... ქვედა ტუჩი აუკანკალდა.

ქვევით ჩავყევი და მანქანამდე მივაცილე. ცოტა ხანში მანქანა დაძრა, გამომშვიდობების ნიშნად ორჯერ დაასიგნალა, ხელი დამიქნია და წავიდა.

მე ის აღარასდროს მინახავს.

ოთახში დავბრუნდი. სოჭრაბს ტელევიზორი გამოერთო და საწოლზე მოკუნტული იწვა. თვალები დახუჭული ჰქონდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ არ ეძინა. საწოლზე ჩამოვჯექი. აუუ, ტკივილის გარეშე ვერც ვჯდებოდი, ვერც ვდგებოდი, ვერც ვწვებოდი. ნეტავ რამდენ ხანს გაგრძელდება ასე? სოჭრაბისკენ გავიხედე. რა ვუშველო ჩემ გვერდით საწოლზე მიწოლილ პატარა, გულმოკლულ ბიჭს? თუმცა, პასუხი ამ კითხვაზე უკვე მქონდა. საწოლის გვერდით, პატარა კარადაზე წყლის სურა იდგა. წყალი დავისხი და არმანდის გამოწერილ ტკივილგამაყუჩებელ აბს დავაყოლე. ფარდები ჩამოვაფარე, როგორც იქნა, საწოლზე მოვთავსდი, პლედი გადავიფარე. ტკივილი მთელ სხეულს მიშანთავდა. ცოტაც და არმანდის აბმა მოქმედება დაიწყო. როცა გამეღვიძა, უკვე ბნელდებოდა. ფარდებს შორის მეწამული ცის ნაჭერი მოჩანდა. ოფლში ვიწურებოდი, თავი მიფეთქავდა. რაღაც მესიზმრა, მაგრამ რა, ვერ გავიხსენე.

სოჭრაბისკენ გავიხედე. სად წავიდა? საწოლი ცარიელი იყო. გულისცემა მომემატა. დავუძახე. საკუთარმა ხმამ დამაბნია. სახლიდან ათასობით კილომეტრით მოშორებული, სასტუმროს ბნელ ოთახში ვარ და ბიჭს ვეძახი, რომელიც სულ რამდენიმე დღის წინ პირველად ვნახე. თავს მოვერიე და წამოვდექი. აბაზანის კარი შევაღე, ოთახის წინ შემოსასვლელში გავედი, არსად ჩანდა. კარი ჩავკეტე და მისაღებში, მენეჯერთან ჩავედი. ცალი ხელით კიბის მოაჯირს ვეჭიდებოდი. მისაღების კედლების შპალერზე ვარდისფერი ფლამინგოები ეხატა, კუთხეში მტვრიანი ხელოვნური პალმა იდგა. მენეჯერი დახლის უკან იჯდა და გაზეთს კითხულობდა. სოჭრაბი აღვუწერე და ვკითხე, თვალი ხომ არ მოგიკრავს-მეთქი. კითხვა შეწყვიტა, სათვალიდან ამომხედა. ცხიმიანი თმა და ოთხკუთხა ჭაღარაშერეული ულვაში ჰქონდა. რომელიღაც ეგზოტიკური ხილის სუნამო ჰქონდა დაპკურებული.

– ბიჭები სულ აქეთ-იქით დარბიან. მეც ბიჭები მყავს და შეიკლეს ჩემი ცოლი ხელში, ვერ აჩერებს, – გაზეთით სახეს ინიავებდა და ჩემს ყბებს გულდასმით აკვირდებოდა.

– აქვე არ იქნება. ჩვენ აქაურები არ ვართ. მეშინია, რომ არ დაიკარგოს, – ვთქვი მე.

– მერე ვერ მიაქციეთ ყურადღება? – თავი გააქნია.

– ჰო, მართალი ხართ, მაგრამ ჩამეძინა და რომ გავიღვიძე, წასული დამხვდა.

– ბიჭებს სულ თვალყური უნდა ადევნო, ასეა, თქვენც ხომ იცით.

– ჰო, – ვთქვი მე. მოთმინებას ვკარგავდი. ვინ არის? რა კაცია? როგორ შეუძლია ასე მშვიდად მიიღოს ჩემი ნათქვამი?

– ახლა ველოსიპედს მთხოვენ.

– ვინ?

– ჩემი ბიჭები. „მამიკო, მამიკო, ველოსიპედი გვიყიდე რა!“ – ყელაწეულები მეხვეწებიან. ჩემი ცოლი მომკლავს, რომ გაიგოს.

რა არ წარმოვიდგინე! სოჰრაბი თხრილში გდია, ან სატვირთოს ძარაზე ხელ-ფეხშეკრული და პირახვეული. არა, არა, ოღონდ მისი სისხლით მაინც არ შემეღებოს ხელები!

– გთხოვთ, – მის პერანგზე მიმაგრებულ სამკერდე ნიშანზე მისი სახელი ამოვიკითხე, – მისტერ ფაიაზ, ნახეთ ბავშვი თუ არა?

– ბიჭი?

– ჰო, ბიჭი! ბიჭი! – უკვე თავს ვეღარ ვიკავებდი, – ბიჭი, რომელიც ჩემთან ერთად მოვიდა, ნახეთ თუ არა?

განიავება შეწყვიტა. თვალები დაუვიწროვდა: – მე რას მერჩით? მე ხომ არ ვარ დამნაშავე, თქვენ რომ ბავშვი დაკარგეთ?

სახეზე სისხლი მომაწვა, მაგრამ თავი მოვთოკე: – მართალი ხართ, უკაცრავად, ნახეთ თუ არა?

– ვწუხვარ, – სათვალე მოიმარჯვა, გაზეთი გადაშალა, – არ მინახავს.

ერთი წუთით დახლთან შევჩერდი, ვცდილობდი, რომ არ მეყვირა. ბოლოს გასასვლელისკენ წავედი.

– სად შეიძლება წასულიყო? – მომესმა უკნიდან.

– წარმოდგენა არ მაქვს, – დაღლილი და შეშინებული ვიყავი.

– იქნებ რამე აინტერესებს? მაგალითად, ჩემი ბიჭები რას არ გააკეთებენ, ამერიკული ფილმი რომ ნახონ, განსაკუთრებით, თუ არნოლდ შვარცნეგერი თამაშობს.

– მეჩეთი! დიდი მეჩეთი! – გამახსენდა, როგორ უყურებდა სოჰრაბი მეჩეთს.

– შაჰ ფეისალის მეჩეთი?

– დიახ, შეგიძლიათ, რომ მიმიყვანოთ იქამდე?

– იცით ხომ, რომ ეს მსოფლიოში უდიდესი მეჩეთია, მისი ეზო ორმოციათას კაცს იტევს.

– წამიყვანთ?

– აქედან ერთი კილომეტრია, მეტი არა, – დახლიდან გამოვიდა.

– გადაგიხდით, – ვუთხარი მე.

ამოიხვნეშა და თავი გააქნია, – დამიცადეთ, – უკანა კარში გავიდა, მალე დაბრუნდა, სხვა სათვალე ეკეთა. ხელში გასაღებების აცმა ეჭირა. გვერდზე ფორთოხლისფერ სარიში ჩაცმული ქალი მოჰყვებოდა. ქალმა მისი ადგილი დაიკავა დახლის უკან, – ფულს არ გამოგართმევთ, მაგრამ წაგიყვანთ, რადგან მეც თქვენსავით მამა ვარ.

ალბათ დაღამებამდე მოგვიწევს ქალაქში სიარული. პოლიციაში დავრეკავ, სოჰრაბის აღწერილობას მივცემ, აუცილებელ შეკითხვებს ვუპასუხებ. წარმოვიდგინე, რომ უკვე

პოლიციაში ვიყავი – პოლიციელს ზედ აწერია, რომ ფეხებზე ჰკიდია, კიდევ ერთი ავღანელი ბავშვი მოკვდება თუ არა...

მაგრამ სოჰრაბი მეჩეთიდან მოშორებით, მანქანების სადგომთან ახლოს, მწვანე მდელოზე იჯდა. ფაიაზმა მანქანა გააჩერა და გადმოვედი.

– მე უნდა დავბრუნდე, მეჩქარება, – თქვა მან.

– დიდი მადლობა, ფეხით გამოვისეირნებთ სასტუმრომდე.

– რაღაც უნდა გითხრათ, – მისი სათვალე მწუხრის მიმქრალ შუქს ირეკლავდა, – დიდი უდარდელი ხალხი ხართ, თქვენ, ავღანელები.

ყველაფერი მტკიოდა, ყბები მიფეთქავდა, კისრისა და მუცლის იარები ლამის გადამხსნოდა, მაგრამ მაინც გამეცინა.

სასაცილო რა არის?

ვიღას ახსოვდა მავთულებით შეკოწიწებული ყბები, გულიანად ვიცინოდი.

– გიჟები, – თქვა მან და მანქანა დაძრა. უკანა ფარები წითლად აციმციმდნენ.

– ძალიან შემაშინე, – მის გვერდით დავჯექი. მეჩეთს უყურებდა. შაჰ ფეისალის მეჩეთი გიგანტური კარავივით იყო გაშლილი. მანქანები მოდიოდნენ და მიდიოდნენ, თეთრებში ჩაცმული მლოცველები მეჩეთში შედიოდნენ და გამოდიოდნენ, სიჩუმეში ვისხედით, მე ხეს მიყრდნობილი, სოჰრაბი ფეხებმოკეცილი, საღამოს ლოცვაზე უხმობდნენ, უკვე ბნელდებოდა, ათასობით ნათურა აინთო, მეჩეთი ბრილიანტივით აკიაფდა, სიბნელეში ცას სწვდებოდა მისი ბრწყინვალება.

– მაზარიშარიფში ყოფილხარ? – მკითხა სოჰრაბმა.

– დიდი ხნის წინ.

– პატარა რომ ვიყავი, მამამ წამიყვანა. დედა და სასაც ჩვენთან ერთად იყვნენ. მამამ ბაზარზე მაიმუნი მიყიდა, ნამდვილი კი არა, გასაბერი, ყავისფერი იყო, კისერზე ბაფთა ეკეთა.

– ალბათ მეც მქონდა ეგეთი სათამაშო ბავშვობაში.

– მერე ლურჯ მეჩეთში მივედით. მახსოვს, იმდენი მტრედი იყო მეჩეთის ეზოში... ადამიანების არ ეშინოდათ. სასამ ნაანის ნაფხვენები მომცა და დავუყარე, მალე იმდენი მტრედი მოგროვდა ჩემ გარშემო... კარგი იყო.

– ალბათ მშობლები ძალიან გენატრება, არა? – ვკითხე. ჩემთვის ვიფიქრე, იქნებ ის მაინც არ უნახავს, როგორ ჩახოცეს მისი მშობლები თალიბებმა ქუჩაში.

– შენ გენატრება შენი მშობლები? – ნიკაპი მუხლების თავზე ჰქონდა ჩამოდებული.

– დედაჩემი არასოდეს მინახავს, ჩემს გაჩენას გადაჰყვა. მამაჩემი წლების წინ გარდაიცვალა და ძალიან მენატრება ხოლმე.

– გახსოვს, როგორ გამოიყურებოდა?

ბაბას ძლიერი კისერი გამახსენდა, მისი შავი თვალები, ურჩი ყავისფერი თმა.

– მახსოვს, სუნიც კი კარგად მახსოვს.

– მათი სახეები მიფერმკრთალდება, ცუდია ხომ?

– არა, დროს თავისი მიაქვს, – რაღაც გამახსენდა. ჩემი პიჯაკის გულის ჯიბიდან პოლაროიდის სურათი ამოვიღე, – აი, გამომართვი.

თვალებთან ახლოს მიიტანა, ისე დაიჭირა, რომ მეჩეთიდან შუქი დასცემოდა და დიდხანს, დიდხანს უყურებდა. ვიფიქრე, ალბათ ტირილს დაიწყებს-მეთქი, მაგრამ არა, ორივე ხელით ეჭირა სურათი, თან ცერა თითს უსვამდა. ერთი გამონათქვამი თუ სადღაც წაკითხული ფრაზა ამომიტივტივდა გონებაში – ავღანეთში ბევრი ბავშვია და ცოტა ბავშვობა. სოჰრაბმა სურათი გამომიწოდა.

– შეინახე, შენია, – ვუთხარი მე.

– მადლობა, – თქვა მან და ჟილეტის ჯიბეში ჩაიდო. მანქანების სადგომზე ცხენშებმული ეტლი გამოჩნდა. ცხენს ზარი ჰქონდა კისერზე შებმული, ყოველ ნაბიჯზე ზარის წკრიალის ხმა ისმოდა.

– ბოლო დროს მეჩეთებზე ხშირად ვფიქრობ, – თქვა სოჰრაბმა.

– მართლა? რაო, რას ფიქრობ?

– უბრალოდ, ვფიქრობ, – მხრები აიჩეჩა. თავი ასწია, პირდაპირ თვალებში შემხედა, ტიროდა, – შეიძლება რაღაც გკითხო, ამირ-აღა?

– შეიძლება, აბა რა, მკითხე.

– იმ კაცს რაც დავმართე, იმისთვის ღმერთი ჯოჯოხეთში მომახვედრებს? – სლუკუნით ამოთქვა.

ხელი გავწიე მისკენ, მაგრამ შეკრთა და უკან წავიღე: – არა, რასაკვირველია, არა, – მინდოდა მოვხვეოდი, დამემშვიდებინა, მეთქვა, რომ ცხოვრება სასტიკი იყო მის მიმართ, რომ ის არ იყო დამნაშავე.

სახე ოდნავ დაუმშვიდდა: – მამაჩემი მეუბნებოდა ხოლმე, რომ ცუდ ადამიანებსაც კი არაფერი უნდა დაუშავო, იმიტომ რომ შეიძლება როდესმე კარგები გახდნენო.

– ჰო, მაგრამ ყოველთვის ასე არ ხდება, სოჰრაბ. იმ კაცს, შენ რომ გული გატკინა, ბავშვობიდან ვიცნობ, შენ ამას ალბათ მიხვდი, როცა მე და ის ერთმანეთს ველაპარაკებოდით. ერთხელ, შენი ხნის როცა ვიყავი, ასეფმა ჩემი დასჯა და ცემა გადაწყვიტა, მაგრამ მამაშენმა გადამარჩინა. მამაშენი ძალიან ძლიერი და მამაცი იყო, გასაჭირიდან სულ ის მიხსნიდა ხოლმე. ერთ დღესაც ასეფმა შური იძია და მამაშენს სასტიკად მოექცა, ძალიან დიდი შეურაცხყოფა მიაყენა და მე... მე ვერ დავეხმარე მამაშენს.

– რას ერჩოდნენ მამაჩემს, – წვრილი ხმით წამოიძახა სოჰრაბმა, – არასოდეს არავისთვის არაფერი დაუშავებია.

– მართალი ხარ, მამაშენი კარგი კაცი იყო, მაგრამ მაგის ახსნას ვცდილობ სწორედ, რომ არსებობენ ცუდი ადამიანები და ხშირად ისინი არ იცვლებიან. რადგან ასეა, ხანდახან მათ წინ უნდა აღუდგე. შენ რაც გააკეთე, მე უნდა გამეკეთებინა მრავალი წლის წინ. მან ის მიიღო, რაც დაიმსახურა და უნდა ვთქვა, რომ კიდევ უფრო მეტის ღირსია.

– როგორ ფიქრობ, მამაჩემს იმედი გავუცრუე?

– ზუსტად ვიცი, რომ არა. შენ ქაბულში ჩემი სიცოცხლე იხსენი, მამაშენი ახლა შენით ამაყობს.

სახელოთი ცრემლი მოიწმინდა, მერე თავი ხელებში ჩარგო და აქვითინდა. კარგა ხანს ტიროდა. ბოლოს გულამოსკვნილმა თქვა: – მამა მენატრება, დედა, სასა და რაჰიმ-ხანი, მაგრამ ზოგჯერ მიხარია, რომ ვერ მხედავენ.

– რატომ? – მკლავზე შევეხე, კიდევ მომიშორა.

– იმიტომ, რომ არ მინდა, რომ მნახონ, ისეთი ბინძური ვარ, ისეთი ჭუჭყიანი... – სუნთქვას ტირილი ამოაყოლა, – ცოდვილი ვარ და ბინძური.

– არა, სოჰრაბ, არა!

– რაღაცებს მიკეთებდნენ, ის კაცი და კიდევ ორნი. რაღაცებს მიკეთებდნენ...

– შენ არც ცოდვილი ხარ და არც ბინძური, – მკლავზე შევეხე და ჩემკენ მოვწიე გამიძალიანდა, – არაფერს დაგიშავებ, სოჰრაბ, პირობას გაძლევ. ბოლოს მოეშვა, მკერდზე თავი მომაყრდნო და ტირილით გული იჯერა, ყოველ ამოქვითინებაზე უთრთოდა პატარა სხეული.

ძუძუმტეებს შორის ძმობა ბუნებრივია, მაგრამ ახლა, როცა ამ პატარა ბიჭის ტკივილმა მკერდი დამისველა, მასთან საოცარი სისხლისმიერი სიახლოვე ვიგრძენი. იმან, რაც ქაბულში მოხდა, სამუდამოდ დაგვაკავშირა ერთმანეთთან. შესაფერის დროს და მომენტს ვეძებდი, რომ მისთვის ერთი შეკითხვა დამესვა, შეკითხვა, რომელიც გამუდმებით თავში მიტრიალებდა და მოსვენებას არ მაძლევდა. მგონი, ახლა სწორედ ის მომენტი დადგა.

– წამოხვალ ამერიკაში ჩემთან ერთად? იქ ჩემს ცოლთან და ჩემთან ერთად იცხოვრებ?

არ მიპასუხა. ჩემს მკერდზე მოწეპებული ისევ ქვითინებდა. ერთი კვირის განმავლობაში ამერიკა საერთოდ აღარ გვიხსენებია, ვითომ არც არაფერი მიკითხავს. ერთ მშვენიერ დღეს ტაქსში ჩავსხედით და დამენიკოს გადმოსახედისკენ გავემგზავრეთ. აქედან ისლამაბადის ულამაზესი ხედი იშლება. ტაქსის მძღოლმა გვითხრა, ნაწვიმარზე პრეზიდენტის სასახლეც კი ჩანსო. სარკეში ვხედავდი, როგორ გადაჰქონდა მძღოლს მზერა სოჰრაბიდან ჩემზე და პირიქით. ჩემი თავიც შევათვალიერე. სახე შედარებით დამიცხრა, მაგრამ სისხლჩაქცევებმა ფერი იცვალეს და სახეზე ახლა ავადმყოფური ყვითელი ფერი მედო.

ევკალიპტის ხის ქვეშ სკამზე ვისხედით. ბუნებაში ქეიფის მოყვარულთათვის მშვენიერი ადგილი იყო. თბილოდა. ლურჯ ცაზე მზე კაშკაშებდა. დასასვენებლად ამოსული ოჯახები შორიახლოს ისხდნენ, ფაკორას და სამოსას საამო არომატი ტრიალებდა. ვიღაცის რადიო ნაცნობ ჰინდურ სიმღერებს გადმოსცემდა. ბავშვები, უმეტესი მათგანი სოჰრაბის ასაკის იქნებოდა, სიცილკისკისით დასდევდნენ ბურთს. კარტეშეს ობოლთა სახლი გამახსენდა, ზამანის ვირთხებით სავსე ოფისი, ბოღმისგან გული შემეკუმშა: რა უქნეს ჩემმა თანამემამულეებმა საკუთარ სამშობლოს!

– რა მოგივიდა? – მკითხა სოჰრაბმა, – არაფერი, – ძალით გავიღიმე.

სასტუმროდან წამოღებული პირსახოცი პიკნიკის მაგიდაზე გავშალეთ და ფანჯ-ფარის თამაში დავიწყეთ. უცბად თავი კარგად ვიგრძენი, ჩემი ნახევარძმის შვილთანერთად კარტს ვთამაშობდი, მზე ზურგს მითბობდა, რადიო ნაცნობ მელოდიებს ატრიალებდა.

– შეხედე, – თქვა სოჰრაბმა. ხელი ცისკენ გაიშვირა. ზევით ავიხედე, უღრუბლო ცაზე შევარდენი კრავდა კამარას.

– არ ვიცოდი, შევარდნები თუ იყვნენ ისლამაბადში, – ვთქვი მე.

– არც მე, სადაც შენ ცხოვრობ, იქ არიან შევარდნები?

– სან ფრანცისკოში? ალბათ არიან, ზუსტად არ ვიცი.

– აა, – თქვა მან. იმედი მქონდა, რომ კიდევ დამისვამდა კითხვებს ამერიკის შესახებ, მაგრამ ახალი ხელი დაარიგა. ქაღალდის პარკი გავხსენი და ხორციანი სენდვიჩი მივაწოდე. ჩემთვის ფორთოხლის და ბანანის წვენი მქონდა წამოღებული. მისის ფაიაზს ერთი კვირით ბლენდერი ვთხოვე. წვენი საწრუპით მოვსვი და რამდენიმე წვეთი ტუჩის კუთხიდან ჩამომეღვარა. სოჰრაბმა ხელსაწმენდი მომაწოდა, ორივეს გაგვეღიმა.

– მე და მამაშენი ძმები ვიყავით, – მოულოდნელად აღმომხდა. მაშინ მინდოდა მეთქვა, მეჩეთთან რომ ვისხედით, მაგრამ ვერ ვუთხარი. სოჰრაბს ეს უნდა სცოდნოდა, არაფრის დამალვას აღარ ვაპირებდი, – ნახევარძმები, საერთო მამა გვყავდა.

ჭამა შეწყვიტა. სენდვიჩი მაგიდაზე დადო: – მამაჩემს არასოდეს უთქვამს, რომ ძმა ჰყავდა.

– იმიტომ, რომ არ იცოდა.

– რატომ არ იცოდა?

– არავინ უთხრა, არც მას და არც მე. მეც ახლახან გავიგე.

თვალები დაახამხამა, ისე მიყურებდა, თითქოს პირველად დამინახა.

– რატომ დაგიმალეს?

– ცოტა ხნის წინ მეც დავსვი ეგ შეკითხვა. იცი რა, პასუხი არსებობს, მაგრამ ადვილი მოსასმენი არ არის, მოდი, ასე გეტყვი: არ იქნებოდა მამაშენის და ჩემი ძმობა...

– იმიტომ, რომ ჰაზარა იყო?

თავი ვაიძულე და პირდაპირ ვუთხარი: – ჰო.

– მამაშენს, – თავი დახრილი ჰქონდა და ისე ლაპარაკობდა, – მამაჩემიც ისევე უყვარდა, როგორც შენ?

დიდი ხნის წინ ქარღას ტბაზე, მამაჩემმა თავს უფლება მისცა და ჰასანს მოეფერა. მერე ბაბას გაბრწყინებული სახე გამახსენდა, როცა ჰასანს ოპერაციის შემდეგ სახვევები მოხსნეს.

– ძალიან უყვარდა, ოღონდ ცოტა განსხვავებულად.

– რცხვენოდა მამაჩემის გამო?

– არა, მგონი, მას თავისი თავის გამო რცხვენოდა.

სენდვიჩი აიღო და ჩაკბიჩა. გვიანობამდე დავრჩით. დავიღალეთ, მაგრამ რაღაც კმაყოფილებას ვგრძნობდით ორივე. ტაქსიში ჩავსხედით, სოჰრაბი მთელი გზა მიყურებდა. მძღოლს მანქანა მაღაზიასთან გავაჩერებინე, ფული მივეცი და ტელეფონზე სალაპარაკო ბარათი ვაყიდინე.

იმ ღამეს წამოწოლილები ვუყურებდით ტელევიზორს. ორი მოლა, ჭაღარა წვერით და თავზე თეთრი ჩალმით, მართლმორწმუნე მუსლიმებს შეკითხვებზე პასუხობდა. ერთი ზარი ფინეთიდან შემოვიდა. თურმე, ნუ იტყვით და ამ კაცის შვილს ჩაჩაჩული შარვლიდან საცვალის რეზინა უჩანდა. კითხვა ასეთი იყო: ჩემი შვილი ჯოჯოხეთს იმსახურებს ამისთვის?

– სან ფრანცისკოს სურათები ვნახე ერთხელ, – თქვა სოჰრაბმა.

– მართლა?

– ჰო, წითელი ხიდი და მაღალი ქონგურები.

– შენ ქუჩები უნდა ნახო, – ვუთხარი მე.

– როგორი ქუჩებია?

– ისეთი აღმართებია, როცა მანქანით ადიხარ, მანქანის ცხვირს და ცას ხედავ მხოლოდ.

ეკრანზე მოლები გაცხოველებით კამათობდნენ, კითხვაზე სწორი პასუხი რომ გაეცათ.

– საშიში იქნება, – თქვა სოჰრაბმა. ტელევიზორიდან ზურგით იწვა ჩემკენ შემობრუნებული.

– პირველად ცოტა გეშინია, მერე ეჩვევი.

– იქ თოვს?

– არა, მაგრამ ნისლი იცის. ზოგჯერ დილაობით ისეთი ნისლია, აი, იმ სახლების, შენ რომ სურათზე ნახე, მხოლოდ ქონგურებს ხედავ, ნისლის ღრუბლიდან ზევით ამოჩრილს.

– აა, მართლა?

– სოჰრაბ?

– ჰო.

– იფიქრე იმაზე, რაც გკითხე?

სახედან ღიმილი გაუქრა. ხელები თავქვეშ ამოიწყო. მოლებმა გადაწყვიტეს, რომ იმ კაცის შვილი ჯოჯოხეთს იმსახურებდა ჩაჩაჩული შარვლის ტარებისთვის. ამტკიცებდნენ, ჰადისი ასე გვასწავლისო.

– კი, ვიფიქრე.

– მერე?

– მეშინია.

– მესმის, შეიძლება ცოტა რთულია, – ვთქვი მე, – მაგრამ ინგლისურს მალე ისწავლი და ყველაფერს შეეჩვევი...

– მაგის არ მეშინია.

– აბა?

– რომ მოგბეზრდე? შენს ცოლს რომ არ მოვეწონო?

საწოლიდან წამოვდექი, მივუახლოვდი, მის გვერდით ჩამოვჯექი, – არასოდეს, გესმის? არასოდეს არ მომბეზრდები. შენ ჩემი ძმისშვილი ხარ. ჩემი ცოლი ძალიან კეთილი ქალია და დამიჯერე, მალე შეუყვარდები. გპირდები, რომ ასე იქნება, მენდე.

ხელზე ხელი მოვუჭირე, ცოტა დაიძაბა, მაგრამ ხელი არ გაუშვია.

– არ მინდა, რომ კიდევ ობოლთა თავშესაფარში აღმოვჩნდე.

– მე მაგას არ დავუშვებ, ეგ არასოდეს მოხდება. – მისი პატარა ხელი ორივე ხელში მოვიქციე, – წამოდი სახლში ჩემთან ერთად.

ცრემლები წასკდა. ჩუმად ტიროდა, პასუხი არ გამცა. ბოლოს ხელი ხელზე მომიჭირა და თავი დამიქნია. დამთანხმდა, დამთანხმდააა...

მხოლოდ მეოთხე ცდაზე მიპასუხა სორაიამ.

– გისმენთ, – ისლამადში საღამოს რვის ნახევარიიყო, კალიფორნიაში დილის რვის ნახევარი იქნებოდა დაახლოებით. ამ დროს სორაია უკვე ფეხზეა და სკოლაში წასასვლელად ემზადება.

– მე ვარ, – ჩემს საწოლზე ვიჯექი, სოჰრაბს ეძინა.

– ამირ! – დაიკივლა სორაიამ, – ხომ კარგად ხარ? სად ხარ?

– პაკისტანში ვარ.

– აქამდე რატომ არ დამირეკე? ლამის გული გამისკდეს დარდისგან, დედაჩემი ყოველდღე ლოცულობს...

– ვერ დაგირეკე, ახლა კარგად ვარ.

რომ მოვდიოდი, სორაიას ვუთხარი, ყველაზე ბევრი, ორი კვირაში ჩამოვალ-მეთქი. უკვე თვეზე მეტი გავიდა, რაც სახლიდან წამოვედი. გამეღიმა და სორაიას ვუთხარი:

– დედაშენს უთხარი, ცხვრების გაწყვეტას ნუ შეჰპირდება ღმერთს.

– რას ნიშნავს „ახლა კარგად ვარ“? და შენ ხმას რა მოუვიდა?

– ახლა კარგად ვარ, დანარჩენზე ნუ იდარდებ, სორაია, ერთი ამბავი მინდა მოგიყვე, აქამდეც უნდა მომეყოლა, მაგრამ ახლა... ჰო, სანამ დავიწყებ, იცოდე, რომ სახლში მარტო არ ვბრუნდები, პატარა ბიჭი მომყავს, მინდა, რომ შვილად ავიყვანოთ.

– რა?

საათს დავხედე: – 57 წუთი მაქვს სალაპარაკო დრო და იმხელა ამბავი მოსაყოლი. დაჯექი, სადაც ხარ, სორაია, – გავიგონე, როგორ მოაჩოჩა სკამი.

– დაიწყე.

მერე ერთბაშად მოვუყევი თხუთმეტი წლის წინ მოსაყოლი ამბავი. ყველაფერი ვუამბე, რომ ვლაპარაკობდი, ვგრძნობდი, როგორ ვთავისუფლდებოდი კისერზე დიდი ხნის წინ ჩამოკიდებული ლოდებისგან. ალბათ სორაიასაც იგივე განცდა ჰქონდა, როცა თავისი საიდუმლო გამიმხილა. ლაპარაკი რომ დავამთავრე, სორაია ატირდა.

– რას ფიქრობ? – ვკითხე მე.

– არც კი ვიცი, ერთბაშად იმდენი რამ მიამბე, – ცხვირი მოიხოცა, – ის კი ვიცი, რომ ბიჭი აუცილებლად სახლში უნდა წამოიყვანო.

– დარწმუნებული ხარ იმაში, რასაც ამბობ? – თვალები დავხუჭე და გავიღიმე.

– ამირ, ის შენი ოჯახის წევრია და ესე იგი, ჩემი ოჯახის წევრიც. რასაკვირველია, დარწმუნებული ვარ. ბავშვს ქუჩაში ხომ არ დატოვებ! როგორი ბიჭია?

– ძალიან საყვარელი და სერიოზული, – სოჭრაბს გადავხედე, მშვიდად ეძინა.

– როგორ მინდა, რომ მალე ვნახო, – თქვა სორაიამ.

– სორაია?

– ჰო.

– დოსტეტ დარუმ, მიყვარხარ.

– მეც მიყვარხარ, ფრთხილად იყავი, – მის ხმაში ღიმილი ვიგრძენი.

– ჰო, ნუ ეტყვი შენს მშობლებს, ვინ არის, ჯობს ჩემგან გაიგონ.

– კარგი.

ყურმილი დავკიდე

ამერიკის საელჩოს წინ უამრავი ყვავილი და დეკორატიული ბუჩქი იყო დარგული. თავად შენობა, თეთრი და დაბალი, არაფრით გამოირჩეოდა სხვებისგან. სამი საგუშაგო გავიარეთ სანამ საელჩოში შევიდოდით. სამივეგან გამჩხრიკეს, რადგან სიგნალიზაცია რეაგირებდა ჩემი ყბების მავთულის კარკასზე. ბოლოს, როცა, სიცხიდან შენობაში შევდგით ფეხი, გრილი კონდიცირებული ჰაერი ისე დამეტაკა სახეზე, თითქოს ცივი წყალი შემასხესო. შესასვლელში ორმოცდარაღაც წლის გამხდარმა ქერა მდივანმა სახელი

მკითხა და გაგვიღიმა. ამ ხნის განმავლობაში, ეს პირველი ქალი იყო, ვისაც ბურქა ან შალვარკამიზი არ ეცვა. მიღებაზე ჩაწერილთა სიაში ჩემი სახელი იპოვა და დაბრძანდით, დაელოდეთო, გვითხრა.

– ლიმონათს ხომ არ მიირთმევთ? – გვკითხა მან.

– არა, გმადლობთ.

– თქვენი შვილი?

– უკაცრავად, ვერ გავიგე.

– ეს სიმპათიური ახალგაზრდა ჯენტლმენი? – ქალმა სოჰრაბს გაუღიმა.

– გმადლობთ, დიახ, კარგი იქნებოდა.

მე და სოჰრაბი შავი ტყავის ტახტზე ვისხედით. ჩვენ გვერდით ამერიკის გრძელტარიანი დროშა იყო დამაგრებული. სოჰრაბმა პატარა შუშის მაგიდიდან ჟურნალი აიღო. მექანიკურად ფურცლავდა, სურათებს არც კი უყურებდა.

– რა იყო? – მკითხა სოჰრაბმა.

– ვერ გავიგე?

– რატომ იღიმები?

– შენზე ვფიქრობდი.

ნერვულად გაიღიმა, კიდევ ერთი ჟურნალი აიღო, სწრაფად გადაშალა.

– ნუ გეშინია, – მკლავზე ხელი მოვკიდე. – აქ არავინ არაფერს დაგიშავებს, ცოტა მოდუნდი და დაიცადე. მე ვის ვაძლევდი რჩევას! მღელვარებისგან ფეხსაცმლის ზონარი ათჯერ გავიხსენი და ისევ შევიკარი.

მდივანმა ლიმონათით სავსე ჭიქა ყავის მაგიდაზე დადგა.

– მიირთვით.

სოჰრაბმა მორცხვად გაიღიმა.

– დიდი მადლობა, – თქვა ინგლისურად. სულ ეს იყო მისი ინგლისური, ჰო, კიდევ „კარგად ბრძანდებოდეთ“, იცოდა.

– არაფერს, – გაიღიმა მდივანმა და მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის ბაკუნით თავის სამუშაო ადგილას დაბრუნდა.

– კარგად ბრძანდებოდეთ, – თქვა სოჰრაბმა.

რეიმონდ ენდრიუსი დაბალი კაცი იყო. პატარა ხელებზე მოვლილი ფრჩხილები უპრიალებდა. უსახელო თითზე ქორწინების ბეჭედი ეკეთა. ხელი რომ ჩამომართვა, ასე მეგონა, ბეღურა გავჭყლიტე. ამ პატარა ხელში იყო ახლა ჩვენი ბედი. მისი მაგიდის პირდაპირ დავსხედით. კედელზე „საბრალონის“ პლაკატი და ამერიკის ტოპოგრაფიული რუკა იყო გაკრული. ფანჯრის რაფაზე ქოთანში ჩარგული პომიდორი ხარობდა.

– მოწევთ? – მკითხა მან. ასეთი სუსტი კაცისთვის, მისი ხმის ღრმაბარიტონი ცოტა უცნაური იყო.

– არა, გმადლობთ. – ენდრიუსი სოჰრაბს ზედ არ უყურებდა, მეც თვალს მარიდებდა. რატომ? კარგად არ მენიშნა. უჯრა გამოაღო, სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა. იგივე უჯრიდან ლოსიონის ბოთლიც დააძრო. გახსნა, ხელის გულზე დაისხა და ხელებში

შეიზილა. ბოლოს უჯრა დახურა, იდაყვებით მაგიდას დაეყრდნო, ნაფაზი დაარტყა და თქვა:

– აბა, გისმენთ.

ვითომ ჟან ვალჟანი ვარ ინსპექტორ ჟავერთან დაკითხვაზე... საკუთარი თავის გამხნევება დავიწყე: ამერიკის მიწაზე ხარ, ეს კაცი შენ მხარეზეა, ხელფასს იმიტომ იღებს, რომ შენნაირებს დაეხმაროს.

– მინდა, რომ ეს ბავშვი ვიშვილო.

– დეტალები მომიყევით, – თქვა მან. საჩვენებელი თითით სიგარეტი ჩააფერფლა. წინასწარ მომზადებული ვერსია მოვუყევი. ავღანეთში ჩემი ძმისშვილის წამოსაყვანად ჩავედი. ობოლთა თავშესაფარში, საშინელ პირობებში ცხოვრობდა. დირექტორს ფული გადავუხადე და ბავშვი პაკისტანში ჩამოვიყვანე.

– ბიჭის ნახევარბიძა ხართ?

– დიახ.

– არსებობს ვინმე, ვინც ამას დაადასტურებს? – ფანჯრის რაფასთან მივიდა. პომიდორი შეატრიალა.

– დიახ არსებობს, თუმცა ამჟამად სადაა, არ ვიცი.

ჩემკენ მობრუნდა და თავი დააქნია. ტყუილად ვცდილობდი, მის სახეზე აზრი ამომეკითხა. ნეტავ ოდესმე პოკერი თუ უთამაშია ამ ნაზი ხელებით?

– მგონი, დალეწილ ყბებზე მავთულის კარკასის მოდა თამამი განაცხადის გაკეთებას არ უნდა ნიშნავდეს.

აშკარა იყო, რომ ვერ იყო საქმე საჩვენოდ.

– ფეშავარში თავს დამესხნენ.

– ალბათ. მუსლიმები ხართ?

– დიახ.

– მორწმუნე მუსლიმები?

– დიახ.

სინამდვილეში ლოცვა ბოლოს მაშინ ვთქვი, ბაბას დიაგნოზი რომ გავიგე. ისიც მახსოვს, როგორ დავეცი მუხლებზე, სკოლაში ნასწავლი მივიწყებული ლოცვები თავისთავად მომადგა ენაზე.

– კარგია, თუმცა თქვენი საქმისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, – ღერაღერა დაწყობილ თმაზე ხელი გადაისვა.

– რას გულისხმობთ? – ვკითხე მე. სოჭრაბს ხელი ჩავკიდე, თითები მის თითებს გადავაჭდე. ბავშვი დაბნეული იყურებოდა.

– მოკლედ გეტყვით, თუმცა ვიცი, რომ გრძელი განმარტებების გაკეთება მომიწევს.

– გისმენთ, – ვთქვი მე.

– შეეშვით ამ საქმეს.

– რა თქვით?

– შეეშვით, ნუ შეიტანთ პეტიციას ამ ბავშვის შვილად აყვანის შესახებ. არაფერი გამოვა. ეს ჩემი რჩევაა.

– იქნებ მითხრათ, რატომ?

– ესე იგი, განმარტებები გინდათ, – ისე, სხვათა შორის თქვა მან. ხელის გულები ერთმანეთს მიადო, გეგონებოდათ, მარიამ ღვთისმშობელს უნდა შეევედრებოდა. – მოდი, ერთი წუთით ჩავთვალოთ, რომ ამბავი, რომელიც მომიყევით, სიმართლეა. თუმცა თავს დავდებ, რომ ბევრი რამ გადააკეთეთ ან გამოტოვეთ. ამაში არაა საქმე. მთავარია, რომ ორივე აქ ხართ. მაგრამ თქვენი პეტიცია სერიოზული დაბრკოლებების წინაშეა, ერთ-ერთი კი ის არის, რომ ეს ბავშვი ობოლი არაა.

– ობოლია, აბა რა არის.

– იურიდიულად ის არაა ობოლი.

– მისი მშობლები ქუჩაში დახოცეს. მეზობლებმა თავისი თვალით ნახეს, – ვთქვი მე. კიდევ კარგი, ინგლისურად ვლაპარაკობდით.

– გარდაცვალების მოწმობები გაქვთ?

– რა გარდაცვალების მოწმობები? ავღანეთზე ვლაპარაკობთ, გარდაცვალების კი არა, ხალხს დაბადების მოწმობები არ გააჩნია.

გაყინული თვალებით მიყურებდა: – სერ, მე არ ვწერ კანონებს. თქვენი განრისხების მიუხედავად, მოგიწევთ იმის დამტკიცება, რომ ბავშვის მშობლები გარდაიცვალნენ. ბავშვს ობლად მხოლოდ ამის შემდეგ აღიარებენ ოფიციალურად.

– კი მაგრამ...

– განმარტებები გინდოდათ და მეც განგიმარტავთ. შემდეგი პრობლემა ისაა, რომ აუცილებელია კოოპერაცია იმ ქვეყნის ხელისუფლებასთან, სადაც ბავშვი დაიბადა. ისედაც არაა ადვილი და მით უმეტეს, ავღანეთთან, სადაც ამერიკის საელჩო საერთოდ არ არის. ეს საქმეს ძალიან ართულებს და პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის.

– გამოდის, რომ ქუჩაში უნდა დავტოვო, არა?

– მე ეგ არ მითქვამს.

– სექსუალური ძალადობის მსხვერპლია, – სოჰრაბის კოჭებზე შებმული ზანზალაკები გამახსენდა.

– ძალიან ვწუხვარ, – თქვა ენდრიუს პირმა, მაგრამ თვალებში აბსოლუტური გულგრილობა ეწერა. ამინდზეც კი შეიძლება კაცმა მეტი ემოციით ილაპარაკოს, – ეგ არ აიძულებს ემიგრაციისა და ნატურალიზაციის სამსახურს, რომ ამ ახალგაზრდაზე ვიზა გასცეს.

– რას ამბობთ?

– იმას, რომ თუ დახმარება გინდათ, რომელიმე კარგი რეპუტაციის მქონე საქველმოქმედო ორგანიზაციას ფული გადაურიცხეთ. შეგიძლიათ მოხალისედაც იმუშაოთ ლტოლვილთა ბანაკში, მაგრამ იცოდეთ, რომ ამ ეტაპზე ამერიკის მოქალაქეებს არ ვურჩევთ ავღანეთიდან ბავშვების შვილად აყვანას.

წამოვდექი, – წავედით, სოჰრაბ, – ვუთხარი ფარსის ენაზე. სკამიდან ჩამოსრიალდა, გვერდზე მომიდგა და თავი თეძოზე მომადო. პოლაროიდის სურათზე ზუსტად ასე დგას მამამისთან.

– მისტერ ენდრიუს, შეიძლება რაღაც გკითხოთ?

– დიახ.
– შვილები თუ გყავთ? – ვკითხე. თვალები პირველად დაახამხამა.
– მყავს? ეს ძალიან მარტივი კითხვაა, – გაჩუმდა.
–ასეც ვიცოდი, – სოჰრაბს ხელი ჩავჭიდე, – კარგი იქნებოდა, თქვენს ადგილას ისეთი კაცი რომ მუშაობდეს, ვისაც ესმის, რა ნიშნავს, როცა შვილი გინდა რომ გყავდეს.
კარისკენ შევტრიალდი. სოჰრაბი უკან მომყვებოდა.
– შეიძლება გკითხოთ? – დამეწია მისი ხმა.
– მკითხეთ.
– ბავშვს უკვე შეჰპირდით, რომ ამერიკაში წაიყვანთ?
– რა მნიშვნელობა აქვს?
თავი გააქნია: – ძნელია, ბავშვს რომ ჰპირდები რამეს, – ამოიოხრა, უჯრა გამოაღო. ერთ ხანს რაღაცას ეძებდა, – როგორც ვატყობ, ამ საქმეს ბოლომდე მიჰყვებით.
– დიახ, ბოლომდე მივყვები.
– მაშინ გირჩევთ ემიგრაციის საქმეში გამოცდილი ადვოკატი დაიქირავოთ. ომარ ფაისალი აქ, ისლამაბადში მუშაობს. ეტყვით, რომ მე გაგაგზავნეთ.
სავიზიტო ბარათი მომაწოდა.
– მადლობა, – წავიჩურჩულე.
– წარმატებებს გისურვებთ.
ოთახიდან რომ გამოვდიოდით, უკან მივიხედე. მზეზე იდგა, ფანჯარაში იყურებოდა და თან პომიდვრის ჩითილს ეფერებოდა.
– ნახვამდის, – გვითხრა მდივანმა, როცა მის მაგიდას ჩავუარეთ.
– თქვენს ბოსს შეეძლო უფრო ზრდილობიანიც ყოფილიყო, – ვუთხარი მე. მოველოდი, რომ მდივანი თვალებს დახრიდა და რაღაც უაზრო ფრაზას იტყოდა. მაგრამ მან ხმას დაუწია და: – საწყალი რეი. მისი გოგონას სიკვდილის შემდეგ ვეღარავინ ცნობს.
გაოცებისგან წარბები ავწიე.
– თვითმკვლელობა, – წაიჩურჩულა მან.
სასტუმროში ტაქსით დავბრუნდით. სოჰრაბმა ფანჯარას მიაყრდნო თავი. მწკრივში ჩამდგარი სახლები და ევკალიპტის ხეები გარბოდნენ. მისი ამონასუნთქი ფანჯარას ორთქლავდა. ველოდი, რომ შეხვედრის შესახებ კითხვებს დამისვამდა. მაგრამ არა, არც უფიქრია.
აბაზანის დახურულ კარს მიღმა წყალი დგაფუნობდა. ქაბულში ცხელი წყალი სანთლით საძებარი იყო. რაც ისლამაბადში ჩამოვედით, სოჰრაბი ყოველ ღამე ძილის წინ აბაზანაში იკეტებოდა და დაახლოებით ერთ საათს ანდომებდა საკუთარი სხეულის „ხეხვა-რეცხვას“. სანამ სოჰრაბი სურნელოვან ქაფში იწვა, საწოლზე ჩამოვჯექი და სახლის ტელეფონის ნომერი ავკრიფე. სააბაზანოს კარის ღრიჭოდან სინათლე გამოდიოდა.
სორაიას რეიმონდ ენდრიუსთან შეხვედრის ამბავი მოვუყევი.
– რას ფიქრობ? – ვკითხე სორაიას.
– რა უნდა ვიფიქრო? ალბათ ცდება. რამდენიმე ადგილას დავრეკე, – თქვა სორაიამ, – ჯერჯერობით ვერ მივაგენი სააგენტოს, რომელიც ავღანეთიდან ბავშვის შვილად

აყვანასთან დაკავშირებულ პრობლემებს აგვარებს, მაგრამ აუცილებლად გავარკვევ ყველაფერს.

– შენმა მშობლებმა როგორ მიიღეს ეს ახალი ამბავი?

– დედა გახარებულია, ხომ იცი, როგორ უყვარხარ. ამირ, ისე გენდობა, ვერც კი წარმოუდგენია, რომ შენ შეიძლება რაიმე შეგეშალოს. მამა ბევრს არაფერს ამბობს, ცოტა ძნელია მიხვდე, რას ფიქრობს.

– შენ, სორაია? გიხარია ეს ამბავი?

გავიგონე, როგორ გადაიტანა ყურმილი ხელიდან ხელში: – ჩვენ ძალიან ბედნიერები ვიქნებით, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ბავშვმა იგრძნოს თავი კარგად.

– ჰო, ასეა.

– იცი, რაზე ვფიქრობ? რა საჭმელი უყვარს ყველაზე მეტად? ან სკოლაში რომელ საგანს აირჩევს? წარმოვიდგენ ხოლმე, რომ საშინაო დავალების შესრულებაში ვეხმარები. რა სულელი ვარ, არა?

აბაზანაში წყლის ხმა შეწყდა.

– ნუ გეშინია, ყველაფერი მოგვარდება, სორაია.

– უი, კინაღამ დამავიწყდა! კაკა შარიფმა დარეკა.

– რაო, რა გითხრა? – მახსოვს, კაკა შარიფმა ჩვენს ქორწილზე სორაიას მიმართ მიძღვნილი ლექსი წაიკითხა. ლექსი რატომღაც რომელიღაც სასტუმროს ტიტულოვან ქაღალდზე იყო დაწერილი. მის ვაჟიშვილს ყურანი ეჭირა ჩვენ თავზე, როცა სცენისკენ ვიკვლევდით გზას.

– თქვენი გულისთვის ქვეყანას შევძრავო. თავის მეგობრებს დაურეკავს ემიგრაციისა და ნუტურალიზაციის სამსახურიდან.

– რა მაგარი ამბავია! ერთი სული მაქვს, როდის გაჩვენებ სოჰრაბს.

– მეც ისე მეჩქარება!

ყურმილი ღიმილით დავკიდე.

რამდენიმე წუთში სოჰრაბი გამოვიდა აბაზანიდან. რეიმონდ ენდრიუსთან შეხვედრის შემდეგ ათი სიტყვა არ ექნებოდა ნათქვამი. რამდენჯერაც ლაპარაკი წამოვიწყე, იმდენჯერ მოკლედ მომიჭრა. საწოლზე აძვრა და საბანი გადაიფარა. ათ წუთში უკვე ეძინა.

დაორთქლილ სარკეს ხელი გადავუსვი. სასტუმროს ძველმოდური საპარსით გავიპარსე და აბაზანაში ჩავწექი. მოვდუნდი. რა არ წარმოვიდგინე...

ომარ ფაისალი კარგად ჩამრგვალებული შავგვრემანი კაცი იყო. შავი ღილებივით თვალები და კეთილი ღიმილი ჰქონდა. თხელი ჭაღარა თმა უკან კუდივით შეეკრა, ველვეტის პიჯაკი ეცვა, იდაყვებზე დაკერებული ტყავის ნაჭრებით. გაცვეთილი საბუთებით გატენილი ცალყურა პორთფელი მკერდზე ჰქონდა მიხუტებული. ომარი ყოველ ახალ წინადადებას სიცილით და მობოდიშებით იწყებდა: – უკაცრავად, 5 საათზე მანდ ვიქნები, ჰა, ჰა, ჰა.

– ბოდიში, მაგრამ ტაქსის მძღოლები წართმევაზე არიან გადასულები. თუ უცხოელი დაინახეს, სამმაგს ახდევინებენ, ჰა, ჰა, – თქვა მან, როდესაც შეხვედრის შესათანხმებლად დავურეკე. დახვეწილი, უაქცენტო ინგლისურით ლაპარაკობდა.

ოთახში აქოშინებული შემოვარდა. ცხვირსახოცით ოფლი მოიწმინდა, პორთფელი გახსნა, საბუთები საწოლზე წამოყარა და როგორც იქნა, ბლოკნოტი იპოვა. ტელევიზორს ჩავუწიე. სოჰრაბი საწოლზე იჯდა. ცალი თვალით ეკრანს უყურებდა, ცალით ადვოკატს. იმ დილას ვუთხარი, ფაისალი აპირებს მოსვლას-მეთქი. თავი დამიქნია და ტელევიზორის ყურება განაგრძო.

– აი, ისიც, – თქვა ფაისალმა და ყვითელი ბლოკნოტი გადაშალა, – დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემი შვილები დედას დაემსგავსებიან საორგანიზაციო საკითხებში, ჰა, ჰა, – სიცილით თქვა მან.

– რეიმონდ ენდრიუსი მაღალი წარმოდგენისაა თქვენ შესახებ.

– მართლა? ჰო, ენდრიუსმა დამირეკა და მელაპარაკა თქვენ საქმეზე.

– ესე იგი, იცით, რა მდგომარეობაშიც აღმოვჩნდით.

– მე ვიცი ვერსია, რომელიც თქვენ მიაწოდეთ ენდრიუსს, – ღიმილით თქვა მან. სოჰრაბისკენ შებრუნდა.

– როგორც მივხვდი, ამ ახალგაზრდა კაცის გამოა ატეხილი ეს ორომტრიალი – ფარსის ენაზე თქვა მან.

– ეს სოჰრაბია, – ვთქვი მე, – სოჰრაბ, ეს მისტერ ფაისალია, ადვოკატი, რომელის შესახებაც დღეს გითხარი.

სოჰრაბი საწოლიდან ჩამოსრიალდა, ფაისალთან მივიდა და ხელი ჩამოართვა.

– სალამ ალეიქუმ, – ხმადაბლა თქვა მან.

– ალეიქუმ სალამ, – თქვა ფაისალმა, – იცი, დიდი მეომრის სახელი რომ გქვია?

სოჰრაბმა თავი დაუქნია და ტელევიზორთან მოკალათდა.

– ვერ წარმოვიდგენდი, ფარსის ენას ასე კარგად თუ ფლობდით, ქაბულში გაიზარდეთ?

– ინგლისურად ვკითხე.

– ყარაჩიში დავიბადე. რამდენიმე წელი ქაბულში ვცხოვრობდი, შარენაუში იაკობის მეჩეთთან ახლოს. მაგრამ ბერკლიში გავიზარდე. მამაჩემმა მუსიკალური მაღაზია გახსნა 60-იან წლებში. მერე ხომ იცით, თავისუფალი სიყვარული, თავზე ბენდენა, მოკლე კაბები, გაღეღილი ბლუზები... ჩემკენ გადმოიხარა და სიცილით თქვა, – ვუდსტოკის ფესტივალზეც კი ვარ ნამყოფი...

– დაგლიჯა, – ვთქვი მე და ისეთი სიცილი ატეხა, რომ ახლიდან გაოფლიანდა.

– ჰო, ენდრიუსს რაღაც დეტალები არ გავუმხილე, – ვთქვი მე, მაგრამ თქვენ ყველაფერს შეულამაზებლად მოგიყვებით.

თითი დაისველა, ბლოკნოტი ახალ ფურცელზე გადაშალა და პასტა მოიმარჯვა:

– ძალიან დამავალებთ, ამირ, მოდით, ამ წუთიდან სულ ინგლისურად ვილაპარაკოთ. ყველაფერი მოვუყევი: შეხვედრა რაჰიმ-ხანთან, ობოლთა თავშესაფარში მისვლა, ღაზის სტადიონზე ხალხის ჩაქოლვა.

– ღმერთო, როგორ ვწუხვარ, რა კარგი მოგონებები მაკავშირებდა ქაბულთან. ძნელი დასაჯერებელია, რომ იმავე ქალაქზე მელაპარაკებით.

– ბოლო დროს თუ ყოფილხართ ქაბულში?

– არა, ღმერთმა დამიფაროს.

– ბერკლის ნამდვილად არ ჰგავს.
– კარგი, განაგრძეთ.
ასეფთან შეხვედრა, ჩხუბი, სოჰრაბის სიმამაცე, პაკისტანში გამოქცევა... ფაისალი მისმენდა და შენიშვნებს იწერდა. რომ დავამთავრე, ღრმად ჩაისუნთქა და მითხრა:
– დიდი ომი გაქვთ გადასატანი, ამირ.
– მოსაგები ომია?
– როგორც ენდრიუსმა უკვე გითხრათ, პრაქტიკულად წაგებულია. თუმცა თეორიული შანსი არსებობს და ცდა შეიძლება, – სახიდან კეთილი ღიმილი წაეშალა, თვალები თითქოს ჩაუქრა.
– ესე იგი, სოჰრაბისნაირ ობლებს არ უწერიათ ადამიანურად, ოჯახში ცხოვრება. ვერაფერი გავიგე ამ უაზრო კანონების.
– მესმის, მეც თქვენთან ვარ, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ ახლა ყველა კანონი თქვენ წინააღმდეგაა: არსებული კანონი ემიგრაციის შესახებ, შვილად აყვანის წესი, პოლიტიკური სიტუაცია ავღანეთში...
– შეუძლებელია, წარმოუდგენელია! – ისე გავცეცხლდი, რომ მინდოდა რამე დამელეწა.
ომარმა შუბლი შეიკრა: – იმ უბედურების შემდეგ, რაც თალიბებმა დაატეხეს თავს ავღანეთს, შეუძლებელია ზუსტად დაადგინო, ბავშვი ნამდვილად ობოლია თუ არა. ხშირად ისინი ლტოლვილთა ბანაკებში იმის გამო ხვდებიან, რომ მშობლებს რჩენა არ შეუძლიათ. ემიგრაციისა და ნატურალიზაციის სამსახური კი ვიზას არ გასცემს, თუ ყველაფერი კანონთან შესაბამისობაში არ არის. მოკლედ, ვიცი, რომ უაზრობას ვამბობ, მაგრამ გარდაცვალების მოწმობები გჭირდებათ.
– ხომ ყოფილხართ ავღანეთში, ხომ გესმით, რომ ასეთი მოწმობის აღება შეუძლებელია.
– ვიცი, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ დავადასტურეთ ბავშვის მშობლების გარდაცვალება, შემდეგი სირთულე ის არის, რომ ემიგრაციის და ნატურალიზაციის სამსახურის მოსაზრებით, უკეთესია, ბავშვის გაშვილება ავღანეთშივე მოხდეს. ამ შემთხვევაში მას მემკვიდრეობაზე უნარჩუნდება უფლება.
– რომელ მემკვიდრეობაზე მელაპარაკებით? ხომ ხედავთ, რა ქნეს თალიბებმა, ბამიანში ბუდას ქანდაკებებიც კი გაანადგურეს.
– ძალიან ვწუხვარ, ამირ, მე უბრალოდ ვცდილობ, აგიხსნათ, როგორ მუშაობს ეს სამსახური, – სოჰრაბისკენ გაიხედა და გაიღიმა. შემდეგ ისევ მე მომიბრუნდა, – ბავშვის აყვანა მხოლოდ ავღანეთის კანონებით უნდა მოხდეს, მაგრამ ავღანეთში სხვა რამეებით არის მთავრობა დაკავებული, ასეთი საკითხები თალიბებისთვის პრიორიტეტული არასოდეს გახდება.
ამოვიოხრე, თავის ტკივილი მეწყებოდა. ომარი ღიპზე ხელებდაწყობილი იჯდა: – მოდი, ვიფიქროთ, რომ ავღანეთის მთავრობა დაგვთანხმდა საკითხის გახილვაზე, ბოლოს მაინც უარს მივიღებთ. მუსლიმურ ქვეყნებში ისლამის კანონი მოქმედებს და შარიათი არ ცნობს ბავშვის გაშვილებას.
– ესე იგი, რა გამოდის? თავი უნდა დავანებო ამ საქმეს? – თავი უკვე ძალიან მტკიოდა.

– მე ამერიკაში გავიზარდე, ამირ. თუ რამ ვისწავლე ამ ქვეყანაში, ერთი ისაა, რომ არ უნდა დანებდე. წამოიწყებ რამეს? ბოლომდე მიაწექი. მაგრამ როგორც თქვენი ადვოკატი, ვალდებული ვარ ყოველი დეტალი აგიხსნათ. შვილად აყვანის სამსახურები აგენტებს აგზავნიან ბავშვის საცხოვრებელი პირობების შესამოწმებლად. არც ერთი ასეთი სამსახური არ დაგვთანხმდება ავღანეთში თანამშრომლის გაგზავნაზე. სოჰრაბი საწოლზე იჯდა და გვიყურებდა. ზუსტად მამამისივით ჰქონდა ნიკაპი მუხლზე ჩამოდებული.

– მე მისი ბიძა ვარ. აქვს ამას რაიმე მნიშვნელობა?

– როგორ არა, თუ საბუთი გაქვთ, ან თუნდაც ვინმეს თუ შეუძლია ამის დადასტურება.

– რა საბუთი, მეც ახლახან გავიგე. ერთადერთმა კაცმა იცოდა და ისიც აქ არ არის, იქნებ ცოცხალიც აღარ არის უკვე. რა არჩევანი მაქვს, ომარ?

– სიმართლეს გეტყვით, ძალიან მცირე.

– ღმერთო, რა ვქნა? როგორ მოვიქცე?

ომარმა ჩაისუნთქა, კალმისტარი ნიკაპზე დაიტყაპუნა, ამოისუნთქა და თქვა: შეგიძლიათ, რომ თვითონ ბავშვის სურვილის გათვალისწინებით მოითხოვოთ მისი შვილად აყვანა. პროცესი ხანგრძლივი იქნება. ორი წლის განმავლობაში აქ, პაკისტანში უნდა იცხოვროთ სოჰრაბთან ერთად. მისი სახელით უნდა მოითხოვოთ პოლიტიკური თავშესაფარი და დაადასტუროთ, რომ თქვენ მიმართ პოლიტიკურ დევნას ახორციელებენ. ასევე, შეგიძლიათ ჰუმანიტარული ვიზა მოითხოვოთ. ამ საკითხს გენერალური პროკურორი წყვეტს, მინდა გითხრათ, რომ ძალიან ძნელი მისაღებია, – ცოტა ხანს გაჩუმდა, – არის კიდევ ერთი ნაბიჯი, მე ვიტყოდი, ყველაზე რეალური.

– რას გულისხმობთ? – მისკენ გადავიხარე.

– ბავშვი ობოლთა თავშესაფარში უნდა დატოვოთ და შემდეგ მისი შვილად აყვანა მოითხოვოთ. სანამ საქმე სასამართლოში იქნება, ყველა საბუთს მოაწესრიგებთ, აი-600 ფორმას შეავსებთ, თქვენ საცხოვრებელ პირობებს შეამოწმებენ, ამასობაში ბავშვი უსაფრთხოდ იქნება.

– აი-600 რა არის?

– საემიგრაციო სამსახურის ანკეტა. თქვენს ოჯახურ პირობებს რომელიმე სააგენტო შეისწავლის, – თქვა ომარმა, – ხომ უნდა დარწმუნდნენ, რომ თქვენ და თქვენი ცოლი დასაბმელი გიჟები არ ხართ.

– მე მაგას ვერ გავაკეთებ, სიტყვა მივეცი სოჰრაბს, რომ ის ობოლთა თავშესაფარში აღარასოდეს მოხვდება.

– უკვე გითხარით, რომ ეს ყველაზე რეალური გზაა.

ცოტა ხანს კიდევ ვილაპარაკეთ. შემდეგ მანქანამდე მივაცილე. რომ ჯდებოდა, მანქანამ მისი სიმძიმის ქვეშ დაიწია. ფანჯარა ჩასწია და დაქოქა.

– ამირ?

– დიახ.

– გაითვალისწინეთ, რაც გითხარით, – თქვა და ხელი დამიქნია.

მზე ჩადიოდა. როგორ მინდოდა, რომ სორაია ჩემთან ყოფილიყო!

ოთახში რომ დავბრუნდი, ტელევიზორი გამორთული დამხვდა. საწოლის კიდეზე ჩამოვჯექი.

– მისტერ ფაისალმა თქვა, მოგვარდება თქვენი ამერიკაში წასვლის საქმეო.

– მართლა? – ბოლო დღეების განმავლობაში პირველად გაიღიმა, – როდის მივდივართ?

– დრო კი დასჭირდება, მაგრამ დახმარებას გვპირდება, – ხელი კისერზე მოვხვიე.

მინარეთიდან მორწმუნე მუსლიმებს საღამოს ლოცვაზე უხმობდნენ.

– ზუსტად არ ვიცი.

მხრები აიჩეჩა და ისევ გაიღიმა: – მერე რა, დავიცდი. მკვახე ვაშლივითაა.

– მკვახე ვაშლივით?

– ერთხელ, მართლა პატარა როცა ვიყავი, ხეზე ავედი და იმდენი მკვახე ვაშლი ვჭამე, რომ მუცელი კინაღამ გამისკდა. ძალიან მტკიოდა. დედამ მითხრა, რომ მოგეცადა, სანამ ვაშლი დამწიფდებოდა, მუცელი არ გეტკინებოდაო. ჰოდა, ახლა როცა რამე გულით მინდა, ყოველთვის დედას სიტყვები მახსენდება.

– მკვახე ვაშლები... მაშალლა, სოჰრაბ-ჯან, ძალიან, ძალიან მაგარი პატარა ბიჭი ხარ, – ყურები გაუწითლდა.

– იმ წითელ ხიდზე წამიყვან? აი, ნისლში რომ არის გახვეული.

– აბა, რას ვიზამ.

– და იმ ქუჩებზეც, როცა ადიხარ, მარტო ცა და მანქანის ცხვირი რომ ჩანს?

– ყველა ქუჩას მოგატარებ, – ცრემლს ძლივს ვიკავებდი.

– ინგლისურის სწავლა ძნელია?

– ერთ წელიწადში ისე ილაპარაკებ, როგორც ფარსის.

– მართლა?

– ჰო, – თითი ნიკაპის ქვეშ ამოვდე და სახე ჩემკენ შემოვაბრუნებინე, – მაგრამ ერთი რამ მინდა, რომ გითხრა...

– რა?

– მისტერ ფაისალი თვლის, რომ ცოტა ხნით ბავშვთა სახლში უნდა დარჩე.

– ბავშვთა სახლში? ესე იგი ობოლთა თავშესაფარში?

– სულ ცოტა ხნით.

– არა, – თქვა მან, – გემუდარები, არა!

– ცოტა ხნით, სოჰრაბ, ძალიან ცოტა ხნით, გპირდები.

– ხომ დამპირდი, რომ უკან აღარ დამაბრუნებდი, ამირ-აღა, – ხმა გაებზარა, თვალები ცრემლით აევსო. ნამდვილი იდიოტივით ვგრძნობდი თავს.

– არა, სოჰრაბ, ქაბულში არა, აქ, ისლამაბადში, მე ყოველდღე ვივლი შენთან, სანამ ჩვენი ამერიკაში წასვლა გადაწყდება.

– გეხვეწები! გეხვეწები! მეშინია, არ მინდა, ვიცი, რომ ცუდად მომექცევიან!

– არა, არასოდეს აღარავინ მოგექცევა ცუდად!

– კი, კი, თავიდან ყველა ასე ამბობს, მაგრამ მერე... იტყუებიან, იტყუებიან, ღმერთო!

– სოჰრაბ, მკვახე ვაშლები გაიხსენე.

– არა, არა, ოღონდ იქ არა, ღმერთო, ღმერთო, – ცახცახებდა, ცრემლი ღაპაღუპით სცვიოდა.

– ჩშშშ, – მკლავები მოვხვიე და გულში ჩავიკარი, – ჩშშშ, ყველაფერი კარგად იქნება, ერთად წავალთ სახლში. აი, ნახავ, ყველაფერი კარგად იქნება, – ხმა ოდნავ დაუმშვიდდა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ თავზარდაცემული იყო.

– გემუდარები, ამირ-აღა, დამპირდი, ამირ-აღა!

რას დავპირდე ან როგორ დავპირდე? მკერდზე მიხუტებულს ვარწევდი. ნელ-ნელა მოდუნდა, ცრემლი შეაშრა, ძილი მოერია და გაურკვევლად ბურდღუნი დაიწყო. ბოლოს ჩაეძინა. სუნთქვა თანაბარი გაუხდა. ოდესღაც სადღაც ამოვიკითხე, ძლიერი შიში, თურმე, ბავშვებს ძილს ჰგვრის. თავის საწოლთან მივიყვანე და დავაწვინე. მერე მეც დავწექი.

ფანჯრიდან ისლამაბადის მეწამული ცა ჩანდა.

ტელეფონის ხმამ გამაღვიძა. თვალები მოვისრისე და ღამის ნათურა ავანთე. უკვე თერთმეტის ნახევარი იყო. მთელი სამი საათი მძინებია. ყურმილი ავიღე.

– ამერიკიდან გირეკავენ, – ფაიაზს ხმაზე დაღლილობა ეტყობოდა.

– გმადლობთ, – ვთქვი მე. სააბაზანოში შუქი ენთო. როგორც ყოველთვის, სოჰრაბი ძილის წინ აბაზანას იღებდა.

– სალამი, – სორაიას ხალისიანი ხმა ჰქონდა, – როგორ ჩაიარა ადვოკატთან შეხვედრამ?

ყველაფერი ვუამბე.

– დაივიწყე, – თქვა სორაიამ, – არ არის საჭირო.

წამოვჯექი, – რატომ? რა მოხდა?

– კაკა შარიფმა დამირეკა. მთავარია სოჰრაბი ამერიკაში ჩამოვიყვანოთ, დანარჩენს აქ მოვაგვარებთ. თავის მეგობრებისთვის დაურეკავს ემიგრაციის სამსახურში და დარწმუნებულია, რომ სოჰრაბი ჰუმანიტარულ ვიზას მიიღებს.

– მეხუმრები? ღმერთო, კაკა შარიფთან ვალში ვართ, მადლობა ღმერთს!

– თავიდან სპონსორებად გავფორმდებით, ვიზას ერთი წელი აქვს ვადა, ამასობაში შვილად აყვანაზე შევიტანთ განაცხადს და ყველაფერს მოვასწრებთ.

– არც ვიცი, რა ვთქვა, სიმართლეა ეს ყველაფერი?

– ჰო, ჰო, სიმართლეა, – გახარებული იყო.

– მიყვარხარ! – ვუთხარი და ერთმანეთს დავემშვიდობეთ.

– სოჰრაბ! – გავძახე, – მაგარი ახალი ამბავი მაქვს! – კარზე დავაკაკუნე.

– სოჰრაბ, სორაიამ დარეკა კალიფორნიიდან. არავითარი ობოლთა თავშესაფარი აღარ არის საჭირო, მივდივართ ამერიკაში, სოჰრაბ, გესმის? ჩვენ ამერიკაში მივდივართ!

კარს მივაწექი, სააბაზანოში შევაბიჯე და ... მუხლებზე დავეცი, კრიჭაშეკრული ისე ვყვიროდი, რომ საკუთარი ყვირილის ხმამ მკერდი კინაღამ გამიგლიჯა. სასწრაფო დახმარება მალე მოვიდა...

თავი ოცდამეხუთე

შესვლის ნებას არ მრთავენ. ვხედავ, როგორ მიაგორებენ საკაცით, უკან მივყვები. იოდის და წყალბადის ზეჟანგის სუნი მცემს, ექიმები საკაცესთან ტრიალებენ, მწვანე ხალათები აცვიათ, ქირურგიული კალპაკები ახურავთ. თეთრი ზეწარი გვერდზეა გადავარდნილი, იატაკზე ეთრევა. ზეწრიდან ორი პატარა სისხლიანი ფეხი მოჩანს, მარცხენა ფეხის ცერა თითის ფრჩხილი მოტეხილი აქვს. მერე მაღალი, ჩაფსკვნილი კაცი მკერდზე ხელს მკრავს და კარისკენ მაგდებს, წინ ვიწევი, ვუძალიანდები, ვიგინები, – უნდა დაიცადოთ, – ზრდილობიანად, მაგრამ მკაცრად მპასუხობს ინგლისურად. მოსაცდელისკენ მივყავარ და ჩემ წინ ორმაგი კარი ხმაურით იკეტება. ვიწრო ოთხკუთხა ფანჯრიდან მხოლოდ ქირურგიული კალპაკი მოჩანს.

უფანჯრო კორიდორი ხალხითაა გადაჭედილი. ზოგი კედლის გასწვრივ, რკინის სკამზე ზის, ზოგი კიდეებშემოგლეჯილ ხალიჩაზეა ფეხმორთხმული. მინდა, რომ ვიყვირო, უცბად მახსენდება – მე და ბაბა ბენზინმზიდის სიბნელეში ვართ ჩამარხულები... რა იქნება, რომ გავქრე, დავდნე, ღრუბელივით ავიკრიფო და მერე შორს, მთებს გადაღმა წვიმად მოვიდე.

მაგრამ აქ ვარ, ფეხები ჩაბეტონებულივით მაქვს, ჰაერი არ მყოფნის, ყელი მეწვის. თვალებს ვხუჭავ. ოფლის, ნიშადურის, ალკოჰოლის სუნი მახრჩობს. კორიდორის ჭერზე მბჟუტავ ნათურებს ღამის პეპლები ფრთხიალით ეხეთქებიან. ჩურჩული, ქვითინი, სრუტუნი, კვნესა, ოხვრა, ლიფტის კარის ჯახუნი... რა ვქნა? რა წყალში ჩავვარდე?

თვალებს ვახელ. გული ლამის ამომმვარდეს მკერდიდან, ყურებში სისხლი მაწვება. მიმოვიხედე. მარცხნივ პატარა ბნელი სასაწყობო ოთახია. ვიპოვე, რასაც ვეძებდი. დაკეცილი თეთრეულიდან ზეწარი ავიღე, ისევ კორიდორისკენ მივდივარ. საპირფარეშოსთან ექთანი და პოლიციელი საუბრობენ. ექთანს მკლავში ვწვდი, საით არის დასავლეთი? ვერ მიხვდა, შუბლი შეჭმუხნა. ყელი მეწვის, თვალთ მიბნელდება, ყოველ ჩასუნთქვაზე თითქოს ცეცხლს ვისუნთქავ, – გემუდარებით, მითხარით, საით არის დასავლეთი. – პოლიციელი თითით მანიშნებს.

იატაკზე ზეწარს, ჩემს ჯაინამაზს, სალოცავ ხალიჩას ვაგებ და ვიჩოქები. თავს დასავლეთისკენ ვხრი, შუბლით იატაკს ვეხები. თხუთმეტი წელია არ მილოცია. აღარ მახსოვს სიტყვები, მაგრამ რაც მახსოვს, იმას ვიტყვი: „ლა ილაჰა ილლალლაჰუ ვა მუჰამადუ რასულულლაჰი“ (არ არს ღმერთი გარდა ალაჰისა და მუჰამადია ალაჰის მოციქული). ბაბა ცდებოდა, ღმერთი არსებობს. მე მას ამ სასოწარკვეთილი ხალხის თვალებში ვხედავ. აქ არის ღმერთის სახლი, და არა იქ, მასჯიფის ცისკენ აწვდილ მინარეთში, აქ, ამ კორიდორში პოულობს ხალხი რწმენას. ღმერთო, მომიტევე ჩემი შეცოდებანი, ღალატი და სიცრუე; ღმერთო, მომიტევე, რომ ძნელბედობისას გამახსენდი მხოლოდ; ღმერთო, გადმომხედე მოწყალე თვალით, შემინდე და დამიფარე. თავს ვხრი და იატაკს ვკოცნი. გპირდები, ღმერთო, ზაქატს შევასრულებ, ნამაზს არ გამოვტოვებ, მარხვას დავიცავ რამადანის დროს და მას მერეც, ყოველ სიტყვას დავისწავლი წმინდა წიგნიდან, პილიგრიმი გავხდები და უდაბნოში ალ ქააბის მოსალოცად წავალ; ღმერთო, მაჩუქე

სოჰრაბის სიცოცხლე, ჩემს ხელებს მამამისის სისხლი არ შეშრობია, ნუ დაუშვებ, რომ მისი შვილის სისხლითაც დაისვაროს!

რამდენი წყვილი თვალი მომჩერებია, ვინ იცის! შუა ოთახში გაშლილ ზეწარზე ფეხმორთხმული ვზივარ, ვქვითინებ და დასავლეთისკენ შებრუნებული თავს იატაკს ვურტყამ. ღმერთო, ამაცილე სასჯელი!

ისლამაბადში უკუნი სიბნელე ჩამოწვა. ჩემ წინ პატარა ყავისფერ მაგიდაზე ძველი ჟურნალ-გაზეთებია მიმოფანტული: 1996 წლის თიმე, პაკისტანური გაზეთი, რომლის თავფურცელზე მატარებლების შეჯახების დროს დაღუპული ახალგაზრდის ფოტოა, კიდევ ჰოლივუდის მსახიობების ფოტოებით აჭრელებული რაღაც გასართობი გაზეთი. კედელთან მოხუცი ქალი ზის. შალვარკამიზი აცვია, თვლემს. რამდენჯერაც თავს ჩაქინდრავს, იმდენჯერ ეღვიძება და არაბულად იწყებს ლოცვას. ნეტავ ვის ლოცვას შეისმენს ამაღამ ღმერთი! სოჰრაბის სახე მიდგას თვალწინ, წვეტიანი ნიკაპი, ზღვის ნიჟარის მსგავსი ყურები, ბამბუკის ფოთოლივით ვიწრო, დახრილი თვალები. გულის გამგმირავი სევდა მაწვება, ტირილი მინდა, სუნთქვა მიჭირს.

ვდგები, ფანჯარას ვაღებ. ღრმად ვისუნთქავ მყრალ და ცხელ ჰაერს, ისევ ვჯდები იატაკზე, ჟურნალს ვშლი, მაგრამ ვერ ვკითხულობ, მაგიდაზე ვდებ და ცემენტის იატაკის ნახეთქებს ვუყურებ, მერე ჭერში აბლაბუდებს, ფანჯრებზე მიჭყლეტილ ბუზებს და კედლის საათს. ახლა დილის 4 საათი და 15 წუთია, უკვე ექვსი საათი გავიდა მას შემდეგ, რაც ოთახიდან გამომაგდეს და კარი მომიკეტეს. მას მერე ამბავს ველოდები, მაგრამ ახალი არაფერი ვიცი. უცნაური განცდა მაქვს, ასე მგონია, ეს იატაკი ჩემი სხეულის ნაწილია, სუნთქვა მიმძიმდება და ძილი მერევა. თავს მტვრიან იატაკზე ვდებ, თვალებს ვხუჭავ, იქნებ ეს ყველაფერი სიზმარია, სისხლით სავსე აბაზანა, აბაზანის კიდეზე გადმოგდებული მარცხენა ხელი, სისხლიანი საპარსი და სოჰრაბის უსიცოცხლო, ნახევრად ღია თვალები. არა, ეს მეტისმეტია, ამ თვალების გახსენება არ შემიძლია.

ჩამეძინა. რაღაც მესიზმრა, მაგრამ არ მახსოვს.

ვიღაც მაღვიძებს. თვალებს ვახელ. ჩემ წინ კაცია ჩაცუცქული. თავზე კალპაკი ახურავს, პირზე ქირურგიული ნიღაბი აქვს აფარებული. ნიღაბზე სისხლის ლაქას ვხედავ. პეიჯერზე დაკრული ფოტოდანპატარა გოგონა დიდი უცოდველი თვალებით იცქირება. კაცი ნიღაბს იხსნის, ასე ჯობია, სოჰრაბის სისხლს მაინც აღარ დავინახავ მის ნიღაბზე! მუქი კანი აქვს, მე და ჰასანი შვეიცარიულ შოკოლადს რომ ვყიდულობდით ხოლმე შერენაუს ბაზარზე, ისეთი; ყავისფერი თხელი თმა, თავისი კანისფერი თვალები და აპრეხილი წამწამები. ბრიტანული აქცენტით სახელს მეუბნება – ექიმი ნავაზი. როგორ მინდა, რომ აქედან გავიქცე, მეშინია იმის, რაც ექიმმა შეიძლება მითხრას, ვეღარ გავუძლებ. დაიწყო: ჭრილობა ღრმა იყო, ბიჭმა დიდი ოდენობით სისხლი დაკარგა... ლა ილაჰა ილლალლაჰუ ვა მუჰამადუ რასულულლაჰი, სისხლის გადასხმა რამდენჯერმე მოუხდათ...

სორაიას როგორ ვუთხრა?

ორჯერ მოაბრუნეს საიქიოდან...

ზაქატს და ნამაზს არ გამოვტოვებ, ვიმარხულებ,

დაკარგავდნენ, რომ არა მისი ძლიერი ახალგაზრდა ორგანიზმი...

ცოცხალია!

ექიმი ნავაზი იღიმის. რამდენიმე წამი მჭირდება, რომ გავიაზრო, რაც ახლახან მითხრა. ექიმი აგრძელებს, მაგრამ აღარაფერი მესმის, მის ხელებს სახეზე ვიფარებ, ნიაღვარივით მომსკდარი შვების ცრემლები გზას ამ უცნობი კაცის პუტკუნა ხელებში პოულობს. ექიმი არაფერს ამბობს, უბრალოდ იცდის.

ინტენსიური თერაპიის პალატა ათასგვარი მონიტორით და დანადგარით არის სავსე. ექიმი ნავაზი წინ მიმიძღვის ორ მწკრივად ჩაწყობილ საწოლებს შორის. საწოლები ერთმანეთისგან პლასტიკატის ტიხრებითაა გამოყოფილი. სოჰრაბის საწოლი ყველაზე ბოლოს, ექთნების მაგიდასთან დგას. ექთნები რაღაცას იწერენ, თან ხმადაბლა ესაუბრებიან ერთმანეთს. მივდივარ და ვფიქრობ, როცა სოჰრაბს დავინახავ, ტირილს ვერ შევიკავებ, მაგრამ მისი საწოლის კიდეზე ვჯდები, მის ფერმკრთალ სახეს ვხედავ და ცრემლი მიშრება, ვხევდები. ასე გრძნობენ თავს ალბათ მძღოლები, როცა საჭის სწრაფად დატრიალებით საშინელ ავარიას იცილებენ.

ვთვლემ. როცა თვალს ვახელ, უკვე გათენებულია. ცა რძისფერია. ჩემი ჩრდილი სოჰრაბის საწოლს ეცემა. გაუნძრევლად წევს.

– კარგი იქნება, თუ დაიძინებთ, – მეუბნება ექთანი. ვერვცნობ, ალბათ ახალი ცვლაა. ცარიელ ოთახში გავყავარ. ბალიშს და საბანს მაძლევს. მადლობას ვუხდი და კუთხეში, ტახტზე ვწვები. მაშინვე მეძინება.

მესიზმრება, რომ ისევ მოსაცდელში ვარ, ქვედა სართულზე. ექიმი ნავაზი შემოდის და ფეხზე ვდგები. ნიღაბს იხსნის, თეთრი ხელები აქვს, ფრჩხილები მოვლილი, თმა შუაზე

გაყოფილი. ექიმი ნავაზი კი არა, რეიმონდ ენდრიუსია, ის ენდრიუსი საელჩოდან, ფანჯრის რაფაზე პომიდორს რომ ახარებს. მიყურებს და თვალებს ჭუტავს.

საავადმყოფო მიხვეულ-მოხვეული ნეონით განათებული კორიდორების ლაბირინთს ჰგავს. ნელ-ნელა აზრზე მოვდივარ, სად რა არის. ახლა ვიცი, რომ მეოთხე სართულზე ლიფტში შუქი არ ინთება, კაცების ტუალეტის კარი გაჭედილია და მხარი უნდა ჰკრა, რომ გაიღოს. საავადმყოფო თავისი რიტმით ცხოვრობს. დილით, სანამ ცვლა შეიცვლება, დიდი ფუსფუსია, დღის განმავლობაში ყველა დაძაბულია, ხოლო საღამოს სიმშვიდე ისადგურებს, რომელსაც დროგამოშვებით ექიმებისა და ექთნების გადაძახილი არღვევს, როცა სიკვდილისთვის ვიღაცის სიცოცხლის ხელიდან გამოსაგლეჯად ემზადებიან.

დღისით სოჰრაბის საწოლთან ვფხიზლობ, ღამით კორიდორებში დავდივარ და საკუთარი ნაბიჯების ხმას ვუსმენ. რა ვუთხრა სოჰრაბს, როცა გაიღვიძებს? დავდივარ და სიტყვებს ვეძებ, ბოლოს ისევ თავცარიელი ვბრუნდები სოჰრაბის პალატაში. ინტენსიური თერაპიის პალატაში სამი დღე იწვა. სწორედ მაშინ, როცა სასუნთქი მილი ამოაცალეს და სხვა პალატაში გადაიყვანეს, საავადმყოფოში არ ვიყავი. იმ ღამეს სასტუმროში წავედი დასაძინებლად, მაგრამ თვალი ვერ მოვხუჭე და მთელი ღამე უაზროდ ხეტიალში გავატარე. დილით სააბაზანოში შევედი. იქაურობა დასუფთავებული დამხვდა. კედლებიდან სისხლის შხეფები ჩამოერეცხათ, იატაკი გაეხეხათ და ახალი ფეხის ტილო დაეგოთ. აბაზანის კიდეზე ჩამოვჯექი. წარმოვიდგინე, როგორ აავსო სოჰრაბმა თბილი წყლით აბაზანა, მერე გაიხადა, საპარსი აიღო, ბრიტვა საჩვენებელ თითსა და ცერა თითს

შორის მოიქცია, წყალში ჩაწვა, თვალები დახუჭა. ნეტავ რა იფიქრა უკანასკნელად, სანამ მაჯას გადაისერავდა?

უკვე გამოვდიოდი სასტუმროდან, რომ ფაიაზი დამეწია.

– ძალიან ვწუხვარ, მაგრამ უნდა გთხოვოთ, რომ ოთახი დაცალოთ. ჩემს ბიზნესზე ცუდად მოქმედებს თქვენი ამბავი.

ყველაფერი მესმის-მეთქი, ვუპასუხე. ოთახი ჩავაბარე და წამოვედი. ბოლო სამი დღის ფული არ გადამახდევინა. ტაქსის სანამ გავაჩერებდი, ფაიაზის სიტყვები გამახსენდა თქვენ, ავღანელები, დიდი უდარდელი ხალხი ხართო. მაშინ გამეცინა, მაგრამ ახლა ვფიქრობ, საერთოდ როგორ დავიძინე მას მერე, რაც სოჰრაბს ის საშინელი ამბავი ვუთხარი.

ტაქსიში ჩავჯექი. სანამ საავადმყოფოში მივიდოდი, მძღოლს სპარსული წიგნის მაღაზიასთან გავაჩერებინე.

სოჰრაბის პალატაში კედლები კრემისფერად იყო შეღებილი, კედლებსა და ჭერს შორის ჩამომტვრეული კარნიზები ჭუჭყიანი ჩანდა, იატაკზე, ალბათ ოდესღაც თეთრი, კერამიკული ფილები ეგო. სოჰრაბის გარდა პალატაში კიდევ ერთი პაციენტი იწვა. მოზარდი ფენჯაბელი ბიჭი. თურმე დაძრული ავტობუსის სახურავიდან ჩამოვარდა და ფეხი მოიტეხა. ფეხი თაბაშირში ჰქონდა ჩასმული.

ოთახს დილის მზე ანათებდა. სოჰრაბის საწოლი ფანჯარასთან იდგა. საავადმყოფოს პროტოკოლის მიხედვით, თვითმკვლელობის მცდელობის გამო სოჰრაბზე 24 საათიანი კონტროლი ხორციელდებოდა. საწოლთან დაცვის ფორმიანი თანამშრომელი საზამთროს კურკებს აკნატუნებდა. როგორც კი დამინახა, სალამი მომცა და ოთახი დატოვა.

სოჰრაბს მოკლესახელოებიანი პიჟამო ეცვა. ზურგზე იწვა, თავი ფანჯრისკენ ჰქონდა შებრუნებული. მე მეგონა, ეძინა, მაგრამ სკამი რომ მივაჩოჩე, თვალები გაახილა. შემხედა და თავი ისევ შეატრიალა. სისხლის გადასხმების მიუხედავად, ძალიან ფერმკრთალი იყო. მარჯვენა მკლავზე ნანემსარები ჩალურჯებული ჰქონდა.

– როგორ ხარ?

არ მიპასუხა. ფანჯრიდან საავადმყოფოს სათამაშო მოედანი მოჩანდა. საქანელებთან, ჩინური ვარდების ჩრდილქვეშ, თაღოვან ხეივანს ვაზი ეხვეოდა. რამდენიმე ბავშვი ქვიშაში თამაშობდა. უღრუბლო ლურჯ ცაზე თვითმფრინავი დასრიალებდა.

– ახლახან ექიმ ნავაზს ველაპარაკე, რამდენიმე დღეში გავწერთო, – ვთქვი მე.

ისევ სიჩუმე. ფენჯაბელი ბიჭი ძილში კვნესოდა.

– არა უშავს შენს ოთახს, – ვცდილობდი მისი შეხვეული მაჯისთვის არ შემეხედა, – ნათელია და ხედიც კარგია, – არავითარი რეაქცია. რამდენიმე უხერხული წუთი კიდევ და სახეზე ოფლმა დამასხა. საწოლის გვერდით, სადგამზე ხელუხლებელი მწვანე მუხუდოს ფაფით სავსე ჯამი იდგა.

– ცოტა უნდა ჭამო, რომ ძალა მალე დაგიბრუნდეს. გინდა, მე გაჭამო?

შემხედა და მაშინვე გვერდით გაიხედა. სახე გაქვავებული ჰქონდა, თვალები ისევ ისე უსიცოცხლო, როგორც მაშინ, აბაზანიდან რომ ამოვიყვანე. ქაღალდის პარკი გავხსენი და სპარსული წიგნის მაღაზიაში ნაყიდი „შაჰნამე“ ამოვიღე. წიგნი შევატრიალე, რომ სოჰრაბს

ყდა დაენახა: – მამაშენს ვუკითხავდი ხოლმე ბავშვობაში. ჩვენს სახლთან, გორაზე ავდიოდით და ბროწეულის ხის ქვეშ ვსხდებოდით... სოჰრაბი ფანჯარაში იყურებოდა. ძალით გავიღიმე, – მამაშენს ყველაზე ძალიან როსტომის და სოჰრაბის ამბავი უყვარდა, იმიტომაც დაგარქვა სოჰრაბი, – ცოტა არ იყოს, იდიოტად ვგრძნობდი თავს, – მამაშენი წერილში ამბობს, რომ შენც ეს ნაწილი მოგწონს. ჰოდა, ვიფიქრე, წავუკითხავ-მეთქი. მომისმენ?

თვალები დახუჭა და ზედ დალურჯებული მკლავი დაიფარა.

წინასწარ გადაკეცილ გვერდზე გადავშალე: – დავიწყეთ, – ვთქვი და თან ვფიქრობდი, რა ხასიათზე დადგა ნეტავ ჰასანი, თვითონ როცა წაიკითხა „შაჰნამე?“ ხომ მიხვდებოდა, სულ რომ ვატყუებდი? – ყური დაუგდე როსტომისა და სოჰრაბის ცრემლიან ამბავს... – ჩავახველე და განვაგრძე: ერთ დილას, მზე რომ ამოიწვერა, როსტომმა მძიმე ფიქრით გაიღვიძა, გული ცუდს უგრძნობდა... თითქმის მთელი პირველი თავი წავუკითხე, იმ ნაწილის ჩათვლით, როცა ახალგაზრდა მეომარი სოჰრაბი დედამისთან, პრინცესა თაჰმინესთან, მიდის და მამამისის ვინაობის გამხელას სთხოვს. წიგნი დავხურე, – გინდა, გავაგრძელო? შემდეგ ბრძოლები მოდის, ხომ გახსოვს? სოჰრაბი ჯარს ირანში, თეთრი ციხე-სიმაგრის ასაღებად მიუძღვის. წავიკითხო?

თავი გააქნია. წიგნი ისევ ქაღალდის პარკში ჩავაგდე, – კარგი, – ვთქვი მე. რაღაც რეაგირება მაინც გამოიწვია ჩემმა შეკითხვამ, – ხვალ გავაგრძელოთ. თავს როგორ გრძნობ?

– დავიღალე, – ამოიხრიალა. არ გამკვირვებია, სასუნთქმა მილმა ხმის იოგები დაუზიანა.

– ვიცი, ექიმი ნავაზი ამბობს, დაღლილობის შეგრძნება მოსალოდნელიაო, – თავი გააქნია.

– რა იყო, სოჰრაბ?

– ყველაფრისგან დავიღალე, – ძლივს გასაგონი ჩახლეჩილი ხმით თქვა.

ამოვიოხრე. მზით განათებული საწოლიდან ფერფლისფერი, უსიცოცხლო სახე მიცქერდა. ჰასანის ზუსტი ასლი. მაგრამ ასეთი ჰასანი მე მხოლოდ ერთელ ვნახე. მაშინ, როცა ბოლო დღეს, თავსხმა წვიმაში თავის ბარგს აწყობდა ბაბას მანქანის საბარგულში.

– ყველაფრისგან დავიღალე, – გაიმეორა.

– მითხარი, სოჰრაბ, რა ვქნა? რა გინდა?

– მინდა რომ... – ხელი ყელთან მიიტანა. მინდოდა თუ არ მინდოდა, მის დაბინტულ მაჯას ვხედავდი, – ჩემი ძველი ცხოვრება დამიბრუნდეს, – ძლივს ამოთქვა და ამოისუნთქა.

– სოჰრაბ.

– მამა, დედა და სასა მინდა, კიდევ ბაღში რაჰიმ-ხანთან ერთად თამაში, ისევ ჩვენს სახლში ცხოვრება. თვალებზე ხელი აიფარა, – ჩემი ძველი ცხოვრება მინდა.

არ ვიცოდი, რა მეთქვა. თავი დავხარე და ხელებზე დავიხედე. ეჰ, შენი ძველი ცხოვრება ჩემი ცხოვრებაცაა, ვფიქრობდი ჩემთვის. მეც იმ ბაღში ვთამაშობდი, იმ სახლში ვცხოვრობდი, მაგრამ ახლა ჩვენს ბაღში ბალახი გადამხმარია, სახლის წინ ვიღაცის ჯიპს ზეთი სდის; წავიდა ძველი ცხოვრება, ჩაიარა, სოჰრაბ. იმ ცხოვრებიდან ცოცხალი აღარავინ დარჩა. მხოლოდ ჩვენ, ჩემო სოჰრაბ, შენ და მე.

– როგორ, სოჰრაბ, როგორ!

– ნეტავ, არ... ნეტავ, წყალში ჩაგეტოვებინე.

– არასოდეს, არასოდეს აღარ გაიმეორო, გაიგე? არ შემიძლია მაგ სიტყვების გაგონება, ველარ გადავიტან, – წინ გადავიხარე და მხარზე ხელი დავადე. შეკრთა, გაიწია და ჩემი ხელი მოიშორა. ბოლო დროს, იმ საბედისწერო დღემდე, ხელს უკვე აღარ მკრავდა, აღარ გამირბოდა.

– ცხოვრებას უკან ვერ დავაბრუნებ, ნეტავ შემეძლოს, მაგრამ ამერიკაში წაგიყვან. ჩათვალე, რომ უკვე გაქვს ამერიკის ვიზა. ეს ამბავი მინდოდა შენთვის მეხარებინა იმ საღამოს. წავალთ და ერთად ვიცხოვრებთ, მე შენ და ჩემი ცოლი. ჰო, სოჰრაბ, მივდივართ, გპირდები.

ამოიოხრა და თვალები დახუჭა. ბოლო სიტყვა არ უნდა მეთქვა: – იცი რა, ძალიან ხშირად მინანია ჩადენილი საქციელის გამო, მაგრამ ალბათ ყველაზე მეტად მაინც იმას ვნანობ, შენთვის მოცემული სიტყვა რომ გავტეხე. დამიჯერე, ეს აღარ განმეორდება. იცოდე, რომ ძალიან, ძალიან განვიცდი და თუ შეგიძლია, კიდევ ერთხელ მენდე. მე ბახშეშს, პატიებას გთხოვ, სოჰრაბ, ჯერი შენზეა, მაპატიებ? – ხმას დავუწიე, – წამოხვალ ჩემთან ერთად ამერიკაში?

მისი პასუხის მოლოდინში, ფიქრმა ისევ წარსულში გადამისროლა. დიდი ხნის წინ მე და ჰასანი თოვლზე ვისხედით ფოთოლგაცვენილი ალუბლის ხის ქვეშ. იმ დღესაც სასტიკად მოვექეცი, – მე რომ გთხოვო, ჩემი ერთგულების ნიშნად მიწას შეჭამ? – ვკითხე. რას ვამოწმებდი? ახლა მე თვითონ ვგრძნობ თავს გამადიდებელი შუშის ქვეშ მოქცეულ ჭიანჭველად. ახლა მე უნდა დავამტკიცო, რომ რაღაცად ვღირვარ. ახია ჩემზე!

სოჰრაბი გადაბრუნდა, ზურგი შემაქცია. დიდხანს იწვა ჩუმად. ვიფიქრე, ალბათ ჩაეძინა-მეთქი და უცებ ისევ ამოიხრიალა: – როგორ დავიღალე.

სანამ დაიძინებდა, საწოლთან ვეჯექი. ჩვენ შორის თითქოს ხიდი ჩატყდა. ადვოკატთან შეხვედრამდე იმედის სხივი ედგა თვალებში, ახლა ის სხივიც ჩაუქრა. ისევ შევძლებდი მისი ნდობის მოპოვებას? ისევ დავინახავდი მის თვალებში სიცოცხლის ნაპერწკალს?

ოთახიდან გავედი. სადმე სასტუმროში ოთახი უნდა დამექირავებინა. იმ დროს ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ კიდევ ერთი წელი გავიდოდა, სანამ სოჰრაბს ლაპარაკის სურვილი ისევ დაუბრუნდებოდა.

სოჰრაბს თანხმობა არ მოუცია ჩემს წინადადებაზე, თუმცა არც უარი უთქვამს. ძალიან კარგად ესმოდა, რომ როგორც კი სახვევებს მოხსნიდნენ და საავადმყოფოდან გაწერდნენ, ის ერთი უსახლკარო ჰაზარა ობოლი იყო, სად წავიდოდა? სხვა რა არჩევანი ჰქონდა? ის, რაც მე თანხმობად ჩავთვალე, რწმენა და ძალაგამოცლილი კაცის მიერ ფარხმალის დაყრას უფრო ჰგავდა. რა უნდა ექნა? წარსული დამთავრდა, აწმყოში ჩემ გარდა არავინ იყო, და ჩემთან ერთად ამერიკა... ბოლომდე არ გაწირა ბედმა. მგონი, ყველაფერს თუ გავითვალისწინებთ, არც ისე ცუდი პერსპექტივა ჩანდა, თუმცა ჯერ არ ღირდა მომავალზე ლაპარაკი, ჯერ ჩემს თავში ჩაბუდებულ დემონებივით შავბნელ ფიქრებს უნდა მოვრეოდი.

ასე იყო თუ ისე, ერთ კვირაში სიცხისგან გავარვარებული აეროპორტის მინდორი გადავჭერით, თვითმფრინავში ჩავსხედით და ჰასანის შვილი ავღანეთიდან ამერიკაში

ჩავიყვანე. ანუ იმ ჯოჯოხეთური ორომტრიალიდან პირდაპირ ბურუსით მოცულ რეალობაში ვუკარი თავი.

ერთ დღეს, ალბათ 1983 ან 1984 წელს, ფრიმონტში ვიდეო მაღაზიაში შევედი. ვესტერნის სექციაში ფილმებს ვათვალიერებდი. ახალგაზრდა მომიახლოვდა, კოკა-კოლის ჭიქით ხელში და მკითხა, „შესანიშნავი შვიდეული“ თუ გინახავთო. ცამეტჯერ, – ვუპასუხე, – ჩარლზ ბრონსონი, ჯეიმს კობურნი და რობერტ ვონი ყველანი კვდებიან, – სახე ისე მოეჭყანა, გეგონებოდათ, ჭიქაში ჩავუფურთხე, – გმადლობთ, – ჩაიბურტყუნა და სწრაფად გამეცალა. იმ დღეს პირველად აღმოვაჩინე, რომ ამერიკაში ფილმის დასასრული არ უნდა გაამხილო, თუ გინდა, რომ მერე ბოდიშის მოხდა არ მოგიწიოს ფილმის ნახვის „მუღამის“ დაკარგვის გამო.

ავღანეთში სხვაგვარად იყო. ხალხს ყველაზე მეტად ფილმის დასასრული აინტერესებდა. როცა მე და ჰასანი, ინდური ფილმის ნახვის შემდეგ, კინოთეატრიდან სახლში ვბრუნდებოდით, ალი, რაჰიმ-ხანი, ბაბა, ბაბას მეგობრები, ბიძაშვილები, ბიძაშვილების ბიძაშვილები, მოკლედ ყველა, ვინც ჩვენს სახლში ტრიალებდა, ერთსა და იმავე კითხვებს გვისვამდა: რა ქნა იმ გოგომ, იპოვა ბოლოს ბედნიერება? ბიჭს რა მოუვიდა? აისრულა ოცნება? ბედნიერი დასასრული აქვს?

და როგორ მთავრდება ჰასანის, სოჰრაბის და ამირის ისტორია?

ვინ იცის; ძნელი სათქმელია.

ბოლოს და ბოლოს, ცხოვრება ინდური ფილმი ხომ არ არის. ზენდაგი მიგზარა, ცხოვრება გრძელდება, ამბობენ ავღანეთში. არც დაწყებას გეკითხება ვინმე, არც დასასრულს, არც კვანძის გახსნას და არც კულმინაციას. უბრალოდ მიდის, ქოჩების მტვრიანი ქარავანივით წინ მიიზლაზნება. ასეა. და საქმის არსს არც გასულ კვირას მომხდარი პატარა სასწაული ცვლის.

სახლში შვიდი თვის წინ, 2001 წლის აგვისტოს ცხელ დღეს ჩავედით. სორაია აეროპორტში დაგვხვდა. რამდენი ხანია აღარ მინახავს ჩემი სორაია, ჩემი ილდას მზე. კისერზე ხელები მომხვია, ჩამეხუტა და მისი თმის არომატი შევიგრძენი. თურმე, როგორ მომნატრებია!

მერე დაიხარა, სოჰრაბს თვალებში შეხედა, ხელზე ხელი მოჰკიდა და თქვა:

– სალამი, სოჰრაბ-ჯან, მე შენი ბიცოლა სორაია ვარ, რომ იცოდე, როგორ გელოდებოდით.

თვალზე ცრემლი მოადგა, იღიმოდა და თვალს არ აშორებდა სოჰრაბს. წარმოვიდგინე, როგორი დედა იქნებოდა, ბედს რომ არ ემტყუნა მისთვის. სოჰრაბმა ფეხი მოინაცვლა და გვერდზე გაიხედა.

სოჰრაბის ოთახი ზედასართულზე, კაბინეტში მოაწყო სორაიამ. კარადის გვერდით კედელზე ბავშვის სიმაღლეში ზრდის შესამოწმებლად ფუტებად და ინჩებად დაყოფილი მუყაოს საზომი ააკრა. საწოლის ფეხთან, მოწნულ კალათში წიგნები, ელექტრო-მატარებელი და სახატავი საღებავები ჩააწყო. ქვეშსაგებელიც კი განსაკუთრებული შეარჩია, ქსოვილზე ფერადფერადი ფრანები იყო გამოსახული. სოჰრაბს თეთრი მაისური და ახალი ჯინსი ეცვა. ისლამაბადში ვუყიდე წამოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე. ძალიან გამხდარი იყო, მაისური ჩამოკიდებულივით ჰქონდა. სახეზე ისევ

ავადმყოფური ფერი ედო. თვალების ქვეშ მუქი რკალები ემჩნეოდა. საწოლის კიდეზე ჩამოჯდა. ემოციებისგან დაცლილი, გულგრილი მზერით უყურებდა ყველაფერს. დაახლოებით ისე, როგორც მოხარშული ბრინჯით სავსე თეფშს, რომელსაც საავადმყოფოს მომსახურე პერსონალი უდგამდა ხოლმე საწოლის გვერდით. როცა სორაიამ ჰკითხა, მოგწონს შენი ოთახი თუ არაო, თავი დახარა, ხელები თეძოებს ქვეშ ამოიწყო და არაფერი უპასუხა. მერე თავი ბალიშზე დადო, ხუთ წუთში უკვე ფშვინავდა.

იმ ღამეს სორაიას ჩემს მკლავზე ეძინა. მე თვალი ვერ მოვხუჭე. ავდექი. ღამის სიბნელეში ისევ მარტო დავრჩი შავბნელ ფიქრებთან. შუაღამისას სოჰრაბის ოთახში შევედი. საწოლთან რომ მივედი, ბალიშის ქვეშ რაღაც შევნიშნე. რაჰიმ-ხანის ნაჩუქარი პოლაროიდის სურათი იყო. შაჰ ფაიზალის მეჩეთთან რომ ვისხედით, მაშინ მივეცი სოჰრაბს. სურათზე ჰასანი ისე იღიმის, გეგონებათ, ცხოვრებას ერთხელაც არ ჩაუწიხლავს.

– უნდა იცოდე, რომ მამაშენი ორად იხლიჩებოდა შენსა და ჰასანს შორის, – მწერდა თავის წერილში რაჰიმ-ხანი. მე მისი ლეგიტიმური ნაწილი ვიყავი, საზოგადოების მიერ აღიარებული მემკვიდრე. ჰასანის ფოტოს დავხედე – ბაბას მეორე, არაპრივილეგირებული ნაწილი, მაგრამ ამავე დროს, ბაბას სიკეთის, კეთილშობილების, სიმამაცის პირდაპირი მემკვიდრე. ალბათ გულის სიღრმეში ბაბა მას მიიჩნევდა თავის ნამდვილ შვილად. გავიფიქრე და მივხვდი, რომ ამის გაფიქრებაზე ტკივილი აღარ განმიცდია. ალბათ ასე იბადება პატიება. აღარც შური, აღარც ღვარძლი, მთელი ცხოვრების განმავლობაში დაგროვილი ბოღმა ერთ ღამეს შეუმჩნევლად გაუჩინარდა.

სურათი თავის ადგილას დავაბრუნე და ოთახიდან გავედი.

მეორე დღეს გენერალი და ხალა ჯამილა გვეწვივნენ სადილად. ხალა ჯამილას თმა მოკლედ შეეჭრა და უფრო მუქად შეეღება. დესერტისთვის ნუშის ნამცხვარი მოგვიტანა. სოჰრაბი რომ დაინახა, სახე გაებადრა.

– მაშალლა! სორაიამ მითხრა, ლამაზი ბიჭიაო, მაგრამ სინამდვილეში უფრო კარგი ყოფილხარ, ვიდრე წარმოვიდგინე. სოჰრაბ-ჯან, ეს შენ მოგიქსოვე, მომავალ ზამთარს გამოგადგება.

სოჰრაბმა სვიტერი გამოართვა.

– გამარჯობა, ყმაწვილო, – თქვა გენერალმა. ორივე ხელით ჯოხს დაყრდნობილი, სოჰრაბს გაოცებული თვალებით ათვალიერებდა. გეგონებოდათ, ბავშვი კი არა, რაღაც უცნაური დეკორაცია იყო.

სორაია გავაფრთხილე, რომ ხალა ჯამილასთვის ეთქვა, თითქოს ქუჩაში დამესხნენ თავს. იმდენი კითხვა წამაყარა, პასუხის გაცემას ძლივს ვასწრებდი; არა, მალე გაივლის, რამდენიმე კვირაში მომხსნიან მავთულის კარკასს და შევძლებ თქვენი ნამცხვრების ჭამას, რა თქმა უნდა, შევიზელ რევანდისა და შაქრის ნაზავს, რომ იარა მალე შეხორცდეს...

სანამ სორაია და დედამისი სუფრას აწყობდნენ, მე და გენერალი სასტუმრო ოთახში ღვინოს ვწრუპავდით, თან გენერალს ქაბულის ამბებს ვუყვებოდი. მისმენდა, თავს აქნევდა, „ნწ, ნწ“ არ დაუკლია, როდესაც იმ ცალფეხა კაცის ამბავი მოვუყევი, პროთეზს რომ ყიდდა. ასეფის და სტადიონის შესახებ არაფერი მითქვამს. რაჰიმ-ხანის ავადმყოფობის გამო ძალიან შეწუხდა. საუბრის დროს თვალი ტახტზე ჩაძინებული

სოჰრაბისკენ გაურბოდა. მისთვის ყველაზე საინტერესო თემას ჯერჯერობით გარს ვუვლიდით. სადილის შემდეგ, ჩანგალი მაგიდაზე დადო და პირდაპირ მკითხა:

– ამირ, არ გვეტყვი, ბიჭი რატომ ჩამოიყვანე?

– რა შეკითხვაა, იქბალ-ჯან? – ჩაერია ხალა ჯამილა.

– შენ სანამ ქსოვით ხარ დაკავებული, ჩემო ძვირფასო, მე ჩვენი ოჯახის რეპუტაციაზე ვზრუნავ. საზოგადოებას კითხვები გაუჩნდება და მე პასუხის გაცემა მომიწევს. უნდა ვიცოდე, რატომ ცხოვრობს ეს ჰაზარა ბიჭი ჩემს ქალიშვილთან ერთ ჭერქვეშ.

სორაიას კოვზი ხელიდან გაუვარდა.

– არა უშავს, სორაია, დამშვიდდი. გენერალი მართალია. კითხვები აუცილებლად იქნება. – გენერალს მივუბრუნდი, – მამაჩემი, გენერალო, თავისი მსახურის ცოლთან იწვა. ქალმა ბავშვი, სახელად ჰასანი, გააჩინა. ჰასანი დიდი ხნის წინ მოკლეს და ეს ბიჭი, ახლა რომ ტახტზე სძინავს, ჩემი ძმისშვილია. აი, ეს უპასუხეთ, თუ ვინმე შეკითხვას დაგისვამთ, – გაფართოებული თვალებით მიყურებდნენ, – კიდევ ერთი რამ, ჩემი თანდასწრებით აღარასოდეს ახსენოთ „ჰაზარა ბიჭი“, მას სახელად სოჰრაბი ჰქვია.

სადილი სრულ სიჩუმეში დასრულდა.

ამერიკაში ჩასვლის შემდეგ სოჰრაბი დამშვიდდა-მეთქი, რომ ვთქვა, დიდი შეცდომა იქნება, რადგან დამშვიდება მყუდრო ნიშის მონახვას, ცხოვრების თვითდინებაზე მიშვებას, ან უბრალოდ, მისთვის ხმის ჩაწევას ნიშნავს. სოჰრაბი კი დუმდა. ზოგჯერ მეამბოხენი პროტესტს გამოხატავენ დუმილით, მაგრამ მისი დუმილი არც თვითგამოხატვის საშუალება იყო და არც პროტესტის ნიშანი. ის ცხოვრებას დაემალა, სიბნელეში მოიკუნტა, მასთან მისასვლელი გზები დაგმანა და დადუმდა, ანუ გათიშვის ღილაკს დააჭირა ხელი. სოჰრაბი არ ცხოვრობდა, ის უბრალოდ არსებობდა. მეჩვენებოდა, რომ ხალხი მას ვერ ხედავდა, თითქოს საერთოდ არ იყო. სადაც უნდა წავსულიყავით, პარკში თუ მარკეტში, ვერავინ ამჩნევდა. ისე დადიოდა, თითქოს კვალის დატოვების ეშინოდა, თავისი წილი ჰაერის ჩასუნთქვასაც კი უფრთხოდა. ხშირად მეც ვერ ვამჩნევდი, ისე შემოდიოდა ოთახში. უმეტეს დროს კი სოჰრაბი ძილში ატარებდა.

სორაიას ძალიან მძიმედ გადაჰქონდა სოჰრაბის დუმილი. ჯერ კიდევ პაკისტანში რომ ვიყავით, მაშინ მომიყვა, რას გეგმავდა სოჰრაბთან დაკავშირებით – ცურვის გაკვეთილები, ფეხბურთი, ბოულინგის ლიგა...

გულდაწყვეტილი შეხედავდა ხოლმე მოწნულ კალათში ხელუხლებელ წიგნებს, კედელზე გაკრულ საზომს, ამოუხსნელ რებუსებს. ეჰ, ჩაეშალა ოცნებები სორაიას, მეც, რაღა თქმა უნდა, მასთან ერთად.

სანამ სოჰრაბი დუმდა, ცხოვრება თავისას მიერეკებოდა. სამშაბათს, 11 სექტემბერს, ტყუპი კოშკები ზრიალით ჩამოინგრა და ერთ ღამეში სამყარო თავდაყირა დადგა. გამწვავებული ემოციების ფონზე ქვეყანა ამერიკის დროშებით მოიფინა. სად არ ნახავდით: ყვითელ ტაქსებზე, ფეხით მოსიარულეთა ტანსაცმელზე, მათხოვრების ქუდებზე, უსახლკარო მუსიკოსის აკორდეონის ფუტლიარზე...

მალე ამერიკამ ავღანეთზე იერიში მიიტანა. საქმეში ჩრდილოეთის ალიანსი ჩაერთო. თალიბები ვირთხებივით გაიფანტნენ და გამოქვაბულებს შეაფარეს თავი. ხშირად

მესმოდა, როგორ ლაპარაკობდა ხალხი მარკეტებში, პროდუქტის რიგში, ჩემი ბავშვობის ქალაქებზე – ყანდაარი, ჰერათი, მაზარიშარიფი. მახსოვს, ბაბამ მე და ჰასანი ერთხელ ქუნდუზში წაგვიყვანა. აკაციის ხის ქვეშ ვისხედით და თიხის ქოთნებიდან საზამთროს წვენს ვსვამდით. სულ ეს არის, მეტი არაფერი მახსოვს. ახლა სტარბაქსის კაფეებში დან რაზერი, ტომ ბროკაუ და სხვები ლატეს წრუპავენ და ქუნდუზის ბრძოლაზე მსჯელობენ. ქუნდუზი თალიბების უკანასკნელი დასაყრდენი იყო. გასულ დეკემბერს პუშტუნები, უზბეკები და ჰაზარები ბონში გაეროს მეთვალყურეობის ქვეშ შეიკრიბნენ. მოლაპარაკების პროცესი დაიწყო. იქნებ ერთ დღეს, მათ სამშობლოში დატრიალებული ოცწლიანი უბედურებაც დასრულდეს. ჰამიდ ყარზაი თავისი კარაკულის ქუდით და მწვანე ჩაპანით პოპულარული გახდა.

ეს ყველაფერი ისე მოხდა, რომ სოჰრაბს არაფერი გაუგია.

მე და სორაია ავღანურ პროექტებში ჩავერთეთ. ამის მიზეზი მხოლოდ ჩვენი მოქალაქეობრივი ვალი არ ყოფილა. გვინდოდა, რომ როგორმე რაღაცით შეგვევსო ჩვენს სახლში, მეორე სართულზე დასადგურებული შავი ხვრელივით უძირო, ყოვლის მშთანთქმელი დუმილი. არასოდეს ვყოფილვარ სოციალურად აქტიური ტიპი, მაგრამ როცა სოფიაში ავღანეთის ყოფილმა ელჩმა დამირეკა და მთხოვა, რომ საავადმყოფოს პროექტის განხორციელებაში დავხმარებოდი, დავთანხმდი. ავღანეთ-პაკისტანის საზღვარზე პატარა ჰოსპიტალი, სადაც ნაღმზე აფეთქებულ ავღანელ ლტოლვილებს უკეთებდნენ ოპერაციებს, უსახსრობის გამო დაიკეტა. პროექტი ამ საავადმყოფოსთვის ფუნქციის აღდგენას ითვალისწინებდა. მე პროექტის მენეჯერი გავხდი, სორაია – თანამენეჯერი. დროის უმეტეს ნაწილს კაბინეტში ვატარებდი. მთელს მსოფლიოში ვგზავნიდი ელექტრონულ წერილებს, დაფინანსების მოსაპოვებლად სხვადასხვა ფონდებს მივმართავდი, ფულის შესაგროვებლად ღონისძიებებს ვაწყობდი და თან ჩემს თავს ვარწმუნებდი, რომ სოჰრაბის ამერიკაში ჩამოყვანა ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იყო.

ის წელიწადიც ისევე გავაცილეთ, როგორც წინა წლები. მე და სორაია ტახტზე წამოწოლილები ტელევიზორს ვუყურებდით. ხალხი მხიარულობდა, ერთმანეთს ეხვეოდა. კანფეტების ცვენა და დიდი ჟრიამული იდგა. ჩვენთვის ახალი წელი ისევ ისე, დუმილით დაიწყო.

და მერე, 2002 წლის მარტის ერთ მშვენიერ დღეს პატარა სასწაული მოხდა. სორაია, სოჰრაბი და ხალა ჯამილა ავღანელების შეკრებაზე წავიყვანე. შეკრება ელიზაბეტის ტბის პირას, ფრიმონტში გაიმართა. გენერალი ჩვენთან არ იყო. ბოლოს და ბოლოს, გამართლდა მისი მოლოდინი და ავღანეთში მინისტრის თანამდებობაზე მიიწვიეს. ის ორი კვირის წინ ქაბულში გაფრინდა. ხალა ჯამილა რამდენიმე თვეში აპირებდა მასთან ჩასვლას. ძალიან ენატრებოდა და მისი ჯანმრთელობის გამო წუხდა.

წინა ხუთშაბათს, გაზაფხულის პირველ დღეს, ავღანური ახალი წელი, სოლინაუ დადგა. სან ფრანცისკოს აღმოსავლეთ სანაპიროს გასწვრივ საზეიმო ღონისძიებები იმართებოდა. ქაბირს (ყოფილი ელჩი სოფიაში), სორაიას და მე კიდევ ერთი მიზეზი გვქონდა სიხარულისთვის – ჩვენი პროექტი წარმატებული აღმოჩნდა – საავადმყოფო გაიხსნა.

მართალია, ჯერ ოპერაციები არ კეთდებოდა, მაგრამ პედიატრები უკვე მუშაობდნენ. კარგი დასაწყისი იყო.

მთელი კვირის განმავლობაში მზიანი დღეები იდგა. იმ დღეს კი წვიმის წვეთების წკაპა-წკუპმა გამაღვიძა. ესეც ავღანელების ბედია! მწარედ ჩამეცინა. სანამ სორაიას ეძინა, დილის ნამაზი ვთქვი. უკვე აღარ მჭირდებოდა წიგნში ჩახედვა, სიტყვები თავისთავად, ძალდატანების გარეშე პოულობდნენ გზას.

შეკრებაზე შუადღისას მივედით. ხალხი ნაუცბათევად გადაჭიმულ სეფას აფარებდა თავს. ვიღაც ბოლანის წვავდა. ცხელ ჩაის და ყვავილოვანი კომბოსტოს შეჭამანდს ორთქლი ასდიოდა. ძველი მაგნიტოფონიდან აჰმედ ზაჰირის სიმღერა ისმოდა. ცოტა სასაცილო იყო, დამწკრივებულები მივაბიჯებდით სველ ბალახზე. მე და სორაია, ჩვენ უკან ხალა ჯამილა, ხალა ჯამილას უკან სოჰრაბი.

– რატომ გეღიმება? –მკითხა სორაიამ. თავზე დაკეცილი გაზეთი ეფარა.

– შეიძლება ავღანელები განდევნო პაჰმანის ბაღებიდან, მაგრამ პაჰმანის ბაღებს ვერ განდევნი მათგან, – სიცილით ვთქვი მე.

დავიხარეთ და სეფაში შევედით. სორაია და დედამისი ერთი მსუქანი ქალისკენ გაემართნენ. ქალი ისპანახის ბოლანის ამზადებდა. სოჰრაბმა ფეხი შემოდგა, მაგრამ ისევ უკან დაიხია და გარეთ, გუბესთან დადგა. ხელები საწვიმარის ჯიბეში ჰქონდა ჩაწყობილი, სველი თმა უკან გადაგლესილი. იდგა და გუბურას მისჩერებოდა. არავის შეუმჩნევია, არც არავის უთქვამს, შემოდი, წვიმაში ნუ დგახარო. დროთა განმავლობაში სოჰრაბის მიმართ ინტერესი განელდა. მადლობა ღმერთს! თორემ თავი გვქონდა მობეზრებული ნაცნობების უტაქტო შეკითხვებზე პასუხის გაცემით. დავისვენეთ, რაც მათი გადაჭარბებული თანაგრძნობა, თავის ქნევა და „ოჰ, საწყალი პატარა, მუნჯია“ შეწყდა. აღარც გამუდმებული „ნწ, ნწ“, გვესმოდა კარგა ხანია. სოჰრაბი უბრალოდ ჩვენი გარემოცვის ნაწილი გახდა, ისევე უმნიშვნელო, როგორც, ვთქვათ, კედელზე გაკრული შპალერი.

კაბირს მივესალმე. დაბალი კაცი იყო, შევერცხლილი თმით. ერთი დუჟინი ხალხი გამაცნო: ყოფილი მასწავლებელი, ინჟინერი, არქიტექტორი, ქირურგი. ერთ-ერთ მათგანს, ქირურგს, ახლა ჰოთ დოგის დახლი ჰქონდა ჰეივორდში გახსნილი. თურმე ბაბას ყველა კარგად იცნობდა. დიდი მოწიწებით გაიხსენეს. ერთმა მითხრა, ბედნიერი კაცი ხარ, რადგან ასეთი დიდებული მამა გყავდაო.

ცოტა ხანს ყარზაის რთულ მისიაზე ვილაპარაკეთ, მალე ლოია ჯირგა, უმაღლესი საბჭოს ასამბლეა იგეგმებოდა. 28 წლის წინ ტახტიდან ჩამოგდებული მეფე დევნილობიდან სამშობლოში ბრუნდებოდა. გამახსენდა, 1973 წელს, გადატრიალების ღამეს, აფეთქებებისგან ცა ვერცხლისფრად ელავდა. გამაყრუებელმა ხმამ ისე დაგვაფრთხო, რომ ალის მკლავებქვეშ შევიყუჟეთ მე და ჰასანი. ნუ გეშინიათ, იხვებზე ნადირობენო, დაგვაწყნარა ალიმ.

მერე ვიღაცამ მოლა ნასრედინის ანეკდოტი თქვა და ყველამ გავიცინეთ.

– მამათქვენიც კარგი ხუმარა იყო, – თქვა კაბირმა.

– ჰო, მართალი ხართ, – ამერიკაში რომ ჩავედით, გულმოსული ბაბა ამერიკულ ბუზებზე იყრიდა ხოლმე ჯავრს. სამზარეულოს მაგიდასთან დაჯდებოდა, ბუზის სახოცს

მოიმარჯვებდა და დაძაბული უცდიდა, როდის დაჯდებოდა ბუზი, მაგრამ ბზზზ, ბზზზ, ბზზზ და კედლიდან კედელზე ისე სწრაფად დაფრინავდნენ, რომ ვერ ასწრებდა სახოცის მოქნევას. ბოლოს გაბრაზდებოდა და ჩაიბურტყუნებდა ხოლმე: – ამერიკელ ბუზებსაც კი სადღაც ეჩქარებათ, – თვალწინ წარმომიდგა ბაბა თავის ბუზის სახოცით და გამეღიმა. სამი საათისთვის წვიმამ გადაიღო. ცაზე რუხი ღრუბლები დაბობღავდნენ. გრილი ნიავი უბერავდა. ხალხმა იმატა, ერთმანეთს ესალმებოდნენ, ულოცავდნენ, ეხვეოდნენ და კოცნიდნენ. ვიღაცამ მაყალი გაახურა, ნაკვერჩხალი აგიზგიზდა და ქათმის ქაბაბის სუნი დატრიალდა. მუსიკა უკრავდა, ბავშვები სიცილკისკისით თამაშობდნენ. სოჰრაბს შევხედე. გაუნძრევლად იდგა ურნასთან და ცარიელი თვალებით უსასრულობას გასცქეროდა... ყოფილ ქირურგს ვესაუბრებოდი. თურმე, ბაბა და ის მერვე კლასში ერთად სწავლობდნენ. ამ დროს სორაია მომიახლოვდა და სახელოზე მომქაჩა:

– ამირ, შეხედე!

რუხ ცაზე კაშკაშა ყვითელი, წითელი და მწვანე ფრანები დასრიალებდნენ. შორიახლოს დახლის უკან ბიჭი იდგა და ფრანებს ყიდდა.

– გამომართვი, – ვუთხარი სორაიას, ჩაის ჭიქა გადავეცი, ქირურგს ბოდიში მოვუხადე და დახლისკენ გავემართე. ყვითელი ფარჩის ფრანი შევარჩიე.

– სოლინაუ მუბარაქ, – მომილოცა ფრანის გამყიდველმა. ოცდოლარიანი გამომართვა, ფრანი და ხის კოჭა გადმომცა. კოჭაზე თხევადი მინით დაფარული ბაწარი იყო დახვეული. მეც მივულოცე და ბაწარი ისე შევამოწმე, როგორც მე და ჰასანი ვამოწმებდით ხოლმე დიდი ხნის წინ. ცერა და საჩვენებელ თითებს შორის მოვიქციე და მოვქაჩე, სისხლმა ბაწარი წითლად შეღება. გამყიდველმა გამიღიმა. სოჰრაბი ისევ ისე იდგა ურნასთან, ხელები მკერდზე ჰქონდა გადაჯვარედინებული, ცას უყურებდა.

– მოგწონს? – ფრანი ვაჩვენე. ჯერ მე შემხედა, მერე ფრანს, მერე ისევ ცას. სახეზე წვიმის წვეთები ჩამოსდიოდა.

– იცი, რომ მალაიზიაში თევზის ჭერის დროს იყენებენ ფრანებს? დაგენიძლავები, რომ არ იცი. ანკესზე ფრანს აბამენ და ისე ისვრიან წყალში, ფრანი წყლის ზედაპირთან ახლოს დაფრინავს, ჩრდილი არ ეცემა წყალს და თევზი არ ფრთხება. ის იცი, რომ უძველეს დროს ჩინეთში სარდლები ბრძანებას ფრანის საშუალებით გადასცემდნენ? ჰო, ასეა, არ გეხუმრები. ბაწარი შევამოწმე, – გასისხლიანებული ცერა თითი ვაჩვენე, – სრულ წესრიგშია.

თვალის კუთხიდან ვხედავდი, რომ სორაია დაძაბული გვადევნებდა თვალყურს. ჩემგან განსხვავებით, მან ფარხმალი შედარებით მალე დაყარა. ნებისმიერი მცდელობა, როგორმე აეყოლიებინა სოჰრაბი, მარცხით დასრულდა. უპასუხოდ დარჩენილი კითხვები, უაზრო მზერა, სიჩუმე, ძალიან მტკივნეული აღმოჩნდა სორაიასთვის. ბოლოს ლოდინის რეჟიმი აირჩია და ელოდა, როდის შეიცვლებოდა სიტუაცია სასიკეთოდ.

საჩვენებელი თითი ნერწყვით დავისველე და ზევით ავწიე, – იცი, როგორ ამოწმებდა მამაშენი ქარის მიმართულებას? მიწას ფეხს წაკრავდა და აკვირდებოდა, ქარი მტვერს საით წაიღებდა. იმდენი ხრიკი იცოდა... – თითი ჩამოვწიე, – დასავლეთით ქრის.

სოჰრაბმა ყურის ბიბილოდან წვიმის წვეთი მოიშორა და ფეხი მოინაცვლა. არაფერი უთქვამს. რამდენიმე თვის წინ სორაიამ მკითხა, როგორი ხმა აქვსო და მეც აღარ მახსოვს-მეთქი, ვუპასუხე.

– შენთვის არ მითქვამს, რომ მამაშენი ვაზირ აქბარ-ხანის უბანში საუკეთესო ფრანით მორბენალი იყო? მარტო უბანში არა, ალბათ მთელ ქაბულში არ ჰყავდა ბადალი, – ვთქვი და თან ბაწარი გამოვკვანძე, – მეზობლის ბავშვები შურით სკდებოდნენ, ისე მისდევდა ფრანს, ცაში არც იყურებოდა. ხალხი ამბობდა, ფრანის ჩრდილს მისდევსო. მაგრამ ჩემსავით ვინ იცნობდა, ჩრდილის დევნა რაში სჭირდებოდა, უბრალოდ იცოდა და მორჩა...

ცაზე ხუთი ახალი ფრანი გამოჩნდა. ხალხმა ჯგუფებად შეგროვება დაიწყო.

– მომეხმარები? – ვკითხე.

ჯერ მე შემხედა, მერე ფრანს, მერე ცას...

– კარგი, ესე იგი, მარტოს მომიწევს.

ბაწარი მოვქაჩე და ყვითელი ფრანი ამოძრავდა.

– ბოლო შანსი გაქვს, სოჰრაბ, – ვთქვი მე, მაგრამ იდგა და ხეების კენწეროების ზევით მოქცეულ წყვილ ფრანს უყურებდა.

– აბა, წავედიიი... – ჭყაპა-ჭყუპით მივრბოდი სველ ბალახზე, ზევით აწეულ ხელში ბაწარი მქონდა ჩაბღუჯული, ფრანი ჯერჯერობით ჩემი თავის სიმაღლეზე დაფრინავდა. ვინ მოთვლის, რამდენი წლის წინ გავუშვი ბოლოს ფრანი. შევძლებ? თუ დასაცინი გავხდები? კოჭა ტრიალებდა, ბაწარი ხელს მიჭრიდა, გავრბოდი... ფრანი ზევით იწევდა. სიჩქარეს მოვუმატე, კოჭა უფრო სწრაფად დატრიალდა, მარჯვენა ხელის გული ისევ გამისისხლიანდა. ქარმა დაუბერა და ფრანი თან გაიყოლა. მგონი გამოდის, – გავიფიქრე, შევჩერდი და ზევით ავიხედე; ჩემი ფრანი ცაში იყო აჭრილი. ისევ ისე, როგორც ძალიან დიდი ხნის წინ, ქაღალდის ჩიტის ფრთების ქნევის ხმა მომესმა. ქაბულის ზამთრის დილა დამიდგა თვალწინ. ბოლოს ნახევარი საუკუნის წინ გავუშვი ფრანი, მაგრამ ახლა ისევ თორმეტი წლის მეგონა თავი, ინსტინქტურად ვმოქმედებდი, ყოველი მოძრაობა ზედმიწევნით ზუსტად მახსოვდა.

უეცრად ვიღაცის სიახლოვე ვიგრძენი. ქვევით დავიხედე. სოჰრაბი იყო. ხელები ისევ ჯიბეებში ჰქონდა ჩაწყობილი.

– ხომ არ ცდი? – ვკითხე. არაფერი მიპასუხა, მაგრამ როცა ბაწარი მივაწოდე, ხელი ჯიბიდან ამოიღო და გამომართვა. გული ამიძგერდა. გვერდიგვერდ ვიდექით. თავები ზევით გვქონდა აწეული. გარშემო ბავშვები თამაშობდნენ, უფროსები შუადღის ნამაზს ამბობდნენ, ჰაერში სველი ბალახისა და შემწვარი ხორცის სუნი ტრიალებდა. ჩემთვის გავიფიქრე, რა იქნება, დრო შეჩერდეს-მეთქი.

მწვანე ფრანი ჩვენ გასწვრივ დაფრინავდა. ბაწარს თვალი გავაყოლე. პატრონი პატარა ბიჭი აღმოჩნდა. ბიჭს მაისურზე დიდი ასოებით ეწერა: „ღოჩკ ღულეშ“. დამინახა, რომ ვუყურებდი და გამიღიმა. პასუხად მეც გავუღიმე.

სოჰრაბმა ბაწარი მომაწოდა და კოჭა ჩამომართვა.

– მოდი, კარგი გაკვეთილი მივცეთ, ა, რას იტყვი? – მისი არაფრისმთქმელი, შუშასავით ცივი გამომეტყველება სადღაც გაქრა. თვალებში სიცოცხლის ნაპერწკალი აუკიაფდა,

ლოყები ოდნავ შეეფაკლა, თითქოს გახალისდა კიდეც. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ბავშვი იყო, როგორ შეიძლებოდა ამის დავიწყება!

ფრანი ჩვენკენ მოძრაობდა, – ჯერ მოვუშვათ, – ვთქვი მე, – მოდი, მოდი, მოიწიე! ნელ-ნელა ჩვენი ფრანის თავზე მოექცა. რა იცოდა, რა ელოდა! – ახლა კარგად შემომხედე, სოჰრაბ, მამაშენის საყვარელი ხრიკი უნდა გაჩვენო, თვითონ ხუმრობით „აიწიე და ჩაყვინთეს“ ეძახდა.

გამალებით სუნთქავდა. ნაიარევ მაჯებზე ძარღვები რუბაბის სიმებივით ჰქონდა დაჭიმული. კოჭა ტრიალებდა. თვალი დავახამხამე და უცბად ეს ხელები კურღლისტუჩა ბიჭის დაკოჟრილ ხელებად იქცა. თოვდა, იქაურობა თვალისმომჭრელად თეთრი იყო; ხის ტოტებიდან ჩამოყრილი თოვლი სახეზე მეცემოდა; თალგამის ქურმის, თუთის ჩირის, ფორთოხლის, ნახერხის, თხილის სუნი მცემდა. ვიდექი და თოვლის სიჩუმეს ვუსმენდი. შორიდან ალი სახლში გვეძახდა.

– მოემზადე, დროა, – ვუთხარი სოჰრაბს.

მწვანემ შეიცადა და შემდეგ ქვევით დაიწია.

– წავიდააა! – დავიძახე.

აბსოლუტურად ზუსტად შევასრულე ძველი „აიწიე და ჩაყვინთე“. ამდენი წლის შემდეგ, მაინც შევძელი. ბაწარი მივუშვი, მერე მოვქაჩე, კიდევ და კიდევ, გასაქანი არ მივეცი, ნახევარწრე მოვხაზე და თავზე მოვექეცი. მწვანე სწრაფად დაეშვა ქვევით, მაგრამ გვიან იყო. ბოლოჯერ მაგრად გამოვქაჩე ბაწარი ჩავყვინთე და ჩავჭერი. ჰასანის ხრიკმა თავისი ქნა. მწვანემ კონტროლი დაკარგა, ტრიალ-ტრიალით წამოვიდა ქვევით. და ტაში, სტვენა, შეძახილები. ვქოშინებ, სახლის სახურავზე ბაბას ვეძებ თვალებით...

ბედნიერებას ასხივებს, ფეხზე წამომდგარი ტაშს უკრავს...

სოჰრაბს დავხედე და ღმერთო!

ღიმილი,

გვერდული,

ოდნავ შესამჩნევი,

მაგრამ ღიმილი!

ბავშვები ჟივილ-ხივილით გაეკიდნენ ფრანს.

თვალს ვახამხამებ და ღიმილი ქრება, მაგრამ იღიმოდა, ნამვილად იღიმოდა, ჩემი თვალით ვნახე!

– გინდა, რომ ფრანი მოგირბებინო, სოჰრაბ?

მომეჩვენა თუ მართლა დამიკრა თავი?

– შენი გულისთვის, თუნდაც ათასჯერ!

გავრბივარ. მხოლოდ ერთი ღიმილი, მეტი არაფერი, უმნიშვნელო, როგორც ტყეში ფოთლის გაშრიალება, მაგრამ მე მას ნიშნად ვიღებ და გაშლილი ხელებით ვეგებები. ვიცი, გაზაფხულის მზე თოვლს ფანტელ-ფანტელ ადნობს. ეს პირველი ფანტელია. ამხელა კაცი, ბავშვებთან ერთად, თავქუდმოგლეჯილი გავრბივარ, ქარს ვაპობ და სახეზე ფანჯშერის ველივით ფართო ღიმილით მეფინება.

გავრბივარ...

განმარტებები

აზანი (არაბ.) – ლოცვისკენ მოწოდება. აზანს ასრულებს მუეძინი მეჩეთის მინარეთიდან.

აია (არაბ.) – სასწაული. ყურანის ერთი მუხლი.

ალლაჰ აქბარ (არაბ.) – „ღმერთი ყველაზე დიდია“.

არახჩინი (არაბ. სპარს.) – თხელი ქსოვილის თავზე მჭიდროდ მორგებული ქუდი, რომელიც ოფლს ისრუტავს.

აღა (სპარს.) – ბატონი, მეთაური.

აჰესტა ბორო – საქორწინო სიმღერა; აჰესტა – მთვარე, ბორო – წასვლა.

ბაბა (არაბ.) – მამა, მამიკო.

ბაბრაქ ქარმალი (პუშტუ) – „პატარა ვეფხვი“ – სულთან ჰუსეინი – ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე (სახელმწიფოს მეთაური) 19791986 წლებში. ქვეყნის პრემიერმინისტრი 19791981 წლებში.

ბალეი (სპარს.) – „დიახ“.

ბაჩემ (სპარს.) – „ჩემო შვილო“.

ბახშეშ (სპარს.) – პატიება.

ბახშიდა (სპარს.) – შეწყალება.

ბია (სპარს.) – „მოდი“.

ბირიანი – ინდური კერძი, ინგრედიენტები: ბრინჯი, ხორცი, ბოსტნეული, იოგურტი.

ბისმილლაჰი (არაბ.) – „ღმერთის სახელით“; „სახელითა ალლაჰისა“.

ბურკა (არაბ.) – ჩადრი, ჩამოსაფარებელი. ქალის სამოსი, რომელიც მას თავიდან ტერფებამდე ფარავს, თვალებთან ამოჭრილი გამოსახედით.

გოლდენ გეით პარკი – მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი პარკი სან-ფრანცისკოში, ცნობილია უამრავი ხელოვნური ტბით. მათ შორისაა სფრიქელის ტბა.

გულბედინი – გულბედინ ჰექმათიარი – ავღანელი საველე მეთაური. ავღანეთის პრემიერ-მინისტრი (1993-1996) მიეკუთვნება პუშტუნების ეთნიკურ ჯგუფს. მხარი დაუჭირა თალიბანს და ალქაიდას. 2003 წელს ექმათიარი აღიარეს ტერორისტად. შეტანილია გაეროს შავ სიაში ბინ ლადენთან და მოლა ომართან ერთად.

დაუდხანი – მუჰამად დაუდი – ავღანეთის პირველი პრეზიდენტი (1977-1978), ორგზის პრემიერმინისტრი (1953-1963 და 1973-1978). გენერალი. დაიბადა პუშტუნების არისტოკრატიულ ოჯახში. 1921 წლიდან ცხოვრობდა საფრანგეთში და სწავლობდა სამხედრო სასწავლებელში. ავღანეთში დაბრუნდა 1930 წელს და სწავლა გააგრძელა ქაბულის სამხედრო აკადემიაში. 1973 წელს სამხედრო გადატრიალების შედეგად დაამხო მეფე ზაჰირშაჰის მონარქიული რეჟიმი და სათავეში ჩაუდგა რესპუბლიკური მმართველობის ავღანეთს. 1978 წლის 28 აპრილს თავადაც დაამხეს. მოკლეს სამხედრო გადატრიალების მეორე დღეს და საიდუმლოდ დაკრძალეს ქაბულის აღმოსავლეთით მდებარე ძმათა სასაფლაოზე.

დოსტუმი – გენერალი აბდულ რაშიდ დოსტუმი – ყოფილი კომუნისტი, ნაჯიბულას თანამოაზრე, ანტითალიბური კოალიციის წევრი.

ვატან (არაბ.) – სამშობლო.

ზაქაყთი (არაბ.) – სისუფთავე, უმწიკვლოება, სამართლიანობა. ისლამის 5 ძირითადი მოვალეობიდან ერთერთი – ყოველი მორწმუნე მუსლიმანის ვალდებულებაა, გაიღოს გაჭირვებაში მყოფის დასახმარებლად.

თალიბანი (არაბ. თალიბ – სტუდენტი) – სამხედროპოლიტიკური მოძრაობა, რომლის სათავეში პაკისტანში არსებული მედრესეების სტუდენტობა აღმოჩნდა (საბჭოთა ექსპანსიისგან გაქცეულ ავღანელ ლტოლვილთა შვილები). ფუნდამენტალისტ პროპუშტუნთა ეს მოძრაობა თითქმის მთელ ავღანეთს მართავდა 1996-2001 წლებში. გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ აღიარებულია როგორც ტერორისტული ორგანიზაცია.

ინშალლა (არაბ.) – „თუ ღმერთი ინებებს“.

იიდ (არაბ.) – დღესასწაული.

იიდ ყურბანი – ალლაჰისთვის ცხვრის შეწირვის ცერემონიალი, მუსლიმთა უმთავრესი დღესასწაული, ყურბანი (არაბ.) – მსხვერპლი.

მუსლიმთა წმინდა წიგნი – ყურანი – გვიამბობს, რომ იბრაჰიმს (აბრაამს) ძილში მთავარანგელოზი გაბრიელი მოევლინა და ალაჰის სურვილი გადასცა – მას უზენაესისთვის საკუთარი პირმშო უნდა შეეწირა. იბრაჰიმი (აბრაამი) დამორჩილდა ღვთის ნებას, გაემართა იმ ადგილისკენ, სადაც დღეს მექაა და რიტუალის აღსასრულებლად სამზადისს შეუდგა. როდესაც ალაჰმა დაინახა, რომ იბრაჰიმი (აბრაამი) მზად იყო მსხვერპლად გაეღო ერთადერთი შვილი, კრავი მოავლინა და ისმაილის ნაცვლად სწორედ მისი შეწირვა მოსთხოვა წინასწარმეტყველს – ნიშნად იმისა, რომ იბრაჰიმმა (აბრაამმა) გამოცდა წარმატებით ჩააბარა.

ისტიქლალ (არაბ.) – დამოუკიდებლობა.

კიამა (არაბ.) – აქ: განკითხვის დღე.

მანთუ – ავღანური კერძი. პატარა ნაწილებად დაჭრილი, ამოკერილი და ბრინჯითა და სანელებლებით გატენილი ცხვრის ან ხბოს ფაშვი.

მარგალა – მთა, რომელიც პაკისტანის დედაქალაქის – ისლამაბადის გარშემოა. მთაზე გაშენებულია პარკი, სადაც ბინადრობს მრავალგვარი იშვიათი ჯიშის ცხოველი და ფრინველი. პარკი პაკისტანის სავიზიტო ბარათი და ეროვნული სიამაყეა.

მასნავი (არაბ.) – ორსტრიქონიანი წყვილად შერითმული სალექსო ფორმა. მასნავი ჰქვია ჯალად ედდინ რუმის ამ სალექსო ფორმით დაწერილ პოემასაც.

მასუდი – აჰმად შაჰ მასუდი – ავღანელი საველე მეთაური, ავღანეთის თავდაცვის მინისტრი (1992-1996). ეროვნებით ტაჯიკი. ავღანეთის ომის გმირი ცნობილია ფანჯშერის ლომის სახელით. იბრძოდა გულბუდინისა და თალიბანის წინააღმდეგ. უარყო თალიბების მიერ ისლამის ფუნდამენტალისტური ინტერპრეტაცია. თალიბანის გამარჯვების შემდეგ შეუერთდა შეიარაღებულ ოპოზიციას, გახდა ჩრდილოეთის ალიანსის პოლიტიკური ლიდერი. 2001 წლის 9 სექტემბერს, სავარაუდოდ ალქაიდას დავალებით, თვითმკვლელმა ტერორისტმა ინტერვიუს დროს მოკლა.

მაშალლაჰ (არაბ.) – „ყოჩაღ“ (შექებისას).

მოჯაჰიდი (არაბ.) – რწმენისათვის, სამართლიანი წმინდა საქმისათვის მებრძოლი, ჯიჰადის (საღვთო ომის) მონაწილე. ავღანეთის ომმა საბოლოოდ ჩამოაყალიბა მოჯაჰიდის სტერეოტიპი – გრძელწვერიანი, ჩალმიანი, ხალათში გახვეული სასტიკი მეომარი.

მუბარაქ (არაბ.) – „გილოცავ“. კურთხეული, ბედნიერი.

ნაანი (სპარს.) – პური (ბრტყელი). გავრცელებულია ინდოეთში, პაკისტანში, ბანგლადეშში, ავღანეთსა და ტაჯიკეთში.

ნამაზი – აუცილებელი ხუთგზის ლოცვა.

ნაჯიბულა – სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, სახელმწიფო საინფორმაციო სამსახურის უფროსი (1980-1986). 1992 წელს შეიარაღებულმა ოპოზიციამ დაამხო ნაჯიბულას ხელისუფლება. 1996 წელს სიკვდილით დასაჯეს თალიბებმა.

ნიკა – საქორწინო ფიცის დადების ცერემონია.

პურიზმი – მისწრაფება ზნეობრივი სიწმინდის დაცვისადმი (ზოგჯერ მოჩვენებითი).

პურისტი – პურიზმის მომხრე.

პუშტუნები – ავღანელები, აღმოსავლეთ ირანული ეთნიკური ჯგუფის ხალხი, რომელიც ცხოვრობს ავღანეთსა და პაკისტანში. ენა – პუშტუ – მიეკუთვნება ინდოევროპული ოჯახის ირანულ ჯგუფს.

რაბაბი (არაბ.) – შვილდაკიანი ძალებიანი საკრავი.

რაბანი – ბურჰანუდინ რაბანი – ავღანეთის პრეზიდენტი 1992-2001 წლებში. 1996 წელს თალიბების მიერ ქაბულის აღების შემდეგ რეალურად აღარ ასრულებდა პრეზიდენტის უფლებამოსილებას, თუმცა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებული იყო ქვეყნის კანონიერ მმართველად. სიკვდილამდე ასრულებდა ავღანეთის მშვიდობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას.

რაგა – 5 მუსიკალური ნოტით აგებული ინდური კლასიკური მელოდია.

რამადანი (არაბ.) – რამადანი (რამაზანი) – მუსლიმთა მთვარის კალენდრის მეცხრე თვის სახელწოდება. ამ თვეში განთიადიდან მზის ჩასვლამდე ყველა მუსლიმანი მარხულობს. ამ დროს ისინი ყველანაირ საჭმელზე, სასმელსა და სქესობრივ კავშირზე უარს ამბობენ. მოხუცები, ავადმყოფები, მოგზაურობაში მყოფი ადამიანები და ორსული ქალები ნებადართული არიან, ამ დროს მარხვა დაარღვიონ. რამადანის მარხვა ერთ-ერთია მუსლიმთა ხუთი მოვალეობიდან.

რიქშა (იაპ.) – აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიის ზოგ ქვეყანაში მსუბუქი ორთვლიანი ეტლი, რომლის ხელნებშიც შებმულია ადამიანი; ან თვით ადამიანი, რომელიც ასეთ ეტლშია შებმული.

სალამ ‘ალეიქუმ (არაბ.) – „მშვიდობა თქვენ(და)“.

სარატანი (არაბ.) – კიბო.

სარი – აღმოსავლეთის ქვეყნებში (ინდოეთში და სხვაგან): ქალის სამოსი – გრძელი (4-5 მეტრამდე) ქსოვილი, რომელსაც გარკვეული წესით იხვევენ ტანზე.

საჰიბ (არაბ.) – ბატონი, პატრონი.

სოლინაუ მუბარაკ – „ახალ წელს გილოცავ“.

სუნიზმი – ისლამის მიმართულება, რომელიც ყურანთან ერთად სუნასაც აღიარებს (სუნა – მუსლიმანური „წმინდა თქმულება“, შედგება რამდენიმე ათასი მოთხრობისაგან, რომლებიც მიეწერება მუჰამადს).

სუნიტი – სუნიზმის მიმდევარი.

სუფიზმი (არაბ.) – მისტიკურ-ასკეტური მიმდინარეობა ისლამში.

ტაბლა (არაბ.) – დასარტყამი ინსტრუმენტი, დოლი.

თალიბი – თალიბანის მოძრაობის წევრი.

ტიანანმენის მოედნის ტრაგედია – 1989 წელს სამხედროებმა იერიში მიიტანეს დემოკრატიის მომხრე დემონსტრანტებზე, რომლებიც პეკინის ცენტრში, ტიანანმენის მოედანზე, ექვს კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში მართავდნენ აქციას. ეს დღე ბოლო აქტი იყო იმ შემზარავი დრამისა, რომელშიც სამხედროებმა პოლიტიკური რეფორმების გატარებისა და კორუფციის დასრულების მოსურნე ასობით მშვიდობიანი მოქალაქე დახოცეს.

ფადარჯან – მამიკო

ფაკორა – ინდური კერძი – ერთმანეთში არეული დაბეგვილი ქათმის ხორცი, ბადრიჯანი, ხახვი, ნიორი, ისპანახი.

ფაქოლი – ავღანურ-ტაჯიკური რბილი შალის ქსოვილის ბრტყელი ქუდი.

ფირჰანთუმბანი – კაბა და შარვალი.

ქააბა (არაბ. ქა‘ბა – კუბი, კუბის ფორმის შენობა) – მუსლიმთა წმინდა ტაძარი მექაში. მისი ერთ-ერთი კედლის ნიშაში მოთავსებულია „შავი ქვა“ (როგორც ჩანს, მეტეორიტი) – ყველა მუსლიმანის წმიდათაწმინდა სალოცავი. ქააბასა და შავი ქვის კულტი ისლამში წარმართობის ხანიდან გადმოვიდა. ისლამამდე ქააბაში სხვადასხვა არაბული ტომის 300-ზე მეტი კერპი იდგა. ამჟამად ის მხოლოდ მუსლიმანთა მთავარი ტაძარი და ჰაჯის (პილიგრიმობის) ადგილია.

ქავალი – ღვთიური მუსიკა, სუფისტური მუსიკა. ასევე, ფლეიტის აღმოსავლური ნაირსახეობა.

ქუნი (სპარს.) – პედერასტი.

ქურმა – ჩაშუშული (მზადდება სხვადასხვა ინგრედიენტით).

ყაზალი – ორტაეპიანი სტროფი არაბულსპარსულ პოეზიაში ან ასეთი სტროფით დაწერილი ლექსი, სატრფიალო ელეგია ან სატრფიალო ელეგიური ჟანრი.

ყურბან ბაირამი (თურქ.) – მსხვერპლშეწირვა (ყურბანი) მუსლიმანური დღესასწაული, ისლამში „იიდალ ადჰა“ ანუ ყურბანბაირამი ეწოდება. ამ დღეს ყველა თავისუფლებაში მყოფი, ზრდასრული და მატერიალურად შეძლებული მუსლიმი პირუტყვის სახით მსხვერპლს სწირავს ალლაჰს. სიტყვა ყურბანი მომდინარეობს არაბული სიტყვა „კარაბა“ საგან, რომელიც ნიშნავს დაახლოებას, ღმერთთან დაახლოებას. ყურბანი ნაწილდება სამ ნაწილად: ერთი ნაწილი ოჯახში რჩება, დარჩენილი ორი ნაწილი კი მეზობლებში, ახლო ნათესავებსა და ღარიბებში ნაწილდება. მსხვერპლშეწირვის რიტუალი ტარდება მთვარის კალენდრით თვის მეათე დღეს.

შალვარყამისი (სპარს.) – ტოტებგანიერი შარვალი, რომელიც კოჭთან ვიწროვდება და ზედა ჩასაცმელი (კაბა) ქალებისა და კაცებისათვის.

შარიათი (არაბ.) – ისლამური სამართლის კოდექსი.

შიიზმი – ისლამის მიმართულება, რომელიც აღიარებს მხოლოდ ყურანს და უარყოფს სუნას (სუნა – მუსლიმანური„წმინდა გარდამოცემა“. შედგება რამდენიმე ათასი მოთხრობისაგან, რომლებიც მიეწერება მუჰამადს. ამით ისინი ემიჯნებიან სუნიტებს.

შიიტი – შიიზმის მიმდევარი მუსლიმანი.

შურავი – ყოფილი საბჭოთა კავშირი. არაბული სიტყვიდან შურა – საბჭო.

ჩაპანი – გრძელსახელოიანი მოსაცმელი ღილების გარეშე.

ჩინგიზ-ხანი – მონღოლი პოლიტიკური და სამხედრო ლიდერი (ყაენი). მან მოახერხა დაქუცმაცებული მონღოლი ტომების გაერთიანება მსოფლიოს დასაპყრობად. ჩინგის-ხანის (დაბადებით თემუჩინი), წარმატებული სამხედრო სტრატეგის მიერ შექმნილი მონღოლთა იმპერია, ერთერთი უდიდესი იყო, რაც კი კაცობრიობის ისტორიაში შექმნილა.

ჩრდილოეთის ალიანსი – ავღანეთის გადარჩენის გაერთიანებული ისლამური ფრონტი, ცნობილი, როგორც ჩრდილოეთის ალიანსი – ალიანსი შეიქმნა 1992 წელს. ეს იყო დაჯგუფება, რომელმაც გააერთიანა ავღანეთის მთელი რიგი საველე მეთაურები.

ხოშ დეგარ (სპარს.) – „ასე რომ“.

ხოშთიფ (სპარს.) – ლამაზი.

ჯიჰადი (არაბ. ჯიჰად. გგულმოდგინება, მონდომება) – ომი სარწმუნოებისათვის. „საღვთო ომი“. მუსლიმურ სამართალში ჯიჰადი არის სამხედრო მოქმედება ისლამის გავრცელების მიზნით და მის დასაცავად.

ჰადისი (არაბ.) – გადმოცემები მოციქულ მუჰამადის მოღვაწეობის შესახებ, რომელიც მუსლიმური თემის რელიგიურსამართლებრივ მხარესაც მოიცავს.

ჰაზარა – სპარსულად მოლაპარაკე ხალხი ცენტრალურ ავღანეთში. უმეტესობა შიიტი მუსლიმია. ისინი შეადგენენ ავღანეთის სიდიდით მესამე ეთნიკურ ჯგუფს.

ჰაჯი (არაბ.) – მექის მომლოცველი მუსლიმის ტიტული.

ჰიჯაბი – პირბადე, ჩადრი, საბურველი.

.:მეტი წიგნები.: